ს. ჭანტურიშვილი

ეთნოლოგიის საფუძვლები

თბილისი 2005

საუნივერსიტეტო კურსში – „ეთნოლოგიის საფუძვლები“ – პირველად ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, წარმოდგენილია და შესწავლილი ეთნოლოგიის, როგორც ხალხთა წარმომავლობის, გეოგრაფიული გარემოს, ყოფისა და კულტურის შემსწავლელ მეცნიერებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსი – ეთნოლოგიის საგანი და მეთოდი, ზოგადი ეთნოლოგიის ამოცანები, მისი ისტორია, განვითარება და თანამედროვე მდგომარეობა. ზოგადი ეთნოლოგიის საკითხების შესწავლისას მოხმობილია ქართული მასალაც. ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია მსოფლიოს ხალხთა ეთნოლოგიის საკითხები – დახასიათებულია მათი ტრადიციული ყოფისა და კულტურის ძირითადი, სპეციფიკური ელემენტები.

„ეთნოლოგიის საფუძვლები“ ავტორის მიერ 1993 წელს გამოცემულ „ეთნოლოგიის“ ახალ, საფუძვლიანად გადამუშავებულ გამოცემას წარმოადგენს.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსების, ეთნოლოგების, არქეოლოგების, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. თ. ცაგარეიშვილი

წინასიტყვაობა

1993 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ჩვენს მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელო „ეთნოლოგია". წიგნის წინასიტყვაობაში აღვნიშნავდით, რომ „ნაშრომი სამი მონაკვეთისგან შედგება: პირველში განხილულია ეთნოლოგიის ზოგადი საკითხები, მეორეში — ქართული ეთნოლოგიის საკითხები, ხოლო მესამეში წარმოდგენილია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ეთნოლოგიური მიმოხილვები".

წინამდებარე „ეთნოლოგიის საფუძვლები" არსებითად განსხვავებულია „ეთნოლოგიისაგან". იგი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველია „ეთნოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები" და მეორეა „მსოფლიოს ხალხთა ეთნოლოგია". როგორც ვხედავთ, „ეთნოლოგიის" კიდევ ერთი მონაკვეთი, მიძღვნილი ქართული ეთნოლოგიის საკითხებისადმი. „საფუძვლებიდან" ამოღებულია, რადგანაც, როგორც „ეთნოლოგიის" წინასიტყვაობაშივე ვწერდით, „ეს სპეციალური ნაშრომის ამოცანაა", მისი სისტემური და თანმიმდევრული განხილვა ზოგადად ეთნოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში არც აუცილებელი იყო და არც საჭირო. მიუხედავად. ეს ითქმის „ეთნოლოგიის საფუძვლების" შედგენის პრინციპზე, სადაც საკითხები განზოგადებული სახითაა წარმოდგენილი.

ამავე დროს, ზოგადი ეთნოლოგიის კონკრეტული საკითხების განხილვისას, განსაკუთრებით „ეთნოლოგიის საფუძვლების" I ნაწილში, საჭიროების ფარგლებში ფართოდ არის მოხმობილი საილუსტრაციო მაგალითები ქართული ეთნოლოგიური სინამდვილიდან. ვფიქრობთ, ამ მაგალითების დატოვებით „ეთნოლოგიდან" და ცალკეულ შემთხვევებში ახალი მაგალითების დამატებით, კარგად გამოჩნდა ქართული ეთნოლოგიის მრავალფეროვნება და მისი ცალკეული საკითხების მჭიდრო კავშირი ზოგად ეთნოლოგიასთან.

ქართულ მეცნიერებას ეთნოლოგიური კვლევის ხანგრძლივი და სახელოვანი ტრადიციები აქვს. მას საფუძველი ჩაეყარა XVIII საუკუნის შუა ხანებში ვახუშტი ბატონიშვილის მრავალმხრივ მნიშვნელოვან ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"; XIX და XX საუკუნეების ქართულ ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებას ამშვენებს სახელები ისეთი გამოჩენილი მეცნიერებისა, როგორებიც იყვნენ: რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ჯანაშია, თედო სახოკია, განსაკუთრებით. აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი და გიორგი ჩიტაია. გ. ჩიტაიამ, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, სისტემური, მიზანმიმართული და გეგმაზომიერი ეთნოლოგიური კვლევა-ძიებით შექმნა ეთნოლოგიის ქართული სკოლა, ხოლო მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების შემდგომმა მუშაობამ ეს კვლევა-ძიება ახალ საფეხურზე აიყვანა.

ქართული ეთნოლოგიის საკითხების სისტემური განხილვა ცალკე ნაშრომის საგანია, ისევე, როგორც ცალკე, სპეციალური ნაშრომის საგნად მიგვაჩნია ქართული ეთნოლოგიის ისტორიის შესწავლა მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. აქ საკმარისია დავასახელოთ ქართული ეთნო-

ლოგიური სკოლის მამამთავრის — გ. ჩიტაიას მიერ კვლევის ახალი, კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის შემუშავება და დანერგვა. ვფიქრობთ, ქართული ეთნოლოგიის თითქმის 250-წლიანი გზა იმსახურებს იმას, რომ მის ასახვას ცალკე ნაშრომი მიეძღვნას.

„ეთნოლოგიის საფუძვლების" II ნაწილში დედამიწის ხუთ კონტინენტზე მოსახლე ეთნოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო თითქმის ყველა ხალხის შესახებაა ცნობები წარმოდგენილი. თუმცა, ნაშრომის სპეციფიკიდან, ასევე მისი შეზღუდული მოცულობიდან გამომდინარე, ზოგიერთი გამონაკლისი აქაც დაეუშვით: რამდენიმე ხალხის შესახებ ცნობები შევზღუდეთ („ეთნოლოგიაში" მათი ვრცლად წარმოდგენის გამო), ხოლო რამდენიმესი გავზარდეთ. მაგალითად, ოკეანეთის ხალხების ეთნოლოგიის გადმოცემისას, რადგანაც იგი ეთნოლოგიურად ძალზე საინტერესო რეგიონია, საჭიროდ ჩავთვალეთ, ახალ გამოცემაში დაგვემატებინა ცნობები პოლინეზიელებისა და მიკრონეზიელების ყოფისა და კულტურის შესახებ; ასევე, მეტი ცნობები წარმოვადგინეთ პაპუასების შესახებ, მათი თვითმყოფადი კულტურის კიდევ უფრო კარგად წარმოსაჩენად. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ეთნოლოგიური მეცნიერების ჩასახვის დროიდან, ადამიანთა უძველესი საზოგადოების სოციალური, სულიერი და სხვა ასპექტების რეკონსტრუირება წარმოებდა სწორედ ამ ხალხების თანამედროვე ყოფისა და კულტურის მიხედვით, ამიტომ, დღესაც ამ ხალხების ეთნოლოგიის უფრო დაწვრილებით გადმოცემა მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ასევეა ეს ამერიკის ხალხების ეთნოლოგიის მიმოხილვისას, ლათინური ამერიკის და მაიას ხალხის ყოფისა და კულტურის უფრო დაწვრილებით გადმოცემის შემთხვევაშიც და სხვ.

„ეთნოლოგიის საფუძვლების" ბოლო მონაკვეთია ნარკვევი კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორიის შესახებ. ამ მონაკვეთში, რადგან „საფუძვლები" ქართულ ენაზე და ქართველი მკითხველისთვის არის გამოცემული, ქართველებისა და აფხაზებისადმი მიძღვნილ მონაკვეთში, გარდა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხებისა, გადმოვეცით ამ ხალხთა ეთნოლოგიის (ჩვენმი ადრე მიღებული ტრადიციული გაგებით — ეთნოგრაფიის) ძირითადი ასპექტები. ვფიქრობთ, ამით ერთგვარად შეივსო და მთლიანი სახე მიიღო ამ ხალხების ეთნოგენეზისა და ეთნოლოგიის ისტორიულმა სურათმა მისი ამგვარი მეტნაკლებად სრული სახით გადმოცემის შესაძლებლობა ყოველთვის არ იყო „საფუძვლების" მოცულობის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობის გამო.

მასალის ასეთი სახით წარმოდგენამ, ერთი მხრივ, უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა როგორც ზოგადი ეთნოლოგიის, ისე კონკრეტულად ამა თუ იმ ხალხის ეთნოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების წრე და, მეორე მხრივ, „ეთნოლოგიის საფუძვლები" დაუახლოვა იმ სტანდარტებს, რომლებიც ზოგად ეთნოლოგიის საუნივერსიტეტო კურსს შეესაბამება და მიზნად ისახავს მეცნიერების ამა თუ იმ დარგის საფუძვლების გადმოცემას.

ყველა საქმიან შენიშვნას, სურვილს, მიმართულს სახელმძღვანელოს გაუმჯობესებისაკენ, ავტორი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს.

პირველი ნაწილი

ეთნოლოგიის თეორიული
და
მეთოდოლოგიური საკითხები

პირველი თავი

ეთნოლოგიის საგანი, მეთოდი და ამოცანები

ეთნოლოგია არის მეცნიერება ხალხის, „ეთნოსის“ შესახებ. მისი ამოცანაა, შეისწავლოს ხალხთა წარმოშობის, განსახლების, ყოფის და კულტურის ფორმების საკითხები. ამ საკითხებს ეთნოლოგია უშუალოდ იკვლევს და, იმავე დროს, ხალხთა ძველი დროის ყოფის და კულტურის შესასწავლად იყენებს სხვა მეცნიერთა მონაცემებსაც.

ტერმინი „ეთნოლოგია“ ნაწარმოებია ორი ბერძნული სიტყვიდან: „ეთნოს“ — ხალხი და „ლოგოს“ — მეტყველება, მცოდნეობა, ე.ი. „ეთნოლოგია“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ხალხთმცოდნეობას“. მაშასადამე, როგორც ამას ტერმინიც ცხადყოფს, ეთნოლოგიის შესწავლის ძირითად საგანს სხვადასხვა ხალხი, მათი კულტურის და ყოფის საერთო და განმასხვავებელი ფორმები წარმოადგენს; მისი ამოცანაა ამ ხალხების მსგავსი და განსხვავებული კულტურისა და ყოფის ფორმების დადგენა, აღმოჩენა და გამოკვლევა.

ეთნოლოგიის საგნისა და მეთოდების შესახებ მეცნიერებაში გავრცელებულია სხვადასხვა თვალსაზრისი. იმის მიხედვით, თუ რომელი თვალსაზრისი რა საგანს, მეთოდსა და ამოცანებს უსახავს ეთნოლოგიის შესწავლას მიზნად, არსებობს სხვადასხვა მიმდინარეობა და სკოლა. მიუხედავად ამისა, ეთნოლოგიის საგნისა და დანიშნულების შესახებ მათ შორის მაინც გარკვეული ერთიანობაა — ყველას მიერ აღიარებულია, რომ ეთნოლოგიის შესწავლის ძირითადი ობიექტია ეთნოსი, ხალხი და მისი შემოქმედების სფერო.

ეთნოსს, ხალხს და მისი შემოქმედების სფეროს ასევე შეისწავლის მეცნიერების დარგი „ეთნოგრაფია“. რა განსხვავებაა „ეთნოგრაფიასა“ და „ეთნოლოგიას“ შორის? როგორ გაიაზრება მათი სხვადასხვა დანიშნულება მეცნიერებაში? ამის გასარკვევად საჭიროა, მოკლედ გადავხედოთ ამ ტერმინთა მეცნიერებაში დამკვიდრების ისტორიას და იმ მეცნიერებათა ჩასახვის პირველ ეტაპებს, რომელთაც ეს ტერმინები აღნიშნავენ.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ტერმინი „ეთნოგრაფია“ მეცნიერებაში უფრო ადრე შემოვიდა, ვიდრე „ეთნოლოგია“. კერძოდ, პირველი ხმარებაშია XVIII საუკუნის დასასრულიდან, ხოლო მეორე — XIX საუკუნის დასაწყისიდან. როგორც ვხედავთ, მეცნიერებაში მათ დამკვიდრებას შორის დიდი ქრონოლოგიური სხვაობა არც არის, თუმცა ფაქტია ისიც, რომ ტერმინი „ეთნოგრაფია“ პირველად გამოჩნდა XVII საუკუნის დასაწყისში, 1607 წელს, როდესაც მწერალმა იოჰან ზომერმა დაიწყო „Ethnographie Mundi“ის გამოცემა.

რაც შეეხება ტერმინს — „ეთნოლოგია" — მის შემომღებად და გამავრცელებლად მიჩნეულია ფრანგი ფიზიკოსი ანდრე მარი ამპერი. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში ამპერმა შეიმუშავა ანთროპოლოგიური, ანუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კლასიფიკაციის ზოგადი სქემა, რომელშიც მან გამოყო ეთნოლოგია, როგორც ცალკე სამეცნიერო დისციპლინა, ხოლო ეთნოგრაფია მეცნიერებათა ამპერისეულ კლასიფიკაციაში წარმოდგენილი იყო ეთნოლოგიის ერთ-ერთ განყოფილებად.

ეთნოლოგიის, როგორც ტერმინის, დაფუძნებასა და ფართოდ გავრცელებაში გარკვეული როლი შეასრულა 1839 წელს პარიზში ჩამოყალიბებულმა „ეთნოლოგიურმა საზოგადოებამ". მომდევნო წლებში ეს ტერმინი საფრანგეთის ფარგლებს გასცდა — 1842 წელს ნიუ-იორკში ჩამოყალიბდა „ეთნოლოგიური საზოგადოება", 1843 წელს ლონდონში ჩამოყალიბდა ასეთივე სახელწოდების საზოგადოება. საინტერესოა, რომ ლონდონში „ეთნოლოგიური საზოგადოების" თითქმის თანადროულად ჩამოყალიბდა „ანთროპოლოგიური საზოგადოებაც"; 1871 წელს ორივე ეს საზოგადოება გაერთიანდა და შეიქმნა „დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო ანთროპოლოგიური ინსტიტუტი".

აღსანიშნავია, რომ ამის პარალელურად ტერმინმა საერთო ევროპული გავრცელება მოიპოვა და 1869 წელს გერმანიაში ჩამოყალიბდა „წინარეისტორიული, ანთროპოლოგიური და ეთნოლოგიური საზოგადოება", 1871 წელს იტალიაში, კერძოდ ფლორენციაში — „ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის იტალიური საზოგადოება", ასეთივე სახელწოდების საზოგადოება შეიქმნა რომშიც და სხვ. გერმანულმა საზოგადოებამ დაარსებისთანავე, 1869 წელს, დაიწყო ჟურნალ „Zeitschrift für Ethnologie"-ს გამოცემა.

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინები — „ეთნოლოგია" და „ეთნოგრაფია" — სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, თუმცა ორივე ხალხის ყოფისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერების აღმნიშვნელია. ვნახოთ, ამ მხრივ რა ვითარებაა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის, რუსეთის, და ბოლოს, ჩვენს სინამდვილეში.

საკითხის ისტორიისთვის შეიძლება საინტერესო იყოს იმის აღნიშვნაც, რომ ვერც „ეთნოგრაფიამ" და ვერც „ეთნოლოგიამ", მიუხედავად ტერმინთა ძველ-ბერძნული წარმოშობისა, საბერძნეთში ვერ მიიღო ფართო აღიარება და გავრცელება. აქ მათ აღსანიშნავად გამოიყენება „ლაოგრაფია", რაც სიტყვასიტყვით „ხალხის აღწერას" ნიშნავს („ლაოს" ბერძნულად ხალხია).

ინგლისისა და ამერიკის სამეცნიერო წრეებში ამ მეცნიერების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ანთროპოლოგია" (ესეც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ადამიანთმცოდნეობას — „ანთროპოს" ადამიანი). ეს ტერმინი ამ ქვეყნების მეცნიერებაში ჩვეულებრივ გულისხმობს კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიას.

როდესაც ტერმინით — „ანთროპოლოგია“ — ეთნოლოგიურ მეცნიერებას აღნიშნავენ, ინგლისის სამეცნიერო წრეების შეხედულებით, ეთნოლოგიაში მოცემული უნდა იყოს როგორც ხალხის ყოფა-ცხოვრების აღწერა, მისი დახასიათება და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, ისე ადამიანის ფიზიკური მონაცემების შესწავლაც. სწორედ ამიტომ, ასეთი მეცნიერების აღმნიშვნელ შესაფერის ტერმინად მათ „ანთროპოლოგია“ მიაჩნიათ. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ტერმინი შედგება ორი სიტყვისგან — „ანთროპოს“ და „ლოგოს“, სადაც პირველი ნიშნავს „ადამიანს“, ხოლო მეორე — „მეტყველებას“, მივიღებთ, რომ ანთროპოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის აღნაგობას, მის ფიზიკურ ნიშნებს, რასობრივ ტიპებს და თვით რასებს.

გარდა ამისა, გერმანიაში ამ დისციპლინას ორგვარი ტერმინით აღნიშნავენ: „Volkerkunde“ და „Volkskunde“. პირველი სამეცნიერო მიმოქცევაშია 1785 წლიდან, ხოლო მეორე XIX საუკუნიდან. ეს ტერმინები, შესაბამისად დასახელების რიგისა, აღნიშნავს „ხალხთმცოდნეობას“ და „ხალხის მცოდნეობას“. ამასთანავე, გერმანულ მეცნიერებაში პირველი ტერმინით აღნიშნავენ საერთოდ ევროპელი, და მათ შორის გერმანელი, ხალხის შემსწავლელ მეცნიერებას, ხოლო მეორე ტერმინით — არაევროპელი ხალხების შემსწავლელ მეცნიერებას.

მოკლედ, დასავლეთ ევროპის მეცნიერები ტერმინებს —„ეთნოგრაფია“ და „ეთნოლოგია“ ასხვავებენ ერთმანეთისაგან. მათი აზრით, „ეთნოგრაფია“ არის მეცნიერება, რომელიც აწარმოებს ხალხის მხოლოდ აღწერას, ხოლო „ეთნოლოგია“, არის მეცნიერება, რომელიც ხალხის მეცნიერულ კვლევას ახდენს.

რუსეთში ტერმინი — „ეთნოგრაფია“ — XIX საუკუნის დასაწყისიდანვე გამოიყენებოდა. 1875 წელს რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა „ეთნოგრაფიული განყოფილება“ და ამის შემდეგ ეს ტერმინი რუსულ მეცნიერებაში საყოველთაოდ დამკვიდრდა. აქედანვე გავრცელდა იგი საქართველოში.

XX საუკუნის 20-იან წლებში იყო ცდა რუსეთში ტერმინ „ეთნოლოგიის“ გავრცელებისა. სწორედ ამ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ცალკე ეთნოლოგიური ფაკულტეტი, 1929 წელს გამოიცა პ. პრეობრაჟენსკის სახელმძღვანელო „ეთნოლოგიის კურსი“, მაგრამ რუსულ მეცნიერებაში რამდენიმე ათეული წელია, მტკიცედ დამკვიდრდა „ეთნოგრაფია“, რომელმაც გამოდევნა ყველა სხვა ტერმინი ხალხის ყოფისა და კულტურის შემსწავლელი მეცნიერების აღსანიშნავად.

უკანასკნელ წლებში, უნდა ითქვას, რომ სსრკ-ის დაშლამდე რამდენიმე წლით ადრე, რუსულ მეცნიერებაში აღიარებულ იქნა ტერმინ „ეთნოლოგიის“ უპირატესობა „ეთნოგრაფიასთან“ შედარებით, მეცნიერების იმ დარგის

აღსანიშნავად, რომელიც ხალხთა ყოფას, მათ კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებას შეისწავლის. ამის გამოხატულებაა ის, რომ სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა „ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტი". ამით რუსულმა მეცნიერებამ, დასავლეთის მეცნიერებასთან შედარებით, ნაბიჯიც კი გადადგა წინ, როდესაც ორივე — ეთნოლოგიაც და ანთროპოლოგიაც — ერთი სამეცნიერო დაწესებულების შესწავლის ინტერესების სფეროში მოაქცია.

საქართველოში XIX საუკუნეშივე, რუსული მეცნიერების კვალდაკვალ, დამკვიდრდა ტერმინი „ეთნოგრაფია", მაგრამ ჯერ კიდევ 1921 წელს, ვ. პრეობრაჟენსკის „ეთნოლოგიის კურსის" გამოცემამდე (1929 წ.) ბევრად ადრე, პირველად გ. ჩიტაიამ მიმართა ტერმინ „ეთნოლოგიას", 1926 წელს კი, სამეცნიერო ჟურნალ „მიმომხილველში" გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ქართული ეთნოლოგია", მაგრამ შემდეგში ქართულ მეცნიერებაშიც დამკვიდრდა, უნიფიცირების პირობებში ყოფილ საბჭოთა კავშირში აღიარებული ტერმინი „ეთნოგრაფია", ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ქართულმა მეცნიერებამ უნდა აღადგინოს გაწყვეტილი მეცნიერული ტრადიცია, დაამკვიდროს „ეთნოგრაფიის" ნაცვლად „ეთნოლოგია" — ჯერ კიდევ ამ საუკუნეთა წლის წინათ ქართული მეცნიერების ერთ-ერთი პატრიარქის აკად. გ. ჩიტაიაც მიერ ჩვენში შემოღებული და შემდეგში სხვადასხვა გარემოებათა გამო ხმარებიდან ამოღებული ტერმინი.

საქმე მხოლოდ ტერმინის შეცვლა არ არის. „ეთნოლოგია" გაცილებით აფართოებს ამოცანებს ხალხთა ყოფის, მისი კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების შესწავლისათვის. როგორც აღინიშნა, „ეთნოგრაფია" გულისხმობს მეცნიერებას ყოფის აღწერის შესახებ, ხოლო „ეთნოლოგია" — აღწერასთან ერთად ხალხის მეცნიერულ შესწავლასაც.

სწორედ ამ პრინციპით განასხვავებდა „ეთნოლოგიას" „ეთნოგრაფიისაგან" გ. ჩიტაია და მეორეს პირველის დამხმარედ, ერთ-ერთ განშტოებად მიიჩნევდა. აი, რას წერდა იგი ამის შესახებ: „ეთნოლოგიური მეცნიერება, პირველ ყოვლისა, ფაქტების მეცნიერებაა. უწინარეს ყოვლისა, მასაც სჭირია უტყუარი, შედარებით ურყევი და დადგენილი ფაქტები. თუ თანამედროვე ეთნოლოგია, რომელმაც ესე მძლავრად გაშალა ფრთები, ნახევარი საუკუნის მანძილზე გასაოცრად დაწინაურდა (...) ეს იმ გარემოების შედეგია, რომ მის განკარგულებაშია საუცხოო ეთნოგრაფიული აღწერილობები. ნაყოფი მრავალ ეთნოგრაფთა ხანგრძლივი, თავგამოდებული შრომისა და ბევრ შემთხვევაში უტყუარი და მყარი ეთნოგრაფიული ფაქტები... ჩვენი ეთნოლოგიური მეცნიერება უპირველეს ყოვლისა, სწორედ ასეთ ეთნოგრაფიულ აღწერილობებს საჭიროებს. მისი მოთხოვნილებაა უტყუარი, ურყევი და დადგენილი ეთნოგრაფიული ფაქტები ეთნოლოგიის ყველა დარგიდან" („მიმომხილველი", I, 1926, გვ. 247-248).

აგერ უკვე შვიდი ათეული წელია, ქართველი ეთნოლოგები სწორედ ამ პრინციპებით და ამოცანებით მუშაობენ, თუმცა, ამ „მუშაობის" აღსანიშნავად ტერმინ „ეთნოგრაფიას" მიმართავდნენ. ვფიქრობთ, ხალხის ყოფის მეცნიერულ საფუძველზე შემსწავლელი მეცნიერების აღსანიშნავად, ისევე, როგორც ეს ამჟამად მიღებულია თითქმის მთელ მსოფლიოში, აუცილებელია, ჩვენშიც აღდგეს ჯერ კიდევ 20-იან წლებში შემოღებული ტერმინი „ეთნოლოგია".

ისევე, როგორ ყველა სამეცნიერო დისციპლინას, ეთნოლოგიასაც კვლევის თავისი მეთოდები აქვს. ცხადია ისიც, რომ მეთოდი ყოველთვის განპირობებულია მოცემული სამეცნიერო დარგის მიზნებით და ამოცანებით.

ცნობილია, რომ ეთნოლოგიის კვლევის საგანი, ამ მეცნიერების ისტორიის მანძილზე, მისი განვითარების კვალდაკვალ, არაერთხელ შეცვლილა, მიღებულია, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეთნოლოგია განისაზღვრება ეთნიკურ ერთობათა შემსწავლელ კომპლექსურ მეცნიერებად, რომელიც შეისწავლის ადამიანთა კოლექტიური ცხოვრების აღმოცენებისა და არსებობის ყველა მხარე.

ცხადია. ეთნოსების შესწავლისადმი ასეთი მიდგომა მოითხოვს მისი სპეციფიკის ყველა კომპონენტის, შემადგენელი ნაწილის საგანგებო ანალიზს, ეს კი საკვლევი საგნისადმი კომპლექსური მიდგომის გზით არის შესაძლებელი.

ეთნოლოგიის კვლევის მეთოდები, ბუნებრივია, პირველ რიგში მსგავსია და ხშირად იდენტურიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებისა. ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან შეხების წერტილები ეთნოლოგიას გააჩნია პოლიტიკურ, ანუ სამოქალაქო ისტორიასთან, არქეოლოგიასთან, ფოლკლორისტიკასთან, ხელოვნებათმცოდნეობასა და ლინგვისტიკასთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ხერხები და მეთოდები, რომლებსაც თავისი კვლევისათვის იღებს ეთნოლოგია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან — ანთროპოლოგიიდან, გეოგრაფიიდან, ეკონომიკიდან, ბოტანიკიდან და სხვ.

რითი არის დაკავშირებული ეთნოლოგია მეცნიერების ზემოთდასახელებულ დარგებთან და შეხების რა წერტილები გააჩნია მათი კვლევის მეთოდებთან?

ისტორიასთან, უფრო კონკრეტულად, პოლიტიკურ, ანუ სამოქალაქო ისტორიასთან ეთნოლოგიას აკავშირებს პირველყოფილი თემური საზოგადოების სხვადასხვა პრობლემური საკითხის კვლევა. მეორე მხრივ, საკუთრივ ისტორიის მონაცემები გამოიყენება რომელიმე ხალხის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. განსაკუთრებით ახლოს დგას თავისი კვლევის მიზნებით და მეთოდებით ეთნოლოგია არქეოლოგიასთან. რით გამოიხატება ეს?

არქეოლოგია რომელიმე მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ნივთიერი კულტურის ძეგლების კუთვნილების განსაზღვრისათვის ფართოდ

იყენებს ეთნოლოგიას; ამავე დროს, იმავე ან სხვა ხალხის ეთნოგენეზის, მისი წარმომავლობის, მისი კულტურული და ყოფითი სახის დადგენისათვის ეთნოლოგია აუცილებლად მოიშველიებს არქეოლოგიურ მონაცემებს, მის მიერ მოძიებულ და მოპოვებულ მატერიალურ ძეგლებსა და საგნებს, როგორც ამ ხალხის ყოფისათვის დამახასიათებელ არსებით კომპონენტებს.

დიდია და არსებითი ის კავშირი და კვლევის საერთო მეთოდები, რომლებიც არსებობს ეთნოლოგიასა და ფოლკლორისტიკას შორის. პირველ რიგში, ეს გამოიხატება ხალხური მხატვრული შემოქმედების კვლევისას. მაგრამ, განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს ადრინდელი რელიგიური წესჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების კვლევის დროს; ხოლო ამ საკითხების კვლევა ერთნაირად მნიშვნელოვანია და არსებითი როგორც ფოლკლორისტიკის, ისე ეთნოლოგიისათვის.

ასევე არსებითია ის კავშირი და კვლევის საერთო მეთოდები, მიღებული შედეგების ურთიერთგამოყენება, რომელიც არსებობს ეთნოლოგიასა და ლინგვისტიკას შორის. როგორც ვიცით, ენა ძირითადი ეთნიკური ნიშანია. მისი შესწავლელი მეცნიერების შედეგები და მონაცემები დიდად შველის ეთნოლოგიას ხალხთა ნათესაობის, მათი გადაადგილების ან ასიმილაციის შესწავლაში.

ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ეთნოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეზე სულ უფრო მეტად ისმის საკითხი ისეთი სპეციალური სუბდისციპლინების შესწავლის აუცილებლობის შესახებ, როგორიცაა: სამართლებრივი ანთროპოლოგია, პოლიტიკური ანთროპოლოგია, ეკონომიკური ანთროპოლოგია და სხვ. ყველა ეს ფართო გაგებით ეთნოლოგიაში შემოდის, თითოეულს კვლევის თავისი მეთოდი გააჩნია, რომელიც ეთნოლოგიის კვლევის საერთო ნაკადს ერთვის. სამართლებრივი ანთროპოლოგია იკვლევს პირველყოფილ სოციალურ ორგანიზმებში არსებული ურთიერთობების ნორმებს და მას ზოგჯერ ნორმატიულ ეთნოგრაფიას, ან ნორამტიულ ეთნოლოგიას უწოდებენ. პოლიტიკური ანთროპოლოგია იკვლევს ასევე პირველყოფილ, ანუ წინაკლასობრივ, საზოგადოებაში ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხებს, ეკონომიკური ანთროპოლოგია კი სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს წინაკლასობრივ საზოგადოებაში.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკიდებული, ქართული ეთნოლოგია კვლევისას იყენებს საველე მუშაობის ე.წ. კომპლექსურ-ინტეგრალურ მეთოდს, რომელიც აგერ თითქმის 70 წლის განმავლობაში ძველი ვარ-ეთნოგრაფთა რამდენიმე თაობის მუშაობის მანძილზე დაიხვეწა, ახალი შინაარსით შეივსო და ახალი ფორმებისა და ხერხების გამოყენებით გამდიდრდა. იგი, შემუშავებულია აკადემიკოს გ. ჩიტაიას მიერ, გავრცობილია და ფართოდ გამოყენებული ეთნოლოგიურ-ეთნოგრაფიული კვლევებისათვის

მისი მოწაფეებისა და მიმდევრების სამეცნიერო საქმიანობაში. ამ მეთოდის ძირითადი ნიშნების შესახებ ქვემოთ აღვნიშნავთ, ხოლო მანამდე ვისაუბრებთ იმ მეთოდებზე, რომლებიც გამოიყენება ან გამოიყენებოდა ეთნოლოგიური კვლევებისათვის სხვადასხვა სამეცნიერო სკოლისა და მიმართულების მიერ. მათ შორის მოკლედ მიმოვიხილოთ შემდეგი მეთოდები და ხერხები: შედარებით-ისტორიული, კომპლექსური, ეთნიკური კარტოგრაფირების, რაოდენობრივი ანალიზის, ანკეტირების, ფორმალურ-ტიპოლოგიური ანალიზის, საველე კვლევა-ძიების, დაბოლოს, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მიერ შემუშავებული კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდი.

შ ე დ ა რ ე ბ ი თ - ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მეთოდი შეიმუშავეს ეთნოლოგიაში ყველაზე ძველი, შეიძლება ითქვას, პირველი სკოლის — ევოლუციონიზმის ფუძემდებლებმა. ეს მეთოდი სხვებზე მნიშვნელოვანია და ცნობილი თავისი კვლევის შედეგებით. მისი არსი ასეთია: ისტორიული ეპოქების, წარსულის რეკონსტრუქციისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს თანამედროვეობის ან უახლოესი წარსულის მასალები, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი განვიხილოთ როგორც გადმონაშთები, შორეული წარსულის რელიქტები. რადგანაც ეს მეთოდი შემუშავებული იყო ევოლუციონისტების მიერ, ცხადია, მათი სკოლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ევოლუციური განვითარების ზოგადი სურათის აღსადგენად, მარტივიდან რთულისაკენ განვითარების გზის საილუსტრაციოდ, შეიძლება დავეყრდნოთ განსხვავებულ, სხვადასხვა ხალხის ცხოვრებიდან აღებულ ფაქტებს, ოღონდ, იმ პირობით — ეს ფაქტები უნდა შეესატყვისებოდეს ამ ხალხების განვითარების გარკვეულ სტადიას.

ამ მეთოდმა, როგორც აღინიშნა, დიდი როლი შეასრულა ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მიღწევები პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის, კულტურის ისტორიის, რელიგიის ისტორიის კვლევაში. მართალია, მას ცალკეული უარყოფითი მხარეებიც ახლავს (მაგ; უარყოფილია ცალკეულ ხალხთა ისტორიის თავისებურება, ადგილობრივი სპეციფიკით გამოწვეული კულტურული თავისებურებანი და სხვ.), მაგრამ თანამედროვე ეთნოლოგიურ გამოკვლევებში იგი კიდევ უფრო ღაინვეწა და შედეგებიც მნიშვნელოვანია როგორც მიღებული, ისე მოსალოდნელი. კერძოდ, თანამედროვე ეთნოლოგები, რომლებიც მიმართავენ შედარებით-ისტორიულ მეთოდს, იყენებენ მის ყველაზე ღირებულ პრინციპებს, როგორებიცაა: ანალიზის ჩატარება შედარებით ღრმად, ხალხის კულტურის განვითარებაზე მოქმედი მრავალი ფაქტორის გათვალისწინება, კულტურის განხილვა, როგორც ურთიერთდაკავშირებული მოვლენების გარკვეული მთლიანი სისტემისა და სხვ.

ცხადია, ამ მეთოდს მრავალი კრიტიკისი და მოწინააღმდეგე ჰყავდა, რაც ევოლუციონისტური სკოლისადმი მათი კრიტიკითა და დაპირისპირებით იყო

გამოწვეული და განპირობებული. ხშირად ხდებოდა ისეც, რომ მოწინააღმდეგეები ევოლუციონისტების შედარებით-ისტორიული მეთოდიდან იღებდნენ ერთ რომელიმე პრინციპს, ახდენდნენ მის აბსოლუტირებას და ასე შეიმუშავეს ა ბ ს ო ლ უ ტ ი ზ ა ც ი ი ს მეთოდი. დიფუზიონისტებმა და გერმანერიანელებმა შედარებით-ისტორიული მეთოდიდან აიღეს და ცალკე გამოყვეს ტიპოლოგიური, ანუ სხვადასხვა ხალხში ერთიანი ნიშნების ანალიზის მეთოდი, გადააქცეს იგი კვლევის ლოგიკურ აბსოლუტად და შეიმუშავეს „კულტურული ცენტრის", „კულტურული წრის" ცნებები.

ადგილობრივი ფაქტორებისა და თავისებურებების მნიშვნელობის აბსოლუტიზაციაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამერიკელმა ეთნოლოგმა უ ი ს ლ ე რ მ ა. იგი, მაგალითად, ამერიკელ ინდიელთა კულტურას განიხილავდა როგორც ეკოლოგიურ პირობებზე დამოკიდებულ სისტემას. ახდენდა ამ პირობების მნიშვნელობის აბსოლუტიზაციას და ამის მიხედვით გამოყოფდა ცალკეული კულტურული ნიშნების კომპლექსს, რომელშიც, თავის მხრივ, ჩართულია სამეურნეო და მატერიალური მომენტები. წესჩვეულებები და რწმენები.

საბჭოთა ეთნოგრაფიაში, ისტორიული განვითარების მარქსისტული კონცეფციიდან გამომდინარე, უისლერის მიერ შემჩნეულ კანონზომიერებებს. სამეურნეო-კულტურული ტიპების დახასიათებას დაემატა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების განსაზღვრული დონის ცნება (ნ. ჩებოქსაროვი, მ. ლევინი). მიჩნეულ იქნა, რომ ამ ცნების დამატებით გამოძიებულ იქნა მოვლენათა ურთიერთკავშირი, სხვადასხვა ხალხში ამ კავშირების ერთგვაროვნების მიზეზები და სხვ.

კულტურულ-ისტორიული პრობლემების ეთნოლოგიური შესწავლისადმი კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი მიდგომის მეთოდის გამოყენება დაკავშირებულია რუსი ეთნოგრაფის, ანთროპოლოგისა და გეოგრაფის დიმიტრი ანუჩინის (1843-1923) სახელთან. მისი შეხედულებით, კაცობრიობის კულტურის ისტორიის სურათზე არ შეუძლია სრული წარმოდგენა მოგვცეს ერთი რომელიმე მეცნიერების (ისტორიის, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიის და სხვ.) მონაცემებმა. საჭიროა ამ მონაცემების კომპლექსური გამოყენება. ასეთი კვლევის ნიმუშები და მათი უპირატესობა კარგად აჩვენა. პირველ რიგში, თვითონ დ. ანუჩინმა თავის გამოკვლევებში და შემდეგში იგი ფართოდ გამოიყენეს როგორც რუსმა, ასევე სხვა ეთნოლოგებმა.

ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებათა ერთ-ერთი მეთოდია ე თ ნ ი კ უ რ ი კ ა რ ტ ო გ რ ა ფ ი რ ე ბ ი ს მეთოდი. იგი გულისხმობს როგორც ხალხების, ისე მათი კულტურების თავისებურებათა შესწავლა-შედარების რუკებზე აღნიშვნის გზით. ამ მხრივ საინტერესო, ნათელ სურათს იძლევა ეთნიკური რუკები მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლებით. ითვლება, რომ ამ კუთხით დიდ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა ეთნოგრაფიული

სკოლის წარმომადგენლებმა (პ. ტერლეცკი, ი. კუშნერი), იმდენად, რომ მათ მიერ შედგენილი რუკები უბადლოა მთელ მსოფლიოში. ამ რუკებისაგან ბოლოს დაიწყო ეთნოგრაფიული ატლასების შედგენა. ეს სამუშაოები ახლაც გრძელდება როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, საქართველოში. უკვე შედგენილმა და გამოცემულმა ატლასებმა კულტურის მრავალი მოვლენის ახლებურად ახსნის საკითხიც დააყენა.

დიდი რაოდენობის მონაცემების საფუძველზე, სტატისტიკურ-მათემატიკური მეთოდის გამოყენებით. ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელდა ეთნოლოგიური კვლევა-ძიების რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი ა ნ ა ლ ი ზ ი. ამას, ცხადია, ხელი შეუწყო საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების განვითარებამ. ამ მეთოდის დანერგვა მოითხოვს საველე მუშაობის პრაქტიკის ერთგვარ გარდაქმნას და აღწერილობითი მეთოდიკის ნაცვლად ანკეტირების მეთოდის დამკვიდრებას. ასეთ დროს ანკეტაში, ანუ გამოკითხვის ფურცელში, დასმულია კითხვების გარკვეული ჯგუფი და მიღებული პასუხები განლაგდება გარკვეული, სტანდარტული ფორმით. შემდეგ მოპოვებული მასალა გაივლის სტატისტიკური დამუშავების სტადიას. აშკარაა ამ მეთოდის დიდი ეფექტიანობა, განსაკუთრებით, კარტოგრაფირებასთან შეხამებისას, მაგრამ მას ცალკეული ნაკლოვანებებიც ახასიათებს. მაგ., ხშირად ძნელია კულტურის მოვლენათა ეთნიკურად სპეციფიკური ნიშნების სწორად და დასაბუთებულად გამოყოფა და სხვ.

თანამედროვე ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებაში ფართოდ გამოიყენება ფ ო რ - მ ა ლ უ რ - ტ ი პ ო ლ ო გ ი უ რ ი ანალიზის მეთოდი. იგი ეყრდნობა გამომთვლელ ტექნიკას; მისმა გამოყენებამ ერთობ წასწია წინ დასავლეთის მეცნიერთა ეთნოლოგიური გამოკვლევების ეფექტურობა.

მიუხედავად მეთოდების ასეთი მრავალფეროვნებისა, კვლევის ახალი საშუალებების და ახალი მეთოდების გამოყენებისა, ეთნოლოგიური კვლევებისათვის მაინც ძალზე დიდია და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტიც, ტრადიციული ს ა ვ ე ლ ე კ ვ ლ ე ვ ა - ძ ი ე ბ ი ს პრინციპების გამოყენება და მათი ეფექტურობა. მკვლევარი-ეთნოლოგის მიერ ყოფასა და კულტურაზე უშუალო დაკვირვების მეთოდი, მასალების ველზე მოპოვება და მისი სტაციონარული დამუშავება წამყვან, ძირითად და გადამწყვეტ მეთოდად უნდა იქნეს მიჩნეული ყველა დროის ეთნოლოგიურ გამოკვლევებში. ამ მეთოდს ორი მიმართულება გააჩნია — სტაციონარული და საექსპედიციო. პირველი იძლევა ეთნოლოგიური საკითხების ჩაღრმავებული კვლევის შესაძლებლობას გარკვეულად შეზღუდულ ტერიტორიაზე, ხოლო მეორე მოიცავს კვლევის ფართო გეოგრაფიულ სივრცეს და იძლევა კულტურისა და ყოფის გავრცელების ოლქების დადგენის შესაძლებლობას.

ორივე ეს მიმართულება შერწყმულია კ ო მ ლ ე ქ ს უ რ - ი ნ ტ ე ნ ს ი უ რ მეთოდთან, რომელიც შეიმუშავა აკად. გ. ჩიტაიამ. მან

ჯერ კიდევ 1921 წელს ჩამოყალიბა ამ მეთოდის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამოქვეყნდა 1926 წელს სპეციალურ წერილში — „ქართული ეთნოლოგია". მასში მოცემულია 1917-1926 წლებში ეთნოლოგიის საკითხებზე დაწერილი შრომების მიმოხილვა და ჩამოყალიბებულია ეთნოლოგიური მეცნიერების ძირითადი პრინციპები.

საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, აკად. გ. ჩიტაიას განმარტებით და დახასიათებით, შემდეგია: „ეთნოგრაფიული მოვლენები შეისწავლება ინტენსიურად, კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიზმის პრინციპის დაცვით. ამ მეთოდის თვალსაზრისით, — განაგრძობს ავტორი, — ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. უმჯობესია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე" (ქსე, 4, გვ. 56.).

კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი იოვალისწინებს ცალკეული ტერიტორია და დიდი სოციალური ერთეულების (ოჯახი, გვარი, უბანი, სოფელი, ოქმი და სხვ.) ღრმა შესწავლას. ყოველი ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილე განიხილება, როგორც რთული წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენათა კომპლექსი. მასში მიმდინარეობს ბრძოლა ძველსა და ახალს, პროგრესულს, უფრო მოწინავეს შორის.

კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის საფუძველზე, წინასწარ შედგენილი პერსპექტიული გეგმის მიხედვით, ქართველმა ეთნოგრაფებმა უკვე XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ფართოდ გაშალეს საველე-შეგროვებითი საქმეები მთის, მთისპირა და ბარის ზოლის მოსახლეობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეთნოგრაფიულ მოვლენათა ფიქსაციის დროს წინა პლანზე იქნა წამოწეული მათი ობიექტურ-ხარისხობრივი აღწერილობა. ნაკლულად იმხანად საყოველთაოდ გავრცელებული და ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ფართოდ ფეხმოკიდებული სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერილობისა.

ამით ქართველმა ეთნოგრაფებმა იმთავითვე უარყვეს კონცეფცია, რომლის თანახმად, ეთნოგრაფია თითქოს პრიმიტივიზმის მეცნიერებაა და მხოლოდ სოციალური განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ხალხების ყოფას სწავლობს.

მეორე თავი

ეთნოსი

ეთნოლოგიის შესწავლის საგანია ე თ ნ ო ს ი, ხალხი და მისი მოღვაწეობის სხვადასხვა სფერო. როგორც უკვე ვთქვით, ტერმინი „ეთნოსი" მიღებულია ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს „ხალხს". ამ ტერმინით აღინიშნება ადამიანთა ჩამოყალიბებული დიდი ან მცირე ჯგუფი, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გარკვეული ნიშნებით. ესენია: მათი თავდაპირველი განსახლების ტერიტორია, ენისა და კულტურის ერთობა. ხშირად ეთნოსის ჩამოყალიბებაში სხვა ნიშნები და ფაქტორებიც მონაწილეობს — ზნე-ჩვეულება, ყოფა-ქცევა, ცხოვრების თავისებური წესი და სხვ. მათი ერთობლიობა და განვითარების დონე განაპირობებს დიდი და მცირე ეთნიკური ერთობების არსებობას. ამის მიხედვით ეთნიკური ერთობები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ტომის, ეროვნების (ხალხის) და ერის სახით.

სხვადასხვა ეპოქაში ეთნოსი განსხვავებულ შინაარსს შეიცავდა. უძველეს დროს იგი პირობითად აღნიშნავდა ტომს, ხოლო შუა საუკუნეებში იხმარებოდა ხალხის მნიშვნელობით.

მეცნიერების განვითარების შესაბამისად იცვლებოდა და ვითარდებოდა ეთნოსის მნიშვნელობის განსაზღვრა. ამჟამად ეთნოსად, ხალხად მიჩნეულია სოციალური დაჯგუფება, რომელიც აღმოცენდება ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგად. „ეთნოსს", თანამედროვე შეხედულებით, გარდა ზემოთ დასახელებული ნიშნებისა, გააჩნია შემდეგი სპეციფიკური ნიშნები: თ ვ ი თ ს ა ხ ე ლ ი — საკუთარი სახელი, ეთნონიმი. საქმე ის არის, რომ ეთნოსისათვის სხვა ხალხის მიერ მიკუთვნებული სახელი ხშირად განსხვავდება იმ სახელისაგან, რომელსაც იგი უწოდებს თავის თავს. ამის კარგი მაგალითია გერმანელების სახელწოდება. ეს ხალხი თავის თავს უწოდებს „დეიჩ", ხოლო რუსები მათ ეძახიან „ნემცი", ფრანგები — „ალემან", ინგლისელები — „ჯემენ", იტალიელები — „ტედესკო", ფინელები — „საკსალაინენ", სერბები — „შვაბ" და სხვ.

ეთნოსისათვის დამახასიათებელი მეორე ძირითადი ნიშანია „თ ვ ი თ - შ ე გ ნ ე ბ ა", ე.ი. შეგრძნება, გააზრებულობა საკუთარი განსხვავებულობისა, თავისებურებისა სხვა სოციალური ჯგუფებისაგან. კერძოდ, როდესაც, ვთქვათ, რუსების, ესპანელების, სომხების ან პოლონელების ცალკეული ჯგუფები ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში, არა თავიანთი წარმოშობის, ან საშობლოდ მიჩნეულ ადგილებში, მათ მაშინაც კი გააზრებული აქვთ ერთიანობა იმ ხალხებთან, რომელთა ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ, ან რომლებიც იმავე სახელით იწოდებიან.

სხვადასხვა თვალსაზრისია მეცნიერებაში ეთნოსის, როგორც განსაზღვრული სოციალური ერთობის, წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ. განსაკუთრებით გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეთნოსი აღმოცენებულია ისეთ ახლო ნათესაურ კავშირ-ურთიერთობაზე, როგორიცაა გვარტომობა. ცალკე გ ვ ა რ ი, როგორც ცნობილია, მკაცრად ეგზოგამიურია, ამიტომ იგი არ შეიძლებოდა ეთნოსის წარმოქმნის საფუძველი ყოფილიყო. პირველი ეთნიკური ერთობა, როგორც ჩანს, ტ ო მ ი ს შიგნით წარმოიშვა, როდესაც გაჩნდა გვართა შორის კავშირ-ურთიერთობები. რაც ტომის, როგორც სოციალური ურთიერთობის გარკვეული ფორმის, ენდოგამიური ხასიათითაც იყო განპირობებული. ქართული ტერმინები: „თვისტომი", „უთვისტომო", „გვარტომობა" და მისთანანი ამ მოვლენის უხსოვარი დროის შინაარსს უნდა გამოხატავდეს.

ამ მსჯელობიდან, თითქოს, ისეთი სურათი მივიღეთ, რომ ეთნოსის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი როლი ბიოლოგიურ ფაქტორს მიეკუთვნება, მაგრამ ეს ასე არ არის. გვარტომობრივი ნათესაური კავშირ-ურთიერთობები მარტო ბიოლოგიური, სისხლით ნათესაობით არ განისაზღვრება, აქ ძირითადი მაინც ეკონომიკური და მასთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული ერთობაა. სწორედ ამიტომ ეთნოსის წარმოქმნის მთავარ პირობად მიიჩნევა ერთობლივი საწარმოო საქმიანობა, რომლის ობიექტური საფუძველია კონკრეტული ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო რეალიზაციის საშუალება — საერთო ენა.

გარდა ამისა, უეჭველია, რომ ეთნოსი წარმოიქმნება არა ადამიანთა სურვილის მიხედვით, არამედ ობიექტური ისტორიული პროცესების შედეგად. ეთნოსები წარმოადგენენ მეტად რთულ წარმონაქმნებს. ყოველ მათგანს გააჩნია როგორც მისთვის დამახასიათებელი, ე.წ. სპეციფიკური ნიშნები. ისე ისეთი ნიშნები, რომლებითაც ემსგავსება იმდაგვარსავე წარმონაქმნებს. ამის მიხედვით განასხვავებენ ეთნოსთა ტიპებს.

§ 1. ეთნოსთა ტიპები

მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ ტომები, რომლებიც არსებობდნენ პირველყოფილი თემური წყობილების დროს და შედგებოდნენ სისხლით ნათესაობაზე დამყარებული რამდენიმე გვარისაგან, წარმოადგენენ ეთნოსთა ყველაზე ადრინდელ ისტორიულ ტიპს. ცხადია, კაცობრიობის ისტორიის ხანგრძლივი დროის განმავლობაში თვით ამ ტიპმა არსებითი ცვლილებები განიცადა და ტომები კლასიკური ფორმით, იმ სახით, როგორითაც ისინი უძველესი დროისათვის წარმოიდგინება, ამჟამად ან არ არსებობენ, ან ძალზე იშვიათია. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესში, ცალკეულ ტომთა ინტერესების ერთიანო-

ბიდან გამომდინარე, იქმნებოდა ტომთა კავშირები. ტომთა ასეთი, შედარებით მსხვილი კავშირების, ანუ გაერთიანებების კარგი მაგალითია ირიკეზების ლიგა ჩრდილოეთ ამერიკაში, აცტეკების სამასი ტომის კავშირი მექსიკაში, ზულუსთა ტომების კავშირი სამხრეთ აფრიკაში და სხვ. როდესაც ტომთა კავშირები იქმნებოდა, რომლებიც არსებითად სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა, მათ შორის სამეურნეო და კულტურული კავშირებიც ეითარდებოდა. ეს პროცესი დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლის შემდეგ, ბუნებრივად იწვევდა ცალკეულ ტომთა შერევას და სისხლით ნათესაური კავშირების ტერიტორიულით შეცვლას. საბოლოოდ, ამას შედეგად მოჰყვა ეთნოსის ახალი ტიპის – ხ ა ლ ხ ი ს (ეროვნების) შექმნა. ეს ტიპი ეთნოსისა განიხილება, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური და კულტურული ერთობა. მიჩნეულია, რომ ეს არის ერის ჩამოყალიბების წინა საფეხური.

თუ კაცობრიობის ისტორიის ქრონოლოგიას მივყვებით, დავინახავთ, რომ პირველად ჩამოყალიბდნენ მონათმფლობელური ეპოქის ხალხები – ძველეგვიპტელები და ძველელინელები. რამდენადმე განსხვავებული სურათია ევროპაში, სადაც ხალხთა ჩამოყალიბების პროცესი, ძირითადად, ფეოდალიზმის პერიოდს დაემთხვა. აქ, დასავლეთ ევროპაში, ხალხები ყალიბდებოდნენ მათი წარმოშობისა და ენით ახლო მდგომი, ანუ მონათესავე ენების მატარებელი ტომებისაგან. მაგალითად, პოლონელები ჩამოყალიბდნენ შემდეგი სლავი ტომებისაგან: პომორების, ვისლელების, მაზოველების, აგრეთვე სხვა ტომთა გაერთიანებებისაგან; გერმანელები ჩამოყალიბდნენ საქსების, ალემანების და სხვა ევროპელ ტომთა გაერთიანებით. ასეთივე იყო სხვა ევროპელ ხალხთა ჩამოყალიბების პროცესი.

ეთნიკური გაერთიანების პროცესების დახასიათებისათვის შეიძლება მოვიხმოთ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში, პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და სამხედრო დემორკატიის გაძლიერების დროს მომხდარი ფაქტებიც. ამ დროს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში დაიწყო ქართველურ ტომთა სწრაფი კონსოლიდაციის პროცესი. რასაც ძვ. წ. აღ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე მოჰყვა დიაოხის და კოლხას ადრეკლასობრივი სახელმწიფოების შექმნა. შემდეგში ქართველურ ტომთა კონსოლიდაციის პროცესი გრძელდებოდა იბერიის და კოლხეთის, ხოლო მომდევნო ხანებში ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ფარგლებში. მისი დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო XI-XII საუკუნეებში ქართველი ხალხის ეთნოგენეზის დასრულება. მაშასადამე, ქართველურ ტომთა და მის მომდევნოდ ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ძვ. წ. აღ. I ათასწლეულში დაიწყო, განსაკუთრებით მეფე ფარნავაზის დროს, როდესაც როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში „არღარა იზრახებოდა სხვა ენა, თვინიერ ქართულისა“, საბოლოოდ დამ-

თავრდა ადრეფეოდალურ ხანაში, რომელიც ქრონოლოგიურად ადრე შუა საუკუნეებს დაემთხვა, და რომელიც გამოხატულია X საუკუნის ავტორის გიორგი მერჩულის კლასიკური ფორმულით: „ქართლად (ე.ი. საქართველოდ) ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ესმა შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

ეთნოსის, ე.ი. ხალხის ჩამოყალიბების პროცესში ენას განსაკუთრებული როლი აქვს მისი ცალკეული ნაწილების კავშირ-ურთიერთობების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. ამ დროს უფრო მრავალრიცხოვანი და განვითარებული ტომის ენა საერთო ენად გადაიქცევა. ხოლო სხვა ტომების ენები დიალექტებად იქცევა, მათი როლი შეორეხარისხოვანია. თუმცა ერთიანი ენის ფორმირებაში შემდეგშიც თამაშობს გარკვეულ როლს. ხდება პირიქითაც — კავშირში გაერთიანებული ზოგიერთი ტომის ენა, არათუ დიალექტად არ გადაიქცევა, არამედ მთლიანადაც ქრება. ერთი სიტყვით, ხალხის ჩამოყალიბების პროცესში ხდება ტერიტორიული, კულტურული და სამეურნეო ერთობის ფორმირება. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ფორმირების ეს პროცესი ხალხის ჩამოყალიბების ამ ეტაპზე ხშირად არცთუ ისე მყარია.

ეთნიკური ერთიანობის შექმნის შემდგომი ეტაპია: ხელოსნობის განვითარება და აღებ-მიცემობა, ანუ ვაჭრობის პირვანდელი ფორმების აღმავლობა, ქალაქების, როგორც ახალი მწარმოებლური კლასისა და კულტურულ ღირებულებათა თავმოყრის ადგილების, დაწინაურება, საწარმოო საშუალებათა, კერძოდ, შრომის იარაღების გაუმჯობესების. მათი განვითარების შედეგად სოფლად შრომისნაყოფიერების ამაღლება, საბოლოო ჯამში ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაძლიერება და მანამდე ჯერ კიდევ არსებული დაქუცმაცებულობის ლიკვიდაცია. ითვლება, რომ ყოველივე ეს შედეგად გვაძლევს ე რ ე ბ ი ს ჩამოყალიბებას. ერი ხალხისგან გამოირჩევა პირველ რიგში ელემენტთა სიმყარით, ეს ელემენტებია: ეკონომიკური და ტერიტორიული მთლიანობა, საერთო ენა. ამათ საფუძველზე ყალიბდება ერთიანი ეროვნული ხასიათი, ანუ საერთო ნიშნების შქონე ფსიქიკა და, რაც არანაკლებ არსებითია, ასევე ყალიბდება მკაფიო ეთნიკური თვითშეგნება.

ერის ჩამოყალიბების ერთიანი ქრონოლოგიური საზღვრები არ არსებობს. მაგრამ მარქსისტული შეხედულებით, იგი უკავშირდება საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ფორმაციას და შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიულ ეპოქაში, ე.ი. საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ხდება ფეოდალური გადმონაშთების საბოლოო დაძლევა, როცა ქვეყანა ან ქვეყნები განვითარების კაპიტალისტურ გზას დაადგება.

მაშასადამე, მარქსისტული თვალსაზრისის მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ერი (ბურჟუაზიული) საქართველოში ჩამოყალიბდა ან ყალიბდებოდა XIX საუკუნის II ნახევარში. ამ მაგალითით კარგად ჩანს მარქსისტუ-

ლი სტერეოტიპის აბსურდულობა, რადგან გამოდის, რომ XII-XIII საუკუნეებში ქართველი ხალხი თავისი თვითშეგნებით ერად არ ჩამოყალიბებულა, მაშინ, როდესაც სწორედ ამ დროს აღინიშნა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ცხოვრების ყველა სფეროს განვითარების მეტად მაღალი დონე და, რაც მთავარია, მკაფიოდ გამოიკვეთა ეთნიკური შეგნება.

თუ მარქსისტულ შეხედულებას ერის ჩამოყალიბების შესახებ კიდევ უფრო განვაზოგადებთ, სხვა, ასევე არანაკლებ მცდარ დებულებამდე მივალთ. კერძოდ, ამ სტერეოტიპის მიხედვით, თითქოს, არის ეთნიკური ერთობა, ე.წ. სოციალისტური ერი და, მაშასადამე, ლოგიკურად სხვა სოციალურ-ეკონომიკური ერები, რაც, ცხადია, უაზრობაა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუ გავიხსენებთ, რომ ამ სქემის მიხედვით, მთელ რიგს ერებისას — თურქმენებს, მონღოლებს, ყირგიზებს და სხვ; — რომელთაც კაპიტალიზმი არ გაუვლიათ, მაშასადამე, ერად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ბურჟუაზიული ეტაპი გამოუტოვებიათ და პირდაპირ სოციალისტურ ერად წარმოგვიდგნენ.

ერის თეორიის დამუშავებისას გასათვალისწინებელია, რომ ბევრი მცირე ხალხი ერად შეიძლება არც ჩამოყალიბდეს. კერძოდ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომ თავისი მცირერიცხოვნობის გამო, ხშირად მათ არ შეუძლიათ განავითარონ საკუთარი ეროვნული კადრებით კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მხარე. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან სხვა, დიდ, მრავალრიცხოვან და ამ თვალსაზრისით მათთან შედარებით უფრო განვითარებულ ხალხებს, ითვისებენ მათ კულტურას, ენას და ხშირად, საბოლოო ჯამში, როგორც წესი, შეერწყმიან კიდეც მათ.

წარმოდგენილი მსჯელობიდან მივიღეთ, რომ ეთნიკურ ერთობათა განვითარება ხდება ე.წ. სამწევრა დაყოფის მიხედვით, რაც გულისხმობს შემდეგ სქემას — ტომი, ხალხი, ერი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს სქემა ყოველთვის და მთლიანად არ ასახავს სხვადასხვა რეგიონში არსებულ ეთნიკურ ფორმათა სირთულეს და მრავალფეროვნებას.

კერძოდ, მკვლევართა ნაწილში ეჭვს იწვევს იმის შესაძლებლობა, რომ მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციის ყველა ეთნოსი წარმოადგენს თუ არა ხალხს, შეიძლება თუ არა მათი ასეთი კლასიფიკაციით წარმოდგენა. ასეთი დაეჭვების საფუძველს იძლევა ის, რომ კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ადრეულ საფეხურზე, ძვ. წ. აღ. IV ათასწლეულში, ზოგიერთ რეგიონში — სახმრეთ-დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში, საზოგადოების ძირითად ფენას წარმოადგენდნენ მიწათმოქმედი და შესაქონლე მეთემეები. მათ ექსპლოატაციას უწევდა ზედა ფენა, ე.წ. გვარტომული არისტოკრატია და ეს უკანასკნელი ხშირად სხვა, დამპყრობელი ეთნოსით იყო წარმოდგენილი.

კაცობრიობის განვითარების ისტორიული კანონზომიერება გვიჩვენებს, რომ ყველაზე დიდი ეთნიკური მრავალფეროვნებით, უფრო მეტიც — არაერთგვაროვნებით გამოირჩევა მონათმფლობელური სახელმწიფოები. ეს განპირობებული იყო იმით, რომ დიდი ხნის მანძილზე მონები, ძირითადად, არაადგილობრივი წარმოშობის ეთნოსების წარმომადგენლები იყვნენ. ამის საწინააღმდეგო სურათი გვაქვს ფეოდალურ საზოგადოებაში, სადაც ეთნოსის საფუძველი ყმა-გლეხები ან ქალაქის მშრომელი მოსახლეობა იყო. მაგრამ საზოგადოების ზედა ფენა, სოციალურად გაბატონებული ნაწილი, ხშირად, ეთნიკური თვალსაზრისით, ძალიან განსხვავდებოდა მოსახლეობის ძირითადი ნაწილისაგან.

ამიტომაა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ფაქტების რეალურად არსებობა მკვლევართა ნაწილს საფუძველს აძლევს, იკარაუდოს, რომ მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის დროს, ამ ფორმაციათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ერთდროულად არსებობს ეთნიკურ ერთობათა სხვადასხვა ტიპი, რომლის ძირითადი მაჩვენებელია განსხვავებული სოციალურ-კლასობრივი კომპონენტები.

ა. მაკრო და მიკრო ერთეულები

კაცობრიობის განვითარებისა და ეთნოსთა ერად ჩამოყალიბების ტრადიციული სამწევრა (ტომი, ხალხი, ერი) კლასიფიკაცია, თავისი სქემატურობის გამო, როგორც წესი, ხშირად ჩრდილში აქცევს ერთდროულად არსებულ ფორმათა მრავალფეროვნებას. ამ მრავალფეროვნების ნიველირების თავიდან ასაცილებლად, მათ წარმოსაჩენად, მკვლევართა ნაწილი სულ უფრო და უფრო მიმართავს ძირითად ეთნიკურ ფორმებს, გარდა ე.წ. მ ა კ რ ო ე თ ნ ი კ უ რ ი ე რ თ ე უ ლ ე ბ ი ს გამოყოფისა.

მაკროეთნიკურ ერთეულებში, აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, იგულისხმება ისეთი ეთნიკური ერთეულები, რომლებიც მოიცავენ რამდენიმე ეთნოსს, ხშირად წარმოდგენილს მ ი კ რ ო ე თ ნ ი კ უ რ ი ე რ თ ე უ ლ ე ბ ი ს სახით, რომლებიც სუბეთნოსებადაც იწოდებიან და, როგორც წესი, წარმოადგენენ სხვადასხვა ეთნოსის ნაწილებს. კერძოდ, ეთნიკური ერთობის ასეთი სხვადასხვა დონის წარმომადგენლებად მიიჩნევენ კაზაკებს, პომორებს, კამჩატკელებს, აღმოსავლეთ სლავებს, ხშირად საერთოდ სლავებსა და სხვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეთნიკურ და მიკროეთნიკურ ერთეულებს, გარდა დაყოფის იმ ზოგადი სურათისა, რომლის შესახებ ზემოთ იყო მსჯელობა, ცხადია, ეთნიკური ერთობაც ახასიათებთ. მაკროეთნიკური ერთობის მაგალითებად მოჰყავთ სლავური, რომანული, ირანული და, რამდე-

ნადმე პირობითად, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხები. ისინი, როგორც წესი, ერთმანეთთან ახლოს დგანან არა მხოლოდ ენით, ხშირად ყოფითა და კულტურითაც, თუ ამ უკანასკნელის განვითარების ერთნაირი დონით არა, მისი აშკარა მსგავსებით მაინც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ისეთი განმაზოგადებელი დასკვნა მივიღოთ, რომ მაკროეთნიკური ერთეულები აერთიანებს რამდენიმე ხალხს, რომლებიც გამოირჩევიან საერთო თვითშეგნებით, და დაფუძნებულია შემდეგ რამდენიმე ძირითად მომენტზე: ეთნოგენეტიკურ სიახლოვეზე, სამეურნეო ურთიერთდამოკიდებულებაზე, ხანგრძლივი დროის მანძილზე კულტურის ელემენტების ერთიანობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოიყოფა, აგრეთვე, ეთნორელიგიური მაკროეთნიკური ერთობანი. მათი ჩამოყალიბება, ძირითადად ფეოდალურ ეპოქაში ხდებოდა. მისი მაგალითია იუდაისტური რელიგია, იუდაისტური მოძღვრება, ანუ იუდაიზმი, რომელიც გავრცელდა სამხრეთ აზიის მრავალეროვანი ხალხების საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურულ ყოფაში. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური თვალსაზრისით მეტად ჭრელ ამ რეგიონში, სადაც ეთნოსთა დიდი მრავალფეროვნებაა მაკრო და მიკროეთნიკური ერთეულების სახით წარმოდგენილი და, როგორც წესი, მათი ერად ჩამოყალიბება ხშირად არც არის დასრულებული, იუდაიზმი, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორი, როგორც ერთ-ერთი ეთნორელიგიური ერთობის გამოვლინება, დღესაც მოელი არსით მოქმედებს.

მეორე მაგალითია ისლამის გავრცელების შემთხვევა სამხრეთ ფილიპინებში, სადაც ამის შედეგად ცალკე ეთნორელიგიური ჯგუფიც გამოიყო, ე.წ. მოროს ხალხების სახით. პირობითად, შეიძლება ამის ნათელსაყოფად დავასახელოთ მესხეთში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველების ნაწილი, რომლებმაც ისლამიზაციის მრავალსაუკუნოვანი ზემოქმედების შედეგად თავიანთი თავი თურქულ ეთნოსს მიაკუთვნეს.

მაკროეთნიკურ ერთობებზე მსჯელობა შეიძლება დავასრულოთ პოლიტიკური ფაქტორის აღნიშვნით, რომელიც ასევე ცალკე გამოიყოფა, თუმცა ხშირად იგი ეთნიკურ პროცესებში გადამწყვეტი არ არის, მაგრამ ყოველთვის გასათვალისწინებელია. პოლიტიკური ფაქტორი განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ კოლონიური და ნახევრადკოლონიური მდგომარეობიდან განთავისუფლებული ხალხებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკური შემადგენლობით გამოირჩევიან. ეს ფაქტორი განსაკუთრებით აქტუალურია აზიისა და აფრიკის ხალხებში, რომლებმაც სხვებზე მეტად იწვნიეს კოლონიური და ნახევრადკოლონიური ყოფა და მასთან დაკავშირებული ეთნიკური პროცესების მრავალფეროვნება.

ბ. ეთნოგრაფიული ჯგუფები

ეთნოგრაფიული ჯგუფები ეწოდება ეთნოსთა ადგილობრივ მიკროეთნიკურ ერთეულებს, რომლებიც ამ ეთნოსის შემადგენლობაში შედიან და კონკრეტული არეალი აქვთ დაკავებული. როგორც წესი, ეთნოგრაფიული ჯგუფი — ეს არის ერთი ხალხის ან ერთი ერის ტერიტორიულად გამოყოფილი ნაწილი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშანი. ეს ნიშნები, გარკვეულწილად კულტურისა და ყოფის ცალკეული ელემენტების სპეციფიკურობის ფარგლებში თავსდება და შეიძლება წარმოდგენილი იყოს განსხვავებული კილოს თუ კილოკავის სახით, მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებური ელემენტებით და სხვ. ხშირად ყველაფერი ეს განაპირობებს თავისებური თვითშეგნების არსებობასაც.

ეთნოგრაფიული ჯგუფები დამახასიათებელია მსოფლიოს მრავალი ხალხისათვის. ამ თვალსაზრისით დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილე. როგორც ცნობილია, აქ განსხვავებული ეთნოგრაფიული ნიშნებით გამოიყოფიან: ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები, გურულები, ქიზიყელები, მთიულები, სვანები, ინგილოები, აჭარლები და სხვ.

გ. გარდამავალი ეთნიკური ჯგუფები

გარდამავალი ეთნიკური ჯგუფები ეწოდება ისეთ ეთნიკურ ერთეულებს, რომლებიც შეიცავენ რამდენიმე ეთნიკური ეთნოსის ნიშნებს. ჩვეულებრივ, ასეთი ჯგუფები მეტად რთულია როგორც წარმომავლობით, ისე შემადგენლობით. როგორც წესი, ისინი, უმთავრესად, დამახასიათებელია იმიგრაციული ქვეყნებისათვის, ე.ი. როდესაც გარედან მოსულ ეთნიკურ ელემენტს ხვდება ადგილობრივი ელემენტი და ამ უკანასკნელთან ასიმილირდება მოსული. მოსული, ანუ ემიგრანტული ეთნოსი, პირველ თაობებში, ასე თუ ისე, ინარჩუნებს ორმაგ თვითშეგნებას, რაც გამოწვეულია იმით, რომ ისინი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არიან მოწყვეტილები მშობლიურ ეთნოსს და შერწყმულნი დამხვდურ ეთნოსს. ასეთებია: სომხები, იტალიელები, შვედები, გერმანელები და სხვები აშშ-სა და კანადაში.

ხდება ისეც, რომ ეთნიკურ საზღვართა ზონაში, როდესაც კონტაქტში შედის ორი ან მეტი ხალხი, ხდება ეთნიკური ჯგუფების ჩამოყალიბება. ცხადია, აქ რამდენადმე სპეციფიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ეს იმიგრანტი ეთნოსის დამხვდურ ეთნოსთან ასიმილირებისას იყო, მაგრამ ფაქტია, რომ გარდამავალი ეთნიკური ჯგუფების წარმოშობის ერთ-ერთი გზა ასეთიც არის.

§ 2. ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესები

ეთნოსის ჩამოყალიბების, მისი ფორმირების პროცესი შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა იყოს. სხვადასხვაობა განპირობებულია არაერთგვაროვნებით, რომელიც გამოხატულია დაყოფის, გაერთიანებების, კონსოლიდაციის, ასიმილაციის, ინტეგრაციისა და სხვა ფორმებით. თითოეული ეს ფორმა, ცხადია, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც პირველ რიგში მათ ხარისხშია გამოვლენილი. ასევე ცხადია, რომ ეთნოსის რამდენადმე სრულყოფილი დახასიათებისათვის აუცილებელია მისი ჩამოყალიბების პროცესების განხილვა.

ა. ეთნიკური დაყოფა

მიჩნეულია, რომ ეთნიკური დაყოფა ჩაისახა უკლასო საზოგადოებაში. უფრო მეტიც, ითვლება, რომ იგი ამ დროს წარმოადგენდა გაბატონებულ ფორმას. ძოსახლეობის ზრდის შედეგად ტომები დაიყოფოდა ცალკეულ ნაწილებად და ხდებოდა ხალხთა განსახლება. კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების შემდგომ, ე.ი. სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების ეპოქებში, ხალხთა განსახლების პროცესები რამდენადმე, მხოლოდ შედარებით, შემცირდა. მაგრამ ისინი კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ზოგიერთ რეგიონში. კერძოდ, ეთნიკური დაყოფის შედეგად ახალი ეთნოსების წარმოქმნის ძაგალითებად ასახელებენ მიგრაციული პროცესების განვითარებას, როდესაც ხდებოდა ევროპელთა გადასახლება ამერიკაში, ავსტრალიაში და ნაწილობრივ აფრიკაში (განსაკუთრებით ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკაში).

ბ. ეთნიკური გაერთიანება (შეერთება)

ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესში ეთნიკური შეერთება ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ჩვეულებრივ იგი დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისათვის და გაბატონებული ფორმით წარმოდგენილია ევროპასა და აზიაში. იგი რთული ხასიათისაა და შეიძლება წარმოდგენილი იყოს კონსოლიდაციის, ასიმილიაციისა და ეთნიკური ინტეგრაციის სახით. ხდება ისეც, რომ ზოგჯერ ყველა ამ მოვლენას ერთდროულად აქვს ადგილი.

მაშასადამე, ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესში ეთნიკური დაყოფაც და ეთნიკური შეერთებაც ერთნაირად მნიშვნელოვანი და რთულია. განვიხილოთ შეერთებათა სამივე დასახელებული ფორმა.

გ. კონსოლიდაცია

ეთნოსების, ე.ი. ტომების, ხალხების შერწყმას, ან უკვე ჩამოყალიბებული ხალხის შემჭიდროებას, შეერთებას ეწოდება კ ო ნ ს ო ლ ი დ ა ც ი ა. ჩვეულებრივ, შემჭიდროვება ხდება კლასობრივი საზოგადოების პირობებში და იგი დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეზე.

კონსოლიდაცია განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს, თუ ამ პროცესში ჩაბმული ხალხები მონათესავე წარმოშობისანი არიან და ახლოს დგანან ენითა და კულტურით. ეს პროცესი მიმდინარეობს ძრავალ ქვეყანაში. მისი კარგი მაგალითია დაღესტნის მცირე (რამდენიმე ათეულზე მეტი) ხალხები, ალტაის ტომები და ხალხები და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც დაიშალა კოლონიური სისტემა, მსოფლიოს დიდ ნაწილში ფართოდ გაიშალა კონსოლიდაციის პროცესი. ამ დროს ყოფილ კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში. დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად, დაჩქარდა მათი ეთნიკური კონსოლიდაცია და გაიზარდა ეროვნული თვითშეგნება. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ნათესაური ტომობრივი და ლოკალური ეთნიკური ჯგუფებისაგან ახალი ხალხებისა და ერების ჩამოყალიბება. ასეთი შემთხვევების მაგალითებად მოჰყავთ აფრიკასა და ინდოეთში კოლონიური სისტემებისა და რეჟიმების დანგრევის შედეგად მიმდინარე ეთნიკური პროცესები. კერძოდ, აფრიკაში ტომთა კავშირებისაგან, მათი კონსოლიდაციის შედეგად, ჩამოყალიბდა ასეთი ხალხები, ხოლო ზოგ შემთხვევაში უფრო მაღალი დონის ეთნიკური წარმონაქმნები — ერები, როგორიცაა ხაუსა, იორუბა, იბო, აკანი. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში ამ პროცესმა მეტად სწრაფად და, რაც არსებითია, საკმაოდ დიდ ტერიტორიულ რეგიონში იწყო განვითარება. კერძოდ, ინდოეთსა, ფილიპინებსა და აზიის სხვა ქვეყნებში.

დ. ასიმილაცია

ასიმილაცია ეწოდება ისეთ პროცესს, როდესაც ამა თუ იმ ხალხის ცალკეული ჯგუფები, სხვა ხალხის გარშემო ცხოვრების პირობებში, ითვისებენ ამ უკანასკნელის კულტურას, ენას და ამის შედეგად, აღარ თვლიან თავის თავს ადრინდელი ეთნოსის ნაწილად. მაგრამ ეს შეთვისება შეიძლება იყოს ორგვარი: ბუნებრივი და ძალდატანებითი. ორივე შემთხვევაში ასიმილაციის ბოლო სტადიას წარმოადგენს ასიმილირებული ეთნოსის ძველ ეროვნული თვითშეგნების შეცვლა.

ასიმილაცია, ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებში ხდება. აქ ძირითადი ერი დიდი ხნის ჩამოყალიბებულია და მას მკვეთრად გამოხატული ეროვნული თვითშეგნება გააჩნია. მათ შორის მცხოვრები ასიმილირებული ან ასიმილირებადი ეთნიკური ჯგუფები, ჩვეულებრივ, მცირერიცხოვანია, ნაკლებად განვითარებული ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, არ ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ეროვნული თვითშეგნებით და, ბუნებრივია, ხდება მათი გათქვეფა.

მცირე ეთნიკური ჯგუფების სხვა ერების მიერ ასიმილირებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: ძირითადი და ასიმილირებული ეთნოსის ენისა და კულტურის სიახლოვე. ასიმილირებულის ეროვნული შემეჭიდროების დონე, ძველ სამშობლოსთან პოლიტიკური და კულტურული კავშირის სიღრმე, ახალ ქვეყანაში განსახლების სხვადასხვა ფორმა — შერეული ან კომპაქტური, სოფლად თუ ქალაქად; მნიშვნელოვანი ფაქტორია რასობრივი განსხვავებანი ძირითად და ასიმილირებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ცხადია, მათი სიახლოვე ასიმილაციის პროცესის ტემპსა და მასშტაბებს ზრდის და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ასიმილაციის პროცესები შეიძლება იყოს ორი სახისა: ბუნებრივი და ძალდატანებითი. ცხადია, ისინი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობენ და ასიმილირების შედეგად თუ ძირითად ერს რაღაც ემატება მის მიერ შთანოქმული ერისაგან, სამაგიეროდ, ასიმილირებული ერის დაკარგვით კაცობრიობის კულტურა კარგავს გარკვეულ თვითმყოფად, თავისებურ, სხვებისაგან განსხვავებულ მარცვალს.

ასიმილაციის პროცესები მსოფლიოში მეტ-ნაკლები მასშტაბებითა და ინტენსივობით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. ცხადია, ეს ხდებოდა საბჭოთა კავშირში და ახლაც გრძელდება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებში. იმპერიული პოზიციებიდან გამომდინარე, საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერება ათეული წლების მანძილზე ამტკიცებდა, რომ ასიმილაციის პროცესები საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა ბუნებრივი გზით, ძალდატანების გარეშე და განპირობებული იყო მასში შემავალი ხალხებისა და ერების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. ასეთივე ყალბი სახით განიხილებოდა ასიმილაციის პროცესები ყოფილი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებშიც. მაგრამ ყოველდღიურმა ცხოვრებამ, პრაქტიკამ და პოლიტიკური მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ არეკლა ამ თვალსაზრისის სრული სიყალბე. თვალთმაქცური ხასიათი, მეცნიერული უსაფუძვლობა და არარეალურობა. არაერთხელ დადასტურდა ძალდატანებითი ასიმილაციის არსებობა როგორც რუსეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში და სხვაგან, ისე სოციალისტურ ქვეყნებში: რუმინეთში, იუგოსლავიაში, ბულგარეთსა და სხვ.

აღმოჩნდა, რომ ძალდატანებითი ასიმილაცია მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. პირიქით, ასიმილაციის, რო-

გორც ერთი — ბუნებრივი, ისე მეორე — ძალდატანებითი ფორმა საერთო, უნივერსალური მოვლენაა, არ არის სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის რომელიმე სახით განპირობებული და ერთიანი, გლობალური. მსოფლიო ეთნიკური პროცესის ნაწილს წარმოადგენს.

ე. ეთნიკური ინტეგრაცია

საბჭოთა ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ კიდევ ერთი ყალბი ეთნოგრაფიული ცნება — ეთნიკური ინტეგრაცია გამოიგონა, როდესაც, თითქოს ხდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის შერწყმა, შერევა კულტურულ-სამეურნეო დაახლოების გზით. თანაც, ეს გზა შემუშავებული უნდა იყოს მესამეუფრო მაღალგანვითარებული ეთნოსის მიერ. ინტეგრაცია გულისხმობს სხვადასხვა ეთნოსის დაახლოებას ძრავალეროვან ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში მშვიდობიანად, ძალადატანებლად, ხოლო ერიერეული საკითხის გადაჭრის უმთავრეს პირობად მიჩნეული იყო ხალხების კულტურულ-სამეურნეო დაახლოება ეკონომიკური ფაქტორის ძირითადი ბერკეტების თითქოსდა მაღალგანვითარებული ეთნოსის ხელში თავმოყრის გზით. ცხადია, ასეთი თვალსაზრისი მთლიანად იმპერიულ და კოლონიურ მიზნების ისახავდა და მასზე იყო დამყარებული. დღეისათვის მან სრული კრახი განიცადა და ეთნიკურ ინტეგრაციას, როგორც ეთნოსის ჩამოყალიბების ერთ-ერთ სახეობას, შევეხეთ იმდენად, რამდენადაც იგი ისტორიოგრაფიის კუთვნილებაა და თუმცა გაბატონებულ თვალსაზრისს წარმოადგენდა ლენინის ერთ მეექვსედზე, აშკარად ყალბი მეცნიერული პოზიციის ნიმუშია.

§ 3. ეთნოსის ჩამოყალიბების ფაქტორები

ეთნოსის ჩამოყალიბებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს: ესენია: რელიგიური, რასობრივი, ენობრივი და ფიზიკური (ეროვნული თვითშეგნება). ცხადია, თითოეული მათგანი თავისებურად მნიშვნელოვანია და ძირითადი ეთნოსის ფორმირების საერთო პროცესში. ზოგჯერ შეიძლება ზოგიერთი მათგანი, ან რამდენიმე ერთად, გადამწყვეტი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ თითოეულის მნიშვნელობა, ისევე როგორც კიდევ სხვა ფაქტორებისა (მაგ: ინდივიდუალური ფიზიკური მონაცემები და სხვ.), განსაკუთრებულია და არსებითი.

ა. რელიგიური ფაქტორი

წინაკლასობრივ საზოგადოებაში პირველყოფილი თემური წყობილების დროს, როდესაც ჯერ კიდევ იყო ეთნიკური დაყოფები, ცალკე დაჯგუფებები

ეთნიკური პრინციპის მიხედვით, ეთნიკური და რელიგიური საზღვრები ერთმანეთს ემთხვეოდა. საზოგადოების განვითარების შემდგომ ეტაპზე, მსოფლიო რელიგიების წარმოქმნის შემდეგ, ეთნიკური და რელიგიური საზღვრები უკვე ერთმანეთს აღარ ემთხვევა. გარდა ამისა, მონათმფლობელობისა და ფეოდალური წყობილების დროს, რელიგიური თვითშეგნება ხშირად გამოდევნის ეთნიკურ თვითშეგნებას. შუა საუკუნეებში რელიგიური სხვაობა ეროვნულადაც თიშავდა ახლო მდგომ ხალხებს, ზოგჯერ იმდენად, რომ მათ ერთმანეთში ომებიც კი ჰქონდათ სხვადასხვა რელიგიური მრწამსის გამო. რელიგიურ ნიადაგზე ასეთი ეროვნული გათიშვის მაგალითებია: ჰოლანდიელები და ფლამანდიელები, სერბები და ხორვატები, ბოსნიელები და ჰერცოგოვინელები.

კაცობრიობის ცივილიზაციის შემდგომი განვითარების შედეგად, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული ფაქტორები შემცირდა, რაც კარგად ჩანს აშშ-ის მაგალითზე, სადაც წამყვან, სახელმწიფო, გაბატონებულ რელიგიას არც ერთი არ წარმოადგენს.

სულ სხვა სურათია მაჰმადიანურ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა, როგორც წესი, ჯგუფდება რელიგიური ნიშნის მიხედვით. ამავე ქვეყნებში ეროვნულ უმცირესობათა რიცხვშია მოქცეული ყველა, ვინც ისლამს არ აღიარებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეროვნულად მოსახლეობის სხვა ნაწილისაგან განუყოფელია. ამის მაგალითია ჰებრები ირანში, რომლებიც აღიარებენ ზოროასტრიზმს, ხოლო წარმოშობით სპარსელი ხალხის ნაწილია.

ბ. რასობრივი ფაქტორი

სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ეთნოსის ფორმირების პროცესში ერთ-ერთი რთული და, ამავე დროს, გადამწყვეტია რასობრივი ფაქტორი. სირთულე განპირობებულია იმითაც, რომ ამჟამად რასობრივი და ეთნიკური არეალი უმეტესწილად არ ემთხვევა ერთმანეთს. ცნობილია, რომ ევროპოიდული რასა, ძირითადად, აერთიანებს ევროპის ხალხებს და აქ თითქოს ეთნიკურ ერთგვარობასთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგრამ სინამდვილეში ევროპის ხალხები აერთიანებენ ამ რასის ორ, ხოლო ზოგჯერ სამ შტოს — ჩრდილოურს, გარდამავალს, სამხრეთულს; თითოეულ მათგანს კი მისთვის დამახასიათებელი რასობრივი ნიშნები გააჩნია.

ანალოგიური მდგომარეობაა საზღვრების საკითხში რასებსა და ენობრივ მიკუთვნებას შორის: როგორც წესი, ეს საზღვრებიც ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, განსაკუთრებით ჭრელ და მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენენ ამ მხრივ თურქულ ენათა ოჯახის ხალხები. მათი ნაწილი — იაკუტები, ტუველები — მიეკუთვნება მონღოლოიდურ რასას, ნაწილი — აზერბაიჯანელები, თურქები, ყარაჩაელები — ევროპოიდულს, ხოლო თურ-

ქულ ენათა ოჯახის ხალხების უმეტესობა რასობრივი თვალსაზრისით შერეულია. მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ურალურ ენათა ოჯახის ხალხებშიც.

სხვადასხვა რასობრივი კომპონენტის შერწყმის პროცესი განსაკუთრებით სწრაფად და ინტენსიურად წარიმართა ამერიკის ქვეყნებში, სადაც იგი ამჟამადაც მიმდინარეობს. ხშირად აქ ორი და ზოგჯერ სამი რასობრივი კომპონენტის შერწყმა ხდება. ამის მაგალითია ამერიკის ზანგი მოსახლეობა, თანამედროვე ამერიკელი ზანგების წინაპრებმა, კონტინენტზე გადმოყვანის შემდეგ, სწრაფად დაივიწყეს დედაენა და მის სანაცვლოდ დაეუფლნენ შესაბამისი ქვეყნის ენას — ინგლისურს, ესპანურს, პორტუგალიურს და ფრანგულს. ამის შედეგად მოხდა ისე, რომ ისინი (ამერიკელი ზანგები) ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის ერების ფორმირების ძირითად კომპონენტად გადაიქცნენ. მაგალითად, ბრაზილიელების, კუბელებისა და ზოგიერთი სხვა. შედარებით მცირერიცხოვანი, ქვეყნის ხალხების.

გ. ენობრივი ფაქტორი

ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია საკუთარი ენის არსებობა. ამიტომ ეთნოსის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა ჯგუფს განეკუთვნება ენობრივი ფაქტორი. ენის საჭიროების მაჩვენებელია თუნდაც ის მარტივი დაკვირვებაც, რომ დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობა ლაპარაკობს საკუთარ, ეროვნულ ენაზე: ინგლისელები — ინგლისურად, ფრანგები — ფრანგულად, რუსები — რუსულად, ქართველები — ქართულად და ა.შ. მაგრამ საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სხვადასხვა ხალხი ლაპარაკობს ერთსა და იმავე ენაზე. ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია ესპანური ენის მაგალითი. ამ ენაზე ლაპარაკობენ არა მარტო ესპანელები. პირენეის ნახევარკუნძულის მკვიდრი და ძირძველი მაცხოვრებლები. არამედ ამერიკის კონტინენტის, კერძოდ, ლათინური ამერიკის ძრავალი ქვეყნის ხალხები: მექსიკელები, კუბელები, არგენტინელები, ჩილელები და სხვ. ასევე, დედამიწის ერთ-ერთი დიდი ქვეყნის — ბრაზილიის მცხოვრებლები ლაპარაკობენ პორტუგალიურად, ისე, როგორც თავად პორტუგალიელები.

ეთნოგრაფიული სინამდვილე საწინააღმდეგო მოვლენებსაც იცნობს, როდესაც ერთ ხალხში გავრცელებულია ორი ან მეტი ენა და მოსახლეობის ნაწილი ან ერთ, ან მეორე ენაზე ლაპარაკობს. მართალია, ასეთი შემთხვევები შედარებით მცირეა, მაგრამ ორიოდე მაგალითის მოყვანა მაინც შეიძლება. მაგალითად, მორდველებს აქვთ ორი — ერზიას და მოკშას ენა; ირლანდიელთა ნაწილი ლაპარაკობს ირლანდიურად, ხოლო ნაწილი ინგლისურად; ბრეტონელები ლაპარაკობენ ბრეტონულად და ფრანგულად. ასეთ მოვლენას ბილინგვიზმი, ანუ ორენოვნება ეწოდება. ზოგჯერ ვხვდებით სა-

მენოვნებასაც, რომლის მაგალითად, ჩვეულებრივ ასახელებენ შვეიცარიას, ბელგიას, ასევე აზიისა და აფრიკის მრავალ სახელმწიფოს. ამ უკანასკნელ ქვეყნებში, ადგილობრივ ენებთან ერთად, ინტენსიურად ვრცელდება სახელმწიფოს ოფიციალური ენა. ასეთებია: ჰინდი — ინდოეთში, ურდუ — პაკისტანში, ბახასა — ინდონეზიაში და სხვ. ასევეა აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ადგილობრივი ენების გვერდით ქვეყნის ოფიციალური ენაა ინგლისური, ხოლო ზოგიერთში — ფრანგული.

ორენოვნება, ე.ი. ეთნიკური ბილინგვიზმი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ეთნოსების სასაზღვრო ზოლში, სადაც სხვადასხვაენოვანი ხალხების შეზობლობა ამისათვის კარგ ნიადაგს ქმნის, მას ფართოდ აქვს ფესვი მოკიდებული, აგრეთვე, იმიგრანტულ ქვეყნებში, სადაც ხშირად როგორც მოსული ითვისებს დამხვდურის ენას, ისე ადგილობრივი მოსახლეობა მიმართავს იმიგრირებულის ენასაც.

დ. ეროვნული თვითშეგნება

ზემოთ არაერთხელ გვქონდა აღნიშნული, რომ ეთნოსის აუცილებელ ნიშანს, მისი ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ეროვნული თვითშეგნება. რა არის ეს? ეროვნული თვითშეგნება არის კონკრეტული ადამიანის მიერ ეთნიკური კავშირების გამოხატვა თავისი ხალხის სხვა ადამიანებთან. ეს ერთ-ერთი ძლიერი ეთნიკური ფაქტორია და მისი შენარჩუნება. ამ ფენომენის ძირითადი ფორმების შემონახვა, მაშინაც ხდება, როდესაც ხალხის ცალკეული ჯგუფი მოსწყდება ძირითად ეთნიკურ ბირთვს. ეს ფენომენი იმდენად ძლიერია, რომ იგი შეიძლება შენარჩუნებული იყოს მაშინაც, როდესაც ამ მოწყვეტილ ჯგუფს ენაც კი აქვს დაკარგული.

ნიშანდობლივია, რომ ეროვნული თვითშეგნების გამოხატვა არ არის აუცილებლად დაკავშირებული ხალხის მრავალრიცხოვნებაზე ან განსაზღვრულ რაოდენობრივობაზე. ეროვნული თვითშეგნება მკაფიოდ არის გამოხატული შედარებით დიდ ხალხებში, რაც განპირობებულია კონსოლიდაციის მაღალი დონით, მაგრამ, ამავე დროს არიან შედარებით მრავალრიცოვანი ეთნოსები, რომელთაც ჯერ კიდეე არა აქვთ მკაფიოდ გამომუშავებული ეროვნული თვითშეგენება,

ჩვეულებრივ ამ უკანასკნელთა კატეგორიას მიეკუთვნებიან ის ხალხები, რომელთაც შემოინახეს გვაროვნულ-ოემური დაყოფა. მათში სოციალურ-კულტურული განვითარების დონე დაბალია, არ არსებობს ეროვნული კონსოლიდაციის ცენტრი. გაძნელებულია ცალკეულ ჯგუფებს შორის ურთიერთობა და კულტურული კავშირები. ამგვარ გარემოებაზე განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ის ვითარება, როდესაც ეს ჯგუფები ლაპარაკობენ თავ-თავიანთ დიალექტზე და ა.შ.

აღნიშნული ხალხების გარდა, რომლებშიც არსებობს გვარიანულ-ოჯახური დაყოფა შედარებით არამყარი ეროვნული თვითშეგნება ახასიათებს იმ ხალხებსაც, რომლებიც ეთნიკურად ე.წ. გარდამავალ ჯგუფებს განეკუთვნებიან. ასეთებია: იმიგრანტები, ორენოვანი მოსახლეობა, ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ეთნიკურ საზღვრებში ცხოვრობენ და სხვ. თითოეულ ასეთ ჯგუფში ეროვნული თვითშეგნების დაბალი დონე განპირობებულია მისიების ნიშანდობლივი, გარკვეული ფაქტორებით.

მაგალითად, იმიგრანტებში ეროვნული თვითშეგნების შეცვლა, ასიმილაციური პროცესების ხანგრძლივობა და ინტენსივობა დამოკიდებულია ამ ქვეყნის კულტურის ელემენტების ათვისების დონეზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია, აგრეთვე, შერეული ქორწინების სიხშირე. ცნობილია, რომ ინგლისელი, რომელიც ჩამოსულია რომელიმე სხვა ინგლისურენოვან ქვეყანაში უკვე მეორე თაობაში თითქმის არ განირჩევა ადგილობრივი მოსახლეობისაგან (მაგალითად, ამერიკაში ან კანადაში ჩასული ინგლისელები). სამაგიეროდ, ამ ინგლისურენოვან ქვეყნებში ძნელად მიმდინარეობს იტალიიდან, ცენტრალური ევროპიდან, ასევე სკანდინავიის ქვეყნებიდან გამოსული იმიგრანტების ასიმილაცია. კიდევ უფრო ძნელად მიმდინარეობს იაპონელების, ინდონეზიელების, ბერძნების, ფილიპინელების ასიმილაცია. რომლებიც მესამე და მემდგომ თაობებშიც ინარჩუნებენ თვითმყოფადობის, თავიანთ ადრინდელ ეროვნულ თვითშეგნებას. საერთოდ კი, ისეთი სურათი ჩანს, რომ ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების ხარისხით გამოირჩევიან აზიის ქვეყნებიდან გამოსული იმიგრანტი ეთნიკური ჯგუფები.

მესამე თავი

მსოფლიოს ხალხთა კლასიფიკაცია

მეცნიერების ძირითადი მიზანი და მისი საფუძველი სისტემატიზაციაა. ცხადია, ეს ასევე ეთნოლოგიურ მეცნიერებაშიც, რომელსაც ხალხთა სისტემატიზაცია-კლასიფიკაციის გზით მათი დაჯგუფება უდევს საფუძვლად. ამის შედეგად გამოიყოფიან ხალხები და ხალხთა ჯგუფები, რომელთაც ერთმანეთისაგან განასხვავებს ანთროპოლოგიური, ენობრივი, რელიგიური, გეოგრაფიული და სამეურნეო-კულტურული ყოფის ნიშნები. რატომ არის საჭირო კლასიფიკაცია და რა განაპირობებს მის აუცილებლობას?

საქმე ის არის, რომ კლასიფიკაციის საფუძვლად აღებული ყოველი ზემოდასახელებული კრიტერიუმი მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ეთნიკური მოვლენის შესასწავლად, ეთნიკური თავისებურებების უფრო მკაფიოდ გამოსაკვეთად. ამან შეიძლება საშუალება მოგვცეს, გამოვყოთ საერთო წარმოშობისა და კულტურით მონათესავე ხალხები, რაც თავის მხრივ ეთნოგენეტიკური გამოკვლევების საფუძველი გახდება. ხოლო მთლიანად ხალხის დახასიათებისას მარტო ეს საკმარისი არ არის და მსოფლიოს ხალხთა შორის მისი ადგილის განსაზღვრისათვის აუცილებელია საკლასიფიკაციო ნიშნების ერთობლიობის გამოყოფა, არსებითი და ფუნდამენტური ნიშნების დაჯგუფება.

ზემოჩამოთვლილი კლასიფიკაციებიდან ეთნოლოგიისთვის უფრო მნიშვნელოვანია ანთროპოლოგიური, გეოგრაფიული, ენობრივი და, განსაკუთრებით, სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაციები, შედარებით მეორეხარისხოვანია მოსახლეობის დაყოფა რელიგიური ნიშნის მიხედვით.

§ 1. ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია

ფიზიკური ანთროპოლოგია (მეცნიერება ადამიანის ანატომო-მორფოლოგიური ორგანიზაციის შესახებ) სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბებულ ადამიანთა ტიპებს ერომანეთისაგან განასხვავებს რასობრივი ნიშნებით. ანთროპოლოგები გამოყოფენ საერთო წარმომავლობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ოთხ დიდ რასას: ევროპოიდულს, მონღოლოიდურს, ნეგროიდულს და ავსტრალოიდურს. რა უდევს ამ დაყოფას საფუძვლად?

ადამიანია ისტორიულად ჩამოყალიბებულ ჯგუფებს, რომლებიც საერთო წარმოშობით არიან დაკავშირებული, საერთო მემკვიდრეობითი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშნები ახასიათებთ. ეს ნიშნები, რომელთა

მიხედვითაც გამოიყოფიან რასები, სხვადასხვაგვარია. ზოგი მათგანი აღწერილობითია, ზოგიც მეტად სპეციფიკურია. კლასიფიკაციის საყოველთაოდ აღიარებულ რასობრივ ნიშნად მიჩნეულია თ მ ი ს ფ ო რ მ ა და მ ე - ს ა მ ე უ ლ ი თ მ ი ს ს ა ფ ა რ ვ ე ლ ი ს (ულვაში, წვერი) განვითარების ხარისხი. რა სურათია ამ მხრივ დედამიწის მოსახლეობის ზემოდასახელებულ ოთხ დიდ რასაში?

ევროპოიდული რასის მოსახლეობის თმა რბილია, ჩვეულებრივ სწორი ან ტალღისებური. ძლიერ არის მასში განვითარებული მესამეული თმის საფარველი (ევროპის, წინა აზიის, ამიერკავკასიის მოსახლეობაში);

მონღოლოიდური რასის მოსახლეობას თმა დაძაგრული და სწორი აქვს. სუსტადაა მათში წარმოდგენილი თმის მესამეული საფარველი (ესენია: მონღოლები, აღმოსავლეთი და სამხრეთაღმოსავლეთი აზიის მცხოვრებლები);

ნეგროიდული რასის მოსახლეობის თმა უხეშია და ხუჭუჭი. ძნიშვნელოვნად სუსტადაა მათში გამოხატული თმის მესამეული საფარველი (ძირითადად, ესენი აფრიკელები არიან);

ავსტრალოიდური რასის მოსახლეობას (მკვიდრ ავსტრალიელებს) უხეში და ხუჭუჭა თმები აქვს, ხოლო თმის მესამეული საფარველი ძლიერ აქვს განვითარებული.

აი, ასეთია ამ ძირითადი რასობრივი ნიშნის — თმის მიხედვით მსგავსება-განსხვავება სხვადასხვა რასობრივ ჯგუფს შორის. მაგრამ ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის რასობრივ დაყოფას სხვა ნიშნებიც უდევს საფუძვლად. კერძოდ, ერთი მათგანია პიგმენტაცია, ანუ კანისა და თმის შეფერილობა. რა სურათია ამ მხრივ დედამიწის მოსახლეობის სხვადასხვა რასას შორის? სუსტადაა პიგმენტირებული ჩრდილოეთი ევროპის მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფი, ე.ი. მათი კანი და თმა ღია ფერისაა; კანისა და თმის მუქი შეფერილობა დამახასიათებელია აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობისათვის; მუქი თმა, მაგრამ კანის შედარებით ღია პიგმენტაცია ახასიათებს სამხრეთ ევროპის მოსახლეობას და აზიის მკვიდრი მოსახლეობის დიდ ნაწილს.

ნაკლები მნიშვნელობის რასობრივ ნიშნებს მიეკუთვნება სიმაღლე, წონა, სხეულის პროპორცია. გარკვეული რასობრივი ტიპები გამოიყოფა სახისა და თავის ნიშნების მიხედვით. თავის ქალის სიგრძისა და სიგანის თანაფარდობის მიხედვით გამოყოფენ გრძელ, საშუალო და მოკლეთავიანებს, ე . წ . დ ო ლ ი ხ ო ც ე ფ ა ლ ე ბ ს, მ ე ზ ო ც ე ფ ა ლ ე ბ ს და ბ რ ა ქ ი ც ე ფ ა ლ ე ბ ს. შეიძლება საკლასიფიკაციო მნიშვნელობა ჰქონდეს სხვა ნიშანსაც, მაგ. ცხვირის, კბილების ფორმას, სისხლის ჯგუფს, გენებს და სხვ.

სხვადასხვა რასობრივი ტიპის გავრცელების არეალი ხშირად ერთმანეთს ემთხვევა: შედეგად, იქ წარმოიქმნება გარდამავალი, კონტაქტური

რასები, რომელთა გვერდით ისევ არსებობენ შეურეველი რასების წარმომადგენლები.

როგორია ამ რასების გავრცელების ძირითადი არეალები და დედამიწის რომელ ნაწილში მოსახლეობენ მათი ძირითადი ჯგუფები?

ევროპოიდები ამჟამად მოსახლეობენ ყველა კონტინენტზე. ისინი ამ ფართო განსახლების შედეგად იყოფიან მრავალ მცირე რასად. მათ შორის გამოიყოფიან ქერა, შავგვრემანი და წაბლისფერთმიანი ჯგუფები. ზოგიერთ ოლქში (მაგ, რუსეთში, აზიასა და ამერიკაში) მათ მონღოლოიდებთან წარმოქმნეს შერეული ჯგუფები;

მონგოლოიდები მოსახლეობენ ძირითადად ციმბირსა და აღმოსავლეთ აზიაში. ეს რასა იყოფა კონტინენტურ, წყნარი ოკეანის და არქტიკის, ანუ ესკიმოსურ განშტოებებად. მონღოლოიდური რასისაგან წარმოქმნილია რამდენიმე შერეული და გარდამავალი ტიპი. ამ რასის საკონტაქტო ჯგუფებიდან აღსანიშნავია სამხრეთაზიური, პოლინეზიური და სხვა რასობრივი ტიპები;

ნეგროიდული რასა ძირითადად გავრცელებულია აფრიკის კონტინენტზე. მათ შთამომავლებს ნეგროიდები ეწოდებათ, ისინი ფართოდ განსახლდნენ, ე.წ. ახალ სამყაროში, ანუ ამერიკის კონტინენტის როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ ნაწილში. ნეგროიდულ რასას მიაკუთვნებენ: ზანგებს. ნეგროიდებს, ბუშმენებსა და ჰოტენტოტებს;

ავსტრალოიდური რასის წარმომადგენლებია ავსტრალიის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობა, პაპუასები და მელანეზიელები. ამავე რასას ეკუთვნიან ნეგრიტოსები და ვედოიდები, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებსა (შიდა ნაწილში) და შრილანკაში მცხოვრები ტანმორჩილი ხალხები.

როგორც აღინიშნა, ძირითად რასებს გარდა, არსებობს გარდამავალი და კონტაქტური ჯგუფები. გარდამავალი ჯგუფების მრავალფეროვნებით და მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა ნეგროიდული, ავსტრალიური და ევროპოიდული რასები. მათ რიცხვს განეკუთვნებიან ეთიოპიელები, სახმრეთ აზიის დრავიდები, ამერიკის, აფრიკის და ზოგიერთი სხვა ოლქის შერეული ჯგუფები. ანთროპოლოგიურად კონტაქტურ რასას მიაკუთვნებენ აინებს, კურილიურ რასას, რომლებშიც შერწყმულია მონღოლოიდური და ავსტრალოიდური ნიშნები.

რასები მუდმივად შეერევა ერთმანეთს, ამიტომ მათ უფრო მეტად ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათი და ნიშნები გააჩნიათ. ანთროპოლოგიური მეცნიერება რასებად მიიჩნევს არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ ადამიანთა ტერიტორიული ჯგუფების ერთობლიობას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზემოჩამოთვლილ რასებს შორის მსგავსება, ანუ თანამედროვე ადამიანების მთავარ მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლო-

გიურ თავისებურებათა ერთნაირობა ძალზე დიდია. ხოლო განსხვავება არარსებითი. როგორც ჩანს, თანამედროვე რასებმა ჩამოყალიბება დაიწყეს გვიან პერიოდში (დაახლ. 10 000 წლის წინათ ჩვენს ერამდე) და იმდროიდან მოყოლებული იცვლებიან შერევისა თუ სხვა მიზეზთა გამო.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, მოკლედ განვიხილოთ ქართული ანთროპოლოგიური სინამდვილეც.

ბოლო 50-60 წლის მანძილზე საქართველოსა და კავკასიაში ფართოდ გაშლილი ანთროპოლოგიური კვლევის (ქართველი მეცნიერების მიერ ექსპედიციებში შეკრებილი მასალისა თუ არქეოლოგიური მონაპოვრების) საფუძველზე შესწავლილია კავკასიის თითქმის ყველა ეთნოტერიტორიული ჯგუფი. შედეგად, შესაძლებელი გახდა კავკასიელთა, მათ შორის, ქართველთა ანთროპოლოგიური ტიპის განსაზღვრა.

სანამ უშუალოდ ქართველ ხალხის ანთროპოლოგიური შესწავლით მიღებულ დასკვნებს შეეხებოდეთ, საჭიროა ითქვას იმ შელეგების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა საერთოდ კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლით.

კავკასიის თანამედროვე მოსახლეობაში ანთროპოლოგები გამოყოფენ ოთხ ანთროპოლოგიურ ტიპს: წინააზიურს, კავკასიონის ტიპს, ადიღეურს და დასავლურ-კასპიურს.

წ ი ნ ა ა ზ ი უ რ ი ტ ი პ ი ყველაზე გამოკვეთილად წარმოდგენილია ასირიელების ჯგუფში, ე.წ. ასირიულ ვარიანტში. ეს ტიპი შეცვლილი სახით დასტურდება სომხურ და სამხრეთ ქართულ ჯგუფებში და იწოდება არმენოიდულ ვარიანტად;

კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს ტ ი პ ი მოიცავს კავკასიის მთიანეთის რაოგორც ქართულ, ისე არაქართულ ჯგუფებს. წარმოშობით ამ ტიპს წინააზიური ტიპების ნაირსახეობად მიიჩნევენ;

ა დ ი ღ ე უ რ ი ტ ი პ ი ს ანთროპოლოგიური რასა ჩრდილოდასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლეობს. იგი მოიცავს ადიღეელების, ჩერქეზებიას, აბაზების და ნაწილობრივ ყაბარდოელების ჯგუფებს;

დ ა ს ა ვ ლ უ რ - კ ა ს პ ი უ რ ი ტ ი პ ი ყველაზე მეტად დამახასიათებელია აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის. ეს ტიპი ეკუთვნის ინდოპამირულ რასას და მოიცავს ქურთების, იეზიდების, აზერბაიჯანელების უმეტეს ნაწილს და ზოგიერთ დაღესტნურ ჯგუფს.

ჩატარებული გამოკვლევებით ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორია არასოდეს ყოფილა დიდი რასების კონტაქტების ზონა. აქ უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ ისეთი ანთროპოლოგიური ტიპები, რომლებიც არ სცილდებიან წინაზიური ბუნებრივი ვარიაციების ფარგლებს. კერძოდ, ჯერ კიდევ ენეოლითური და ადრე ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა, ოვალი გაედევნოს მათ მორფოლოგიურ მსგავსებას. ამასვე

ტურებს შუა ბრინჯაოს ხანის მასალები. გვიან ბრინჯაოს ხანის პირველი და მეორე ტიპის თავის ქალების იდენტურობა ასევე ცხადჰყოფს, რომ არც იმ დროიდან მომხდარა რაიმე სერიოზული ძვრა საქართველოს მოსახლეობაში.

ამ დროიდან მოყოლებული, ბუნებრივია, უცვლელად არ შემონახულა მოსახლეობის ფიზიკური ტიპი, მაგრამ ცვლილება მაინც ერთი მიმართულებით მიდიოდა. რაც მოსახლეობის ერთგვაროვნების მაჩვენებელია და უარყოფს უცხო ელემენტების დიდი მასების შემოჭრას, ასიმილაციას მკვიდრ, ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ამავე დროს, მცირე, ლოკალური ხასიათის გადაადგილებათა უარყოფაც არ შეიძლება; მით უმეტეს, რომ ამას ადგილი ჰქონდა და მცირე რეგიონული ძახშტატის ასიმილაციებით გამოიხატებოდა, მაგრამ იგი მაინც არ ასრულებდა მნიშვნელოვან როლს საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბებაში. საბოლოოდ ანთროპოლოგები ასკვნიან: საქართველოს მოსახლეობისათვის დამახასიათებელია ანთროპოლოგიური ტიპის ერთიანობა.

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში ძირითადად დადგენილია სამი ლოკალური ანთროპოლოგიური ტიპი: კ ო ლ ხ უ რ ი, ი ბ ე რ ი უ ლ ი და კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს.

კოლხური ტიპი უმთავრესად დასავლურ ქართულ ჯგუფებს მოიცავს, იბერიული ტიპი აღმოსავლურ და სამხრეთ ქართულ ჯგუფებს, ხოლო კავკასიონის ტიპი — კავკასიის მთიანეთის ჯგუფებს.

სპეციალისტების აზრით, სამივე ეს ტიპი წინააზიური რასის ლოკალურ ნაირსახეობას წარმოადგენს. წინააზიური რასა კი, რომელიც მიეკუთვნება ფართოსახიან ბრაქიკეფალურ ტიპს, ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასაწყისიდან ჯერ ოდნავ, ხოლო შემდეგ უფრო გარკვევით იჩენს თავს.

დასახელებული ტიპებიდან წინააზიური რასისაგან ყველაზე მეტად კავკასიონის ტიპი განსხვავდება, რაც იმ თავისებური ისტორიული და გეოგრაფიული გარემო პირობების შედეგია, რომლებშიც საუკუნეების განმავლობაში უხდებოდათ ცხოვრება კავკასიის მთიელებს.

ანთროპოლოგთა დასკვნით, საქართველოს თანამედროვე ლოკალური ტიპები ჩამოყალიბდა ადგილობრივ, უძველეს ანთროპოლოგიურ ტიპთა შინაგანი განვითარების გზით, ისე, რომ სხვა ელემენტებს მათზე რაიმე საგრძნობი ზეგავლენა არ მოუხდენია.

დღევანდელი ქართველები შთამომავლები არიან დასავლეთი ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობისა. მათ შექმნეს სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის უმდიდრესი კულტურა. ივარაუდება, რომ მათივე შექმნილია უფრო ადრეული საფეხურების კულტურა და, მით უმეტეს, გვიანი ხანის — ანტიკური და ფეოდალური ეპოქების კულტურები. ამ კულტურათა მიხედვით, აშკარაა მოსახლეობის მემკვიდრეობითი ნათესაობა უწყვეტობა და თანამიმდევრული მონაცვლეობა.

იყო მოხდენილი ტანის ჩამოყალიბება. იგი მზადდებოდა რბილი ტყავის ან ხელის მჭიდროდ ნაქსოვი ნაჭრისაგან, რომელშიც ჩაკერებული იყო ძვლის, რქის ან ლითონის ფირფიტები. შესაკრავად გამოიყენებოდა რქის (გლეხებში), ვერცხლის ან მოოქროვილი ლითონის ფოლაქები (ღილები). ქალიშვილები თავზე იხურავდნენ დიდი ზომის ოთხკუთხა თავსაფარს — ა კ ა ს ი. ხოლო გათხოვილი ქალები — მის ქვეშ სამკუთხა თავსაფარსაც — ა კ ა - ს ი ე ი წ ა რ წ ა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ისევე როგორც მთელს საქართველოში, ძართლმადიდებლური ქრისტიანობა ადრიდანვე იყო გავრცელებული, ბიჭვინთელი ეპისკოპოსი 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო კრებასაც კი ესწრებოდა. იერარქიულად დასავლეთ საქართველოს და მათ შორის აფხაზეთში მდებარე საეკლესიო ეპარქიები X საუკუნემდე ბიზანტიის ეკლესიას ექვემდებარებოდნენ, ხოლო ამ დროიდან, ერთიანი ქართული გაერთიანებული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში გადმოვიდნენ. აფხაზეთში მდებარეობს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა: ბიჭვინთის (V-VI სს.), დრანდის (V-VI სს.), ლიხნის (X ს.), მოქვის (X ს.) და განსაკუთრებით, ბედიის (X-XI სს ბიჯნა) ტაძრები, ასევე მრავალი სხვა მცირე ზომის ეკლესია და მონასტერი. XVI საუკუნიდან, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთში ერთბაშად შეწყდა საეკლესიო მშენებლობა და აქ გავრცელდა სუნიტური ისლამი. ამავე დროს, აქაურ მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია წარმართული რელიგიის გადმონაშთები. კერძოდ, თაყვანისცემა ნადირობის, მესაქონლეობის, მეძინდვრეობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგის მფარველი ღვთაებებისადმი, ანიმიზმი, წინაპართა კულტი და მასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი მაგიური წეს-ჩვეულება.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივცემული ღვთაება იყო ა ი თ ა რ — ბუნების განახლების, ნაყოფიერების და მესაქონლეობის ღვთაება. იგი წარმოდგენილი ჰყავდათ შვიდასხიერად, შვიდნაწილად. ეს ნაწილები იყო: ჟაბრან — ძროხების დედა, მათი მფარველი; ჯაბრან — თხების მფარველი; აჩიშაშიან — ცხენების მფარველი; ალიშკინტირ — ძაღლების მფარველი და სხვ. აითარისადმი მსხვერპლშეწირვა მხოლოდ მამაკაცების საქმე იყო.

დიდი ადგილი ეკავა აფხაზების რწმენა-წარმოდგენებში ჯ ა ჯ ა ს — ნაყოფიერების ქალღმერთს, რომლისადმი თაყვანისცემის რიტუალს მიმართავდნენ ახალი მოსავლის პირველად აღების შემდეგ; ხელსაქმის — ქსოვის მფარველი იყო ე რ ი შ ი; ჰყავდათ აგრეთვე, მჭედლობის მფარველი ლმერთი — შაშვ, მეხისა და ელვის ღმერთი ა ფ და სხვ.

XIX საუკუნის შუა ხანებში აფხაზებისათვის რუსეთის ხელისუფლებამ შექმნა ცალკე დამწერლობა. მანამ კი აქ, როგორც მთელს საქართველოში, ბუნებრივია, გავრცელებული იყო ქართული დამწერლობა — იგი გამოიყენებო-

და ეკლესიაში, ლიტერატურასა და საქმის წარმოებაში. აფხაზური დამწერლობის შექმნისა და ჩამოყალიბების მოკლე ისტორია ასეთია: თავდაპირველად, 1862 წელს იგი შექმნა რუსმა კავკასიოლოგმა პ. უსლარმა რუსული ანბანის გამოყენებით, რომელსაც აფხაზური ენის ფონეტიკისათვის სპეციფიკური ბგერების გადმოსაცემად ცალკე გამოხაზული ასოები დაუმატა. მანვე შეადგინა აფხაზური ენის პირველი გრამატიკა. სამი წლის შემდეგ, 1865 წელს საგანგებო კომისიამ ი. ბართოლომეის ხელმძღვანელობით გააუმჯობესა პ. უსლარის ანბანი და თბილისში აფხაზურ ენაზე პირველად გამოიცა „აფხაზური ანბანი". მას მალე მოჰყვა სხვა შინაარსის წიგნებიც — სამღვდელმსახურო, სასწავლო, საოფლო-სამეურნეო. 1892 წელს ვ. მაჭავარიანმა და დ. გულიამ გამოსცეს ახალი „აფხაზური ანბანი". აფხაზური დამწერლობის გაუმჯობესებაზე ბევრი იშრომეს ფ. ეშბამ და ა. ჭოჭუამ. 1909 წლიდან სისტემატიურად გამოდიოდა ა. ჭოჭუას მიერ შედგენილი ანბანი. მანვე გამოსცა რამდენიმე საკითხავი წიგნი და 1926 წელს აფხაზურ-ქართულ-რუსული თვითმასწავლებელი. 1928 წელს რუსული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი აფხაზური დამწერლობა შეცვალეს ლათინური გრაფიკით. ათი წლის შემდეგ, 1938 წელს აფხაზურ დამწერლობას საფუძვლად დაუდეს ქართული დამწერლობა, რომელიც შედარებით ბუნებრივად და იოლად გადმოსცემდა აფხაზური ენის სპეციფიკურ ფონეტიკურ მოვლენებს. მაგრამ 1954 წელს ახალი რუსული შოვინისტური ტალღის აგორების შედეგად, ისევ აღადგინეს აფხაზური დამწერლობა რუსული გრაფიკის საფუძველზე და დღემდე იგია მოქმედებაში.

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი და აფხაზური სალიტერატურო ენის შემქმნელად მიჩნეულია დ ი მ ი ტ რ ი გ უ ლ ი ა (1874-1960 წწ.). იგი თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში ფართოდ იყენებდა აფხაზების ზეპირსიტყვიერებას, გამოხატავდა დემოკრატიულ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს, ქადაგებდა ქართველ ხალხთან მეგობრობასა და ძმობას, აღწერდა თავისი ხალხის მძიმე მდგომარეობას რუსეთის ბატონობის პირობებში. დ. გულიამ თარგმნა აფხაზურ ენაზე შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და აგრეთვე, „ამბავი იგორის ლაშქრობისა". მანვე შექმნა ნაშრომები აფხაზეთის ეთნოგრაფიასა და ისტორიაში.

რა თქმა უნდა, აფხაზეთში მწერლობა და ლიტერატურა დ. გულიამდეც არსებობდა. გამოჩენილი აფხაზი მწერალია გ ი ო რ გ ი შ ა რ ვ ა შ ი ძ ე (1846-1918 წწ.) — აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის (სამთავრო რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა 1864 წელს) მიხეილის შვილი. იგი საამწერლო ასპარეზზე XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოვიდა და მაღალმხატვრული პატრიოტული და ლირიკული ძეგლები შექმნა ქართულ და ნაწილობრივ რუსულ ენებზე. მასვე ეკუთვნის აფხაზების ისტორიულ-ყოფით მასალაზე აგებული რამდენიმე დრამატული ნაწარმოები — პიესა და კომედია, რომლებიც ქართულ სცენაზე დაიდგა.

§ 3. გეოგრაფიული კლასიფიკაცია

დედამიწის მოსახლეობა იყოფა ცალკეულ ჯგუფებად და ხალხებად მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მათ ასეთ დაყოფას გეოგრაფიული კლასიფიკაცია ეწოდება. ცხადია, ასეთი დაყოფა უპირატესად გამოიყენება ხალხთა აღწერისას და არა მათი გამოკვლევისას, რადგან ითვალისწინებს მათ წარმოშობას, სამეურნეო და სოციალური განვითარების დონეს, ასევე კულტურულ თავისებურებებს.

ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ხალხთა გეოგრაფიული კლასიფიკაციის შესახებ ხშირად სხვადასხვა შეხედულებებია. მაგალითად, საბჭოთა მეცნიერებაში მიღებული იყო შუა აზიის დამოუკიდებელ ოლქად გამოყოფა. მაშინ როდესაც საზღვარგარეთის მეცნიერებს იგი ცენტრალურ აზიაში შეჰყავდათ.

მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშალა, აზრი დაკარგა ამ ხელოვნურმა გეოგრაფიულმა კლასიფიკაციამ, ყოფილ საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში რომ არსებობდა. დედამიწის მოსახლეობის კლასიფიკაცია, საყოველთაო მიღებული დაყოფის გათვალისწინებით, ამჟამად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

ევროპის ხალხები; აღმოსავლეთ აზიის ხალხები; ცენტრალური აზიის ხალხები; დასავლეთ აზიის და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ხალხები: ჩრდილოეთ ამერიკის, ცენტრალური ამერიკის და სამხრეთ ამერიკის ხალხები; ორ უკანასკნელს ეწოდება ლათინური ამერიკის ხალხები; ჩრდილოეთი აფრიკის ხალხები; ტროპიკული აფრიკის ხალხები და სამხრეთი აფრიკის ხალხები; ავსტრალიისა და ტასმანიის ხალხები; პოლინეზიის, მიკრონეზიის და მელანეზიის ხალხები.

ვინაიდან ხალხთა ჯგუფს უჭირავს თავისი გარკვეული ეთნიკური ტერიტორია, სავსებით ბუნებრივი ხდება მათი კლასიფიკაცია გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით. ამიტომაც, ხშირად ვხვდებით გამოთქმებს: „ევროპის ხალხები", „აფრიკის ხალხები", „შვეიცარიის ხალხები", „ბრიტანეთის კუნძულების ხალხები" და ა.შ.

ხალხთა ასეთი დაჯგუფებები აისახება, უპირველეს ყოვლისა, ეთნოგრაფიულ რუკებზე, მაგრამ ეს არ არის მათი მხოლოდ სივრცობრივი განფენილობის ამსახველი სურათი, რადგან ხალხთა თანამედროვე განსახლება სხვადასხვა ქვეყანაში არ არის შემთხვევითი ფაქტი. ეს არის ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგი, პროცესისა, რომლის დროსაც ადამიანი ნელ-ნელა დასახლდა დედამიწაზე; დროთა განმავლობაში კი ადგილი ჰქონდა ეთნიკური ეროობის ადგილმონაცვლეობას.

დედამიწის ზედაპირის ადამიანებით დასახლებულ ნაწილს უწოდებენ ეიკუმენს (ბერძნულიდან ოიკეო — ცხოვრება, დასახლება). ეიკუმენი ისტო-

რიულად იცვლებოდა. თავდაპირველად იგი მოიცვდა მხოლოდ განსაზღვრულ ოლქს. სავარაუდოდ, ეს იყო სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და აღმოსავლეთი აფრიკა. უკვე ქვედა პალეოლითის ხანაში (აშელ-მუსტიე) ნეანდერტალელი ადამიანი დასახლდა ვრცელ ტერიტორიაზე აღმოსავლეთი აზიიდან დასავლეთ ევროპამდე. ზედა პალეოლითის, ხოლო შემდგომ ნეოლითის ხანაში საწარმოო ძალთა ზრდამ და სხვადასხვა სასიცოცხლო გარემოსთან ადამიანის აქტიურმა შეგუებამ კიდევ უფრო გააფართოვა ეიკუმენი, და თანდათან მოიცვა ჩრდილოეთ ევროპა, ჩრდილოეთ აზია, ამერიკა, ავსტრალია, დასავლეთ ოკეანეთი. დაუსახლებელი რჩებოდა მხოლოდ არსებობისათვის არახელსაყრელი ზოგიერთი ოლქი.

დედამიწაზე ახალ-ახალი ტერიტორიების ათვისებასთან ერთად გაძლიერდა ადამიანების ჯგუფური გადასახლებების მეორადი ტალღა. ეს პროცესი უამრავი ფაქტორით იყო განპირობებული: მოსახლეობის ზრდით, ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გაუარესებითა და რესურსების შემცირებით, ერთი ტომის ხალხის შეჭრით მეორის ტერიტორიაზე, მისი შევიწროებით ან კიდევ ასიმილაციით. გადასახლებანი ხდებოდა მასობრივადაც და მცირე ჯგუფებადაც, სახმელეთო თუ საზღვაო გზებით.

ძვ. წ. II-I ათასწლეულში თანამედროვე ევროპელი ხალხები წინაპრები (ინდოევროპელები) დასახლდნენ მთელ ამ ტერიტორიაზე, მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება ან ასიმილაცია. წინარდელი მოსახლეობიდან, როგორც ვარაუდობენ, შემორჩენილი არიან მხოლოდ ბასკები, პირენეის მთებში.

ეთნიკური გადაადგილების პროცესი განსაკუთრებული სიმძაფრით მიმდინარეობდა კაცობრიობის ისტორიის ზოგიერთ მონაკვეთში. ეს ფაქტი განსაკუთრებით თვალშისაცემია კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა დასავლეთი ევროპიდან დაიძრა დამპყრობთა, კოლონიზატორთა, იმიგრანტთა უზარმაზარი ტალღა ამერიკის, სახმრეთ აფრიკის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნებისაკენ.

ძირითადად, ამის შედეგია, რომ ბოლო 3-4 საუკუნის განმავლობაში ქვეყნიერების ზოგიერთი ნაწილის (განსაკუთრებით ამერიკა, ავსტრალია) ეთნიკური შემადგენლობა მკვეთრად შეიცვალა.

აი, სწორედ ამიტომ არის, რომ ხალხთა გეოგრაფიული კლასიფიკაცია გვიჩვენებს ადამიანთა ჯგუფების გადაადგილებას; მას მივყავართ ერთ-ერთი სერიოზული ისტორიული პროცესის — ადამიანის მიერ დედამიწისა და მისი ცალკეული ოლქების ათვისების შეცნობამდე.

სხვადასხვა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობის შესწავლისას აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ადგილობრივი (აბორიგენი) მოსახლეობა შემდგომ მოსული და ჩასახლებული მოსახლეობისაგან. მაგალითად, ჩრდილო ამერიკაში ინდიელები და ესკიმოსები ძირითადი მოსახლეობაა, ხოლო „თეორები" (ევროპელთა შთამომავლობა) და ზანგები (აფრიკიდან ჩამოყვანილ მონათა შთამომავლობა) მოსულები. მაგრამ თვით ადგილობრივ მოსახლეობა-

შიც შეიძლება უფრო ახლისა და ძველის გამორჩევაც; მაგალითად, ინდიელთა წინაპრები ამერიკის კონტინენტზე გამოჩნდნენ რამდენიმე ათეული ათასი წლის წინათ, ესკიმოსთა წინაპრები კი მხოლოდ 2000 წლის წინათ.

აუცილებელია, ხაზი გაესვას, რომ ერთ ტერიტორიაზე დიდხანს მცხოვრები ხალხთა ჯგუფები, დამახასიათებელ ინდივიდუალურ თავისებურებებთან ერთად, ქმნიან ყოფისა და კულტურის მსგავს ფორმებს. შეიძლება დავასახელოთ კავკასიის ხალხთა მაგალითი. მიუხედავად ენისა და წარმოშობის სხვადასხვაობისა, კავკასიელმა ხალხებმა გვერდიგვერდ არსებობის და მეზობლობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოიმუშავეს ყოფითი კულტურის ზოგიერთი მსგავსი ელემენტი: ტანსაცმლის „საერთო კავკასიური“ ტიპი, განსაკუთრებით მამაკაცისა, იარაღი, მსგავსი ზნე-ჩვეულებანი, ფოლკლორი. ანალოგიური მოვლენები შეინიშნება დედამიწის სხვა რაიონებშიც.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ეწოდება ოლქს, სადაც მცხოვრებ ხალხებს ისტორიულად ჩამოუყალიბდათ კულტურის, ყოფის ერთნაირი ან მსგავსი ფორმები. ასეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქებია, მაგალითად: ბალტიისპირეთი, შუა ვოლგისპირეთი, კავკასია, შუა აზია, ქველა ამერიკა, სამხალინი და ა.შ.

ხალხთა გეოგრაფიული კლასიფიკაციისას უმჯობესია მათი დაჯგუფება სწორედ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქებად და არა უბრალოდ მათთვის რუკაზე გამოყოფილ ტერიტორიებად.

§ 4. რელიგიური კლასიფიკაცია

დედამიწის მოსახლეობის დახასიათებისას, მისი კლასიფიკაციის დროს, ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს რელიგიურ ფაქტორს, მის მნიშვნელობას, რომელიც მხოლოდ კულტურით არ შემოიფარგლებოდა და განისაზღვრებოდა, არამედ, ძალიან ხშირად, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, პოლიტიკური მნიშვნელობის დონემდე ადიოდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დედამიწის მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობის, შედარებით მრავალრიცხოვანი მრევლის მომცველ სარწმუნოებათა გეოგრაფიის ჩვენება და შეძლებისდაგვარად დახასიათება.

I ათასწლეულის მე-2 ნახევრის დასაწყისიდან ზოგიერთი რელიგია გასცდა თავდაპირველი წარმოშობისა და გავცრელების არეალს და მოიცვა მეტად ვრცელი ტერიტორია. ასეთ რელიგიებს, რომლებსაც მრავალრიცხოვანი მიმდევრები ჰყავს დედამიწის სხვადასხვა რეგიონში, მსოფლიო რელიგიებს უწოდებენ. მსოფლიო რელიგიებად ამჟამად მიჩნეულია: ბუდიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. მათ შორის უძველესია ბუდიზმი, ხოლო ყველაზე გავრცელებულია ქრისტიანობა.

ბ უ დ ი ზ მ ი ჩამოყალიბდა სამხრეთ აზიის ჩრდილოეთში ძვ. წ. VI-V საუკუნეებში. იგი იმთავითვე უარყოფდა ამ რეგიონში არსებულ კასტურ (კასტა ეწოდება ადამიანთა საზოგადოებრივ, კარჩაკეტილ დაჯგუფებას, რომელიც იცავს თავის განკერძოებულობას, წოდებრივ და პროფესიულ, აგრეთვე სხვა პრივილეგიებს) წყობილებას და თითოეულისათვის ქადაგებდა „ხსნის" თანაბარ შესაძლებლობებს. ბუდისტური მოძღვრების მიხედვით ცხოვრება წარმოადგენს ტანჯვათა და განსაცდელთა ჯაჭვს, რომლის შეწყვეტა ადამიანს შეუძლია მხოლოდ თავისი ამქვეყნიური მისწრაფებების დათრგუნვის გზით. ბუდიზმი ქადაგებს ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობას.

მოგეიანებით ბუდიზმი დაიყო ორ მეტად განსხვავებულ მიმდინარეობად: ჰ ი ნ ა ი ა ნ ა დ და მ ა ჰ ა ი ა ნ ა დ. ჰინაიანა ახლოს დგას თავდაპირველ ბუდიზმთან და იგი პანთეისტური ბუნებისაა — ბუდიზმის დამაარსებელი ლეგენდარული ბუდა აღიარებულია როგორც დიდი მასწავლებელი. მაჰაიანა ჰოლითეისტურია — ბუდა აქ გაღმერთებულია და, ამასთანავე, თაყვანს სცემენ ასობით სხვა ბუდასაც.

მაჰაიანას გამოეყო ლ ა მ ა ი ზ მ ი — ცალკე მიმდინარეობა, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაგიური ხასიათის შელოცვებს.

მსოფლიო რელიგიებს შორის, როგორც აღინიშნა, ყველაზე მრავალრიცხოვანია ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა. იგი წარმოიშვა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში (წელთაღრიცხვის დასაწყისად ხომ სწორედ ამ რელიგიის ფუძემდებლის ქრისტეს დაბადებაა მიჩნეული) სამხრეთ-დასავლეთ აზიაში მაშინ, როდესაც რომის იმპერიაში მიმდინარეობდა მწვავე სოციალური და ეროვნებათშორის ბრძოლები. IV საუკუნეში, რომის იმპერატორის კონსტანტინე I დიდის მიერ ჯერ 301 წელს (ე.წ. მილანის ედიქტი), ხოლო შემდეგ 321 წელს გამოცემული ბრძანებულებით, იგი გახდა გაბატონებული რელიგია რომის იმპერიაში.

ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველს წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ იესო ქრისტე, რომელსაც მოეპოვება ღვთაებრივი (ხოლო ამ მოძღვრების მიმდევართა უმრავლესობის მიხედვით, ასევე, ადამიანური) ბუნება, მოევლინა დედამიწას, რომ თავისი მოწამეობრივი სიკვდილით გამოესყიდა ადამიანთა ცოდვები.

ქრისტიანობისათვის დამახასიათებელია მონოთეიზმი (ერთღმერთიანობა), რომელიც შერწყმულია რწმენასთან იმის შესახებ, რომ ღმერთში სამი საწყისია გააზრებული — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა. ქრისტიანების სწამთ სულის უკვდავება, იმქვეყნიური ცხოვრება, სამოთხე და ჯოჯოხეთი.

1054 წელს ბრძოლა რომის პაპსა და კონსტანტინეპოლის პატრიარქს შორის დოგმატურ საკითხებში ურთიერთდაქვემდებარებისათვის დამთავრდა იმით, რომ ქრისტიანობა გაიყო ორ მთავარ მიმდინარეობად — დასავლურ კ ა თ ო ლ ი კ უ რ და აღმოსავლურ მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ უ რ მიმდინარეობად.

XV საუკუნეში კათოლიციზმს გამოეყო პროტესტანტიზმი, რომელიც უარყოფს რომის პაპის ხელისუფლებას და მიზნად ისახავს ადრეული ქრისტიანული წესების დამკვიდრებას.

მართლმადიდებლობა და კათოლიციზმი განსხვავდებიან მხოლოდ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ცალკეული დეტალებით. ორივე მათგანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სულიერებას (რწმენის მთავარი განმასხვავებელი ფორმულაა, ე.წ. ფილიოკვე — „სულიწმინდა" — კათოლიკური სარწმუნოებით, სულიწმინდა მოდის ძე ღმერთისაგანაც, ხოლო მართლმადიდებლობის მიხედვით, მამა ღმერთისაგან). პროტესტანტებისათვის უმთავრესი ავტორიტეტია მხოლოდ წმინდა წერილი (ბიბლია — ძველი და ახალი აღთქმის წიგნები), მაშინ როდესაც კათოლიკები და მართლმადიდებლები აღიარებენ, აგრეთვე, მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებებსაც.

პროტესტანტიზმში იმთავითვე ჩამოყალიბდა რამდენიმე დამოუკიდებელი მიმდინარეობა: ა ნ გ ლ ი კ ა ნ ო ბ ა, რომელიც იცავს საეროო ხელისუფლების ინტერესების ინგლისში რომის პაპის მოძალებისაგან; ლ უ თ ე რ ი ა ნ ო ბ ა, რომელსაც მისდევდნენ გერმანელი ფეოდალები და ბიურგერების კონსერვატიული ნაწილის წარმომადგენლები; კ ა ლ ვ ი ნ ი ზ მ ი, რომელიც გამოხატავდა რადიკალური ბურჟუაზიის პოზიციებს.

ამ მთავარი მიმდინარეობებისაგან წარმოიშვა სხვა შედარებით მცირერიცხოვანი განშტოებანი: კალვინიზმისაგან ბაპტიზმი, ანგლიკანობისაგან მეთოდიზმი და სხვ.

მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს გარდა, ქრისტიანობაში არის კიდევ ერთი მიმდინარეობა — მ ო ნ ო ფ ი ზ ი ტ ო ბ ა, რომელიც პირველი ორისაგან განსხვავებით, ქრისტეში ცნობს მხოლოდ ღვთაებრივ (გამორიცხავს კაცებრივ, ადამიანურ) ბუნებას. იგი შეიქმნა V საუკუნეში. მაგრამ ფართო გავრცელება არ მოუპოვებია. კერძოდ, ამ მიმდინარეობას აღიარებს სომხური გრიგორიანული და ეთიოპიური ეკლესიები.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით მესამე მსოფლიო რელიგია ი ს ლ ა მ ი, რომელიც წარმოიშვა VII საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე. მისი ძირითადი დოგმატია რწმენა ერთი ღვთის — ალაჰისა. ისლამის დამაარსებელი მუჰამედი მისი მიმდევრების მიერ აღიარებულია ღვთის მოციქულად. მუსლიმებს სწამთ სულის უკვდავება, იმქვეყნიური ცხოვრება, სამოთხე და ჯოჯოხეთი, მსგავსად ქრისტიანობისა.

ისლამი უკვე VII საუკუნეში გაიყო ორ ძირითად მიმდინარეობად: ს უ ნ ი ტ ე ბ ა დ და შ ი ი ტ ე ბ ა დ. ამჟამად უმრავლესობას შეადგენენ სუნიტი მუსლიმები. გარდა წმინდა წიგნის — „ყურანისა", ისინი აღიარებენ და ცნობენ, აგრეთვე სუნას — „წმინდა გადმოცემის": შიიტები კი ცნობენ სუნის მხოლოდ იმ ნაწილებს, რომლებიც მოციქულის ნათესავების ავტორიტეტითაა განმტკიცებული.

ამას გარდა, სადღეისოდ ფართოდ გავრცელებული, უძველესი რელიგია — იუდაიზმიც შეიძლება მსოფლიო რელიგიათა რიცხვს მიეკუთვნოს.

იუდაიზმი წარმოიშვა ძვ.წ. II ათასწლეულში, თავდაპირველად როგორც ებრაელთა პოლითეისტური, ე.ი. მრავალღმერთიანი რელიგია, ხოლო შემდეგში იგი გარდაქმნა მონოთეისტურ რელიგიად. იუდაიზმი აღიარებს ღმერთს იაღვეს (იეღოვა), ხოლო თვით ებრაელებს მიიჩნევს ღვთის რჩეულ ხალხად.

ასევე ერთ-ერთი უძველესი რელიგიაა ზ ო რ ო ა ს ტ რ ი ზ მ ი, რომელიც ჩაისახა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში აზიის დასავლეთ რეგიონებში. მისთვის დამახასიათებელია წარმოდგენები ბოროტი და კეთილი საწყისების ურთიერთბრძოლის შესახებ, იმქვეყნიური ცხოვრების რწმენა, აგრეთვე ცეცხლის თაყვანისცემა, რომელსაც ზოროასტრიზმის მიმდევრების მიხედვით გააჩნია განწმენდის ძალა. XI საუკუნეში ზოროასტრიზმს გამოეყო ი ე ზ ი დ ი ზ მ ი, რომლის მიმდევრები კეთილ საწყისთან ერთად თაყვანს სცემენ ბოროტ ძალასაც.

უხსოვარ დროს წარმოიშვა სამხრეთ აზიაში ბ რ ა ჰ მ ა ნ ი ზ მ ი, რომელიც კასტური წყობის მიმდევართა სარწმუნოება იყო. შემდგომში იგი გარდაიქმნა ი ნ დ უ ი ზ მ ა დ. საინტერესოა ამ რელიგიის პანთეონი, რომელიც ერთობ მრავალრიცხოვანია. მათ შორის განსაკუთრებული პატიცისცემით სარგებლობენ მფარველი ღვთაება ვიშნუ და დამანგრეველი და შემოქმედი ღმერთი შივა.

სამხრეთ აზიაშივე ჩამოყალიბდა, აგრეთვე სხვა რელიგიებიც, მაგალითად. ჯ ა ი ნ ი ზ მ ი და ს ი ნ ქ ჰ ი ზ მ ი. ორივე მათგანი უარყოფს კასტურ წყობას. აქედან ჯაინიზმი უარყოფს ღვთაებათა ან სამყაროს სულის არსებობას და აღიარებს მხოლოდ ინდივიდუალური სულის უკვდავებას. სინქჰებმა აღიარეს ეროღვთაებრიობის პრინციპი, აკრძალეს მსხვერპლშეწირვა და უარყვეს ქურუმთა ინსტიტუტი.

ერთ-ერთი უძველესია ის რელიგია, რომელიც ჩინეთში შეიქმნა ჯერ კიდევ ძვ. წ. VI-V საუკუნეებში და ცნობილია დ ა ო ი ზ მ ი ს და კ ო ნ ფ უ ც ი ა ნ ო ბ ი ს სახელწოდებით. თავიდან ისინი ფილოსოფიურ-ეთიკური მოძღვრებები იყო, ხოლო შემდეგში რელიგიებად გადაიქცნენ.

დაოიზმისათვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი ღმერთისა და წმინდანის რწმენა. ამ რელიგიის ქურუმები ფართოდ მისდევდნენ მკითხაობას, მაგიას, ამულეტების დამზადებას.

კონფუციანობაში უმთავრესი ყურადღება ექცევა ეთიკურ მოტივებს. ამ რელიგიაში არ არიან ქურუმები, რაც მას მკვეთრად გამოყოფს სხვა რელიგიებისაგან. კონფუციანობა მოითხოვს ასაკით უფროსისადმი ან სოციალური მდგომარეობით უფრო მაღლა მდგომი პირისადმი უსიტყვო მორჩილებას. იგი აღიარებს, რომ საზოგადოებრივი განსხვავება ადამიანებს შორის ზეციური წარმოშობისაა.

დაბოლოს, იაპონელთა რელიგია ს ი ნ თ ო ი ზ მ ი წარმოიშვა ჩინაპართა და ბუნების ძალთა კულტის საფუძველზე. სინთოისტებისათვის საყარო დასახლებულია უამრავი, ყოვლისმომცველი ღმერთებითა და სულებით. სინთოიზმისათვის დამახასიათებელია იმპერატორის კულტი, რომელიც ითვლება მზიური ღვთაების — ამატერასუს შთამომავლად.

გარდა აქ დასახელებული რელიგიებისა, არსებობს ადგილობრივი და ტომობრივი რწმენა-წარმოდგენები, რომელთა უმრავლესობა გავრცელებულია მხოლოდ ცალკეულ მცირერიცხოვან ეთნოსებში.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ არის დედამიწის მოსახლეობა განაწილებული ამ რელიგიების მიხედვით, ანუ მოსახლეობის კლასიფიკაცია აქ დასახელებული რელიგიების შესაბამისად.

დავიწყოთ ევროპით, სადაც ყველაზე გავრცელებული რელიგიაა ქრისტიანობა. აქ იგი წარმოდგენილია სამივე მთავარი მიმდინარეობით. ჩრდილოეთ ევროპაში — ფინეთში, შვეციაში, ნორვეგიაში, დანიაში, ისლანდიასა და დიდ ბრიტანეთში, უპირატესად გავრცელებულია პროტესტანტიზმი ლუთერიანობის ფორმით; ამ მხრივ გამონაკლისია დიდი ბრიტანეთი. სადაც სახელმწიფო რელიგია ანგლიკანურია, ხოლო შოტლანდიაში — პრესვიტერიანული (კალვინისტური)...

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში — ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ავსტრიასა და მალტაზე, აგრეთვე ირლანდიაში, ხორვატიასა და სლოვენიაში გაბატონებულია კათოლიკობა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების მეორე ნაწილში — გერმანიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში — პროტესტანტიზმსა და კათოლიციზმს უჭირავს დაახლოებით თანაბარი მდგომარეობა; აქედან შვეიცარიასა და ნიდერლანდებში გავრცელებულია კალვინიზმი, ხოლო გერმანიაში — ლუთერიანობა. კათოლიკურია აგრეთვე პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი. კათოლიკურია ლიტვაც, ხოლო ლატვია და ესტონეთი — ლუთერიანული.

საბერძნეთში გაბატონებული სარწმუნოება მართლმადიდებლობაა; იგი ასევე, გაბატონებულია რუმინეთში, ბულგარეთში, სერბეთსა და ჩერნოგორიაში. მართლმადიდებლობა წამყვანი სარწმუნოებაა საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში და მოლდოვაში. რაც შეეხება სომხეთს, იქ გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მონოფიზიტურ სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას. გარდა ამისა, არსებობენ კათოლიკური სარწმუნოების მიმდევრები როგორც სომხეთში, ისე საქართველოში. საკმაოდ ძნიშვნელოვანი ნაწილი ქართველი მოსახლეობისა (აჭარლები, ინგილოების ნაწილი და თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომები) ისლამის რწმენას აღიარებს.

მეტად ჭრელია და მრავალფეროვანი რელიგიური სურათი აზიის ქვეყნებში. სახმრეთ-დასავლეთ ნაწილში, არაბულ ქვეყნებში, თურქეთში, ირან-

ში, ავღანეთსა და პაკისტანში გაბატონებულია ისლამი. აქედან შიიტობას ირანში უჭირავს წამყვანი პოზიციები, ხოლო ერაყში, იემენში და ბაჰრეინში ბევრია როგორც შიიტი, ისე სუნიტი.

ზოროასტრიზმის მიმდევართა მცირერიცხოვანი ჯგუფები არსებობს ირანსა და პაკისტანში, ხოლო იეზიდებისა — ერაყში.

განსაკუთრებულია რელიგიური თვალსაზრისით ლიბანის მდგომარეობა, სადაც მოსახლეობის ნახევარს მუსლიმები (როგორც სუნიტები, ისე შიიტები) შეადგენენ, ხოლო მეორე ნაწილს — ქრისტიანები (კათოლიკები და მართლმადიდებლები)...

რაც შეეხება აზიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონს, აქ ასეთი სურათია: ისრაელში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს იუდაიზმს, ხოლო კვიპროსზე — მართლმადიდებლობას. იუდაიზმს მისდევს აგრეთვე, რუსეთის მორწმუნე ებრაელობა.

ინდოეთში, ნეპალში, ბანგლადეშსა და შრილანკაში მოსახლეობის უმეტესობა ინდუისტები არიან. გარდა ამისა, მეტად თავისებურია რელიგიურად ინდოეთი, სადაც ინდუსების გარდა, დიდი რაოდენობითაა მუსლიმები, სიქჰები, ჯაინები, ბუდისტები, ზოროასტრები.

ინდონეზიასა და მალაიზიაში წამყვანი სარწმუნოებაა სუნიტური ისლამი, ხოლო ფილიპინებზე გაბატონებულია კათოლიციზმი.

ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში გავრცელებულია ბუდიზმი, თუმცა აქვე ფართოდ არის გავრცელებული კონფუციანობა და დაოიზმი, ხოლო იაპონიაში — როგორც სინთოიზმი, ისე ბუდიზმი.

რაც შეეხება მონღოლეთს, ჩინეთის დასავლეთ რაიონებს, განსაკუთრებით ტიბეტს და ბუტანს, აქ მეტწილად მოსახლეობა აღიარებს ლამაიზმს.

შუა აზიის რესპუბლიკებში, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში, ასევე თაორეთსა და ბაშკირეთში გავრცელებულია ისლამი. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციაში შემავალ ხალხებს — ყალმუხებს, ტუველებსა და ბურიატებს, აქ უმეტესად გავრცელებულია ბუდიზმი და ლამაიზმი. გარდა ამისა, ცენტრალური აზიის მოსახლეობის უმეტესობა სუნიტი მუსლიმანებია.

აფრიკის ყველა არაბული სახელმწიფო სუნიტურ ისლამს მისდევს. გამოიყოფა ეგვიპტე, სადაც ამასთანავე, არიან მონოფიზიტი ქრისტიანები — კოპტები. ასევე მონოფიზიტურია ეთიოპიის მოსახლეობა.

საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: სენეგალი, გამბია, გვინეა-ბისაუ, სიერა-ლიონე, ლიბია, ნიგერი, ჩადი, სუდანი და სხვ. გაბატონებულია სუნიტური ისლამი და ადგილობრივი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები.

აფრიკის დანარჩენ ქვეყნებში, ასევე კუნძულ მადაგასკარზე წამყვანია ქრისტიანულ-პროტესტანტული და კათოლიკური რელიგია და ადგილობრივი კულტები. რაც შეეხება აფრიკის ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახ-

ლეობის ქვეყანას — ნიგერიას (100 მილიონზე მეტი), აქ გარდა ქრისტიანობისა, რომელიც წამყვანია მოსახლეობაში, ძალიან ბევრია მაჰმადიანიც და ადგილობრივი კულტების მიმდევრებიც.

ჩრდილო ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა პროტესტანტული და კათოლიკურია, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებისა — კათოლიკური. კანადაში პროტესტანტებისა და კათოლიკების რაოდენობა თითქმის თანაბარია. აშშ-ში კი 2/3 პროცენტი მოსახლეობისა პროტესტანტია, ხოლო 1/4 — კათოლიკები.

ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში უმრავლესობა პროტესტანტია, მაგრამ არის დიდი რაოდენობით კათოლიკეც.

ოკეანეთის მოსახლეობაში გაბატონებულია ქრისტიანობა პროტესტანტიზმისა და კათოლიკობის სახით. კუნძულ ფიჯიზე ქრისტიანობასთან ერთად გავრცელებულია ისლამიც.

ტრადიციული ადგილობრივი კულტებიდან ოკეანეთში მხოლოდ ახალ ჰებრიდებზეა (ვანუატუ) მეტ-ნაკლებად შემორჩენილი ძველი სარწმუნოება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქ წარმოდგენილი იყო დედამიწის მოსახლეობის რელიგიური აღმსარებლობის ძალზე ზოგადი, სქემატური სურათი. სინამდვილეში თითოეული ქვეყნის სარწმუნოებრივი მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია და მრავალფეროვანი, იქაც კი, სადაც წამყვანი სარწმუნოება აერთიანებს მოსახლეობის უმრავლესობას, გვხვდება სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფების დიდი რაოდენობა.

§ 5. სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაცია

ეთნოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ხალხების, რომლებიც არ არიან ისტორიულად ერომანეოთან დაკავშირებული და მიეკუთვნებიან სხვადასხვა ეთნიკურ და ენობრივ ჯგუფს, უვითარდებათ მსგავსი მოვლენები მეურნეობასა და მატერიალურ კულტურაში, რაც როგორც წესი, განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთი და იმავე დონით და მსგავსი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი. შეიძლება ითქვას, რომ დედამიწის მოსახლეობის კლასიფიკაცია თავისი ხასიათით, ამ ნიშნების მიხედვით, გეოგრაფიულ, ენობრივ, ანთროპოლოგიურ ან რომელიმე სხვა კლასიფიკაციასთან შედარებით, ყველაზე მეტად არის ეთნოლოგიური-ეთნოგრაფიული. სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაციის განმსაზღვრელია მეურნეობის ხასიათი და განვითარების დონე.

დედამიწაზე თანდათანობით დასახლებისას, ხალხი სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში ხვდებოდა და აქტიურად ეგუებოდა მას. ე.ი. ხალხმა დაიწყო საკუთარი საწარმოო ძალების განვითარება კონკრეტული ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. ეს გარემოება, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ გასაგებია, რადგან ხალხები ვითარდებოდნენ სხვადასხვა კონკრე-

ტულ-ბუნებრივ პირობებში, კერძოდ, ზომიერ, ტროპიკულ კლიმატში, სტეპებსა თუ მთიან გარემოში. ერთიც უნდა მივუთითოთ: სამეურნეო-კულტურულ კლასიფიკაციაში ამ უკანასკნელის, ანუ კულტურის განვითარების დონის განმსაზღვრელია მეურნეობა.

მეურნეობის განვითარების დონის შესაბამისად სამეურნეო-კულტურული ტიპი შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: პირველი ჯგუფი ხასიათდება მიმოვისებლური მეურნეობის უპირატესობით (მონდაირეობა, მეთევზეობა, შემგროვებლობა), მეორე — თოხნითი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის უპირატესობით, ხოლო მესამე — გუთნური მიწათმოქმედებით.

სამეურნეო-კულტურულ ტიპებს სხვადასხვა ისტორიული ასაკი აქვს. ზოგი მათგანი უძველეს წარსულში ჩამოყალიბდა, ზოგი — კაცობრიობის განვითარების მომდევნო ეტაპებზე.

სამეურნეო-კულტურული ტიპის პირველი ჯგუფი ყველაზე არქაულია და შეესატყვისება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველყოფილ თემურ საფეხურს. ამ ჯგუფში ყველაზე ჩამორჩენილია მოხეტიალე მონადირეთა და შემგროვებელთა ტიპი, რომელიც გეოგრაფიულად იზოლირებულ ოლქებში აქა-იქ გვხვდება. ტროპიკული ზონის ამ სამეურნეო-კულტურული ტიპის ტომებისათვის არაა ცნობილი ლითონის გამოდნობა. შრომისა და საომარ იარაღებს ისინი ამზადებენ ქვის, ხის, ძვლის, ნიჟარის და სხვა ანალოგიური მასალისაგან. ესენი არიან ნახევრად უდაბნოებისა და უდაბნოების მკვიდრი ავსტრალიელი აბორიგენები და სამხრეთი აფრიკის ბუშმენები, ტროპიკული ტყეების მონადირენი სუმატრაზე, სულაველზე, ფილიპინებზე, ცენტრალური აფრიკის პიგმეები, სამხრეთ ამერიკის მონადირე ტომები — ბორორო, გუიაკები და სხვ. ეს სამეურნეო-კულტურული ტიპი ზედა პალეოლითში უნდა ჩამოყალიბებულიყო, და დღეისათვის მეტ-ნაკლებად ზემოთ დასახელებულ ტომებსღა შემორჩა. ისინი იყენებენ შუბებს (ავსტრალიელები შუბსატყორცნებს), სატყორცნ კვერთხებს (ავსტრალიელები ბუმერანგს), ზოგიერთი ტომი მშვილდ-ისარს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება, აგრეთვე, განეითარებით შედარებით მაღალ საფეხურზე მდგარი ჩრდილოეთის ტყის ზონების მონადირეთა სამეურნეო-კულტურული ტიპი, რომელიც მოიცავს ჩრდილო ამერიკის ჩრდილოეთის ტყიან ზონასა და ევრაზიის ჩრდილოეთის მონადირეებს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ეს ტიპი იყო გაბატონებული ჩრდილო კანადის ალგონკინელებსა და ატაბასკებში, აგრეთვე ციმბირელ ევენკებში, კეტებში, იუკაგირებში და სხვ. ეს ტიპი ნეოლითის ეპოქაშია ჩამოყალიბებული. აღნიშნული ძნელადმისადგომი ოლქების ათვისებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თხილამურების გამოგონებამ. მათთვის ტიპური საცხოვრებელია კონუსური „ჩუმი", ხელის „ნარტა", იციან ძაღლების შებმა საზიდარში და, აგრეთვე, საჭაპანოდ ირმების გამოყენება. იმავე ჯგუფის სამეურნეო-კულტურულ ტიპს მიეკუთვნებიან ჩრდი-

ლო ზონის როგორც ზღვისპირა, ისე დიდ მდინარეთა აუზების მცხოვრებნი: ინდიელები (ხაი და ტლინკიტები), ხანტები, მანსები, ნანაელები, ნივხები; ამავე ტიპს მიეკუთვნებიან: ზღვის ცხოველებზე მონადირე ესკიმოსები, ჩუქჩები, ალეუტები და სხვ. ამავე, სამეურნეო კულტურული ტიპის დიდ ჯგუფში, ე.წ. „მიმოვისებლებში" უნდა გავაერთიანოთ მწარმოებლური მეურნეობის ფორმებისაკენ გარდამავალი ტიპები. ესენია მოლუკის კუნძულების, აგრეთვე სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის მონადირენი და შეკრებელნი, რომელთა წიაღშიც უკვე მიწათმოქმედების საწყისებს ვხვდებით; აგრეთვე ცივი ოლქების — ტაიგისა და ტუნდრის მონადირე ძეირძეები

თუ დასახელებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია მიმოვისებლური მეურნეობა, შემდეგი ორი ჯგუფი უკვე მწარმოებლურ მეურნეობასთან არის დაკავშირებული. მიწათმოქმედება და მესაქონელობა წარმოიშვა დაახლოებით 10-11 ათასი წლის წინათ.

მეორე ჯგუფში ერთიანდებიან თოხნითი მიწათმოქმედებით დასაქმებული ტომები, ძირითადად აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში. სამეურნეო რესურსების ექსტენსიური გამოყენება თანდათანობით იცვლება შედარებით ინტენსიური მეურნეობით. თანდათან იქმნება შესაძლებლობა ნამეტი პროდუქტის დაგროვებისა როგორც მიწათმოქმედ, ისე ადრეულ მესაქონლე ტომებში. საერთოდ, აღიარებულია, რომ თოხნით მიწათმოქმედებაში მთავარი როლი ქალის შრომამ ითამაშა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვქონდა პრიმიტიულ მიწათმოქმედებასთან. ასეთი მიწათმოქმედება ოდესღაც გაბატონებული იყო ყველა ქვეყანაში, დღეისათვის კი შემოინახა ცხელი კლიმატის ქვეყნების ჩამორჩენილ ხალხებში — აფრიკაში, ოკეანეთში, ზოგან ტროპიკულ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ვარაუდობენ, რომ მისი გადმონაშთია ევროპის საბოსტნე მეურნეობა.

სამეურნეო კულტურული ტიპის მესამე, შედარებით გვიან წარმოქმნილი ჯგუფია გუთნური სარწყავი მიწათმოქმედება, რომელიც აზიისა და აფრიკის უძველეს სახელმწიფოებში აღმოცენდა. თოხნითი მიწათმოქმედებიდან გუთნურ (სახნავ) მიწათმოქმედებაზე გადასვლამ, გაშწევ ძალად საქონლის გამოყენებამ საწარმოო ძალთა განვითარებაში დიდი ნახტომი მოახდინა. ოთხი და ბარი კავმა და გუთანმა შეცვალა, ნიადაგის თავისებურებებისა და ბუნებრივი პირობების მიხედვით. მუშა პირუტყვად გამოიყენეს ხარი, რომელიც მოგვიანებით ზოგან ცხენმა შეცვალა. როგორც ჩანს, პირველად სახნავი მიწათმოქმედება აღმოცენდა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, მესოპოტამიაში და შემდეგ ეგვიპტეშიც (IV-III ათასწლეული ძვ.წ.). შესაძლებელია, რომ აქედან შემდეგ გავრცელდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპაში. დანარჩენ ტერიტორიებზე —საჰარის სამხრეთით აფრიკაში, ამერიკაში, ოკეანეთში და ავსტრალიაში სახნავი მიწათმოქმედება ევროპელ კოლონისტთა მოსვლამდე (XVI-XIX სს.) ცნობილი არ იყო.

მეოთხე თავი

ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა

ეთნოლოგიას, ისევე როგორც ყველა სხვა ისტორიულ მეცნიერებას, თავისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა გააჩნია. ეთნოლოგიის წყაროები ძირითადად ოთხი სახისაა: საველე მასალები, ე.ი. უშუალოდ ველზე, მოსახლეობაში შეკრებილი ცნობები; წერილობითი წყაროები, ე.ი. სხვადასხვა ლიტერატურულ ძეგლში, ისტორიულ საბუთში და სხვ. წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ცნობები; მასალები, რომლებიც მატერიალური კულტურის ძეგლებს წარმოადგენენ და ძირითადად თავმოყრილია მუზეუმებსა და სხვადასხვა სიძველეთსაცავში. მათვე უნდა მიეკუთვნოს. აგრეთვე, მატერიალური კულტურის სხვადასხვა ძეგლი, რომლებიც არ არის აუცილებელი, მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში ინახებოდეს, არამედ შესაძლებელია, შემორჩენილი იყოს მოსახლეობაში, ან თუნდაც გამოყენებული იყოს ცოცხალ ყოფაში. ასეთი სახის ძეგლების შესწავლა მაინც საველე მუშაობასთანაა დაკავშირებული, ხოლო საველე მუშაობა, თავის მხრივ, გარდა აღწერის გზით მასალების შეკრებისა, მოსახლეობაში არსებული საგნობრივი ძეგლების შეკრება-შესწავლასაც გულისხმობს ამ ძეგლების შემდგომ მუზეუმებში გადასაცემად.

სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ბოლო ხანებში ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებაში ლინგვისტური მონაცემების გამოყენებას. ყოველი ხალხის ისტორიის შესწავლა, როგორც ცნობილია, პირველ რიგში ამ ხალხის ეთნოგენეზის, ე.ი. მისი წარმომავლობის დადგენით იწყება. ეთნოლოგიის, როგორც ისტორიული მეცნიერების, შესწავლის ერთ-ერთ ძირითად საკითხს ამა თუ იმ ხალხის ეთნოგენეზის შესწავლა წარმოადგენს. ხოლო ეთნოგენეზის საკითხების კვლევაში ლინგვისტური მონაცემები ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენადაა მიჩნეული. ამიტომაცაა, რომ ლინგვისტური მონაცემები ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებაში, განსაკუთრებით ამა თუ იმ ხალხის უძველესი პერიოდის ისტორიის საკითხების კვლევისას სხვა წყაროებთან ერთად, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ეთნოლოგია, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა ისტორიულ მეცნიერებებთან – არქეოლოგიასთან, სამოქალაქო, ანუ პოლიტიკურ ისტორიასთან, მეურნეობისა და კულტურის ისტორიასთან, ლიტერატურათმცოდნეობასთან, ხელოვნების ისტორიასთან, მუსიკათმცოდნეობასთან და სხვ. კავშირი მათ შორის, ხშირად ძალზე მჭიდროა და ურთიერთდამოკიდებული. ეთნოლოგია განსაკუთრებით კავშირშია არქეოლოგიასთან, ამიტომ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ის წყაროები, რომელთაც ზემოდასახელებული სამეცნიერო დისციპლინები ემ-

ყარება, ასევე შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ეთნოლოგიური კვლევა-ძიებისათვის. მაგალითად, უძველესი ხანის არქეოლოგიური ძეგლების გათხრების დროს მოპოვებული ყოფაცხოვრებითი საგნები. ხშირად, ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც დასტურდება; ამიტომ, ეთნოლოგია თუ მათ მიმართავს ამ საგნების განვითარების, საუკუნეთა განმავლობაში მათი ცვლილებების შესასწავლად, არქეოლოგიისათვის ხშირად აუცილებელია, ამ საგნის დანიშნულებისა და ფუნქციის გასარკვევად, ეთნოგრაფიული მონაცემების მოშველიება. ასევე, ვთქვათ, ქშენებლობის ხერხების. ანუ სამშენებლო საქმის შესწავლა ხუროთმოძღვრების ან ხელოვნების ისტორიის შესწავლის საგანს წარმოადგენს. მაგრამ ცოდნა ამ სამშენებლო ხერხების შესახებ თაობიდან თაობებს გადაეცემოდა და. როგორც წესი. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დასტურდება. ამიტომ, როგორც ერთი. ისე მეორე დისციპლინისათვის ამ ხერხების ცოდნა ერთნაირადაა წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

როგორც ვხედავთ, ეთნოლოგიას მრავალფეროვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზა გააჩნია. ეს ბაზა მოიცავს როგორც მატერიალური. ასევე სულიერი კულტურის ძეგლებს. რაც უფრო მეტი რაოდენობით და კომპლექსურად იქნება ეს ძეგლები მოხმობილი ეთნოლოგიური კვლევა-ძიებისათვის. ბუნებრივია, მით უფრო ღრმა და საფუძვლიანი იქნება კვლევა ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას.

§ 1. საველე ეთნოგრაფიული მასალები

ეთნოლოგია სხვა ისტორიული მეცნიერებებისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მისი კვლევის უმთავრესი საგანია ხალხის ცოცხალ ყოფაში დადასტურებული მოვლენების შესწავლა. ცოცხალ ყოფაში დადასტურებული მოვლენები კი შეისწავლება საველე მუშაობის, საველე დაკვირვებების და მასალის ასეთი გზით მოპოვების შედეგად. და ეს საქმიანობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი ხშირად ეთნოლოგიური კვლევა-ძიების უმთავრეს ამოცანად მიაჩნიათ. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ. ეთნოლოგიისათვის სხვა სახის წყაროების მნიშვნელობა არანაკლებია. ამიტომ მისი შემოზღუდვა მხოლოდ საველე მუშაობით, მისი ამოცანების დაყვანა საველე მასალების შეკრებამდე, რა თქმა უნდა, არასწორია. თუმცა. ვიმეორებთ, საველე მასალების შეკრება ეთნოლოგიისათვის, როგორც ცოცხალი ყოფის შემსწავლელი მეცნიერებისათვის, ხალხის ყოფისა და კულტურის. მისი წარმოშობის, განსახლებისა და კულტურულ-ისტორიული კავშირების შემსწავლელი მეცნიერებისათვის (გ. ჩიტაია) ძირითადია.

რა არის საველე ეთნოგრაფიული მასალა, რას ნიშნავს საველე მასალების შეკრება?

ამა თუ იმ ხალხის ყოფითი კულტურის შესასწავლად მკვლევარი-ეთნოლოგი კრებს საველე-ეთნოგრაფიულ მასალას ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების გზითა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან — მთხრობელთა-გან მიღებული ინფორმაციის მეშვეობით. ამ გზით მოპოვებული მასალა ეთნოლოგს საველე დღიურებში შეაქვს — ზოგჯერ უშუალოდ შეკრების პროცესში, ხოლო ზოგჯერ მოგვიანებით, დღის განმავლობაში მოპოვებული მასალის წერილობით ფიქსირებისა და დამუშავებისას.

საველე მასალის შეკრება წერილობით ფიქსირების გარდა, ხდება აგ-რეთვე, ფოტოგრაფირების, ხოლო ზოგჯერ აუდიო (მაგნიტოფონური) ჩანა-წერების სახით; უფრო სასურველია ვიდეოტექნიკით დაფიქსირებაც. საველ ეთნოგრაფიულ მუშაობაში განასხვავებენ ორ ფორმას: საექსპედიციოს და სტაციონალურს. ამათგან საექსპედიციო ფორმა საყოველთაოდ გავრცე-ლებული და მიღებულია, ხოლო სტაციონარული შედარებით იშვიათად გვხვდება. საექსპედიციო მუშაობა გულისხმობს ხანმოკლე გასვლას რომე-ლიმე დასახლებულ პუნქტში ან რეგიონში მასალების შესაკრებად, ხოლო სტაციონარული მუშაობისას ეთნოლოგი ცხოვრობს, ან ხანგრძლივად იმყო-ფება შესასწავლ რეგიონში.

როგორც აღინიშნა, საველე მასალების შეკრება ეთნოლოგიის ძირითადი წყაროა და მას თავისი შესწავლის ისტორია გააჩნია. მისი მეთოდები და ხერხები ჩამოყალიბდა ძველადვე და იხვეწებოდა და ვითარდებოდა ეთნო-ლოგიის განვითარებასთან ერთად. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქარ-თველმა ეთნოლოგებმა, კერძოდ, ეთნოლოგთა ქართულმა სკოლამ საველე მუშაობისა და ველზე მასალების შეკრების ახალი, ორიგინალური მეთოდი შეიმუშავეს, რაც უდავოდ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. მის შესა-ხებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ეთნოლოგიის მეცნიერებად ჩამოყალიბების დროისათვის (XIX საუკუნის შუა ხანებში) და დიდხანს შემდგომაც ბურჟუაზიულ მეცნიერებაში საველე მასალის შეკრების, ე.წ. რარიტეტული, ანტიკვარული და სხვა მეთოდები იყო გაბატონებული. ეს მეთოდები გულისხმობს განსაკუთრებით გამორჩეული, ზოგჯერ მხოლოდ ერთეული ნივთის სახით მოღწეული, მაღალი მხატვრული ღირსებე-ბით შემკული, არამასობრივი წარმოების ნივთების შეკრებაზე აქცენტის გაკე-თებას და მათ თავმოყრას უპირატესად. ცხადია, საველე მასალის ასეთი შერჩევითი შეკრება ყოველთვის არ ასახავს ყოფის ობიექტურ სურათს, იგი მას რამდენადმე შელამაზებული და იდეალიზებული სახით წარმოგვიდგენს.

როგორც აღინიშნა, ქართველმა ეთნოლოგებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-30-იან წლებში შეიმუშავეს და პრაქტიკულად განახორციელეს თავიანთ მუშაობაში საველე ეთნოგრაფიული მასალის შეკრების, დამუშავებისა და, საერთოდ, კვლევა-ძიების ახალი, ე.წ. კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი. მისი შემქმნელი აკად. გ. ჩიტაია ამ მეთოდს ასე ახასიათებს:

„ეთნოგრაფიული მოვლენები შეისწავლება ინტენსიურად, კომპლექსური მთლიანობაში, ბაზისური და ზედნაშენი მოვლენების ერთიანობაში, ისტორიზმის პრინციპის დაცვით. ამ მეთოდის თვალსაზრისით, ეთნოგრაფიული დაკვირვებების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოე; მნიშვნელოვანია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს პატარა და დიდ სოციალურ ერთეულებში: ოჯახი, გვარი, უბანი, სოფელი, თემი და სხვ. ამ მეთოდის მიხედვით, ყოველი ხალხის (ეთნოსის) ეთნოგრაფიული სინამდვილე როული. წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენათა კომპლექსია, რომელშიც მიმდინარეობს ბრძოლა ძველისა ახალთან, პროგრესულთან. ამასთან, მოვლენების ფიქსაციის დროს, ნაცვლად მათი სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერილობისა, აუცილებელია ობიექტურ-ხარისხობრივი აღწერილობა: ქართველმა ეთნოგრაფებმა ითავიოვე უარყვეს კონცეფცია, თითქოს ეთნოგრაფია პრიმიტივიზმის მეცნიერებაა და მხოლოდ „უკულტურო" ხალხების სწავლობს..

ამ მეთოდის საფუძველზე, წინასწარ შედგენილი პერსპექტიული გეგმის მიხედვით, ფართოდ გაიშალა საველე შეგროვებითი მუშაობა მთის, ძოსიერა და ბარის ზოლის მოსახლეობაში. მრავალი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად დაგროვდა მდიდარი მასალა (მათ შორის საძუზეუმო კოლექციები) ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ისტორიის, მისი სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობების შესახებ, ნივთიერი და სულიერი კულტურის თავისებურებებსა და ტრადიციულ ფორმებზე, რომელთა მეცნიერული ანალიზისა და განზოგადების შედეგები აისახა, როგორც სპეციალურ მეცნიერულ ეთნოგრაფიულ პუბლიკაციებში, ისე საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ ექსპოზიციებში".

საველე ეთნოგრაფიული მასალების შეკრებით ახალი და უმნიშვნელოვანესი შედეგების მიღების ნიმუშად ეთნოლოგიაში ითვლება ამერიკელი ეთნოლოგის — ლ. მორგანის გამოკვლევები. განსაკუთრებითუ მისი ცნობილი ნაშრომი „ძველი საზოგადოება", რომელშიც ლ. მორგანი ამტკიცებს კაცობრიობის განვითარების ისტორიული პროცესის ერთიანობას. მანვე შეიმუშავა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ თანამედროვე არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მონაცემებით, მართალია ლ. მორგანის დებულებები საჭიროებს დაზუსტებას, მაგრამ მისი ძირითადი მოძღვრება პირველყოფილი საზოგადოების შესახებ დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას.

ქართველმა ეთნოლოგებმა დიდი წარმატებები სწორედ საველე ეთნოგრაფიული მასალების შეკრების შედეგად მოიპოვეს. ნიმუშად უნდა დავასახელოთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ-საზოგადოებრივი საკულტო ძეგლების რთული კომპლექსების ხანგრძლივი კვლევა-ძიება. ასევე, სრუ-

ლიად ახალი შედეგები იქნა მიღებული ველზე შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით ქართული საწესო გრაფიკული ხელოვნების ძეგლების შესწავლისას. კერძოდ, სვანური ლიფანალის მხატვრობის ანალიზმა გაარკვია, რომ გრაფიკული ხელოვნების მდიდარი ხალხური მონაცემები ტრადიციული მხატვრობის ნიმუშების წარმოადგენს. აღმოჩნდა, რომ ამ მხატვრობას გააჩნია ორი სხვადასხვა სტილი — რეალისტური და აბსტრაქტული. ამათგან, აბსტრაქტული მხატვრობა მაგიური ხასიათისაა და მას კავშირი აქვს საზოგადოების საწარმოო საქმიანობასთან.

§ 2. ლიტერატურული წყაროები

ეთნოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ლიტერატურული ძეგლები. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ძველეგვიპტური, ასურულ-ბაბილონური და ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები; ასევე ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ავტორთა თხზულებები. ამ ნაწარმოებთა ცნობებს ამა თუ იმ ხალხის ეთნოგრაფიის შესწავლისათვის ადრევე დიდი ყურადღება ექცეოდა და ამჟამადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართული წერილობითი (ლიტერატურული და დოკუმენტური) წყაროების მნიშვნელობას ქართველი ხალხის ეთნოლოგიის შესწავლისათვის, კერძოდ, მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი V-X საუკუნეების საქართველოს ყოფისა და კულტურის მთელი რიგი საკითხებისა, წერილობითი ძეგლების მიხედვით.

ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში — ეგვიპტეში, ბაბილონსა და ასურეთში დიდ ინტერესს იჩენდნენ მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების მიმართ, რაც პრაქტიკული მოთხოვნილებებით იყო განპირობებული — ამ ხალხებთან წარმატებული ომებისა და ვაჭრობისათვის საჭირო იყო მათი ზნე-ჩვეულებების, შესაძლებლობების ცოდნა. ძველაღმოსავლურ დოკუმენტებში, წარწერებსა და ხელოვნების ძეგლებში (რელიეფურ ქანდაკებებში) მრავლად გვხვდება ცნობები უძველესი ხალხების ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ. ჩვენოვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ წყაროების ცნობები შემოუნახავთ ძველი ქართველი ტომების ან ტომთა გაერთიანებების — დიაოხის (ტაო), კოლხას (კულხა, კოლხეთი), ზაბახას (ჯავახი, ჯავახეთი), ვიძერთხის (ოძრახე) და სხვათა შესახებ.

ქართველ ტომთა შესახებ მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ ცნობებს ვხვდებით ანტიკური ავტორების — ჰეროდოტეს, სტრაბონის, ტაციტუსისა და სხვათა ნაწარმოებებში. ჰეროდოტეს (ძვ.წ.VI.) მრავალი ეთნოგრაფიული ცნობა მოეპოვება მახლობელი აღმოსალეთის ხალხების შესახებ; სტრაბონის (ახ.წ.II.) „გეოგრაფიაში" აღწერილია მრავალი ქვეყანა ბრიტანეთის

კუნძულებიდან ინდოეთამდე და შუა აზიამდე, ხოლო ტაციტუსს (ახ.წ.II.) დაწვრილებით აქვს აღწერილი გერმანელი ტომების ზნე-ჩვეულებანი.

მიჩნეულია, რომ ტაციტუსის ნაწარმოები „გერმანელების წარმოშობაში და გერმანიის ადგილმდებარეობის შესახებ" ნამდვილი ეთნოგრაფიული მონოგრაფიაა, თანაც უადრესი მსოფლიო ლიტერატურაში; მასში ტაციტუსს აღწერილი აქვს ქვეყნის საეროო სურათი, მოსახლეობის შემადგენლობა, ადგილობრივი ლეგენდები გერმანელ ტომთა წარმოშობის შესახებ, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები და მოსახლეობის საშეურნეო წყობა, საომარი შესაძლებლობანი)სამხედრო წყობა, იარაღ-საჭურველი). პოლიტიკური წყობა (მეფეებისა და სამხედრო ბელადების არჩევითობა), ქალების საზოგადოებრივი როლი, რელიგია და წეს-ჩვეულებები, სამხედრო ბელადები და მათი რაზმები, ყოველდღიური საქმიანობა, დასახლებანი და ნაგებობათა ტიპები, ტანსაცმელი, ოჯახები და საქორწილო წესები, ზნე-ჩვეულებანი, ბავშვების აღზრდა და ნათესაური კავშირები, სისხლის აღების წესი ღა სტუმართმოყვარეობა, პურობა, საჭმელი და გართობები, მონები და თავდახსნილები, მიწის საკუთრების ფორმები, დაკრძალვის წესები და სხვ. როგორც ვხედავთ, ტაციტუსის ნაშრომში წარმოდგენილია ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ყველა მხარე და ამ მხრივ მას იშვიათად თუ რომელიმე სხვა ეთნოგრაფიული ნაშრომი შეედრება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცნობები ანტიკურ ავტორებთან ყოველთვის მოხმობილია რომელიმე კერძო საკითხის შესასწავლად და გადასაწყვეტად. მაგალითად, ჰეროდოტე თავის „ისტორიაში" სხვა ხალხების შორის აღწერს დასავლურქართულ — კოლხურ ტომს და წამოჭრის საკითხს ამ ტომის ეთნოგენეზის (წარმოშობის) შესახებ. მისი მოსაზრებით, კოლხები, რომლებიც ხუჭუჭთმიანები არიან და რომლებშიც წინადაცვეთის წესია გავრცელებული, ამ ნიშნის გამო, ეგვიპტელთაგან წარმომავლობენ.

საქართველოზე, ქართველებსა და ქართველურ ტომებზე არსებულ უცხოენოვან ცნობებს შორის ყველაზე უფრო კარგადაა შესწავლილი ანტიკურ და ბიზანტიურ ავტორთა ცნობები.

თუ კვლავ ზოგადი ეთნოლოგიის საკითხებს დავუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით მრავალი ცნობა დაგროვდა დასავლეთ ევროპაში XV-XVII საუკუნეებში უცნობი ქვეყნებისა და ხალხების დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და აღწერის შედეგად. ფაქტობრივად, ამ პერიოდში მოპოვებული მასალების გაანალიზების ცდები დაედო საფუძვლად შემდეგში ეთნოლოგიის ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბებას.

ცნობილია, რომ ახალაღმოჩენილ ქვეყნებში ევროპელებს პირველ რიგში მათი ბუნებრივი სიმდიდრე აინტერესებდათ. ხოლო იქ მოსახლე ხალხებს, განსაკუთრებით ამერიკელ ინდიელებს, ადამიანებად არც თვლიდნენ. ინდიელთა ყოფა-ცხოვრებაზე იწერებოდა მრავალი ფანტასტიკური და სინამდვილეს

დაშორებული შრომები. მაგრამ იმდროინდელ აღწერებს შორის მოიპოვება შეცნიერებისათვის ღირებული ცნობების შემცველი ნაშრომები. მათ შორისაა: ქრ. კოლუმბის ჩანაწერები და დღიურები, იტალიელი ზღვაოსნის ა. პიგაფეტას დაკვირვებები კუბაზე (1525 წ.), ესპანელი მისიონერის — ბერნარდინო დე საჰაგუნის მიერ მექსიკაში (1570 წ.) ჩაწერილი ტექსტები, აცტეკების რელიგიური რწმენებისა და წეს-ჩვეულებების დეტალური აღწერები და სხვ.

მალე დაიწყეს შეკრებილი ცნობების გააზრება და განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ხალხების საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მდგომარეობის სხვადასხვაგვარი შეფასება. მოგვიანებით ამას შედეგად მოჰყვა ეთნოლოგიაში ევოლუციური სკოლის, დიფუზიონიზმის, ისტორიული, სოციოლოგიური სკოლისა და სხვათა წარმოშობა.

როგორც აღინიშნა, უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები ქართველი ტომების ყოფისა და კულტურის შესახებ მოიპოვება ქართულ წერილობით ძეგლებში. ისინი შემდეგი სახისაა: ძველი ქართული მწერლობის ორიგინალური ძეგლები (ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, საისტორიო მწერლობა, სარაინდო-სამიჯნურო რომანი), დოკუმენტური მასალა (აქტები, ეპიგრაფიკული ძეგლები), საეკლესიო და საერო სამართლის ძეგლები და სხვ. ასეთი ცნობები მოიპოვება აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნ ძეგლებსა და უცხოელ ავტორთა ცნობებში ქართველებისა და საქართველოს შესახებ, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა საკუთრივ ქართული, ორიგინალური წერილობითი ძეგლები, როგორც ეთნოლოგიის ლიტერატურული წყაროები.

ქართული წერილობითი ძეგლებიდან, რომელთაც ეთნოლოგიისათვის ლიტერატურული წყაროს მნიშვნელობა აქვს, შევჩერდებით ჰაგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშებზე, კონკრეტულად გავაანალიზებთ ამ ჟანრის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლს — იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებას“.

როგორც ცნობილია, ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებში გადმოცემული სარწმუნოებისადმი თავდადებულ ადამიანთა — წმინდანთა ცხოვრება, მოღვაწეობა ან წამება, ანუ მარტვილობა, რელიგიის განმტკიცების მიზნით. ცხადია, წმინდანთა ეს კონკრეტული მიზანდასახულობა განსაზღვრავს ამ ძეგლებში დაცული ცნობების ხასიათს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მათში, ავტორის ლიტერატურული ტალანტისა და ოსტატობის მეოხებით, გადმოცემულია ხალხის ცხოვრების მრავალფეროვანი სურათი, რაც დიდად ეხმარება ეთნოლოგს, დადგინოს იმდროინდელი საზოგადოების ყოფა, მატერიალური და სულიერი კულტურის მდგომარეობა და განვითარების დონე.

უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურულ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებას“, რომელიც ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი (V ს.) ძეგლია და ამდენად, ყველაზე ადრინდელი ლიტერატურული წყარო

საქართველოს ეთნოლოგიის შესასწავლად. ამასთანავე, ეს ძეგლი უნიკალურია ეთნოგრაფიული ყოფის თვალთახედვით მასში დაცული ცნობების სიუხვითა და მნიშვნელობით. განსაკუთრებით ღირებულია და იმდროინდელი სხვა წყაროებით უცნობია ამ ძეგლში შემონახული ცნობები ოჯახისა და საოჯახო ყოფაზე — ეთნოგრაფიული სინამდვილის ერთ-ერთ არსებით სფეროზე (კერძოდ, ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაზე, ნათესაურ კავშირებზე და მათ აღმნიშვნელ ტერმინებზე, ოჯახის შემადგენლობაზე და სხვ.); მნიშვნელოვანია ძეგლის ცნობები საქორწილო წესის ზოგიერთი დეტალის — ნიშნის, ურვადის და მზითვის, აგრეთვე პურობის წესის შესახებ და სხვ. მაგალითად, ნაწარმოებში დაცული ცნობით, იმდროინდელ საქართველოში მიღებული ცნობები დაუცავს ძეგლს მაშინდელ საქართველოში გავრცელებული (უკვე არსებული) საეკლესიო წიგნების, წარჩინებული საზოგადოების წარმომადგენელი ქალის განათლების დონისა და სულიერი მოთხოვნილებების შესახებ; ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის ნაწარმოები დაკრძალვის რიტუალზე და საეროდ. მიცვალებულის კულტზე.

§ 3. მატერიალური კულტურის ძეგლები

საგნობრივი ძეგლები, ანუ ხალხის ყოფის ამსახველი მატერიალური კულტურის საგნები, ეთნოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მოსახლეობაში შეკრებილი ასეთი სახის ძეგლები, როგორც წესი, მუზეუმებშია თავმოყრილი. ამიტომაცაა, რომ საამუზეუმო კოლექციები, რომლებიც იქმნებოდა და გროვდებოდა ათეული, ხოლო ზოგჯერ ასეული წლების მანძილზე მკვლევართა მიერ ძვირფას მასალას გვაწვდიან ეთნოლოგიისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ ეთნოლოგიის მეცნიერებად ჩამოყალიბება ქრონოლოგიურად პირველი მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული მუზეუმების, ან სხვა პროფილის მუზეუმებთან ეთნოგრაფიული განყოფილებებისა და კოლექციების ჩამოყალიბებას დაემთხვა XIX საუკუნის შუა ხანებში

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელთა შემდგომი გაფართოებითა და გაზრდით შეიქმნა ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებათა ცენტრები. 1831 წელს, პეტერბურგში დაარსდა რუმიანცევის მუზეუმი ოკეანეთისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოგრაფიული კოლექციების ბაზაზე. 1861 წელს იგი გადაიტანეს მოსკოვში, სადაც მას დაემატა ახალი მასალები რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან. მათ შორის კავკასიის რეგიონებიდანაც. ამჟამად იგი ეთნოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი ცენტრია.

ევროპაში ჩამოყალიბებულ ეთნოგრაფიულ მუზეუმებში კოლექციების შეკრების საფუძველი იყო კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ყოფის

დემონსტრირება. ეგზოტიკური ბუნების წარმოდგენით და შესანიშნავი საგამოფენო მასალებით, ეს მუზეუმები, ერთი მხრივ, დიდძალ მნახველს იზიდავდა და, მეორე მხრივ, ეთნოლოგიური კვლევა-ძიებისათვის საუკეთესო მასალებს უყრიდა თავს. მათ შორისაა 1837 წელს დაარსებული ლეიდენის მუზეუმი, ჰოლანდიის კოლონიური მუზეუმი ჰარლემში, დაარსებული 1865 წელს. ცენტრალური აფრიკის მუზეუმი ბრიუსელში, დაარსებული 1897 წელს და სხვ.

საზღვარგარეთის ეთნოლოგიური პროფილის სამუზეუმო დაწესებულებებს შორის კვლევა-ძიების მაღალმეცნიერული ტრადიციებით, მრავალპროფილიანობითა და კოლექციათა სიუხვით საგანგებოდაა გამორჩეული „ადამიანის მუზეუმი", დაარსებული პარიზში 1930 წელს, 1878 წელს იქვე დაარსებული ტროკადერის მუზეუმის ბაზაზე. იგი კომპლექსური სამუზეუმო ცენტრია და შეიცავს ანთროპოლოგიურ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ კოლექციებს.

საქართველოში ამჟამად მდიდარი ეთნოგრაფიული კოლექციებია თავმოყრილი რაიონულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მუზეუმებში. რაიონებში მუზეუმების დაარსება და იქ ეთნოგრაფიული კოლექციების თავმოყრა მაინც შედარებით ახლო წარსულში (20-30-იან წლებში) დაიწყო. თბილისში სამუზეუმო საქმე და, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული კოლექციები 130 წელზე მეტს ითვლის. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც პირდაპირი შემკვიდრეა 1852 წელს ჩამოყალიბებული რუსეთის ეთნოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმისა (1861 წლიდან მას კავკასიის მუზეუმი ეწოდებოდა), ეთნოლოგიურ კვლევა-ძიების იმოავითვე მყარი საფუძველი ჩაეყარა, რაც დაკავშირებულია გამოჩენილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის სახელთან, რომელიც მუზეუმში 1855 წლიდან მოღვაწეობდა. 20-იან წლებში მუზეუმში ფართოდ გაიშალა კვალიფიციური ეთნოლოგიური კვლევა-ძიება. ამ დროს ეთნოგრაფიის განყოფილებაში მუშაობას იწყებენ შემდეგში სახელმოხვეჭილი ქართველი ეთნოლოგები: გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ს. მაკალათია და სხვ. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში თავმოყრილია უმდიდრესი ეთნოგრაფიული კოლექციები, განყოფილებას გააჩნია კვლევა-ძიების მაღალმეცნიერული ტრადიციები; მასში თანამშრომლობენ კვალიფიციური მკვლევრები.

ეთნოლოგიური პროფილის მუზეუმების მიმოხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ XX საუკუნეში, განსაკუთრებით კი ბოლო ხანებში, ფართოდ გავრცელდა ასეთი მუზეუმების მოწყობა ღია ანუ ცის ქვეშ. ამის მიზანია ეთნოგრაფიული კოლექციების, საგნობრივი ძეგლების ნიმუშების რაც შეიძლება დიდი რაოდენობით თავმოყრა და გადარჩენა მომავლისათვის

მათი ნატურალური სახით. ბუნებრივია, რომ სახლების, ეთნოგრაფიული კომპლექსების და სხვა დიდი ზომის, საგნობრივი ძეგლების მოთავსება შენობაში შეუძლებელია. ამიტომ, მათი შენახვისა და დემონსტრირების ყველაზე ხელმისაწვდომ ფორმად ღია ანუ ცის ქვეშ მუზეუმების მოწყობაა მიღებული. ასეთ მუზეუმებს განეკუთვნება ნიდერლანდების მუზეუმი არნემში, დაარსებული 1912 წელს, ბუქარესტის მუზეუმი ღია ანუ ცის ქვეშ, დაარსებული 1936 წელს და სხვ. საქართველოში ასეთი მუზეუმი, ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის სახელწოდებით დაარსდა 1960 წელს, თბილისში აკად. გ. ჩიტაიას ინიციატივით.

როგორც აღინიშნა, ყველა ეს მუზეუმი წარმოადგენს ეთნოლოგიის ძირითად წყაროს, საგნობრივი ძეგლების თავმოყრის ადგილს. თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული ეს საგნობრივი ძეგლები ეთნოლოგიის ძირ. როგორ შეიძლება მათი შესწავლით დასკვნების გაკეთება. ამის ნიმუშად განვიხილოთ ორი მაგალითი: ერთი ზოგადი ეთნოლოგიის და ერთიც ქართული ეთნოლოგიის სფეროდან.

ცნობილია, რომ თანამედროვეობის გამოჩენილი ეთნოლოგი კ. ლევი-სტროსი, რომელმაც შემოიღო ეთნოლოგიაში სტრუქტურალისტური მეთოდი, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ინდიელი ხალხის კულტურებს განიხილავდა, როგორც ერთი მთლიანის სხვადასხვა ნაწილს. 40-50-იან წლებში მის მიერ პირველად გამოთქმული მოსაზრებები და ვარაუდები ამერიკულ-აზიური კულტურული კონტაქტების რეალურობის შესახებ, მათი ახალ-ახალი ნიმუშების აღმოჩენასთან ერთად სულ უფრო ამკვიცრად და თვალნათლივ დასტურდება. მაგალითად, მის მიერ შესწავლილი საგნები სიმეტრიულად გაშლილი, ანუ გაორმაგებული, ორნამენტული გამოსახულებებით, ერთი მხრივ, ამერიკელ ინდიელთა ხელოვნებაში და, მეორე მხრივ, წყნარი ოკეანის აუზის სხვა ხალხების ხელოვნებაში. ზუსტ შესაბამისობაშია ინდოეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ძველი ხელოვნების ძეგლებთან. ასევე კ. ლევი-სტროსმა პირველმა მიაქცია ყურადღება და თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მიმართა გიგანტური მითური არსებების გამოსახულებათა და ქანდაკებათა დიდ მსგავსებას ჩრდილოამერიკელი ინდიელებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ აზიის ხელოვნებაში. მაშასადამე, საგნობრივი ეთნოგრაფიული ძეგლები, უძველესი დროიდან ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე, წარმატებით იქნა გამოყენებული ერთიანი ამერიკულ-აზიური კულტურის კულტურათა მჭიდრო კონტაქტების, ან კულტურათა ურიერთზეგავლენების საჩვენებლად.

1924 წელს გ. ჩიტაიამ ეთნოგრაფიული მოგზაურობის დროს შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული სახვნელი იარაღები, მათი კონსტრუქცია და აღმნიშვნელი ტერმინები. კერძოდ, მან დაწვრილებით აღწერა და შეისწავლა მესხური ჯილღა და არონაი (არუნაი);

კონსტრუქციულად შეუდარა ერთმანეთს მესხური, რაჭული, აჭარული, ფშაური, იმერული, აფხაზური, სვანური სახვნელები და მათი შემადგენელი ნაწილები, ერთი მხრივ, და რომაული, სომხური, ხუნძური სახვნელები, მეორე მხრივ. სახვნელი იარაღების კონსტრუქციული და ფუნქციური თავისებურებების გარკვევით მან შესაძლებელი გახადა მათი ტიპის და განვითარების სხვადასხვა საფეხურის დადგენა. განსაკუთრებით დაწვრილებით გამოიკვლია სახვნელი იარაღის ყურიანი ქუსლი და ამის შედეგად მიიღო საგულისხმო დასკვნები. ძირითადი დასკვნა, რომელიც ეთნოლოგიის ამ საგნობრივი წყაროების შესწავლითაა მიღებული, შემდეგია: „საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახვნელი იარაღების ქუსლის მრავალი სახის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ყურიანი ქუსლი აღგილობრივი წარმოშობის, სპონტანურ მოვლენას წარმოადგენს" (გ. ჩიტაია).

§ 4. ლინგვისტური მონაცემები

ენა ხალხის ძირითადი ეროვნული ნიშანია, ამიტომაც ენის მიხედვით ყველაზე ადვილია ამა თუ იმ ხალხების ნათესაობის, მათი წარმოშობის ისტორიული კავშირების დადგენა. ამჟამად დედამიწაზე ოთხი ათასამდე ენას ითვლიან, რომლებიც ლინგვისტების მიერ გაერთიანებულია 15-ზე მეტ ენობრივ ოჯახში. ენობრივი ოჯახები ისეთი ენობრივი გაერთიანებებია, რომელთა შორის შესაძლებელია ნათესაობის (თუნდაც შორეულის) ან საერთო წარმოშობის დადგენა. ყველაზე ცნობილი, გავრცელებული და აღიარებული, ამავე დროს, შედარებით კარგად შესწავლილი ენობრივი ოჯახებია: ინდოევროპული, სემიტური, ქამიტური, უნგროფინური, ალთაური, ჩინურ-ტიბეტური, დრავიდული, იბერიულ-კავკასიური და სხვ. გამოყოფენ აგრეთვე მანჯურიულ-ტუნგუსურ, ახლო აღმოსავლეთის მკვდარ, ავსტრალიურ, შორეული აღმოსავლეთის, პალეოაზიურ და სხვა ენებს. ამათგან, ჩვენი საკითხისათვის შევჩერდებით ინდოევროპულ და იბერიულ-კავკასიურ ენებზე; ინდო-ევროპულზე იმიტომ, რომ იგი მოიცავს ჯერ ერთი, კაცობრიობის ნახევარზე მეტს და მეორეც, სხვებთან შედარებით უკეთესადაა შესწავლილი; ხოლო იბერიულ-კავკასიურზე იმიტომ, რომ ენების ამ ოჯახში ერთიანდება ჩვენი მშობლიური ქართველური ენები.

ინდოევროპულ ენებზე, როგორც აღინიშნა, ლაპარაკობს კაცობრიობის ნახევარზე მეტი, თითქმის 2,5 მილიარდი ადამიანი. იგი უძველესი დროიდან იყო გავრცელებული ინდოეთიდან ევროპამდე, საიდანაც მიიღო სახელწოდება. ზოგჯერ მათ „ინდოგერმანულ" ან „არიულ" ენებსაც უწოდებდნენ, მაგრამ ეს სახელწოდებები არასწორადაა მიჩნეული. რადგან პირველი მათგანი აღნიშნავს მის უკიდურეს გეოგრაფიულ საზღვრებს, ხოლო მეორე — მხოლოდ ინდურ და ირანულ ენებს. ამავე დროს, მეორე სახელწოდება

(„არიული“) ფაშიზმის იდეოლოგებმა შოვინისტური მოსაზრებებით გამოიყენეს. ამჟამად „ინდო-ევროპული ენები“ გავრცელებულია დედამიწის ყველა კონტინენტზე.

უძველესი ძეგლები ინდო-ევროპულ ენებზე ძვ. წ. II ათასწლეულით თარიღდება და მცირე აზიიდან მომდინარეობს. მაგრამ, როგორც ჩანს, ინდო-ევროპული ენები ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში არსებობდა. გარდა მცირე აზიისა, მათი წარმოშობის საშობლოდ მეცნიერთა ნაწილს შავიზღვისპირეთის სტეპები მიაჩნია.

უკანასკნელ ხანებში თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა წამოაყენეს ახალი, ე.წ. გლოტალური თეორია*, რომლის თანახმადაც ინდო-ევროპული ენებისა და ინდოევროპული ხალხების წარმოშობის ადგილად, მათ თავდაპირველ საშობლოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მესოპოტამიის ჩრდილოეთი ნაწილი. მდინარეების — ევფრატისა და ტიგროსის ზედა წელსა და მცირე კავკასიონს შორის მდებარე ტერიტორია. მართალია, ეს მოსაზრება დღეს ყველა სხვა მოსაზრებაზე უფრო მწყობრად, ვრცლად და თანამიმდევრულადაა მათ მიერ დასაბუთებული, მაგრამ მას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეებიც.

გლოტალური თეორიის მიხედვით, ინდო-ევროპულ ენებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში კონტაქტები უნდა ჰქონოდა როგორც ქართველურ, ისე სემიტურ ენებთან, ასეთი კონტაქტები კი შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ინდო-ევროპელები თავდაპირველად მოსახლეობდნენ მახლობელ აღმოსავლეთში და არა დასავლეთ ან აღმოსავლეთ ევროპაში, ანდა ბალკანეთზე. ასეთ ადგილად, როგორც აღინიშნა, ავტორების მიაჩნიათ წინა აზიის ჩრილოეთი ნაწილი — ამიერკავკასიის სამხრეთით ზემო მესოპოტამიამდე. აქედან ინდოევროპული ტომები გავრცელებულან მეტად დიდ ტერიტორიაზე როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი, მართალია, გამორიცხავენ ნათესაობას ინდოევროპულ და ქართველურ ენებს შორის, მაგრამ ჩვენი საკითხისათვის უდავოდ საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ მათი მოსაზრებით, ამ ენებს შორის კონტაქტების გზით, ინდოევროპულიდან ქართველურ ენებში შემოსულა შემდეგი სიტყვები: ღვინო, ულელი, ეშვი, მატლი, თხა, თიხა, სისხლი, გვერდი, ქმარი, ექვსი, ბრგე, ოთხი, კბენ (კბენა), ტფ (ტფილი) და სხვ.

კავკასიურ, ანუ იბერიულ-კავკასიურ ენებზე დაახლოებით 6 მლნ 600 ათასი ადამიანი ლაპარაკობს. მათ შორის, ქართველურ ენებზე დაახლოებით — 3 მლნ 800 ათასი (1989 წლის მონაცემებით). 1948 წლამდე ამ ენების

*გლოტალური მას ეწოდება იმიტომ, რომ ამ თეორიის ავტორები ინდოევროპულ ფუძე-ენაში აღადგენენ ე.წ. გლოტალიზებულ (გლოტალურ) ხშულებს; პ, ტ, წ, ფ, კ, ყ;

აღსანიშნავად ტერმინი „კავკასიური ენები“ იხმარებოდა, ხოლო ამ წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივით ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“. საქმე ისაა, რომ კავკასიაში წარმოდგენილი ყველა ენა საკუთრივ კავკასიური არ არის, კერძოდ, ინდოევროპულ და ალთაურ ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი აქ 12 მილიონ კაცზე მეტია (მათ შორის სომხურ ენაზე, მარტო სომხეთში 2,7 მლნ კაცი ლაპარაკობს, ოსურზე — დაახლოებით 570 ათასი და აზერბაიჯანულზე — მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე — 5 მილიონზე მეტი).

იბერიულ-კავკასიური ენები ქმნის 4 ჯგუფს: 1. ქართველური (ქართული, ზანური, სვანური), 2. აფხაზურ-ადიღეური (აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, უბიხური), 3. ნახური (ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბური) და 4. დაღესტნური (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი, ლაკურ-დარგუული ქვეჯგუფი, ლეზგიური ქვეჯგუფი). სულ ოთხსავე ჯგუფში 32 ენაა (აქედან 20 ენა დაღესტნის ჯგუფისაა). ამ ენებიდან უძველესი დამწერლობა მოეპოვება ქართულს. ქართული სალიტერატურო წერილობითი ძეგლები, პალესტინისა და ბოლნისის სიონის წარწერები, V საუკუნით თარიღდება.

რა სახით შეიძლება ლინგვისტური მონაცემების გამოყენება ეთნოლოგიის სამსახურში? როგორ გადავაქციოთ ლინგვისტური მონაცემები ეთნოლოგიის წყაროდ? საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ორიოდე მაგალითი ქართველური ენებიდან:

თანამედროვე ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა ძმა. ეს სიტყვა ამ სახით დასტურდება უკვე „შუშანიკის წამებაში“: ვარსქენმა შუშანიკთან „მიაელინა ჯოჯიკ, ძმაი თვისი“. მაშასადამე, მისი არსებობა დოკუმენტურად დასტურდება უკვე 1500 წლის მანძილზე, ამ სიტყვისთვის სხვა ქართველურ ენებში ერთი ფუძეა გაბატონებული, ოღონდ ოდნავ სახეშეცვლილი: ჭანურში ჯუმა, მეგრულში — ჯიმა, ხოლო სვანურში — ჯემილ. როგორც ვხედავთ, აქ ყველგან ძ-ს ნაცვლად, ჯ დასტურდება, რაც კანონზომიერი შეფარდებაა (იხ. ძაღლი — ჯოღორი). ანალოგიური კანონზომიერებანი დასტურდება სხვადასხვა ლითონის სახელის აღმნიშვნელი სიტყვების შედარებისას ქართველურ ენებში: ქართ. — ოქრო, მეგრ. — ორქო, სვან. — ვქრე; ქართ. — ვერცხლი, მეგრ. — ვარჩხილი, კვარჩხილი, სვან. — ვარჩხილი; ქართ. — რკინა, მეგრ. — კინა, სვან. — ერკინა და სხვ. მაშადამე, აშკარაა, რომ ეს სიტყვები მონათესავე ტომების ენების კუთვნილებაა. ამგვარი ლინგვისტური მონაცემები, სხვა მასალებთან ერთად, ეთნოლოგს ამ ტომების ერთიანი ეთნოგენეზის (წარმოშობის) დასკვნის საშუალებას აძლევს.

მეხუთე თავი

ეთნოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები

§ 1. უძველესი ცივილიზაციები

დედამიწაზე უძველესი ცივილიზაციების ჩასახვისა და წარმოშობის პირველ კერებად ითვლება შუამდინარეთი და ეგვიპტე. ამ ცივილიზაციებიდან არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული და ჩვენამდე მოღწეული როგორც მატერიალური კულტურის, ისე წერილობითი ძეგლები შეიცავს პირველ ეთნოგრაფიულ ცნობებს. მართალია, ეს ცნობები შედარებით ძნირი ხასიათისაა, მაგრამ წერილობით ძეგლებში შემონახული თუნდაც ხალხთა სახელწოდებები, ან რელიეფებსა და სხვადასხვა ტექნიკით შესრულებულ კედლის მხატვრობაში წარმოდგენილი ადამიანთა გამოსახულებები, ათი გარეგნობა, ფიზიკური ტიპი, ჩაცმულობა და სხვა, უფრო გარკვეული წყაროა ეთნოლოგიისათვის.

ეთნოგრაფიული ფაქტების პირველ ფიქსაციებად შეიძლება ჩაითვალოს ის ცნობები, რომლებიც წარმოდგენილია ბაბილონის, ასურეთის, ურარტუს, სპარსეთის და სხვა აღმოსავლურ სახელმწიფოთა მეფეების წარწერებში. ხალხთა სახელწოდებანი მათი საბრძოლო მარშრუტების აღწერილობაში, მათ მიერ დაპყრობილი ხალხების ან თვითონ მათი გამოსახულებანი კედლებში გამოკვეთილ რელიეფებზე, სადაც მათი ლაშქრობებია ასახულ-აღწერილი.

ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომლებიც ურარტუს უძველესი სახელმწიფოს ძეგლებშია დაცული. ამათში პირველად არის წერილობით ფიქსირებული ძველი ქართველი ტომების — კოლხებისა და დიაოხების სახელწოდებანი. მრავალრიცხოვან მატერიალური კულტურის ძეგლებში, რომელიც ურარტუს სახელმწიფოს ძველი ქალაქებისა და პოლიტიკური ცენტრების გათხრების დროს აღმოჩნდა, კარგად ჩანს სოციალური განვითარების დონე, რომელსაც ძველი წ.აღ. VIII-VI საუკუნეებში მიაღწია ამ სახელმწიფომ. აღმოჩენილია სამეურნეო და საბრძოლო დანიშნულების მრავალი ძეგლი მატერიალური და სულიერი კულტურის საგნები.

როგორც კი, დამწერლობის პირველი ჩანასახები გაჩნდა, ადამიანებმა დაიწყეს მათი მეზობელი თუ შორეული ხალხის შესახებ ცნობების ჩაწერა, მათთვის უჩვეულო და ამ ხალხებში მიღებული წესებისა და ადათების აღნუსხვა. უძველეს ეგვიპტურ ტექსტებში, რომლებიც ძველი სამეფოს

ხანას განეკუთვნებიან. მოიპოვება პირველი წერილობითი ცნობები მათი მეზობელი ხალხების — სირიის, პალესტინის, არაბეთისა და ცენტრალური აფრიკის ტომების შესახებ, რომელთანაც ძველ ეგვიპტელებს ჰქონდათ ურთიერთობა.

ბიბლიაში, რომლის უძველესი ნაწილი — დაბადება — ძვ. წ. VIII საუკუნეს განეკუთვნება, მრავალი ეთნოგრაფიული ცნობა და ფაქტია ფიქსირებული უძველესი ხალხების შესახებ; აქვეა მითები ხალხთა მამამთავრებად მიჩნეული ნოეს, აბრაამისა და მათი სხვა შთამომავლების წარმოშობის, გამრავლებისა და პირველი თავგადასავლების შესახებ და სხვ. ბიბლიური სქემის მიხედვით ადამიანები, ნოეს შვილების — სემის, ქამისა და იაფეტის შთამომავლები არიან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ იაფეტის შთამომავლებში შედიან თუბალ-თაბალები, მუშქ-მოსოხები და სხვა ტომები, რომლებშიც უძველეს ქართველ ტომთა წინაპრები იგულისხმებიან.

§ 2. ანტიკური ხანა

ძველბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები, მათი მეზობელი და შორეული ხალხების შესახებ, შედარებით ძველ აღმოსავლურ ცნობებთან, სისტემურ და მწყობრ ხასიათს ატარებს. ჰეროდოტე, ქსენოფონტე, სტრაბონი, ტაციტუსი და სხვა ავტორები დაწვრილებით აგვიწერენ როგორც მათი მეზობელი ეგეოსის აუზის ქვეყნისა და ხალხის, ისე უფრო შორეულ სახელმწიფოებს და მათ მოსახლეობას. მათ ნაწარმოებებში შემონახულია ცნობები ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების შესახებ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურ ავტორთა ცნობები სხვა ხალხების შესახებ ფართოდ გამოიყენებოდა მათ მიერვე ამ ხალხებთან სავაჭრო ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების დროს. ეთნოგრაფიული ცნობები ანტიკური ხანის ავტორებთან ძირითადად მოგზაურ, გეოგრაფოსების და ისტორიკოსების ოხზულებებშია წარმოდგენილი. საგანგებოდ გამოყოფენ გაიუს იულიუს კეისრის ჩანაწერებს ევროპის უძველესი ხალხების — გალების, გოთების, ბრიტანელების და სხვათა შესახებ, რომლებიც სამხედრო დანიშნულების ცნობებთან ერთად შეიცავენ ეთნოგრაფიულ ფაქტებს ამ ხალხების შესახებ.

ბერძნული ლიტერატურის უძველეს მხატვრულ ნაწარმოებებში — ჰ ო მ ე რ ო ს ი ს „ილიადასა“ და „ოდიესაში“ (IX-VIII სს. ძვ.წ.), მართალია, შეზღუდულ გეოგრაფიულ გარემოში (აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზი, მცირე აზიის სანაპირო ზოლი, ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილი...), მაგრამ უკვე წარმოდგენილია პირველი ეთნოგრაფიული ცნობები. მათ რიცხვს განეკუთვნება „ილიადის“ ე.წ. გემების კატალოგი, რომლებშიც ჩამოთვლილია იმ უძველეს დროს არსებული თემები და თემთა კავშირები. მეტი გეოგრაფიული გარემოა წარმოდგენილი მეორე ძველი

ბერძენი ავტორის — ჰესიოდეს (IXს. ძვ.წ.აღ.) პოემებში, ოუმცა როგორც ერთ, ისე მეორე ავტორთან, ჯერ კიდევ ბევრია ფანტაზიის ელემენტები. მეტ-ნაკლებად სწორი ფაქტები დასტურდება ძველბერძენი ხანის ანტიკურ მწერლობაში.

ძვ.წ. VII-V საუკუნეებში, ბერძენთა დიდი კოლონიზაციის პერიოდში ახალშენებმა დაფარა ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროები. ესპანეთიდან დაწყებული კავკასიისა და ყირიმის სანაპიროების ჩათვლით. ცხადია, ამ ფართო საკოლონიზაციო მოძრაობის დროს მათ ურთიერთობა უხდებოდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ეს ურთიერთობები როგორც ომიანი, ასევე სამტრო ხასიათისა იყო. საჭირო იყო ბოლი პირობების ცოდნა. ბერძნებმაც დაიწყეს ასეთი ცნობების შეკრება. ასეთი ხასიათის უძველესი ცნობები მოეპოვებათ ბერძენ ავტორებს. ე.წ. „ლოგოგრაფოსებს": ანაგან. სხვათა ჩანაწერების მიხედვით ჩვენამდე მოაღწია ძვ.წ. VI-V საუკუნეების ავტორების — ჰეკატე ძილეტელის, ჰელანიკე ლიტელენელის და სხვათა ჩანაწერები.

ანტიკურ ავტორთა ცნობების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება უძველეს ქართველ ტომებს, განსაკუთრებით დასავლურ-ქართულს — კოლხებს და მათ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას. საინტერესოა, რომ ეს ცნობები, გარდა აღწერილობითი ხასიათისა, შეიცავს გარკვეულ მოსაზრებებს. და შეიძლება ითქვას, ეთნოლოგიურ დაკვირვებებს ამ ტომთა წარმოშობის. მათი უძველესი გენეალოგიური კავშირების და სხვათა შესახებ. მაგ; ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნის ისტორიკოსი ჰ ე რ ო დ ო ტ ე (ძვ.წ. 484-425 წწ.) ავტორი ცნობილი თხზულებისა — „ისტორია" და ანტიკური ხანის ავტორთა შორის „ისტორიის მამად" მიჩნეული, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გვთავაზობს თავის დაკვირვებას კოლხების წარმომავლობის. გარეგნული აღწერილობის, სამეურნეო საქმიანობის, აგრეთვე მათი და მათი მონათესავე ტომების ჩაცმულობის, საომარი იარაღებისა და სხვ. შესახებ ჰეროდოტეს ისინი ეგვიპტელების ჩამომავლებად მიაჩნია. ჩვენთვის აქ მთავარია, ის, რომ ჰეროდოტე თავისი ამ მოსაზრების გადმოცემისას ხოგადი განცხადებით კი არ კმაყოფილდება, არამედ გარკვეულ არგუმენტს გვთავაზობს მის დასამტკიცებლად. მაგ; ორივე ხალხის ხუჭუჭთმიანობა. ორივე ხალხში წინდაცვეთის წესის გავრცელება და სხვ. ცხადია, ასეთ დაკვირვებათა წარმოდგენა, ფაქტების თუნდაც ელემენტარულად დაკავშირება. მათი ანალიზის ცდა და ამაზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება უკვე მეცნიერული ცოდნის ჩასახვის მაჩვენებელია.

ჰეროდოტეს ვარაუდი კოლხთა წარმომავლობის შესახებ ასეთია: 1. კოლხები ეგვიპტელები არიან. სეზოსტრისის ლაშქრის ნაწილი. რომლებიც მდ. ფაზისის სანაპიროზე დარჩნენ საცხოვრებლად; ორივენი შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები არიან; 2. ყოფა-ცხოვრების წესები კოლხებსა და ეგვიპ-

ტელების ერთნაირი აქვთ; 3. ენა საერთოა; 4. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები, აგრეთვე, ეთიოპიელები მისდევენ წინდაცვეთას; 5. სელს ამუშავებენ ერთნაირად;

როგორც აღინიშნა, ჰეროდოტეს ცნობით, „მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად. კოლხურ სელს ელინები სარდიონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი ეგვიპტურს". სელი, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, შემონახულია სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში. მესხეთში. მისი გამოყენების ძველი ტრადიციის მაჩვენებელია ის, რომ სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში სელის ნართისაგან თევზის საჭერ ბადეებს ამზადებდნენ. ძვ.წ. V-IV საუკუნეების მეორე ბერძენი ავტორი ქსენოფონტე რჩევას იძლევა, ასეთი ბადისათვის გამოიყენონ კოლხური სელის ნართი. არქეოლოგიური მასალის მიხედვით სელი საქართველოში გავრცელებული ყოფილა ჯერ კიდევ ძვ.წ. ათასწლეულში, ე.ი. დიდი ხნით ადრე ჰეროდოტემდე და ქსენოფონტემდე. სელის კულტურას ხანგრძლივი ისტორია აქვს საქართველოში და სათავეს იღებს ძველი კოლხეთის სამიწათმოქმედო კულტურიდან.

ჰეროდოტეს ცნობით ქართველური ტომები ხმარობენ შალის ტანსაცმელს, აკეთებენ საღებავს და ქსოვილის გალამაზების მიზნით ხატავენ მას.

ჰეროდოტეს ცნობებით, კოლხეთში ძვირადღირებული ლითონის საჭურველზე მხოლოდ საზოგადოების მაღალ ფენებს თუ მიუწვდებოდათ ხელი, ხოლო სხვები ტყავისა და ხის საჭურველს ატარებდნენ.

ანტიკური ხანის ავტორთა ცნობები ქართველ ტომთა და ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა შესახებ მრავალფეროვნებით და სიუხვით გამოირჩევა. ანტიკური სამყარო ამიერკავკასიისადმი ყოველთვის იჩენდა დიდ ინტერესს, როგორც ეკონომიკური ისე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, რაც შემდეგ მემკვიდრეობით გადაეცა ბიზანტიისა და მის ნანგრევებზე აღმოცენებულ სხვა პოლიტიკურ ერთეულებს. თითქმის ყველა ანტიკური ხანიდან მოიპოვება რაიმე ეთნოგრაფიული ცნობა, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური ცნობების შესახებ ქართველ ტომებზე. ზოგიერთ მათგანზე აქ მოკლედ მაინც უნდა აღინიშნოს.

ანტიკური ეპოქის ექიმი და ბუნებისმეტყველი, ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე ჰ ი პ ო კ რ ა ტ ე (ძვ.წ. 460-377 წწ.) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გეოგრაფიულ გარემოს, რომელშიც ადამიანებს უხდებოდათ ცხოვრება. ამიტომ ძველი კოლხეთის დახასიათებისას იგი დაწვრილებით აღწერს კოლხების ბუნებასა და იმ გარემოს, რომელშიც ადამიანები ცხოვრობდნენ. მისი ცნობით ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. წყლისაგან ქვეყანას დიდი ნისლი ადგას, ხოლო ადამიანებს ყვითელი ფერი ადევთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ცხადია, ჰიპოკრატეს დაკვირვებები შეეხება

მალარიით დაავადებულ ადამიანებს, რაც უთუოდ სწორია. ეს დაავადება აქ ჩვენს დრომდე გავრცელებული იყო და მხოლოდ XX საუკუნის 30-იან წლებში იქნა დაძლეული.

ქრონოლოგიურად ჰეროდოტეს მომდევნოა ბერძენი ისტორიკოსი თ უ კ ი დ ი დ ე, რომლის მიზნები და ამოცანები, პირველთან შედარებით, გაცილებით შემოფარგლული იყო — მან შეადგინა ისტორია. მხოლოდ ორი ხალხის ერთ მოვლენასთან დაკავშირებული ამბების შესახებ. კერძოდ, აღწერა პელოპონესის ომი, რომელიც გაიმართა ბერძნებსა და ძველ სპარსელებს შორის. მართალია, მისი ცნობები, ეთნოლოგიური თვალსაზრისით შედარებით ღარიბია — ზოგჯერ მხოლოდ ცალკეულ ხალხთა და ტომთა ჩამოთვლის დონეზეა წარმოდგენილი. მაგრამ ისინი მაინც ძვირფასია მაკედონიისა და თრაკიის ძველი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გასარკვევად.

ბერძენი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და სამხედრო პირი ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე (ძვ.წ. 434-355 წწ.) ავტორია ცნობილი ნაშრომისა — „ანაბაზისი" ანუ ლაშქრობა ქვეყნის სიღრმეში, რომელშიც აღწერილია ბერძენთა ჯარის დაბრუნება სპარსეთის დედაქალაქიდან უკან საშობლოში. ამ ნაშრომმა გაიარა ქართველების წინაპარი ზოგიერთი ძველი ტომების — მოსინიკების, ტაოხების, კოლხების, კარდუხების და სხვათა საცხოვრებელ ტერიტორიაზე. ქსენოფონტე თავის ჩანაწერებში ამ ტომთა ზნე-ჩვეულებებსაც აღწერს, რომელთაგან ჩვენ შევჩერდებით ერთზე. მისი ცნობით, ქართველ ტომებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული ხის კოშკების კულტურა. კოშკებში ცხოვრება იმდენად ყოფილა მიღებული, რომ ერთ-ერთი ქართველური ტომის ბელადს, მათ მეფეს, მეფობის პერიოდში კოშკიდან ჩამოსვლის უფლება არ ჰქონდა. იქიდან განაგებდა იგი თურმე ტომის საქმეებს, მაგრამ თუ იგი თავს ვერ გაართმევდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მათ შორის მოხუცებულობის გამო, მაშინ კოშკში სხვას დასვამდნენო — გადმოგვცემს ქსენოფონტე.

მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება კოლხების შესახებ ძვ.წ. III საუკუნის ბერძენ ეპიკოს პოეტს ა პ ო ლ ო ნ ი ო ს რ ო დ ო ს ე ლ ს. მისი პოეტური შემოქმედებიდან შემორჩენილია უმთავრესი — ვრცელი პოემა „არგონავტიკა", რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი იასონის წინამძღოლობით ბერძენი გმირების მიერ გემ „არგოთი" ოქროს საწმისის დასაუფლებლად კოლხეთში მოწყობილი ლაშქრობა და მათი თავგადასავალი.

„არგონავტიკის" II წიგნში დასახელებულია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომები: ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ბექირები, სასპერები, ბიძერები და კოლხები. „არგონავტიკის" ცნობით, მართალია ხალიბებმა აღმოაჩინეს რკინის მადნები და დიდი ჯაფით ამუშავებდნენ მათ. მართლაც, თანამედროვე მეცნიერებაში ერთხმად არის აღიარებული ქართველ ტომთა — მოსინიკების, თუბალების, ხალიბების დიდი დამსახურება ძველი დროის მეტალურგიის

განვითარებაში. კერძოდ, ხალიბების მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა რკინის დამუშავება და სხვა ხალხებმა მათგან ისწავლეს ეს საქმე. შემთხვევითი არაა, რომ ხალიბების სახელიდანაა წარმოებული ფოლადის ბერძნული სახელწოდება „ხალიფს", რაც „ხალიბურ ლითონს" ნიშნავს, აპოლონიოს როდოსელის ცნობით ერთ-ერთ ქართველურ ტომს მოსინიკებს სახელი შერქმეოდათ იმ კოშკებისაგან, რომლებშიც ცხოვრობდნენ და რომელთაც „მოსინებს" უწოდებენო. ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველ ტომთა მოსახლეობა „ხის კოშკებში" ცხოვრობდა, სწორი უნდა იყოს. ბერძნებს ხის კოშკებად მიუჩნევიათ კოლხეთში ძველთაგანვე გავრცელებული ხის სვეტებზე (ხიმინჯებზე) შემდგარი ოდა-სახლები.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის აპოლონიოს როდოსელი მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით. მისი ცნობით, კოლხებს ცოდვად მიაჩნდათ მიცვალებულთა დაწვა ან დამარხვა. ისინი გვამს ახვევდნენ ახალი დაკლული ხარის გამოუქნელ ტყავში და ჰკიდებდნენ მაღალ ხეებზე ქალაქგარეთ. ხეზე „დამარხვის" ეს წესი ადასტურებს მეცნიერებაში გავრცელებულ აზრს, საქართველოში ხის კულტის არსებობის შესახებ.

მნიშვნელოვანია აპოლონიოს როდოსელის ცნობა კვირბების შესახებ. იგი პირველი, ამასთან საერთოდ ერთ-ერთი უძველესი სხვა ხალხების ისტორიაში ცნობაა ძველ საქართველოში დამწერლობის არსებობის შესახებ. კოლხების ეს დამწერლობა დანარჩენი ხალხებისაგან განსხვავებული ყოფილა. კვირბებს კარტოგრაფიული დანიშნულებაც ჰქონიათ და მათ კოლხები პრაქტიკული მიზნითაც იყენებდნენ — მოგზაურობისათვის მათზე აღნიშნავდნენ წყლისა და ხმელეთის გზებისა და საზღვრების მდებარეობას.

აპოლონიოს როდოსელის ცნობით, მედეას დროინდელ კოლხეთში გავრცელებული ყოფილა წამალთმკეთებლობა, ექიმობა, მედიცინა, ფეიქრობა და სხვა.

ანტიკური ხანის ავტორთა შორის, ქართველ ტომთა შესახებ ცნობების სიუხვით და სანდოობით გამოირჩევა ს ტ რ ა ბ ო ნ ი, ავტორი თხზულებისა — „გეოგრაფია"; იგი მოღვაწეობდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. თავის თხზულებაში მან თავი მოუყარა, როგორც მის მიერ შეკრებილ, ასევე ძველ ავტორებთან შემონახულ ცნობებს, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს. სტრაბონს საფუძვლიანად უნდა სცოდნოდა კავკასიის, კერძოდ საქართველოს, სინამდვილე. შეიძლება ამის მიზეზი ისიც არის, რომ დედამისი ჩამომავლობით ლაზი იყო, თვითონ ქალაქ ამასიაში ცხოვრობდა, ბიძამისს (დედის ხაზით) ურთიერთობა ჰქონდა ქართველი ტომების წარმომადგენლებთან; ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, კარგი საფუძველი აღმოჩნდა სტრაბონისათვის უტყუარი ცნობების თავმოსაყრელად.

სტრაბონის ცნობები ქართველი ტომების შესახებ რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ჩვენ შევეხებით თითოეული ჯგუფიდან ერთ-ორ მნიშვნელოვან და სანდო ცნობას.

სტრაბონი იბერიის აღწერისას საგანგებოდ მიუთითებს მთისა და ბარის მოსახლეობის როგორც ზნე-ჩვეულებების, ისე მეურნეობის განსხვავებულობის შესახებ. ამ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რადგან განსხვავება მთასა და ბარს შორის დღესაც თვალნათლივ ჩანს და ასე იყო მთელი ისტორიის მანძილზე. მისივე ცნობით, ქვეყანაში იგრძნობა კულტურის მაღალი დონე, ბევრია ქალაქი, მათ აქვთ ბაზრები, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, აბანოები, საფუნდუკეები და სხვ. შენობები აგებულია არქიტექტურული ნორმების მიხედვით, გადახურული კრამიტით. მორთულია ხუროთმოძღვრული სამკაულებით. ყველაფერი ეს კარგად დადასტურდა და კვლავაც დასტურდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად. განსაკუთრებით იბერიის ძველი დედაქალაქის — მცხეთისა და მის გარშემო ტერიტორიაზე.

ქვეყნის სოციალური დახასიათებისას სტრაბონი აღწერს ოთხ გვარს, ოთხ გენეს. საზოგადოების ასეთი სოციალური დიფერენციაცია უეჭველ გულისხმობს იმ დროისათვის მონათმფლობელობის არსებობას, რაც ასევე კარგად დასტურდება არქეოლოგიური გათხრებით.

იბერიაში გავრცელებულ სარწმუნოებაზე სტრაბონი წერს, რომ აქ რელიგიის ძირითადი სახე იყო მნათობთა, კერძოდ, მთვარის ღვთაებისადმი თაყვანისცემა. ეს ცნობები დასტურდება თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თეთრი გიორგის კულტის არსებობის სახით.

ვფიქრობთ, იმის მაგალითზეც, რაც ქართველი ტომების შესახებ აქვთ ანტიკური ხანის ავტორებს გადმოცემული, ცხადი უნდა იყოს მათი ცნობების მნიშვნელობა ეთნოლოგიისათვის. მაგრამ მათ შორის მაინც განსაკუთრებით გამორჩეულია ტ ა ც ი ტ უ ს ი, მეორე საუკუნის მწერალი და ისტორიკოსი, რომელიც ეთნოლოგიის მამადაა აღიარებული. ტაციტუსის ნაშრომში „გერმანელების წარმოშობისა და გერმანიის ადგილმდებარეობის შესახებ", იმდენად დაწვრილებით და ამომწურავადაა აღწერილი და დახასიათებული მეორე საუკუნის გერმანელი ტომების სოციალური ვითარება, რომ მასზე დაყრდნობით, სრული უეჭველობით შეიძლება იმდროინდელი საზოგადოებრივი წესწყობილების დადგენა. ამ ცნობების მიხედვით მტკიცდება, რომ გერმანელი ტომები გვაროვნული წყობილების საფეხურზე იდგნენ, ხოლო მათში მატრიარქალური ხანის გადმონაშთებიც იყო შემორჩენილი.

ტაციტუსს თავისი ნაშრომი შედგენილი აქვს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. თუ როგორი ყოვლისმომცველი და მრავალფეროვანია მისი ცნობები გერმანელი ტომების შესახებ, ნათლად ჩანს ნაშრომის სქემის მიხედვითაც: 1. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები და მოსალხეობის სამეურნეო ყოფა; 2. სამხედრო ძალები — ფეხოსნები, წყობა, იარაღი; 3. პოლიტიკური წყობა — მეფეთა და სამხედრო წინამძღოლების არჩევითობა; 4. ქალების საზოგადოებრივი როლი — თავიანთი მეომარი ბუნებით ისინი კიდევ უფრო

წარმოაჩენენ სამხედროების საბრძოლო თვისებებს; 5. რელიგია და წეს-ჩვეულებები; 6. საზოგადოებრივი შეკრებები; 7. სასამართლო და სასჯელები; 8. სამხედრო ბელადები და რიგითი მეომრები; 9. ყოველდღიური საქმიანობა; 10. დასახლებები და ნაგებობათა ტიპები; 11. ტანსაცმელი; 12. საოჯახო და საქორწინო წესები; 13. ზნეობრიობა; 14. ბავშვების აღზრდა და ნათესაური ურთიერთობები; 15. სისხლის აღების წესი და სტუმართმოყვარეობა; 16. ღრეობები. საჭმლის სახეობები და გართობანი; 17. მონები და თავისუფალნი. 18; მიწის საკუთრების ფორმები და 19. დაკრძალვა;

ტაციტუსის "ნრომაში" შემონახულია, აგრეთვე, ცნობები სხვა ხალხების, კერძოდ იბერიელებისა და სომხების შესახებ. ამ ცნობათაგან განსაკუთრებით საინტერესოა დაზავების დროს ფიცის დადების ცერემონიალი, რომელიც იბერიისა და არმენიის (სომხეთის) მეფეებს ჩაუტარებიათ. ცერემონიალის კულმინაციური მომენტი ყოფილა მოფიცარი მხარეების მიერ მარჯვენა ხელების ცერების ერთმანეთტან მიტყუპება, მათი ღვედით გადანასკვა. მოწოლილი სისხლის ჩხვლეტით გამოშვება და შემდეგ რიგ-რიგობით ერთმანეთის თითებიდან სისხლის გამოწოვა. დაფიცების სისხლით დამტკიცება უთუოდ უძველესი წესის გადმონაშთი იყო.

ტაციტუსის მიერ II საუკუნეში დაფიქსირებული ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ იბერიელ ტომებს, იმ დროს, რომლის გადმონაშთსაც დაფიცების აღწერილი წესი წარმოადგენდა, გვაროვნული წყობილების საფეხური უნდა ჰქონოდათ გავლილი. საინტერესოა, რომ ფიცის მსგავსი წესი, კერძოდ სასმელში სისხლის ჩაწვეთება, კავკასიის მთის მოსახლეობაში XIX საუკუნეშიც იყო შემორჩენილი, რაც გვაროვნული წყობილების დროს შემუშავებული წეს-ჩვეულებების სიმტკიცის მაჩვენებელია და რა გასაკვირია, რომ II საუკუნეში იგი დადასტურებულიყო იბერიის მოსახლეობაში.

§ 3. შუა საუკუნეები (V-XIV სს.)

ახ.წ. V-VI საუკუნეებში მიმდინარე დიდმა ისტორიულმა პროცესებმა – ხალხთა გადასახლებამ, ბარბაროსების შემოსევებმა, უფრო ადრე მონოთეისტური რელიგიების ჩასახვამ და ჩამოყალიბებამ, ხოლო ამ დროიდან მათმა ფაროოდ გავრცელებამ და გაბატონებამ, გამოიწვია ანტიკური ცივილიზაციის დამხობა და საერთო-სამეურნეო და კულტურული დაქვეითება. ისტორიის ასპარეზზე ახალგამოსული ხალხები მხოლოდ ძარცვა-გლეჯითა და ახალ-ახალი სამფლობელოების შემოერთებით იყვნენ დაკავებულნი, თუმცა, თითო-ოროლა ავტორი, ძირითადად სასულიერო წრეებიდან, მაინც იყო, რომელთა ნაწერებიდან ეთნოგრაფიული ფაქტების ამოკრეფაც შეიძლება.

ერთი ამათგანია მე-6 საუკუნის ალექსანდრიელი ბერძენი კოზმა ინდიკოპლევსი. მისი ორი ნაშრომიდან – „ქრისტიანული ტოპოგრაფია" და

„ქრისტიანული კოსმოგრაფია“ — ჩვენამდე მოაღწია პირველმა და სწორედ მასშია გადმოცემული ზოგიერთი ეთნოგრაფიული ცნობა. „ქრისტიანულ ტოპოგრაფიაში“ კოზმა ინდიკოპლევსმა აღწერა თავისი მოგზაურობა ბიზანტიიდან ეგვიპტეში, ეგვიპტიდან აბისინიაში, ანუ ეთიოპიაში. ხოლო იქიდან ინდოეთში. ინდოეთში მოგზაურობის დროს იგი აგვიწერს მოსახლეობის ორ ეთნიკურ ჯგუფს — დრავიდებს და ინდუსებს. დრავიდები. მისი გადმოცემით, ადგილობრივი ავტოქტონური მოსახლეობაა, ხოლო ინდუსები — მოსული ხალხია.

ბიზანტიელ ავტორთა შორის, რომელთა შრომებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ანტიკური ისტორიოგრაფიის ტრადიციები, საგანგებოდ უნდა გამოიყოს VI საუკუნის ავტორი — პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი. 543-554 წწ. განეკუთვნება მისი ვრცელი ნაშრომი „იუსტინიანეს ომების ისტორია სპარსელებთან, ვანდალებთან და გოთებთან“. განსაკუთრებით მდიდარია ეთნოგრაფიული ცნობებით ამ შრომის მეორე ნაწილი — „ომები გოთებთან“, რომელშიც დასახელებულია სლავები, გერმანელები და, რაც ჩვენთვის საინტერესოა, კავკასიის ხალხები: გადმოცემულია ზოგი მათგანის წეს-ჩვეულებები. კავკასიის ხალხებს შორის პროკოპი აღწერს: ლაზებს, სანებს, სომხებს, მესხებს, იბერებს, ალანებს, აბასგებს, საბირებს და სხვ. საინტერესოა, რომ იგი საგანგებოდ განიხილავს ლეგენდას ამაზონთა-ტომის შესახებ და მას კავკასიას უკავშირებს, ცდილობს ამ ლეგენდაში რეალური მარცვლის მოძიებას.

მოგვიანო ხანის ავტორებთან, როგორებიცაა: იორდანე (VI ს.). მავრიკიუსი (IX ს.), მართალია, მოიპოვება რამდენადმე სანდო და ანგარიშგასაწევი ეთნოგრაფიული ცნობები, მაგრამ მათი ძირითადი დანიშნულება საისტორიო და სავაჭრო მიზნებია. ასევე პრაქტიკული მიზნებით იყო განპირობებული XIII-XIV საუკუნეებში ევროპელ მისიონერ-მოგზაურთა გამგზავრება აღმოსავლეთ ქვეყნებში. პლანო კარპინი, რუბრუკვუსი და მარკო პოლო პირველი ევროპელი ავტორებია, რომელთაც იმოგზაურეს ისეთ შორეულ ქვეყნებში, როგორიცაა მონღოლეთი და ჩინეთი და დაგვიტოვეს გარკვეული ეთნოგრაფიული ცნობები, ამ ხალხებისა და, აგრეთვე, იმათ შესახებ, ვისაც მოგზაურობის დროს გზად შეხვედრიან.

პლანო კარპინისა და რუბრუკვუსის აღმოსავლეთში გამგზავრების ძირითადი მიზანი იყო დაეზვერათ, თუ რამდენად შეიძლებოდა თათარ-მონღოლებთან კავშირის დაჭერა და მათი გამოყენება მუსლიმური მოძალების წინააღმდეგ, რასაც იმდროინდელი ევროპის ქვეყნები განიცდიდნენ. ხოლო ვენეციელი ვაჭრის — მარკო პოლოს ხანგრძლივი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში სავაჭრო ინტერესებთან იყო დაკავშირებული. საინტერესოა, რომ მარკო პოლოს თავისი მოგზაურობის შესახებ ჩანაწერები თვითონ არ უწარმოებია. იმ დროს, როდესაც იგი ევროპაში დაბრუნდა, მის მშობლიურ

ვენეციასა და გენუას შორის ომი წარმოებდა. მარკო პოლო ტყვედ ჩაუვარდა გენუელებს და მათ იგი ციხეში ჩასვეს. ციხეში იგი თანაპყრობილთ მოუთხრობდა აღმოსავლეთში მის მიერ ნანახის შესახებ. მოგვიანებით მისი ეს მონათხრობი გამოაქვეყნეს, რაც ჩვენთვის წყაროს წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ იგი თანამედროვეებს მოგონილი ეგონათ და მარკო პოლოს ფანტაზიას მიაწერდნენ. თუმცა, რაც დრო გადიოდა, თანდათან გაირკვა, რომ მასში მრავალი ღირსშესანიშნავი და სანდო ცნობაა სხვადასხვა ხალხის შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა, ახლოს არის სიმართლესთან და რეალურია ის ცნობები, რომლებიც პლანო კარპინიმ გადმოგვცა მონღოლების შესახებ. აი, მაგალითად როგორ აღწერს ის მონღოლთა საცხოვრებელს:

„მათი სადგომები მრგვალია, დამზადებულია კარვის მსგავსად და გაკეთებულია წკეპლებისა და წვრილი ჯოხებისაგან. სადგომის ზემოთ, შუაში, გაკეთებულია მრგვალი სარკმელი, საიდანაც შემოდის შუქი და გადის კვამლი — სადგომის შუაში მათ ხომ მუდმივად ცეცხლი უნთიათ. კედლები და ჭერი დაფარულია ქეჩით, ასევე ქეჩისაა სადგომის კარებიც. ზოგი სადგომი დიდია, ხოლო ზოგიც პატარა — პატრონის შესაძლებლობების შესაბამისად. ზოგი სადგომის სწრაფად დაშლა და სასაპალნე ცხოველებით გადატანა შეიძლება, ხოლო ზოგიერთი არ იშლება და ისინი საზიდრებით გადააქვთ. პატარა სადგომების გადატანისათვის საკმარისია ერთი ხარი, ხოლო დიდებისათის საჭიროა სამი, ოთხი და ზოგჯერ მეტი ხარიც. იმის შესაბამისად, თუ რა ზომისაა სადგომი. მაგრამ ერთი კია, რომ სადაც არ უნდა მიდიოდნენ ისინი, ომში თუ სხვა ადგილას გადასანაცვლებლად, ისინი ყოველთვის თანეზიდებიან თავიანთ საცოხვრებელ სადგომებს“.

დასახელებული სამი ევროპელი ავტორის ცნობებს გარკვეული მნიშვენლობა აქვს იმდროინდელი ქართული ყოფითი სინამდვილისათვის. მონღოლეთში წასვლისას ისინი გზად გადიოდნენ კავკასიაზე, კერძოდ, საქართველოზე. მათი ცნობებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კახეთში საუკეთესო ჯიშის ცხენები ყოფილა, მზადდებოდა მაღალი ხარისხის აბრეშუმი, რომელსაც სხვა ქვეყნებშიც დიდი გასავალი ჰქონია და ა.შ.

ევროპელ ავტორთა ცნობების შუქზე უთუოდ საინტერესოა ის მასალები. რომლებიც ქართველ ავტორებთანაა შემონახული მეზობელი თუ შორეული ხალხების შესახებ. ამათგან ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთზე — XIV საუკუნის ანონიმ ქართველ ისტორიკოსზე — ჟამთააღმწერელზე. მას სხვა ცნობებთან ერთად, მონღოლ-თათართა ყოფის სხვადასხვა მომენტი აქვს დაფიქსირებული. რაც უთუოდ საინტერესოა და ანგარიშგასაწევი. ყურადღებას იქცევს მის მიერ აღწერილი მონღოლის ტიპი, მისი გარეგნობის აღწერა: „არიან უცხო-ენა, უცხო-სახე, უცხო-ცხოვრება, პურისა გემო არა იცოდიან. ხორცითა და პირუტყუთა სძითა ცხოვნდებოდეს. ხოლო

იყვნეს ტანითა სრულ, გუამითა ახოვან და ძლიერ ფერხითა. შუენიერ და სპეტაკ ხორციოთა, თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან. განსილულ და საჩინო; თავითა დიდ, თმიოთა შავ და ხშირ, შუბლ-ბრტყელ. ცხვირითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყვნიან ცხვირთა და ძკირელნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევითარი აქუნდა უმსგავსი სახე. და ნუ კის გიკვირს, რომელ აღმატებული რამე შუენიერება აქუნდა ამათ ყოველთა. მამათა და დედათა. ხოლო ამას თანა მოეგოთ სიმხნე, და მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშვილდთა და უცთომოდ მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერამან საჭურველმან დადგნის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს მხნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის, საჭურველისა არასა მქონებელნი მშვილდისა და ისრისა კიდე" (ქ. ცხ; II, გვ. 158: 1-12).

ჟამთააღმწერელი მონღოლთა მხოლოდ გარეგნული აღწერილობით არ კმაყოფილდება. იგი გადმოგვცემს ცნობებს მათი სარწმუნოების შესახებ. „ამათ აქუნდათ სჯულად ეროისა ღმროისა უკუდავისა თაყუანისცემა. პირი მზის აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანისცემა, და შუა თითის წუერისა ნებსა ზედა დადება და დატკაცუნება. და ძეტი არარაი" (ქ. ცხ; II, გვ. 158: 19-21).

ძალზე საინტერესოა, რომ XIV საუკუნის ქართველი ავტორი თათარ-მონღოლთა შორის სხვადასხვა ხალხს გამოყოფს და მათ კულტურულ და ყოფით დონეს განასხვავებს. იგი წერს: „ამათნი ნათესავნი მრავალ გუარად განყოფილ იყვნეს და არიანცა ჯერეთ, რომელთა ათორმეტთა ოდენ მოკიხსენოთ სახელი: რამეთუ პირველი გუარი არს საყირთა, ჰინდნი, ყალმნი, ჯალირი, ოირდი, სულდუსი, ნიჰიმნი, ყონღარდი, მანღუთი, თანღუთი, ყიათი და უღურნი" (ქ. ცხ; II, გვ. 160: 3-6). ნიშანდობლივია ისიც, რომ უიღურებს საგანგებოდ გამოყოფს და მათ ყოფას ცალკე აღწერს ჟამთააღმწერელი. ეტყობა, მისთვისაც ცნობილია ამჟამად კარგად ცნობილი ფაქტი, რომ უიღურები როგორც სოციალური განვითარების, ისე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონით გამოირჩეოდნენ და რამდენადმე მაღლა იდგნენ იმდროინდელი მონღოლ-თათრული მოდგმის ხალხებზე. მიუხედავად ვრცელი ამონაწერისა, მაინც უნდა დავიმოწმოთ ჟამთააღმწერლის ეს უაღრესად საინტერესო ეთნოგრაფიული ცნობები. აი, რას წერს იგი უიღურთა მცხოვრებზე; „ხოლო უღურნი კერპის მსახურ იყვნეს, რომელთა ქუჯნად უჩმოდეს (ცოტა ქვემოთ — ქ. ცხ; II, გვ. 160: 6-7, მონღოლ-თათართა ტოტემის აღწერის დასასრულს იგი კვლავ იმეორებს: „ხოლო უღურნი კერპისმსახურნი არიან, რომელთა უწოდენ ქუნჯითად"). ხოლო მოიპოვეს წერილიცა ამა მცირედითა ასოთა, რამეთუ ათექუსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწავლოცა არს და ადვილ გულისხმის-საყოფელ. ამათვე შექმნეს ქრონიკონის სახედ ათორმეტი წელიწადი ათორმეტთა პირუტყუ-

თა ცხოველთა სახელსა ზედა, და თითოსა პირუტყუსა და ცხოველსა თითოსა წლის მთავრობა განუჩინეს, ვითარ ძუელ ოდესმე ელინთა ბრძენთა ათორმეტთა ზოდთა, რომელ არიან ეტლნი მზისა და მთვარისანი. მათ ეტლთა თითოეულთა მისცეს მზისა საჯდომად ოცდაათ-ათი დღე (არა თუ ცხოველნი არიან, არამედ ზოდნი), ეგრეთვე ამათ თვითოსა წელიწადსა მთავრობა განუჩინეს, თვითოსა პირუტყვისა, რომლითა თორმეტივე გათავდების და თავსავე დაიწყებს, ვითარ ათცხრამეტული, ათცამეტული, ზედნადები და ზედექუსეული, რამეთუ ცხრამეტ წლად გააწევს, და მერმე თავისავე დაიწყებს, და ეგრეთვე ესე თორმეტ წლად გააწევს, და მერმე თავადვე დაიწყებს, რომელსა უწოდენ სახელად ესრეთ: ყულღუნჯილ, უქურჯილ, ფარსინჯილ, თავლაინჯილ, ლუილჯილ, მოღილჯილ, მორინჯილ, ყონინჯილ, მეჩინჯილ, თაღანჯილ, ნოხინჯილ, ყაყაინჯილ. ესე არს სახელი ათორმეტთა ცხოველთა, რომელთა მისცეს მთვარობა თვითოსა წლისა თვითოსა პირუტყვისა, რომელისა პირველად თავყვეს ყალღუნ, რომელ არს თაგვი, მერე ზრობა, ავაზა, კურდღელი, ვეშაპი, გუელი, ცხენი, ცხოვარი, ყაპუზუნა, ქათამი, ძაღლი და ღორი". (ქ. ცხ; II, გვ. 158: 22-159: 1-18).

ჟამთააღმწერელი არც იულურთა სარწმუნოებას ივიწყებს და წერს: „ხოლო აქუნდათ წესად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, რომელსა თენგრი ეწოდეს ენითა მათითა. და წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს: „მანგუ თენგრი ქუჩუნდურ", ესე არს: „უკუდავისა ღმრთისა ძალითა" (ქ. ცხ; II, გვ. 159: 19-21).

რაც შეეხება უიღურთა საკვებს, მათ შესახებ ჟამთააღმწერელს შემდეგი ცნობა მოეპოვება: „ხოლო ესენი მცირედთა საზრდელთა განეშორებოდეს, რამეთუ ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ხორცსა კატისა, ძაღლსა და ყოველსავე" (ქ. ცხ; II, გვ. 160: 1-2).

აი, ასეთი სრული და ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა მოვლენის მომცველია ის ცნობები, რომლებსაც XIV საუკუნის შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს მონღოლ-თათართა შესახებ. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა ხაზგასმული ამ ცნობების უაღრესად სანდო ხასიათი და მაღალი დონე.

§ 4. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა (XV-XVII სს.)

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალი ეპოქა იწყება არა მარტო ევროპის სახელმწიფოების, არამედ ეთნოლოგიის ისტორიაშიც. კაპიტალისტური ელემენტების ჩასახვამ, ნედლეულისა და გასაღების ახალი ბაზრების მოპოვების ძიებამ, ქრისტიანობის გავრცელებისათვის მისიონერული მოძრაობის ფართოდ გაშლამ გამოიწვია, ე.წ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩე-

ნები. ახალი მიწების აღმოჩენამ და დაპყრობამ, კოლონიური იმპერიების ჩამოყალიბებამ, ჯერ ესპანეთისა და ინგლისის მიერ, არაჩვეულებრივად გააფართოვა ევროპის ხალხთა თვალსაწიერი. ცენტრალური, სამხრეთი და ჩრდილოეთი ამერიკის, აფრიკის სანაპირო ზოლის, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების, რამდენადმე მოგვიანებით, ავსტრალიის, ოკეანეთის და მრავალი სხვა ახალი ქვეყნისა და ხალხის აღმოჩენამ ევროპელებს გააცნო ხალხები, რომელთა დიდი ნაწილის არსებობის შესახებ მათ ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ყველაზე მეტად ევროპელები გააოცა იმან, რომ ახალაღმოჩენილ ხალხებში არ არსებობდა კერძო საკუთრება, სხვადასხვა კლასი, საერთოდ, სახელმწიფო წყობილების სისტემა.

ამ პირველ ევროპელ მოგზაურებსა და კოლონიზატორებს შორის, რომლებიც დიდი სიმამაცისა და გმირობის ფასად მიმართავდნენ შორეულ მოგზაურობებს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ვასკო და გამის, ქრისტეფორე კოლუმბისა და მაგელანის სახელები.

პორტუგალიელ ზღვაოსანთა შორის ყველაზე ცნობილმა და სახელგანთქმულმა ვასკო და გამამ 1497-1498 წლებში განახორციელა ცნობილი მოგზაურობა ევროპიდან ინდოეთში აფრიკის კონტინენტის სამხრეთიდან შემოვლის გზით და დაიპყრო იქ პირველი პუნქტი — კალკუტა. შემდეგში, XVI საუკუნის პირველ ორ ათწლეულში პორტუგალიელები ეწვივნენ აზიის სხვადასხვა ქვეყანას და მათ დაიპყრეს ცეილონი, გოა, იავა, მოლუკის კუნძულები, კანტონი, სამხრეთ ჩინეთი, მაკაო (1520 წელს, რომელსაც დღემდე ფლობენ), იაპონიის კუნძულები, მათ შორის კიუსიუ.

1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბის პირველი მოგზაურობის შედეგად, ამერიკის კონტინენტზე აღმოჩენილ იქნა კარიბის ზღვის აუზი. ასევე მან მოჰყვა ცენტრალური ამერიკის სხვა ადგილებისა და ტერიტორიების აღმოჩენა, რამაც ესპანეთის სამეფოს ვრცელი სამფლობელოები შესძინა. ჩრდილოეთით მექსიკიდან სამხრეთ პერუმდე და ჩილემდე. მთელ ამ ტერიტორიაზე ესპანელმა დამპყრობლებმა — კონკისტადორებმა დაიმორჩილეს ადგილობრივი მოსახლეობა, გაძარცვეს ისინი, დაანგრიეს ხუროთმოძღვრული ძეგლები და მხოლოდ ნგრევისა და გაჩანაგების კვალი დატოვეს აქ.

1519-1521 წლებში ესპანეთის სამეფოს კარაველებმა პორტუგალიელი მაგელანის მეთაურობით განახორციელეს პირველი მოგზაურობა ლედამიწის გარშემო. გადაკვეთეს ატლანტის ოკეანე, სამხრეთიდან შემოუარეს ამერიკის კონტინენტს, გავიდნენ წყნარი ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეებზე და მიადგნენ ფილიპინების კუნძულებს. აქ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიღუპა თვითონ მაგელანი და ექსპედიციის მხოლოდ ერთმა გემმა ჩააღწია სამშობლოში.

პირველი ეთნოლოგიური ცოდნა ახალაღმოჩენილი ქვეყნებისა და ხალხების შესახებ თავმოყრილი იყო მოგზაურთა ანგარიშებში. ვაჭართა მი-

ნათხრობებში; აგრეთვე უცხო ქვეყნებიდან ჩამოტანილ სხვადასხვა ნივთსა თუ საგანში. შემდეგში კოლონიური ექსპანსიის თანდათან ფართოდ გაშლას თან მოჰყვა ახალაღმოჩენილი კულტურებისა და ხალხების მასობრივი განადგურება და გაუქრობა. განსაკუთრებით განადგურდა ამერიკელ ინდიელთა მრავალსაუკუნოვანი და მაღალგანვითარებული ცივილიზაციები. ამიტომ ეთნოლოგიისათვის ძალზე ფასეულია ის პირველი ჩანაწერები, რომლებიც გააკეთეს ევროპელმა მოგზაურებმა და ზღვაოსნებმა, მისიონერებმა და ვაჭრებმა ახალაღმოჩენილი ქვეყნების გაცნობისას. მათგან უნდა აღინიშნოს ქრისტეფორე კოლუმბის „დღიურები, წერილები და დოკუმენტები", ა. პიგაფეტას „მაგელანის მოგზაურობა", ბერნარ დიას დელ კასტილიოს, ბარტოლომე დე ლას კასასის, დიეგო დე ლანდას და სხვათა თხზულებები.

ეთნოლოგიის განვითარებისათვის ყველა ზემოთჩამოთვლილ ნაოსნობას, ლაშქრობას თუ დაპყრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მოკლე დროის განმავლობაში არაჩვეულებრივად გაიზარდა ხალხის როგორც გეოგრაფიული, ასევე ეთნოლოგიური თვალთახედვა. შემდგომ წლებში იგი კიდევ უფრო ფართოვდებოდა. დასავლეთ ევროპის ვიწრო სამყაროს ნაცვლად, მეზღვაურებისა და კონკისტადორების თვალწინ გადაიშალა ტყეების დიდი მასივები, უზარმაზარი სტეპები და დაბლობები, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული კლიმატური პირობებით. დედამიწის ზედაპირი ბევრად უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ადრე წარმოედგინათ. გამოირკვა, რომ დასავლეთით, ატლანტის ოკეანის იქით, არის უდიდესი მატერიკი, რომლისგანაც უფრო შორს, დასავლეთისაკენ მდებარეობს კიდევ უფრო დიდი — წყნარი ოკეანე და მხოლოდ მისი გადაცურვის შემდეგ ხდება შესაძლებელი აზიის სანაპიროებამდე მიღწევა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპელთათვის იყო ის, რომ ახალაღმოჩენილ ქვეყნებში სახლობდნენ ხალხები, რომელთა არსებობის შესახებ მათ ადრე არაფერი იცოდნენ. ჯერ ერთი, ეს ხალხები ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ხოლო შემდეგ, კიდევ უფრო მეტად, თვით ევროპელებისაგან — ფიზიკურად, ჩაცმულობით, ცხოვრების პირობებით, ენით, რელიგიით, წეს-ჩვეულებებით, თავიანთ ანგარიშებში, წერილებსა და მემუარებში ევროპელები, უპირველეს ყოვლისა, იმას აღნიშნავდნენ, რაც მათთის უცნობი იყო ამ ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში. მაგალითად, პიგაფეტი ინდიელთა ერთ-ერთი ტომის — ტუპის აღწერისას აღნიშნავდა, რომ „ისინი შიშვლები დადიან, მიუხედავად იმისა, რომ ტანს ბალანიც კი არ უფარავთ". კუნძულ გუამის მაცხოვრებლებზე კი ამბობს: „ისინი შიშვლები დადიან, ზოგი მათგანი ატარებს წვერს და შავ თმას, რომელიც წელამდე სწვდებათ".

ყველაზე მეტად ევროპელებს ამ ხალხის ხასიათში ერთი თვისება აცვიფრებდათ — მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ კერძო საკუთრებაზე. ევროპელთაგან მიღებულ საჩუქრებს ისინი იქვე უნაწილებდნენ სხვებსაც და

გულუხვად არიგებდნენ, რაც ჰქონდათ. აი, რას წერს ამის შესახებ კოლუმბი: „მას მერე, რაც ისინი (ესპანიოლის კუნძულის მცხოვრებლები) დამშვიდდნენ, გაუქრათ შიში, მოგვენდნენ და ამის შემდეგ ისეთი გულუხვობით გვირიგებდნენ, რაც კი ებადათ, რომ თუ თვითონ მნახველი არა, სხვა არც კი დაიჯერებს". მე ვერ გავიგე, — წერს იგი, — აქვთ თუ არა მათ საკუთრება, მე ვამჩნევდი, რომ ის, რასაც ფლობდა ერთი — ყველაზე თანაბრად იყოფოდა". კუნძულის მცხოვრებთა ამ გულუხვობის შესახებ კოლუმბი ხშირად მიუთითებს თავის ნაშრომში.

მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ევროპელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეხვედრები ტრაგიკულად მთავრდებოდა. მაგალითად, ოგიეკე ვიგაფეტა გუამის კუნძულებთან მომხდარის შესახებ წერდა, რომ „კაპიტან-გენერალმა (მაგელანმა) გადაწყვიტა ერთ დიდ კუნძულთან შეჩერება, რათა სამელი წყლით მოემარაგებინა ხომალდი, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა, რადგან კუნძულის მცხოვრებლები ძარცვავდნენ ხომალდებს. მათ მოიპარეს ნავი, რომელიც ხომალდზე იყო მიმაგრებული. მაშინ კაპიტან-გენერალმა, აღშფოთებულმა, ნაპირზე გადასვა 40 თუ 50 შეიარაღებული ადამიანი. მათ გადაწვეს 50-მდე ქოხი და მრავალი ნავი, მოკლეს შვიდი ადგილობრივი მკვიდრი". ასეთი ინციდენტი ბევრი იყო. გულიბრყვილო ადგილობრივი მოსახლეობა იპარავდა მისთვის უცხო ნივთებს, მაგრამ ვერ ხედავდა ამაში დიდ დანაშაულს.

რა ნაშრომები შეიქმნა ამ პერიოდში ახალაღმოჩენილი და დაპყრობილი ხალხების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ეთნოლოგიისათვის?

ამერიკელ ინდიელთა ყოფის პირველი სისტემატური აღწერილობა ეკუთვნის იტალიელ ჰუმანისტს პიეტრო (პედრო) მარტირას. მისი ნაშრომი „ახალი სამყაროს შესახებ" გამოიცა 1530 წელს.

რამდენადმე მოგვიანებით, ასევე ინდიელების შესახებ გამოიცა ფრანციზკო ლოპას დე გომარას ნაშრომი. იგი ძალზე დაწვრილებით აღწერს ინდიელთა ყოფას, ეხება ვესტ-ინდოეთის კუნძულებს და სამხრეთ ამერიკის ზღვისპირა ნაწილებს, აქვე ეხება იგი მათ სოციალურ, რელიგიურ თუ მატერიალური კულტურის საკითხებს.

1566 წელს დაიწერა დიეგო დე ლანდას ნაშრომი „ცნობები იუკატანის საქმეების შესახებ". ლანდა ეპისკოპოსი იყო, რომელიც დევნიდა წარმართი ინდიელებს და საშინელი წამებით ნერგავდა აქ კათოლიკურ რელიგიას. ამან ასეთივე სიმკაცრე გამოიჩინა ინდიელთა კულტურული მემკვიდრეობის მიმართაც: გაანადგურა მაიას ტომის ყველა ხელნაწერი — მაიას ტომის დამწერლობისა და ისტორიის ეს ძვირფასი ძეგლები. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მან მოგვცა საკმაოდ სანდო აღწერილობა მაიას ტომის ინდიელების ყოფის სხვადასხვა საკითხზე. აღწერა მათი მეურნეობა, მატერიალური კულტურის ძეგლები (დასახლებანი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა, საკვები,

ტანსაცმელი, ხელოსნობის დარგები და სხვ.), ასევე, ოჯახის განვითარების ფორმები, სხვადასხვა წეს-ჩვეულება, რელიგიური წესები და, რაც ყველაზე საინტერესოა მეცნიერებისათვის, მაიას ტომის თავისებური დამწერლობა — სწორედ ის დამწერლობა, რომლის ძეგლები თვითონ ლანდამ დაუნდობლად დაწვა და რომელთა გაშიფრვა მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში მოხერხდა მის მიერ ჩაწერილი მაიას „ალფაბეტის" წყალობით.

გაჩნდა ასევე სხვა რეგიონების გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობებიც. მაგალითად, ევროპული ჩრდილოეთის ქვეყნებს მიეძღვნა ოლაის (უფსალის არქიეპისკოპოსი) 1555 წელს რომში ლათინურ ენაზე გამოქვეყნებული დიდი ნაშრომი — „ჩრდილოეთის ხალხთა ისტორია". წიგნში გადმოცემულია სრულიად სხვადასხვა ცნობა, რომელიც ეხება ნორვეგიის, სკრიფინიის, ლაპიის, ბირმიისა და სხვა ხალხებს.

XVII საუკუნის შუა ხანებში იმავე ჩრდილოელი ხალხის შესახებ გამოჩნდა უფსალის უნივერსიტეტის პროფესორის — იოჰან შეფერის ნაშრომი, მიძღვნილი ლაპლანდიისა და მისი მცხოვრები ლოპარებისადმი. ნაშრომი შედგენილი იყო ლოპარების წერილობითი წყაროებისა და ზეპირი გადმოცემების მიხედვით. ავტორი აღწერს ამ ხალხის მატერიალური ყოფის სხვადასხვა მხარეს, ოჯახურ წყობას, წესებს, რელიგიას. წიგნს დართული აქვს მრავალრიცხოვანი ილუსტრაცია. ავტორი აყენებს ლოპარების წარმოშობის, ენისა და სხვა საკითხებს. წიგნი თავდაპირველად 1673 წელს გამოქვეყნდა ლათინურ ენაზე, ხოლო შემდეგ ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზე,

რა ახალი იდეები ჩნდებოდა იმდროინდელი ევროპელების აზროვნებაში მათი ჰორიზონტის გაფართოებასთან დაკავშირებით? როგორ შეითვისეს და გაიაზრეს ყველა ეს ახალი ცნობა სხვადასხვა ქვეყნის აქამდე უცნობი ხალხების შესახებ?

ევროპელებისათვის უჩვეულო იყო ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის გარეგნობა და ეს მათ ხშირად ისე აოცებდა, რომ ზოგიერთები კითხვას სვამდნენ — ადამიანები არიან თუ რაღაც სხვა სახის ცოცხალი არსებანი. ეს საკითხი იმდენად სერიოზულად იდგა, განსაკუთრებით სასულიერო წრეებში, რომ საჭირო გახდა რომის პაპის საგანგებო ბრძანება, რათა დაემტკიცებინა, რომ ამერიკის მცხოვრებნი ნამდვილი ადამიანები არიან, რომლებიც, როგორც სხვები, ევასა და ადამისგან წარმოიშვნენო.

აღიძრა კითხვა — საიდან გაჩნდნენ ეს ახალაღმოჩენილი ადამისა და ევას მემკვიდრენი, თუკი მათ შესახებ არაფერია ნათქვამი ბიბლიაში? ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა ჰიპოთეზა — ხომ არ არიან ისინი დაკარგული ისრაელის ტომის ჩამომავლები, რომელთა ბედზე შუა საუკუნეების ღვთისმსახურები სხვადასხვა მოსაზრებას ავრცელებდნენ. პირველი, ვინც ეს აზრი გამოთქვა, იყო ბარტოლომე დე ლას კასასი და დიეგო დე ლანდა,

უფრო მოგვიანებით კი გრიგორიო გარსია და სხვები; სხვა ავტორები ვარაუდობდნენ, რომ ამერიკის მცხოვრებნი არიან ატლანტიდის მკვიდრთა შთამომავალნი, რომლებზეც წერდნენ ანტიკური ხანის ავტორები. ორივე ამ ვარაუდს მომხრეები ჰყავდა XIX საუკუნეშიც.

ამ ჰიპოთეზათა აშკარად გულუბრყვილო ხასიათის მიუხედავად, მათში ჩანასახის ფორმით ილანდება მეცნიერული ცნობისმოყვარეობა ამ ხალხების ეთნოგენეზის პრობლემის გარშემო.

თვითონ სახელწოდება „ინდიელები" ამერიკის ადგილობრივ მკვიდრთ დაერქვა ჯერ კიდევ კოლუმბის დროიდან და მათი ეთნიკური კუთვნილების შეცდომით განსაზღვრის შედეგია. კოლუმბი და მასთან სხვებიც ახალაღმოჩენილ ქვეყანას ინდოეთად მიიჩნევდნენ და ამ წარმოდგენის საფუძველზე მოსახლეობასაც შესაფერი სახელი დაარქვეს.

ახალი მიწების აღმოჩენთა ზოგიერთ ადრეულ ნაწარმოებში ჩვენ ვხვდებით ისეთ ეთნოგრაფიულ ცნობებსაც, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ნაბეჭდ მეცნიერულ აღმოჩენად. ჯერ კიდევ კოლუმბმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ კუბის მოსახლეობა ცხოვრობდა გვაროვნულ ტომებად. ორიგინალურ ამ სახლში „ცხოვრობდა ბევრი ხალხი, რომლებიც, როგორც ჩანს ნათესავები იყვნენ. ე.ი. ერთი წინაპარი ჰყავდათ".

ამგვარი ცნობები დროთა განმავლობაში თანდათან გროვდებოდა და მათ შექმნეს საფუძველი თემურ-გვაროვნული წყობილების არსებობის კონცეფციისათვის.

§ 5. ეთნოლოგიური ცოდნის განვითარება XVIII საუკუნეში

კოლონიური ექსპანსიები ახალაღმოჩენილ ქვეყნებში გრძელდებოდა XVIII საუკუნეშიც. ამ დროისათვის ევროპაში დაგროვდა დიდძალი ფაქტობრივი მასალა მანამდე უცნობი ხალხებისა და ქვეყნების შესახებ. საჭირო იყო ამ მასალის გააზრება და სათანადო დასკვნების გაკეთება. მეცნიეროა შორის თანდათან მომწიფდა იდეალიზებული წარმოდგენები კაცობრიობის განვითარების პირველყოფილი პერიოდის, როგორც ოქროს ხანის, ბედნიერი ეპოქის შესახებ. პირველყოფილ ადამიანებს წარმოსახავდნენ, როგორც „კეთილ ველურებს". „კეთილი ველურების" შესახებ იდეა განსაკუთრებით გავრცელდა XVIII საუკუნეშიც ფრანგი განმანათლებლების — რუსოს, დიდროსა და სხვათა წყალობით. მას პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები იყენებდნენ მაშინ ფართოდ გაბატონებული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაგრამ ამ ეპოქაში ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ ინტენსიურად მიმდინარეობდა მოპოვებული ფაქტობრივი მასალის გააზრების და ამის შედეგად კაცობრიობის განვითარების ისტორიაში სხვადასხვა სტადიის

გამოყოფისა და დადგენის ცდები. კვლავ აღორძინდა ანტიკურ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული იდეა გეოგრაფიული გარემოს დიდი მნიშვნელობის შესახებ; ამ მოძღვრების თანახმად, რომელიც მონტესკიემ განავითარა, ადამიანი, ხალხი, წეს-ჩვეულებები ბუნებრივი გარემოს ზემოქმედების შედეგადაა მიღებული. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფართოდ გავრცელდა იდეა „კეთილი ველურის" შესახებ; ტიურგომ, ფერგიუნსონმა, ვოლტერმა შეიმუშავეს კულტურული განვითარების ზოგადისტორიული სტადიების სქემა და სხვ. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ბურჟუაზიული ევროპის კოლონიური ექსპანსიის ეპოქაში ეთნოლოგია ასრულებდა, პირველ რიგში, იმ მეცნიერების როლს, რომელიც შეისწავლიდა მრავალრიცხოვან კოლონიურ საკუთრებებში მოსახლე ხალხებისა და ადგილობრივ მცხოვრებლების.

სწორედ ამ პერიოდში ეთნოლოგიაში შემუშავდა ის არსებითი თავისებურება, რომლის თანახმადაც კვლევის საგანია განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩენილი, უმწერლობო ხალხების შესწავლა. განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი ე.წ. ეგზოტიკური ხალხების მიმართ, რომელთა შესახებ მოგზაურები, მისიონერები და სხვ. ბევრ უცნაურსა და ევროპული ყოფისაგან განსხვავებულ ფაქტებს გადმოსცემდნენ. ამიტომ დიდძალი მასალის დაგროვება, მისი გააზრებისა და ანალიზის ცდები საფუძველს ქმნიდა ეთნოლოგიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებისათვის.

მოკლედ განვიხილოთ მოგზაურთა დაკვირვებანი, ის უმთავრესი ნაშრომები, რომლებიც შეიქმნა XVIII საუკუნეში და, რომელთაც შემდგომ არსებითად განაპირობეს ეთნოლოგიის, როგორც მეცნიერების, დარგის ჩამოყალიბება.

XVIII საუკუნის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით საინტერესოა პიერ დე შარლვუას დაკვირვებანი. იგი ცხოვრობდა და მოგზაურობდა კანადაში ჯერ 1705-1709 წლებში, ხოლო შემდეგ 1720-1722 წლებში. მისი ნაშრომი გამოიცა ფრანგულ ენაზე 1744 წელს, ხოლო ამ წიგნის ინგლისური თარგმანი 1761 წელს. ნაშრომში თხრობა წერილების სახითაა წარმოდგენილი, სადაც დაკვირვებული მოგზაური გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას. იგი ახლოს იყო ირიოკეზებთან, ალგონკინელ და სხვა ტომებთან. აღწერს ინდიელების ყოფისა და კულტურის დადებით მხარეებს. ერთგან პიერ დე შარლვუა წერს: „უნდა ითქვას, რომ, რაც უფრო ახლო ვეცნობით ინდიელებს, მით უფრო მეტ დადებით თვისებებს აღმოვაჩენთ ხოლმე მათში". იქვე ინდიელთა ტოტემიზმის შესახებ გადმოგვცემს საინტერესო ცნობებს: „თითოეული ტომის წევრი ატარებს რომელიმე ცხოველის სახელს. მაგალითად, ჰურონების ტომის ზოგი წარმომადგენელი ატარებს დათვის სახელს, დანარჩენები კი თავის ტოტემად ოვლიან კუს ან მგელს".

შარლვუამ შემოგვინახა დაკვირვებანი ალგონკინელთა და ირიკეზთა ტომებში არსებულ მატრიარქალურ წესებზე: „ქალების აქვთ დიდი ავტორი-

ტეტი ჰურონთა "მორის", მაგრამ იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ „ქალების პრიორიტეტი წმინდა თეორიულ სახეს ატარებს და რომ პრაქტიკულად მამაკაცებს უფრო მეტი წონა აქვთ". მას მოეპოვება ცნობები სატომო საბჭოზე ტომის საქმეების გადაწყვეტის წესის შესახებ და სხვ.

არანაკლებ საინტერესოა იეზუიტი მისიონერის ჟოზეფ-ფრანსუა ლაფიტოს ცნობები, რომელიც გარდა პირადი ოცდახუთწლიანი დაკვირვებისა, იყენებდა თავისი ორდენის სხვა წევრთა მონათხრობებსაც, კერძოდ, ჟიულიენ გარნეს ცნობებს, რომელმაც ინდიელებთან 60 წელზე მეტი გაატარა და, რომელმაც კარგად იცოდა იროკეზების, ჰურონებისა და ალგონკინელების ენები. თავის წიგნში, რომელიც 1724 წელს გამოვიდა, იგი გვაცნობს იროკეზებისა და ჰურონების ტოტემური გვარების შესახებ, ლაპარაკობს მათში არსებული ნათესაური კავშირების აღმნიშვნელ ტერმინთა თავისებურებებზე.

იროკეზებისა და სხვა ინდიელ ტომთა ქალები, ლაფიტოს მიხედვით, არა მხოლოდ განაგებდნენ მთელ მეურნეობას და ოჯახურ საქმეებს, არამედ ტომის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ტონის მიმცემნი იყვნენ. ლაფიტოს თქმით, ქალები იხილავდნენ როგორც ტომის, ისე კერძო საქმეებს. „ქალთა თავიანთი განსაკუთრებული საბჭო და მასზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ბელადებს აძლევდნენ მითითებებს.

ლაფიტო დაინტერესებულა ამერიკელი ინდიელების წარმოშობის საკითხით, მაგრამ მისულა მცდარ დასკვნამდე — იროკეზებსა და ჰურონებს იგი თვლის ძველი სამყაროს ხალხების მემკვიდრეებად.

ავსტრალიის ეთნოლოგიური შესწავლა დაიწყო XIX საუკუნიდან. რაც შეეხება ოკეანიის კუნძულთა მცხოვრებლებს, მათზე ზუსტი ცნობები XVIII საუკუნიდან გროვდებოდა. ჯერ კიდევ 1700-1701 წლებში პარიზში გამოვიდა ლე გობიენის ორტომიანი წიგნი — „მარინის კუნძულების ისტორია". სადაც აღწერილი იყო ადგილობრივი ტომის — ჩამოროს ყოფა, რაც ძალიან უფრო საინტერესოა მეცნიერებისათვის, რამდენადაც ეს ტომი ნადგურდებოდა ესპანელი კოლონიზატორების მიერ და ბოლოს სრულებით გაქრა. ლე გობიენი ახასიათებს ჩამოროს საზოგადოებრივ წყობას, როგორც სახელმწიფოებრივობამდელ წყობილებას, თუმცა მათგან უკვე გამოიყოფოდა, ე.წ. „დიდკაცობა". განსაკუთრებით საინტერესოა აღწერილობის ის ადგილები, სადაც ავტორი იძლევა მარინელების მატრიარქალური წესების მკაფიო სურათს: „ცოლი მთელი ოჯახის აბსოლუტური მმართველია და ქმარს არ შეუძლია, მისი თანხმობის გარეშე რაიმე გადაწყვიტოს. თუ იგი არ დაემორჩილება ქალს, არ არის წესიერი და კეთილგონიერი, ცოლი კრიტიკულ მომენტში სულ ტოვებს მას, რადგან ცოლქმრობა გრძელდება მანამ, სანამ თავად სურთ. იყვნენ ერთად, გაყრისას ცოლს რჩება შვილები და მთელი ქონება".

1768 წელს დაიწყო ინგლისელი ჯეიმს კუკის მოგზაურობა. იგი ძალნ�ყველა დროის უდიდეს მოგზაურად. ქირით მომუშავე მუშის შვილი

ჯეიმს კუკი წარმოშობით დაბალი სოციალური ფენიდან იყო. სამხედრო-საზღვაო სამსახურში იგი დაწინაურდა თავისი ნიჭისა და ცოდნის წყალობით; მიუხედავად იმისა, რომ მას სისტემური განათლება არ მიუღია, სწორედ მას და არა სხვა პროფესიონალ მეცნიერს მიანდეს 1768 წელს ექსპედიციის ხელმძღვანელობა, რომელიც მოაწყო ინგლისის სამეფო საზოგადოებამ. ექსპედიციის მიზანი იყო სამხრეთ ნახევარსფეროში ვენერას მოძრაობაზე დაკვირვების ჩატარება, რომელსაც მზის დისკოზე უნდა გაევლო. ამასთან ერთად ექსპედიციას ევალებოდა სამხრეთ მატერიკის მოძიება. ვენერაზე დაკვირვება მხოლოდ საბაბი იყო, ექსპედიციის მთავარ მიზანს ახალი მიწების აღმოჩენა და ბრიტანეთისათვის მათი შემოერთება შეადგენდა. თავისი პირველი მოგზაურობის დროს, რომელიც სამ წელიწადს გრძელდებოდა (1768-1771 წწ.), ჯეიმს კუკმა მოახდინა მთელი რიგი გეოგრაფიული აღმოჩენები, შეისწავლა ახალი ზელანდიის ნაპირები, რომელსაც ადრე ავსტრალიის მატერიკის ნაწილად მიიჩნევდნენ და სხვ.

ჯეიმს კუკს ინგლისში დაბრუნებისთანავე უბრძანეს, მომზადებულიყო მეორე მოგზაურობისათვის. ისიც სამ წელიწადს გაგრძელდა (1772-1775 წწ.). ექსპედიციის მთავარ მიზანს კვლავ სამხრეთ მატერიკის აღმოჩენა წარმოადგენდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ ჯ. კუკმა აღმოაჩინა ახალი კალედონია, შეისწავლა ახალი ჰებრიდების არქიპელაგი, კუნძულები – ტუამოტუ, ტონგა და აღდგომის კუნძული.

დაბოლოს, ჯ. კუკის მესამე მოგზაურობა (1776-1779 წწ.) მიზნად ისახავდა წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი განედების შესწავლას. ამჯერად მან აღმოაჩინა ჰავაის კუნძულები. ჰავაის კუნძულებზე მეორედ ჩასვლისას კუკი მოკლეს აბორიგენებმა. ექსპედიცია მის გარეშე დარსულდა.

მრავალ გეოგრაფიულ აღმოჩენასთან ერთად ჯ. კუკს სახელი გაუთქვა მისმა წვლილმა ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. ჯ. კუკის ეთნოლოგიური დაკვირვებანი გამოირჩევა სიზუსტით და სანდოობით. იგი ხედავდა მცხოვრებთა არა მხოლოდ გარეგნულ ნიშნებს, როგორებიცაა: ანთროპოლოგიური ტიპი, ტანსაცმელი, სამკაულები, აბორიგენთა ქცევა, არამედ მშვენივრად განსაზღვრავდა სოციალურ ურთიერთობებს, ერკვეოდა აბორიგენთა ენებშიც და იმდენად სწრაფად ითვისებდა მათ, რომ შეეძლო ადგილობრივ მცხოვრებლებთან თარჯიმნის გარეშე ურთიერთობა.

თავისი პირველი მოგზაურობისას ჯ. კუკმა დაწვრილებით აღწერა ტაიტის კუნძულის მცხოვრებთა და ახალი ზელანდიის მაორის ტომის ყოფა-ცხოვრება, შეეხო ავსტრალიის მოსახლეობასაც. ტაიტელთა ყოფის გადმოცემას ჯ. კუკი იწყებს მათი ცხოვრების მატერიალური პირობების ჩვენებით, კერძოდ, მიწათმოქმედების, ხეხილის მოშენების, მეთევზეობის, საკვების დამზადების და ა.შ. აღწერით. მოგვითხრობს მათ ადათ-ჩვეულებებზე, ტანსაცმელსა და ტატუირების წესებზე, საცხოვრებელზე და სხვ.

ასევე საინტერესოა ახალზელანდიელი მაორის ტომის ყოფის აღწერა. აქ იგი შეხვდა კანიბალიზმს, რომლის დამალვას ადგილობრივი მცხოვრებლები არც კი ცდილობდნენ. იგი მარტო კანიბალიზმის ფაქტის დადგენით არ დაკმაყოფილებულა — სცადა მისი მეცნიერული განმარტება. უარყო დებულება, თითქოს კანიბალიზმი გამოწვეულია საქონლის ხორცის უქონლობით, რადგან ახალ ზელანდიაში არის ბევრი ფრინველი და თევზი. ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლები შესანიშნავი მეთევზეები და ძორადირეები არიან. ჯ. კუკმა ეს მოვლენა ახსნა მაორის ტომის დიდი ხნის იზოლაციით და ტომთა შორის ქიშპობით.

ძალზე საინტერესოა ჟან ფრანსუა ლაპერუზის ეთნოლოგიური დაკვირვებანიც. იგი იყო ფრანგი სამხედრო მეზღვაური. ლაპერუზმა თანამხლებ პირებთან ერთად ორი გემით იმოგზაურა დედამიწის გარშემო. რიოლის მარშრუტი ნაწილობრივ ემთხვეოდა ჯეიმს კუკის მოგზაურობის მარშრუტს. მან ამერიკის მატერიკს სამხრეთიდან შემოუარა და იყო ალეგზანდრისა და ჰავაის კუნძულებზე. იმოგზაურა ჩრდილოეთით, ამერიკის ჩრდილოდასავლეთ სანაპირომდე, სადაც შეისწავლა ზღვის ყურე იქ მცხოვრები ხალხით, რომელსაც „ფრანგების ყურე“ უწოდა. იქიდან მან გადაჭრა ოკეანე, მიაღწია სამხრეთ ჩინეთის პორტ მაკაომდე, საიდანაც გაემგზავრა ჩრდილოეთით, გაიარა სახალინთან და კურილიის კუნძულების გასწვრივ, კამჩატკის ნაპირებამდე, ხოლო 1788 წლის დასაწყისში იგი გაემართა მელანეზიის კუნძულებისაკენ. ამის შემდეგ მისი ორივე გემი უკვალოდ გაქრა, როგორც ჩანს, ისინი დაიღუპნენ კუნძულ ვანიკორიოსთან.

მიუხედავად იმისა, რომ ლაპერუზი ცოტა ხნით ჩერდებოდა თითოეულ ქვეყანაში, მისი დაკვირვებანი, განსაკუთრებით ეთნოლოგიური, ძალზე საინტერესოა. მოგზაურობის მასალები გამოქვეყნებულია. ისინი შედგენილია იმ ანგარიშების მიხედვით, რომელნიც არსებითი სხვაობა ინდიელებისა და ესკიმოსების ფიზიკურ ტიპსა და კულტურას შორის, პირველმა აღნიშნა კალიფორნიის მოსახლეობის ენობრივი სიჭრელე.

აფრიკის ეთნოლოგიურ შესწავლაში შესანიშნავი წვლილი შეიტანეს ვილემ ბოსმანის და პეტერ კოლბეს ნაშრომებმა. ვ. ბოსმანის „მოგზაურობა გვინეაში“ შედგენილია 22 წერილის სახით. მათგან მე-9 წერლიდან მე-13-ის ჩათვლით მთლიანად უკავია გვინეის სანაპიროზე მცხოვრებთა წესჩვეულებებისა და ყოფის აღწერას.

ვ. ბოსმანი იყო პირველი ევროპელი, რომელმაც გვინეის მცხოვრებთა რწმენა-წარმოდგენების აღწერისას იხმარა სიტყვა „ფეტიში“.

რაც შეეხება გერმანელი პეტერ კოლბეს წიგნს — „კეთილი იმედის კონცხის აღწერილობას“, იგი მთლიანად ეძღვნება ჰოტენტოტების ეთნოლოგიურ შესწავლას. მან რამდენიმე წელი გაატარა ჰოტენტოტებთან. მოგვითხრობს მათ ფიზიკურ ტიპზე, ტანსაცმელზე, განსახლების ფორმებზე,

ომებსა და მათ გამომწვევ მიზეზებზე, რელიგიაზე, ოჯახზე, ოჯახში შრომის დანაწილებაზე, საკვებზე, ბავშვთა დაბადებასა და აღზრდაზე, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე, თევზჭერაზე, ნადირობაზე, ხელოსნობაზე, ვაჭრობაზე, ხალხურ მედიცინაზე, მუსიკაზე, დაკრძალვის წესებზე და სხვ. პ. კოლბემ არ დატოვა არც ერთი დარგი, რასაც ეთნოლოგები ამჟამად შესწავლის საგნად თვლიან.

XVIII საუკუნეში წინ წაიწია ჩინეთის შესწავლაც, რასაც ხელი შეუწყო კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის გაფართოებამ. 1736 წელს გამოვიდა იეზუიტ ბატისტ დიუგალდის ნაშრომი 4 ტომად, ჩინეთსა და მის მეზობლად მდებარე ქვეყნებზე. იგი შეიცავს ყოველმხრივ ენციკლოპედიურ ცოდნას ჩინეთის მოსახლეობასა და მის კულტურაზე. აქვეა მოკლე ცნობები ჩინეთის მიმდებარე რეგიონებზე, კერძოდ, ტიბეტზე, ციმბირზე, კორეაზე. წიგნში მოცემულია მრავალრიცხოვანი გრავიურები, ქალაქების გეგმები და სხვ.

სამხრეთ აზია, განსაკუთრებით ინდოეთი, მისი უთვალავი სიმდიდრით და ზღაპრული საოცრებებით, სულ უფრო და უფრო იზიდავდა ევროპელთა ყურადღებას. XVIII საუკუნეში იქ მიმდინარეობდა ბრძოლა პირველობისათვის ფრანგებს, პორტუგალიელებს, ჰოლანდიელებსა და ინგლისელებს შორის. ამ ბრძოლაში ინგლისელებმა გაიმარჯვეს. მათ დაიმორჩილეს ინდოსტანის დიდი ნაწილი. ინგლისის სახელით იქ მოქმედებდა ოსტ-ინდოეთის კომპანია და რეგულარული ჯარიც.

მაგრამ ინდოეთის ეთნოლოგიის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ იმ ავტორებს, რომლებიც არ იყენენ დაკავშირებული ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან. მათგან უნდა დავასახელოთ მისიონერი იოზეფ ტიფენტალერი. იგი ჩამომავლობით ავსტრიიდან — ტიროლიდან იყო, 1743 წელს ინდოეთში დასახლდა და შემდეგ 30 წლის განმავლობაში შემოიარა ინდოეთის სუბკონტინენტი, დაეუფლა ადგილობრივ ენებს და ევროპაში გზავნიდა თავის ხელნაწერებს ინდოეთის შესახებ. მათგან ყველაზე სქელტანიანი — „ინდოეთის აღწერა" — დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე. ამ ნაშრომში გვხვდება ეთნოლოგიური ცნობები რელიგიაზე, ინდოელთა წეს-ჩვეულებებზე და სხვა, ოღონდ პერიოდულად, სხვა ღირსშესანიშნაობათა აღწერასთან ერთად.

საინტერესოა „ისტორიული და გეოგრაფიული გამოკვლევები ინდოეთის შესახებ" ცნობილი მოგზაური ორიენტალისტის აბრამ ანკეტილ-დიუპერონისა. მან მიზნად დაისახა ძველი ირანის წმინდა წიგნების (ავესტას) გამოქვეყნება, გაემგზავრა ინდოეთში, სადაც დაჰყო რამდენიმე წელი (1756-1761 წწ.), იპოვა ავესტას წმინდა ტექსტები, ჩამოიტანა ევროპაში და გამოაქვეყნა მათი თარგმანი 1771 წელს, ამასთანავე, ანკეტილ-დიუპერონმა გამოაქვეყნა ინდოეთის აღწერა.

წინა აზიაში მოგზაურობათა აღწერილობებით ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა გერმანელმა კარსტენ ნიბურმა (1733-1815 წწ.), რომელმაც დანიის

მეფის ფრედერიკ V-ის დავალებით 1761-1767 წლებში მოაწყო ოდიდ სამეცნიერო მოგზაურობა არაბეთში, მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და ინდოეთის დასავლეთ სანაპიროებზე. დაგვიტოვა ნაშრომები: „არაბეთში მოგზაურობა" და „მოგზაურობა არაბეთსა და სხვა ქვეყნებში". მან შეისწავლა არაბული ენა და ამ ნაშრომებში დაწვრილებით გადმოგვცა ცნობები არა მარტო არაბეთის გეოგრაფიაზე, არამედ მის მცხოვრებლებზეც, მათ წესებსა და ჩვეულებებზე, ნაციონალურ ხასიათზე, რელიგიაზე, მეურნეობაზე, მატერიალურ კულტურაზე, ლიტერატურაზე, ასტრონომიულ და სამედიცინო ცოდნაზე.

ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების პრობლემით დაინტერესებული იყვნენ აგრეთვე XVIII საუკუნის ფილოსოფოსი-განმანათლებლები: ჰობსი, რუსო, მონტესკიე და სხვანი.

ისტორიზმით არის გამსჭვალული ცნობილი ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებლის მარი ვოლტერის (1694-1778 წწ.) შეხედულებები მსოფლიო ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში — „ცდები ერების წესებისა და სულის შესახებ" — ვოლტერი არ შემოიფარგლა ძველი აღმოსავლეთის და ევროპის ხალხთა ისტორიით; ოხრობას იწყებს პირველყოფილი ადამიანების ცხოვრების აღწერით. ლაპარაკობს სხვადასხვა ჩამორჩენილი ხალხის წესებისა და რწმენის მსგავსებაზე. თავის ნაშრომში ერთ თავს იგი ველურებს უძღვნის.

ვოლტერი ეკამათება რუსოს, რომელიც პირველყოფილ ადამიანებს ძარტოხელა, ტყის ველურ მოხეტიალედ წარმოიდგენს, რომელთაც არავითარი საზოგადოებრივი კავშირები არ გააჩნიათ. არა, აღნიშნავს ვოლტერი, ადამიანი არის საზოგადოებრივი ცხოველი და საზოგადოებაში იგი ყოველოვის ცხოვრობდა, შემდეგ ვოლტერი ცალკეულ თავებს უძღვნის ამერიკის ინდიელებს, ქალდეველებს, ბაბილონელებს, სირიელებს და ა.შ.

კაცობრიობის ისტორია ვოლტერისათვის წარმოადგენდა კულტურისა და აზროვნების განვითარების ისტორიას. ამ ისტორიის ადრეულ სტადიებს იგი ალადგენდა ეთნოგრაფიული მონაცემებით. ამასთან, სრულიად არ აძკირებდა განვითარების ადრეული სტადიის წარმომადგენლებს. პირიქით, იგი მათ ნაწილობრივ აიდეალებდა კიდეც, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც ლიდრო.

„ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში მკაფიო ადგილი უჭირავს მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ინგლისელ მოაზროვნე მატერიალისტს ადამ ფერგიუსონს. იგი სარგებლობს მისთვის მისაწვდომი ეთნოლოგიური მასალით და აგებს მსოფლიო-ისტორიული განვითარების სქემას ნაშრომში — „საზოგადოებრივი ისტორიის ცდები" (1768 წ.).

„თანამედროვე ერები, — წერს ფერგიუსონი — განვითარდნენ ძალიან „საცოდავი მდგომარეობიდან", რისი კვალი ახლაც ჩანს მათში. ძველი ბერძნები, რომაელები, გალები, გერმანელები ოდესღაც იყვნენ ძალიან ბარბარები.

არ იცნობდნენ მიწათმოქმედებას, იცვამდნენ ტყავის სამოსელს, ისე როგორც ახლა ჩრდილო ამერიკის ტომებს აცვიათ. ასეთი იყო, როგორც ჩანს, ყველა ეროვნების ისტორიის დასაწყისი. ამიტომ ამერიკელი ტომების, არაბებისა და სხვათა მდგომარეობაში, რაც ცნობილია ჩვენთვის მოგზაურთა აღწერილობით, „როგორც სარკეში, ისე ვხედავთ ჩვენს საკუთარ წინაპრებს" და ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მათი ცხოვრების პირობების შესახებ. ამ აზრს XIX საუკუნეში ავითარებენ მარქსი და ენგელსი გერმანიაში, მორგანი — ამერიკაში, ხოლო რუსეთში — ჩერნიშევსკი.

ა. ფერგიუსონი იყო პირველი, რომელმაც წამოაყენა წინადადება: კულტურის კლასიფიკაცია განსაზღვრულიყო ორი ეტაპით — ველურობისა და ბარბაროსობის. ეს ორი ტერმინი უფრო მოგვიანებით (უმთავრესად მორგანის წყალობით) დამკვიდრდა მეცნიერებაში და დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ა. ფერგიუსონი ცდილობს, სწორად განსაზღვროს „ველურობის" სტადია და ამ მდგომარეობიდან „ბარბაროსობამდე" გადასვლის პროცესი. იგი გვაძლევს წეს-ჩვეულებებისა და მორალური ნორმების დახასიათებებს თითოეული სტადიისათვის. მაგალითისათვის ასახელებს ირიკეზებს, როგორც ველურობის წარმომადგენლებს, „ბარბაროსობის" დასახასიათებლად კი — ჰოტენტოტებს, ამასთან, ფერგიუსონი აღნიშნავს, რომ სამეურნეო განვითარების პროცესი ყველგან ერთნაირად არ მიმდინარეობდა. მაგალითად, ევროპასა და ამერიკაში ველურობიდან გადადიოდნენ მიწათმოქმედებაზე, ხოლო ჩრდილოეთით სტეპებსა და ცენტრალურ აზიაში — მესაქონლეობაზე.

საინტერესოა გერმანელი მწერლის, ფილოსოფოსის, ისტორიკოსისა და პუბლიცისტის ქრისტეფორ მეინერსის კონცეფცია. მას ზოგჯერ რატომღაც თვლიან ეთნოლოგიის მამამთავრად, მაგალითად რობერტ ლოუი თავის ნაშრომში — „ეთნოლოგიური თეორიის ისტორია". მართლაც ქ. მეინერსის დასახელებული ნაშრომი სავსეა ეთნოგრაფიული მასალით, მაგრამ კაცობრიობის საერთო-ისტორიული პროგრესის მაჩვენებელი მისეული სურათები არასისტემური და არაზუსტია. მეინერსი მთელ კაცობრიობას თვლის ერთ „ტომად", მაგრამ ყოფს მას ორ რასად — „კავკასიურად" და „მონგოლოიდურად". ამასთან თითოეულს ახლავს თავისი ნაირსახეობანი. რასების დაყოფის უმთავრესი ნიშანია ადამიანთა სიმაღლე, ძალ-ღონე, ტანის სილამაზე, ანდა სიმახინჯე. რაც შეეხება კანის ფერს იგი ამას არსებითად არ თვლის. ორი უმთავრესი რასიდან ქ. მეინერსი პირველს — „კავკასიურს" თვლის უფრო ლამაზ (სილამაზე, მისი თქმით, კარგი კლიმატის შედეგიაო) და გონებრივად განვითარებულ რასად. „მონგოლოიდებს" იგი ნაკლებ ლამაზად და სულიერადაც უფრო სუსტ რასად მიიჩნევს, თუმცა იგი მათშივე განსხვავებასაც ამჩნევს. ყველაზე განუვითარებელ და უჭკუო რასად ავტორი ამერიკელ ინდიელებს მიიჩნევს. მისი აზრით, შეიძლება „კავკასიელი

ხალხიც გადაგვარდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც „ეინარსუნე-ბენ სახის კეთილშობილურ ნაკვთებსო“.

ყოველივე ეს მთავრდება ხალხთა ეთნიკური ურთიერთობის გულუბრყვილო ახსნით. მაგალითად მონღოლებისა (აქ იგულისხმება ხალხი-მონღოლები — მანჯურიის მკვიდრნი) და ყალმუხების მემკვიდრეებად ქ. მეინერსი ასახელებს იაპონელებს, ჩინელებს, კორეელებს, ტიბეტის მკვიდრნი. ტუნგუსების მემკვიდრეებად გამოჰყავს კორიაკები, ჩუქჩები, კამჩადალები, ალეუტები, ესკიმოსები და სხვ. შემდეგ მეინერსი, ფეთქსდა, იზიარებს ფერგიუსონის დაყოფას ადამიანთა მოდგმის განვითარებაში სამი სტადიის არსებობის შესახებ, კერძოდ, ველურობის, ბარბაროსობისა და ცივილიზაციის ხანებად. მაგრამ საბოლოოდ არც ამას ეთანხმება.

ქ. მეინერსის ნაშრომის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღმოჩენილი გერმანიის მეცნიერების თეორიული დონე დაბალი იყო საფრანგეთთან და ინგლისთან შედარებით, მაგრამ ეს ასე არ არის. როგორც ცნობილია, ისე განსხვავდება ქ. მეინერსის ნაშრომისაგან ძველი თანამედროვე გერმანელი მოაზროვნის იოჰან გოტფრიდ ჰერდერის ნაშრომები, რომელნიც XVIII საუკუნის ევროპის ისტორიული აზროვნების ღირსეული დაგვირგვინებაა.

ჰერდერი იყო მკაფიო გამომხატველი იმ ლიტერატურული ძიებანარეკლობისა, რომელმაც ხმა აღიმაღლა XVIII საუკუნის ბოლო ათეულში ფრ. რიფელსაც „ქარიშხალი და იერიში“ შეარქვეს. ეს მიმდინარეობა მიზნად ისახავდა პიროვნების განთავისუფლებას შუა საუკუნეების შეხედულებებისაგან. — იბრძოდა გრძნობების თავისუფლების და ბუნებასთან დაახლოებისათვის. ჰერდერის შრომები მრავალმხრივია, ისინი ეხებიან ლიტერატურას, რელიგიებს, ესთეტიკას, თეორიას, ენათმეცნიერებას და, საერთოდ, ისტორიას.

ჰერდერი თავის დიდ ფილოსოფიურ-ისტორიულ ნაშრომში — „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის“ — გვიხატავს კაცობრიობის განვითარების ისტორიის არაჩვეულებრივად ფართო სურათს, უძველესი დროიდან უახლოეს ხანამდე. ყველაზე ნიშანდობლივი ისაა, რომ ამ ნაშრომში იგი განიხილავს ყველა, თუნდაც უკიდურესად ჩამორჩენილ ხალხებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დედამიწაზე. მისი მსოფლმხედველობის მამოძრავებელი აზრია კაცობრიობის ისტორიის ერთიანობა. იგი უარყოფს ყოველგვარ განსხვავებას მოწინავე და ჩამორჩენილ ხალხებს შორის. ჰერდერმა, რა თქმა უნდა, არ დახუჭა თვალი ხალხთა შორის არსებით სხვაობაზე როგორც კულტურის დონის, ასევე ანთროპოლოგიურად და ენის მხრივ. მან ეს განასხვავებელი ნიშნები ახსნა მონტესკიეს მსგავსად, პირველ რიგში გეოგრაფიული მოსაზრებებით, რასაც თან მოსდევს სამეურნეო და სხვა თავისებურებანი. იმისათვის, რომ დაგვანახოს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიულ გარემოს კულტურის განვითარებისათვის, ჰერდერს მოჰყავს ბევრი ეთნოგრაფიული ფაქტი, მაგალითად, მასალა ამერიკის მკვიდრ მოსახლეობაზე. ჰერდერი აღნიშნავს,

რომ ამერიკაში მოსახლეობა დასახლდა ერთადერთი გზის, კერძოდ, მისი ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროს გაყოლით. ამიტომაა, მათ შორის დიდი მსგავსება. ისინი განსახლდნენ მთელ ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში და აღმოჩნდნენ სრულიად სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში, მაგრამ შეეგუნენ ამ პირობებს და გამოიმუშავეს სხვადასხვა ხასიათი.

უმთავრესი იდეა, რომელიც ჰერდერის ნააზრევს ასხვავებს ფრანგი განმანათლებლებისაგან, „ნაციონალური სულის" გაგების საკითხია. ფრანგი ფილოსოფოსები ფიქრობდნენ და წერდნენ საერთოდ კაცობრიობაზე და არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ ეთნიკურ და ნაციონალურ მხარეს. ცალკეულ ხალხთა შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალა მათ უმთავრეს შემთხვევაში ეხმარებოდა როგორც ილუსტრაციები. ისინი ყველა ხალხში საერთო ელემენტებს უფრო ეძებდნენ, ვიდრე თითოეულის თავისებურებას.

ჰერდერისათვის კაცობრიობა ერთ მთლიანს წარმოადგენდა, ისტორია კი მის ერთიან პროცესს, მაგრამ ამ ერთიანობის ჩარჩოებში იგი ძალზე სერიოზულად აკვირდებოდა თითოეული ხალხის თავისებურებებს, თითოეულ მათგანს იგი განვითარებისათვის ერთნაირ უფლებებს ანიჭებდა, ყოველ ხალხში ხედავდა „ნაციონალურ სულს", რომელსაც ძალუძს, შექმნას სულიერ ღირებულებათა განუმეორებელი ნიმუშები.

გვიანი შუა საუკუნეების ავტორებს შორის, რომლებსაც კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიული ცნობები შემოუნახავთ, საგანგებოდ გამოირჩევა გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, პოეტი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, ეთნოლოგი ვახუშტი ბაგრატიონი. მან შეიმუშავა მწყობრი მეცნიერული თეორია საზოგადოების ცხოვრებაში გეოგრაფიული გარემოს როლისა და მნიშვნელობის შესახებ და თანმიმდევრულად გაატარა იგი დიდი მოცულობის ცნობილ ნაშრომში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა".

ვახუშტი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი დაიბადა 1696 წელს. 1717-1724 წლებში იგი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევა საქართველოში, ხოლო შემდეგ, ქართლში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, როცა ვახტანგ VI იძულებული გახდა, რუსეთში გადახვეწილიყო, მას თან გაჰყვა თანამებრძოლთა და თანამოღვაწეთა დიდი დასი, რომელთა შორის იყო მისი ვაჟიც — ვახუშტი ბატონიშვილი.

ემიგრაციაში ვახუშტი დიდ სამეცნიერო და მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. 1745 წელს მოსკოვში ვახუშტი ბატონიშვილს დაუსრულებია თავისი ნაშრომი — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერულ-კრიტიკული გამოკვლევის პირველი ცდაა. აკად. მარი ბროსეს შეფასებით, ეს შრომა ქვეყნის (ე.ი. საქართველოს) სანიმუშო აღწერილობაა და ამგვარი გეოგრაფია არ მოეპოვება არც ერთ ხალხს, გარდა ჩინელებისაო.

ამ ნაშრომში საქართველოს და, აგრეთვე, კავკასიის მთიანეთის ზოგიერთი სხვა ხალხების ისტორიის გადმოცემას წინ უძღვის ქვეყნის გეოგრაფიული აღწერილობა. ამასთანავე, ვახუშტი ბატონიშვილმა თავის შრომას დაურთო საგანგებო თავი — „ზნენი და ჩუეულებანი საქართველოსანი". მასში წარმოდგენილია ცნობები ქართველთა ზნე-ჩვეულებების. უძველეს დროს კერპთა თაყვანისცემის, „ერისთავთა, მთავართა, აზნაურთა, კეკართა, მსახურთა და მუშაკ-გლეხთა" სოციალური მდგომარეობის, ლაშქრის, საჭურვლის, სამართლის და ცხოვრების სხვადასხვა მხარისა და ყოფის შესახებ. ვახუშტის ნაშრომი და, განსაკუთრებით, მისი ეს თავი აიჟამადაც ძვირფას მასალას შეიცავს იმდროინდელი და წინა ეპოქების ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. ამასთან, ვახუშტი ბატონიშვილი ერთმანეთს უდარებს მთისა და ბარის მოსახლეობაში არსებულ ზნე-ჩვეულებებს. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ის თავისებურება, რომელიც ვახუშტიმ გამოიყენა შრომაზე მუშაობის დროს და, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც კვლევის შედარებითი მეთოდი.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალმხრივია ის ცნობები, რომლებიც ვახუშტიმ წარმოგვიდგინა თავის ნაშრომში. საინტერესოა მისი დაკვირვება იმ ჰერიოდის მეურნეობის დარგების შესახებ, როგორებიცაა: მეძინდვრეობა, მეკვესეობა, მებაღეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ. საქართველოში გავრცელებული კულტურული მცენარეულობიდან მას მოხსენიებული აქვს 74 სახეობა. იძლევა საქართველოს ტერიტორიაზე სამიწათმოქმედო მეურნეობის განლაგების სურათს. გამოყოფს ადგილთა ნაყოფიერების შემდეგ ზონებს: 1. უაღრესად ნაყოფიერი — თურინჯ-ნარინჯ-ზეთისხილიანი ზოლი; 2. შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც ნაყოფიერი — ბრინჯ-ბამბიანი ზოლი; 3. ვენახოვან-ხილიანი ზოლი, რომელსაც მარტივად „ნაყოფიერს" უწოდებს; 4 შედარებით მწირი — უვენახო, მაგრამ ხილიანი და 5. მწირი — უვენახ-ხილო ზოლი.

ჯერ კიდევ, ჩვენი ნაშრომის V თავში, უძველესი ცივილიზაციების განხილვის დროს, კერძოდ, ჰეროდოტეს ცნობების შესახებ „ოლხეთიან დაკავშირებით, აღვნიშნეთ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ერიჭებოდა მაშინდელ საქართველოში სელის კულტურას. ვახუშტის ცნობითაც ირკვევა, რომ „სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა, იხმევენ, სწვენ და ჰყიდიან", ან კიდევ: — „... ხდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა".

როგორც ცნობილია, სელის მოყვანისა და სელისაგან ზეთის გაკეთების მრავალი ცნობა მოგვეპოვება ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. მას მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა — ხმარობდნენ: მუშა საქონლის ტკბილარი მწერების თავიდან ასაცილებლად, სანოებ-საწვავ მასალად ჭრაქისა და მაშხალისათვის, ტყავის დამუშავებაში, საღებავის დასამზადებლად, ქსოვილების საჩითავად, ეკლესიაში ცხიმად კანდელებისათვის და სხვ.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ უხვ მასალას მოიცავს მეცხოველეობის განვითარების შესახებ საქართველოში. ჩამოთვლილია საქართველოსათვის დამახასიათებელი შინაური ცხოველების 16 სახე. ლაპარაკია მესაქონლეობის. მეცხვარეობის განვითარების შესახებ, ცხვრის ჯიშებზე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. საინტერესოა ცნობები ღორის, აქლემის, ცხვრის უდუმო ჯიშისა და აფხაზური თხის შესახებ. ამ მასალებით ირკვევა, რომ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში მელორეობა საკმაოდ ყოფილა განვითარებული არა მხოლოდ რაჭაში, არამედ შიდა კახეთში, კერძოდ, პანკისის ხეობაში: „... პირუტყვნი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს“, აღნიშნავს ვახუშტი, ხოლო აფხაზეთის თხის ჯიშის აღწერისას წერს: არამედ თხა აქაური ფრიად შუენიერნი, ბალნითა წმინდა და ჭრელ, კანჭაღალი, ტანად დიდი, რქანი მაღალნი, ვითარ ადლნახევარნი, წუერნი გძელნი, ვიდრე მუხლით დაბლამდე“. მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად მოცემული აქვს ცნობები რძის პროდუქტების წარმოების შესახებ. მაგალითად, აჭარაში დამზადებული ყველის შესახებ აღნიშნავს: „აქ აკეთებენ ყველს, ... არასოდეს წახდების, არც დაობდების, რაჟამს გნებავს შემგბარი კეთილ-სახმარ არს“.

ნაშრომში მოიპოვება ცნობები მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, ნადირობის და თევზჭერის, ხუროობისა და მჭედლობის, ხალხური ხუროთმოძღვრების, ტანსაცმლის, რელიგიური წარმოდგენების (წმ, გიორგის კულტის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ საქართველოს მთიანეთში), მიცვალებულის დაკრძალვისა, დატირებისა და სხვათა შესახებ. უაღრესად საინტერესოა ვახუშტის დაკვირვება ქართული ეროვნული ხასიათისა და ეროვნული თვითშეგნების შესახებ. აი, როგორ აღწერს იგი ქართულ ხასიათს: „ხოლო კაცნი ამის ქუეყნისანი არიან... მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი... ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი... სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან;... გონიერნი, მსწრაფლ ბიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი, ... სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყუარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი“.

შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში ვახუშტის ეთნოგრაფიული მონაცემები მოკლეა და ლაკონური, მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს იმ დიდ მნიშვნელობას, რაც მის ამ შრომას — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ — გააჩნია. მისი აღწერილობები რომ უტყუარია, ამას ამტკიცებს შემდეგდროინდელი გამოკვლევები. ვახუშტი ბატონიშვილი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერად ქართულ ისტორიოგრაფიაში და მისი ნაშრომი დღესაც მნიშვნელოვანი და მდიდარი წყაროა ეთნოლოგიური გამოკვლევებისათვის.

ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ, მისი მონაცემების საფუძველზე ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ არა ისეთი ფართო მასშტაბით, როგორც ეს იყო მოსალოდნელი. მაინც იმათ შორის, ვინც ვახუშტის დაწყებული საქმე წინ წასწია, არის საყურადღებო ავტორი, რომელმაც ქართველი ხალხის შესახებ მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული მასალა დაგვიტოვა — ეს არის იოანე ბატონიშვილი, შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ისა.

იოანე ბაგრატიონი დაიბადა 1772 წელს, იგი იყო განათლებული. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იყოფა ორ პერიოდად: პირველი — სამშობლოში გატარებული, მეორე — რუსეთში. იგი სამშობლოში ყოფნის დროს აქტიურად იყო ჩაბმული სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობა მიუღია თურქეთთან, ლეკებთან და ირანელებთან ბრძოლაში. ხოლო მაის გარდაცვალების შემდეგ წავიდა რუსეთში, სადაც 38 წელი დაჰყო და 1839 წელს გარდაიცვალა.

იოანე ბაგრატიონის შრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „კალმასობა", რომელშიც გარდა ისტორიის საკითხებისა, მოცემულია ცნობები მეცნიერების ყველა დარგიდან და ხშირად მას პირველ ქართულ ენციკლოპედიურ ნაშრომსაც უწოდებენ. ამ ნაშრომზე ავტორს 15 წელი უმუშავია და 1828 წელს დაუმთავრებია.

კალმასობა ორიგინალური ჟანრის თხზულებაა. მეცნიერული მსჯელობანი მკითხველისათვის მოსაწყენი რომ არ ყოფილიყო, ავტორმა თხრობის თავშესაქცევი მანერა აირჩია. ორი მთავარი პერსონაჟის (იონა ხელაშვილისა და მისი მხლებელი გლეხის —ზურაბა ღამბარაშვილის) ფანტერაკიანი მოგზაურობების ფონზე გაშლილია მეცნიერული მსჯელობანი. ამიტომაა, რომ თვითონ იოანე ბაგრატიონი „კალმასობას" მეორე სახელსაც — „ხუმარ-სწავლასაც" უწოდებს. „კალმასობა" კი ნიშნავს მონასტრისათვის კალოობასა და რთველში პურისა და ღვინის შეგროვებას.

კალმასობის ნაყოფიერად ჩასატარებელი საორგანიზაციო ღონისძიებები ზოგადად ასე წარმოგვიდგება: დადგებოდა თუ არა სეზონი, მონასტრის წინამძღვარი თავის ხელქვეით ბერთაგან მეკალმასეებად გამოყოფდა ორ ან მეტ პირს. უნდა შეერჩიათ მუხლმაგარი, ღონიერი ჭაბუკი ბერები, რათა ამათ შესძლებოდათ დაუღალავად ჩამოვლა სოფლებისა. ღონე იყო საჭირო „შეგროვებულის" საზიდავადაც. გაითვალისწინებოდა გზაზე მოსალოდნელი ფანტერაკებიც. ავაზაკთა თავდასხმა, „ქურდი ლეკების" შემოტევა. საკალმასოდ გამოყოფილი ბერები მონასტრის ყმებს უნდა მოემარაგებინათ ყოველივე „საჭირო ნივთით", გზაში სახმარი იარაღით: ხურჯინებით, საწვიმრებით, მათრახითა და სხვ. კალმასობის დროს, ზოგან წესად ჰქონდათ ჯვრის ტარება კარდაკარ. „საზრდელით", პურ-ღვინით უზრუნველყოფის გარდა, საკალმასო შემოსავალს რამდენადმე უნდა დაეფარა მონასტრის სხვა საძნეო ხარჯებიც.

ნაწარმოებიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სოფლის შეურნეობის სხვადასხვა, და ამასთან საყურადღებო, დარგებია განვითარებული. „კალმასობაში“ ვკითხულობთ: „ქუეყანა ესე თითქმის ყველგან მოსაელიანია, რომელსაც შინა მოდის: პური, ბრინჯი, ქერი, ფეტვი, სიმინდი და სამარხოები: მუხუდო, ლობიო, ცერცვი, ბარდა, ოსპი და სხვა თესლეულნი“.

ხელოსნობიდან განვითარებული ყოფილა: მჭედლობა, ოქრომჭედლობა, ხუროთმოძღვრება, დურგლობა, ტყავის თრიმლვა, ქსოვა, ღებვა და სხვ. ჩამოთვლილია ხელოსანთა სამუშაო იარაღებიც.

„კალმასობაში“ მოგვეპოვება საკმაოდ ზუსტი აღწერა ქართული ტანსაცმლისა. „ძველად ქართლოსიანთა დროსა სცმიათ ქართველთა გრძელი ფეხებამდის პერანგი და პერანგის ამხანაგი, პაჭიჭი და წვივსაკრავი, ახალუხი გრძელი დაბამბული, კაბაც გრძელი და სარტყელი საშუალო წელისა. ზეიდამ ბეწვეული. საცმელი მუხლებამდის გრძელი, მსგავსად ჯუბისა სახელვიწრო და გამოყრილნი მკლავნი მას შინა და ბრტყლად დადებული ორსავე მხარეს გულისა ბეწვი და კისერზედაც მოვლებული. გარნა ყელი ჰქონიათ შიშველი, ქუდიც ბეწვითა მოვლებული, ყალამა მოკლე და დაბალი, სარქველი ქუდისა გარდაშვებული, ვიდრე ბეჭებამდე და ფოშტლისა სახე ფეხსაცმელნი“.

საინტერესოა „კალმასობაში“ გადმოცემული მიცვალებულის დატირებისა და დამარხვის წესები. „მკვდართა დამარხვიდნენ: დიდებულთა უფრო მაღალ ადგილებთა ზედა და ტირილით გაყვებოდნენ ხალხნი, ხოლო მდაბალთა მინდვრებთა ზედა, სადაც აქვნდათ სასაფლაოდ და ამათაც თავის მონათესავნი და მეზობელნი გაყვებოდნენ ტირილით, ხოლო რომელიმე ამათ შორის წარმართნი მკვდარსა დაამარილებდნენ და მაღალ ხეზედ დასდებდნენ და მუნ სიცხისაგან გახმებოდნენ მკვდარნი იგი, ვითარცა აწცა არს ჩვეულება აფხაზეთსა შინა“.

მეექვსე თავი

მეცნიერული მიმართულებანი XIX და XX საუკუნეების ეთნოლოგიაში

§ 1. ევოლუციონიზმი

პირველი თეორიული მიმართულება, რომელიც ეთნოლოგიაში ჩამოყალიბდა, იყო ევოლუციონიზმი. ევოლუციონისტური მოძღვრების თანახმად, კაცობრიობისა და მისი კულტურის განვითარება მიმდინარეობდა ერთიანი სქემის მიხედვით, მარტივიდან რთულისაკენ; საზოგადოებრივი წყობისა და კულტურის საფუძველია ფსიქოლოგიური ერთიანობა; ამ მოვლენის განვითარების კანონების ინდივიდის ფსიქოლოგიურ თვისებებზეა დაფუძნებული. ევოლუციონისტური მოძღვრების უმთავრეს წარმომადგენლებად ითვლებიან: ჰერბერტ სპენსერი, მაკ-ლენანი, ჯონ ლებოკი, ედუარდ ტაილორი, ჯეიმს ფრეზერი, — ინგლისში; ადოლფ ბასტიანი, თეოდორ ვაიცი, ოსკარ პეშელი, იულიუს ლიპერტი, ჰენრიხ შურცი — გერმანიაში; შარლ ლეტურნო — საფრანგეთში; ლუის ჰენრი მორგანი — აშშ-ში. ამათგან მოკლედ შევეხებით ტაილორისა და მორგანის შეხედულებებს.

ედუარდ ბერნეტ ტაილორი (1832-1917 წწ.) ცნობილი ინგლისელი ეთნოლოგი, პირველყოფილი კულტურის მკვლევარი. დაიბადა ქალაქ ლონდონში. მას უმაღლესი განათლება არ მიუღია, რადგანაც მშობლები მრეწველად ამზადებდნენ. 1855 წელს სუსტი ჯანმრთელობის ე. ტაილორი სამკურნალოდ ამერიკაში გაგზავნეს. კუნძულ კუბაზე მან შემთხვევით გაიცნო ინგლისელი ბანკირი ჰენრი კრისტი. ამ შემთხვევამ დიდი როლი შეასრულა ე. ტაილორის ცხოვრებაში, რადგან ჰ. კრისტი დაინტერესებული იყო არქეოლოგიური გათხრებითა და ეთნოგრაფიულ კოლექციათა შეგროვებით. შემდგომში მათ 1856 წელს ერთად იმოგზაურეს მექსიკაში, რასაც 1861 წელს მოჰყვა კიდეც ტაილორის პირველი ნაშრომი „ანაჰუაკი, ანუ მექსიკა და მექსიკელები, ძველი და თანამედროვე".

მექსიკიდან დაბრუნებული ტაილორი 8 წლის განმავლობაში — 1857-1865 წლებში სწავლობდა ეთნოლოგიურ ლიტერატურას სხვადასხვა ევროპულ ენაზე და ასევე ეუფლებოდა ძველ ენებს: ლათინურს, ბერძნულს და ებრაულს. 1857 წელს ცოლად შეირთო მდიდარი ინგლისელი ქალი ანი ფოქსი და მისი მეოხებით მრავალჯერ იმოგზაურა ევროპასა და ამერიკაში.

ე. ტაილორი 1883 წლიდან ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული ეთნოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელია, ხოლო 1896 წლიდან ამავე უნივერსიტეტში დაარსებული ეთნოლოგიის კათედრის პირველი პროფესორი.

ე. ტაილორი ჰ. სპენსერთან ერთად, არის კულტურის ისტორიასა და ეთნოლოგიაში ევოლუციური სკოლის დამაარსებელი. იგი კულტურის ისტორიას განიხილავდა, როგორც იდეის თვითგანვითარებას (ვინაიდან იდეალისტური პოზიცია ეჭირა კულტურის ისტორიის მიმართ) ტექნიკის, ადამიანთა სამეურნეო და სულიერი ცხოვრების სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის განვითარების გაიგივება ორგანული სამყაროს განვითარებასთან არამართლზომიერი ჩანს ე. ტაილორის კონცეფცია ისე, როგორც მთლიანად ევოლუციური სკოლა ეთნოლოგიაში, თავისი დროისათვის პროგრესული მოძღვრება იყო.

დიდი ყურადღება დაუთმო ე. ტაილორმა სულიერ კულტურას განსაკუთრებით კი რელიგიას. თავის გამოკვლევებში იგი იყენებდა გადმონაშთების ცნებას და გახსნა ბევრი, დღეისათვის გაუგებარი, წეს-ჩვეულებისა და რიტუალის ისტორიული ფესვები. ე. ტაილორმა სხვადასხვა ხალხის რწმენა-წარმოდგენის მონაცემების განზოგადების შედეგად, გააერთიანა სულების შესახებ სხვადასხვა წარმოდგენა და მათ მისცა ზოგადი სახელწოდება — ანიმიზმი. ე. ტაილორი შესაძლებლად მიიჩნევდა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში რელიგიამდელ ეპოქას. აქედან გამომდინარე, ანიმისტურ წარმოდგენებს თვლიდა იმ „მინიმუმ რელიგიად", საიდანაც შემდგომში აღმოცენდა ყველა არსებული რელიგია.

ედუარდ ტაილორის უმთავრესი ნაშრომებია: „პირველყოფილი კულტურა" — გამოცემული 1871 წელს და „ანთროპოლოგია" — გამოცემული 1881 წელს. უფრო ადრე, 1865 წელს, ამერიკაში მოგზაურობისას შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით, მან გამოსცა ნაშრომი „გამოკვლევები კაცობრიობის ძველი ისტორიის სფეროში", რომელშიც პირველად გაატარა იდეა ველურობიდან თანამედროვე ცივილიზაციამდე კაცობრიობის კულტურის განვითარების პროგრესულობის შესახებ. განსხვავებას ცალკეული ხალხების ყოფასა და კულტურას შორის იგი განმარტავდა მათი განვითარების არაერთნაირი დონით.

თავისი უმთავრესი ევოლუციონისტური იდეები ტაილორმა ჩამოაყალიბა ნაშრომში „პირველყოფილი კულტურა", რომელიც დიდძალ ეთნოგრაფიულ მასალას ეყრდნობა და, რომელმაც მას სახელი გაუთქვა მთელ მსოფლიოში. სხვა ევოლუციონისტების მსგავსად, ტაილორი კაცობრიობის კულტურის ისტორიას განიხილავს, როგორც „ბუნების ისტორიის ნაწილს". იგი დარწმუნებული იყო, რომ კაცობრიობის ხასიათი და ჩვევები განპირობებულია ერთნაირობით და მოვლენათა მუდმივობით. ფორმების ნაირსახეობა ტაი-

ლორს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც „თანდათანობით განვითარების სტადიები, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს წარსულის პროდუქტს და თავის მხრივ ასრულებს გარკვეულ როლს მომავლის ფორმირებაში". განვითარების ეს თანმიმდევრული სტადიები აკავშირებს ერთმანეთთან უწყვეტ რიგად ყველა ხალხს და კაცობრიობის ყველა კულტურას უდაბლესიდან უმაღლესამდე. ტაილორს იგი წარმოედგინა, როგორც თანდათანობითი სრულყოფა, ყოველი ახალი მოვლენის განვითარება წინა მოვლენისაგან.

ეთნოლოგ-ევოლუციონისტებს შორის საგანგებო ადგილი უჭირავს ამერიკელ ეთნოლოგს ლ უ ი ს ჰ ე ნ რ ი მ ო რ გ ა ნ ს (1818-1881 წწ.), რომლის ღვაწლი ეთნოლოგიურ მეცნიერებაში განსაკუთრებულია და გამორჩეული. მორგანი პროფესიითყადვოკატი იყო, საკმაოდ მდიდარი ადამიანი, კაპიტალისტური კომპანიების აქციონერი. ცხოვრობდა ქალაქ როჩესტერში (აშშ) და 40 წლის მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მათ შორის, მეცნიერულ მუშაობას. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ირიკეზებთან და ხშირად იცავდა მათ ინტერესებს. მას ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი ეთნოლოგიაში, რომელთა შორის უმთავრესია კლასიკური შრომა „ძველი საზოგადოება", გამოცემული 1877 წელს. ირიკეზების ტომის ყოფის შესწავლისას, მრავალრიცხოვან შედარებით მასალაზე დაყრდნობით, მორგანმა აღმოაჩინა, რომ საზოგადოების უძველეს და უმოკლეს სტრუქტურას წარმოადგენს გვარი. კაცობრიობის მთელი ისტორია, მორგანის თვალსაზრისით, შეიძლება დაიყოს ორ დიდ პერიოდად: უფრო ადრინდელი პერიოდი — „ესაა სოციალური ორგანიზაცია, დამყარებული გვარზე, ფრატრიებზე და ტომებზე"; მეორე, მოგვიანო პერიოდი — „ესაა პოლიტიკური ორგანიზაცია, დამყარებული ტერიტორიაზე და საკუთრებაზე". გვაროვნული წყობილება, — წერდა მორგანი, წარმოგვიდგება, როგორც ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე ფართოდ გავრცელებული ორგანიზაცია კაცობრიობისა. იგი წარმოადგენდა თითქმის უნივერსალურ სოციალურ საფუძველს ძველი საზოგადოებისათვის — აზიურის, ევროპულის, აფრიკულის, ამერიკულისა და ავსტრალიურისათვის. იგი იყო საზოგადოების ორგანიზებისა და დაცვის საშუალება".

ლ. მორგანის ამ ძირითად დებულებებს — გვარისა, როგორც ძირითადი უნივერსალურ-ისტორიული უჯრედის შესახებ პირველყოფილ საზოგადოებაში და გვაროვნული წყობილების შესახებ, მის განვითარებას მატრიარქატიდან პატრიარქატისაკენ — უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი დებულება, რომელიც დაკავშირებულია ოჯახისა და ქორწინების ევოლუციასთან. ამ დებულებაში მორგანი გამოყოფდა რამდენიმე თანმიმდევრულ საფეხურს: ესაა პრომისკუიტეტი, სიტყვლით ნათესაური ოჯახი, პუნალუა ოჯახი, წყვილადი ოჯახი, პატრიარქალური ოჯახი და მონოგამია. ასევე ლუის მორგანის სახელთანაა დაკავშირებული პირველყოფილი ისტორიის პირველი სა-

მეცნიერო პერიოდიზაცია – ველ ურ ობ ი დ ან ბ ა რ ბ ა რ ო - ს ო ბ ა მ დ ე – თითოეული სამი ქვეპერიოდით.

თანამედროვე ეთნოლოგიური მონაცემებით, ზოგიერთი ლ. მორგანისეული დებულება საკამათოა. მაგალითად, ს ი ს ხ ლ ი თ ნ ა თ ე ს ა - ურ ი და პ უ ნ ა ლ უ ა ოჯახები, მამისეული გვარის უნივერსალურობა; გარკვეულწილად მოძველდა მისი პერიოდიზაციაც; თუმცა, მისი მრავალი დებულება, მათ შორის დედისეული გვარის (მატრიარქალურის) უნივერსალურობის შესახებ და ჯგუფური ქორწინების პირველადობის შესახებ, ახალი მონაცემებით კვლავ დასტურდება.

§ 2. დიფუზიონისტური სკოლა

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ეთნოლოგიაში წარმოიშვა დ ი ფ უ ზ ი ო ნ ი ს ტ ურ ი სკოლა. ტერმინი „დიფუზია“, რომელიც ამ სკოლის სახელწოდების საფუძველია, აღებულია ფიზიკიდან და ადამიანთა საზოგადოებასთან მიმართებაში იგი აღნიშნავს კულტურის მოვლენების გავრცელებას ხალხთა შორის კონტაქტების გზით – ვაჭრობის, დაპყრობების, ადამიანთა გადასახლების მეშვეობით. ამ სკოლის უმთავრესი წარმომადგენლებია: ფ რ ი დ რ ი ხ რ ა ტ ც ე ლ ი, ლ ე ო ფ რ ო ბ ე ნ ი უ ს ი, ჰ ე ნ რ ი ხ რ ი კ ე რ ტ ი, ფ რ ი ც გ რ ე ბ ნ ე რ ი და, ე.წ. „ვენური სკოლის“ წარმომადგენელი ვილჰელმ შმიდტი და სხვ.

კულტურული დიფუზიის მოვლენა ეთნოლოგიაში კარგად არის ცნობილი. მისი რეალურად არსებობა ეჭვს არ იწვევს. ხოლო დიფუზიონიზმი, როგორც მეცნიერული მიმდინარეობა, დიფუზიას მიიჩენს ისტორიული პროცესის მთავარ არსად. დიფუზიონისტები მიისწრაფოდნენ, კაცობრიობის მთელი ისტორია დაეყვანათ კონფლიქტამდე, შეტაკებამდე, ერთმანეთისაგან სესხებამდე და კულტურულ მოვლენათა გადანერგვამდე. იგი მიმართული იყო ევოლუციონიზმის წინააღმდეგ და უარყოფდა ისტორიულ პროგრესს, მას ცვლიდა კულტურული დიფუზიის ცნებით, ე.ი. კულტრურულ მოვლენათა სივრცობრივი გადაადგილებით.

ეთნოლოგიაში დიფუზიონისტური მიმდინარეობის წინამორბედად ითვლება გერმანელი გეოგრაფი ფ რ ი დ რ ი ხ რ ა ტ ც ე ლ ი (1844-1904 წწ.); მისი უმთავრესი შრომებია: „ანთროპოლოგია“ (1888-1891 წწ.), „ხალხთმცოდნეობა“ (1885-1888 წწ.), „დედამიწა და სიცოცხლე“ (1901-1902 წწ.) და სხვ. ამ ნაშრომებში ფ. რატცელს წარმოდგენილი აქვს ცდა – გადმოსცეს დედამიწაზე კაცობრიობის განსახლების ზოგადი სურათი და კულტურის განვითარება გეოგრაფიულ პირობებთან კავშირში. მისი მთავარი ნაშრომის – „ანთროპოგეოგრაფიის“ ძირითადი იდეები მდგომარეობს შემდეგში: ბუნებრივი

გარემოთი გამოწვეული კულტურული სხვაობანი ხალხების შორის თანდათან იშლება ურთიერთობათა შედეგად. ამ ურთიერთობების რატცელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და განიხილავდა მათ სხვადასხვა ფორმას: ტომთა გადასახლებას, დაპყრობებს, რასების შერევას, გაცვლას, ვაჭრობას, საბრძოლველი გზების განვითარებას და სხვ. ფ. რატცელმა პირველმა დასვა საკითხი კულტურის მოვლენათა, როგორც ხალხთა შორის დამაკავშირებელი ნიშნების არსებობის შესახებ, სადაც მას ყველაზე მეტად აინტერესებდა მატერიალური კულტურის მოვლენები, მათ რატცელი ხალხთა შორის ისტორიული კავშირების უფრო მეტ მაჩვენებლად მიიჩნევდა, ვიდრე რასობრივ ნიშნებს ან ენას.

დიფუზიონიზმი გერმანულენოვან ქვეყნებში ჩამოყალიბდა სამი მიმართულების სახით: ლ. ფრობენიუსის „კულტურული მორფოლოგიის" სკოლა, ფ. გრებნერის „კელნის" სკოლა და ვ. შმიდტის „ვენური" სკოლა.

ლეო ფრობენიუსი (1873-1928 წწ.) იყო აფრიკის კულტურის დიდი მცოდნე. ის ახალგაზრდობიდანვე დაინტერესდა ამ კონტინენტის ხალხთა კულტურებით, რომელსაც სწავლობდა მუზეუმებში დაცული მასალებისა და ლიტერატურის მიხედვით, ხოლო 1904 წლიდან დაიწყო აფრიკაში ექსპედიციების მოწყობა. სულ ჩაატარა 12 ექსპედიცია. 1898 წელს გამოვიდა ლ. ფრობენიუსის პირველი ნაშრომი „აფრიკული კულტურების წარმოშობა". ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნის საფუძველზე, საკუთრივ აფრიკის ფარგლებში, ფრობენიუსი შეეცადა გამოეყო ცალკეული კულტურული პროვინციები („წრეები"). რომლებისთვისაც დამახასიათებელი იყო მთელი რიგი ნიშნებისა, ძირითადად, მატერიალური კულტურის სფეროში. განსაკუთრებით მკაფიოდ გამოყო მან დასავლურ-აფრიკული კულტურული წრე. იგი მოიცავდა ძველინარე კონგოს, დღევანდელი ზაირის, აუზს, ზემო და ქვემო გვინეის სანაპიროებს. ამ კულტურული წრის ელემენტები (სწორკუთხა სახლები ორფერდა სახურავით, მშვილდ-ისარი, ნაქსოვი ფარი, მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტები მცენარეული სიმებით, ნიღბები და სხვ.) მართლაც ძალზე თავისებურია და ჯგუფდება ზემოდასახელებულ გეოგრაფიულ ზონაში. ფრობენიუსმა ყურადღება მიაქცია ახალი გვინეის კულტურის განსაკუთრებულ მსგავსებას მელანეზიის სხვა რეგიონის კულტურასთან. ამ კულტურის წარმოშობის ადგილად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია მიიჩნია და უწოდა „ინდონეზიერ-ბიგრიტული". ამას გარდააფრიკაში მან გამოყო კიდევ ორი „აზიური" კულტურა, უფრო ადრინდელი — „ინდური", რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაზე და უფრო მოგვიანო — „სემიტური", რომელიც შეეხო (არაბების მეშვეობით) მხოლოდ ჩრდილო აფრიკას და ისიც ზედაპირულად.

საინტერესოა ლ. ფრობენიუსის შეხედულებები რელიგიის ადრინდელი საფეხურების სქემის შემუშავებაში. მისი აზრით, იგი შეიცავს სამ საფე-

ხურს: სამონადირეო მეურნეობის დროს გაბატონებული იყო „ა ნ ი მ ა - ლ ი ზ მ ი“ (ცხოველების თაყვანისცემა), დამჯდარი სამიწათმოქმედო მეურნეობის სტადიაზე — „მ ა ნ ი ზ მ ი“ (წინაპართა კულტი), სოციალური დიფერენციაციის წარმოშობის დროს — „ს ო ლ ა რ ი ზ მ ი“.

ლუის ფრობენიუსის დიდი დამსახურებაა ის, რომ მან პირველმა შემოიღო კულტურათა კარტოგრაფირების მწყობრიო და ფართო მასშტაბით დანერგვის წესი. რუკების სერია, რომელიც მან დაურთო ნაშრომს — „აფრიკული კულტურების წარმოშობა“ — დღემდე ინარჩუნებს ღირებულებას.

ფ რ ი ც გ რ ე ბ ნ ე რ ი (1887-1934 წწ.) თავდაპირველად ისტორიკოს-მედიევისტი იყო. შემდეგ იგი დაინტერესდა ეთნოლოგიით, უფრო სწორად. პრიმიტიული კულტურების შესწავლით და შეეცადა, გამოეყენებინა ამ დარგში „ისტორიული“ მეთოდი. პირველად თავისი კონცეფცია კულტურული წრეების შესახებ მან ჩამოაყალიბა 1904 წელს. გრებნერმა თავდაპირველად კვლევის ობიექტად აირჩია ავსტრალია და ოკეანია, და, როგორც მას ეჩვენებოდა, დედამიწის ამ ნაწილში მიაკვლია 6-დან 8-მდე ცალკეულ და დამოუკიდებელ „კულტურულ წრეს“, რომელთაგან თითოეული შეიცავს კულტურის ელემენტების გარკვეულ რაოდენობას (5-დან — 20-მდე).

„კულტურის ელემენტებს“ ფ. გრებნერი მიაკუთვნებს როგორც მატერიალური კულტურის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების და სულიერი კულტურის სხვადასხვა ფორმას. ასეთი მეთოდით მოქმედების შედეგად გრებნერი მივიდა დასკვნამდე, რომ ავსტრალიასა და ოკეანეთში სახეზეა შემდეგი კულტურის წრეები: 1. ტასმანიური; 2. ბუმერანგის კულტურა; 3. ტოტემური; 4. ორკლასიანი (აღმოსავლეთ-პაპუასური); 5. მშვილდ-ისრის მელანეზიური კულტურა; 6. პროტოპოლინეზიური; 7. ახალპოლინეზიური და 8. ინდონეზიური.

მაინც რა არის ფ. გრებნერის მეთოდის არსი, მისი დასკვნების მნიშვნელობა? ამ მეთოდის საერთო აზრი ისაა, რომ კაცობრიობის კულტურის მთელი ნაირფეროვნება დაიყვანება ეროეულ, ერთჯერად მოვლენებზე. ერთმანეთთან ახლო მდგომ, მსგავს კულტურულ მოვლენებს გრებნერი მიიჩნევს ეროი კულტურული წრის კუთვნილებად და, მაშასადამე, ერთ რომელიღაც ცენტრში წარმოშობილად. რომელ კულტურულ ფაქტთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე — ეს იქნება შმვილდი თუ ისარი, მამაკაცთა კაკშირები, ტოტემიზმი თუ სხვა, გრებნერის მიხედვით, თითოეული მათგანია მხოლოდ ერთხელ წარმოიშვა ისტორიაში. რომელიღაც ერთ ადგილას, თავიდანვე ეკუთვნოდა ერთ რომელიღაც კულტურას და შემდეგ მასთან ერთად გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში.

თუ ფ. გრებნერის თვალსაზრისს მივიღებთ, გამოდის, რომ კულტურა უცვლელი ყოფილა კაცობრიობის ისტორიის თითქმის ასეთი იგნორირება. კულტურის ასეთი სქემატური წარმოდგენა, ალბათ, იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ფ. გრებნერი წმინდა კაბინეტური მუშაკი იყო, რომელიც არასო-

დეს არ ყოფილა ველზე, არ უნახავს ხალხის ცოცხალი ყოფა, ისევ, როგორც მუზეუმის თანამშრომელმა, თავისი შეგნებული ცხოვრება ხანგრძლივი ექსპონატებსა და წიგნებს შორის გაატარა. „კულტურული წრეების" თეორიის მეთოდოლოგიური სისუსტე იმდენად ცხადი იყო, რომ როგორც ჩანს, ამას თვითონ გრებნერიც გრძნობდა. 1923 წელს გამოცემულ ნაშრომში — „ეთნოლოგია" — ფ. გრებნერი შეეცადა რამდენადმე რეალისტურად გადმოეცა საზოგადოების კულტურის ცალკეული მხარეები.

გრებნერიანობის პირდაპირი გავლენით ჩამოყალიბდა ეთნოლოგიის „ვენური სკოლა", რომელსაც ზოგჯერ „კულტურულ-ისტორიულ" სკოლასაც უწოდებენ და, რომელიც დაკავშირებულია კათოლიკური ისტორიის მსახურის, ვ ი ლ ჰ ე ლ მ შ მ ი დ ტ ი ს (1868-1954 წწ.) სახელთან. მისი შრომები წარმოადგენს იმის ცდას, რომ ეთნოლოგია ჩააყენოს საეკლესიო დოგმების სამსახურში.

1908-1910 წლებში ვილჰელმ შმიდტმა დააარსა ჟურნალი „ანთროპოსი", სადაც გამოაქვეყნა თავისი ძირითადი ნაშრომი — „ღმერთის იდეის წარმოშობა". 1912 წელს გამოვიდა ამ შრომის პირველი ტომი, ხოლო ამ საკითხებთან დაკავშირებით ვ. შმიდტმა 12-ტომიანი ნაშრომი გამოაქვეყნა.

თავისი მსჯელობის ამოსავალ წერტილად ვ. შმიდტმა აიღო გრებნერის „კულტურული წრის" თეორია, იგი შეავსო შვეიცარიელი ბიოლოგის — ა. კოლმანის „პიგმეური" თეორიით. კოლმანის თეორიის მიხედვით, ცხოველეთა ყველა სახეობის განვითარება იწყებოდა მარტივი ფორმიდან, რომელსაც შემდგომ რთული ფორმები ენაცვლებოდა. ამ განზოგადების ი. კოლმანი ავრცელებდა თანამედროვე ადამიანის წინაპრებზეც, როცა განიხილავდა თანამედროვე ჯუჯა ადამიანებს (პიგმეებს), როგორც მათ არქაულ ფორმებს (აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე პალეოანთროპოლოგებისა და ანთროპოლოგების მიერ ი. კოლმანის თეორია არ არი გაზიარებული). ვ. შმიდტის ძირითადი შეხედულებები კი შემდეგში მდგომარეობდა: „უძველესი კულტურები", რომლებიც წარმოდგენილია პიგმეებით, ტასმანიელებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიელებით, სხვა თავისებურებებთან ერთად გამოირჩეოდნენ იმით, რომ გააჩნდათ წარმოდგენა ერთ ღმერთზე, როგორც უმაღლეს არსებაზე, როგორც ქვეყნისა და ადამიანის შემქმნელზე. მაშინ რწმენის სხვა ფორმები — ანიმიზმი, მაგია, ფეტიშიზმი და ა.შ. თითქოს ჯერ კიდევ არ არსებობდა. ვ. შმიდტი ეთნოგრაფიული მონაცემების დახმარებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ მონოთეიზმი (ერთღმერთიანობა) წარმოიშვა უძველეს დროში. ვ. შმიდტის ამ იდეამ და მისმა ნაშრომებმა მოწონება დაიმსახურა ქრისტიანულ (კათოლიკურ) სამყაროში. მას მიმდევრებიც კი გამოუჩნდნენ, ხოლო რომის პაპმა პიუს XII-მ იგი ვატიკანში ეთნოლოგიური მუზეუმის დირექტორად დანიშნა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვ. შმიდტის უსაფუძვლობამ თავი იჩინა „ვენური სკოლის" წრეებშიც.

რაც შეეხება ინგლისს, აქ ჩაისახა კიდევ ერთი მიმდინარეობა, რომელიც „ჰიპერდიფუზიონიზმის", ანუ „პანეგვიპტიზმის" სახელითაა ცნობილი. იგი წარმოდგენილია ორი მეცნიერის — ელიოტ სმითისა და უილიამ ჯეიმს პერის სახით. მათ უკან მოიტოვეს ყველა დიფუზიონისტი იმ უკიდურესობის აღიარებით, რომ მსოფლიო ცივილიზაციას გააჩნდა ერთი ცენტრი, საიდანაც იგი გავრცელდა მთელს დედამიწაზე და ეს ცენტრი იყო ეგვიპტე.

ელიოტ სმითმა (1871-1937 წწ.) გამოსცა ორი ნაშრომი: „ძველი ეგვიპტელები" და „მეფეთა მუმიები". მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ მუმიფიცირების ტექნიკა ძველი ეგვიპტელებისა ანალოგიებს პოულობდა დედამიწის სხვა ხალხებშიც. ამან სმითი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ყველა ერთმანეთთან დაკავშირებული კულტურის ელემენტები ოდესღაც ჩაისახა ეგვიპტეში და ნაწილობრივ მის მეზობელ ქვეყნებში, დაახლოებით ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში, და იქიდან გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

ელიოტ სმითის შეხედულებები განავრცო უილიამ ჯეიმს პერიმ. სხვა დიფუზიონისტების მსგავსად, მაგრამ მათზე უფრო მკვეთრი ფორმით, პერი იმ თვალსაზრისზე იდგა, რომ ნებისმიერი ხალხის კულტურული ზრდა-განვითარება შესაძლებელია არა დამოუკიდებელი განვითარებით, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ ვიღაცის მიერ გარედან შემოტანილი მაღალი კულტურის სესხებით.

ამრიგად, „პანეგვიპტური" თეორიის წარმომადგენლებში დიფუზიონიზმი უკიდურესობამდე, აბსურდამდე დავიდა, დავიდა იმ დონემდე, რომ მათ გამგრძელებლები არ გამოუჩნდათ.

გარდა ჩვენ მიერ ჩამოთვლილი დიფუზიონისტების ნაშრომებისა, აღსანიშნავია აგრეთვე: ვ. შმიდტის „კულტურული წრეები და კულტურული ფენები სამხრეთ ამერიკაში" (1913 წ.), ინგლისელი ექიმ-ნევროპათოლოგის უილიამ რივერსის (1864-1892 წწ.) „გვაროვნული და სოციალური ორგანიზაცია" (1908 წ.), ასევე ორტომიანი „მელანეზიური საზოგადოების ისტორია" (1914 წ.) და სხვ.

მართალია, დიფუზიონისტური შეხედულებების შეფასებისას გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, მაგრამ მათი კონცეფციის ამოსავალი დებულება მაინც სწორად უნდა იქნეს მიჩნეული. ევოლუციონისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ადამიანსა და მის კულტურას განიხილავდნენ აბსტრაქტულად, დროისა და სივრცისაგან გამოყოფილად, დიფუზიონისტებმა სავსებით სამართლიანად დააყენეს საკითხი ხალხთა შორის კონკრეტული კულტურული კავშირების შესახებ, რაც უთუოდ რაციონალური მარცვალია მათ მოძღვრებაში.

§ 3. ფსიქოანალიტიკური თეორია

„ფ ს ი ქ ო ა ნ ა ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ე ო რ ი ი ს“ ჩამოყალიბება ეთნოლოგიაში, რომელიც ჩაისახა XX საუკუნის დასაწყისში, დაკავშირებულია ექიმ-ფსიქიატრის ზიგმუნდ ფროიდის სახელთან.

ზ ი გ მ უ ნ დ ფ რ ო ი დ ი (1856-1939 წწ.) იყო ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი. დაამთავრა ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მუშაობდა ჯერ ვენის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, შემდეგ 1885-1886 წლებში – პარიზში, ფსიქიატრიულ კლინიკაში ჟ. შარკოსთან. 1910 წლიდან ჩამოყალიბდა ფსიქოანალიტიკოსთა საერთაშორისო საზოგადოება. ავსტრიის ოკუპაციის შემდეგ (1938 წ.) ემიგრანტია ინგლისში.

1895 წლიდან ზ. ფროიდი იწყებს ნევროზის მკურნალობის ახალი, ფსიქოანალიზის მეთოდის დამუშავებას. მასზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ახალი ფსიქოანალიზური თეორია – მეცნიერება არაცნობიერ ფსიქოლოგიურ პროცესებზე. ზ. ფროიდის ფსიქოანალიზის თეორია პიროვნების თეორიაა. იგი ფსიქიკას განიხილავს დინამიკურ, ენერგეტიკულ და სტრუქტურულ ასპექტში. ფსიქიკური ენერგიის (ლიბიდოს) ფროიდისეული გაგება საზოგადოების პრეისტორიის თავისებურ გაგებასთანაა დაკავშირებული. მისი აზრით, პირველყოფილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ძლიერი ინცესტური ტენდენციები და აგრესია მამის წინააღმდეგ, რომელიც შვილების ამბოხებით მთავრდება. შედეგი კი ისაა, რომ ყალიბდება აკრძალვები, ტაბუ ედება ინცესტურ ტენდენციებსა და მამისადმი აგრესიას. ცნობიერებიდან განდევნილი ტენდენციები ხდება ლიბიდონალური ენერგიის წყარო. ონტოგენეზში კი ბავშვი ღებულობს მემკვიდრეობით ლიბიდონალურ ენერგიას და გაივლის განვითარების ორალურ, ონალურ და ფალოსურ საფეხურებს, რაც მთავრდება ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევით. განვითარების ეს საფეხურები წარმოადგენს პიროვნების სტრუქტურის (იდ. ეგო. სუპერ ეგო) საფუძვლებს.

ი დ ი ფსიქოლოგიურად მემკვიდრეობით მიღებული, არქაული ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ნაწილია, როცა პიროვნება ვერ არჩევს ერომანეოისაგან გარეგან და სუბიექტურ რეალობას, მოქმედებს სიამოვნების პრინციპით.

ე გ ო ყალიბდება გარეგანი რეალობის ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად, მოქმედებს რეალურობის პრინციპით.

ს უ პ ე რ ე გ ო წარმოადგენს კულტურაში გაბატონებული ძირითადი ნორმების შინაგანად გადაქცევას, იგი ცნობიერად განიცდება როგორც შფოთვა, დანაშაული, სიამაყე, რეპრესია და ა.შ. სუპერ ეგოს ფორმებით მთავრდება პიროვნების ჩამოყალიბება.

განვითარების ამ საფეხურებთან დაკავშირებული ფიქსაციები და კომპლექსები განსაზღვრავს ადამიანის როგორც ხასიათის თავისებურებებს, ისე მის მთელ ცნობიერ ცხოვრებას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას, მითოლოგიას და ა.შ.

თავდაპირველად ზ. ფროიდი მუშაობდა ადამიანის ფიზიოლოგიის დარგში, ხოლო შემდეგ ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის სფეროში. 1900 წელს გამოქვეყნდა მისი ვრცელი წიგნი „სიზმრების ახნსა", რომელშიც პირველად არის ჩამოყალიბებული ფსიქოანალიზის თეორიული საფუძვლები. რამდენიმე შედარებით პატარა, ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ 1913 წელს გამოდის ფროიდის „ტოტემი და ტაბუ" (პირველყოფილი კულტურისა და რელიგიის ფსიქოლოგია)", რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ეთნოლოგიასთან. ძირითადი და ძალზე ზოგადი იდეა, რომელზეც აგებულია ეს წიგნი, მდგომარეობს იმაში, რომ არის რაღაც არსებითი მსგავსება „პირველყოფილი ხალხების ფსიქოლოგიასა", რომლებიც ეთნოლოგიური აღწერილობითაა ცნობილი და „ნევროტიკების ფსიქოლოგიას" შორის, რომელიც ფსიქოანალიზით განიმარტება. აქედან გამომდინარე, შეიძლება „ეთნოლოგიური" ფაქტების ინტერპრეტაცია ნევროლოგიურ კლინიკებში მიღებული ფსიქოანალიზური მონაცემების საფუძველზე. ამაზე დაყრდნობით ფროიდი გვთავაზობს ფსიქოანალიტიკურ განმარტებას ზოგიერთი ისეთი მოვლენისას, რომელთა ახსნა ეთნოლოგებსაც უჭირთ: ეგზოგამიის წეს-ჩვეულება, მაგია, ანიმიზმი, ტაბუს ზოგიერთი სახე, ნათესავების ჯგუფთან „კავშირისაგან" თავის არიდება, ტოტემიზმი.

ფროიდის მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა ეთნოლოგიის შემდგომ განვითარებაზე. საზღვარგარეთის ეთნოლოგიაში მრავალი მიმდინარეობაა მის მოძღვრებაზე დაყრდნობით წარმოშობილი. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა იგი ომისშემდგომი წლების ამერიკაში, სადაც „ნ ე ო ფ ს ი ქ ო ლ ო ი დ ი ს ტ უ ლ ი" მიმდინარეობა შეიქმნა.

კულტურის ისტორიის საკითხებს იკვლევდნენ და ფროიდის მომხრეები იყვნენ: ვ ო ლ ფ გ ა ნ გ რ ე ი ხ ი, ო ტ ო რ ა ნ კ ი, გ ე ზ ა რ ო ჰ ე ი მ ი და სხვ. ერთ დროს ფროიდიზმს ემხრობოდა ფუნქციონალიზმის საფუძველმდებელი ბრონისლავ მალინოვსკიც. მაგრამ ფროიდის მომხრეებსა და მიმდევრებს შორის ყველაზე გამოჩენილია უნგრელი ექიმი-ფსიქიატრი გეზა როჰეიმი. ფროიდისაგან განსხვავებით, იგი არა მარტო კაბინეტური მკვლევარია, არამედ საველე სამუშაოებიც ჩაატარა ცენტრალურ ავსტრალიაში, მელანეზიის კუნძულებზე, აფრიკაში და სხვ. როჰეიმმა გააფართოვა და შეავსო ფროიდის იდეები ეთნოგრაფიულ სიუჟეტებთან მიმართებით, მის ნაშრომებს წითელ ზოლად გასდევს ფროიდის იდეა, დიდი წინაისტორიული კონფლიქტის შესახებ მამებსა და შვილებს შორის, „ოიდიპოსის კომპლექსის" ნარცისული იმპულსების შესახებ, ყველა ამ უძველესი

მოვლენების ონტოგენეტიკურ (ორგანიზმის ჩასახვიდან სიცოცხლის დასასრულამდე) განმეორებათა შესახებ.

მეტად თავისებურია ის შეხედულებები, რომლებიც როჰეიმმა განავითარა კულტურის წარმოშობის შესახებ. კულტურას (ცივილიზაციას) იგი განმარტავს როგორც ყოველივე იმ ჯაჭვს, რითაც კაცობრიობა აღვსილია ცხოველურ დონეს. იგი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ მთელი კულტურა ე.ი. კაცობრიობის მთელი ისტორია „დამყარებულია ეროსსზე". „ეროსში", როგორც ჩანს, უნდა გავიგოთ გამრავლების ინსტინქტი. რა თქმა უნდა, განმარტავდა როჰეიმი, „ეროსი" სახეზეა ყოველ ცოცხალ არსებაში. მაგრამ ადამიანში, „მისი მოუმწიფებლობის ხანგრძლივი პერიოდის გამო". იგი ღებულობს განსაკუთრებულ ფორმებს და ასრულებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს.

ფროიდმა და მისმა მოწაფეებმა თუ მიმდევრებმა ეთნოლოგიაში გარკვეული წვლილი შეიტანეს. მათ ყურადღება მიაქციეს იმ დიდ როლს, რომელსაც ქვეცნობიერება ასრულებს ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, და მაშასადამე, საზოგადოებრივი ყოფიერებისა და კულტურის ფორმირებაში. მეორე მხრივ, როცა განიხილავდნენ ამ ქვეცნობიერს ადამიანის ფსიქიკაში, ფროიდისტებმა სწორად აღნიშნეს ეროტიკული მისწრაფებებისა და ემოციების შესახებ.

მაგრამ ფროიდისტული სკოლის პრინციპული ნაკლოვანებები ამცირებს მის სამეცნიერო მნიშვნელობას. ჯერ ერთი, მეთოდოლოგიურად მცდარია თვითონ ამოსავალი თეზისი: ადამიანი არის ეროტიკული არსება. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაა გამრავლების ინსტინქტი, გამოხატული ლიბიდოთი. უნდა ითქვას, რომ გამრავლების ინსტინქტი, რა თქმა უნდა, მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ არა იმაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი, კიდრე კვების, ან არსებობის საშუალებათა მოპოვებისა.

§ 4. სოციოლოგიური მიმართულება

დასავლეთ ევროპაში თითქმის დიფუზიონიზმის ჩამოყალიბებისთანავე XIX საუკუნის დასაწყისიდან საფუძველი ჩაეყარა მეორე მიმართულებას, რომელიც „ს ო ც ი ო ლ ო გ ე ბ ი ს" სახელითაა ცნობილი. თუ ევოლუციონისტები ეთნოლოგიის შესწავლის მთავარ ობიექტად ადამიანს მიიჩნევენ, ხოლო დიფუზიონისტები — კულტურას, სოციოლოგების შესწავლის მთავარი ობიექტი გახდა ადამიანთა საზოგადოება.

სოციოლოგიურმა კვლევა-ძიებამ უპირატესი გავრცელება საფრანგეთში მოიპოვა. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ფრანგმა ფილოსოფოსმა-პოზიტივისტმა ოგიუსტ კონტმა, რომელმაც პირველმა შემოიღო ტერმინი „სოციოლოგია", დაიწყო საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა დადგენის

ცდები. ეთნოლოგიაში ამ მიმართულების ყველაზე დიდი წარმომადგენელია ემილ დიურკჰეიმი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და სოციოლოგი.

ემილ დიურკჰეიმი (1858-1917 წწ.) ფრანგი სოციოლოგი, პოზიტივისტია. იგი ბორდოსა (1896 წლიდან) და სორბონის (1902 წლიდან) უნივერსიტეტების პროფესორი იყო. გამოდიოდა ვულგარული ბიოვოგიზმის ირაციონალიზმისა და ინტუიტივიზმის წინააღმდეგ საზოგადოებრივ მეცნიერებებში. იღწვოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფაქტებს შორის მიზეზობრივ დამოკიდებულებათა დადგენისათვის. სოციოლოგიის საგნად თვლიდა „სოციალურ ფაქტებს" (საზოგადოებრივი დაწესებულებანი, კანონები) და ა.შ. თუმცა ე. დიურკჰეიმს მიაჩნდა, რომ ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის საფუძველია „კოლექტიურ წარმოდგენებში". ისტორიული პროცესების მთავარ შინაარსს იგი ხედავდა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში ნაშრომში — „საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შესახებ" (1893 წ.) — იგი უარყოფდა საზოგადოების კლასებად დაყოფას და მას ცვლიდა პროფესიული ჯგუფებით, ხოლო ისტორიის მამოძრავებელ ძალად, კლასთა ბრძოლის ნაცვლად მიიჩნევდა „სოციალურ სოლიდარობას". ფაქტობრივად დიურკჰეიმის სოციოლოგია იყო მარქსიზმის უარყოფის ერთ-ერთი ცდა. მისმა თეორიამ და მის მიერ დაარსებულმა სოციოლოგიურმა სკოლამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დასავლეთის სოციოლოგიასა და ისტორიოგრაფიაზე. მისი უმთავრესი ნაშრომია „სოციოლოგიური მეთოდის წესები" (1893 წ.) და „თვითმკვლელობა" (1897 წ.).

სოციოლოგიური კვლევის საგანს დიურკჰეიმისათვის, როგორც აღვნიშნეთ წარმოადგენს საზოგადოება. მაგრამ საზოგადოებაში იგი გულისხმობს არა აბსტრაქტულ „საეროო-საკაცობრიო" საზოგადოებას, არამედ ადამიანთა კონკრეტულ გაერთიანებებს და თითოეულ მათგანს იგი განიხილავდა როგორც თვითმყოფად, ერომანეთთან დამოუკიდებელ ერთეულებს. მსოფლიო-ისტორიულ თვალსაზრისს დიურკჰეიმი არ ცნობდა. „სინამდვილეში, — წერდა იგი. — კაცობრიობის პროგრესი არ არსებობს. რაც არსებობს, ეროადერთი, რაც არის აუცილებელი შესწავლისათვის — ესაა ცალკეული საზოგადოებები, რომლებიც წარმოიშვებიან, ვითარდებიან და გადაშენდებიან ერომანეთისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ საჭიროა, — დასძენს იგი შემდეგ, — მკვლევარმა მოახდინოს ცალკეული საზოგადოებების კლასიფიკაცია. ამისათვის მას შემოაქვს შემდეგი ტერმინები: „სოციალური ტიპი", ან „სოციალური სახეობა". კლასიფიკაციის საფუძვლად ე. დიურკჰეიმი იღებს ყველაზე მარტივ საზოგადოებას, როგორიცაა პირველყოფილი „ბრბო", როცა იგი შედის უფრო რთულ საზოგადოებაში, გადაიქცევა „კლანად" (ე.ი. მოდგმად) — ერთეულად, რომელიც უკვე არ დაიყოფა ნაწილებად, რადგან ოჯახს ე. დიურკჰეიმი მიიჩნევს უფრო გვიანდელ მოვლენად.

დიდი ადგილი უჭირავს ე. დიურკჰეიმის შემოქმედებაში რელიგიის, მისი წარმოშობისა და განვითარების, მისი ფორმების შესწავლას. ამ საკითხის კვლევას მიუძღვნა მან სპეციალური ნაშრომი „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები. ტოტემისტური სისტემა ავსტრალიაში".

ამ ნაშრომში იგი არსებითად შეეხო უფრო ვრცელ პრობლემას, კერძოდ ტოტემური სისტემაა — განიხილა საერთოდ რელიგიის არსებობის საკითხი. იგი უარყოფს რელიგიის მიღებულ განსაზღვრებებს, როგორც „ზებუნებრივი", „ღვთაებრივის" და სხვა ნიშნების მიხედვით, თვლის, რომ რელიგიის ძირითადი ნიშანია მთელი სამყაროს აბსოლუტურად მკვეთრი დაყოფა ორ ნაწილად, ე.წ. წმინდა სამყაროდ და ყოველდღიურ სამყაროდ.

ემილ დიურკჰეიმმა გულდასმით შეისწავლა ავსტრალიელთა ტოტემური რწმენები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათ მთავარ ობიექტს წარმოადგენს არა რომელიმე ცხოველი ან მცენარე, არა რომელიმე გაძოსახულება ან ცალკეული ადამიანი, არამედ „რომელიღაც ანონიმური და უსახო ძალა, რომელიც იმყოფება თითოეულ ამ არსებაში, ისე, რომ, არ არის შერეული იმავდროულად არც ერთ მათგანში".

ემილ დიურკჰეიმმა ავსტრალიური ტოტემიზმის მაგალითზე აჩვენა თავისი „სოციოლოგიური" მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები რელიგიის ადრინდელი ფორმების შესასწავლად.

ემილ დიურკჰეიმის მიერ სოციოლოგიური მეთოდის გამოყენების მაგალითია მისი ნაშრომი „თვითმკვლელობა", რომელშიც დიდძალ სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით განიხილავს ამ მოვლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან მიმართებაში: თვითმკვლელთა ოჯახური მდგომარეობა, ეროვნება, სარწმუნოება, საქმიანობა, განათლება და სხვ. აგრეთვე სოციალური წყობის, ეპოქის, ეკონომიკის საერთო ხასიათი ყოველ კონკრეტულ მომენტში და სხვ.

დიურკჰეიმის მიერ ჩამოყალიბებულმა სოციოლოგიურმა სკოლამ ეთნოლოგიაში მიმდევართა დიდი ჯგუფი წარმოშვა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი — მ ა რ ს ე ლ მ ო ს ი (1872-1950 წწ.). მისი შრომები ძირითადად სოციალური კულტურის შესწავლისადმია მიძღვნილი. მათ შორის მნიშვნელოვანია „ეთნოლოგიის სახელმძღვანელო" (1947 წ.). მის მიერ 1926-1939 წლებში წაკითხული ლექციების ჩანაწერები. ამ წიგნზე აღიზარდა და ამჟამადაც იზრდება ფრანგი ეთნოლოგების არაერთი თაობა. სოციოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია, აგრეთვე, ლ უ ს ი ენ ლ ე ვ ი - ბ რ ი უ ლ ი (1857-1939 წწ.), რომლის უმთავრესი ეთნოლოგიური ნაშრომია „პირველყოფილი აზროვნება" და „აზროვნებითი ფუნქციები დაბალ საზოგადოებაში" (1910 წ.).

§ 5. ფუნქციონალიზმი

სოციოლოგიური სკოლის იდეური გაგრძელებაა ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა - ლ ი ზ მ ი, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა ინგლისში. ფუნქციონალიზმის დამაარსებელია ბრონისლავ კ ა ს პ ა რ მ ა ლ ი ნ ო ვ ს - კ ი (1884-1942 წწ.), წარმოშობით პოლონელი. იგი დაიბადა კრაკოვში, დაამთავრა კრაკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და 1908 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი. მოგვიანებით, განსაკუთრებით ჯ. ფრეზერის ნაშრომების გაცნობის შემდეგ, თავისი სპეციალობა ეთნოლოგიისა და კულტურის ისტორიის სპეციალობით შეცვალა. ლაიფციგში იგი ისმენდა ისეთი დიდი მეცნიერის ლექციებს ეთნოლოგიის ისტორიაში, როგორიც იყო კარლ ბიუხერი. ხოლო ლონდონში გადასახლების შემდეგ (1910 წლიდან) იგი საფუძვლიანად ეცნობა და სწავლობს სხვა გამოჩენილი ეთნოლოგების ნაშრომებსა და მათ იდეებს. 1913 წელს დაიბეჭდა მალინოვსკის პირველი სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა „ოჯახი ავსტრალიელ აბორიგენებში". 1914 წელს მალინოვსკი გაემგზავრა ავსტრალიაში, ხოლო შემდეგ ორნახევარი წელი გაატარა ახალ გვინეასა და მის მიმდებარე კუნძულებზე, სადაც ნაყოფიერ საველე დაკვირვებებს აწარმოებდა და შეკრიბა უამრავი ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა, რომელნიც შემდეგში საფუძვლად დაედო მის მრავალ სამეცნიერო შრომას. სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით ბ. მალინოვსკიმ შეიმუშავა მეთოდი, რომელსაც „ფუნქციონალიზმი" ეწოდა. ფუნქციონალიზმის ნიშნები შეიმჩნეოდა ბ. მალინოვსკის ჯერ კიდევ ისეთ ადრინდელ კაპიტალურ შრომებში, როგორებიცაა: „წყნარი ოკეანის დასავლეთი ნაწილის აბორიგენები", „დანაშაული და წესჩვეულებები ველურთა საზოგადოებაში" და სხვ. ამ მიმდინარეობის ძირითადი იდეები მან ჩამოაყალიბა თავის გვიანდელ ნაშრომებში, რომელთა შორის გამოირჩევა საგანგებო ნარკვევი „კულტურის მეცნიერული თეორია" (1940 წ.). აქ სისტემურადაა ჩამოყალიბებული ფუნქციონალიზმის მეთოდი და მალინოვსკის მეცნიერული შეხედულებები, რომლებიც ძირითადად ასეთია: ეთნოლოგიის შესწავლის უმთავრესი საგანია კულტურა. მის მოძღვრებაში კულტურას აქვს ფართო და საკმაოდ ზუსტი გაგება. მას კულტურა ესმის როგორც თავისებური ბიოლოგიური მოვლენა. კულტურა დამყარებულია ბიოლოგიურ ბაზისზე, ადამიანის არის ცხოველი და ამიტომ უპირველესი ამოცანა, რომელიც მან უნდა გადაჭრას, ესაა მარტივი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მათი დაკმაყოფილების პროცესში ადამიანი მოიპოვებს საჭმელს, სათბობს, საცხოვრებელს, ტანსაცმელს და სხვ. ყოველივე ამის მოპოვების პროცესში ადამიანი ქმნის თავის გარშემო ახალ, მეორეულ წარმოებულ გარემოს. სწორედ ეს გარემოა კულტურა. კულტურა არის საგნობრივი და სულიერი აპარატი, რომლის დახმარებითაც ადა-

მიანი წყვეტს კონკრეტულ მის წინ დასმულ სპეციფიკურ ამოცანებს. კულტურის, რამდენადმე სტატისტიკურ და მდგრად სისტემად განხილვით მალინოვსკი აღიარებს მასში მიმდინარე ცვლილებებს, ევოლუციას, არ უარყოფს ახალი კულტურული ნიშნების სესხებას.

ფუნქციონალიზმის მეორე დიდი წარმომადგენელია ალფრედ რ ე ჯ ი ნ ა ლ დ რ ა დ კ ლ ი ფ - ბ რ ა უ ნ ი (1881-1955 წწ.) — ინგლისელი, თავისი ცხოვრების ბანიილზე იგი კითხულობდა საუნივერსიტეტო კურსებს ეთნოლოგიასა და ანთროპოლოგიაში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში, აშშ-ში, ინგლისსა და ეგვიპტეში. მან ჩაატარა მრავალი საველე ეთნოგრაფიული ექსპედიცია ჩრდილო-დასავლეთ ავსტრალიაში, აფრიკაში, პოლინეზიაში. საველე და კაბინეტური მუშაობის შეხამება გახდა რედკლიფ-ბრაუნისათვის (ისევე როგორც მალინოვსკისათვის) სამეცნიერო მუშაობის მეთოდის ძირითადი განმსაზღვრელი. მუშაობის ნორმალურ თანმიმდევრობად იგი თვლის შემდეგს: ხანგრძლივი და საფუძვლიანი საველე კვლევა-ძიების შემდეგ მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება, ტექსტის შავი ვარიანტის შედგენა, შემდეგ გაბმული ორებითი მუშაობა ველზე მიღებული შედეგების შესაბოწმებლად. ასე შექმნა მან თავისი მთავარი თეორიული ნაშრომები: „ანდამანის კუნძულები" (1922 წ.), „ეთნოლოგიისა და სოციალური ანთროპოლოგიის მეთოდები" (1923 წ.), „კულტურის ისტორიული და ფუნქციური განსაზღვრება" (1929 წ.) და სხვ.

მალინოვსკისა და რადკლიფ-ბრაუნს გამოუჩნდნენ მრავალრიცხოვანი მიმდევრები. მალინოვსკი, რომელსაც დიდი პედაგოგიური ტალანტი ჰქონდა, მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდა არა აკადემიური ლექციების კითხვას, არამედ ცოცხალ ურთიერთობას სტუდენტებთან, მათ მიერ დამოუკიდებელი აზროვნების გამომუშავებას. რადკლიფ-ბრაუნიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ლექციების კითხვისას მრავალრიცხოვანი მიმდევრები შეიძინა. მალინოვსკისა და რადკლიფ-ბრაუნის საქმის გაგრძელებლებად ითვლებიან ცნობილი მეცნიერები: რ ა ი მ ო ნ დ ფ ო რ ს ი, ი ა ნ ხ ო გ ბ ი ნ ი, მ ე ი ე რ ფ ო რ ტ ე ს ი და სხვ. ფუნქციონალიზმის ტრადიციები ყველაზე მეტად დამკვიდრდა დიდ ბრიტანეთში შემავალ ქვეყნებში: ინგლისში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. ამ სკოლამ გარკვეული გავლენა მოახდინა ფრანგული და ამერიკული ეთნოლოგიის განვითარებაზე.

§ 6. ისტორიული ეთნოლოგიის სკოლა

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ამერიკაში ჩაისახა ახალი მიმართულება ეთნოლოგიაში, რომელიც დაკავშირებულია გამოჩენილი მეცნიერის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ფ რ ა ნ ც ბ ო ა ს ი ს (1859-1942 წწ.) სახელთან.

ფრანც ბოასი, გერმანული წარმოშობის ებრაელი, დაიბადა ვესტფალის ქალაქ მინდენში. სწავლობდა ჰაიდელბერგის, ბონისა და კილის უნივერსიტეტებში. სპეციალობით იყო მათემატიკოსი და ფიზიკოსი. 1881 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1883-1884 წლებში მოაწყო დიდი მოგზაურობა ამერიკაში, კერძოდ ესკიმოსებში. დაინტერესდა მათი ყოფა-ცხოვრებით, მან მათ რამდენიმე საჟურნალო სტატია მიუძღვნა, ხოლო 1888 წელს გამოსცა ფუნდამენტური მონოგრაფია საოაურით — „ცენტრალური ესკიმოსები". 1886 წლიდან ბოასი გადასახლდა ამერიკაში და თავისი შრომების დიდი ნაწილი მიუძღვნა ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ტომებს, განსაკუთრებით დაინტერესდა კვაკიუტლის ტომის შესწავლით. 1896 წლიდან მან 40 წელზე მეტ ხანს იმუშავა კოლუმბიის (ნიუ-იორკი) უნივერსიტეტში, არჩეული იყო მსოფლიოს მრავალი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრად. ბოასმა დააარსა მრავალი ჟურნალი, რომელსაც თავად რედაქტორობდა. იგი ეწეოდა, აგრეთვე აქტიურ საზოგადო საქმიანობას.

ბოასმა დიდძალი კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის, ფოლკლორული ტექსტის, ინდიელთა სხვადასხვა ენის აღწერების, ანთროპოლოგიური ნაშრომების გამოქვეყნებასთან ერთად გამოსცა მთელი რიგი თეორიული ხასიათის სტატიებისა და წიგნების, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მისი მეცნიერული იდეები. ბოასი თავის პირველსავე ნაშრომში — „ეთნოლოგიის ამოცანები" (1888 წ.) წერდა, რომ ამ მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა სოციალური ცხოვრების მოვლენათა მთელი ერთობლიობის შესწავლა, ე.ი. შესწავლა ენის, წეს-ჩვეულებების, მიგრაციების, სხეულის ნიშნების და ამ შესწავლამ მოლიანობაში უნდა შეადგინოს „კაცობრიობის ისტორია", ისტორია არა რომელიმე ცალკეული ცივილიზებული ერისა, არამედ სწორედ მთელი კაცობრიობისა, მისი ისტორიის ყველა პერიოდში — გამყინვარების ეპოქიდან თანამედროვეობამდე. მისი შეხედულებით, ამისათვის საჭიროა ყოველი ცალკეული ხალხის თავისებურებათა შესწავლა, ამ სახით ეთნოლოგიამ უნდა შექმნას „კულტურის ისტორიის ნაწილი" და ამ მეცნიერის საბოლოო და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია სოციალური განვითარების საერთო კანონზომიერებათა დადგენა. უამრავ ეთნოლოგიური ხასიათის ნაშრომს შორის, რომლებიც ბოასმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე შექმნა (იგი გარდაიცვალა 84 წლის ასაკში) მნიშვნელოვანია: „პირველყოფილი ადამიანის გონება" (1911 წ.), „ანთროპოლოგია და თანამედროვე ცხოვრება" (1928 წ.), „ენა და კულტურა" (1940 წ.) და სხვ.

ფრანც ბოასის წვლილი ამერიკული და მსოფლიო ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაში შეიძლება შემდეგ ოთხ ძირითად დებულებად ჩამოყალიბდეს: 1. აუცილებელია კონკრეტული და ყოველმხრივი, ამასთანავე, ისტორიული შესწავლა თითოეული ხალხისა, მისი ენისა, კულტურისა, ანთროპოლოგიური ტიპისა; 2. საჭიროა შესწავლა ხალხთა კულტურულ

ურთიერთობათა, რომლებიც კულტურულ ერთობებს ქმნიან გარკვეულ გეოგრაფიულ არეალებში; 3. საჭიროა უდიდესი სიფრთხილე კაცობრიობისა და მისი კულტურის განვითარების ზოგადი კანონზომიერებების დადგენისას. განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭიროა გარეგნული ნიშნების მსგავსებათა დაჯგუფებისას, რომლებიც შემოწმებისას შეიძლება არსებითად განსხვავებულები აღმოჩნდნენ და აღმოაჩნდეთ განსხვავებული წარმოშობის გზები; 4. მორალურ შეფასებათა „ჩვენი" კრიტერიუმები არ უნდა გადავიტანოთ სხვა ხალხებზე. ყოველ ხალხს გააჩნია თავისი სოციალური იდეალები, თავისი მორალური ნორმები.

ფ. ბოასს ჰყავს ბევრი მიმდევარი და მოწაფე, რომლებმაც წარმატებით გააგრძელეს მისი დაწყებული საქმე და განავითარეს მისი იდეები და შეხედულებები. მაგალითად: კ ლ ა რ კ უ ი ს ლ ე რ ი, ა ლ ფ რ ე დ ლ უ ი ს კ რ ი ო ბ ე რ ი, რ ო ბ ე რ ტ ლ ო ე ი და სხვ.

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან ამერიკულ ეთნოლოგიაში თავი იჩინა ახალი ეტაპის ნიშნებმა. თუ მანამდე ამერიკული ეთნოლოგიის განვითარება ძირითადად მხოლოდ ბოასის იდეების გავლენით მიმდინარეობდა, ახლა უკვე აშკარა გახდა, რომ ამერიკელ ეთნოლოგთა შრომების ახალი მიმართულება მიეცა და მათ შორის ყველაზე გავლენიანი იყო „ფსიქოლოგიური" ანუ „ეთნოფსიქოლოგიური სკოლა". მისი მამამთავარი და იმ წლებში ხელმძღვანელი იყო აბრამ კარდინერი. ამ სკოლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლებია: რ ა ლ ფ ლ ი ნ ტ ო ნ ი, ე დ უ ა რ დ ს ე პ ი რ ი, რ უ თ ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ი, კ ო რ ა დ ი უ ბ ო ი ს, ი რ ვ ი ნ გ პ ა ლ ო უ ე ლ ი.

ეთნოლოგების მიერ მათი შესასწავლი ობიექტის შესაცნობად ფსიქოლოგიური ფაქტორების მოშველიება ახალს არ წარმოადგენდა. როგორც ვიცით, მას მიმართავდნენ ეთნოლოგიის პიონერები ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდან. ამდენად, ეთნო-ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლების მიერ კულტურის ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოყენება თავისთავად ახალი არ იყო. მაშ, რით გამოიხატება ეთნო-ფსიქოლოგიური მიმდინარეობის ძირითადი სიახლე და არსი?

პირველ რიგში, ესაა დაბრუნება ინდივიდუალური ფსიქოლოგიისაკენ და დამუშავება „პიროვნების" მცნებისა, როგორც ძირითადი კომპონენტისა. მოლიანი სტრუქტურის განმსაზღვრელი პირველადი ერთეულისა; ძალიან განსაკუთრებული ინტერესი „პიროვნების" ფორმების პროცესისადმი, ე.ი. მისი განვითარებისადმი ადრეული ბავშვობის ასკიდან; მესამე, ფროიდისტული მოძღვრების პირდაპირი გავლენის შედეგად განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა სექსუალური სფეროსადმი და მრავალ შემთხვევაში მისთვის მეტისმეტად გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება; მეოთხე, ზოგიერთი ეთნოლოგიის აშკარად გამოხატული ტენდენცია ნებისმიერი საზოგადოების

სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის დაყვანისა იმავე ელემენტარულ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებამდე.

განზოგადებული სახით ეთნო-ფსიქოლოგიური სკოლის იდეები კარდინერმა ჩამოაყალიბა ორ ვრცელ ნაშრომში, რომელიც რამდენიმე თანაავტორის მონაწილეობითაა შექმნილი. ესენია: „ინდივიდი და მისი საზოგადოება", „საზოგადოების ფსიქოლოგიური საზღვრები" (1945 წ.). მანვე შეიმუშავა მთელი ფსიქო-ეთნოლოგიური სკოლის მთავარი და ამოსავალი მცნება „ძირითადი პიროვნების" შესახებ. აი, ეს „ძირითადი პიროვნება" ე.ი. საშუალო ფსიქოლოგიური ტიპი, რომელიც წამყვანია ყოველ მოცემულ კონკრეტულ საზოგადოებაში, ითქოს ქმნის ამ საზოგადოებასა და მისი კულტურის ბაზას. ეთნო-ფსიქოლოგების მიხედვით საკსებით კანონიერია „პიროვნების" ფსიქოლოგიური შესწავლის მონაცემების „გადატანა" მთლიანად საზოგადოებაზე და სხვ.

§ 7. მარქსისტულ-ლენინური ეტაპი ეთნოლოგიაში*

სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების ადრეული საფეხურების შესწავლისათვის მარქსიზმის კლასიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეთნოგრაფიას.

ლუი მორგანის წიგნის — „ძველი საზოგადოება" გაცნობამ მარქსისზმის კლასიკოსებს საშუალება მისცა შეეცხოთ ისტორიული განვითარების კონცეფციაში არსებული ხარვეზები. მორგანის მიერ გვაროვნულ ნათესაობაზე დამყარებული საზოგადოების აღმოჩენას და მის მნიშვნელობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ მარქსი და ენგელსი. მრავალ ახალ იდეას შორის, რომლებიც მარქსიზმის ფუძემდებლებმა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა დადგენის ცდისას შეიმუშავეს, ეთნოგრაფიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს საზოგადოების განვითარების უძველესი სტადიების შესახებ. საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნეირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა მარქსის კომპლექტს ლუი მორგანის წიგნისას — „ძველი საზოგადოება", ენგელსის შრომას „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" და სხვ.

ადამიანთა საზოგადოების უძველესი საფეხურის წინაკლასობრივი და კლასობრივი საზოგადოებების პერიოდის ისტორიის შესწავლისათვის მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებს შორის განსაკუთრებითყმნიშვნელოვანი იყო ფრიდრიხ

*სსრკ-ში „ეთნოლოგიის" ნაცვლად დამკვიდრებული იყო ტერმინი „ეთნოგრაფია" და ამიტომ სსრკ-ში წარმოებული ეთნოლოგიური კვლევა-ძიების მიმოხილვისას ჩვენც ტერმინ „ეთნოგრაფიას" გამოვიყენებთ

ენგელსის ისტორიული ხასიათის შრომები. დიდი წვლილი მიუძღვის ფრიდრიხ ენგელსს პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შესწავლაში. 1870 წელს ძველირლანდიური კანონებისა და მასალების ანალიზის შედეგად ენგელსმა დაადგინა პოლიგამიის უნივერსალური ბუნება პირველყოფილ ხალხებში და გვაროვნული ურთიერთობების პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ძველ საზოგადოებრივ წყობაში. 1876 წელს სტატიით — „შრომის როლი მაიმუნის გადამიანებაში" — ენგელსმა საფუძველი ჩაუყარა ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბების მარქსისტულ გეგმას. სხვა მეცნიერებათაგან განსხვავებით, რომლებიც ადამიანის წარმოშობისა და საზოგადოების ჩამოყალიბების ბიოლოგიური პროცესების, ანუ გეოგრაფიული გარემოს გავლენის შედეგად მიიჩნევდნენ, ენგელსმა წარმოაჩინა შრომითი საქმიანობის წარმოშობისა და სრულყოფის გადაწყვეტის როლი ამ პროცესში. ანთროპოგენეზისა და სოციოგენეზის შრომითი თეორია წარმოადგენს ენგელსის წვლილს მარქსისტულ ისტორიულ მეცნიერებაში. მან ნაშრომში — „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" (1884 წ.) — მორგანის წიგნზე — „ძველი საზოგადოება" (1887 წ.) — მარქსისეული შენიშვნების, აგრეთვე სხვა მეცნიერთა მასალების სინთეზირების შედეგად ჩამოაყალიბა მატერიალისტური შეხედულებები. კაცობრიობის პირველყოფილი ისტორიის შესახებ.

მართალია, ფრ. ენგელსის დახატული სურათის ზოგიერთი დეტალი მოძველდა შემდეგი კვლევა-ძიების შუქზე, მაგრამ მისი ძირითადი დებულებები: პირველყოფილი სოციალური სტრუქტურისა და ევოლუციის, მისი განვითარების წინაგვაროვნული და გვაროვნული სტადიების შესახებ, პირველყოფილი საოჯახო მეურნეობის, როგორც მისი ეკონომიკური საფუძვლების, ჯგუფური ქორწინებიდან წყვილადისა და მონოგამიისაკენ ოჯახის ევოლუციის, თავდაპირველი მატრიარქალური გვაროვნული ურთიერთობების პატრიარქალურისაკენ გადასვლის შესახებ და სხვა. საფუძვლად დაუდო ისტორიის მარქსისტულ მოძღვრებას. ამ მოძღვრებაში შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა ძველი საბერძნეთის, ძველი რომის, კელტების, ჯერმანელებისა და სხვა ხალხების ისტორიის ცალკეული ფაქტების ენგელსისეულმა ანალიზმა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პროცესის, კერძო საკუთრების წარმოშობის, გაცვლის, ქონებრივი უთანასწორობის, კლასებისა და სახელმწიფოს შესახებ.

სახელმწიფო ჩამოყალიბების, წინაკაპიტალისტური საზოგადოებების სოციალურ-ეკონომიკური წყობის საკითხები განხილულია ვ.ი. ლენინის ცალკეულ ნაშრომში. მე-19 საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბებული ეთნოგრაფია განავითარეს დიალექტური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე.

ეთნოგრაფია საბჭოთა პერიოდში, მისი პირველი, კონკრეტული წარმომადგენლები, გარკვეული თვალსაზრისით, ეყრდნობოდნენ იმ მემკვიდრეობას და, ხშირ შემთხვევაში, იმ დემოკრატიულ საწყისებს, რომლებიც ნაწილობ-

რივ ახასიათებდა ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებებს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, იმავე საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული, აღნიშნულმა სამეცნიერო დისციპლინამ მიიღო მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური დატვირთვა და დიდი ინტერესი გამოიწვია. აქ იგულისხმება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ეთნოგრაფიული კვლევაც და თვით ქვეყნის შიგნით მოქცეული მოსახლეობის მიზანდასახული შესწავლაც; იგი ეხმიანებოდა ოფიციალური წრეების იმ პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც ახალშექმნილი მრავალეროვნული სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე დადგა. მაგალითად, ეროვნული ოლქების შექმნა, ეროვნული მიჯნების დადგენა შუა აზიის ხალხებს შორის. ე.წ. „ლენინური ეროვნული" პოლიტიკის განხორციელება მოითხოვდა ამა თუ იმ ხალხის ეთნოგენეტიკური ფესვების კვლევას, ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და ეროვნული თავისებურებების, საზოგადოებრივი წყობისა და კულტურის ყოველმხრივ შესწავლას და შემდეგ ამ კვლევის შედეგების სასურველი კუთხით წარმოჩენას.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ლენინგრადსა და მოსკოვში შეიქმნა ეთნოგრაფიული პროფილის ახალი სამეცნიერო ცენტრები. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ბევრი გააკეთა ჩრდილოეთის ხალხების ინსტიტუტმა, რომელიც არსებობდა ლენინგრად'ში. დიდი სამეცნიერო-ორგანიზაციული მნიშვნელობა ჰქონდა 1926 წელს ჟურნალ „ეთნოგრაფის" დაარსებას, რომლის რედაქტორი იყო აკადემიკოსი ს. ოლდენბურგი; ეს ჟურნალი ამ სახელწოდებით გამოდიოდა 1930 წლამდე, ხოლო 1931 წლიდან მას „საბჭოთა ეთნოგრაფია" (Советская Этнография) ეწოდა. პირველ პერიოდში გამოქვეყნდა ჟურნალის 12 ნომერი. მათში გამოქვეყნებულია წერილები ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, კულტურისა და ლინგვისტიკის შესახებ, რომლენიც ეხება როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სხვა ქვეყნების ხალხებს. აქვეა რეცენზიები გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიულ ნაშრომებზე, საბჭოთა და უცხოელი ეთნოგრაფიული საზოგადოებების საქმიანობის მიმოხილვები, ინფორმაციები მუზეუმებისა და სხვადასხვა გამოფენების შესახებ და მრავალი სხვა მასალა.

სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ნ.ნ. მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტი წარმოადგენდა ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებათა ცენტრალურ დაწესებულებას საბჭოთა კავშირში. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რესპუბლიკურ და სხვა ადგილობრივ ეთნოგრაფიულ დაწესებულებებთან და კოორდინაციას უწევდა მათ სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას. საინტერესოა ამ დაწესებულების ჩამოყალიბებისა და მისი შექმნის ისტორია, იმ შორეული ძირებისადმი თვალის გადევნება, რომლის ბაზაზეც იგი ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი ავტორიტეტული სამეცნიერო ტრადიციების მქონე აკადემიური დაწესებულება.

ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პირველი წინამორბედი იყო 1714 წელს პეტერბურგში დაარსებული პეტრე პირველისეული კუნსტკამერა. 1836 წელს კუნსტკამერას გამოეყო ეთნოგრაფიული და ანატომიური მუზეუმები, რომლებიც 1878 წელს გაერთიანდნენ და შეიქმნა ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. 1933 წელს, როგორც აღინიშნა, ლენინგრადში შეიქმნა ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდა: პეტრე დიდის სახელობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, სსრკ-ის ხალხთა შემსწავლელი ინსტიტუტი (ეს უკანასკნელი შეიქმნა 1930 წელს), ხოლო 1937 წელს, რეორგანიზაციის შემდეგ, ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

1943 წლამდე სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტი მდებარეობდა ლენინგრადში, ხოლო ამ დროიდან გადაინაცვლა მოსკოვში. ლენინგრადში დარჩა მისი განყოფილება და ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის მუზეუმი. 1947 წელს ინსტიტუტს მიენიჭა მიკლუხო-მაკლაის სახელი.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ეთნოგრაფიას ყოფილ საბჭოთა კავშირში ჰქონდა მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური დატვირთვა, რაც აისახა კიდეც ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, სადაც მუშაობა წარიმართა სამი მიმართულებით: 1. საბჭოთა კავშირის ხალხების სოციალურ-ყოფითი და კულტურული პროცესების ცვლილებები სოციალიზმიდან კომუნიზმამდე გარდამავალ პერიოდში; 2. ეროვნებათა ჩამოყალიბება და ეროვნული პრობლემები; 3. ადამიანის წარმოშობა, ადამიანთა რასების წარმოშობა და განსახლება, პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის საკითხები;

ეთნოგრაფიის ინსტიტუტი სისტემატურად აწყობდა მრავალწლიან ექსპედიციებს, რომელთა მუშაობის მიზანი იყო საველე ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მასალების შეკრება. ინსტიტუტში შეიქმნა მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროდუქცია, რომლებიც ქვეყნდებოდა მრავალტომიანი პერიოდული გამოცემებისა და ცალკეული მონოგრაფიების, აგრეთვე საგანგებოდ რომელიმე საკითხისადმი მიძღვნილი კრებულების სახით.

სამეცნიერო მასალის შეკრებისა და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის ფორმირების პირობებში, ოქტომბრის გადატრიალების შემდგომი პირველი ათწლეულის განმავლობაში, საბჭოთა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებები ხასიათდებოდა იდეურ-თეორიულ შეხედულებათა გარკვეული სიჭრელით. ეთნოგრაფებს შორის იყვნენ როგორც თანმიმდევრული ევოლუციონისტები (ლ. შტერნბერგი, ბ. პეტრი, მ. კოსვენი და სხვ.), ისე კულტურულ-ისტორიული სკოლის მიმდევრები (ბ. კუფტინი და სხვ.). ახალგაზრდა ეთნოგრაფთა მისწრაფება მარქსიზმისა და კვლევა-ძიებების საფუძველზე გამართვისადმი, ხშირად, მხოლოდ ცალკეული ტერმინების მოშველიებით

გამოიხატებოდა, რომლებიც აღებული იყო მარქსისტული ლიტერატურიდან მისი დამუშავებისა და მასში ღრმად ჩაწვდომის გარეშე. გამონაკლისს შეადგენდა ცალკეული ნაშრომები პ. კუშნერისა, ვ. ნიკოლსკისა და სხვების, რომლებიც ეძღვნებოდა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიასა და კულტურას. ამავე დროს, უფროსი თაობის ეთნოგრაფების ერთი ნაწილი (ა. მაქსიმოვი) რჩებოდა წმინდა ემპირიული კვლევა-ძიებების პოზიციებზე, უარყოფდა თეორიულ განზოგადებებს და სხვ.

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში, მიმდინარე კლასობრივი ბრძოლების პირობებში, საბჭოთა ეთნოგრაფიაში, ისევე როგორც სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, გაიშალა ფართო დისკუსია სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობის დაძლევისა და მარქსისტული პრინციპის დამკვიდრებისადმი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1929 წლის ეთნოგრაფიულ და 1932 წლის ეთნოგრაფიულ-არქეოლოგიურ თათბირებს. მიუხედავად ცალკეული უკიდურესობებისა (ეთნოგრაფიის საგნის მეტისმეტად ფართოდ ან მეტისმეტად ვიწროდ წარმოდგენა), ამ დისკუსიების შედეგად უკვე საფუძველი გაიმაგრა და გაბატონდა მარქსისტული მეთოდოლოგია.

30-იან წლებში შეიქმნა დიდი რაოდენობა ნაშრომებისა, რომლებშიც ასახულია საბჭოთა ეთნოგრაფიაში ისტორიულ-მარქსისტული, მარქსისტულ-ლენინური პრინციპები. ამ პერიოდის ეთნოგრაფთა საქმიანობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ყურადღების გამახვილება საზოგადოებრივი წყობის, სხვადასხვა ფორმის პატრიარქალური და პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობების საკითხებზე. ეს უპირატესად დაკავშირებული იყო სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ქვეყნის ჩამორჩენილ ხალხებში, ასევე, ე.წ. „ბურჟუაზიულ და ნაციონალისტური ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლასთან".

გაიზარდა აგრეთვე, პირველყოფილობის, ეგზოგამიის, დედისეული გვარისა, სამხედრო დემოკრატიისა და სხვადასხვა ზოგადი თეორიული საკითხის შედარებით ისტორიული შესწავლა (ე. კაგაროვის, ე. კრიჩევსკის, ა. ზოლოტარიოვის, ი. ვინნიკოვის, ს. ტოლსტოისა და სხვათა შრომები).

პრინციპულ საკითხებზე სხვადასხვა შეხედულების შეჯამების შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიის საბჭოთა სკოლა, რომელიც დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ მეცნიერთა შეხედულებებს. ეთნოგრაფიის საბჭოთა სკოლის ამოსავალი ქვაკუთხედი იყო დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიის გამოყენება, საშეცნიერო კვლევა-ძიების სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირით.

ფართოდ გაშალა ეთნოგრაფიული სამუშაოები ომის შემდეგ წლებში. შეკრებილი ეთნოგრაფიული ცნობების განზოგადების მიზნით შეიქმნა სპეციალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონული ატლასები, რომელთა

მომზადებისათვის გაერთიანდა როგორც ცენტრის, ისე აღგილობრივი ეთნოგრაფების ძალები.

საბჭოთა ეთნოგრაფების მუშაობის შედეგია „მსოფლიოს ხალხების" ცამეტტომეულის (18 წიგნად) გამოცემა 1954-1966 წლებში, „ზოგადი ეთნოგრაფიის ნარკვევების" გამოქვეყნება 5 ტომად (1957-1968 წწ.), „ქვეყნები და ხალხების" გამოცემა 20 წიგნად (1978-1985 წწ.).

§ 8. ეთნოლოგიის ქართული სკოლა*

XIX საუკუნის შუა ხანებში ევროპასა და რუსეთში ძიძღინარე ეთნოგრაფიული სამუშაოების კვალდაკვალ საქართველოშიც დაიწყო პირველი ეთნოგრაფიული კვლევა. 1850 წელს ჩამოყალიბდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელთანაც 1852 წელს დაარსდა „კავკასიური მუზეუმი". მუზეუმში ეთნოგრაფიულ სამუშაოებს სათავეში ჩაუდგა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი; დაიწყო პირველი ეთნოგრაფიული კოლექციების შეკრება და მუზეუმში თავმოყრა. მართალია, 1856 წელს „კავკასიური მუზეუმი" დაიხურა, მაგრამ 1865 წელს დაარსდა „კავკასიის მუზეუმი", რომელიც დღემდე არსებობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სახელწოდებით და წარმოადგენს საქართველოში ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებათა ერთ-ერთ ძირითადი ნელოვან კერას. კავკასიის მუზეუმში დაარსებისთანავე დაიწყო ეთნოგრაფიული კოლექციების შეკრება, რასაც ძირითადად რარიტეტული და არქეოლოგიური მეთოდი ედო საფუძვლად.

ეთნოგრაფიული სამუშაოების ინიციატორი და ხელისშემწყობი იყო XIX საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწე ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. მის გარშემო დაირაზმა ქართველ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ჯგუფი — რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ბ. ნ ი ფ ა ნ ა ძ ე, ი. გ ვ ა რ ა მ ა ძ ე, დ. დ ა ვ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი, თ. ს ა ხ ო კ ი ა, ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა და სხვები, რომლებიც იმდროინდელ პერიოდულ პრესაში ხშირად გამოდიოდნენ ეთნოგრაფიული პუბლიკაციებით და წერილებით. თვალსაჩინო ეთნოგრაფიული ნაშრომები მოპოვებათ დიდ ქართველ მწერლებს: ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს და „ხევის ბეთჰოვენს" — ა ლ. ყ ა ზ ბ ე გ ს. ეთნოგრაფიულ წერილებს სისტემატურად ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთები: „დროება", „ივერია", „მოამბე", „გუთნის დედა", „მოგზაური" და სხვ.

---

* ისევე როგორც სსრკ-ში, საქართველოშიც „ეთნოლოგიის" ნაცვლად ხმარობდა ტერმინი „ეთნოგრაფია". ამდენად, ეთნოლოგიური კვლევა-ძიებისას აქაც ტერმინ ეთნოგრაფიას გამოვიყენებთ

1907 წელს შეიქმნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც გადაიქცა ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებათა მძლავრ კერად. ეთნოგრაფიული პრობლემის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვით: დ. ბაქრაძეს, ა. ხახანაშვილს, ნ. მარს, ი. ჯავახიშვილს.

რევოლუციის შემდეგ საქართველოში ეთნოგრაფია ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად. ამ წლებში ეთნოგრაფიულ სამუშაოების სათავეში ჩაუდგა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფი. აქვე ინახებოდა „კავკასიის მუზეუმის", საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების, საქართველოს საეკლესიო მუზეუმისა და სხვა ეთნოგრაფიული კოლექციები. ამ დროსვე მიმდინარეობდა ახალი მეცნიერული და მეთოდოლოგიური კრიტერიუმების შემუშავება და ძველის კრიტიკული გადაფასება.

როგორც ქართველთმცოდნეობის მრავალი დარგის, ისე ქართული ეთნოგრაფიის მეცნიერულ ჩამოყალიბებასა და შესწავლაში დიდია აკად. ივ. ჯავახიშვილის (1876-1940 წწ.) ღვაწლი. მან თავისი ცნობილი მრავალტომეულის — „ქართველი ერის ისტორიის შესავლის" პირველ წიგნად მოამზადა ნაშრომი „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები", რომელიც მოგვიანებით, 1950 წელს გამოქვეყნდა აკად. გ. ჩიტაიას რედაქტორობით.

ამ ნაშრომში აკად. ივ.ჯავახიშვილმა შეისწავლა წინა აზიისა და კავკასიის ძველი მოსახლეობის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები. ეს საკითხები მას განხილული აქვს იმდროინდელი მსოფლიოს ისტორიის ფონზე და იძლევა ფართო პანორამას სუმერების, ჰურენების, კასიტების, ხეთების ანუ მესხების, იბერების, ალბანელების და სომხების ეთნიკური საკითხებისას, მეორე მხრივ.

ნაშრომში ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს კავკასიური და წინააზიური სახელები, სკვითებისა და სარმატების ჩამომავლობა, ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა და ქართველთა წარმართული პანთეონის წარმომშობი ტომები. აქ იგი განიხილავს ღმერთის, ბარბოლ-ბარბალის, ქალბაბარის, კვირიას, კოპალას, წყაროსთვალის, ვეშაპის, მოგზაურთა, ადგილისა და სხვა ღვთაებებთან დაკავშირებულ საკითხებს და მათ ადგილს ქართულ წარმართულ პანთეონში.

შეჯამებული სახით თავისი შეხედულებები საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის შესახებ ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა სპეციალურ ნაშრომში რუსულ ენაზე, რომელიც მოხსენებად წაიკითხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე 1939 წელს — „Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего востока древнейшей эпохи".

კონკრეტული ქართული ეთნოგრაფიული მასალის შეკრებისა და შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს იმ მუშაობას, რომელიც 1935 წელს ფართოდ გაიშალა მთელს საქართველოში ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით. სამუშაოს მიზანი იყო მასალების შეკრება საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. სამუშაოში ჩაბმული იყო რამდენიმე ათეული ეთნოლოგი, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და ფილოლოგი, იმ დროს მოქმედი თითქმის ყველა ჰუმანიტარული დარგის ქართველი მეცნიერი. შეიკრიბა დიდძალი მასალა შინამრეწველობისა და ხელოსნობის ყველა დარგიდან. შეკრებილი მასალა 80-90-იან წლებში 5 დიდ ტომად გამოქვეყნდა და წარმოადგენს ძვირფას პირველწყაროს საქართველოს, და არამარტო საქართველოს, ეთნოგრაფიული საკითხების შესწავლისათვის.

ამრიგად, ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებლად გვევლინება აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომლის საქმე ამ მიმართულებით ღირსეულად განაგრძო და ახლებური მიდგომით, კვლევის ნოვატორული მეთოდებით განუზომლად მაღალ საფეხურზე აიყვანა, ქართველ ეთნოგრაფთა მთელი სკოლა შექმნა აკად. გ. ჩიტაიამ. მან შეიმუშავა საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებათა კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომელზეც აღიზარდა და იზრდება ეთნოლოგთა თაობები.

ეთნოგრაფთა აღზრდის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრას. უნივერსიტეტში ეთნოგრაფია თავდაპირველად წარმოდგენილი იყო 1921 წლიდან ბიოლოგიის, ანთროპოლოგიის და ეთნოლოგიის კათედრაზე. 1935-1936 წლებში კათედრას სახელი გამოეცვალა და ეწოდა ნინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა.

1938 წლიდან უკვე ისტორიის ფაკულტეტთან არსდება ეთნოგრაფიის კათედრა, რომლის გამგედ დაინიშნა აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. ხოლო კათედრის წევრებად მუშაობდნენ: რ. ხარაძე, ვ. ბარდაველიძე (1939 წ.), მ. გეგეშიძე (1949 წ.), მ. ჩართოლანი (1951 წ.). ეთნოგრაფიის დამოუკიდებელი კათედრის გახსნით, დასაბამი მიეცა ეროვნული მეცნიერების ამ დარგში სასწავლო-პედაგოგიური და მეცნიერული საქმიანობის დაფუძნებას. ცხადია, საუნივერსიტეტო განათლების ამ მნიშვნელოვანი კერის გარეშე ძნელი იქნებოდა დღეს ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფართოდ აღიარებულ წარმატებებზე საუბარი.

1953 წლიდან ეთნოგრაფიის კათედრა შეუერთდა არქეოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრას, ხოლო 1968 წლიდან ისევ ცალკე კათედრად ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელად კვლავ აკად. გ. ჩიტაია დაინიშნა.

ეთნოგრაფიის კათედრასთან 1991 წლიდან ფუნქციონირებს „ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების“ ლაბორატორია.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის დამახასიათებელ სამუშაოებთან ერთად ლაბორატორიამ წინა პლანზე დააყენა საქართველოს ეთნოგრაფიის ფუნდამენტური პრობლემების, მისი ახალი მიმართულებების მეცნიერული კვლევა-ძიება. კათედრის ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა შემუშავდა იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც ზოგადად ქართული ხალხის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის კვლევა-ძიებას ისახავდა მიზნად.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, დღეს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უაღრესად აქტუალურია ეთნოგენეზისა და ეთნიკური კულტურის შესწავლა. ლაბორატორიის თემატიკაში შეტანილია ქართველი ხალხის კუთხურ-რეგიონული სტრუქტურა შესაბამისი ეთნოგრაფიული ჯგუფებით. ლაბორატორიის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს ამ საკითხების კვლევა, საქართველოში ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესებისა და ერთაშორის ურთიერთობების ეროვნული ტრადიციების ახლებური ანალიზი და შეფასება, რაც დღეს ხშირად ისტორიული სინამდვილის ტენდენციური აღქმისა და განზოგადების საგანია.

ლაბორატორიის კვლევით თემატიკაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა რელიგიის პრობლემების, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის სინთეზს, რომლის სწავლების პრაქტიკას ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია ეთნოგრაფიის კათედრაზე.

ამჯამად საქართველოში ეთნოლოგიური კვლევა-ძიების ცენტრებია: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრა. ინტენსიური ეთნოგრაფიული სამუშაოები მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ მუზეუმსა და რაიონულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში (ქუთაისში, მესტიაში, ახალციხეში, მარტვილში და სხვ.).

ეთნოგრაფიის განყოფილების ისტორია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მისი დაარსებიდან, 1852 წლის 10 მაისიდან იწყება. ამ დღეს კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე დაისვა საკითხი კავკასიის მუზეუმის დაარსების შესახებ. აქვე შეიქმნა ეთნოგრაფიული კომისია, რომლის ბაზაზეც შემდგომში დაარსდა ეთნოგრაფიული განყოფილება, რომელიც თავიდანვე ორიენტირებული იყო მთელი კავკასიის მასშტაბით მატერიალური, საგნობრივი ნივთების შეკრებაზე, პირველი ნივთები მუზეუმს შესწირა მისმა თანამშრომელმა, ცნობილმა პოეტმა და ეთნოგრაფმა რაფიელ ერისთავმა. მალე მუზეუმის ფონდები იმდენად გამდიდრდა, რომ 1897 წელს გადაწყდა მუზეუმის კატალოგის გამოცემა 6 ტომად, რომელთაგან ერთი ეთნოგრაფიულ კოლექციებს მიეძღვნა.

XIX საუკუნის II ნახევარში, კაპიტალისტური ელემენტები ინტენსიურად იჭრებოდა კავკასიაში. შესაბამისად ეს ვითარება იწვევდა მნიშვნელოვან ცვლილებებს მოსახლეობის ყოფასა და კულტურაში. ამ პერიოდში ეთნოგრაფიული მასალების შეკრება-გამოვლენა გააქტიურდა. ეთნოგრაფიული კოლექციების შესაკრებად მუზეუმი აწყობდა მივლინებებსა და ექსპედიციებს. რომლებსაც მაშინ „ექსკურსიები" ეწოდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ დროს ტანსაცმლისა და ოქრომჭედლობის ნიმუშების შეძენა. კავკასიის ხალხთა კოსტიუმებით იმდენად გამდიდრდა მუზეუმი, რომ 1910 წელს გადაწყდა გამოცემულიყო კოსტიუმების ატლასი, რისთვისაც მოიწვიეს ცნობილი მხატვრები — მაქს ტილკე, მატიასევიჩი და სხვები, მაგრამ ამ შესანიშნავ საქმეს 1914 წელს დაწყებულმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. ამ პერიოდში უკვე ფუნქციონირებდა ეთნოგრაფიული გამოფენაც. ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომლებიდან აუცილებლად უნდა აღინიშნოს ა. კაზნაკოვისა და გ. ჩურსინის საქმიანობა, რომელთა მეცადინეობით. განსაკუთრებით 1907-1910 წლებში ეთნოგრაფიული კოლექციები მნიშვნელოვნად გამდიდრდა.

20-იან წლებში შეიკრიბა და მუზეუმში დაუნჯდა უამრავი ნივთიერი მასალა. ამავე პერიოდში დასრულდა მუზეუმის ახალი კორპუსის აშენებლობა, რამაც კიდევ ერთი იმპულსი მისცა ეთნოგრაფიული გამოფენების მოწყობას. 30-იანი წლების დასაწყისში მოეწყო ორი თემატური გამოფენა — „ხევსურეთი" და „სვანეთი".

30-იან წლებში მუზეუმში გრძელდება საექსპოზიციო საქმიანობა. 1937 წელს გაიხსნა აბისინიის გამოფენა. 1938 წელს — კავკასიური ხალიჩების. 1939 წელს — „ქართული კოსტიუმი"; შემდგომ — „ქართული შეიარაღება" (1940 წ.), „ქართველი ხალხის ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა" (1954 წ.), ეწყობოდა აგრეთვე მოძრავი გამოფენები. აღსანიშნავია. 1971 წელს ქალაქ ლენინგრადის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოწყობილი ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოფენა, რომელმაც დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ასევე, აღნიშვნის ღირსია ახალციხეში მოწყობილი ქართული ხალიჩა-ფარდაგების შესანიშნავი გამოფენა (1987 წ.). რომელიც დღესაც ფუნქციონირებს.

დღეისათვის ეთნოგრაფიის განყოფილების აო ფონდში დაცულია 32 000 ექსპონატი. ესენია: საჭურვლის, ქსოვილების, ხის ნაკეთობათა, კერამიკის, ხალიჩების, რკინის ნაკეთობათა, სპილენძ-ბრინჯაოს ნაკეთობათა, ძვირფასი ლითონისა და ნივთების, ტყავის და ე.წ. დამხმარე ფონდები.

1985 წელს გამოქვეყნდა გ. ჯალაბაძის „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი". აქ მოკლედაა წარმოდგენილი მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების შექმნის ისტორია და ნაჩვენებია ამ ფონდების უდიდესი მნიშვნელობა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძურში.

ყოველივე ზემოთქმულიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება კვლავ რჩება ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთ მძლავრ კერად.

იმ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს შორის, რომელმაც ხელი შეუწყო ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეს საქართველოში, დიდია ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა დ ა ე თ ნ ო გ რ ა ფ ი ი ს ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი ს ე თ ნ ო გ რ ა ფ თ ა კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი ს წ ვ ლ ი ლ ი.

აქ, ამ ინსტიტუტში 1938 წლიდან, უკვე არსებული ეთნოგრაფიის სექციის სანაცვლოდ, ჩამოყალიბდა განყოფილება აკად. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით. ქართველი ეთნოლოგების წინაშე იმთავითვე იდგა შემღეგი ამოცანა — ქართველ ტომთა ძველი მატერიალური კულტურის, სოციალური ყოფისა და სულიერი კულტურის შესწავლა გადმონაშთების საფუძველზე. ასევე გეგმიანი და სისტემური ხასიათი მიეცა საველე-ეთნოგრაფიულ სამუშაოებს. 1937 წელს ეთნოგრაფიის განყოფილებამ მოაწყო კომპლექსური ექსპედიცია იმერეთში, 1939 წელს შედგა რამდენიმე საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიცია რაჭაში, ფშავში, ქიზიყში, პირიქითა ხევსურეთში, პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობაში, თიანეთში და სხვა. აღსანიშნავია ამ ექსპედიციებში მოპოვებული საველე მასალების ანალიზის საფუძველზე გამოქვეყნებული მონოგრაფიები, როგორიცაა: ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას მიერ 1939 წელს გამოცემული „ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული"; ვ. ბარდაველიძის „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი" (1939 წ.), რუსუდან ხარაძის — „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში" (1939 წ.) და ალექსი რობაქიძის — „კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში" (1941 წ.).

1961 წლიდან ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა ეთნოგრაფიის სექტორი, რომელშიც 1981 წლამდე შედიოდა ორი განყოფილება — საქართველოს ეთნოგრაფიისა და კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებები.

1981 წლიდან ინსტიტუტში ეთნოგრაფიის განხრით შეიქმნა ხუთი განყოფილება: 1. მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება; 2. სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება; 3. სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება; 4. ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება; 5. ანთროპოლოგიის განყოფილება.

ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ეთნოგრაფიული მუშაობის დაწყებიდან დღემდე, ინტენსიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს საქართველოს მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული

შესწავლის განყოფილებაში. ამ განყოფილების კვლევის არეში ექცევა ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული შესწავლა, ქართულ-ბულგარული ისტორიულ-ეთნოგრაფიული პარალელების კვლევა და სხვ.

მიწათმოქმედების სისტემისა და სამიწათმოქმედო იარაღების შესწავლაში დიდია აკად. გ. ჩიტაიას დამსახურება. მისი შრომები: „რაჭული სახვნელი" (ენიმკის მოამბე", 1937 წ.) და „ქსნური მოის გუთანი" (ენიმკის მოამბე", V-VI, 1947 წ.) საფუძვლად დაედო ამ მიმართულებით ცალკეული რეგიონების მონოგრაფიულ კვლევას. 1997 წ. გამოქვეყნდა აკად. გ. ჩიტაიას შრომების ხუთტომეულის I ტომი, რომელშიც თავმოყრილია მისი ნაშრომები ქართულ-კავკასიური სამიწათმოქმედო სისტემის, სამეურნეო იარაღების ისტორიის, დასახლების ფორმების, საცოხვრებელი და სამეურნო ნაგებობების შესახებ.

სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული საკითხების კვლევასთან ერთად. მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში ინტენსიურად მიმდინარეობს ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის საკითხების შესწავლაც.

სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში მუშავდება შემდეგი პრობლემები: ქართველი ხალხის საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფა, ეთნოგრაფიის ისტორიის საკითხები და სხვ.

ქართველი ხალხის რელიგიური რწმენა-წარმოდგენების და ხალხური მედიცინის საკითხების კვლევა ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში. განყოფილება მუშაობს შემდეგ პრობლემებზე: რელიგიის ისტორიის, ქართული ხალხური მედიცინის და, აგრეთვე, ქართული დამწერლობის წარმოშობა-განვითარების საკითხებზე.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ინსტიტუტის ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილება. ამ განყოფილების პრობლემათა შესწავლის რიგში შედის: საქართველოს არაქართული მოსახლეობის ეთნოგრაფია, ქართულ-ჩრდილოკავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობანი, ტრადიცია და თანამედროვეობა, აგრეთვე მუშავდება ეთნოგრაფიის თეორიისა და ისტორიის სხვადასხვა საკითხები. ექსპედიციები ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ოსეთში, საქართველოს მთიანეთში — ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევსურეთში, თუშეთში, პანკისის ხეობაში და სხვ.

ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბაზაზე ცალკე გამოიყო ქართული მუსიკალური ეთნოგრაფიის შემსწავლელი საინსტიტუტო საპრობლემო ჯგუფი, ამჟამად ჯგუფი მუშაობს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხალხური მუსიკისა და საყოფაცხოვრებო ტრადიციების შესწავლის საკითხებზე,

გარდა აღნიშნულისა, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი განყოფილების სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში შედის საქართველოს ეთნოგრაფიის ნარკვევების დამუშავება-გამოცემა.

ეთნოგრაფიული მეცნიერების პროპაგანდის, ქართველი ერის მატერიალური კულტურის პროპაგანდის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქ ა რ თ უ ლ ი ხ ა ლ ხ უ რ ი ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს ა და ყ ო ფ ი ს მ უ ზ ე უ მ ს ღია ცის ქვეშ, რომელიც ფუნქციონირებს 1961 წლიდან. იგი დაარსებულია აკადემიკოს გ. ჩიტაიას მიერ.

მუზეუმის ტერიტორიის შერჩევა და შემდგომ მისი დაგეგმარება ისე შემუშავდა, რომ დაცული ყოფილიყო საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული განლაგება.

ქართველი ხალხის ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები წარმოდგენილია ათ ძირითად ზონაში, აქედან ხუთი აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის, ხოლო ხუთი — დასავლეთ საქართველოზე, ორივე მხარის მაღალმთიანეთის გათვალისწინებით.

აღმოსავლეთ საქართველოში შემავალი ზონები განლაგებულია ორ ხრამს შორის მოქცეული მწვანე ზოლის დასავლეთით. ამ ზოლის აღმოსავლეთით კი, საბაგირო გზის მხარეს მდებარეობს დასავლეთი საქართველოს სექტორში შემავალი ზონები.

აღმოსავლეთ საქართველოს სექტორში შედის: 1. ცენტრალური ზონა (შიდა და ქვემო ქართლი); 2. აღმოსავლეთის ზონა (შიგა და გარე კახეთი); 3. სამხრეთის ზონა (სამცხე-თრიალეთი და ჯავახეთი); 4. სამაჩაბლო და ქსნის ხეობა; 5. აღმოსავლეთ მთიანეთი, რომელიც მოიცავს ხევს, მოიულეთ-გუდამაყარს, ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთს.

დასავლეთ საქართველო შედგება: 1. შავი ზღვისპირეთის, ანუ კოლხეთის ზონის (გურია, სამეგრელო); 2. დასავლეთის, ანუ რიონისპირეთის ზონის (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი); 3. აჭარის; 4. აფხაზეთისა და 5. დასავლეთ მაღალმთიანეთის ზონისაგან (ზემო და ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი);

მუზეუმის ორივე სექტორის ზემო ნაწილში განლაგებულია მაღალმთიანი რაიონები კომკური ციხე-სახლებით.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში ფუნქციონირების სამეცნიერო საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს მუზეუმის სამეცნიერო-კვლევით და საექსპოზიციო საქმიანობას.

მუზეუმს კავშირები აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების ღია, ანუ ცის ქვეშ განლაგებულ მუზეუმებთან.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მუზეუმის თანამშრომლები სამუზეუმო ფონდების შესყიდვა-შევსებაში, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის საქმეში.

ქართულ ეთნოლოგიას ჰყავს ბევრი გამოჩენილი წარმომადგენელი, რომელთა სახელები ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოში. ქართველმა ეთნო-

ლოგებმა შექმნეს ორიგინალური თეორიები, ჩამოაყალიბეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო სკოლები, ამ სახელოვან მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი გ ი ო რ გ ი ს პ ი რ ი დ ო ნ ი ს ძ ე ჩ ი ტ ა ი ა, რომელმაც თავისი გამოკვლევებითა და მოღვაწეობით მაღალი ავტორიტეტი მოუხვეჭა ქართულ ეთნოლოგიურ მეცნიერებას ჩვენში და მის ფარგლებს გარეთ. სწორედ ამას უნდა ვუმადლოდეთ ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბებას.

აკად. გ. ჩიტაიამ (1890-1986 წწ.) საფუძვლიანად შეისწავლა ქართველი ხალხის სამეწათმოქმედო კულტურა, დაადგინა სახვნელი იარაღების განვითარების ძირითადი ფორმები, ქართული საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო ნაგებობების სტრუქტურული კლასიფიკაციის პრინციპები; ქართული ხალხური ორნამენტის ორი სტილი (მთიური და ლაზური); მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ეთნოლოგიის ისტორიისა და ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევაში; განსაზღვრა თანამედროვე ყოფის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური ამოცანები; საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შექმნის საქმეში; მან შექმნა პირველი სალექციო კურსი — ზოგადი ეთნოლოგიის შესავალი. დააზუსტა ეთნოლოგიის საგნის მიზნები და ამოცანები.

აკადემიკოს გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებულ და კვლევა-ძიებაში დანერგილი კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის შესახებ ეთნოლოგიაში საუბარია ზემოთ, სპეციალურ პარაგრაფში — „საველე ეთნოგრაფიული მასალები" (იხ. თავი III, §1.).

დიდია პროფ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ი ს (1899-1970 წ.) ღვაწლი ქართული ეთნოლოგიის წინაშე; განსაკუთრებით დიდი კვალი დაამჩნია ხალხური საკულტო ძეგლების მეცნიერულ შესწავლას. ფასდაუდებელია ვ. ბარდაველიძის შრომები ქართველი ხალხის ადრინდელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სულიერი კულტურის პრობლემების შესწავლაში. კერძოდ, მისი კვლევის სფეროში მოექცა ასტრალური რწმენა-წარმოდგენები, ღვთაებრივი პანთეონი, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ხალხური ორნამენტი, ნაყოფიერება-გამრავლებასთან დაკავშირებული კულტები და რიტუალები, საწესო გრაფიკული ხელოვნება და ძრავალი სხვ.

მისი შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ქართული საწესო გრაფიკული ხელოვნება", რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძრავალრიცხოვანი არქეოლოგიური გრაფიკული მასალის გაანალიზებისათვის. (ასევე უნდა აღინიშნოს ვერა ბარდაველიძის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ძოელთა თემის ადრეკლასობრივი საფეხურის სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის (თეოკრატია) ბუნების აღდგენა, რითაც მან საფუძველი გამოიკვლია მთაში გვაროვნული წყობის მარადიულობის თეორიას.

პროფ. ს. მაკალათია (1893-1974 წწ.) იკვლევდა საქართველოს ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ნუმიზმატიკისა და ხელოვნების საკითხებს. უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია მის მიერ შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალები. ისინი შესწავლილია და გამოქვეყნებული მისსავე მრავალრიცხოვან შრომებში, რომლებიც ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს ეხებიან.

მისი შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, როგორც ცალკეულ საკითხებზე დაწერილი, ისე საქართველოს თითქმის ყველა ეთნოგრაფიული კუთხისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რომლებიც შესულია, ქართული ეთნოლოგიური ლიტერატურის ფონდში. ს. მაკალათიას უმთავრესი ეთნოგრაფიული ნაშრომებია: „ახალწელიწადი საქართველოში", „თუშეთი", „მესხეთ-ჯავახეთი", „მთიულეთი", „ფშავი", „ხევსურეთი", „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია" და მრავალი სხვ.

ცნობილი ქართველი ეთნოლოგისა და მეცნიერების ორგანიზატორის ალექსი რობაქიძის (1907-1990 წწ.) კვლევის არეალი საკმაოდ ფართოა. იგი მოიცავდა ქართველი და კავკასიის სხვა ხალხების სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის ტრადიციულ ფორმებს, სოციალური გარდაქმნების პროცესს ქართველი ხალხის კულტურასა და ყოფაში. სპორტის ისტორიის საკითხებს. ალ. რობაქიძემ მნიშვნელოვანი შრომები შექმნა კავკასიის ხალხთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიისა და ქართველი ხალხის კავკასიის სხვა ხალხებთან კულტურული ურთიერთობის საკითხთა სფეროში.

აღსანიშნავია ალ. რობაქიძის ორგანიზაციული საქმიანობა, კერძოდ, 1945-1953 წლებში იგი ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა; 1961 წლიდან სათავეში ჩაუდგა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ 1940 წელს ენიმკის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა ეთნოგრაფიის განყოფილების უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ალ. რობაქიძემ. ეს იყო ინსტიტუტში დაცული პირველი დისერტაცია.

მისი ძირითადი შრომებია: „მთიულეთის სოფელი ძველად", „სვანეთის სოფელი ძველად" (ორივე რ. ხარაძესთან თანაავტორობით), „ტრადიცია და ცხოვრების წესი", „მთური ფეოდალიზმის ზოგიერთი ნიშნები კავკასიაში" (რუსულ ენაზე), „ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარების გზები" (რუსულ ენაზე) და სხვ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან ხარაძე (1909-1965 წწ.) სამეცნიერო მოღვაწეობას შეუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (1932-1933 წწ.). 1936 წელს სანკტ-პეტერბურგში (ლენინგრადში) ყოფილი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის დამთავრების

შემდეგ იგი სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ენიმკის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრაზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

რუსუდან ხარაძე იკვლევდა ქართველი და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხთა სოციალურ ურთიერთობებს, კერძოდ საოჯახო ყოფას, ნათესაობის სისტემას, ადათობრივ სამართალსა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. ხარაძის მონოგრაფია — „ქართული საოჯახო თემი" (რუსულ ენაზე).

ცნობილ ქართველ ეთნოლოგსა და სოციოლოგს მ ი ხ ე ი ლ გ ე გ ე შ ი ძ ე ს (1918-1982 წწ.) დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი ხალხის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის შესწავლის საქმეში. კერძოდ, ქართულ ეთნოლოგიაში ფუნდამენტურ შრომებად არის აღიარებული მიხეილ გეგეშიძის მონოგრაფიები: „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში" და „ქართული ხალხური ტრანსპორტი".

სხვადასხვა დროს მ. გეგეშიძე ხელმძღვანელობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებას.

1966 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ახალდაარსებული კონკრეტული სოციალური კვლევა-ძიების განყოფილებას. ქართველ მეცნიერთა შორის მან პირველმა გამოიყენა და დანერგა კულტურულ-სოციოლოგიური კვლევის მეთოდები საქართველოს მთის, აგრეთვე ახალათვისებული სამიწათმოქმედო რეგიონების სოციალური განვითარების პრობლემების კვლევაში.

ცნობილმა ქართველმა ეთნოლოგმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ ი კ ო ლ ო ზ რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ მ ა (1904-1974 წწ.) არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა ქართულ ხალხურ მელითონეობას. მისი დიდი დამსახურებაა წედისელი „რკინის კაცების" საგანძურის გამოქვეყნება რაჭაში. ამისათვის საჭირო იყო „რკინის კაცების" კასტის საიდუმლოების გახსნა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მკაცრად იცავდნენ ეს.

ხალხურ მელითონეობას მიუძღვნა ნ. რეხვიაშვილმა ორი მნიშვნელოვანი მონოგრაფია: „მჭედლობა რაჭაში" (1953 წ.) და „ქართული ხალხური მეტალურგია" (1964 წ.).

მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდების შევსების საქმეში. მის დამსახურებად ითვლება იმერეთიდან შემოსული ხის ჩუქურთმების უნიკალური კოლექციების შეკრება და მუზეუმში გადმოტანა.

ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა

გ ერ ც ე ლ ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ მ ა (1915-1987 წწ.). იგი ეროვნებით ებრაელი იყო; მთელი თავისი ცხოვრება მან მოანდომა ქართული ეთნოლოგიის წინსვლისა და ქართველი სტუდენტი ეთნოლოგების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. მისი აღზრდილები დღეს ეთნოლოგიური მეცნიერების სამსახურში დგანან და ემსახურებიან ამ დარგის შემდგომ განვითარებას.

კავკასიის, კერძოდ საქართველოს შესახებ, ეთნოლოგიის მიღწევათა შეჯამებაა ორტომიანი კოლექტიური მონოგრაფია რუსულ ენაზე — „კავკასიის ხალხები", რომელიც გამოიცა სერიით — „მსოფლიოს ხალხები" (მოსკოვი, 1962 წ.). ამ გამოცემის ერთ-ერთი ავტორია პროფ. გ. ჩაჩაშვილი, რომელსაც ამ ნაშრომში ეკუთვნის თავი „ტანსაცმელი". უნდა აღინიშნოს გ. ჩაჩაშვილის სადოქტორო დისერტაცია „ფეიქრობა საქართველოში" (1965 წ.); იგი წარმოადგენს ამ დარგის განვითარების ფუნდამენტური შესწავლის ცდას.

ასევე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების წინსვლისა და განვითარების საქმეში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ ი ო რ გ ი ვ ლ ა დ ი მ ე რ ი ს ძ ე ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე მ (1922-1998 წწ.), რომელიც მოღვაწეობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში და ხელმძღვანელობდა ამ მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას.

გიორგი ჯალაბაძის გამოკვლევებიდან აღსანიშნავია ნაშრომები: „აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან" და „მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში". ამ ნაშრომებში გ. ჯალაბაძემ გამოავლინა სახვნელთა ისეთი ფორმები, რომლებიც ცხენის წევაზე იყო მოწყობილი, საყურადღებოა მისი მოსაზრებები მხარგადაბმულ მოხევურ სახვნელზე, რომლის ანალოგები დაძებნილია ძველი ქვეყნების შუმერულ-ბაბილონურ სახვნელებში და თარიღდება ჩვ. წ. აღ-მდე VI-V ათასწლეულით, რომ მოხევური სახვნელის მსგავსი იარაღი მეზობელი კავკასიის ხალხთა (დაღესტნელები. ოსები, ჩეჩნები) სამეურნეო ყოფაშიც გვხვდება, რაც კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ახლო ურთიერთობის ნაყოფია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მემინდვრეობის კულტურა საქართველოში". ეს არის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული მონოგრაფია, სადაც განხილულია საქართველოს მემინდვრეობა ცალკეული კუთხეების მიხედვით, დაწყებული სახნავ-სათესი ნიადაგის მოპოვებით, მისი მფლობელობის ფორმებით და დამთავრებული მემინდვრეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებითა და რიტუალებით.

დიდი დაშსახურება მიუძღვის გიორგი ჯალაბაძეს სხვადასხვა ეთნოგრაფიული გამოფენების მოწყობაში, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. იგი, როგორც ხალიჩა-ფარდაგების აღიარებული სპეციალისტი, მონაწილეობდა ხალიჩების ხელოვნებისადმი მიძღვნილ I და II მსოფლიო სიმპოზიუმებში (1983 და 1988 წწ.).

მეშვიდე თავი

თანამედროვე ეთნოლოგიური მიმართულებანი

თანამედროვე დასავლეთის ეთნოლოგიის დამახასიათებელია მეთოდების და პრობლემების დიდი ნაირგვარობა, ეთნოლოგიის ზოგიერთ ამოცანების სხვადასხვა გაგება, ამასთანავე, თითქმის ყოველ ქვეყანას ეთნოლოგიური კვლევის რამდენიმე, ხშირად ეროვნულ-გამმრიცხავი ტრადიცია გააჩნია.

50-იანი წლებიდან, ეთნოფსიქოლოგიური მიმდინარეობის ეროვნული ღიღლევის შემდეგ, ჩრდილოეთ ამერიკაში წამყვან ეთნოლოგიურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ, კულტურული რელატივიზმი და, მეორე მხრივ, ნეოევოლუციონიზმი, განსაკუთრებით მისი ადრინდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი ფორმებით.

§ 1. კულტურული რელატივიზმი

კულტურული რელატივიზმის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო მ ე ლ ვ ი ლ ჰ ე რ ს კ ო ვ ი ც ი (1895-1963 წწ.), სოციალური ანთროპოლოგიის (ეთნოლოგიის) პროფესორი ევანსტონის უნივერსიტეტში (აშშ), ამერიკის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი. როგორც ზოგად ეთნოლოგიაში, ისე აფრიკის, აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ზანგური მოსახლეობის ეთნოლოგიაში. კვლევას აწარმოებდა აშშ-ში, აფრიკის გვინეის სანაპიროზე — ძირითადად დაგომეაში, აგრეთვე ბრაზილიაში, ჰაიტში, ტრინიდადში და სხვ.

მელვილ ჰერსკოვიცის პირველ შრომებში აისახა „კულტურული არეალების" ამერიკული სკოლის კონცეფცია. იგი ფილოლოგიისა და მითოლოგიის საკითხებთან დაკავშირებულ ნაშრომებში იზიარებდა ფრეიდიზმის თეორიებს. ცხოვრების ბოლო წლებში, გერმანული ფაშიზმის, ფაშისტური თეორიების წინააღმდეგ ბძოლაში, დაიწყო კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი რ ე ლ ა ტ ი ვ ი ზ მ ი ს — მსოფლიოს ყველა ხალხების კულტურათა ერთნაირი ღირებულების თეორიის დასაბუთება.

ეთნოლოგიის საკითხებზე თავისი შეხედულებები ყველაზე განზოგადებული ფორმით მ. ჰერსკოვიცს გადმოცემული აქვს ეცრელ ნაშრომში „ადამიანი და მისი ნამოქმედარი", რომელიც მეორედ გამოქვეყნდა „კულტურული ანთროპოლოგიის" (1948 წ.) სახელწოდებით.

კულტურულ რელატივიზმს ზოგჯერ „ფასეულობათა თეორიასაც" უწოდებენ. მისი მთავარი იდეა სხვადასხვა ხალხის მიერ შექმნილ კულტურულ

ფასეულობათა თანაბარუფლებიანობის აღიარებაა, კულტურული რელატივიზმის მიმდევრები აღიარებენ თითოეული კულტურის თავისთავადობას და, ამასთანავე, სრულყოფილებას, უარყოფენ ევროპულ-ამერიკული კულტურის აბსოლუტურ მნიშვნელობას.

სხვადასხვა ხალხის კულტურათა შედარებითი შესწავლისას ისინი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და უფრო მეტად წინ წამოსწევენ მათ შორის მსგავსებებს, ვიდრე განსხვავებებს. ჰერსკოვიცის მოძღვრებაში მთავარია „უნივერსალიები", ე.ი. ზოგადსაკაცობრიო კულტურის ნიშნები, რომლებიც სხვადასხვა ხალხში შეიძლება სხვადასხვა სახით გამოვლინდეს, მაგრამ არსებითად ისინი უნივერსალურია; მაგალითად: კაცთა და ქალთა კავშირი, საწესჩვეულებო და სამხედრო დაჯგუფებები, ხელოსნური კავშირები, კლუბები და სხვა მხოლოდ სხვადასხვა ასოციაციაა პრინციპულად ერთგვაროვანი მოვლენებისა, რომელიც საერთოა როგორც „უდამწერლობო", ასევე „ცივილიზებული" ხალხებისათვის.

კულტურული რელატივიზმის იდეა ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ ფრანც ბოასმა. სწორედ მისგან მომდინარეობს „ფასეულობათა თეორია", რომელიც, როგორც აღინიშნა, ამერიკულ ეთნოლოგიაში ერთ-ერთი წამყვანი მიმდინარეობაა. უნდა აღინიშნოს, რომ „ფასეულობათა" თეორიას 60-70-იან წლებში ხშირად მიმართავდნენ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში. ეთნოლოგთა ნიუ-იორკის კონფერენციაზე 1952 წელს საგანგებო დისკუსიაც კი მოეწყო იმის შესახებ, თუ რა არის საკუთრივ „ფასეული" კულტურაში.

როგორც აღინიშნა, კულტურული რელატივიზმის მიმდევართა შეხედულებების უმთავრესი თეზისი მდგომარეობს ეთნოცენტრიზმისა და ევროცენტრიზმის პრინციპულ უარყოფაში სხვადასხვა ხალხის კულტურათა ურთიერთშედარების დროს. ემილ ჰერსკოვიცი, ამ მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, საგანგებოდ მიუთითებდა, რომ არ არის არავითარი საფუძველი ევროპულ-ამერიკულ მორალურ ცნებათა ერთადერთ ჭეშმარიტებად მიჩნევისათვის, რომ ისინი მხოლოდ შეფარდებითია, რელატიურია. ამის ნიმუშად მას მოჰყავს მეტად მეტყველი მაგალითი: კერძოდ, ევროპასა და ამერიკაში პოლიგამია დაგმობილია საზოგადოებრივი თვალსაზრისით და აკრძალულია კანონით, მაგრამ დაგომეაში პატრიარქალურ-პოლიგამიური ოჯახი სავსებით მიღებული და კანონიერი საზოგადოებრივი ერთეულია. იგი ჩამოყალიბდა საუკუნეების განმავლობაში, კარგად არის მორგებული სამეურნეო პირობებს, და სავსებით მისაღებია დაგომეის მცხოვრებლებისათვის.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სხვადასხვა ხალხში მსგავს კულტურულ მოვლენათა არა მარტო შეფასება შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. არამედ, თვით კულტურულ მოვლენათა კომპლექსიც შეიძლება იყოს განსხვავებული, საქმე ისაა, რომ ყოველი ხალხის კულტურას ყოველთვის

აქვს ძირითადი, არსებითი მახასიათებელი, რომელიც სწორედ ამ ხალხის კულტურას გააჩნია. მაგალითად, თანამედროვე ევროპისა და ამერიკის კულტურისათვის ასეთი არსებითი მახასიათებელია ტექნოლოგია; შუა საუკუნეების ევროპისათვის — რელიგიური იდეოლოგიის გაბატონება; თანამედროვე მელანეზიელებისათვის — სოციალური პრესტიჟი; მაშინ, როდესაც ტოდელებისათვის (კასტაა) ინდოეთში არსებითია კამეჩი. ხოლო კუნძულ ჯავაპეზე მიკრონეზიაში — ჩინური კარტოფილი.

კიდევ ერთი, არანაკლებ არსებითი მ. ჰერსკოვიცის თვალსაზრისში ის არის, რომ თავის მთავარ ნაშრომში — „კულტურული ანთროპოლოგია" — იგი ხაზგასმით აღნიშნავს „ანთროპოლოგიის", ანუ „ეთნოლოგიის" გაძღვენილებით მნიშვნელობას. ეს დარგი, — წერდა იგი, — გვასწავლის, რომ ყოველი ხალხის კულტურას უნდა მოვეპყრაო ყურადღებით და პატივისცემით. არ შეიძლება, რომელიმე ტომის ცხოვრებაში ჩავერიოთ იმ მიზეზით, თითქოს ამ ტომს არ შეუძლია თვითგანვითარება, ყოველი ასეთი ჩარევა ინვევს უკმაყოფილებას, უნდობლობას, წყენას, რასაც მომავალში უთუოდ მოჰყვება შეჯახებები. ნებისმიერი პროგრესული მეცნიერების ამოცანაა, დაეხმაროს კაცობრიობას მსგავსი მოვლენების აღმოფხვრაში და მშვიდობის პოლიტიკის გატარებაში, ხელი შეუწყოს ყოველი ხალხის ნებისმიერი კულტურის თვითმყოფად განვითარებას, გარედან ჩარევის გარეშე. სწორედ ესაა — აღნიშნავს მ. ჰერსკოვიცი, — ანთროპოლოგიის დანიშნულება.

მელვილ ჰერსკოვიცის ამ თვალსაზრისის მიხედვითაც უკვე თავისთავად ცხადია ის პროგრესული საწყისები, რომლებიც კულტურულ რელატივიზმს ახასიათებს, ეს არის პატივისცემა ყველა, თვით ყველაზე ჩამორჩენილად მიჩნეული ხალხის კულტურისადმი; ყურადღება და ფაქიზი დამოკიდებულება ასეთი კულტურის შემქმნელი ყოველი ხალხისადმი; უარყოფა ამერიკული და ევროპული ქედმაღლობისა სხვა ხალხების კულტურათა შეფასების დროს. ცხადია, ასეთი მიდგომა კულტურულ რელატივიზმს აყენებს თანამედროვე ეთნოლოგიის მოწინავე, პროგრესულ მიმდინარეობათა შორის.

§ 2. ნეოევოლუციონიზმი

ამერიკულ ეთნოლოგიაში პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი ზ მ ი ს აღორძინება, მისი ახალი შინაარსით შევსება, რაც საბოლოოდ ნ ე ო ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი ზ მ ი ს სახით ჩამოყალიბდა. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ხშირად ევოლუციონიზმს სხვადასხვაგვარად განმარტავენ. არ შეინიშნება მათ შორის ერთიანობა ევოლუციის გაგებაშიც. ეს გაგება ხშირად სხვადასხვა სახისაა. ნიშნავს თუ არა ევოლუცია უსათუოდ პროგრესს, თუ იგი მხოლოდ აუცილებელი და შეუქცევადი ცვლილებაა? წარმოადგენს იგი გადასვლას უდაბლესიდან უმაღ-

ლესისაკენ, თუ მარტივიდან რთულისაკენ? და სხვ. ნეოევოლუციონიზმის უმთავრესი წარმომადგენლებია: ლ ე ს ლ ი უ ა ი ტ ი, მ ა რ შ ა ლ ს ა ლ ი ნ ს ი, ჯ უ ლ ი ა ნ ს ტ ი უ ა რ დ ი და სხვ.

ნეოევოლუციონიზმმა ყველაზე ჩამოყალიბებული და დასრულებული ფორმა ლესლი უაიტის მეცნიერულ შემოქმედებაში მიიღო.

ლესლი უაიტი ცნობილი ამერიკელი ეთნოლოგია. იგი დაიბადა 1900 წელს. უაიტი 1943-1963 წლებში მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორია. მისი სამეცნიერო ინტერესების მთავარი სფერო კულტურის ევოლუციის პრობლემებია. იგი ამერიკულ ეთნოლოგიასა და სოციოლოგიაში ებრძვის ანტიევოლუციონიზმსა და რელატივიზმს; იცავს მსოფლიო ისტორიული პროცესის ერთიანობასა და მის წინსვლას. ამ პროცესის მიზეზობრივ ახსნაში იკვეთება ტექნოლოგიური დეტერმინიზმის ხასიათი. ლ. უაიტი აღიარებდა კერძო საკუთრებასა და კაპიტალიზმს წარმავალი ხასიათის მოვლენად: ამასთან ერთად, მისთვის დამახასიათებელი იყო იდეალიზმი და მეტაფიზიკურობა. ლ. უაიტის სკოლა ამერიკული ეთნოლოგიის რადიკალურ ფრთას წარმოადგენდა. საველე ეთნოგრაფიულ სამუშაოებს ლ. უაიტი ძირითადად პუებლოს ინდიელთა ტომში აწარმოებდა.

მისი მთავარი თეორიული ნაშრომებია: „კულტურის ევოლუცია“ (1959 წ.) და „მოძღვრება კულტურის შესახებ“, რომელშიც თავმოყრილია მისი მცირე მოცულობის სტატიები ნეოევოლუციონიზმის თეორიულ საკითხებზე.

„კულტურა“ მთავარი ცნებაა უაიტის მეცნიერულ მსოფლმხედველობაში. კულტურაში იგი გულისხმობს სიმბოლოთა ერთობლიობას, ადამიანის უნარს, შექმნას სიმბოლოები. ასევე მის მოძღვრებაში მთავარი ადგილი უჭირავს „ევოლუციის“ ცნებას. კულტურის ევოლუციას უაიტი განიხილავს ენერგიის შესახებ მოძღვრების თვალთახედვით. კულტურის ევოლუციის მთელი პროცესის საფუძველს უაიტი ხედავს ტექნოლოგიურ განვითარებაში. მისი აზრით, ტექნოლოგიური განვითარება განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ევოლუციის დანარჩენ კომპონენტებზე, როგორიცაა: „სოციოლოგიური“, „იდეოლოგიური“ და „სენტიმენტალური“.

თავის მეცნიერულ ნაშრომებში უაიტი მოუწოდებდა, რომ „ანთროპოლოგები“ არ ჩაკეტილიყვნენ მხოლოდ წმინდა „აკადემიური“ კვლევა-ძიების სფეროში, თამამად დაესვათ და გადაეჭრათ ფართო მსოფლმხედველობითი და პრაქტიკული ამოცანები. 1932 წელს ჟურნალ „Советская Этнография“-სთვის მან დაწერა სპეციალური წერილი, — „კულტურის ევოლუცია და ისტორიული ეთნოლოგიის ამერიკული სკოლა“, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრების ძირითადი მომენტები.

უაიტის თანამოაზრეებსა და მიმდევრებს შორის უნდა გამოიყოს მ ა რ შ ა ლ ს ა ლ ი ნ ს ი, პიროვნება, რომელიც ევოლუციონისტური თეორიის დამუშავებისას შეეცადა, დაეძლია ევოლუციონიზმისთვის დამახასია-

თებელი სქემატიზმი. ამას იგი აღწევს იმით, რომ ევოლუციონიზმში შეიტანა ორი — ევოლუციის „საერთო“ და „სპეციფიკური“ ცნება.

მეორე კომპრომისული კონცეფცია, რომელიც ცდილობს, ევოლუციური იდეები შეათანხმოს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის უარყოფ ფაქტთან, ეკუთვნის მრავალი სხვადასხვა ხასიათის ნაშრომის ავტორს. ამერიკელ ეთნოლოგსა და არქეოლოგს — ჯ უ ლ ი ა ნ ს ტ ი უ - ა რ დ ს. ეს არის მისი „მრავალხაზობრივი ევოლუციის“ თეორია.

ჯ. სტიუარდის მიხედვით, ეთნოლოგიის მთავარი ამოცანაა, ახსნას კულტურის მოვლენები, დაადგინოს მისი განვითარების კანონზომიერებები. როგორც იგი წერს, ამ ამოცანის გადასაწყვეტად მეცნიერებაში სამი მიდგომა გამოიკვეთება: 1 ერთხაზიანი ევოლუციის თეორია (მორგანი, ტაილორი და მე-19 საუკუნის სხვა ევოლუციონისტები), რომლის მიხედვით ივარაუდება, რომ კულტურული განვითარების ერთიანი გზა გაიარა ყველა ხალხმა და განსხვავება მხოლოდ ამ განვითარების სხვადასხვა სტადიაში აღინიშნა; 2. ამ თეორიის (ერთხაზიანი ევოლუციის თეორია) საწინააღმდეგო კულტურული რელატივიზმის თეორია, რომელიც ხაზს უსვამს სწორედ ხარისხობრივ განსხვავებებს სხვადასხვა ხალხის კულტურებს შორის (იგულისხმება ბოასი, მისი მიმდევრები და უახლესი დროის რელატივისტები) და 3. მრავალხაზოვანი განვითარების თეორია, რომელიც უარყოფს პირველ და მეორე თეორიებს და ჯ. სტიუარდი ცდილობს ამსახველ. მის მიერ შემუშავებული თეორიის დასაბუთებას.

ამ თეორიის ამოსავალი დებულება ასეთია: კულტურის ცნობილი ძირითადი ტიპები შეიძლება ერთნაირ პირობებში მსგავსი გზებით განვითარდეს. მაგრამ ცოტაა კულტურის ისეთი კონკრეტული ასპექტები, რომლებიც შეესაბამება, ადამიანთა ყველა ჯგუფს ერთი და იმავე თანმიმდევრობით ადამიანდეს. იმდენად განსხვავდება ამ კონკრეტული ასპექტების კულტურის განვითარების ერთიანი ხაზი, რომ ჯ. სტიუარდი, საერთოდ, ტერმინ „ევოლუციასაც“ უარყოფს და მას მხოლოდ იმიტომ მიმართავს და ისიც პირობითად, რომ სხვა უკეთესი ტერმინი არ მოიპოვებოდა. ამ გზაზე სხვადასხვა ტერმინის ძიებისას მისთვის ყველაზე მისაღებია ტერმინი „კულტურული ეკოლოგია“.

„კულტურულ ეკოლოგიაში“ ჯულიან სტიუარდი გულისხმობს გარემოსადმი შეგუებას კულტურის გზით, რომელსაც იგი უპირისპირდება „ადამიანური“ ეკოლოგიისა და „სოციალური“ ეკოლოგიის ცნებებს, რომლებიც მისი თვალსაზრისით, გამოხატავს ადამიანის უბრალო ბიოლოგიურ შეგუებლობას გარემოსადმი.

როგორც ჩანს ჯ. სტიუარდის უმთავრესი წვლილი ეთნოლოგიაში ალბათ ისაა, რომ იგი შეეცადა „ევოლუციის“ აბსტრაქტული ცნება შეეცვალა ადამიანის გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულების უფრო კონკრეტული ცნებითა და მისი შესწავლით, თუმცა ეს ურთიერთდამოკიდებულება მას საკმარისი სიზუსტით არ აუხსნია.

§ 3. ეკონომიკური ანთროპოლოგია

საზღვარგარეთის ეთნოლოგიურ მიმდინარეობებს შორის თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ე.წ. „ეკონომიკურმა ანთროპოლოგიამ", რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩაისახა და სხვადასხვა სამეცნიერო დისკუსიით გამოიხატა. მისი კვლევის ამოცანაა პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური ფორმების დადგენა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ბრ. მალინოვსკი და მ. მოსი მიუთითებდნენ პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკის შესწავლის დიდ მნიშვნელობაზე. ისინი მეურნეობის ადრეულ ფორმებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებში გულისხმობდნენ ფასეულობათა გაცვლისა და განაწილების სისტემას.

ეკონომიკური ანთროპოლოგიის სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოშობა განპირობებული იყო აზიასა და აფრიკაში ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნით. მათი ეკონომიკური განვითარების დონე ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა ევროპისას, რომელიც ომისაგან იყო გაჩანაგებული და მით უფრო ამერიკას, რომელსაც უშუალოდ მის ტერიტორიაზე ომი არ შეხებია. ამიტომ საჭირო გახდა გარკვევა, ამ ახალი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დახასიათებისათვის გამოდგებოდა თუ არა ის ტრადიციული ცნებები და კატეგორიები, რომლებიც მიღებული იყო განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკური მეურნეობის დახასიათებისათვის.

ამ მიზნით, ფართოდ გაშლილი სამეცნიერო დისკუსიების შედეგად ეკონომიკურ ანთროპოლოგიაში გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა: ფორმალისტებისა და სუბსტანტივისტებისა.

პირველი მიმდინარეობის მიმდევარია — გ უ დ ფ ე ლ ო უ ს, შ ნ ა ი დ ე რ ი ს, ლ ე კ ლ ე რ ი ს ა და სხვ. — თვალსაზრისით, ის ეკონომიკური კატეგორიები, რომლებიც ჩამოყალიბდა ომის შემდგომი დროისათვის მსოფლიო ეკონომიკურ (კაპიტალისტურ) სისტემაში — კაპიტალი, მოგება, რენტა, ხელფასი და ა.შ. — ერთნაირად შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერ საზოგადოებაში და მათ შორის პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკის დახასიათებისათვის.

მეორე მიმდინარეობის მიმდევრები — კ ა რ ლ ჰ ო ლ ა ნ ი, ჯ ო რ ჯ დ ა ლ ტ ო ნ ი და სხვ. — იმ აზრს იცავენ, რომ წინაკლასობრივ საზოგადოებაში საკუთრივ ეკონომიკური ურთიერთობები არც არსებულა. მათ იქ ცვლიდა სისხლით ნათესაური ურთიერთობები, განსაკუთრებული სოციალისტური სტრუქტურა, რელიგიურ-მაგიური წარმოდგენები.

მართალია, ერთიანი შეხედულება ამ საკითხზე არ ჩამოყალიბებულა და შეიძლება ეს არც იყოს აუცილებელი, მაგრამ სუბსტანტივისტის შეხედუ-

ლებები, როგორც ჩანს, უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან პირველყოფილი ეკონომიკის ისტორიული თვალთახედვით შეფასებისას მაინც. ძოლიანად კი, ამ მიმდინარეობის წარმომობამ კარგი როლი შეასრულა პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკისადმი ინტერესის გამოცოცხლების საქმეში.

§ 4. კულტურული მორფოლოგია

XX საუკუნის 20იან წლებში, გერმანიაში, დიფუზიონიზმის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ლ ე ო ფ რ ო ბ ე ნ ი უ ს მ ა საფუძველი ჩაუყარა ამ მიმართულების ცალკე განშტოებას — კულტურულ მორფოლოგიას.. ამ მიმართულებით კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად მიუნხენში ინსტიტუტი დაარსდა, რომელიც 1925 წელს ფრანკფურტში გადავიდა და ჟურნალის გამოცემაც დაიწყო. ლეო ფროობენიუსის ძ�r განვითარებული მთავარი იდეა კულტურული მორფოლოგიისა ასეთი იყო: კულტურა დამოუკიდებელია ადამიანისაგან, ამავე დროს, იგი ორგანულად მთლიანს წარმოადგენს.

1938 წელს ლ. ფრობენიუსის გარდაცვალების შემდეგ ამ მიმართულებას ეთნოლოგიაში სათავეში დაუდგა ა დ ო ლ ფ ი ე ნ ს ე ნ ი (გარდაიცვალა 1965 წელს). იგი ძირითადად თავისი წინამორბედის მეცნიერულ თვალსაზრისს ავითარებდა, თუმცა არ იზიარებდა იდეას ადამიანისაგან კულტურის დამოუკიდებლობის შესახებ.

1930-იან და 1950-იან წლებში ა. იენსენმა ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში სამგზის მოაწყო ექსპედიციები. მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე იგი შეეცადა, გამოეყო ცალკეული „კულტურული წრეები". მაგალითად „ნილოტური", „ქამიტური", „ქეშიტური" და სხვ.

თავისი შეხედულებები კულტურული მორფოლოგიის ძირითადი, ამოსავალი დებულებების შესახებ ა. იენსენმა ჩამოაყალიბა თავისსავე ნაშრომში მითებისა და კულტის შესახებ პირველყოფილ ხალხებში (**Iensen A. Mythos und kult bei Naturvolkern Wiesbaden, 1951; 2-te Autlage, 1960**). რომელიც ორჯერ გამოიცა.

ამ ნაშრომში ა. იენსენი ავითარებს ერთ. მაგრამ მთავარ იდეას თავისი წინამორბედი მასწავლებლის ლ. ფრობენიუსისას, — რომ რელიგიურ-ეკონომიური წესები და წარმოდგენები თავდაპირველად წარმოიქმნა ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარი „შემოქმედებითი აქტის" შედეგად, ხოლო გარკვეული ძიზნებისათვის ისინი შემდეგში იქნა გაანრებული და გამოყენებული. კულტის განვითარების სწორედ ეს შედეგია ჩვენთვის ხელმისაწვდომი გვიანდელი ფაზა ენოლოგიური დაკვირვებებისა და შესწავლის დროს, ხოლო საკულტო ქმედებების თავდაპირველი აზრი ჩვენთვის გასაგები ხდება მითების შესწავლის გზით.

სწორედ ამ უძველესი რწმენა-წარმოდგენებიდან გამოჰყავს ა. იენსენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ფორმა — დუალური ორგანიზაცია, ეგზოგამია, სამეურნეო საქმიანობა, დასახლების ფორმები და სხვა.

§ 5. სტრუქტურალიზმი

მრავალრიცხოვან მიმდინარეობას შორის, რომლებიც საზღვარგარეთის თანამედროვე ეთნოლოგიაში შეინიშნება, ყველაზე თვალსაჩინო ს ტ რ უ ქ - ტ უ რ ა ლ ი ზ მ ი ა; მასში შეინიშნება ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიმდინარეობა. პირობითად მას „ინგლისურ“ და „ფრანგულ“ სტრუქტურალიზმს უწოდებენ.

სანამ შევეხებოდეთ სტრუქტურალიზმს ეთნოლოგიაში ორიოდე სიტყვით, თვით სტრუქტურალიზმის შესახებ: მიღებულია, რომ სტრუქტურალიზმი არის მიმდინარეობა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, რომელიც აღმოცენდა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში და, რომელმაც შემდეგში მიიღო სხვადასხვა ფილოსოფიური და იდეოლოგიური ინტერპრეტაცია. სტრუქტურალიზმის, როგორც კონკრეტულ-სამეცნიერო მიმდინარეობის წარმოშობა დაკავშირებულია მრავალი ჰუმანიტარული მეცნიერების აბსტრაქტულ-თეორიულ განზოგადებებზე.

თუ ადრე, თვით XIX საუკუნის I ნახევრის ჩათვლით, უპირატესად იფარგლებოდნენ მოვლენების აღწერით, ფაქტების გადმოცემით, ფაქტების შეკრებით, დაგროვებითა და თავმოყრით, რასაც გულისხმობს სწორედ აღწერით-თეორიული განზოგადებების ჩამოყალიბება; დაიწყო ფაქტების ერთმნიშვნელოვან ფორმალურ ნიშნებამდე დაყვანა, ანუ ერთი რიგის ფაქტების, მოვლენების ერთი საერთო ნიშნით გაერთიანება და ამ გზით მათი თეორიული განზოგადებების, აბსტრაქტული მოდელების ჩამოყალიბებისათვის გამოყენება.

ამ გადასვლის საფუძველია სტრუქტურული მეთოდის, მოდელირების, აგრეთვე, ფორმალიზაციის ელემენტებისა და მათემატიზაციის გამოყენება. კონკრეტულ-სამეცნიერო სტრუქტურალიზმის საფუძვლად არსებული სტრუქტურული მეთოდი თავდაპირველად დამუშავდა სტრუქტურულ ლინგვისტიკაში, ხოლო ცოტა მოგვიანებით იგი გავრცელდა ლიტერატურათმცოდნეობაში, ეთნოლოგიაში, ისტორიაში და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

სტრუქტურალიზმი გულისხმობს მეცნიერული იდეების კომპლექსს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან როგორც სტრუქტურული მეთოდის კონკრეტული მოდიფიკაციით, ისე მისი რეალური როლით გამოკვლევებში. იგი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა 60-იანი წლების საფრანგეთში. ეთნოლოგიაში ამ მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ეთნოლოგი კ ლ ო დ ლ ე ვ ი - ს ტ რ ო ს ი.

„ინგლისური“ სტრუქტურალიზმი, რომელიც ცნობილია „სტრუქტურული ფუნქციონალიზმის“ სახელწოდებითაც, სათავეს იღებს რ ა დ კ ლ ი ფ - ბ რ ა უ ნ ი ს შეხედულებებისა და მის მრავალრიცხოვან მიმდევრებში, ხოლო „ფრანგული“ სტრუქტურალიზმი არსებითად დაკავშირებულია ერთი კაცის სახელთან — იგი მთლიანად ეყრდნობა კლოდ ლევი-სტროსის მოძღვრებას, რომლის თავდაპირველ წყაროდ მიჩნეულია სტრუქტურული ლინგვისტიკა.

სახელწოდების გარდა, ამ ორ სტრუქტურალიზმს შორის საერთოა ის, რომ სტრუქტურული კავშირების შესწავლის მნიშვნელობას ორივე აღიარებს და ცნობს მხოლოდ რომელიმე მთლიან სისტემაში (ვთქვათ, ტოტემი, სახელმწიფო, ან ნათესაობრივი ტერმინოლოგია და სხვ.) სხვა მხრივ კი, მათ შორის პრინციპული განსხვავებები შეიმჩნევა. ინგლისელი სტრუქტურალისტებისათვის ამოსავალია რეალური, კონკრეტული ერთობები (ტოტემი, ხალხი, სახელმწიფო) და ისინი შეისწავლიან ყოველი ასეთი ერთობის, მთლიანობის სტრუქტურას. მეთოდოლოგიურად ეს შეიძლება რამდენადმე გამართლებულია და შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. კ. ლევი-სტროსი კი შეისწავლის არა რეალურად არსებული მთლიანის სტრუქტურას, არამედ ხელოვნურად გამოყოფილ მის ცალკე ნაწილებს: ნათესაობრივ ტერმინოლოგიას, ფოლკლორს, მითოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეორე გზა რამდენადმე საეჭვოა, იგი მაინც წამყვანი და გაბატონებული მიმდინარეობაა თანამედროვე დასავლეთ-ევროპულ ეთნოლოგიაში, რაც განპირობებულია კ. ლევი-სტროსის დიდი ავტორიტეტით.

ბუნებრივია, დაისმება კითხვა — რატომაა ეს მეორე გზა რამდენადმე საეჭვო? ე.ი. ის გზა, რომელსაც სტრუქტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლები და მათ შორის მათი მამამთავარი ლევი-სტროსი ირჩევენ, ქვემოთ ეს უფრო გაშლილად იქნება წარმოდგენილი, აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ რეალური, კონკრეტული ერთობების (ვთქვათ, ტოტემის, ხალხის, სახელმწიფოსა და სხვ.) შესწავლის შედეგად მიღებული განზოგადებული დასკვნები, თეორიული შეხედულებები და კონცეფციები, ცხადია, უფრო დამაჯერებელი და სარწმუნოა, თუ გნებავთ, უფრო მყარ და რეალურ ნიადაგზე დგას, ვიდრე მითოლოგიის (ოღონდ, არა კონკრეტული ფაქტების მოხმობით), ფოლკლორის, ან, ვთქვათ, ნათესაობრივი ტერმინოლოგიის ზოგად აბსტრაქტულ დონემდე აყვანილ განზოგადებებზე დაყრდნობით მიღებული დასკვნები. ამავე დროს, ცხადია მითოლოგიის, ფოლკლორისა და ნათესაობრივი ტერმინოლოგიის მნიშვნელობას არავინ უარყოფს, მაგრამ მხოლოდ მათზე დაყრდნობა, განზოგადებებისათვის საფუძვლად მხოლოდ მათი მიჩნევა და აღიარება, სხვა უფრო რეალური ცნებების შეწირვის ხარჯზე, რამდენადმე საეჭვოს ხდის ლევი-სტროსის სტრუქტურალიზმს ინგლისურ სტრუქტურალიზმთან შედარებით.

საბჭოთა ეთნოლოგისა და ფილოსოფოსის ნ. ბუტინოვის შენიშვნით, ეთნოლოგიური მეცნიერების მსახურთა შორის მხოლოდ ორმა — ტურ ჰეიერდალმა და კლოდ ლევი-სტროსმა მოიხვეჭა მსოფლიო სახელი. ტურ ჰეიერდალს სახელი გაუთქვა მისმა თამამმა ექსპედიციამ სამხრეთ ამერიკიდან ოკეანეთში ტივით „კონ-ტიკი", რომლის მიზანი იყო პოლინეზიელების სამხრეთამერიკული წარმოშობის დამტკიცება, რაც მან, როგორც ცნობილია, ვერ შეძლო; თავისთავად ამ იდეას არ შეეძლო მისთვის დიდი სახელის მოხვეჭა, მაგრამ მას სახელი გაუთქვა საკუთრივ მეთოდმა — ტივით ოკეანის გადალახვამ, რომელსაც მრავალრიცხოვანი მიმდევარი გამოუჩნდა.

კლოდ ლევი-სტროსმა მსოფლიო სახელი მოიპოვა ფაქტების განზოგადების ორიგინალური მეთოდით — საჭიროა ჯერ განზოგადდეს ფაქტები, განაცხადა მან. და მხოლოდ შემდეგ შევადაროთ ისინი ერთმანეთს. მართალია, ეს განცხადება რამდენადმე უცნაურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ესაა სტრუქტურალიზმის არსი. ფაქტების განზოგადება კლოდ ლევი-სტროსისათვის ნიშნავს იმ სტრუქტურული ელემენტების გამოყოფას, რომლებსაც ეს ფაქტები გამოავლენენ. ეს ელემენტები ცალკეულ სისტემებში არაცნობიერადაა ჩართული, საჭიროა ისინი გამოვლინდნენ და ამის შემდეგ შესაძლებელია მათი ერთმანეთთან შედარება.

განზოგადების მეთოდს, როგორც ტრადიციულადაა მიღებული, მიმართავდა საბჭოთა მეცნიერება. საბჭოთა ეთნოლოგია, ისევე როგორც დღეს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ეთნოლოგები, ყველა ჩვენთაგანი კვლევისას ამოვდივართ, რა თქმა უნდა, ფაქტების განზოგადებიდან, მაგრამ მაშინ რა არის განსხვავებული ლევი-სტროსის ზემოთ წარმოდგენილი მეთოდისაგან? განსხვავება ის არის, რომ ჯერ ჩვენ დავადგენთ გარკვეულ ფაქტს ან ფაქტებს ამა თუ იმ მოვლენის გარშემო და შემდეგ მათ მიხედვით ვაწარმოებთ განზოგადებას, გარკვეული კანონზომიერების დადგენისას და ა.შ. ლევი-სტროსი კი, როგორც აღინიშნა, საპირისპირო მეთოდს მიმართავს, იგი ჯერ აზოგადებს ფაქტებს, შემდეგ უდარებს ერთმანეთს ამ განზოგადებათა ფარგლებში. ამით, — ამბობს ლევი-სტროსი, — ჩვენ გამოვყოფთ სტრუქტურულ ელემენტებსო, ე.ი. იმ ელემენტებს, რომლებიც საერთო აღმოჩნდა ამ ფაქტებისათვის განზოგადებათა შემთხვევაში. ეს საშუალებას მოგვცემს, გამოვყოთ ის არაცნობიერი, რამაც განაპირობა ამ ფაქტების წარმოშობაო.

კლოდ ლევი-სტროსი დაიბადა 1908 წელს ბელგიაში, მხატვრის ოჯახში. ბავშვობა მან გაატარა საფრანგეთში, ვერსალში, სადაც პაპამისი მსახურობდა რაბინად. მან ბავშვობაშივე საფუძვლიანი მუსიკალური განათლება მიიღო, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მისი აზროვნების შემდგომ ფორმირებაზე. ამ ზეგავლენის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ მოგვიანებით, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში, პირველი ტომი თავისი დიდი ნაშრო-

მის ამერიკის ინდიელთა მითოლოგიის შესახებ, აგრეთვე მუსიკალური ნაწარმოების ნიმუშის მიხედვით. ბავშვობაში რ. ვაგნერის მუსიკაზე აღზრდილმა, მოგვიანებით, მითების სტრუქტურული შესწავლისას, რ. ვაგნერშივე აღმოაჩინა თავისი წინამორბედი. მომდევნო ხანებში იგი გაიტაცა ი. სტრავინსკის მუსიკამ, რომლისგანაც მიღებული შთაბეჭდილებები, მისივე აღწერით, უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ცენტრალური ბრაზილიის წარმტაცი საკანონების გაცნობით აღძრული შეგრძნებები. ბავშვობიდანვე იგი გატაცებული იყო გეოლოგიით, რამაც ხელი შეუწყო მისი აზროვნების იმგვარ ფორმირებას, რომ საზოგადოების განვითარების საერთო სურათში შეეძლო ადგილი ეპოვნა ცალკეულ გამოეყო სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სოციალური განვითარების ფენა, ისევე, როგორც გვხვდება ეს გეოლოგიურ პლასტებში (ფენებში). 20-30-იან წლებში იგი გაიტაცა მაშინ ეროვნულ მოდურმა ფსიქოანალიზმმა და ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებამ. ამ შეხედულებაში კ. ლევი-სტროსისათვის მნიშვნელოვანი იყო არა ის, რომ ზ. ფროიდის მიერ აღმოჩენილი სტრუქტურები მიეკუთვნებოდა არაცნობიერს, არამედ პირველ რიგში, და რაც არსებითია, ის, რომ ეს სტრუქტურები ექვემდებარება მეცნიერული აზროვნების ანალიზს. მოგვიანებით კ. ლევი-სტროსის იმ სტრუქტურების რაციონალურ შესწავლას მიმართა, რომლებიც არაა გაცნობიერებული მათი მომხმარებელი ჯგუფების (მითების, რიტუალების, სოციალურ ურთიერთობათა ფორმების) მიერ. მისი რწმენითა და მტკიცებით, სწორედ ასეთი სტრუქტურები შეადგენს ეთნოლოგიის შესწავლის საგანს.

კლოდ ლევი-სტროსი თავისი სამეცნიერო კარიერის დასაწყისს აღგვიწერს ავტობიოგრაფიული ხასიათის და ამავე დროს მისი კონცეფციის თეორიული განზოგადებების შემცველ წიგნში „მწუხარე ტროპიკები" (1955 წ.), რომელშიც მოთხრობილია ამაზონის აუზის ტომებში (ბორეროო, ნამბიკვარა, კადიუვეუ...) მისი ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული მუშაობის შესახებ 1934-1939 წლებში. პარიზის უმაღლესი სკოლის მაშინდელი დირექტორის სელესტიენ ბუგლეს წარდგინებით, რომელიც იმხანად კ. ლევი-სტროსს დიდად სწყალობდა, იგი 1934 წელს მიიწვიეს სანპაულუს (ბრაზილია) უნივერსიტეტში სოციოლოგიის პროფესორად. ამ დროიდან იწყება მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ახალი ეტაპი — სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ყოფის შესწავლა.

კლოდ ლევი-სტროსის მეცნიერული შემოქმედება სტატიებისა და წიგნების სახით გამოქვეყნებულ რამდენიმე ასეულ სამეცნიერო ნაშრომს მოიცავს. ბიბლიოგრაფთა ცნობით, კიდევ უფრო მეტია გამოქვეყნებული ოვით ამ ნაშრომებისა და კ. ლევი-სტროსის შეხედულებათა შესახებ. ეს შეხედულებები კრიტიკულად გამორჩეულია ათობით სტატიისა და სპეციალურ მონოგრაფიაში, რომელიც სისტემატურად ქვეყნდება ეთნოლოგიურ და ანთროპოლოგიურ ჟურნალებსა და გამოცემებში. კ. ლევი-სტროსის უზარმა-

ზარ. სამეცნიერო შემოქმედებაში კლასიკურადაა აღიარებული მისი ორი ნაშრომი – 1958 წელს გამოცემული „სტრუქტურული ანთროპოლოგია“ და 1964-1971 წლებში დიდი მოცულობის ოთხ ტომად გამოცემული „მითოლოგიურები“. ამას გარდა, კ. ლევი-სტროსის მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომებად ითვლება მისი წიგნები: „სტრუქტურული ანთროპოლოგია მეორე“ (1973 წ.), „თანამედროვე ტოტემიზმი“ (1962 წ.) და ბოლო ხანებში შექმნილი ორტომეული „ნიღბების გზა“ (1975 წ.).

„მითოლოგიურები“, როგორც აღინიშნა, ოთხტომიანი დიდი მოცულობის ნაშრომია, რომლის თითოეულ ტომში თემატურადაა თავმოყრილი და სტრუქტურალისტური პოზიციებიდან გაანალიზებული ამერიკის (განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკის, კერძოდ, ამაზონის აუზის) ინდიელთა მრავალრიცხოვანი მითი, რომლებიც ასახავს მათი ყოფის თითქმის ყველა მხარეს.

სტრუქტურალიზმის საკითხებზე კ. ლევი-სტროსის უმთავრესი ნაშრომის „სტრუქტურული ანთროპოლოგიის“ მიმოხილვის წარმოდგენამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქრონოლოგიურად ამ ნაშრომის შემდეგ გამოცემული „მითოლოგიურების“ განხილვა, რადგან მასში ნათლად ჩანს ავტორის მიერ შემუშავებული მეთოდისა და კონცეფციის პრაქტიკული გამოყენება, ამასთანავე, ეს ნაშრომი კ. ლევი-სტროსის მიერ შემუშავებული იმ პროგრამის განხორციელებაა, რომელიც მას ჩამოყალიბებული ჰქონდა „სტრუქტურული ანთროპოლოგიის“ საგანგებო თავში – „მითების სტრუქტურა“ (თავი XI).

„მითოლოგიურების“ პირველ ტომს ეწოდება „უმი და მოხარშული“ (1964 წ.). მასში კ. ლევი-სტროსი აანალიზებს ბორორუს ტომის (ამაზონის აუზი) მითს არწივის ბუდის დამანგრეველი ჭაბუკის შესახებ. მითში მოთხრობილია ჭაბუკზე, რომელსაც მამა თავიდან მოშორების მიზნით, გაგზავნის იმ ხეზე ასასვლელად, რომელზედაც არწივის ბუდეა. მითური ხე, რომელიც კენწეროთი ცას ებჯინება, ჭაბუკს შორს გაიტყუებს. არწივი (მითის ზოგიერთი ვარიანტით – იაგუარი) ჭაბუკს – ამ სამხრეთ-ამერიკელ პრომეთეოსს – ასწავლის ცეცხლის მოპოვებას. სხვადასხვა ფათერაკისა და თავგადასავლის შემდეგ, ცეცხლის მოპოვების ცოდნით აღჭურვილი ჭაბუკი ბრუნდება მშობლიურ სოფელში. კ. ლევი-სტროსი ამ მითის მაგალითზე გვიჩვენებს, რომ ბორორუსა და მისი მეზობელი ტომების სხვა მითები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ ძირითადი მითის გარდაქმნის, მისი სხვა ტომებში გავრცელების შედეგი, რომ უკვე ცნობილი მითებიდან, გარკვეული სქემის მიხედვით, შეიძლება შეიქმნას მითები. ამ შემთხვევაში, როგორც ვ. ივანოვი აღნიშნავს, ლევი-სტროსის მეთოდი მსგავსია თანამედროვე ტრანსფორმაციული გრამატიკის მეთოდებისა.

როგორც აღინიშნა, „მითოლოგიურების“ ეს ტომი ავტორმა ააგო მუსიკალური ნაწარმოებების სტრუქტურის შესაბამისად; წიგნის კომპოზიცია

ერთგვარად „კონტრაპუნქტურია“ და მისი თავების დასათაურებაში ტექსტ-ფორულადაა გამოყენებული მუსიკალური ტერმინები: „ბუდის დამანგრეველის არია“, „პირველი ვარიაცია“, „დისკრეტულის ინტერმედია“, „ოდა“, „კარგი მანერების სონატა“, „კიკეტუს რონდო“, „მოკლე სიმფონია“, „ხუთი გრძნობის ფუგა“, „ოპოსუმის კანტატა“, „არია და რონდო“, „ტოკატა და ფუგა“, „დივერტისმენტი პოპულარულ თემაზე“, „ჩიტების კონცერტი“

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მითისა და მუსიკის დაახლოებისას კ. ლევი-სტროსი იმოწმებს კომპოზიტორ რ. ვაგნერს, რომელიც მითების ანალიზს მუსიკის საშუალებით მიმართავდა და ითვლება მითების სტრუქტურული ანალიზის ფუძემდებლად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ლევი-სტროსის მიერ მითების მიმსგავსება მუსიკალურ ნაწარმოებებთან. კ. ლევი-სტროსის მიხედვით, მითი დგას ენასა და მუსიკას შორის. მითი, ისევე როგორც მუსიკა, ამოდის ორმაგი შინაარსიდან და არტიკულაციის ორი განზომილებიდან. ფიზიკურად რეალიზებული ბგერების მუსიკალურ სერიას, რომელთაგან შედგება მანები, შეესატყვისება მითოლოგიური სერია „ისტორიული“ მოვლენებისა და ფაქტებისა, ხოლო, ამათგან, ესა თუ ის მითოლოგია აირჩევს თავისთვის გარკვეულ სიუჟეტებს.

„მითოლოგიურების“ მეორე ტომი — „თაფლიდან ფერფლისაკენ“ (1966 წ.) — წარმოადგენს კ. ლევი-სტროსის სტრუქტურული მეთოდის ლინგვისტური ორიენტაციის მკაფიო ნიმუშს. ძირითადი დაპირისპირება (თამბაქო-თაფლი), რომელიც, ამავე დროს, მთელი წიგნის სათაურია, ავტორს ეხება-რივი მასალის მონაცემებიდან გამოყავს. ამასთანავე, კ. ლევი-სტროსი პირველ რიგში ეყრდნობა თავისი მშობლიური ენის — ფრანგულის მონაცემებს. მასში (ისევე როგორც სხვა ენებში) თამბაქოს წარმოდგენა იწვევს ცეცხლს, ხოლო თაფლისა — კარგს. თანამედროვე ევროპული ენის ამ მონაცემში კ. ლევი-სტროსი ხედავს რომელიღაც საერთო ტენდენციის გამოვლინებას ყველა ენისათვის. შემდეგ იგი გადადის ამერიკული მითების ამ კუთხით განხილვაზე: სამხრეთ ამერიკა, განსხვავებით ევროპისაგან, სადაც თაფლი თითქმის განიდევნა ხმარებიდან და ასევე განსხვავებით ევროპისაგან, სადაც თამბაქო შედარებით ახალი შემოსულია, განსაკუთრებით ნოყიერი აღმოსავლეთ-და მსგავს დაპირისპირებათა გამოვლენისა და გამოკვლევისათვის — ეს დაპირისპირების ორივე წევრი, თაფლიც და თამბაქოც, სამხრეთ ამერიკაში არსებობს უძველესი დროიდან.

თუ „მითოლოგიურების“ პირველი ორი ტომი მიძღვნილია სამხრეთ-ამერიკელ ინდიელთა მითებისადმი, მისი ორი მომდევნო ტომი „სუფრის ეტიკეტის წარმოშობა“ (1968 წ.) და „შიშველი ადამიანი“ (1971 წ.) ეძღვნება ჩრდილო-ამერიკელ ინდიელთა მითების გამოკვლევას იმ მეთოდის გამოყენებით, რომელსაც მიმართა კ. ლევი-სტროსმა ერთი სახის მითების სხვა სახის მითებად გარდაქმნის შესწავლისას.

კლოდ ლევი-სტროსის ეს გამოკვლევა წარმოადგენს სრულ გადატრიალებას ფოლკლორსა და მითოლოგიაში. ამ ვრცელი ნაშრომის ერთ ადგილას კ. ლევი-სტროსი თვითონვე უპირისპირებს თავის მეთოდს დღემდე უაღრესად პოპულარულ ისტორიულ-გეოგრაფიულ სკოლის მეთოდს, რომლის წიაღშიც აღმოცენდა სიუჟეტებისა (აარნე-ტომპსონი) და მოტივების (ტომპსონი) საყოველთაოდ მიღებული კატალოგები, რომლებიც ეყრდნობიან კლასიფიკაციათა გარკვეულ პრინციპებს. კ. ლევი-სტროსისათვის ისტორიულ-გეოგრაფიული სკოლა პირველ რიგში წარმოადგენს ძველი ისტორიული, დიაქრონიული ფოლკლორისტიკის ნიმუშს. ურჩხულის შესახებ მითების მაგალითზე იგი შეეცადა ეჩვენებინა, რომ იქ, სადაც ისტორიული სკოლა დიაქრონიული ევოლუციის კვალს, შემოხვევით ურთიერთობებს და იზოლირებულ წევრებს პოულობს, შეიძლება აღმოვაჩინოთ არსებით კონტრასტებზე დამყარებული მითოლოგიური სისტემები.

იმისათვის, რომ რამდენადმე დამაკმაყოფილებლად გავიგოთ კ. ლევი-სტროსის მეთოდი და მის მიერ შემუშავებული სისტემა, საჭიროა შევეხოთ მის კიდევ ერთ ნაშრომს — „მწუხარე ტროპიკები", რომელშიც ავტობიოგრაფიულ მომენტებთან ერთად, ავტორმა პოპულარული ფორმით გადმოგვცა თავისი შეხედულებები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

„მწუხარე ტროპიკებში" გამოიყოფა სამი არსებითი მომენტი:

1) ველურები ცხოვრობენ ბედნიერად, 2) ცივილიზაცია აზიანებს მათ ყოფას, 3) ცივილიზაცია უარესად წყვეტს რთულ ცხოვრებისეულ პრობლემებს, ვიდრე ველურები. რადგან ველურების გარეგანი „მე" მჭიდროდ არის დაკავშირებული შინაგანთან. კულტურული გარსი ჯერ კიდევ თხელია და ბუნებასთან მის კავშირს შეიძლება თვალი გავადევნოთ; აღნიშნული არ დაშორებია აღმნიშვნელს და უამრავ ნიშანში შესაძლებელია გაირჩეს ბინარული ოპოზიციები.

წინათ ადამიანი ხორცსა და სხვა საჭმელს ქვაზე აწყობდა და ასე წვავდა მზეზე. მზის სხივები ცასა და დედამიწას ერთიან, ჰარმონიულ მთლიანობაში აერთიანებდა და ადამიანი ბუნებასთან სრულ თანხმობაში იმყოფებოდა. შემდეგ ადამიანმა დაიწყო საჭმლის მოზმადება ცეცხლზე, შეიქმნა შრომის იარაღები, ტანსაცმელი. ადამიანმა შეაბიჯა კულტურის სამყაროში და მის არსებობას და კულტურას შორის გაჩნდა წინააღმდეგობები. მითების და, აგრეთვე, მისი დამხმარე ცხოველების მეშვეობით ადამიანი ცდილობს, აღადგინოს დარღვეული ჰარმონია ბუნებასთან. დამთავრდა ოქროს ხანა (ასე უწოდებს კ. ლევი-სტროსი კაცობრიობის ქვის ხანის პერიოდს) და დაიწყო ბრინჯაოს ეპოქა. ამ ეპოქაში ადამიანი საკმაო ხანს ინარჩუნებს მკაფიო ოპოზიციებს, რაც მას საშუალებას აძლევს, იბატონოს ემპირიულ სინამდვილეზე. მითების საშუალებით, ადამიანები ცდილობენ, წაშალონ, ან შეარბილონ წინააღმდეგობები ბუნებასთან. მაგრამ ამის შემდეგ იწყება რკინის ხანა, გაჩნდა თანამედროვე ადამიანი და ყველაფერი აირია.

პირველყოფილი ადამიანი თავისი შინაგანი „მეთი" არაფრით არ განსხვავდება თანამედროვისაგან: ერთსაც და მეორესაც ერთი და იგივე ბინარული ოპოზიციები გააჩნიათ (მათ შესახებ ქვემოთ იქნება აღნიშნული). თანამედროვე ადამიანის აზროვნების სტრუქტურა მიუხედავად მოელი იმ უსიამოვნებისა, რომელიც მას თავს გადახდა გამოვლილი გზის მანძილზე, უცვლელი დარჩა. იგი ზუსტად ისეთივეა, როგორც პირველყოფილი ადამიანისა. თანამედროვე ადამიანი პირველყოფილისაგან განსხვავდება მხოლოდ თავისი გარეგნული „მეთი" და აგრეთვე იმით, რომ მის გარეგან „მესა" და შინაგან „მეს" შორის კავშირი გაწყვეტილია ისტორიის მიერ.

მაგრამ თანამედროვე ადამიანს გააჩნია იმედი, რწმენა და შესაძლებლობა, შეიცნოს თავისი შინაგანი „მე". ამისათვის იგი უნდა გახდეს ეთნოლოგი, გაემგზავროს პირველყოფილ ადამიანებთან და იცხოვროს მათთან. მათსავით, — აღნიშნავს კ. ლევი-სტროსი.

კლოდ ლევი-სტროსის ზემოწარმოდგენილ მსჯელობებში გამოყენებულია განსაკუთრებული მეთოდი — ბრიკოლაჟი, რომელსაც იგი ფარულად მიმართავს მითების ანალიზის დროს. ბრიკოლაჟი, როგორც ცნობილია, ბილიარდის თამაშის ხერხია, რომლის დროსაც სხვა ბურთის დარტყმით ბილიარდის მაგიდის კიდეს ასხლეტილი ბურთი აღწევს მიზანს.

ეთნოლოგს, როგორც უკვე ჩამოყალიბებულ კულტურულ გარემოცვაში მყოფს, გარკვეული ჩვეულება აქვს, რომელიც რომელიმე ბინარულ ოპოზიციას აღნიშნავს, რომელს სახელდობრ — თანამედროვე ადამიანთან ამის დადგენა შეუძლებელია, რადგან კავშირი აღნიშნულსა და აღმნიშვნელს შორის დაკარგულია ისტორიის, განვლილი გზის მიერ. მაგრამ ეთნოლოგი პირველყოფილ ადამიანში აღმოაჩენს მსგავს ჩვეულებას (ურტყამს თავისი ბურთით მის ბურთზე, — ბრიკოლაჟის პირველი ეტაპი). პირველყოფილ ადამიანში ეს ჩვეულება დაკავშირებულია ბინარულ ოპოზიციასთან (ბურთი ხვდება მაგიდის კიდეს და ასხლეტით ბრუნდება უკანვე — ბრიკოლაჟის დასკვნითი ეტაპი). ეთნოლოგმა უკვე იცის აღნიშნულის მნიშვნელობა (შეიქმნას ბინარული ოპოზიცია). ეს არის სწორედ ის, რასაც კ. ლევი-სტროსი „განზოგადებას" უწოდებს. მსგავსი ოპოზიციის აღმოჩენისას ეთნოლოგს უკვე შეუძლია, ეს ჩვეულება შეადაროს ერთმანეთს.

ვთქვათ, ხდება კონკრეტული მოვლენა: მითის გმირი ცოლად ირთავს თავის დას, თუმცა ინცესტი მკაცრად აკრძალულია. ეთნოლოგი ამ მოვლენას მიუსადაგებს პირველყოფილ ადამიანს. იქ იგი (მოვლენა) ჯერ კიდევ დაკავშირებულია გონიერ სტრუქტურასთან, ბინარულ ოპოზიციასთან: „შეიძლება" — „არ შეიძლება" და მასთან (ბინარულ ოპოზიციასთან) ერთად უბრუნდება ეთნოლოგს. ახლა, ვთქვათ, ეთნოლოგი მიაკვლევს სხვა კონკრეტულ მოვლენას: მეფე მითის გმირს აძლევს რთულ დავალებას იმ იმედით, რომ იგი ვერ გადაჭრის მას, მაგრამ მან იგი გადაჭრა; ამ შემთხვევაშიც

ეთნოლოგი ამ მოვლენას კვლავ მოაქცევს ბინარული ოპოზიციის — „შეიძლება" — „არ შეიძლება"-თა რიგში.

რა თქმა უნდა, ძნელია, ყოველთვის დაეთანხმო კ. ლევი-სტროსის წარმოდგენილ მსჯელობებს. ავიღოთ თუნდაც ბრიკოლაჟის მეთოდი. პირველყოფილი ადამიანი კიმპიუტერი როდია და მასში ბინარული ოპოზიციები არც არსებობს — მას თვითონ ეთნოლოგი ქმნის, გამოყოფს, აჯგუფებს და ისიც ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ. ნიშანდობლივია თვით კ. ლევი-სტროსის ერთი გამონათქვამი, რომ შესანიშნავი იქნებოდა მხოლოდ ერთი როშელიმე სტრუქტურის შესწავლა, მაგრამ, სამწუხაროდ, სად წაუხვალ ემპირიულ სინამდვილესო. ამიტომ, ბინარული ოპოზიციების გამოვლენისათვის, კ. ლევი-სტროსს თვითონ უნდება გამოსვლა პირველყოფილი ადამიანის როლში. ჩემი აზროვნება ნეოლითურია, აცხადებს იგი, მე თქვენს შორისაც ისეთივე ვარ. მიმართავს იგი პარიზელებს, როგორც მათ შორის (მომთაბარე მონადირეებსა და შემგროვებლებს) ვიყავი. როდესაც კ. ლევი-სტროსი ამსგავსებს თავის თავს პირველყოფილ ადამიანებს, ცხადია, ამით იგი პარადოქსულ მტკიცებებს მიმართავს. სწორედ ამ მტკიცებების შესახებ აღნიშნავდნენ, რომ არ შეიძლება მათი მიღება სერიოზულად, რომ ამით კ. ლევი-სტროსი კატა-თაგვობანას ეთამაშება მკითხველებსო და სხვ.

გარკვეული პრინციპით შერჩეული და განზოგადებული თეორიული ხასიათის მაღალ პროფესიულ დონეზე დაწერილი კ. ლევი-სტროსის შეხედულებები, როგორც აღინიშნა, ყველაზე თანმიმდევრულად წარმოდგენილია მისი სპეციალური სტატიების მოზრდილ კრებულში, რომელიც გამოიცა ცალკე წიგნად, ერთიანი მონოგრაფიული ნაშრომის სახით, „სტრუქტურული ანთროპოლოგიის" (1958 წ.) სახელწოდებით. მასში წარმოდგენილი თავები ცალკე სტატიებად იბეჭდებოდა (ნაწილი) ინგლისურ ენაზე. მთლიანი წიგნის გამოქვეყნებამდე ორიოდე თავი ჩვენშიც გამოიცა რუსულ ენაზე. წიგნის ეს სახელწოდება ჩვენში მიღებული ტერმინოლოგიით შეიძლება დაახლოებით ასე გადმოიცეს — „ეთნოლოგიის სტრუქტურული თეორია". ამ წიგნმა მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა, 1958 წლიდან იგი განაგებს სოციალური ანთროპოლოგიის კათედრას კოლეჟ დე ფრანსში; არჩეულია საფრანგეთის აკადემიის წევრად, რაც, ცხადია, ავტორის მეცნიერულ დამსახურებათა უდავო აღიარებაა მისსავე სამშობლოში.

კლოდ ლევი-სტროსს არაერთგზის განუცხადებია, რომ მისი კონცეფციის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი მიეკუთვნებათ: სოციოლოგ ემილ დიურკჰეიმს, ფსიქოლოგ ზიგმუნდ ფროიდს და ლინგვისტ ფერდინანდ დე სოსიურს. ე. დიურკჰეიმმა, როგორც ცნობილია, მკვეთრად გამიჯნა ინდივიდუალური ცნობიერება კოლექტიური ცნობიერებისაგან; ზ. ფროიდმა ინდივიდის შინაგანი „მე" დაუმორჩილა არაცნობიერს, ხოლო დე სოსიურმა ენობრივი მასალის მიხედვით კონკრეტული წარმოდგენა მოგვცა ქვეცნობიერის შესა-

ხებ. ყოველ წინადადებაში გამოყო ორი დონე: გაუცნობიერებელი (ენა) და გაცნობიერებული (მეტყველება). კ. ლევი-სტროსის შეხედულებებზე სტრუქტურული ლინგვისტიკის გავლენის დიდი მნიშვნელობის შესახებ მეცნიერები ისიც, რომ მისი თვალსაზრისით, სტრუქტურული ლინგვისტიკა ისეთივე განმაახლებელ ზეგავლენას მოახდენს სოციალურ მეცნიერებებზე, როგორც ბირთვულმა ფიზიკამ მოახდინა ფიზიკის მეცნიერებებზე.

კლოდ ლევი-სტროსის კონცეფციის გაგებისათვის აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ადამიანი ამ კონცეფციის მიხედვით წარმოადგენს კომპიუტერს. კომპიუტერს არ გააჩნია ცნობიერება; ადამიანის აზროვნების სტრუქტურაც, ლევი-სტროსის მიხედვით, ასევე არაცნობიერია. ინფორმაცია, რომელსაც ვაწვდით კომპიუტერს, კოდირებულია ორმაგი ერთეულებით: სიტყვები ინფორმაციის შინაარსია, ორმაგი ერთეულები — კოდი; იმისათვის, რომ კომპიუტერს მივაწოდოთ, მაგალითად, გაზეთის ოთხი სვეტის შინაარსი, საჭიროა დაახლოებით ნახევარმილიონიანი ორმაგი ერთეული. ასე გამოიყურება შინაარსი და კოდი ადამიანის თვალთახედვიდან, მაგრამ კომპიუტერის „თვალთახედვიდან" საქმე საპირისპიროდ გამოიყურება. მისთვის ორმაგი ერთეულები ინფორმაციის შინაარსია, ხოლო სიტყვები — კოდი, ზუსტად ასე გამოიყურება საქმე კ. ლევი-სტროსის თვალთახედვიდანაც: საქორწინო ნორმები, ნათესაობრივი სისტემები, მითები არის კოდი და მეცნიერის ამოცანაა, გამოავლინოს ის, რაც კოდირებულია საქორწინო ნორმებში, ნათესაობრივ სისტემებში, მითებში, ე.ი. გამოავლინოს ბინარული ოპოზიციები.

თავის მეთოდს კ. ლევი-სტროსი თანმიმდევრულად ამბართავს ყოფისა და კულტურის სხვადასხვა მხარის შესწავლისათვის. ყოველ მათგანს იგი განიხილავს როგორც თვითმყოფად, თავის თავში ჩაკეტილ სისტემას და ცდილობს, ყველგან მიაკვლიოს მხარის ლოგიკურ კანონზომიერებებს. მისი სისტემის მიხედვით, ყველაზე ხშირად განმეორებადი კანონზომიერებები — ეს „ბინარული ოპოზიციებია", ე.ი. წყვილადი დაპირისპირებულობანი: იმისათვის, რომ ცხადი გახდეს „ბინარულ ოპოზიციათა" მრავალფეროვნება და მრავალსახოვნება, წარმოვადგენთ მათ შედარებით გრძელ ნუსხას: ნაიელი — ბნელი, ხმაურიანი — ჩუმი, რბილი — მაგარი, მშრალი — სველი, ტკბილი — მწარე, უმი — მოხარშული, ქორფა — დამჭკნარი, ცარიელი — სავსე, მრგვალი — მოგრძო, ღია — დახურული, დახუფული — გადახსნილი, ახალი — შორი, ზედა — ქვედა, წინა — უკანა, მარცხენა — მარჯვენა, გარეული — გრძელი, სწორი — მოღუნული, წინამავალი — უკანამავალი, ძლიერი — სუსტი, ნელი — სწრაფი, მშიერი — მაძღარი, მწირი — ხვავრიელი, დაინტერესებული — უინტერესო, მორცხვი — თამამი, კაცური — ქალური, უფროსი — უმცროსი, ბებერი — ახალგაზრდა, ინდივიდუალური — კოლექტიური, საზამთრო — საზაფხულო, მიწიერი — ციური, ცოცხალი — მკვდარი, ადამიანური — ცხოველური, თავისი — სხვისი, ბუნებრივი — ზებუნებრივი.

კეთილი — ბოროტი, შემქმნელი — დამანგრეველი, აქტიური — პასიური, ზომიერი — უზომო, გარეგანი — შინაგანი, პერიოდული — არაპერიოდული, ჩართული — გამორთული, ჩარიცხული — გამორიცხული, აქტუალური — ბანალური, აბსოლუტური — შეფარდებითი და მრავალი სხვა. ხოლო ყველაფერს კი საფუძვლად უდევს გენერალური ოპოზიცია „ბუნება — კულტურა", რომელიც გამოვლინდება სულ სხვადასხვა სახის და მრავალფეროვან დაპირისპირებაში: საჭმელში, მუსიკაში, საქორწინო წეს-ჩვეულებებში, მითოლოგიაში და სხვ.

„სტრუქტურული ანთროპოლოგიის" საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე კ. ლევი-სტროსი ინტენსიურად სწავლობდა არა მარტო ამ წიგნში წარმოდგენილ ეთნოლოგიის თეორიის ზოგადმეთოდოლოგიურ პრობლემებს, არამედ ამერიკანისტიკის კონკრეტულ საკითხებსაც. ამ დროს მისი ნაშრომების ყველაზე დამახასიათებელი თვისება იყო პრობლემისადმი მიდგომის იგივე მთლიანი ხასიათი, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული მეთოდის გამოყენება და, მეორე მხრივ, ერთდროულად სხვა მეცნიერებებთან ეთნოლოგიის კონტაქტების ძიება.

კლოდ ლევი-სტროსის ორტომეულში — „ნიღბების გზა" (1975 წ.) — ყურადღება გამახვილებულია სულ სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი მითოლოგიური ცხოველების სკულპტურულ გამოსახულებათა ერთმანეთთან გასაოცარ მსგავსებებზე. ეს ის ცნობილი სკულპტურებია, რომლებშიც ამ ცხოველების გამოყოფილი აქვთ გიგანტური ენები. ხელოვნების ეს მაღალმხატვრული ნიმუშები დასტურდება ჩრდილოამერიკელი ინდიელების ყოფაში და მათივე მსგავს გამოსახულებებში სამხრეთ-აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ აზიაში. კიდევ უფრო საინტერესო და მრავლისმეტყველია ის დასკვნები, რომლებიც კ. ლევი-სტროსმა მიიღო ამერიკელ ინდიელთა მითოლოგიის უზარმაზარი მასალის ანალიზისას. აქ მან დაასაბუთა ამერიკის ყველა ინდიელთა ტომის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კულტურების ერთიანობა.

ამავე ნაშრომში კ. ლევი-სტროსი დაწვრილებით განიხილავს ჩრდილოამერიკელ ინდიელთა მითს ბუნებრივი სპილენძის წარმოშობის შესახებ და საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომელიც თვით მისთვისაც პარადოქსული მოჩანს. მითებში მოთხრობილია, რომ სპილენძს, გაიგივებულს მზესთან ან მბრწყინავ ‘მხამიან თევზთან, კოცონში აგდებენ. ეს თითქოს ეწინააღმდეგება საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კოლუმბამდელ ჩრდილოეთ ამერიკაში სპილენძის გამოდნობა არ იცოდნენ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ სწორედ ის ჩრდილო-ამერიკელ ინდიელთა ტომები, რომელთა მითებსაც კ. ლევი-სტროსი სწავლობდა, იცნობდნენ სპილენძის ცხლად დამუშავების ტექნიკას. სპილენძის ზოდებს გარკვეული დროით ცეცხლში ჩაადებდნენ, ხოლო შემდეგ აცივებდნენ და ასე აწრთობდნენ. სწორედ ეს ტექნიკა აისახა კ. ლევი-სტროსის მიერ გაანალიზებულ მითებში.

ამრიგად, როგორც კ. ლევი-სტროსის ძირითადი, განმაზოგადებელი ხასიათის თეორიული ნაშრომების წარმოდგენილი ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, მისი მეცნიერული შეხედულებები, მისი კვლევა-ძიება ეხება მითებს, რიტუალებს, სოციალურ ურთიერთობათა ფორმებს (საქორწინო ნორმები, ნათესაური სისტემები და სხვ.). ამათგან, მითებსა და ფოლკლორს ძის შემოქმედებაში დიდი, შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ადგილი უჭირავს; იგი ხომ მითების სტრუქტურული ტიპოლოგიის მამამთავრადაა მიჩნეული. მისი პირველივე მნიშვნელოვანი ნაშრომი — „მითების სტრუქტურა" მიძღვნილია სწორედ მითებისა და ფოლკლორისადმი. მისი შესწავლის ძირითადი ობიექტია, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამერიკელ ინდიელთა მითები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კ. ლევი-სტროსის მეცნიერულ შემოქმედებაში სოციალურ ურთიერთობათა ფორმების შესწავლა. ამათგან, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაწვრილებით აქვს მას ეს ფორმები შესწავლილი და დამუშავებული, შეიძლება დავასახელოთ ის ნათესაური სისტემები (ამათგანაც მხოლოდ უმთავრესები), რომელიც მის „სტრუქტურულ ანთროპოლოგიაშია" განხილული: ძმისშვილები, დედის ძმის შვილები, დის შვილები, მამის დის შვილები, ძმის ქალიშვილი, ქალიშვილის ქალიშვილი, დედის ძმის ქალიშვილის ქალიშვილი, დედის ძმის ქალიშვილი, ცოლის ქალიშვილი, მამის დის ქალიშვილის ქალიშვილი, დის ქალიშვილი, დედის დის ქალიშვილი, მამის დის ქალიშვილი, ძმის ცოლი, ცოლის ძმის ცოლი, მამის ცოლი, შვილის ცოლი და ა.შ. როგორც ვხედავთ, მისი მეცნიერული შემოქმედების ეს სფერო მოიცავს ნათესაობრივ სისტემებში გამოვლენილ ოთოქმის აბსოლუტურად ყველა ნიუანსს.

დაბოლოს, კ. ლევი-სტროსის ნაშრომებში მრავალი საინტერესო და, რაც მთავარია, ახლებური იდეები მოიპოვება.

მეორე ნაწილი

მსოფლიოს ხალხთა ეთნოლოგია

პირველი თავი

ავსტრალიის ხალხები

ეთნოგენეზი. ავსტრალიელთა ეთნოგენეზის საკითხი დიდი ხანია, რაც მეცნიერებას აინტერესებს. ეს ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ ავსტრალიელები არც ანთროპოლოგიური ტიპით და არც ენით მსოფლიოს არც ერთ სხვა ხალხს არ ენათესავებიან. ამიტომაც მეცნიერების დიდი ხნის განმავლობაში უძნელდებოდათ ავსტრალიელებისა და ტასმანიელების წარმომავლობის გარკვევა და ამ საკითხზე სხვადასხვა ჰიპოთეზა შეიქმნა. აღსანიშნავია პირველი რუსული ანტარქტიდული ექსპედიციის (1819-1821 წწ.) წევრის — ივანე სიმონოვის ჰიპოთეზა, რომელმაც ავსტრალიელები ინდოეთიდან გადმოსახლებული ერთ-ერთი დაბალი კასტის შთამომავლებად მიიჩნია. ავსტრალიელთა ეთნოგენეზზე სპეციალურ ლიტერატურაში სხვა შეხედულებებიც არსებობს. ინგლისელი ანთროპოლოგის ჯ. პრიჩარდის კონცეფციის (1847 წ.) თანახმადაც ავსტრალიელები ოკეანეთის იმ უძველესი მოსახლეობის, ანუ იმ ნეგრიტოსული რასის შთამომავლები არიან, რომლის ერთი შტო ახალი გვინეისა და ტიმორის გზით უნდა შეღწეულიყო ავსტრალიაში ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე აქ უფრო გვიან მოსული „მალაურ-პოლინეზიური" რასა დასახლდებოდა. ხანგრძლივი ანთროპოლოგიური შესწავლის შედეგად ნ. მიკლუხო-მაკლაიმ ავსტრალიელები ოკეანეკიდებელ რასას მიაკუთვნა; ადრეც გამოითქვა აზრი ავსტრალიელებისა და ტასმანიელების რასობრივი ტიპების სხვადასხვაობაზე.

ტასმანიელებისა და ავსტრალიელების სხვადასხვა ანთროპოლოგიური ტიპისადმი კუთვნილების შესახებ ჯერ კიდევ რობერტ ლატამმა გააამახვილა ყურადღება 1847 წელს და აღნიშნა, რომ ტასმანიელები ფიზიკური ტიპით და ენით ახალ კალედონელებთან (მელანეზია) უფრო ახლოს დგანან, ვიდრე ავსტრალიელებთანო. ყველაზე უფრო სარწმუნო და აღიარებული ჰიპოთეზის მიხედვით, ტასმანიელები თავიანთ კუნძულზე ზღვით უნდა იყვნენ მოსულნი. პირდაპირ სამხრეთ მელანეზიიდან — ახალი კალედონიიდან.

გასული საუკუნის მიწურულში გამოქვეყნდა ჯონ მეთიუს ცნობილი ნაშრომი ავსტრალიელებზე. აქ მან წამოაყენა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ავსტრალიელები რასობრივად ორი ნარევი ეთნოსისაგან შედგებიან: უძველეს ფენას შეადგენენ „პაპუასები" (ე.ი. ნეგროიდები), უფრო გვიანდელს კი „დრავიდები". პაპუასური და დრავიდული ელემენტების ნაკვალევს ჯ. მეთიუ ხედავდა არა მარტო ავსტრალიელთა ფიზიკურ ტიპში, არამედ მათ ენასა და ზნე-ჩვეულებებშიც.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერის ალფრედ ჰაუტის კონცეფციით. ავსტრალიელთა უძველეს ფენას შეადგენს „ნეგროიდული“ კომპონენტი, უფრო გვიანდელს — ინდამანური და ტასმანიური, სულ მოგვიანოს კი მელანეზიური. იმავე ჰიპოთეზით, ავსტრალიელთა უძველესი ნეგროიდული ფენა თავის მხრივ შემდგომში შთანთქავს მათ დამპყრობლებს — „კავკასიის მელანხრომების“ (მუქკანიანი ევროპოიდები), რომელთა ნაშიერები ინდოეთის დღევანდელი დრავიდები არიანო. სწორედ ამ ორი, უძველესი „ნეგროიდული“ და უფრო გვიანდელი „კავკასიური“ (ევროპოიდული რასის ერთ-ერთი ადრინდელი სახელწოდება დასავლეთის ანთროპოლოგიაში) კომპონენტის საფუძველზეა შექმნილი ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობა. ა. ჰაუტის ეს ფანტასტიკური კონცეფცია ავსტრალიელთა რასობრივ მონაცემებზე იყო დამყარებული და უგულებელყოფდა მათი კულტურის თავისებურებებს.

ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობის პრობლემა საზღვარგარეთულ მეცნიერებაში იმთავითვე არასწორად გაშუქდა. განსაკუთრებით მცდარი იყო იგი კულტურულ-ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა შრომებში. „კულტურული წრეების სკოლის“ მამამთავარმა, გერმანელმა მკვლევარმა ფ. გრებნერმა ჯერ კიდევ 1904 წელს ჩამოაყალიბა თავისი ცნობილი კონცეფცია „კულტურული წრეებისა და კულტურული ფენების შესახებ ოკეანეთში“. მისი თეორიის საფუძველს შეადგენდა ფილოსოფოს გ. რიკერტის იდეალისტური შეხედულება, რომელიც ისტორიულ მეცნიერებას — ბუნებისმეტყველებას უპირისპირებდა და ამტკიცებდა, რომ ისტორიისათვის უცხოა რაიმე საერთო კანონზომიერება, რომ ისტორიაში არაფერი არ მეორდება და ყველაფერი მკაცრად ინდივიდუალურია. ეს ანტიმეცნიერული კონცეფცია დაედო საფუძვლად გრებნერის მეთოდოლოგიას ეთნოლოგიაში, რომლის მიხედვითაც კულტურის ყველა მსგავსი და პარალელური ფორმა თითქოს ერთი საწყისიდან, ერთი გეოგრაფიული ცენტრიდან მომდინარეობს. გრებნერი მექანიკურად თიშავდა ავსტრალიელთა კულტურას ავსტრალიელებისაგან, რომელთაც ეს კულტურა თითქოს თვითონ კი არ შეუქმნიათ, არამედ გარედან შემოუტანიათ, მექანიკურად მიუღიათ მზამზარეული სახით. გრებნერისათვის უცხო იყო კულტურის ისტორიული გაგება. ამიტომაც ფ. გრებნერი ერთსა და იმავე კულტურას მიაწერდა სხვადასხვა ხალხს და პირიქით, ერთსა და იმავე ხალხში სხვადასხვა კულტურას ხედავდა. სინამდვილეში კი ავსტრალიელთა კულტურა ადგილობრივ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მას არაფერი არ ჰქონდა საერთო გრებნერის იდეალისტურ სქემასთან.

ასეთივე არამეცნიერული აღმოჩნდა იმ ავტორთა შეხედულებები, რომლებიც ავსტრალიელთა ავტოქტონობას ამტკიცებდნენ. უფრო მეტიც, ზოგი მკვლევარი, მაგალითად, ო. შეტენზაკი, იმასაც კი ამბობდა, რომ ადამიანის თავდაპირველი სამშობლო ავსტრალიაა, საიდანაც იგი მთელ მსოფლიოში განსახლდა. ცხადია, ეს არ არის სწორი, რადგანაც ავსტრალია და ოკეა-

ნეთი არ შედიოდნენ იმ სარტყელში, სადაც მაიმუნის გაადამიანების პროცესი მიმდინარეობდა. აქ არ მოიპოვებოდა ისეთი უმაღლესი ძუძუმწოვარები, რომლებიდანაც შესაძლებელი იყო ადამიანთა მოდგმის წარმოშობა. ასტროლომაც აქ ადამიანი დედამიწის სხვა კუთხეებიდანაა მოსული. უფრო მეტიც, ნახევრად ველური ძაღლი — დინგო ავსტრალიაში ადამიანთან ერთად უნდა იყოს მოსული.

ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ ი ტ ი პ ი. ფიზიკური ნიშნების მიხედვით, ავსტრალიის აბორიგენებს დიდ ავსტრალოიდურ რასას მიაკუთვნებენ. ადრინდელი კლასიფიკაციის მიხედვით კი ისინი გაერთიანებულნი იყვნენ ე.წ. „დიდი ეკვატორული", ანუ ნეგროიდულ-ავსტრალოიდური რასის ავსტრალოიდურ შტოში. განმასხვავებელი ნიშნების მიუხედავად, ავსტრალიელები თავიანთი ფიზიკური ტიპით ყველაზე ახლოს დგანან მელანეზიელებთან და პაპუასებთან.

ავსტრალიელთა უძველესი ფიზიკური ტიპი მეცნიერებმა აღადგინეს ავსტრალიის კონტინენტზე აღმოჩენილი უძველესი თავის ქალების მიხედვით ერთ-ერთი ასეთი, კეილორის სახელწოდებით ცნობილი თავის ქალა, რომელიც 1940 წელსაა აღმოჩენილი და დათარიღებულია ძვ. წ. 18000 წლით. ძალზე ახლოსაა თანამედროვე ავსტრალიელის ფიზიკურ ტიპთან. ავსტრალიის არქეოლოგიას მოეპოვება ისეთი ფაქტები, რომლებიც საშუალებას აძლევენ სპეციალისტებს, არა მარტო დაადგინონ ამ კონტინენტზე ავსტრალიელთა მოსვლის თარიღი, არამედ მათი მიგრაციის მარშრუტიც. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ავსტრალიის თავდაპირველი დასახლება უნდა დაწყებულიყო პალეოლითის ზედა საფეხურზე, დაახლოებით 30 ათასი წლის წინათ. ამ კონტინენტის პირველი მოსახლეები უნდა ყოფილიყვნენ აზიიდან (ინდონეზია, მალაიზია) მოსული, მცირე ავსტრალოიდური ჯგუფები. დასახლების პროცესი ავსტრალიაში ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა და მრავალ საუკუნეს გრძელდებოდა. განათხარი მასალა მიუთითებს ავსტრალიის უძველესი არქეოლოგიური კულტურის უშუალო კავშირზე სწორედ სამხრეთ აზიის პალეოლითურ და მეზოლითურ კულტურებთან. იგივე მონაცემები მიუთითებს, რომ ამ ტრადიციული კონტაქტების შესუსტება იწყება 12-13 ათასი წლის წინათ, როცა მსოფლიო ოკეანის დონემ მნიშვნელოვნად აწია და ავსტრალია გარე სამყაროდან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ავსტრალიელები კოლონიზაციამდე არ იცნობდნენ არც მიწათმოქმედებას, არც მესაქონლეობას და არც ლიოთონის დაჩუქვებას. ისინი მისდევდნენ ნადირობას, შემგროვებლობას, ზოგიერთ რაიონში კი მეთევზეობას.

ავსტრალიელთა მეურნეობაში გაბატონებული იყო ნადირობა, რომლის აქტიური ფორმები (ნადირის დევნა და სხვ.) სჭარბობდა პასიურს (ძახელხაფანგების გამოყენება).

ნადირობის ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმები აქ ერთმანეთთან იყო შერწყმული. ამასთან, ყველა ავსტრალიელი სრულწლოვანი მამაკაცი მონადირედ ითვლებოდა.

ავსტრალიაში ერთადერთი შინაური ცხოველი იყო ნახევრად ველური ძაღლი — დინგო, რომელმაც ყეფა არ იცოდა და მგელივით ყმუოდა. მართალია, დინგო გარკვეულ დახმარებას უწევდა მონადირეს ნადირის კვალის აღებასა თუ ნადირის დევნაში, ავსტრალიელები მას მაინცდამაინც ფართოდ არ იყენებდნენ ნადირობაში.

ავსტრალიელები გამოცდილი და დაკვირვებული მონადირეები იყვნენ, ისინი ჯერ კიდევ ბავშვობაში სწავლობდნენ ნადირისა თუ ფრინველის ზნეს და მათი კვალის გამოცნობას.

ჩანთოსან ცხოველებზე (მათ შორის ყველაზე დიდი იყო კენგურუ) შუბით ნადირობდნენ. ნადირობისას სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. ავსტრალიელი მონადირე გამოირჩეოდა ნადირის კვალის აღების გასაოცარი უნარით. იგი სასწაულებრივად მიეპარებოდა ბალახის ძოვითყგართულ კენგურუს და ახლო მანძილიდან მთელი ძალით, აუცდენლად სტყორცნიდა შუბს თავის მსხვერპლს. ნადირობის მეორე ნაცადი ხერხი იყო ნადირის დევნა. მონადირე კენგურუს დააფრთხობდა და გაქცეულს კვალდაკვალ დაედევნებოდა. დაღლილი ნადირი მდევარს კარგა მანძილით უკან რომ მოიტოვებდა, ცოტას შეისვენებდა. მონადირე კი შეუსვენებლივ მისდევდა და ყოველი შესვენების დროს თანდათანობით უახლოვდებოდა, არ ეშვებოდა, ვიდრე ქანცგამოცლილი, ღონემიხდილი ნადირი არ ჩაიკეცებოდა და მონადირის შუბზე არ წამოეგებოდა.

ავსტრალიაში გავრცელებული იყო კოლექტიური ნადირობის ფორმები მორეკვითა და ჩასაფრებით. ასეთი ნადირობის დროს იყენებდნენ შენიღბულ ორმოთხრილებსაც, რომლებშიც დაფეთებული ნადირი ადვილად ვარდებოდა. ავსტრალიელები დახელოვნებულნი იყვნენ ემუზე (აფრიკული სირქალემას მსგავსი დიდი ფრინველი) ნადირობაში. მონადირეები კარგად იყენებდნენ ამ სწრაფმავალი ფრინველის ბრიყვულ ცნობისმოყვარეობას, სულ ახლოს მიიტყუებდნენ მას რაიმე სატყუარათი, ან მიეპარებოდნენ ჩუმად და ისე კლავდნენ.

მოგზაუროა გაოცებას იწვევდა დიდ, გლუვტანიან ხეებზე ავსტრალიელთა ცოცვის არაჩვეულებრივი უნარი, რასაც წარმატებით იყენებდნენ ისინი ფოთლებში მიმალული პატარა ჩანთოსანი ცხოველების, უმთავრესად ოპოსუმის, დასაჭერად. ოპოსუმი ეწოდებოდა ავსტრალიაში პატარა ჩანთოსან ცხოველს (ნამდვილი, დიდი ოპოსუმები კი ამერიკაშია გავრცელებული).

ავსტრალიელები მიწათხრილებში მცხოვრებ ჩანთოსან მღრღნელებზე, ქვეწარმავლებსა და სხვა ქვემძრომ წვრილ ცხოველებზე ნადირობდნენ. ნადირობაში ხშირად ქალები და ბავშვებიც მონაწილეობდნენ.

ფრინველებზე სანადირო ავსტრალიელები მეტწილად ბუმერანგს მიმართავდნენ და ერთი ტყორცნით ფრინველს (ზოგჯერ კი რამდენიმესაც) ჰაერშიეე კლავდნენ, ფრინველების დასაჭერად მახე-ხაფანგებსაც იყენებდნენ. მტაცებელ ფრინველებს კი სხვადასხვა სატყუარათი იჭერდნენ.

სანაპირო რაიონებში ავსტრალიელები თევზისა და ზღვის ცხოველების ჭერას მისდევდნენ და ამისათვის სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებასაც იყენებდნენ, ეს საქმიანობა ამ წყალნაკლულ მატერიკზე მაინც ლოკალურ ხასიათს ატარებდა. სამხრეთი და ჩრდილოეთი ავსტრალიის აბორიგენები ხშირად კოლექტიურად თევზაობდნენ. მამაკაცები და ჭაბუკები ფეხლაფეხ შედიოდნენ პატარა წყალში, ხმაურითა და აურზაურით თევზს ერთი ნაპირიდან მეორეზე ერეკებოდნენ და გაძორიყულს პირდაპირ ხელით იჭერდნენ. იმავე მიზნით ჩაკეტავდნენ მდინარეს ნეშოებით ან ბადით. თევზაობისას ფართოდ იყენებდნენ თევზის ჭერ კალათებს. ავსტრალიელი მეთევზეები სათევზაო ბადესაც იშველიებდნენ. ბადეს წნავდნენ მცენარეული ბოჭკოსაგან, ზოგან 20-30 ბადეს ერთმანეთს გადაებამდნენ და ისე თევზაობდნენ. ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე, ანკესებით თევზაობა სხვადასხვა სატყუვრით. ანკესებს აქ ძვლისა და ნიჟარისაგან ამზადებდნენ. მაგრამ ავსტრალიელები ყველაზე ხშირად მაინც დაკბილული შუბით თევზაობდნენ. ზოგან მაგალითად, ვიქტორიაში, ისინი ღამეც თევზაობდნენ ანთებული ჩირაღდნებით,. იცოდნენ თევზის გაბრუებაც წყლის მოწამვლით — ძირფესვებელა ნივთიერებათა შემცველ ფოთლებს წყალში ჩაყრიდნენ. გაბრუებული თევზი წყლის ზედაპირზე ამოტივტივდებოდა და ხელით იჭერდნენ. თევზის გარდა, იჭერდნენ ზღვის ცხოველებსაც, რომლებზეც კოლექტიურად ნადირობდნენ. განსაკუთრებით საშიში იყო ნიანგებზე ნადირობა. ავსტრალიელები ნიანგს პატარა წყალში შეიმწყვდევდნენ, თამამად შედიოდნენ შიგ და შუბებით კლავდნენ.

ავსტრალიელებმა არ იცოდნენ საჭმლის მოხარშვა. თევზსა და ხორცს ისინი ცეცხლის ალზე, ღადარზე ან გავრვარებულ ქვებზე წვავდნენ და ისე ჭამდნენ.

ავსტრალიელთა ეკონომიკის საფუძველი შეგროვებითი მეურნეობა იყო. მცენარეული საკვების შეგროვებას ნადირით მდიდარ რაიონებში კი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და მას ქალები მისდევდნენ. ავსტრალიელები კარგად იცნობდნენ საკვებ მცენარეებს და ფართოდ იყენებდნენ ამ ძრავალფეროვან ბუნებრივ სარჩოს. კვინსლენდის რაიონში ზოგიერთ ავტორს დამოწმებული აქვს საჭმელად ასე თუ ისე ვარგისი მცენარეების 69 სახეობა, გარდა იმ 35 სახეობისა, რომლებსაც ავსტრალიელი აბორიგენები სამკურნალო, ტექნიკური თუ სხვა მიზნით იყენებდნენ. ზოგიერთი ავტორი კი დაახლოებით იმავე ოლქში საჭმელი მცენარის 239 სახესხვაობას ასახელებს. თავისთავად ცხადია, რომ გაცილებით უფრო მეტი სამეურნეო მნიშ-

ვნელობა ჰქონდა შემგროვებლობას ნადირით ღარიბ ოლქებში (ცენტრალური და დასავლეთი ავსტრალია). მაგალითად, ავსტრალიაში დიერის ტომში სამეურნეო საქმიანობის მთავარი დარგი იყო შემგროვებლობა. ნადირობის ხვედრითი წონა, ნადირის სიმცირის გამო, აქ უმნიშვნელო იყო. შემგროვებლური მეურნეობის ფაროოდ გავრცელებას ავსტრალიაში იმანაც შეუწყო ხელი, რომ რიგი საკვები მცენარეებისა, რომლებიც სხვა ქვეყნებში ხელოვნურად მოჰყავდათ, აქ თავისთავად იზრდებოდა და თანაც დიდი რაოდენობით. ასეთებია, მაგალითად: ღომისმაგვარი თავთავიანი გარეული მცენარეები, ბოლქვიანი მცენარე — იამსი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გაცცრელებული კულტურაა მთელს ოკეანეთში და სხვ. ცენტრალური ავსტრალიის მრავალ ტომში ბოლქვიანი მცენარეები პურის მაგივრობას ეწეოდა. ზემოაღნიშნულთან ერთად ავსტრალიელები საკვებად სხვადასხვა მცენარის თესლს, ფოთლებს, ყლორტებსა და ფესვებსაც იყენებდნენ.

მცენარეულ საკვებთან ერთად ავსტრალიელები შეექცეოდნენ: ხვლიკებს, ვირთხებს, თაგვებს, ბაყაყებს, კიბოებს, ლოკოკინებს, მწერებს. აგრეთვე ფრინველთა და ქვეწარმავალთა კვერცხებს და გარეული ფუტკრის თაფლს. შემგროვებლების იარაღი ხის გრძელი და წამახვილებული ჯოხი იყო. ამით თხრიდა მიწიდან ავსტრალიელი ქალი საკვებ მცენარეებს, ფესვებს, ბოლქვებს და იმავე ჯოხით ჩიჩქნიდა იმ მიწისქვეშა ხვრელებს, რომლებშიც პატარ-პატარა ცხოველები ცხოვრობდნენ.

გარეული მცენარეების საკვებად გადამუშავების პროცესში ავსტრალიელები იყენებდნენ სხვადასხვა ხერხს, როგორიცაა: დალბობა, გარეცხვა, მოხალვა, დაფქვა, დასრესა, მზეზე გაფიცხება, გახმობა, გამოცხობა.

მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. მართალია, ავსტრალიელთა მატერიალური კულტურა არ იყო მრავალფეროვანი, მაგრამ ის შეიცავდა ყველა იმ ძირითად ელემენტს, რომელნიც კი ადამიანის არსებობისათვის იყო აუცილებელი.

ავსტრალიელები ცეცხლის გაჩენის მრავალ ხერხს ფლობდნენ და მარტივი საშუალებებით სულ ადვილად ახერხებდნენ ცეცხლის დანთებას. ცეცხლის გაჩენის ტექნიკის ყველა მრავალსახეობა აქ ხის ორი ნაჭრის ერთმანეთზე ხახუნის პრინციპზე იყო დამყარებული. ძირითადად მთელ ავსტრალიაში გავრცელებული იყო ცეცხლის გაჩენის ორი ხერხი — ბურღვითი და ხეხვითი. ასეთი მარტივი საშუალებებით ცეცხლის დანთებაში ისინი დიდ ხელოვნებას იჩენდნენ და სულ რაღაც 1-2 წუთს ანდომებდნენ იმას, რაც ევროპელისათვის ჩვეულებრივ მიუღწეველი იყო.

ავსტრალიელთა მეურნეობის პრიმიტიულ ფორმებს სავსებით შეესაბამებოდა მათი შრომის იარაღების, საჭურველის, დგამ-ჭურჭლის, სამკაულის და ტანსაცმლის დამზადების მარტივი ტექნიკა. მათ დასამზადებლად ავსტრალიელები იყენებდნენ: ქვას, ძვალს, ნიჟარებს, ხის მასალას, მცენარეულ

ბოჭკოს, ნაღირის ტყავსა და სხვ. კოლონიზაციამდე ავსტრალიელებისათვის სრულიად უცნობი იყო ლითონის მოპოვება და დამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ლითონის საბადოებით არცთუ ისე ღარიბი იყო ეს კონტინენტი. ავსტრალიელები არ იცნობდნენ არც თიხის ნაწარმის დამზადებას. ანუ მეთუნეობას. კოლონიზაციამდე ავსტრალიელებში გავრცელებული იყო ქვის იარაღები, ამიტომაც უწოდებდნენ მათ ქვის ხანის ადამიანებს. ქვის იარაღებს შორის პირველი ადგილი ეკავა უნივერსალურ ქვის ცულს. ძირითადი როლს ასრულებდა ავსტრალიელთა ყოფაში ქვიდან თხელი და ფოთლისებური შუბის წვერების დამზადების ტექნიკა. ქვისავე იარაღებით, პირველ რიგში ქვის ცულით, ატყავებდნენ ავსტრალიელები ნანადირევს, აშზადებდნენ სანადირო იარაღებს, საოევზაო მოწყობილობას. ხის მარგილებს, ჭურჭელს, საცხოვრებელ ქოხებს, ქარსაფარებს, ნავებსა და სხვ.

ყველაზე დამახასიათებელი ავსტრალიელთა ყოფისათვის იარაღებიდან არის ბუმერანგი — თხელი, ნამგლისებური იარაღი, რომელსაც მაგარი ჯიშის ხის ძრუდე ტოტისაგან აშზადებდნენ. სპეციალურ ლიტერატურაში ბუმერანგი ავსტრალიელთა კულტურის ერთ-ერთ თვითმყოფად და ნიშანდობლივ ელემენტადაა მიჩნეული. მაგრამ ისტორიული, და ეთნოგრაფიული მონაცემები მოწმობს, რომ ბუმერანგი, ავსტრალიის გარდა, ცნობილი იყო ამერიკის ინდიელებში, ცენტრალური ინდოეთის ზოგიერთ დრავიდულ ტომში და სხვ. ბუმერანგს იცნობდნენ აგრეთვე, ეგვიპტის უძველესი მოსახლეობა და ძველი გერმანელები. მართალია, კულტურის ეს ელემენტი დედამიწის ყველა კონტინენტზეა მეტ-ნაკლებად დამოწმებული, მაგრამ იგი არსად არ ყოფილა ისე ფართოდ გავრცელებული, როგორც ავსტრალიაში.

ავსტრალიური ბუმერანგი ეთნოლოგების ხალხური გამოიგონებლობის შესანიშნავ ნიმუშად მიაჩნიათ. მას იყენებდნენ როგორც დასარტყმელ, ისე მოსაგერიებელ საშუალებად, მაგრამ თავისი ძირითადი დანიშნულებით ის მაინც სატყორცნი იარაღი იყო. ავსტრალიელი მონადირეების ბუმერანგის ტყორცნის მრავალფეროვან ხერხს იცნობდნენ, რაც მრავალსაუკუნოვან ჩვევებსა და ცოდნა-გამოცდილებაზე იყო დამყარებული. ტყორცნის რადიუსი დაახლოებით 100 მეტრამდე აღწევდა. ავსტრალიაში ცნობილია შუბუქი ბუმერანგის ისეთი სახეობა, რომელიც გატყორცნის შემდეგ თუ მიზანს აცდებოდა, ჰაერში მიმართულებას იცვლიდა და უკანვე პატრონს უბრუნდებოდა.

შეიარაღებული შეტაკებების დროს ავსტრალიაში სანადირო იარაღი საჭურველის ფუნქციას ასრულებდა. აქ ჯერ კიდევ არ იყო ერომანეიისაგან გამოყოფილი შრომის იარაღი და საჭურველი. ერთადეროი თავდასაცავი იარაღი ავსტრალიაში ხის ოვალური ფარი იყო.

მართალია, ავსტრალიელები არ იცნობდნენ ფეიქრობას, მაგრამ ქალები დაუფლებულნი იყვნენ ძაფისა და გრეხილის დამზადების ტექნიკას.

ავსტრალიელებში გავრცელებული იყო საცხოვრებლის სხვადასხვა ფორმა. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ხის ტოტებისაგან ნაგები საკმაოდ მყარი ქოხები, რომლებიც ხისავე ქერქით, ნეშოთი ან ბალახით იყო გადახურული. ამ ქოხებს ნახევარსფეროს, კონუსის ან მოგრძო ორფერდა ნაგებობის მოყვანილობა ჰქონდა. აღმოსავლეთ ავსტრალიაში ძველად საკმაოდ მოზრდილსა და გუმბათიან ქოხებსაც აშენებდნენ. თითოეულ ასეთ ქოხში 18 კაცამდე ცხოვრობდა. ჩრდილოეთ ოლქებში, სადაც ტროპიკული წვიმები იცოდა, ხიმინჯიანი სახლები იყო გავრცელებული.

დასახლებათა ტიპი ავსტრალიელებში საკვებით შეესაბამებოდა მოხეტიალე მონადირეთა საზოგადოების ცხოვრების წესს. ეს იყო არამყარი და არათანაბარი შედგენილობის „მოხეტიალე ბანაკი" (ურდო), რომელიც რამდენიმე ოჯახისაგან შედგებოდა და რამდენიმე ქოხსა და ქარსაფარს შეიცავდა. ბანაკი ერთ ადგილზე რამდენიმე დღეს იყო დაბინავებული, ვიდრე ამ გარემოში საკვები ბაზა კმაროდა და საჭმლის საძებრად ახალ ადგილზე არ გადაინაცვლებდა.

ცალკეულ მოგზაურთა ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ძველად ავსტრალიის ზოგიერთ ნაყოფიერ ადგილას აბორიგენები ხანგრძლივი ცხოვრებისათვის განკუთვნილ ქოხებში ცხოვრობდნენ და მყარ სოფლურ დასახლებას ქმნიდნენ. როგორც ჩანს, ავსტრალიაში მოხეტიალე ცხოვრებიდან ბინადარ დასახლებაზე გადასვლის პროცესი კოლონიზაციამ შეაჩერა, რის შედეგადაც ევროპელ იმიგრანტთა მიერ შევიწროვებული აბორიგენები კვლავ წინანდელ მოხეტიალე ცხოვრებას დაუბრუნდნენ.

ავსტრალიელები სრულებით არ იცნობდნენ სახმელეთო ტრანსპორტს. ადგილმონაცვლეობისას ისინი მუდამ ფეხით დადიოდნენ და მათ ქალებს მთელი ავლა-დიდება თან დაჰქონდათ თავზე დაწყობილი ან იღლიაში ამოჩრილი. მხოლოდ სანაპიროზე მცხოვრები ავსტრალიელები, და ისიც არა ყველგან, იყენებდნენ წყლის ტრანსპორტს — ნავებს და ტივებს. წყალზე ცურვის ყველაზე მარტივი საშუალება იყო ხის მორი. ასეთ მორზე ავსტრალიელი ჯდებოდა ან წვებოდა და ნიჩბის მოსმით წყლის ზედაპირზე დაცურავდა. ერთმანეთზე გადაბმული რამდენიმე ასეთი მორი უკვე მარტივ ტივს წარმოადგენდა. ზოგან ხის ქერქის რამდენიმე ფენიდან უფრო როულ ტივებსაც აგებდნენ. ასეთ ტივში 10 კაცამდე ეტეოდა. ხის ქერქიდანვე აშზადებდნენ ნავსაც, რომელშიც 8-10 კაცი ჯდებოდა. ზოგან ერთი მორიდან გამოთლილი, გულამოღებული ნავიც იყო ცნობილი, საერთოდ კი ავსტრალიელები, ოკეანეთის მოსახლეობისაგან განსხვავებით, არ ითვლებოდნენ კარგ მეზღვაურებად. ნავებს იყენებდნენ უმთავრესად მდინარეებსა და ტბებზე სათევზაოდ. ზღვაზე კი ნაპირიდან შორს წასვლას ერიდებოდნენ, ისინიც კი, ვისაც მელანეზიელებისაგან გადმოღებული იალქნიანი ნავები ჰქონდათ.

ევროპელთა მოსელამდე ავსტრალიელები ტანსაცმელს თითქმის სრულებით არ იცნობდნენ. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა აღმოსავლეთ ავსტრალიის ზოგი რაიონი, სადაც სიცივეში ოპოსუმის ტყავიდან შეკერილ წამოსასხამებს იცვამდნენ და ღამ-ღამობით საბნადაც ხმარობდნენ. ავსტრალიის დანარჩენ ოლქებში (და ისიც ყველგან არა) სიცივისაგან დაცვის მიზნით ტანს ქონით იპოხავდნენ. ავსტრალიის ტომების უმრავლესობა ძალიან დედიშობილა დადიოდა, ზოგიერთი ტომი კი მარტო თეძოს სარტყელს ატარებდა. ავსტრალიელებში ასეთი სარტყელის ტარება ორივე სქესისათვის მოწიფულობის — ქალისათვის საქორწინო ასაკის დადგომის, კაცისათვის კი სატომო საიდუმლოებისადმი ზიარების ნიშნად ითვლებოდა.

სამაგიეროდ, რამდენადაც მარტივი იყო ტანსაცმელი, იმდენად მრავალფეროვანი იყო მათი სამკაული — ნაირნაირი ყელსაბამი, თავსადებები, საცვეტრები და სხვა. სამკაულის დასამზადებლად იყენებდნენ მცენარეულ ბოჭკოს, გარეული ფრინველების ფოთლებს, ნიჟარებს, ცხოველთა კბილებს, ყბებისა და ა.შ. სამკაულებით მორთვა ყველაზე მეტად იცოდნენ ღღეობაზე, რომელსაც მათ ენაზე „კორობორი" ეწოდებოდა და აგრეთვე სხვა საწესო ჩვეულებების შესრულების დროს. ღღეობებში ფართოდ იყო გავრცელებული (ძირითადად მამაკაცებში) ტანის შელებვა და მისი ფერადი ღინღლით დაფარვა. აგრეთვე თავის შემკობა სხვადასხვა რთული თავსარქმელითა და კარაბინილობით, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ავსტრალიელები თმის ვარცხნილობაზე მაინცდამაინც თავს არ იწუხებდნენ, მამაკაცები გრძელ თმებს ატარებდნენ, ქალები კი თმას ქვის დანებით მოკლედ იკვეცავდნენ.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ა. ავსტრალიელთა საზოგადოებრივი წეს-წყობილების მეცნიერული შესწავლა ფაქტობრივად გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, როცა მეცნიერთა ერთმა ნაწილმა (ჰაიუტი, სპენსერი, გილენი) გამოიკვლია და დაწვრილებით აღწერა მათი სოციალური ორგანიზაცია, გაირკვა, რომ ავსტრალიელები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში პირველყოფილი თემური წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ. მათი საზოგადოების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა კოლექტიური საკუთრება წარმოების საშუალებებზე. მათთვის უცნობი იყო კერძო საკუთრება, ქონებრივი უთანაბრობა, კლასობრივი დიფერენციაცია, ექსპლუატაცია, სახელმწიფოებრივ მმართველობა. ავსტრალიელთა ეთნიკური ერთობის მთავარი ფორმა იყო ტომი, რაც საკმაოდ ეფექტიანად ეხმარებოდა მათი ეთნიკური კონსოლიდაციის დონეს.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ავსტრალიური ტომი უფრო ეთნიკური ერთობის ფორმა იყო, ვიდრე სოციალური ერთეული, მას ახასიათებდა: ერთიანი სატომო სახელწოდება, დიალექტი, გარკვეული ტერიტორია და სატომო წეს-ჩვეულებანი, მაგრამ ტომი ავსტრალიელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის არასოდეს არ გამოდიოდა, როგორც ერთიანი სოცი-

ალური კოლექტივი, ყოველდღიურ ცხოვრებაში ის დაყოფილი იყო ცალკეულ დამოუკიდებელ ლოკალურ ჯგუფებად, რაც ყველაზე მკაფიოდ ახალგაზრდობის ზიარების დღესასწაულების (ინიციაციების) დროს გამართულ სატომო თავყრილობისას გამოიხატებოდა.

კოლონიზაციამდე ავსტრალიაში 500-ზე მეტი სხვადასხვა ტომი ცხოვრობდა (მათი უმრავლესობა დღეს უკვე აღარ არსებობს), თითოეულ ამ ტომს ძველად საკუთარი სახელწოდება, დიალექტი, სატომო ტერიტორია და წეს-ჩვეულებები გააჩნდა. ამ ნიშნებით ცალკეული ტომები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში მეზობელი და მონათესავე ტომები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს ყოფაცხოვრებით, რომ მათ შორის ზღვრის დადება ჭირდა. ისინი ხშირად არა მარტო ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, არამედ ერთსა და იმავე წეს-ჩვეულებას ასრულებდნენ და ერთნაირ სახელწოდებასაც ატარებდნენ. ასეთ შემთხვევაში სპეციალისტებს ძალზე უძნელდებოდათ გაერკვიათ, ამგვარი ერთობა. ახლო მონათესავე ტომთა ჯგუფი იყო ერთი დიდი ტომი, რომელიც რამდენიმე ჯგუფისაგან შედგებოდა. ავსტრალიელთა ტომებისათვის არ იყო დამახასიათებელი ხალხმრავლობა. თითოეული ტომი 100-დან 2-3 ათასამდე კაცისაგან შედგებოდა. საშუალოდ კი ტომში რამდენიმე ასეული წევრი ითვლებოდა.

ტომობრივ დაყოფას ავსტრალიელთა ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ტომის ჩვეულების დამრღვევს სიკვდილით დასჯა ან ტომიდან გაძევება ეწერა. ტომიდან მოკვეთილიც სასიკვდილოდ იყო განწირული, რადგან თავისიანებისაგან გაძევებულს არც ერთი სხვა ტომი არ შეიფარებდა. ტომის წევრები არა მარტო მხარს უბამდნენ ერთიმეორეს, არამედ პასუხსაც აგებდნენ ერთმანეთზე. ტომი იყო არა მარტო სატომო ტერიტორიის უზენაესი მფლობელი და მისი დამცველი, არამედ ისეთი კოლექტივიც, რომელიც თავისი წევრების პირად ცხოვრებაში სრულუფლებიანად ერეოდა. მაგრამ ავსტრალიელთა სატომო წეს-წყობილება მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის ჯერ კიდევ არ იყო ისე განვითარებული და ორგანიზებული, როგორც ამერიკელ ინდიელებში. ავსტრალიელი ტომების უმრავლესობისათვის სრულიად უცნობი იყო ტომთა ბელადების, სატომო საბჭოების ან ტომთა მმართველობის სხვა ინსტიტუტები.

ავსტრალიელთა ტომები ჩვეულებრივად რამდენიმე ტერიტორიულ, ანუ ლოკალურ ჯგუფად იყოფოდა. იგი წარმოადგენდა ეროგვაროვან და მჭიდროდ შეკავშირებულ საწარმოო-სამეურნეო ერთეულს, რომელსაც უხუცესები ხელძღვანელობდნენ. უფროსი თაობის ასეთი „ხელისუფლება“ ემყარებოდა მათ ავტორიტეტს, გამოცდილებას, ტრადიციების ცოდნას, არსებითად ავსტრალიელთა ცხოვრებაში ლოკალურ ჯგუფს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ტომს, მაგრამ მათი ტომები მარტო ტერიტორიული, ანუ ლოკალური ჯგუფებისაგან როდი შედგებოდა. გარდა ლოკალური ჯგუ-

ფებისა, ანუ საწარმოო-სამეურნეო ერთეულებისა, თითოეული ავსტრალიური ტომი ჩვეულებრივ ისეთ ჯგუფებადაც იყოფოდა, როგორიცაა: ფრატრია, გვარი და სხვ. ამგვარი ჯგუფების მთავარი დანიშნულება საქორწინო ურთიერთობების მოწესრიგებით, საერთო-საზიარო წეს-ჩვეულებებისა და რელიგიური დღეობების შესრულებით გამოიხატებოდა.

ფრატრიებად (ბერძნ. ძმობა, ასე ეწოდებოდა არქაულ საზოგადოებრივ დანაყოფს ძველ საბერძნეთში) დაყოფა ძველად მთელ ავსტრალიაში იყო გავრცელებული და მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ეგზოგამია იყო. ეგზოგამიის დამრღვევი, ანუ ფრატრიის შიგნით შექორწინე, სიკვდილით ისჯებოდა. ფრატრიისადმი კუთვნილება ზოგ ტომში დედის ხაზით, ზოგან მამის ხაზით ითვლებოდა. ნათესაობის პირველი წესი (დედისეული ფილიაცია) გავრცელებული იყო სამხრეთ და აღმოსავლეთ ავსტრალიის ტომებში. ნათესაობის მეორე წესი (მამისეული ფილიაცია) კი მთელი კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებში. ფრატრიის მთავარი დანიშნულება საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგება იყო. თითოეულ ფრატრიას საკუთარი სახელწოდება გააჩნდა. ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებში შემავალ ფრატრიათა სახელები ერთმანეთს ემთხვეოდა (ეს სახელები ხშირად ცხოველებსა და ფრინველების აღნიშნავდა). ლ. მორგანის აზრით, ფრატრიისა და ეგზოგამიის თავდაპირველი დანიშნულება გულისხმობდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ ქორწინება უახლოეს ნათესავებს შორის.

ავსტრალიელთა გვარს ლიტერატურაში ხშირად არასწორად „ტოტემური ჯგუფი" ეწოდება (ეს სახელწოდება რელიგიურ მოძღვნტზე მიანიშნებდა, მაშინ, როცა გვარი სოციალური ერთეულია). გვარის წევრები სისხლით ნათესავებად ითვლებოდნენ და მათ შორის ქორწინება აკრძალული იყო. ზოგიერთ გვარში ნათესაობა დედის ხაზით, ზოგან კი მამის ხაზით გაღიღოდა. ყოველი ავსტრალიური ტომი 10-30 ეგზოგამიური გვარისაგან შედგებოდა, თითოეული მათგანი კი ამა თუ იმ ცხოველის სახელს ატარებდა. რადგანაც ავსტრალიელთა ტომები ფრატრიებად იყო დაყოფილი. გვარები ფაქტობრივად ფრატრიების ქვედანაყოფს წარმოადგენდნენ და რადგანაც ფრატრია ეგზოგამიური იყო, ამიტომ გვარიც, როგორც ფრატრიის ქვედანაყოფი, ეგზოგამიურად ითვლებოდა.

ავსტრალიელთა საქორწინო ურთიერთობები გენეტიკურად ჯგუფურ ქორწინებას უკავშირდებოდა, ქორწინების ეს არქაული ფორმა XIX საუკუნის ავსტრალიელთა ყოფაში მხოლოდ შორეული გადმონაშთის სახით იყო შემონახული. ასეთ გადმონაშთებად მიჩნეულია, როგორც თვით საქორწინო ურთიერთობის ცოცხალი სისტემა ავსტრალიაში, ისე ცოლების დროებითი გაცვლის ჩვეულება სატომო დღეობების დროს. ამავე რიგის მოვლენაა დიერისა და არაბანას ტომებში დამოწმებული „დამატებითი ცოლების" ყოლასთან დაკავშირებული ჩვეულებები — „პირაურუ" და „პირაუნგარა"

ავსტრალიაში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საყოველთაოდ იყო გაბატონებული წყვილად ქორწინება. ავსტრალიელის ოჯახის შემადგენლობაში ჩვეულებრივად შედიოდა ქმარი, ცოლი (ზოგჯერ ორი ცოლი) და შვილები. ასეთი ოჯახი ერთ ქოხში ცხოვრობდა. რამდენიმე ასეთი ოჯახი შეადგენდა უკვე ლოკალურ ჯგუფს, რომელიც თავისი გამოსაკვები ტერიტორიის ფარგლებში ადგილმონაცვლეობდა თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ მამაკაცის ნანადირევი, როგორც წესი, ლოკალური ჯგუფის ყველა წევრზე თანაბრად ნაწილდებოდა, ქალის მიერ შეგროვილი პროდუქტები მარტო ოჯახის წევრების — მას და მის ქმარ-შვილს ხმარდებოდა. თავისი ოჯახისათვის ქალი აშენებდა აგრეთვე ქოხს, ეზიდებოდა წყალს, ამზადებდა საჭმელს, უფრთხილდებოდა ცეცხლს, უვლიდა ბავშვებს. ადგილმონაცვლეობის დროს მთელი ოჯახის ბარგიც ქალს გადაჰქონდა.

ავსტრალიაში დამოწმებულია ცოლის შერთვის მრავალი წესი. ზოგან ვაჟისათვის საცოლის შერჩევა მთელ ლოკალურ ჯგუფს ეკითხებოდა. ყველაზე უფრო გავრცელებული იყო მშობლების მიერ მცირეწლოვანთა დაწინდვა; ზოგან ეს წესი საპატარძლოების გაცვლაზე იყო დამყარებული. იშვიათად, მაგრამ იყო შემთხვევა, როცა ქალ-ვაჟი თავისი სურვილითაც ქორწინდებოდა. ცნობილი იყო ქალის მოტაცებაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ საცოლე საქმროს იწუნებდა (ასეთ შემთხვევაში მომტაცებელს გარკვეული სასჯელი ელოდა). საერთოდ კი, ცოლ-ქმრობის არსებული ნორმების დაცვა ყველას სასტიკად ევალებოდა.

სამაგიეროდ ქორწილის ცერემონიალი ავსტრალიაში არ ატარებდა საზეიმო ხასიათს და მეტად მარტივი იყო. ჩვეულებრივად გასათხოვარი ქალის მშობლებს „პატარძალი" საქმროს ქოხში მიჰყავდათ და იქ ტოვებდნენ. ქორწინება მეტწილად პატრილოკალური იყო — ცოლი საცხოვრებლად ქმართან გადადიოდა (ადრე კი პირუკუ უნდა ყოფილიყო). ავსტრალიელებში ფართოდ იყო გავრცელებული ლევირატის წეს-ჩვეულება — ქვრივი ქალი თავის მაზლს უნდა მისთხოვებოდა. ეს ჩვეულება ავსტრალიაში ჯგუფობრივი ცოლქმრობის ნაშთს წარმოადგენდა და მოკლებული იყო იმ ეკონომიკურ საფუძველს, რომელიც ლევირატულ ქორწინებას კლასობრივ საზოგადოებაში (განსაკუთრებით კი წინა აზიის ხალხებში) ასულდგმულებდა (წინააზიის ხალხებში ქმრის ნათესაობა დაინტერესებული იყო ქვრივი ოჯახშივე დაეტოვებინათ, რადგანაც ურვადი ერთხელ უკვე გადახდილი ჰქონდათ).

ავსტრალიელთა საზოგადოებაში თითოეული მისი წევრის მდგომარეობა განისაზღვრებოდა ბუნებრივი დაყოფით — სქესისა და ასაკის მიხედვით. ავსტრალიელთა სოციალური წყობის ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე სწორედ სქეს-ასაკობრივი დაყოფით გამოიხატებოდა. თითოეული ტომი სამ ასაკობრივ ჯგუფად იყოფოდა (სრულწლოვან მამაკცთა ჯგუფი,

სრულწლოვან ქალთა ჯგუფი და ბავშვები; სრულწლოვან მამაკაცთა ჯგუფის უხუცესი თაობა ითვლებოდა ტომის კოლექტიურ ხელმძღვანელად). სქეს-ასაკობრივი დაჯგუფება ბუნებრივად იყო აღმოცენებული და ემყარებოდა საწარმოო სპეციალიზაციას — შრომის დანაწილებას ქალსა და მამაკაცს შორის; მამაკაცი მონადირე იყო, ქალი კი შემგროვებელი. ბავშვები და მოზარდები ქალებს ეხმარებოდნენ. სატომო საქმეების გადაწყვეტილებაში მოხუც თავკაცებთან ერთად ხანდაზმული ქალებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ისინი არა მარტო აქტიურად მონაწილეობდნენ სატომთაშორისო საქმიანობაში, არამედ ხშირად ტომთა შორის ამტყდარი დავისა და შუღლის შემთხვევებში „ელჩებისა" და „დამშვიდებლების" როლშიც კი გამოდიოდნენ.

ბავშვების ასაკობრივი ჯგუფიდან სრულწლოვან ქალთა და მამაკაცთა ჯგუფში გადასვლა ავსტრალიელებში მრავალი სავალდებულო ცეremონიის შესრულებასთან იყო დაკავშირებული. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია სპეციალური ასაკობრივი ინიციაციები. ეს ინიციაციები და ღღესასწაული ხანგრძლივი დროის განმავლობაში სრულდებოდა და მრავალ რიტუალ და სავალდებულო წეს-ჩვეულებას შეიცავდა. მათი მთავარი დანიშნულება ზრდადასრულებული ახალგაზრდა მონადირის შემოწმება-გამოცდა იყო. ამ საგამოცდო ციკლში შედიოდა: გამოსაცდელ ყმაწვილთა ხანგრძლივი იზოლაცია ქალებისა და ბავშვებისაგან და მამაკაცებთან და უხუცესებთან მათი დაახლოება, ნადირობის ხერხების დაუფლება, იარაღის ხმარებაში გაწვრთნა, შიმშილისა და ფიზიკური ტკივილის გრძნობის დაორგუნვა, სხეულასხეა აღკვეთის დაცვა, მძიმე განსაცდელის გადატანა, უფროსებისადმი უსიტყვო მორჩილება, საწესო ჩვეულებების განუხრელი შესრულება, უხუცესების მიერ სატომო მორალის, გადმოცემებისა და ჩვეულების განდობა და მათი სიდუმლოების დაცვა. ყმაწვილთა ფიზიკურ წვრთნაში დიდი ადგილი ეთმობოდა ისეთ მტკივნეულ პროცესებს, როგორიცაა კბილების ჩამტვრევა, ტანის დასერვა, თმების ამოგლეჯა, წინადაცვეთა ქვის დანით და სხვ. ეს ცერემონიები სრულდებოდა არა ცალ-ცალკე ტომში შემავალი ოჯახების ან ლოკალური ჯგუფების მიხედვით, არამედ მთელი ტომის მიერ. ასეთ ღღესასწაულებზე, განსაკუთრებით კი დასკვნით ინიციაციებზე, დიდი ხალხმრავლობა იყო. აქ თავს იყრიდნენ მთელი ტომისა და ზოგჯერ ძეზობელ ტომტა ლოკალური ჯგუფებიც. ასეთ თავყრილობაზე ხშირად ხდებოდა სატომო საკითხების განხილვაც.

რაც შეეხება ქალიშვილთა ინიციაციას, აქ მთავარი იყო შეეძლოთ მათ, თუ რამდენად იყვნენ მომზადებული ზრდადასრულებული გოგონები საოჯახო ცხოვრებისა და ბავშვების აღზრდისათვის, ინიციაციათა „კურსის" წარმატებით „ჩაბარების" შემდეგ ავსტრალიელი ქალიშვილები და ჭაბუკები ოლქმრობისა და ოჯახის შექმნის უფლებას იძენდნენ.

ავსტრალიელთა საზოგადოებრივი წყობა გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი „ბუნებრივად აღმოცენებული დემოკრატიის“ პრინციპზე იყო დაფუძნებული და მისთვის უცნობი იყო საზოგადოებისაგან გამოყოფილი რაიმე ხელისუფლება და იძულების ორგანოები. აქ ყველაფერი საუკუნეობრივი ადათითა და წეს-ჩვეულებებით წესრიგდებოდა. მათი დამცველების როლში მამაპაპური წეს-ჩვეულებების საუკეთესო მცოდნე ოავკაცობა — უხუცესები გამოდიოდნენ. სწორედ ეს უხუცესები იყვნენ აბორიგენთა საზოგადოებრივი ცხოვრების მესვეურები, რომელთა ზემოქმედება ტომის წევრებზე პირველ რიგში პირადი ავტორიტეტიტა და მორალური თვისებებით განისაზღვრებოდა. ზოგიერთი მათგანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა სხვა ტომებშიც. ასეთი იყო, მაგალითად. ერთ-ერთი ავსტრალიელი ტომის — დიერის მეთაური ჯალინა პირამურანა, რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა ავსტრალიელებში 1860-იან წლებში. მისი დიდი ავტორიტეტი, მაღალი მორალური თვისებები, გამჭრიახი გონება, დარბაისლური მანერები და დიპლომატიური ნიჭი აღტაცებას იწვევდა ავსტრალიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებში. მიუხედავად ამისა, ავსტრალიაში უცნობი იყო მმართველობის უფრო რთული ფორმები (ბელადების ინსტიტუტი, სატომო საბჭო, სახალხო კრება და სხვ.), რომლებიც გვაროვნული წყობილების უფრო განვითარებულ საფეხურზე მდგომ სხვა ეთნიკურ ეროეულებშია დამოწმებული. ავსტრალიაში ტომის თავკაცობას ეკისრებოდა არა მარტო ტომის წევრთა შორის ურთიერთობების მოწესრიგება, არამედ სატომთაშორისო საქმეების მოგვარებაც. მათ არ მოეპოვებოდათ სატომთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელი რაიმე ორგანო, ისევე როგორც ერთიანი სატომო მმართველობა. ტომში შემავალი ლოკალური ჯგუფები, როგორც წესი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ და თავიანთ საქმეებსაც თვითონვე აწესრიგებდნენ. მხოლოდ თითოეოლა ტომში და ისიც ჩანასახ მდგომარეობაში იყო დამოწმებული სატომო ორგანიზაციის ნიშნები. მიუხედავად ამისა, ავსტრალიელთ ტომებში და ტომთა შორის გარკვეული წესრიგი სუფევდა. ზოგიერთი ავტორი ცდილობდა, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს აბორიგენები ყველა არათვისტომს მტრად მიიჩნევდნენ და ტომთა შორის მუდმივი შუღლი და მტრობა იყო გაბატონებული. სინამდვილეში კი ავსტრალიელი ტომებისათვის დამახასიათებელი იყო არა მუდმივი შუღლი და ომიანობა, არამედ მშვიდობიანი ცხოვრება. უმეტეს შემთხვევაში მათ ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. მტრობისა და შუღლის შემთხვევაში მათ ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ. მტრობისა და შუღლის შემთხვევაში კი საომარ მოქმედებას იშვიათად მიმართავდნენ. საომარი კონფლიქტები მეტწილად გამოწვეული იყო მკვლელობით, ქალის მოტაცებით, სატომო ტერიტორიის ხელყოფით,

და, რაც მთავარია, ჯადოქრობაში ეჭვის შეტანით, მაგრამ ასეთი „ღონეები" დიდ სისხლისღვრამდე არასოდეს მიდიოდა. ჩვეულებრივ ერთი-ორი შეხლა-შემოხლით მთავრდებოდა, როგორც კი ორივე მხარეს თითო-ორორლა კაცი ან დაეჭრებოდა, ან დაელუოპებოდა, ამის შემდეგ მოქიშპეთა შორის მშვიდობიანი მოლაპარაკება იმართებოდა და ზავი იდებოდა. მოლაპარაკების დასრულების შემდეგ კი ზავის აღსანიშნავად გარკვეული ცერემონიები იმართებოდა. მეკობრეობა ან სხვა რაიმე მძარცველური ომი, რომელიც მოწინააღმდეგის მიწა-წყლის დაპყრობას, ტყვეების წამოყვანას ან ქონების დატაცებას ისახავდა მიზნად, ავსტრალიელთათვის უცნობი იყო.

ავსტრალიაში ტომთა შორის სამშვიდობო ურთიერთობების სხვადასხვა ფორმაა დამოწმებული, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბუნებრივი რესურსების საზიარო გამოყენება (ნადირობა, შეგროვება), საწესო დღეობებსა და ცერემონიებში მონაწილეობა, შერეული ქორწინება, გაცვლა-გამოცვლა, სტუმარმასპინძლობა და სხვ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ავსტრალიელი ტომებისა და ლოკალური ჯგუფების ურთიერთდაახლოებას, მათში მშვიდობიანი ურთიერთობისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. ავსტრალიის მკვიდრთა სულიერი კულტურა, საერთოდ, და, პირველ რიგში, რელიგიური წარმოდგენები სავსებით შეესაბამებოდა მათი ეკონომიკისა და საზოგადოებრივი წყობის არქაულ ფორმებს. ამიტომაცაა, რომ ადრეგვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რელიგიის შესასწავლად სპეციალისტები, პირველ ყოვლისა, ავსტრალიას მიმართავენ, სადაც თითქმის შეურყვნელად იყო დაცული რელიგიის თავდაპირველი უმარტივესი ფორმები. სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ ავსტრალიელთა რელიგია არა მარტო ირაციონალურად ასახავდა ფანტასტიკურ წარმოდგენათა იმ გასაოცარ სამყაროს, რომელიც მათმა წინაპრებმა საუკუნეთა განმავლობაში შეიმუშავეს ბუნებასთან ბრძოლის ძნიშვ პირობებში, არამედ აღსავსე იყო რთული და ხშირად დრამატიზებული საწესო ჩვევებითა და ცერემონიებით, მითოლოგიური და მაგიური სცენებით.

ავსტრალიელთა საზოგადოებრივ ურთიერთობასა და იდეოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა რელიგიის ერთ-ერთ თავდაპირველსა და უმარტივეს ფორმას — ტოტემიზმს. ტოტემიზმი არის წარმოდგენა იმისა, თითქოს ადამიანთა გარკვეული ჯგუფები ზებუნებრივ კავშირსა და ნათესაურ ურთიერთობებში იმყოფებიან ბუნების ობიექტებთან (მეტწილად ცხოველებსა და მცენარეებთან). რელიგიის ეს არქაული ფორმა, მართალია, შემორჩენილი იყო პირველყოფილი თემური წყობილების საფეხურზე მდგომ სხვა ხალხებში, მაგრამ სხვაგან არსად ხასიათდებოდა ისეთი ცხოველმყოფელობით, როგორც ავსტრალიაში. ამას კი რელიგიის და, საერთოდ, კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ ადრეგვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი რელიგიის ამ ერთ-ერთი საწყი-

სი ფორმის ამსახველი არქეოლოგიური მასალის მეცნიერული ახსნა პირველ რიგში ავსტრალიის ეთნოგრაფიული მონაცემებით მოხერხდა. ამან ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში კარგად ცნობილი თეზისი იმის შესახებ, რომ რელიგია გვაროვნული წყობილების ადრინდელ საფეხურზეა წარმოშობილი, ხოლო მთელი წინა პერიოდი, რომელიც გვაროვნულ წყობილებას წინ უსწრებდა საზოგადოების ისტორიაში, ურელიგიო იყო. სწორედ ამ ადრეგვაროვნული საზოგადოების გაჩენასთან ერთადაა აღმოცენებული ტოტემიზმი, როგორც მისთვის დამახასიათებელი იდეოლოგია. ავსტრალიელის წარმოდგენა გვარისა და ტოტემის იგივეობაზე საკვლევი შეესაბამება ჯერ კიდევ შორეულ წარსულში პირველყოფილი ადამიანის მიერ შემუშავებულ ბუნდოვან წარმოდგენას ადამიანის და ბუნების იგივეობასა და განუყოფელ ერთიანობაზე. პირველყოფილი საზოგადოების გარიჟრაჟზე, ადრეგვაროვნული წყობილების საფეხურზე მდგომმა ადამიანმა სისხლით ნათესაობა, რომელიც მას თავის გვართან რეალურად აკავშირებდა. ფანტასტიკურ წარმოდგენათა სფეროში გადაიტანა. მას სჯეროდა, რომ თვითონაც და მისი გვარის წევრებიც, ისევე, როგორე სხვა გვარებიც, ზებუნებრივ ნათესაობაში იმყოფებოდნენ ტოტემთან, ე.ი. რომელიმე ცხოველთან ან მცენარესთან და მისგან მომდინარეობდნენ. ჩანს, ამით აიხსნება ის, რომ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულ, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ მრავალ ხალხში გვარები და ფრატრიები ტოტემურ სახელებს ატარებენ. ცხადია, ასეთ შეხედულებებს საერთო არაფერი აქვს წინაპრის კულტთან, რომელიც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ჩნდება.

ავსტრალია ტოტემიზმის კლასიკურ ქვეყნად ითვლება ეთნოლოგიურ ლიტერატურაში. ტოტემიზმი ყველაზე ტიპური სახით სწორედ ავსტრალიაში იყო შემონახული.

როგორც აღინიშნა, თითოეული ავსტრალიური ტომი რამდენიმე, დაახლოებით 10-20-მდე გვარისა ან ტოტემური ჯგუფისაგან შედგებოდა. თითოეული ასეთი გვარი ერთ-ერთი ადგილობრივი ცხოველის, მცენარის ან რომელიმე საგნის სახელწოდებას ატარებდა. ეს ტოტემური სახელები მომდევნო თაობებზე დედის ან მამის ხაზით გადადიოდა. ტოტემიზმის მთავარი არსი სწორედ იმით გამოიხატებოდა, რომ თითოეული გვაროვნული ჯგუფი დარწმუნებული იყო, იგი ზებუნებრივ ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა სწორედ იმ ცხოველთან, რომლის სახელსაც მისი გვარი ატარებდა. ამიტომაც, ავსტრალიელისათვის ტოტემი „ღვთაება" კი არ იყო, არამედ „ახალი ნათესავი". ავსტრალიელი თავის ტოტემს თაყვანს კი არ სცემდა და მსხვერპლს კი არ სწირავდა, არამედ მას „უფროს ძმას", „მამას". „მეგობარს" და ა.შ. უწოდებდა. ვინაიდან ტოტემი ახლო ნათესავად ითვლებოდა. თავისთავად ცხადია, მისი მოკვლა და ჭამა ავსტრალიელს ეკრძალებოდა. სწორედ ასეთ

აკრძალვას ეწოდებოდა ტაბუაცია, რომლის დარღვევა ტოტემის წევრთა ტრადიციული გულისწყრომა და გაკიცხვა ელოდა, მაშინ როცა ეგზოგამიის დარღვევა უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა და ასეთი საქციელის ჩამდენს სიკვდილით სჯიდნენ.

განსაკუთრებული ცხოველმყოფელობითაა წარმოდგენილი ტოტემისტური შეხედულებები ავსტრალიელთა მითოლოგიაში. მათში ავსტრალიელთა „წინაპრები" ცხოველების ან ცხოველთა სახელის მატარებელ ფანტასტიკურ ადამიანებად არიან განსახიერებული. მითურ სცენებში ეს ფანტასტიკური არსებანი ცოცხალი ადამიანებივით იქცევიან — ნადირობენ, ცეკვავენ ან რაიმე საწესო ჩვევას ასრულებენ. მითების დასკვნით ნაწილში მოთხრობილია, ეს „წინაპრები" თუ როგორ ცხოვრობდნენ ქვეყნიერებაში. ხალხს ისინი სამუდამო ბინას იჩენენ, ან როგორ იცვლიან სახეს და გაქვავებულ არსებებად, ან მცენარეებად გადაიქცევიან.

კლასიკური ფორმით ტოტემისტური წარმოდგენები ავსტრალიაში უმეტესობა გვართან ან ტოტემისტურ ჯგუფთან იყო დაკავშირებული. უფრო ნაკლებად კი ფრატრიასთან, სქესთან ან ცალკე ინდივიდთან. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ავსტრალიური ფრატრიის თავდაპირველ ტოტემისტურ ხასიათზე მხოლოდ მისი სახელწოდება (ცხოველური ან მცენარეული) თუ მიუთითებს. რაც შეეხება ადამიანის სქესთან და ცალკე ინდივიდთან დაკავშირებულ ტოტემისტურ შეხედულებებს, მათ მაინცდამაინც ფართო გავრცელება არ ჰქონიათ აბორიგენებში. ზოგიერთ ტომში, საერთო ჯგუფური ტოტემის გარდა, თითოეულ მამაკაცსა და ქალს თავისი სქესის მფარველი ტოტემიც ჰყავდა. რომელსაც ქალები და მამაკაცებიც ისევე ეპყრობოდნენ, როგორც მახლობელ ნათესავს.

ტოტემიზმის ყველაზე უფრო გვიანდელ ფორმად მიჩნეულია ინდივიდუალური ტოტემი, რომელიც ფაქტობრივად აღარ შეესაბამება ტოტემიზმის კოლექტიურ ხასიათს. ინდივიდუალური ტოტემი ავსტრალიაში კიდევ უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ადამიანის სქესთან დაკავშირებული. ტოტემიზმის ამ ფორმის არსი იმის რწმენაა, რომ გჯუფური ტოტემის გარდა ცალკეულ პირებს, მეტწილად მამაკაცებს და ზოგან კი მხოლოდ ექიმბაშ-ჯადოქრებს, მფარველობდა პირადი, ინდივიდუალური ტოტემი. პირადი ტოტემი ავსტრალიელს ისეთივე მახლობელ ნათესავად მიაჩნდა, როგორც ჯგუფური ტოტემი და თავის თავს მასთან აიგივებდა კიდეც.

გარდა ტოტემიზმისა, ავსტრალიაში სხვა მარტივი რელიგიური წარმოდგენებიც იყო გავრცელებული. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ასაკის, მაგიურ-რელიგიური წესების შესრულება უშუალოდ იყო დაკავშირებული ინიციაციურ ტოტემისტურ ცერემონიებთან. ტოტემიზმის ძირითადი იდეა ადამიანისა და ტოტემიზმის ზებუნებრივ ნათესაობასა და კავშირ-ურთიერთობაზე კონკრეტულად გამოიხატებოდა იმის რწმენით, რომ ისინი მაგიურ ზემოქმედებას ახდენენ ერთიმეორეზე — ადამიანი ტოტემზე და ტოტემი ადამიანზე.

ავსტრალიაში მაგიურ-ტოტემისტური საწესო ჩვეულების ორი ძირითადი ნაირსახეობაა დამოწმებული: პირველი ტოტემის გამრავლებას ისახავდა მიზნად. მეორე კი მითოლოგიური სიუჟეტების ინსცენირებას. ტოტემის გამრავლებისადმი მიმართული მაგია ემყარებოდა რწმენას იმისას, რომ ადამიანს თავისი მოქმედებით შეეძლო გარკვეული ზეგავლენა მოეხდინა თავის ტოტემზე. ამდენადვე ტოტემისტური ჯგუფი ითვლებოდა ისეთ კოლექტიურ ძალად, რომლის ნება-სურვილსაც ემორჩილებოდა თვითონ ტოტემი და, რომელიც აიძულებდა ამ უკანასკნელს, გამრავლებულიყო. ტოტემის გამრავლებისაკენ მიმართულ ასეთ საწესო ჩვეულებს ავსტრალიაში ეწოდებოდა ინტიჩიუმა. ინტიჩიუმას ცერემონიალი ეწყობოდა ხოლმე წვიმების სეზონის დადგომის წინ და ემთხვეოდა ბუნების აღორძინების, ცხოველთა და მცენარეთა განაყოფიერების პერიოდს. ცალკეული ტოტემისტური ჯგუფები სწორედ ბუნების აღორძინების ამ პერიოდს უფარდებდნენ თავიანთ წმინდა საკრებულოებზე მაგიური ცერემონიების ჩატარებას (სისხლის რიტუალური დათხევა მიწაზე, გრძნეული საგალობლების შესრულება და სხვ.). მეორე რიგის მაგიურ-ტოტემისტური საწესო ჩვეულები, როგორც აღნიშნეთ, მითოლოგიური სიუჟეტების ინსცენირებას ისახავდა მიზნად. ამ მაგიურ-დრამატიზებულ აქტებს ავსტრალიელი ჭაბუკების ცხოვრებაში დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობით მნიშვნელობა ჰქონდა.

განსაკუთრებულ შიშს იწვევდა ავსტრალიელებში მტრული ჯადოქრული მოქმედება. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ავსტრალიელები თითქმის ყოველგვარ განსაცდელს, ავადმყოფობას, სტიქიურ უბედურებას, ტრავიკულ შემთხვევას, ახლობლის სიკვდილს და სხვ. მტრის ჯადოქრობას — შავ მაგიას ეიაწერდნენ. ავსტრალიელებს სჯეროდათ, რომ გარკვეული მოქმედებით მტერს შეეძლო შორი მანძილიდან მათი დაზიანება: საკმარისი იყო შეგუებული მსხვერპლის მიმართულებით ავის მოსურნეს წვერწამახული ჯოხი ან ძვალი დაედო და თან გრძნეული სიტყვები, ან წყეული წარმოეთქვა, რომ ჯადოქრობას „გაეჭრა“ და ადამიანი დაეზარალებინა. საკმარისი იყო, ცრუმორწმუნე ავსტრალიელი მის საზიანოდ მიმართულ მტრის ჯადოსნურ მოქმედებაში დარწმუნებულიყო, რომ თავზარდაცემული სულიერ მსნეობას კარგავდა, აპათიური ხდებოდა და ზოგჯერ სიცოცხლესაც კი ესალმებოდა.

ამიტომაც ავსტრალიელი შავ მაგიას იშვიათ შემტხვევაში თუ მიმართავდა. ასეთი საქციელი ავის განმზრახველს თვითონვე აყენებდა დიდი საფრთხის წინაშე — თუ ეჭვს მიიტანდნენ ან გაუგებდნენ, მოკლავდნენ კიდეც. ავსტრალიელებს არ ჰყოლიათ შავ მაგიაში დახელოვნებული საგანგებო მსნები. ასეთი მოქმედების შესრულება აუცილებლობის შემთხვევაში ყველას შეეძლო.

ავსტრალიაში ცნობილი იყო სატრფიალო მაგია, ტაროსის მაგია (წვიმის გამოწვევა), სამკურნალო მაგია და სხვ. სამკურნალო მაგიას მისდევდ-

ნენ უმთავრესად ამ საქმეში დახელოვნებული ექიმბაშები და ჯადოქრები. ისინი სპეციალურ მომზადებასა და წვრთნას გადიოდნენ და თავიანთ საქმიანობაში მაგიურ მანიპულაციებთან ერთად ხალხური მედიცინის პრაქტიკულ ცოდნასაც იშველიებდნენ. ხშირ შემთხვევაში ისინი წარმატებით იყენებდნენ სამკურნალო მცენარეებს, მასაჟს, სისხლის გამოშვებას და სხვ. თავისებურად მკურნალობდნენ ძვლების მოტეხილობას, ჭრილობებს, ხოლო ავადმყოფის ფსიქიკაზე მაგიური ძალით მოქმედებდნენ.

ტოტემიზმსა და მაგიასთან ერთად ავსტრალიაში ანიმისტური რწმენა-წარმოდგენებიც იყო ცნობილი, მაგრამ მათგან განსხვავებით, ფართოდ არ იყო გავრცელებული. ანიმიზმის საფუძველზე აღმოცენებული შამანიზმიც იქ მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაშია წარმოდგენილი. ჯადოქრებისაგან განსხვავებით, რომლებიც ავადმყოფებს მაგიური საშუალებებით „მკურნალობდნენ", შამანი სნეულებაზე „სულების" საშუალებით ახდენდა „ზემოქმედებას". მაგრამ ავსტრალიელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეხედულება ერთიანი, ჩამოყალიბებული შეხედულება სულებზე. სულები ძალიან კეთილი და ბოროტი ძალების სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. საერთოდ კი, ავსტრალიელთა ანიმისტურ წარმოდგენებში ბოროტი სულები მნიშვნელოვნად სჭარბობდნენ კეთილ სულებს; ბოროტი სულები ხშირად ერევოდნენ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ზიანი მოჰქონდათ მათთვის. ძალიან სჯეროდათ, რომ დიდი ძალის მქონე სულები ცაში ან სადღაც შორს ცხოვრობდნენ ადამიანებისაგან. სუსტი ძალის სულები კი მუდამ ადამიანის შორიახლოს იმყოფებიან. იმავე წარმოდგინებით, ავი სულები ძეტწილად ღამღამობით დაძრწიან, შემზარავი გარეგნობისა არიან და ნახევრად ადამიანებსა და ნახევრად ცხოველებს ჰგვანან. კეთილ სულებს კი გარეგნობაც კარგი აქვთ და ადამიანისათვის სიკეთე მოაქვთ.

ავსტრალიაში მიცვალებულის დაკრძალვის სხვადასხვა წესია დამოწმებული. აქ თითქმის ერთადაა წარმოდგენილი მიცვალებულის დაკრძალვის ყველა ის წესი, რომელიც ძველად სხვადასხვა ხალხში იყო გავრცელებული — ესაა: მიწაში დამარხვა, ჰაერზე „დასაფლავება", ენდოკანიბალიზმი (გვამის ჭამა), მეორეული დასაფლავება, მუმიფიკაცია (გვამის შებოლვით), კრემაცია, მიცვალებულის ნეშტის ბედის ანაბარა მიტოვება სიკვდილის ადგილზე და სხვ.

ავსტრალიის აბორიგენთა მითოლოგია საკმაოდ მდიდარია და ძრავალფეროვანი. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარტივ და ძეტწილად გულუბრყვილო გადმოცემებს ადამიანთა და ტოტემთა ნაოესობაზე. რომელთა შინაარსი წმინდა საიდუმლოებად ითვლებოდა. გარდა რელიგიური გადმოცემებისა, ფართოდ იყო გავრცელებული ავსტრალიელებში ძეთები ცეცხლის წარმოშობის შესახებ. მათში ყველაზე ჭარბად წარმოდგენილია „ცეცხლის მოტაცება", რომელიც კარგადაა ცნობილი მსოფლიოს ძრავალ

ხალხის მითოლოგიაში. არაერთი საინტერესო მითია შექმნილი სიკვდილის შესახებ, რომლებშიც სიკვდილი ჩვეულებრივად მთვარესთანაა გაიგივებული. ავსტრალიის ისეთ რაიონებში, სადაც ხშირია წყალდიდობა, დამოწმებულია მითები წარღვნის შესახებ. ავსტრალიელთა მითოლოგიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე ცისარტყელა — გველის მოტივი. ცისარტყელა მათ ადამიანის დაუძინებელი მტრის — ვეებერთელა გველის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი და დიდი შიშიც ჰქონდათ მისი. მათ მითოლოგიაში ჩანასახ მდგომარეობაში გვხვდება კოსმოგონიური მითებიც, რომლებშიც მზე ქალის სახით, მთვარე კი მამაკაცის სახითაა წარმოდგენილი.

ამრიგად, ავსტრალიელთა რელიგიურ წარმოდგენებსა და მითოლოგიაში ფანტასტიკურად იყო ასახული მათი სამეურნეო ყოფისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები: მონადირეთა და შემგროვებელთა ადრეგვაროვნული თემების ტოტემისტური იდეოლოგია, მაგია, ჯადოქრობა, ანიმიზმი და სხვ. აქ მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში ვხვდებით რელიგიის ისეთყოფადარებით რთულ ფორმებს, როგორიცაა: ინდივიდუალური ტოტემიზმი — ცალკეული პიროვნების მფარველი სულის კულტი, სატომო ღვთაება და სხვ. და, რომლებიც ზოგად ეთნოგრაფიაში გვაროვნული საზოგადოების რღვევის საფეხურზე მყოფი ხალხების რელიგიის შესწავლის შედეგადაა დამოწმებული. ავსტრალიელთა რელიგიაში ჯერ კიდევ არ იყო წარმოდგენილი ბუნებისა და წინაპრის კულტები, არც ამქვეყნიური ცხოვრებიდან გამოყოფილი ზებუნებრივი სამყარო — საიქიო და ა.შ. მაგრამ ავსტრალიელებს ჰქონდათ წარმოდგენა ისეთ უძველეს მითოლოგიურ პერიოდზე, როცა ქვეყანაზე ფანტასტიკური სასწაულები ხდებოდა, როცა ადამიანებს თავისუფლად შეეძლოთ ცაზე მოხვედრა, რომელიმე ცხოველად გადაქცევა და სხვ. მათი რელიგია გამსჭვალული იყო ტოტემისტური იდეებით, ტოტემთა ანთროპომორფიზმითა და ზოომორფიზმით, მაგიზმით. მათ რწმენა-წარმოდგენებში მაგიური შეხედულებები გაცილებით სჭარბობდა ანიმიზმს. ავსტრალიელი უფრო მეტად იყო თავდაჯერებული თავის მაგიურ შესაძლებლობაში, ვიდრე სულების მფარველი. ამიტომაც ავსტრალიელისათვის უცხო იყო ლოცვა, ვედრება, მსხვერპლის შეწირვა, ქურუმთა ინსტიტუტი, საკულტო ნაგებობანი, ღვთაებათა პანთეონი და სხვ. ყოველივე ამას, შესაბამისად ცვლიდა ჯადოსიტყვები, მაგიური ცერემონიები, ჯადოქრები, ექიმბაშები და სხვ.

ავსტრალიელტა ხალხური შემოქმედების დარგებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ფოლკლორი, რომელიც შეიცავს მრავალი სახის ზეპირ გადმოცემასა და რელიგიურ-მაგიურ წესებთან დაკავშირებულ მითოლოგიას, ამასთან ერთად, ყველა ტომს აქვს ხალხური სიტყვიერების ისეთი ნიმუშები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ რელიგიურ წარმოდგენებთან. ასეთებია, პირველ რიგში, ზღაპრები, რომლებიც

შინაარსით მითების ჰგვანან, მაგრამ ავსტრალიელი მკვეთრად ასხვავებს ერთმანეთისაგან მითსა და ზღაპარს; მათი სიუჟეტების პრიმიტიულობის მიუხედავად, ავსტრალიელს მითისა სჯერა, ზღაპრისა კი არა: პირველი მისთვის რწმენის ობიექტია, მეორე კი გასართობი.

მათ მუსიკალურ ფოლკლორში ჭარბობს რიტმული სიმღერები. ჩანასახოვანი ფორმით აქვთ მუსიკალური საკრავებიც (უმთავრესად დასარტყმელი). ავსტრალიელებში მუსიკა მეტწილად თან ახლავს ცეკვებს. ყველაზე პოპულარული ცეკვაა „კორობორი", რომელიც კოლექტიურად სრულდება. ეს ცეკვა უმთავრესად გამომსახველობით ხასიათს ატარებს, შეიცავს ნადირობას, საყოფაცხოვრებო და რელიგიური სცენების ქორეოგრაფიულ ციკლს და სრულდება ყველა დიდ სატომო თუ საგვარეულო თავყრილობაზე და რელიგიურ დღესასწაულზე.

ავსტრალიაში სახვითი ხელოვნება უფრო მეტად სოციალურ და რელიგიურ ფუნქციას ასრულებდა, ვიდრე ესთეტიკურს. სახვითი ხელოვნების თავისებური ფორმებია: სხეულის შემკობა შეხორცებული ნაჭდევებით, შრომის იარაღისა და საჭურველის, საყოფაცხოვრებო და საკულტო ნივთების მოჩუქურთმება, კლდისა და გამოქვაბულების მოხატვა და სხვ. ორნამენტისა და ნახატების შესრულებისას ავსტრალიელები სხვადასხვა ტექნიკას იყენებდნენ. ყველაზე გავრცელებული იყო: კვეთილობა, ამოწვა, ჟანგმიწით, თიხითა და ნახშირით მოხატვა და სხვ. სახვითი ხელოვნების ნიმუშებში, პრიმიტიულ რეალისტურ გამოსახულებებთან ერთად, ხშირად გვხვდება ტოტემისტურ იდეოლოგიასთან დაკავშირებული სიმბოლური მხატვრობაც (გეომეტრიული სახეები).

მეცნიერთა ნაწილი აზვიადებდა ავსტრალიელთა ჩამორჩენილობას და მათ წარმოგვიდგენდა ისეთ „უმეცარ ველურებად", რომლებიც თითქოს მოკლებულნი იყვნენ ლოგიკურ აზროვნებასა და ობიექტური სინამდვილის შემეცნების უნარს. სინამდვილეში კი ავსტრალიელებს დაგროვილი ქქონდათ რაციონალური ცოდნის გარკვეული მარაგი, რაც კონკრეტულად, პირველ რიგში, ბუნებრივ გარემოსთან შეგუების გასაოცარი უნარით გამოიხატებოდა. ავსტრალიელი სულ ადვილად ახერხებდა საჭმელ-სასმელის მოპოვებას და გზის გაკვლევას ისეთ უდაბურ გარემოშიც კი, სადაც ევროპელს შიმშილითა და წყურვილით დაღუპვა ელოდა, ისინი თავისი ძრავალსაუკუნოვანი ემპირიული გამოცდილების წყალობით შესანიშნავად იცნობდნენ თავისი ქვეყნის მცენარეთა და ცხოველთა სახეობებს. უფრო მეტიც, ავსტრალიელებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ შემუშავებული ალბინიანის ანატომიაზე, სამკურნალო მცენარეებზე, მკურნალობისას მრავალ რაციონალურ ხერხზე. ავსტრალიელები ბევრ შემთხვევაში წარმატებით არჩენდნენ გველის ნაკბენს, ძვლის მოტეხილობას, სხვადასხვა ჭრილობას და დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ თავიანთ მოხუცებსა და ავადმყოფებს.

მეორე თავი

ოკეანეთის ხალხები

§ 1. მელანეზიელები

ზ ო გ ა დ ი ც ნ ო ბ ე ბ ი — ოკეანეთის სამი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქიდან (მელანეზია, მიკრონეზია, პოლინეზია) მელანეზიას ყველაზე დიდი ფართობი უკავია. იგი მდებარეობს ოკეანეთის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში და შედგება მრავალი კუნძულისაგან, რომლებიც ნეგროიდებითაა დასახლებული. ამ ნიადაგზეა წარმოშობილი მისი სახელწოდებაც — მ ე ლ ა ნ ე ზ ი ა (სიტყვასიტყვით შავ კუნძულებს ნიშნავს — ბერძნულად „მ ე ლ ა ს“ შავი, „ნ ე ს ო ს“ — კუნძულები). მელანეზიის მთავარი კუნძულებია: ახალი გვინეა, ანუ ირიანი, ბისმარკის არქიპელაგი, სოლომონის კუნძულები, ახალი კალედონია, ფიჯის არქიპელაგი და სხვ. მელანეზიის კუნძულები ერთმანეთთან შედარებით ახლოსაა განლაგებული (მათ შორის მანძილი საშუალოდ 10 კილომეტრია).

XIX საუკუნის მესამე მეოთხედში მელანეზია, მიკრონეზია და პოლინეზია დანაწილებული იყო ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ოკეანეთის კოლონიზაციას მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება მოჰყვა შედეგად. XX საუკუნეში ორჯერ მოხდა ოკეანეთის კუნძულების გადანაწილება. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ყოფილი კოლონიები ოკეანეტში ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და იაპონიის ხელში გადავიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი იაპონიის ყოფილ სამფლობელოებს მიკრონეზიაში ამერიკის შეერთებული შტატები დაეპატრონა.

გ ე ო გ რ ა ფ ი ულ ი გ ა რ ე მ ო. მელანეზიის ბუნება მდიდარი და მრავალფეროვანია. მასში შემავალი კუნძულები ტროპიკულ სარტყელშია განლაგებული და ჰავაც იქ ცხელი და ტენიანია. კუნძულების მთიანი ზოლი გაუვალი ტროპიკული ტყითაა დაფარული. მეტწილ კუნძულებზე ჰავა საღია, მხოლოდ ახალ გვინეაზეა გავრცელებული ყვითელი ციებ-ცხელება. მცენარეებიდან ყველაზე გავრცელებულია ქოქოსის პალმა, რომელსაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ცხოველთა სამყარო მაინცდამაინც არაა მრავალფეროვანი. უმაღლესი ძუძუმწოვრები მეტად მცირეა: გარეული ღორის გარდა, ახალ გვინეაზე ბლომადაა წვრილი ჩანთოსანი ცხოველები, მწერები, მათ შორის ვეებერთელა პეპლები. მადნეული რესურსების მნიშვნელოვანი საბადოები მოიპოვება მელანეზიის ცალკეულ

რაიონებში — ახალ გვინეაზე (ოქრო, ქვანახშირი, სპილენძი, ვერცხლი, რკინა და სხვ.), ახალ კალედონიაზე (ქრომი, ნიკელი) და ფიჯის არქიპელაგზე (ოქრო).

მ კ ვ ი დ რ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა. მელანეზიის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს საწარმოო ძალების განვითარებას. ავსტრალიისაგან განსხვავებით, მელანეზიაში ჩამოყალიბდა თავისებური ტ რ ო პ ი კ უ ლ ი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, რომელიც ნაყოფის მოძიებაში მცენარეების კულტივირებას და ხელოვნურ რწყვას ემყარებოდა. ტროპიკულ მიწათმოქმედებასთან ერთად, განვითარებული იყო ნავმშენებლობა, ზღვაოსნობა, აღინიშნებოდა მეურნეობის ფორმების დიფერენციაცია და გაცვლა-გამოცვლა. ყოველივე ამის შედეგად პირველყოფილი თემური წყობილება მელანეზიაში ჯერ კიდევ ევროპელთა მოსვლამდე რღვევის სტადიაზე იმყოფებოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში ადრეკლასობრივი სახელმწიფოები ყალიბდებოდა.

მელანეზიელთა ეთნიკურ განვითარებას აბრკოლებდა ტოტემბრივ-გვაროკნული ურთიერთობა, კუნძულთა უმრავლესობაზე მოსახლეობა ცალკე გვაროვნულ და ტერიტორიულ თემებად ცხოვრობდა. სადაც საზოგადოება განვითარების შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა (ახალი კალედონია, ფიჯი), ტომზე უფრო დიდი ეთნიკური ერთობა აქაც არ ჩამოყალიბებულა. მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფიჯის ზოგიერთ კუნძულზე სატომთაშორისო ომების პროცესში შეიქმნა მსხვილი ტოტემბრივი კავშირები („მბაუს საუფო") და დაისახა მომავალ ერთიანებათა კონტურები.

ე თ ნ ო გ ე ნ ე ზ ი. მელანეზიელთა ეთნოგენეზის შესახებ მეცნიერებას ძუნწი მონაცემები მოეპოვება. XIX საუკუნის მიწურულში მელანეზიელთა ყოფაცხოვრებას საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა მისიონერმა რობერტ კორდინგტონმა. მან პირველმა გააცნო საზოგადოებრიობას მელანეზიელთა რელიგიური წარმოდგენა ბუნებრივ ძალაზე (მანა), რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა რელიგიის წარმოშობის „პრეანიმისტური" თეორიის ფორმირებაზე. მანვე შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი მელანეზიელთა ენების შესწავლაში. საინტერესო ეთნოგრაფიულ ცნობებს შეიცავს მისიონერ ჯორჯ ბრაუნის შრომა „მელანეზიელები და პოლინეზიელები" (1910 წ.). ოკეანეთის კუნძულებისა და მისი მოსახლეობის შესწავლაში გარკვეული როლი შეასრულა იმ სამეცნიერო ექსპედიციებმა, რომლებსაც XIX საუკუნის ბოლოდან აწყობდნენ გერმანიისა და ინგლისის სამეცნიერო უწყებები.

ეთნოლოგთა ინტერესი მელანეზიელებისადმი განსაკუთრებით გაიზარდა I მსოფლიო ომის წინა პერიოდში. 1906-1909 წლებში ბისმარკის არქიპელაგისა და ჩრდილოეთ სოლომონის კუნძულებზე მუშაობდა ცნობილი ეთნოლოგ-სოციოლოგი რიჰარდ ტურნვალდი, რომელიც სწავლობდა პირველყოფილ ჩვეულებით სამართალს, საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფას. 1908

წელს მელანეზიის კუნძულზე მუშაობდა რივერსი, რომელიც იკვლევდა ქორწინების ფორმებსა და ნათესაობის სისტემას.

მოპოვებული მასალის საფუძველზე რივერსმა 1914 წელს გამოაქვეყნა მელანეზიელთა საზოგადოების ისტორიისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი ნაშრომი. მელანეზიის სხვა მკვლევართა შორის აღსანიშნავია შვეიცარიელი სწავლულის — ფელიქს შპეიზერის მოგზაურობა (1910-1912 წწ.) სამხრეთ მელანეზიაში, აქ მან მოიპოვა ახალი ეთნოგრაფიული მასალა, შეავსო იგი ძველი ავტორების მონაცემებით და ახალი ჰებრიდისა და ბანკსის კუნძულების მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას კაპიტალური გამოკვლევა მიუძღვნა.

საინტერესო დაკვირვებები აქვს მოტანილი თავის წიგნში ცნობილ ინგლისელ ეთნოლოგს (წარმოშობით პოლონელს), ფუნქციონალური სკოლის მამამთავარს — ბრონისლავ მალინოვსკის, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ ეწვია ოკეანეთს. აქ იგი რამდენიმე თვეს მუშაობდა ტრობრიანის კუნძულებზე, სადაც შეისწავლა რიტუალური გაცვლის თავისებური სისტემა — „კულა", რომელიც უამრავ რწმენა-წარმოდგენასა და წეს-ჩვეულებასთან იყო დაკავშირებული. მისმა პუბლიკაციებმა ამ თემაზე დიდი დაინტერესება გამოიწვია მეცნიერთა წრეში.

მელანეზიის უდიდესი კუნძულის — ახალი გვინეის მკვიდრი მოსახლეობის წარმომავლობის საკითხი, ნ. მიკლუხო-მაკლაიდან მოყოლებული დღემდე, შეუნელებელ ინტერესს იწვევს მეცნიერებაში. მელანეზიის აბორიგენთა დიდ უმრავლესობას ანთროპოლოგები მიაკუთვნებენ მენალეზიურ რასას. იგი პირველად ანთროპოლოგიურ და ეთნოლოგიური ლიტერატურაში ნ. მიკლუხო-მაკლაიმ აღწერა. ამ რასისათვის დამახასიათებელი საერთო ფიზიკური ნიშნებია: შავი კანი, ხუჭუჭი თმები, განიერი ცხვირი, მსხვილი ტუჩები და გარკვეული პროგნატიზმი. ამ ეროგვაროვან მელანეზიურ რასაში ოთხ ანთროპოლოგიურ ტიპს გამოყოფენ, ესენია: პაპუასური, ნეგროტოსული, საკუთრივ მელანეზიური და ახალკალედონიური, ანუ აღმოსავლეთ მელანეზიური. ყველა ეს ადრინდელი კლასიფიკაციით ეკუთვნოდა ეკვატორული, ანუ ნეგროიდულ-ავსტრალოიდური, დიდი რასის ოკეანურ შტოს. ამჟამად კი, როდესაც სპეციალისტთა უმრავლესობა მეოთხე დიდ რასად ავსტრალოიდურს აღიარებს, მელანეზიელებიც თავიანთი ანთროპოლოგიური მონაცემებით სწორედ აქ შეიყვანეს. სპეციალისტებმა ამ ტიპების მთავარ განმასხვავებელ ნიშნად ხუჭუჭთმიანობის სიხშირეს მიიჩნევენ; საკუთრივ მელანეზიური და ახალკალედონიური ტიპებისაგან განსხვავებით პაპუასურ და ნეგროტოსულ ტიპებს ძლიერი ხუჭუჭთმიანობა ახასიათებთ.

მელანეზიელთა ეთნოგენეზის გარშემო წარმოშობილი დავისა და კონცეფციათა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთი სავსებით ნათელია — მელანეზიური რასის ოთხივე ტიპი გენეტიკურად უკავშირდება სამხრეთ აზიას, პირველ რიგში კი, ინდონეზიას, სადაც ალბათ, მოხდა მათი ფორმირება.

მელანეზიაში ორი სხვადასხვა ენობრივი ჯგუფია წარმოდგენილი — პაპუა და მელანეზიური. პაპუას ენებზე ლაპარაკობს ახალი გვინეის შიდა რაიონებისა და ზოგი სხვა კუნძულის მკვიდრი მოსახლეობა, მელანეზიურ ენებზე კი — ახალი გვინეის სანაპირო რაიონებისა და მელანეზიის მთელი არქიპელაგის აბორიგენების დიდი უმრავლესობა. თავის მხრივ, მელანეზიური ენები ერთიანდება პოლინეზიურ, მიკრონეზიურ და ინდონეზიურ ენებს და მასთან ერთად მალაიურ-პოლინეზიურ (ავსტრონეზიულ) ენათა ოჯახში შედის. მელანეზიური ენებისაგან განსხვავებით, პაპუას ენები იზოლირებულ ენებად ითვლება და მსოფლიოს არც ერთი სხვა ხალხის ენებს არ ენათესავება.

ვარაუდობენ, რომ მელანეზია თავდაპირველად პაპუასების წინაპრებით იყო დასახლებული და პაპუა ენებიც იქ უფრო გართოდ იყო გავრცელებული. იმავე ვარაუდით, პაპუასთან წინაპრები ახალ გვინეაზე ჯერ კიდევ 25-30 ათასი წლის წინათ უნდა იყვნენ მოსულნი ინდონეზიიდან, რომელსაც მაშინ კუნძული ახალი გვინეა ხმელეთით ყოფილა დაკავშირებული. მელანეზიელთა შემდგომ ეთნოგენეზში განსაკუთრებული როლი შეუსრულებია იმავე ინდონეზიიდან ახალი გვინეის გზით 5-6 ათასი წლის წინათ მოსულ ქვის ცულის კულტურის მქონე მოსახლეობას. ისინი ფართოდ განსახლებულან მელანეზიის კუნძულებზე ახალი კალედონიისა და ფიჯის ჩათვლით. ნაწილი კი პაპუასებს შერწყმიან. გარდა ამისა, ახალმოსულების მნიშვნელოვნად შეუვიწროვებიათ ახალი გვინეის სანაპირო რაიონები და სხვა კუნძულებზე მოსახლე პაპუასები, რომლებსაც ახალი გვინეის შიდა რაიონებში შეუფარებიათ თავი.

მიუხედავად იმისა, რომ მელანეზიისა და, საერთოდ, მთელი ოკეანეთის კუნძულების მოსახლეობა საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთისაგან დაშორებულად ცხოვრობდა, წყნარი ოკეანის აუზში გაფანტული მრავალრიცხოვანი კუნძულების მცხოვრებლებს ერთმანეთთან გარკვეული კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ, რაზეც მათი ენობრივი ნათესაობის გარდა, კულტურის მრავალი საერთო ფორმა მიუთითებს.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. კოლონიზაციამდე მელანეზიელთა და პაპუასთან სამეურნეო ცხოვრების მთავარი და საყოველთაოდ გავრცელებული ღარგი იყო ტ რ ო პ ი კ უ ლ ი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა; მისდევდნენ აგრეთვე მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა ს, შ ი ნ ა უ რ ი ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი ს მ ო შ ე ნ ე ბ ა ს ა და ნ ა დ ი რ ო ბ ა ს.

მელანეზიელები საკმაოდ დახელოვნებული მიწათმოქმედნი იყვნენ და გულმოდგინედ დამუშავებული მათი მამულები აოცებდა ევროპელებს. ისინი ტ რ ო პ ი კ უ ლ ი ტ ი პ ი ს მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს — ბოლქვოვან მცენარეთა (იამსი, ტარო) და ნაყოფის მომცემ მცენარეთ (ქოქოსის პალმა, პურის ხე, ბანანი და სხვ.) მოშენებას მისდევდნენ. ეს კულტურები მელანეზიის არქიპელაგში შემავალ კუნძულებზე ყველგან და

თანაბრად როდი იყო გავრცელებული — ცალკეულ კუნძულებზე რომელიმე მათგანი სჭარბობდა. თუმცა მელანეზიისათვის ფართოდ იყენებდნენ ხელოვნურ რწყვასა და ნარგავების ტერასულ სისტემას.

მელანეზიის რელიეფის დიდი ნაწილი ტროპიკული ტყეებით იყო დაფარული და ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების ათვისება აქ ტყის გაჩეხვასთან, ანუ ახლოს აღებასთან იყო დაკავშირებული. ტყეს მელანეზიაში კოლექტიურად ჩეხავდნენ. ტყეს ქვის ცულებით ჩეხავდნენ, დიდტანიან ხეებს ზეზეურად ახმობდნენ ძირების შეტრუსვით. მოჭრილ ტყესა და გაკაფულ ბუჩქნარს ცეცხლს უკიდებდნენ და წვავდნენ, ნაცრით ნიადაგს აპატივებდნენ. ახალაღებულ ახოს წნელით ღობავდნენ, ნიადაგს ქალები ხის მარგილებით თხრიდნენ, კაცები ხისავე ბარებით ფშვნიდნენ, თანაც ქვებისა და ფესვებისაგან წმენდნენ. ხეების დარგვასთან, მოვლასა და მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს მარტო ქალები ასრულებდნენ. ზოგიერთი კულტურის (ტარო) ნიადაგს სამხრეთ მელანეზიაში ხელოვნურად რწყავდნენ. სარწყავად აქ იყენებდნენ მთის წყლებს, რომელიც ქვით მოპირკეთებული სპეციალური არხებით მოედინებოდა მთის ფერდობზე ტერასულად განლაგებულ ნარგავებში. ტერასული მიწათმოქმედება განსაკუთრებით მაღალ დონეზე იდგა ახალ კალედონიაზე, სადაც ტერასები შორი მანძილიდან გამოყვანილი არხებით ირწყვებოდა (ზოგან ასეთი არხის სიგრძე 10 კილომეტრამდე აღწევდა).

ნაცრის გარდა მელანეზიელები სხვა სასუქებს არ იყენებდნენ, ამიტომ ნიადაგი მალე იფიტებოდა. ადრე ეროი და იგივე კულტურა ერთსა და იმავე ნაკვეთზე ორ წელიწადს ზედიზედ არ მოჰყავდათ. ახალაღებულ ახოს 1-2 წელიწადში მიატოვებდნენ. მაგრამ არც გამოფიტულ ნიადაგს ტოვებდნენ მთლად გამოუყენებლად. ასეთ მიწებზე რგავდნენ ბანანის ყლორტებს და 2-3 თვე საგულდაგულოდ უვლიდნენ. ზრდადასრულებული ბანანი 5-6 წლის განმავლობაში ყოველგვარი მოვლის გარეშე იძლეოდა მოსავალს (ზოგიერთი ჯიშის ბანანის აკიდო 60 კგ-მდე იწონის).

მელანეზიელთა კვების რაციონში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქოქოსის პალმასა და პურის ხეს, რომელიც წელიწადში ორ მოსავალს იძლეოდა. მელანეზიაში „რთველი" არ იყო დადგენილი წელიწადის დროის მიხედვით, ტროპიკული კლიმატის ზოლში მიწის დამუშავება და მოსავლის აღება მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მარტო ახალი გვინეის მთიანეთში აწყობდნენ ხოლმე „რთველს" შემოდგომით.

მელანეზიელთა სამეურნეო ყოფაში მიწათმოქმედების შემდეგ, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა ს, რომელსაც მარტო მამაკაცები მისდევდნენ. ზოგიერთ მცირემიწიან სანაპირო რაიონში მეთევზეობა მოსახლეობის არსებობის ერთადერთი საშუალება იყო. მეთევზეობის ტექნიკა მელანეზიაში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. აქ ცნობილი იყო თევზაობის

ყველა ხერხი: ანკესებით, ფაცრებით, გოდრებით, სხვადასხვა ბადით და ა.შ. ფართოდ იყო გავრცელებული ბარჯითა და შშვილდ-ისრით თევზაობა; იცოლნენ აგრეთვე, თევზის გაბრუება საწამლავით, ღამით თევზაობა ჩირაღდნებით. მელანეზიელები მისდევდნენ აგრეთვე ზღვის ცხოველებზე (ზვიგენი, კუ და სხვ.) ნადირობას.

ნადირის სიმცირის გამო, ხმელეთის ცხოველებზე ნ ა დ ი რ ო ბ ა ს მელანეზიაში არასოდეს ჰქონია სამეურნეო მნიშვნელობა. მელანეზიელების მთავარი სანადირო ობიექტი იყო ფრინველი, ზოგ დიდ კუნძულზე კი გარეული ღორი და ძაღლი. მიუხედავად ამისა, მელანეზიელებსა და პაპუასებს ჰქონდათ საკმაოდ დაწინაურებული სანადირო იარაღები (შშვილდ-ისარი, შუბი და სხვ.), ხოლო შახე-ხაფანგებს შედარებით უფრო იშვიათად იყენებდნენ.

ცეცხლის მოპოვების ყველაზე ძველი და გავრცელებული წესი მელანეზიაში იყო ცეცხლის მიღება ამოღარვით. რბილ ფიცარზე წვეტიანი ჯოხით გრძელ კვალს გაავლებდნენ. ფიცარზე წვეტის ძლიერი ხახუნით კვალში მხურვალე მტვერი გროვდებოდა, თანდათანობით ღვივდებოდა და ბოლოს აალდებოდა. გაღვივებულ ნახერხზე შშრალ ფიჩხს აწყობდნენ და ცეცხლი სწრაფად ჩაღდებოდა. ზოგან ცეცხლს „ბურღვის" წესითაც აჩენდნენ. რაც შეეხება ცეცხლის გაჩენას ხახუნის წესით, მას ახალი გვინეის გარდა არსად არ იყენებდნენ.

ნ ი ვ თ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. ევროპელთა მოსვლამდე მელანეზიელები ლითონის წარმოებას არ იცნობდნენ. აქა-იქ გამოყენებული ბრინჯაოს ცულები ინდონეზიიდან შემოპქონდათ ვაჭრებს, ადგილობრივი ტექნიკა მთლიანად ქვის, ძვლისა და ნიჟარების დამუშავებაზე იყო დამყარებული და დაახლოებით განვითარებული ნეოლითის ტექნიკის დონეს შეესაბამებოდა.

ქვის იარაღებს შორის მთავარი და ყველაზე გავრცელებული იყო ქ ვ ი ს ც უ ლ ი. ცულს საგულდაგულოდ აპრიალებდნენ და ხის ტარს უგებდნენ.

ამ მარტივი ცულით ამზადებდნენ აბორიგენები ხე-ტყეს, ხის სახლებს, ნავებს. ზოგიერთ კუნძულზე ქვის ცულების გარდა ამზადებდნენ ობსიდიანის დანებსა და შუბის წვერებს, ხოლო ნიჟარებისაგან — საფხეკებს, საჭრისებს, ბურღებს, სათევზაო ანკესებს, კოვზებსა და სამკაულებს. სამკაულების დასამზადებლად ნიჟარების გარდა ცხოველთა ძვლებსა და კბილებსაც იყენებდნენ.

ახალ გვინეასა და ფიჯის კუნძულებზე გავრცელებული იყო ო ი ხ ი ს ჭ ურ ჭ ლ ი ს დ ა მ ზ ა დ ე ბ ა. სამაგიეროდ, სრულიად უცნობი იყო მეთუნეობა ბისმარკის არქიპელაგზე, სანტა-კრუსისა და ახალი ჰებრიდის მეტწილ კუნძულებზე, ახალ კალედონიაზე. მელანეზიაში მეთუნეობას მარტო ქალები მისდევდნენ, ჭურჭელს ხელით ძერწავდნენ. მეთუნეობის ტექნიკა დაბალ დონეზე იდგა, კერამიკული მორგვი უცნობი იყო. მელანეზიელები დგამის გარდა ჭერჭელს მცენარეული მასალისგანაც აშზა-

დებდნენ. მათ ნახელავში კარგი ნაკეთობით გამოირჩევა ხის ჯამები, თეფშები, კოვზები, ბამბუკის ჭურჭელი და სხვ.

ქსოვა მელანეზიაში უცნობი იყო. სამაგიეროდ, იქ ფაროოდ იყო გავრცელებული ქეჩისმაგვარი სახიანი „ტაპა“, რომელსაც ლეღვის ან პურის ხის დაბეგვილ-დარბილებული ქერქისაგან წნეხდნენ და საფენად ან სამოსლად (თეძოს საფარებელი სარტყელი, წინსაფარი) იყენებდნენ. იმავე დროს მელანეზიის აბორიგენები კარგად იყენენ დახელოვნებული დაწვის ტექნიკაში, ბანანის, ქოქოსისა და სხვა მცენარეული ბოჭკოსაგან მელანეზიელი ქალები წნავდნენ შესანიშნავ კალათებს, ჩანთებს, ბადეებს, მხატვრულს ჭილოფებს, მარაოებსა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს.

ტომთა ხშირი შეხლა-შემოხლის გამო მელანეზიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბრძოლო იარაღს. ს ა ჭ უ რ ვ ლ ი ს სახეებიდან მელანეზიაში მეტ-ნაკლებად იყო გავრცელებული: კომბალი, შუბი, მშვილდ-ისარი, შურდული, ცული და ფარი. მძიმე და მხატვრული კომბლების დამზადების ხელოვნება იქ მაღალ დონეზე იყო აყვანილი. ასეთი კომბლებით იყენენ ხელდამშვენებულნი მამაკაცები საომარი ცეკვების შესრულების დროს. ხელჩართულ ბრძოლაში კომბალი ერთ-ეროი მთავარი იარაღი იყო, ამიტომაც იგი მელანეზიელებში გაცვლა-გამოცვლის ერთ-ერთი პოპულარული საგანი იყო. შორიახლო შეტაკების დროს მელანეზიელები შუბს ხელით სტყორცნიდნენ მტერს.

დ ა ს ა ლ ხ ე ბ ა და ს ა ც ხ ო ვ ე ბ ე ლ ი. მელანეზიელები ბინადარ ცხოვრებას მისდევდნენ. მათი მსუბუქი და უფანჯრო საცხოვრებელი ქოხები ფორმითა და კონსტრუქციით ერთი ტიპისა იყო. ასეთ სახლს ოთხკუთხა ან მომრგვალო ფორმა ჰქონდა და ზემოდან ორ სვეტზე დაყრდნობილი, ზოგჯერ მიწამდე დაშვებული ორფერდა სახურავით იყო გადახურული. ქოხს შესასვლელი ღიად ჰქონდა დატოვებული, ზოგან კი მას ჭილოფი ან პალმის ფოთლებისაგან მოწნული ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული; ქოხის ცენტრში კერა იყო მოწყობილი და შიგნით თითქმის ცარიელი იყო. მელანეზიელები მთელ დღეებს გარეთ ატარებდნენ და სახლში მარტო დასაძინებლად შედიოდნენ. სანაპირო რაიონებში ზოგან ხიმინჯიანი სახლების მშენებლობასაც მისდევდნენ.

ტიპური კონსტრუქციის მიუხედავად, მელანეზიაში საცხოვრებელი ნაგებობანი არა მარტო ცალკეული დეტალებით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, არამედ სოციალური ფუნქციებითაც. გარდა ჩვეულებრივი საცხოვრებელისა, თითოეულ სოფელში აშენებული იყო სოფლის კლუბისმაგვარი სასოფლო საზოგადოებრივი ნაგებობა — მ ა მ ა კ ა ც თ ა ს ა ხ ლ ი (ზოგან კი დედაკაცთა სახლიც). რიგით საცხოვრებელ სახლებთან შედარებით, მამაკაცთა სახლი არა თუ გაცილებით დიდი იყო, არამედ უფრო მყარიც და, რაც მთავარია, მდიდრულად მოჩუქურთმებული და ტრადიციული არქიტექტურული დეტალებით შემკული. მამაკაცთა სახლებში მელანეზიელებს დაცული ჰქონდათ სხვადასხვა საკულტო საგანი და სამკაული.

ევროპელთა მოსვლამდე სახმელეთო ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი მელანეზიაში უცნობი იყო, სამაგიეროდ, აქ ფართოდ იყო გავრცელებული წყლის ტრანსპორტი.

სანაპირო რაიონების მოსახლეობა ძველთაგანვე კარგად იყო დახელოვნებული ნავების მშენებლობასა და ნაოსნობაში. ნავს ჩვეულებრივი მოლიანი ხისაგან თლიდნენ, რომელსაც გვერდებზე წინასწორობის დასაცავად თითო ტივტივა მორს უმაგრებდნენ. საერთოდ, მელანეზიელები ერიდებოდნენ ღია ზღვაში შორს გასვლას. გარდა ფიჯის არქიპელაგის მოსახლეობისა, რომელსაც ნაოსნობის ტექნიკა, დანარჩენი აბორიგენებისაგან განსხვავებით, მაღალ დონეზე ჰქონდა განვითარებული. ფიჯის არქიპელაგზე უკვე არსებობდა ნავმშენებლების სპეციალური კასტა, ბელადისა და საკრებულოს ინსტიტუტებით. განსაკუთრებით განოქმული იყო ვეებერთელა ორმაგი ნავები.

ტროპიკული კლიმატის გამო მელანეზიაში ტ ა ნ ს ა ც მ ლ ი ს ძალიან ფორმები იყო გავრცელებული. მათ შორის მოკავარი იყო წელს ქვემოთ სამოსლის საწყისი სახეები — სარტყელი და თეძოს საფარებელი. ზოგან, განსაკუთრებით ჩრდილოეთი მელანეზიის ცალკეულ კუნძულებზე, აკდარში ქალები ატარებდნენ ფოთლებისაგან შეკერილ თავზე წამოსახურავ საწვიმარს. წელს ზემო სამოსელი მთელს მელანეზიაში უცნობი იყო. ზოგან არც შიშველი სიარული ითვლებოდა სათაკილოდ.

გაცილებით უფრო მდიდრული იყო მელანეზიელთა ს ა მ კ ა უ ლ ი. რომლებსაც უფრო მეტად მამაკაცები ეტანებოდნენ. განსაკუთრებით ღღესასწაულების დროს. მელანეზიაში სამკაულის სახით ჩვეულებრივი სარტყელების გარდა ფართოდ იყო გავრცელებული: ბამბუკის სავარცხლები, საცხვირეები, ყელსაბამები, სამაჯურები და სხვ. სამკაულების დასამზადებლად, მცენარეული მასალის გარდა, ფართოდ იყენებდნენ: ნიჟარებს, ცხოველთა კბილებს, ეშვებს, ფრინველთა ფრთებს, დაწნულ ზონრებსა და გრეხილებს. მელანეზიელებში არც სხეულის ტატუირება (მოხატვა) იყო გავრცელებული ისე ფართოდ, როგორც პოლინეზიაში; სამაგიეროდ, მელანეზიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ტანის „დამშვენება" შეხორცული ჭრილობების ნაჭდევით. მელანეზიელი მამაკაცები თმას არ უვლიდნენ. არც მათი მანდილოსნები ეტანებოდნენ როულ ვარცხნილობას — თმას მოკლედ იკრეჭდნენ. ესთეტიკური დანიშნულების გარდა, სამკაული მელანეზიაში სოციალურ ფუნქციასაც ასრულებდა. ზოგიერთი სამკაული პიროვნების საზოგადოებრივ მდგომარეობაზე მიუთითებდა.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ა. მელანეზიელთა საზოგადოებრივი წყობა კოლონიზაციამდე სხვადასხვა კუნძულზე სხვადასხვანაირი იყო. აბორიგენები ზოგან განვითარებული გვაროვნული წყობილების სტადიაზე, ხოლო ზოგან მის დაშლის საფეხურზე იმყოფებოდნენ. პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პროცესი განსაკუთრებით შორს იყო

წასული ახალი გვინეისა და ახალი კალედონიის კუნძულებზე, სადაც იმხანად უკვე ადრეკლასობრივი საზოგადოებები ყალიბდებოდა.

მელანეზიის დიდ კუნძულებზე მოსახლეობა, როგორც უკვე მივუთითეთ,, ტომებად იყო დაყოფილი, ხოლო პატარა კუნძულებზე — არა. მელანეზიის არქიპელაგის სამხრეთ ნაწილის მოსახლეობა სხვებთან შედარებით საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფებოდა. ტომები აქ სავსებით ჩამოყალიბებულ ეთნიკურსა და სოციალურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ხოლო ახალი კალედონიისა და ფიჯის კუნძულებზე ტომობრივმა წყობამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ახალ კალედონიაზე 40-50 აბორიგენი ტომი ცხოვრობდა. თითოეულ ტომს გააჩნდა საკუთარი სახელწოდება. დიალექტი, სატომო ტერიტორია, წეს-ჩვეულებები და ბელადის ინსტიტუტი. ეს ტომები ერთმანეთთან მეტწილად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, თუმცა იყო შეტაკებათა შემთხვევებიც. ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ტომთა შორის თუმცა სუსტად იყო განვითარებული. მაინც, შერეულ ქორწინებასთან ერთად, გაცვლა-გამოცვლას სისტემატური ხასიათი ჰქონდა.

ტომის დანაყოფი ჯგუფები მელანეზიაში სხვადასხვა ფორმით იყო წარმოდგენილი, მათი უმრავლესობა სისხლით ნათესაურ კავშირზე იყო დამყარებული. ასეთები იყო ფრატრია, დედისეული და მამისეული გვარები. ამასთან ერთად, არსებობდა უფრო გვიანდელი ფორმაც — ტერიტორიულ კავშირზე დამყარებული სასოფლო თემი. რაც შეეხება მამისეულ გვარს, ეს ინსტიტუტი მაინცდამაინც არ იყო დამახასიათებელი მელანეზიისათვის, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (ახალი კალედონია, ფიჯი, ჰიბრიდის კუნძულები, ნაწილობრივ — ახალი გვინეა). თუმცა სასოფლო თემი, როგორც სოციალური ერთეული, საყოველთაოდ იყო გავრცელებული მელანეზიაში, მისი ფუნქციები ჩვეულებრივად მაინც გვაროვნული თემის ფუნქციებთან იყო გადაჯაჭვული.

მელანეზიელთა საზოგადოების უმცირესი სოციალური ერთეული იყო წყვილადი ო ჯ ა ხ ი, რომელიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა საწარმოო-ეკონომიკურ ერთეულს. როგორც წესი, აქ ოჯახური კავშირი პირველობას გვაროვნულ კავშირს უთმობდა. მიუხედავად ამისა, ოჯახის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკმაოდ თვალსაჩინო იყო — მონათესავე ოჯახები სათემო საკრებულოზე თავიანთ ინტერესებს მტკიცედ იცავდნენ. სოფელში ზოგჯერ ასეთი ოჯახები ცალ-ცალკე უბნებად ცხოვრობდნენ, რაც კიდევ უფრო აჩქარებდა გვაროვნული თემების დაშლას.

მელანეზიაში ქორწინების შემდეგ ქალი საცხოვრებლად ქმრის ოჯახში გადადიოდა (პატრილოკალური ქორწინება), თუმცა არც პირუკუ შემთხვევები (მატრილოკალური ქორწინება) იყო გამორიცხული. მელანეზიელებში საქორწინო გარიგება მთელი თემის საქმედ იყო მიჩნეული: გასათხოვარი

ქალის ნათესაობა საქმროსაგან დიდ გამოსასყიდს იღებდა და ძმისი გადახდა სასიძოს თავისი ნათესაობის — თემის დახმარების გარეშე არ შეეძლო. ქორწინების მთავარი მომენტები იყო: შუამავლობა, გამოსასყიდის მიტანა და პატარძლის მიყვანა საქმროსთან. საქორწინო გარიგებაში ინიციატივა ხშირად სასიძოს ნათესავებს, ძეტწილად ბიძას ეკუთვნოდა, ზოგიერთ ტომში — თვით გასათხოვარ ქალებს. გავრცელებული იყო, აგრეთვე, შეფარულოვანთა დაწინდვა, ხოლო ქალის მოტაცება თითქმის უცნობი იყო.

მ ა მ ა კ ა ც თ ა ს ა ხ ლ ე ბ შ ი ყმაწვილები გადიოდნენ საკალდებულო ფიზიკური წვრთნისა და განდობის რთული რიტუალების ხანგრძლივ კურსს, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ თემის სრულწლოვან წევრებად ითვლებოდნენ.

გაცვლა-გამოცვლა მელანეზიელებში ძველთაგანვე იყო დამკვიდრებული. გაცვლის ყველაზე მარტივი ფორმა იყო პროდუქტების უშუალო გაცვლა (მაგალითად, თევზეულის გაცვლა მიწათმოქმედების პროდუქტებზე). მაგრამ გაცვლა-გამოცვლაში ჩაბმულ ტომებში თანდათანობით ღრმავდებოდა წარმოების სპეციალიზაცია, ცალკეულ ტომებს გასაცვლელად გამოეჭერნდათ, უპირატესად, პირველი მოთხოვნილების საგნები: თევზეული, ხის ტურფელი, სამკაულები, მიწათმოქმედების პროდუქტები, გაცვლა-გამოცვლა ხდებოდა როგორც თითოეული კუნძულების შიდა რაიონებს, შორის, ისე კუნძულების შორის.

ზოგან წარმოების სპეციალიზაცია ძალზე შორს იყო წასული. მაგალითად, მასიმი არქიპელაგზე ამფლეტის კუნძულებს ეკუთვნოდა თიხის ჭურჭლების წარმოებისა და რელიზაციის მონოპოლია. არსებობდა ტრადიციული საალებმიცემო ცენტრები, სადაც თავს იყრიდა აუარებელი ხალხი. ეს იყო განვითარებული თემთაშორისი გაცვლა-გამოცვლა, რომელიც დამყარებული იყო შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე — მელანეზიის ცალკეულ რაიონებში ბუნებრივ-საწარმოო პირობების შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეურნეო სპეციალიზაციაზე. ზოგან გაცვლა-გამოცვლა ისე განვითარდა, რომ გაცვლის ცალკეულმა ობიექტებმა ფულის ფუნქციაც შეიძინეს. მაგალითად, ახალი ჰებრიდი კუნძულზე ფულის ფუნქციას ასრულებდა ჭილოფი, ცხოველთა კბილები, დიდი სამაჯურები და სხვ.

მელანეზიელებში ჩანასახოვანი ფორმით პ ა ტ რ ი ა რ ქ ა ლ უ რ ი მ ო ნ ო ბ ა ც იყო ცნობილი. მონობის მთავარი წყარო იყო საომარი ტყვეები. მაგრამ მონების ეკონომიკურ ექსპლოატაციას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. ზოგან (მაგალითად, ახალ კალედონიაზე) მონები საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენას, ზოგან (ფიჯის კუნძულებზე) ტომთა ბელადების სრულ კუთვნილებას შეადგენდნენ (ზოგ ბელადს 2000-ზე მონა ჰყავდა). ასეთი მონები მეტად უუფლებონი იყვნენ. თუმცა მონების საერთო სამუშაოებით მაინცდამაინც არ ტვირთავდნენ, სამაგიეროდ, მსხვერპ-

ლად წირავდნენ; ბელადის სიკვდილის შემთხვევაში ათეულობით მონას სოცავდნენ და ბელადის ცხედარს საფლავში თან ატანდნენ.

მელანეზიაში საყოველთაოდ იყო გავრცელებული თემის ბ ე ლ ა დ - ო ა დ ა წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ო ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი. ბელადი ხშირად გვარის უხუცესი ან სოფლის თემის თავკაცი იყო. უფრო დიდი ბელადები ვრცელ ტერიტორიებს განაგებდნენ და მეტი უფლებებითყყვნენ არჭურვილნი. ზოგ რაიონში საერთო სამეურნეო სამუშაოების ორგანიზაციას ბელადები მეთაურობდნენ.

ბელადების ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ფუნქციებიც მეტად შეზღუდული და არსებითად უმნიშვნელო იყო. ბელადები ყველგან როდი იყვნენ მხედართმთავრები. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, ბელადებს სამხედრო საქმესთან არაფერი ჰქონდათ საერთო. მხოლოდ იმ კუნძულებზე დაწინაურდნენ სამხედრო ბელადები, სადაც საომარი ბელადები საკმაოდ ხშირი იყო.

სამხედრო ბელადები თავიანთი ლაშქრით მეკობრულ თავდასხმების აწყობდნენ მეზობელ ტომებზე და ხშირად დიდი ნადავლით ბრუნდებოდნენ. ზოგიერთი ასეთი ბელადი ფართო დამპყრობელურ ომებსაც ეწეოდა და ვეებერთელა ოლქების იმორჩილებდა. ბელადის სამხედრო ხელისუფლების საყრდენი ძალა მის ამალაში შემავალი მსახურებისა და სამხედრო მცველებისაგან შემდგარი მეკობრული რაზმი იყო. ცხადია, ასეთ ვითარებაში ბელადს თავისი ლაშქრის წევრებთან უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე მეთემეებთან. ბელადთან დაახლოებული ასეთი „ამალა“ უკვე თემიდან გამოყოფილი ახალი სოციალური ძალა — არისტოკრატიის ჩანასახი იყო. ეს იმის მომასწავებელი გახდლათ, რომ ბელადი სოციალურად სულ უფრო მეტად ეთიშებოდა თავის მეთემეებს და მათ შორის უფსკრულიც თანდათან ღრმავდებოდა. ბელადთა ინსტიტუტი მემკვიდრეობით ფორმას იღებდა. ხოლო დიდ და მცირე ბელადთა შორის ურთიერთობა იერარქიული იყო.

ასეთი სოციალური ვითარება ყველაზე მძაფრად ახალი კალედონიისა და ფიჯის კუნძულებზე ჩამოყალიბდა. მემკვიდრეობით გარდამავალი ბელადის ხელისუფლება ახალ კალედონიაზე შეუზღუდველი და დესპოტური იყო. ბელადი თემიდან გამოყოფილ დიდკაცობასთან ერთად სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა მოსახლეობის დანარჩენ მასას. ფიჯის კუნძულზე ბელადი განაგებდა თვით აბორიგენთა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, ქვეშევრდომები ბელადს უზენაესი ღვთაების მიწიერ განსახიერებად მიიჩნევდნენ, მას ჰქონდა განსაკუთრებული ტაბუს უფლება — ყველაფერი ის, რასაც ბელადის ხელი შეეხებოდა, სხვებისათვის სასტიკად იკრძალებოდა. იგივე ტაბუ ბელადის გამდიდრების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა.

ბელადის სამხედრო ხელისუფლება მელანეზიაში ხშირად მამაკაცთა საზოგადოებებს, ე.წ. „მ ა მ ა კ ა ც თ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ს“ ემყარებოდა. მამაკაცთა კავშირი წარმოადგენდა მამაკაცთა თავისებურ გაერთიანე-

ბას, რომელიც რანგებად იყო დაყოფილი. მამაკაცთა კავშირში შემსვლელს საკმაოდ დიდი „თანხა“ უნდა გადაეხადა. საწევრო შესატანის რაოდენობა რანგის მიხედვით მატულობდა. მამაკაცთა კავშირის წევრები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და, რაც უფრო მაღალ რანგს ეკუთვნოდნენ, მით უფრო მეტი გავლენით სარგებლობდნენ საზოგადოებაში.

ზოგიერთი რაიონის გარდა, ასეთი კავშირები მთელს მელანეზიაში იყო გავრცელებული; სპეციალურ ლიტერატურაში ზოგიეთი მათგანი საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი. ისინი მელანეზიაში სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი. ბისმარკის არქიპელაგზე — „დ უ კ - დ უ კ ი“ და „ი ნ - გ ი ე ტ ი“, ბანკსის კუნძულებზე — „ს უ კ ვ ე“ და „ტ ა ბ ა ტ უ“, ჩრდილო ჰებრიდის კუნძულებზე — „ს უ კ ვ ე“, ანუ „მ ა კ ი“ და სხვ. ამათგან ინგიეტი წარმოადგენდა მამაკაცთა ნახევრად საიდუმლო კავშირების, თითოეული მათგანის სათავეში მდიდარი და გავლენიანი კაცი იდგა; ის სასარგებლოდ კავშირში შესვლის მსურველს საკმაოდ დიდი შესატანი უნდა გადაეხადა. ინგიეტის კავშირი თავის საიდუმლო კრებაზე იკრებდა ჯადოქრობის ამა თუ იმ სახეობას და მისი საიდუმლოება მარტო ამ კავშირის წევრებმა იცოდნენ.

ყველა ცრუმორწმუნე მელანეზიელს შიშის ზარს სცემდა ჯ ა დ ო ქ - რ ო ბ ა, განსაკუთრებით ისეთი, რომლის საიდუმლოებაც მას განდობილი არ ჰქონდა. ჯადოქრობასთან ერთად, ასეთი ფარული საზოგადოების წევრები მოსახლეობის დასაშინებლად და დასამორჩილებლად ტერორის უფრო ქმედით საშუალებებსაც მიმართავდნენ. მათ შორის ყველაზე აზაკკრული იყო ამა თუ იმ პიროვნების ფარული გასამართლება, სიკვდილის განაჩენის გამოტანა და მისი სისრულეში მოყვანა საწამლავის გამოყენებით.

ინგიეტთან შედარებით უფრო ნაკლებ საიდუმლო ხასიათს ატარებდა „დუკ-დუკი“. მამაკაცთა ამ კავშირში წევრად მიღება, შესასვლელი ვადასახადის გარდა, შემსვლელისათვის ითვალისწინებდა რთული ცერემონიების შესრულებას, მათ შორის მის ხანგრძლივ იზოლაციას. „დუკ-დუკის“ წევრი შეიძლება გამხდარიყო როგორც სრულწლოვანი მამაკაცი, ისე არასრულწლოვანიც. „დუკ-დუკის“ ხელმძღვანელის თანამდებობა მემკვიდრეობითი იყო. მას დიდი გავლენა ჰქონდა კავშირის წევრებზე და მთელ მოსახლეობაში შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდა. „დუკ-დუკის“ ძირითადი საქმიანობა გარკვეული საწესო ცერემონიების შესრულება იყო. ამ რიტუალების მონაწილეები უცნაურად იკაზმებოდნენ — ტანის ფოთლებისაგან დამზადებული წამოსასხამებით იმოსავდნენ, ხოლო თავს მაღალი და ფანტასტიკური გამოსახულებების ნიღბებით იმკობდნენ და ტრადიციულ ცეკვებს ასრულებდნენ. ასეთ ცეკვებში „დუკ-დუკის“ წევრები ასახიერებდნენ თავიანთ წინაპართა სულებსა და მოჩვენებებს. ეს საწესო ცერემონიები წლის გარკვეულ პერიოდში სრულდებოდა და 1-2 თვეს გრძელდებოდა. „დუკ-

დუკის" წევრები თავს იყრიდნენ თავიანთ საკულტო ადგილებში, სადაც გარეშე პირების დასწრება ჯარიმის მუქარით სასტიკად იკრძალებოდა. ამ საკრებულოებზე „დუკ-დუკის" წევრები ასრულებდნენ სხვადასხვა წესჩვეულებას, საწესო ცეკვას და ახალი წევრების მიღების ცერემონიებს; სარიტუალო წამოსასხამებსა და ფანტასტიკურ ნიღბებში გამოწყობილი „დუკ-დუკის" წევრები დროდადრო ჯგუფ-ჯგუფად ესტუმრებოდნენ ხოლმე თავიანთ სოფლებს. ასეთი „სტუმრობის" ძირითადი მიზანი იყო მთელი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, დაშინება და მათგან ფულისა და „ძვირფასი" ნივთების გამოძალვა. „დუკ-დუკის" საწესო ცერემონიების დასკვნით ნაწილში მონაწილეთა ნიღბები ნადგურდებოდა, „დუკ-დუკი" კი „კვდებოდა", მაგრამ საშუალოდ არა, არამედ მხოლოდ მომავალ წლამდე, როცა იგი ხელახლა „იბადებოდა".

ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. მელანეზიელთა სულიერი კულტურა ავსტრალიელებთან შედარებით სავსებით შეესაბამებოდა მათი ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების უფრო დაწინაურებულ ფორმებს. მათ რელიგიურ შეხედულებებში წარმოდგენილი იყო ისეთი მონაცემები, რომლებიც გარკვევით მიუთითებდნენ იმაზე, თუ როგორ გადაიქცა მელანეზიელთა გვაროვნულ-თემური რელიგია ადრეკლასობრივი საზოგადოების რელიგიად. მათ რწმენა-წარმოდგენებში ასახულია როგორც უძველესი ტოტემისტური გადმონაშთები და გვარონეული კულტები, ისე ბელადის კულტი, რომელიც კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

მართალია, მელანეზიაში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ქურუმთა კასტა, მაგრამ აქ უკვე არსებობდა მსახურთა იერარქია, რომელშიც შედიოდნენ ექიმბაშები, მკითხავები, შავი ჯადოქრები, საკულტო ადგილების მფარველები, შამანები და სხვ. ზოგან განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ჯადოქარ ქალებს; ტრობრიანის კუნძულზე დამოწმებულია ჯადოქრების, მკითხავებისა და ექიმბაშების რამდენიმე კატეგორია, რომლებიც მემკვიდრეობით გადადიოდა დედის ძმის ხაზით. ზოგან ბელადის სამსახურში იმყოფებოდა საგანგებო ჯალათი — ჯადოქარი, რომელსაც სისრულეში მოჰყავდა სიკვდილის განაჩენი.

მელანეზიის სხვა კუნძულზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ შამანები, სოლომონის კუნძულებზე კი — პრიმიტიული ქურუმები.

ქურუმობის ინსტიტუტის შედარებით უფრო განვითარებული ფორმა არსებობდა ახალ კალედონიაზე, სადაც ჯადოქარ-ქურუმების (ტაკატე) პროფესია მემკვიდრეობითი იყო, ფიჯის კუნძულებზე დიდ როლს ასრულებდნენ ბელადთა ამალაში შემავალი ქურუმები (მბეტე); ქურუმები ეხმარებოდნენ ბელადს მოსახლეობის დამორჩილებაში, ისინი აუწყებდნენ მოსახლეობას „ღვთაებათა ნება-სურვილს". ასეთ მომენტში ქურუმი ქადაგად დაეცემოდა და ხალხს უზენაეს „სიტყვას" გადასცემდა.

მელანეზიელთა რელიგიურ შეხედულებებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა რწმენას მ ა ნ ა ს შესახებ. მათი წარმოდგენით მანა იყო ზებუნებრივი იდუმალი და უსახო ძალა, რომელიც ყველა ისეთ ადამიანს გაჩნდა, რომელნიც სხვებისაგან რაიმე უპირატესობით გამოირჩეოდნენ. ადამიანის ყოველგვარი წარმატება მის მანას მიეწერებოდა. ყველაზე ძლიერ მანას მდიდრებსა და ბელადებს მიაწერედნენ. ასეთი პირების ხელში მანა კეთილი და ბოროტი საქმეების წყაროდ იყო მიჩნეული. რაც უფრო დიდი ადგილი ეკავა პიროვნებას საზოგადოებაში, იმდენად უფრო ყოვლისშემძლე იყო მისი მანა, იმდენად უფრო დიდი გავლენა ჰქონდა მას ხალხში. აბორიგენების ამავე დროს სწამდათ, რომ ადამიანების გარდა, მანა ნივთებსაც ჰქონდათ. წარმოდგენა მანაზე აღმოცენებულია მელანეზიელთა საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის საფუძველზე.

მელანეზიელთა რწმენას ზებუნებრივ ძალაზე (მანა) უშუალო კავშირი აქვს მ ა გ ი ა ს თ ა ნ. მელანეზიაში გავრცელებული იყო მრავალგვარი მაგია: ვნებითი, სატრფიალო, სამკურნალო, თავდაცვითი, სამხედრო, სარწავუ, ტაროსისი და სხვ. მათ შორის მელანეზიელისათვის ყველაზე მეტად რწმუნებელი ვნებითი მაგია იყო. სწორედ ვნებითი მაგიის მსახურს — „შავ ჯადოქარს“ მიაწერდნენ ისინი ადამიანისადმი ზიანის მიყენების განსაკუთრებულ უნარს.

შავ მაგიასთან შედარებით, უფრო ნაკლებად იყო განვითარებული მელანეზიელებში ინიციაციებთან დაკავშირებული მაგია. ავადმყოფის სხეულიდან ამა თუ იმ სნეულების „გამოდევნასთან“ დაკავშირებული მანიპულაციები. თავდაცვითი მაგია სხვადასხვა თილისმისა და ამულეტის ტარებით გამოიხატებოდა, სამხედრო მაგია კი მეტწილად სახისა და ტანის სიმბოლური მოხატვით, — ზოგან იგი სამხედრო ბელადის ხელობად იყო გადაქცეული.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული სარეწავი მაგიის იმიტაციური ფორმები. მელანეზიელები ფალოთად იყენებდნენ მაგიის ამ ფორმას მეთევზეობაში, ძიწათმოქმედებაში, ნაგმშენებლობაში და სხვ. ამინდის მაგიას საგანგებო ჯადოქრები განაგებდნენ, რომლებსაც მიაწერდნენ ტაროსის — დარისა და ავდრის გამოწვევის უნარს. ყველა მაგიური მოქმედების შესრულებას თან ახლდა მაგიური სიტყვიერი ფორმულა, არცეროი საწესო ჩვევა არ სრულდებოდა ასეთი ფორმულის გარეშე. მელანეზიელები მაგიას მიმართავდნენ ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა ადამიანი არ იყო კარგად დარწმუნებული თავის ცოდნასა და ძალაში.

ტ ო ტ ე მ ი ს ტ უ რ ი შეხედულებები მელანეზიელებში შედარებით უფრო ნაკლებად იყო გავრცელებული. თუმცა ტომის დანაყოფი ეგზოგამიური ფრატრიები და გვარები მელანეზიაშიც ტოტემისტურ სახელებს ატარებდნენ, ტოტემისტური რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებანი მელანეზიელთა რელიგიაში მხოლოდ გადმონაშთის ფორმით იყო შეინახუ-

ლი. ჩვეულების ძალით აკრძალული იყო ტოტემური ცხოველის მოკვლა და მისი ხორცის ჭამა. ზოგან შემონახული იყო რწმენა ადამიანთა ცალკეული ჯგუფებისა და გვარების ტოტემიდან მომდინარეობაზე. სამხრეთ მელანეზიაში, სადაც გვაროვნული წყობილება კლასობრივი ურთიერთობებით იყო შეცვლილი, ტოტემიზმი თითქმის სრულიად იყო გამქრალი.

მელანეზიელთა რელიგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ა ნ ი მ ი ზ მ ს, რომელიც სამი ძირითადი იდეით გამოიხატებოდა, ესენია: ცოცხალი ადამიანის სულის იდეა, მიცვალებულის სულის იდეა და ბუნების სულის იდეა. ეს სულების ადამიანებისათვის კეთილისა და ბოროტის მიმნიჭებლად ითვლებოდნენ. ცოცხალი ადამიანის სულს მელანეზიელები ნიშანდობლივ ასხვავებენ მიცვალებულის სულისაგან, ამ უკანასკნელისაგან კი ბუნების სულს. მიუხედავად ამისა, მათი წარმოდგენები ამ სულებზე მეტად ბუნდოვანი იყო. მათ სჯეროდათ, რომ ძილისა და ავადმყოფობის დროს ცოცხალი ადამიანის სული დროებით მიატოვებდა ხოლმე ადამიანის სხეულს, რომელსაც იგი სიკვდილის დროს სამუდამოდ ეთხოვებოდა. მელანეზიელთა წარმოდგენით, სწორედ სული ანიჭებდა ადამიანის სხეულს სიცოცხლის უნარს, მაშინ, როდესაც თვითონ მას მუდამ განსაცდელი ელოდა. ცოცხალი ადამიანის სულთან შედარებით, მიცვალებულის სული უფრო აქტიურად და აგრესიულად ითვლებოდა. განსაკუთრებული ძალა მიეწერებოდა ტომის გარდაცვლილი ბელადებისა და დიდკაცობის სულებს. ასეთი სულების წინაშე მელანეზიელები მუდამ დიდი შიშისა და მოკრძალების გრძნობას განიცდიდნენ. სწორედ მიცვალებულთა ასეთი სულები წარმოადგენდნენ კულტის მთავარ ობიექტს, განსაკუთრებით მამაკაცთა საიდუმლო კავშირებში.

მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ თ ა დ ა კ რ ძ ა ლ ვ ი ს წესებში მელანეზიაში ასახული იყო აბორიგენთა სამერუნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებანი და საიქიოსთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, რომლებშიც მთავარი ადგილი ანიმისტურ მსოფლმხედველობას ეკავა. მელანეზიელები არა მარტო შიშის გრძნობას განიცდიდნენ მიცვალებულის გვამის წინაშე, არამედ ცდილობდნენ, იგი ახლომახლო ჰყოლოდათ. დასაფლავების წესებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „წყალში დასაფლავება", როცა მიცვალებულთა გვამებს პირდაპირ ზღვაში ყრიდნენ. ზოგან (მაგალითად, ახალი ირლანდია) დიდკაცობისათვის ასეთი დასაფლავება უფრო საპატიოდ ითვლებოდა, კიდრე მიწაში დამარხვა, ხოლო ზოგან — პირიქით.

უფრო ნაკლებად იყო გავრცელებული მიცვალებულის „ჰაერზე დასაფლავება". ასეთი დაკრძალვისას ზოგჯერ მიმართავდნენ გვამის თავისებურ მუმიფიკაციას — კვამლში შებოლვას. ასეთი მუმიფიკაცია უფრო სამხრეთ მელანეზიაში, განსაკუთრებით ახალი ჰებრიდის კუნძულებზე იყო გავრცელებული, სადაც იგი ტომის ბელადისა და დიდკაცობის პრივილეგიად ითვლებოდა; სამხრეთ მელანეზიაში იყო ცნობილი გაპოქვაბულში დასაფლავებაც.

მელანეზიაში იყო გავრცელებული მიცვალებულის მიწაში დამარხვაც. მიცვალებულის დაკრძალვის დროს ჭირისუფალი ცდილობდა, რაც შეიძლება ახლოს ჰყოლოდა თავისი მიცვალებული. ეს ტენდენცია ყველაზე აშკარად გამოიხატებოდა მიცვალებულის დაკრძალვაში ქოხის შიგნით ან მის შორიახლო. ზოგან მამაკაცებს მამაკაცთა სახლებში ასაფლავებდნენ, ხოლო ჩრდილოეთ მელანეზიაში კრემაციასაც მიმართავდნენ.

იმავე ანიმისტურ მსოფლმხედველობაზე იყო აღმოცენებული სამხრეთ მელანეზიაში გავრცელებული წ ი ნ ა პ რ ი ს კ უ ლ ტ ი. წინაპრის კულტთან უშუალოდაა დაკავშირებული ხისაგან გამოკვეთილი მამაკაცთა საკულტო ფიგურები (ული, მალანგანე), მიცვალებულთა თავის ქალებისადმი დიდი პატივისცემა და სხვ. მეტად თავისებური ფორმა ძველი თავის ქალების კულტმა სოლომონის კუნძულებზე, სადაც აბორიგენები არა მარტო თავიანთი წინაპრების, არამედ მტრების თავის ქალებსაც წმიდათაწმიდა ქოხებში იცავდნენ. ასეთ „ტაძარში" შესვლა მარტო ქურუმებს შეეძლოთ.

წინაპართა სულებთან იყო დაკავშირებული აგრეთვე მამაკაცთა სახლებისა და მამაკაცთა საიდუმლო კავშირების ყველა მთავარი საწესო ჩვეულება ახალი ჰებრიდის კუნძულებზე. მამაკაცთა სახლების მთავარი სამკაული ხისაგან გამოთლილი წინაპართა ქანდაკებები იყო. წინაპრის კულტის ასეთი ფართო გავრცელება სამხრეთ მელანეზიაში იმან განაპირობა, რომ იქაური აბორიგენები სოციალურად და კულტურულად უფრო დაწინაურებული იყვნენ, ვიდრე ჩრდილოეთის მელანეზიელები; დედისეული გვარი აქ მამისეული გვარით იყო შეცვლილი, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობდა ხელს წინაპრის კულტის განვითარებას.

მელანეზიაში მეტწილად ე ტ ი ო ლ ო გ ი უ რ ი მ ი თ ე ბ ი იყო გავრცელებული (ეტიოლოგიური ეწოდება ისეთ მითს, რომელშიც ახსნილია ბუნების ესა თუ ის მოვლენა ან ადამიანის ცხოვრების ციკლი). ასეთ მითებში საუბარია იმაზე, თუ რატომაა მოკლებული ტომის ზოგიერთი ქალი და მამაკაცი სილამაზეს, რატომ აქვს ლაქები მთვარეს, რატომ აქვთ მამაკაცებს წვერი, ქალებს კი ძუძუები, რატომ დადიან ადამიანები ორ ფეხზე, ხოლო ცხოველები ოთხ ფეხზე და სხვ. ანალოგიური მითები მელანეზიელებში ფართოდაა გავრცელებული და ხშირად ერთი და იგივე მოტივი სხვადასხვა ადგილზე გვხვდება. ასეთებია, მაგალითად, მითები, რომლებშიც ახსნილია, თუ რაღომაა ასეთ უზარმაზარი ოკეანე, ან რატომ კვდება ადამიანი. მელანეზიელთა მითოლოგიაში შედარებით უფრო მცირე ადგილი უკავია კოსმოგენურ და ეთნოგენურ მითებს. გავრცელებულია მითები გმირებზეც, განსაკუთრებით ტყუპ ძმებსა და სხვადასხვა გმირზე. ასეთ პერსონაჟებს მიეწერება ამა თუ იმ სასარგებლო ნივთის გამოგონება ან მნიშვნელოვანი წეს-ჩვეულების შემოღება. ასეთი მითები ტოტემისტურ საწყისებზე უნდა იყოს აღმოცენებული. ყველაზე ნაკლებად იყო გავრცელებული მელანეზიაში მითები მზისა და მთვარეზე.

ამგვარად, მელანეზიელთა რელიგია ხასიათდებოდა განვითარებული ანიმიზმით; რელიგიური შეხედულებებში დიდი ადგილი ეკავა რწმენას ზებუნებრივ ძალაზე (მანა), მაგიას, ზოგან კი თავის ქალებისა და წინაპრების კულტს. სამაგიეროდ, სუსტად იყო შემონახული ტოტემისტური გადმონაშთები, უცნობი იყო წარმოდგენა უზენაეს არსებაზე — ღმერთზე, საწყისი ფორმით იყო წარმოდგენილი სოციალური დიფერენციაციის ამსახველი მოტივები, საერთოდ, მელანეზიელთა რწმენა-წარმოდგენები სავსებით შეესაბამებოდა რღვევის პროცესში მყოფი განვითარებადი გვაროვნული საზოგადოების იდეოლოგიას.

ხალხური შემოქმედების დარგებიდან მელანეზიელებში ყველაზე გავრცელებული იყო გამოყენებითი ხელოვნება — საყოფაცხოვრებო ნივთების მხატვრული კვეთილობა და მათი ორნამენტით შემკობა. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია მოჩუქურთმებული ნავები, ნიჩბები, კომბლები, ისრები და ხუროობის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა: ბარცაკლები (ხის სასთუმლები), ცულის ტარები, დოლები და სხვ. მელანეზიელებში გავრცელებული იყო აგრეთვე სხეულის შემკობა ნაირ-ნაირი სამკაულებით, ტატუირებით; მათი სტილიზებული პლასტიკური ხელოვნება (ანთროპომორფული ფიგურები, სადღესასწაულო ნიღბები) უმთავრესად რელიგიურ მოტივებთან იყო დაკავშირებული.

მელანეზიელთა მუსიკალურ კულტურაში მთავარი ადგილი ეკავა დასარტყმელ და სასულე საკრავებს (ხის დაფდადები, ლერწმის სალამურები და სოინარები; სიმებიანი საკრავები აქ უცნობი იყო). ცეკვები სრულდებოდა უმთავრესად რელიგიური დღესასწაულებზე სიმღერისა და საკრავების აკომპანიმენტით. როგორც წესი, მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე ცეკვავდნენ. ზოგან (მაგალითად, ახალი ირლანდია) შემონახული იყო „ტოტემისტური ცეკვები". მოცეკვავეთა დახელოვნების მთავარი საზომი ცეკვის თითოეული რიტმისა და ილეთის სინქრონიული, შეთანხმებული შესრულება იყო.

მელანეზიელები კარგად იცნობდნენ თავიანთ ბუნებრივ გარემოს, ცოდნის მნიშვნელოვანი მარაგი ჰქონდათ დაგროვილი ხალხურ მედიცინაში, მკურნალობის რაციონალური საშუალებებიდან ისინი წარმატებით იყენებდნენ მცენარეულ წამლებს, მასაჟს, ქირურგიას. ამ მხრივ ცნობილი იყვნენ ბისმარკის არქიპელაგის დასტაქრები, რომლებიც მარტივი საშუალებებით თავის ქალის რთულ ოპერაციებს აკეთებდნენ; ასეთსავე დახელოვნებას იჩენდნენ ადგილობრივი მკურნალები ძვლის მოტეხილობის მკურნალობაში.

სამაგიეროდ, მცირე გამონაკლისის გარდა, მელანეზიელებში თითქმის არ იყო შემონახული გადმოცემები მათი წარმომავლობის, მიგრაციებისა და სხვა ისტორიული ამბების შესახებ.

§ 2 პაპუასები

მელანეზიის მოსახლეობის მეორე ძირითად ნაწილს პაპუასები შეადგენენ. მათი უმრავლესობა ახალ გვინეაზე (ირიანი), ნაწილი კი ბისმარკის

არქიპელაგსა და სოლომონის კუნძულებზე ცხოვრობს. ახალი გვინეა არა მარტო ყველაზე დიდი კუნძულია წყნარ ოკეანეში, არამედ გრენლანდიის შემდეგ, მთელ მსოფლიოშიც. ახალი გვინეა, ანუ პ ა პ უ ა მოგორიანი ქვეყანაა. იგი ჯერ კიდევ 1526 წელსაა აღმოჩენილი; პირველი ევროპელი კოლონია ჰოლანდიელებმა აქ 1826 წელს დააარსეს. 1884 წელს კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ხელთ იგდო გერმანიამ, სამხრეთ-აღმოსავლეთი კი ინგლისმა. ახალი გვინეის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა მეტად რთულია. სახელწოდება „პაპუასი" უკავშირდება მალაურ სიტყვას „პაპუა" (ხუჭუჭთმიანი — ასე უწოდებდნენ მალაელები ახალი გვინეის მოსახლეობას, ხშირი ხუჭუჭთმიანობის გამო). ამ ტერმინმა მეცნიერებაში სხვა მნიშვნელობაც მიიღო („პაპუასთა ანთროპოლოგიური ტიპი", „პაპუა ენები").

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ნ. მიკლუხო-მაკლაის აღწერილობით (XIX ს. მეორე ნახევარი), პაპუასები მიწათმოქმედებას და მეთუნეობას მისდევდნენ. ხის სახლებში ცხოვრობდნენ და მშვილდ-ისრით იყენენ შეიარაღებულები: სანაპირო რაიონებში განვითარებული იყო პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მოყავდათ ბატატი, შაქრის ლერწამი, ტარო, იამსი, ბანანი, პალმა და სხვ. მოსავალს მთელი წლის განმავლობაში იღებდნენ. ტყიან რაიონებში მისდევდნენ ანოს აღების სისტემაზე დამყარებულ მიწათმოქმედებას. სანაპირო რაიონებში მცხოვრებ პაპუასთა მთავარი სამეურნეო საქმიანობა მეთევზეობა იყო. მათ მთავარ შრომის იარაღებს ნაირნაირი ქვის ცულები, ძვლის საფხეკები და ფხიანი ნიჟარები წარმოადგენდა; მათი საშუალებით აშზადებდნენ პაპუასები საცხოვრებელ ქოხებს, ნავებს, აგრეთვე ნიჩბებს, შუბებს, მშვილდ-ისრებსა და დგამ-ჭურჭელს.

ახალი გვინეა პრიმიტიული მიწათმოქმედების ქვეყანა იყო. კუნძულის სანაპირო რაიონებში უმთავრესად ქოქოსის პალმა ხარობდა. შიდა რაიონებში შევხვდებოდით სხვადასხვა სახის პალმებსაც: ფართოფოთლიან კერტიასა და მარაოსებურ პალმას — ლიკუალას. ტროპიკულ ტყეებში იზრდებოდა ე.წ. პურის ხე. მისი ნაყოფი დაახლოებით გოგრის ტოლია და იწონის 20-25 კგ-ს. ნაყოფი მდიდარია სახამებლით. მას იყენებდნენ საკვებად როგორც მოხარშული, ისე შემწვარი სახით. გარდა ამისა, ნაყოფს ინახავდნენ სპეციალურ ორმოებში, სადაც გარკვეული პერიოდის შემდეგ ის ფუვდებოდა და წარმოიქმნებოდა წებოვანი მასა, რომელიც ძალიან წაგავდა ცომს. სწორედ ასეთი მასისაგან აცხობდნენ ისინი ოხელ და ბრტყელ პურს. 12-20 წლიანი პურის ხის ნაყოფი საკმარისია 2-3 ადამიანის გამოსაკვებად მთელი წლის მანძილზე. პაპუასები კარგად იცნობდნენ შაქრის ლერწმის კულტურას. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, უმთავრესად მთის ტომებში, თამბაქოს მოყვანასაც.

თესვის წინ პაპუასები ნიადაგს ასუფთავებდნენ. ტყის ნაწილი, რომელსაც სათესად იყენებდნენ, იჩეხება. ამას აკეთებს რამდენიმე ოჯახი ერთად.

ქალები შედარებით მსუბუქ სამუშაოს ასრულებდნენ — ბუჩქნარებისა და ლიანებისაგან ასუფთავებდნენ ნიადაგს, ხოლო მამაკაცები, მძიმე ცულებით ჭრიდნენ ხეებს. ოესავდნენ ქალები...

მიწის დამუშავების შედარებით მაღალი დონეა ახალი გვინეის აღმოსავლეთ ნაწილში. ნაკვეთს ასუფთავებდნენ, შემოღობავდნენ, რომ საქონელს არ გაეფუჭებინა, თესვის დროს იცავენ ინტერვალებს მცენარეებს შორის, მაგრამ, რადგან პაპუასებმა არ იციან ძიწის განოყიერება, ამიტომ ნიადაგი პირველივე მოსავლის აღების შემდეგ იფიტება და ყოველწლიურად საჭირო ხდება ახალი სათესი ფართობის ძებნა.

მესაქონლეობა პაპუასებს შორის არ არის განვითარებული. პაპუასები ხორცით იშვიათად იკვებებიან, რადგან გარეული ცხოველები ახალ გვინეაზე ძალზე ცოტაა, ხოლო რაც არის, ისიც ძალიან სწრაფად მცირდება. ძირითადად მისდევდნენ მეღორეობას, ღორს ისინი იყენებდნენ არა მარტო საკვებად, არამედ მსხვერპლთშეწირვისთვისაც. პაპუასებს რამდენიმე ჯიშის შინაური ღორი ჰყავთ, რომელთა მოვლა ქალების მოვალეობა იყო. ჰყავთ ძაღლებიც. ძაღლის ჯიშებიდან გავრცელებულია ყვითელბეწვიანი და ლაქებიანი ძაღლი.

დასახლება და საცხოვრებელი. პაპუასები სოფლებად ყოფილან დასახლებული. ცენტრალურ მთიან რაიონებში მათი სოფლები ცალკეული, გაფანტული, კონუსური ან ოთხკუთხა მაღალი ორფერდა სახურავიანი ქოხებისაგან შედგებოდა, რომლებშიც, როგორც წესი, ერთი გვარის წევრები ცხოვრობდნენ. საშუალოდ ერთი სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა 40-50 სულს არ აღემატებოდა. პაპუასებს ისეთი დასახლებაც ჰქონდათ, რომელიც მხოლოდ ერთი დიდი ხიმინჯიანი სახლისაგან შედგებოდა. ასეთ სახლებში კედლების გაყოლებით თითოეული ცოლ-ქმრისათვის ცალ-ცალკე ყოფილა მოწყობილი კერა, მაშინ როდესაც ბავშვები სახლის შუა ნაწილში ცხოვრობდნენ. პაპუასებს ისეთი სოფლებიც ჰქონდათ, რომელთა მოსახლეობა 300 სულამდე აღწევდა. ასეთი სოფლების შუაგულ მოედანზე აღმართული ყოფილა მამაკაცთა სახლი, ხოლო საცხოვრებელი ქოხები მის გარშემო ყოფილა განლაგებული.

პაპუასებთან საცხოვრებლის ყველაზე უფრო თავისებური ტიპია სახლები ხეებზე. მას, გარდა საცხოვრებელს იყენებდნენ როგორც სათვალთვალო პუნქტს ომიანობის დროს. ი. ლიპსის გადმოცემით, ხეზე აშენებულ სახლებში მოხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ თოკისაგან გაკეთებული კიბით, რომელსაც ღამე, დაძინებისას მაღლა სწევდნენ, რათა უცხო ვინმე არ შესულიყო. გარდა ამისა, კარები ან კარების მსგავსი მოწყობილობა აღჭურვილი იყო საკმაოდ რთული კონსტრუქციის საკეტით, რათა უცხო პირს არ შეძლებოდა მისი გაღება. ხის გასაღები ხანდახან ისეთი ზომისა იყო, რომ საღამოს სასეირნოდ გამოსულ პაპუასს არ შეეძლო შეუმჩნევლად ეტარებინა იგი.

პაპუასების ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი არ გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. როცა მიკლუხო-მაკლაი იქ იმყოფებოდა, მამაკაცის ერთადერთი ტანსაცმელი იყო ე.წ. „მალი“, რომელიც წარმოადგენდა 3 მეტრის სიგრძისა და 15-20 სმ სიგანის ქსოვილს, იგი მზადდებოდა ხის ქერქისაგან. ამ ტანსაცმელს ისე ირგებდნენ წელზე, რომ მისი ბოლოები წინ და უკან ჩამოშვებული იყო. ქალები ატარებდნენ „წინსაფრებს“, რომელსაც ასევე „მალი“ ეწოდებოდა, ეს იყო ნახევარი მეტრი სიგრძის ფოჩებიანი ქსოვილი, რომელიც სარტყელზე ქონდათ მიმაგრებული. ქალიშვილები თეძოებზე იკეთებდნენ სამკაულებს, რომლებსაც ნიჟარისა და შელებილი მცენარის მარცვლებისაგან ამზადებდნენ. მამაკაცები სასირცხო ადგილებს გოგრის ქერქით იფარავენ, ქალები, უმეტესად, ხმარობენ დაფნისაგან დამზადებულ მოკლე ქვედატანს.

პაპუასებს უყვართ ჩანოების ტარება. პატარა ზომის ჩანტების კისერზე იკიდებენ, რაშიც თუთუნი და სხვა წერილმანი ნივთი აქვთ ჩალაგებული. ღიღ ჩანთაში კი, რომელსაც მარცხენა მხარზე იკიდებენ, საღებავების, ნიჟარებისა და სხვა ნივთების ათავსებენ. ჩანოების ტარება ქალებს უფრო ემარჯვებოდათ, ვიდრე მამაკაცებს. ქალები ჩანთას ზურგზე იკიდებდნენ და შუბლზე შემოხვეული ბრტყელი სალტით იმაგრებდნენ. ერთ ჩანთაში მცენარის ნაყოფს დებდნენ, ხოლო მეორეში ძუძუმწოვარა ბავშვებს სვამდნენ. თუ ბავშვები არა ჰყავთ, მაშინ მათ ადგილს ძაღლის ლეკვები, ან გოჭები იკავებდნენ.

ნიჟარებით მორთულ სამკაულებს მამაკაცები მხრებზე იკეთებენ. ძვირფას სამკაულადაა მიჩნეული გულზე ჩამოსაკიდი ღორის ეშვები. ნიჟარები და ძაღლის კბილები.

მამაკაცები წვერს იპარსავენ ბამბუკის დანებითა და კაჟის ქვის ნამტვრევებით. ტატუირება არ იციან. სხეულს ცხელი შანთით იდაღავენ. მამაკაცები იდაღავენ ზურგსა და ბარძაყებს, ქალები კი მკერდის ორივე მხარესა და ხელებს.

პაპუასების საპატიო სამოსს დაახლოებით 40 სმ-ზდე სიგანის მქონე, ხის ქერქისაგან დამზადებული ქამარი წარმოადგენდა. იცოდნენ ქსოვილის დამზადება, რომელსაც „ტაპას“ უწოდებდნენ. მის დასამზადებლად განკუთვნილ ხეების ქერქს ჯერ ფხეკენ, ხოლო შემდეგ ალბობენ. მისი დარბილება ხდება ხის კომბლით, ზოგჯერ ქვითაც, ხოლო იშვიათად, ღეჭავენ კიდეც. ქსოვით, ჩვეულებრივ, ქალები იყვნენ დასაქმებულნი. მბოვამბის ტომებში ამ საქმეს მამაკაცები ასრულებდნენ. ისინი ქსოვენ ან წნავენ ისეთ საგნებს, რომლებსაც მხოლოდ ქალები ხმარობენ და ატარებენ.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ა. პაპუასთა საზოგადოებრივ წყობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მამაკაცთა ოემური სახლები, რომლებშიც სრულწლოვანი მამაკაცები ცხოვრობდნენ, ხოლო ჩვეულებრივ ქოხებში — მათი ცოლები და მცირეწლოვანი ბავშვები. პაპუასთა გვაროვნული თემების ბირთვს სწორედ მამაკაცთა სახლებში მცხოვრები

სისხლით მონათესავე მამაკაცთა ასეთი ჯგუფები შეადგენდა. იმის გამო, რომ ქმარი და ცოლი სხვადასხვა გვარს ეკუთვნოდნენ, მამაკაცები მუდამ თავის სოფლებში ცხოვრობდნენ, ხოლო ქალები მხოლოდ გათხოვების შემდეგ გადადიოდნენ ქმრის სოფელში, თუმცა პაპუასებში გვაროვნულ-ოემური კავშირი გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ოჯახური, თითოეული ოჯახი თვითონ აშუშავებდა მისთვის მიჩენილ ბოსტანს სათესო მიწაზე. ასეთ ნაკვეთებზე ცოლ-ქმარი ერთად მუშაობდა და მოსავალსაც თვითონვე იღებდა. თემური წყობის რღვევის შედეგად პაპუასებში, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იწყება სოციალური დიფერენციაცია.

თუმცა კოლონიზაციის შედეგად პაპუასთა ყოფა-ცხოვრებაში ძნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, შეტ-ნაკლებად მაინც იყო შემორჩენილი კარჩაკეტილი ცხოვრება. თემის წევრები ახის აღების წესით ათავისუფლებდნენ ახალ სამეურნეო ნაკვეთებს, ამუშავებდნენ მიწას, მოჰყავდათ მოსავალი, იხდიდნენ გადასახადებს და ა.შ. თემს მამასახლისი განაგებდა. კოლონიზაციამდე თემის მამასახლისი არ სარგებლობდა რაიმე პრივილეგიით, გარდა იმისა, რომ მას ერთის ნაცვლად, ორი ან სამი ცოლი ჰყავდა. მამასახლისსა და თემის რიგით წევრებს შორის სრული თანასწორობა სუფევდა. კოლონიზაციის შედეგად XIX საუკუნის მიწურულში, არა მარტო შეწყდა პაპუასთა დამოუკიდებელი განვითარება, არამედ დაირღვა კიდეც მათი ტრადიციული საზოგადოებრივი წყობა — კოლონიზატორებმა მამასახლისები თავიანთ სამსახურში ჩააყენეს.

პაპუასებში მრავალი რწმენა-წარმოდგენაა შემორჩენილი. მათ თავისებური წარმოდგენა ჰქონდათ ზეციურ მნათობებზე. კარგად იცოდნენ, რომ სიობოსა და სინათლის წყაროდ გვევლინება მზე, მისი ამოსვლით იწყება დღე, ხოლო ჩასვლით ღამე. მათ აინტერესებთ მზის ადგილსამყოფელი ჩასვლის შემდეგ. ასევე კარგადაა ცნობილი მთვარის ამოსვლისა და ჩასვლის დროც. ზოგიერთი ტომი ერთმანეთისაგან ასხვავებს მთვარის ფაზებს. თითოეულ ფაზას განსაკუთრებული სახელი აქვს. ასე მაგ: მარინდ-ანიმის ტომი მთვარის პირველ მეოთხედს „Mict-mandau"-ს უწოდებს (mict — გამოჩენა, mandau — მთვარე), მეორე მეოთხედს — „Sin-mandau"-ს, რაც საკუთრივ მთვარეს ნიშნავს, ხოლო ბოლო მეოთხედს Ngor-mandau-ს (ngor — დასასრული).

პაპუასები წელიწადს ყოფენ ორ სეზონად: წვიმებისა, რომელიც ემთხვევა ჩრდილო-აღმოსავლეთ მუსონის გამოჩენას და შედარებით მშრალ სეზონად, რომელიც დაკავშირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ მუსონთან.

პაპუასების ზოგიერთ ტომს აქვს დროის გამოსათვლელი დამხმარე საშუალებები. მაგალითად, მარინდ-ანიმის ტომს დროის გამოთვლის რამდენიმე ხერხი აქვს. ერთ-ერთი იხმარება მაშინ, როცა ჯგუფი სამოგზაუროდ მიდის. მათ ზუსტად იციან, რამდენი ხანი იქნებიან გზაში და როდის

დაბრუნდებიან უკან. ამისათვის ამზადებენ ორ, ზუსტად ერთნაირ, ზონარს. თითოეულზე კეთდება იმდენი ნასკვი, რამდენიც დასჭირდება გზაში ყოფნას. ერთი ზონარი სოფელში რჩება, ხოლო მეორე თან მიაქვთ. ყოველ დილით ისინი, ვინც მოგზაურობენ და ისინიც, ვინც სახლში დარჩენ თითო-თითო ნასკვს ხსნიან და იგებენ, თუ როდის უნდა დაბრუნდნენ უკან.

რ ე ლ ი გ ი ი ს ადრინდელი ფორმებიდან აქ ბატონობს ტოტემიზმი. ტოტემი უმთავრესად ცხოველია (36 ტოტემიდან 31 ცხოველია). მისი მოკვლა აკრძალულია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ კუ (ხორცეული საკვების ნაკლებობის გამო).

ხ ა ლ ხ უ რ ი მ ე დ ი ც ი ნ ი ს შესახებ მკვლევარნი საინტერესო მასალებს გვაწვდიან. ადამიანის ცენტრალურ ორგანოდ, საიდანაც სიცოცხლე იწყება, პაპუასები მიიჩნევდნენ გულს. ასევე დიდ როლს ანიჭებდნენ ორგანიზმისათვის სისხლს. მათი აზრით, ძრავალი ავადმყოფობა უეცრო ხშირად ბუნებრივი ძალის ზემოქმედების შედეგია, მაგალითად, დაძაბვა, ჭრილობა, მოტეხილობა და სხვ. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ორგანიზმის შინაგან დაავადებებზე. ამიტომ იყო, რომ ასეთ დაავადებას ისინი ხშირად მიაწერდნენ ავ სულებს. მათ ავადმყოფობის წყაროდ მიიჩნევდა ავი სული „ირატო", რომელიც ღორის ან ადამიანის სახით, ოღონდ დიდი თვალებითა და დიდი მუცლით ჰყავდათ წარმოდგენილი. ასეთივე მნიშვნელობისა იყო მათთვის ავი სული „კუგი" (მომაკვდავთა სული). ზოგი ტომი ავი სულის მოსაჭორებლად კლავდა დაავადებულ ადამიანს, რომ მას ცოცხლებისათვის ზიანი არ მიეყენებინა და გვამს მდინარეში აგდებდა, რათა დინებას შორს წაელო იგი.

ჰქონდათ ავადმყოფისაგან თავის დაღწევის რამდენიმე საკურნალო საშუალება: მასაჟი, ორგანიზმიდან სისხლის გამოშვება, ბალახეულობა და სხვ. იცოდნენ ქირურგიული ჩარევაც — ძირითადად ჭრილობაში ჩარჩენილი ისრის წვერის ამოსაღებად ან გველის კბენის დროს და ა.შ.

პაპუასებში მ უ ს ი კ ა ლ უ რ ი ი ნ ს ტ რ უ მ ე ნ ტ ე ბ ი ს საერთო სახელწოდებაა „აი", რომლითაც სარგებლობდნენ მხოლოდ მამაკაცები. მუსიკალური ინსტრუმენტების სახელწოდებებია: 1. „აი-კაბრაი", რომელიც გაკეთებულია ბამბუკის ღეროსაგან და რომელიც ორი მეტრის სიგრძისაა, ხოლო დიამეტრით 50 მმ-ია. ინსტრუმენტის ხმა, რომელიც მრავალხმიან ყმუილს წააგავდა, შეიძლებოდა გაგეგონათ 2-3 მილის დაშორებით. თვითონ მუსიკალური ინსტრუმენტის სახელწოდება „კაბრაი" პაპუასების ენაზე ნიშნავს „მაღალხმიან თუთიყუშს"; 2. „ჭუნკაი" ძარტყელა მუსიკალური ინსტრუმენტია, რომელსაც ამზადებენ ქოქოსის კაკლის ნაჭუჭისაგან. იგი ზემოდან და გვერდიდან გახვრეტილია და ზემოდან ჩაბერვისას გვერდითი სარქველის გაღებისა და დახურვის მეშვეობით, გამოსცემს სტვენისებურ ხმებს: ეს ინსტრუმენტი ლამაზად ამოკვეთილი ორნამენტებით

მაღალმხატვრულ დონეზეა გაფორმებული; 3. „ხოლაი", რომელსაც გოგრის ქერქისაგან ამზადებენ, მოგვაგონებს საყვირს; 4. „ოკამი" პაპუასების უსაყვარლესი ინსტრუმენტია, რომელიც დოლს მოგვაგონებს, სასიგნალო ინსტრუმენტებიდან გამოიყენება ერთი მხრიდან გახვრეტილი ნიჟარა.

პაპუასების სიმღერა მარტივი, ერთხმიანია. სიმღერის ტექსტი შედგება მხოლოდ რამდენიმე სიტყვისაგან, ხანდახან ერთი სიტყვისგანაც კი, რომელიც შესრულებისას მრავალჯერ მეორდება, თანაც მელოდია თითქმის ერთ ნოტაზეა აგებული და არ განიცდის ვარირებას.

§ 3. პოლინეზიელები

ზ ო გ ა დ ი ც ნ ო ბ ე ბ ი. და სახავს კუნძულთა სიმრავლეს ოკეანეთის ამ ნაწილში. პოლინეზიის ტერიტორიის საერთო ფართობიდან (296 ათასი კმ²) უდიდესი ნაწილი ახალ ზელანდიაზე მოდის — 260 კმ², ხოლო დანარჩენი მრავალრიცხოვან წვრილ კუნძულებზე. მათ შორისაა: ახალი ზელანდიის სამფლობელოები — კუკის, ნიუეს და ტოკელაუს კუნძულები; დიდი ბრიტანეთის კუთვნილი კუნძული პიტკერი; საფრანგეთის ორი ე.წ. „ზღვისიქეთა ტერიტორია" — კუნძულები ვალისი, ფუტუნა და სხვ; ჰავაის კუნძულები (აშშ-ის სამფლობელო); აღმოსავლეთ სამოა, ტაიტი, ტუბუა, ტუამოტუ, უეიკი, მიდუეი, ჯონსტონი, აღდგომისა და მთელი რიგი სხვა კუნძულებისა. ოკეანეთის ამ ნაწილში განსაკუთრებული ადგილი უკავია დასავლეთ სამოასა და ტონგას. პოლინეზიაში დასავლეთ სამოა პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოა (1962 წლიდან), ასეთივე სახელმწიფოა ტონგა, რომელიც 1970 წელს ჩამოყალიბდა.

კუნძულთა სიმრავლეს პოლინეზიაში ერთ-ერთი ტაიტური მითი ღმერთების გულზვიადობას მიაწერს; თქმულების მიხედვით, ოდესღაც ეს კუნძულები ერთი მთლიანი ხმელეთი ყოფილა, მაგრამ ადამიანებზე განრისხებულ ღმერთებს ეს ქვეყანა დაუმსხვრევიათ და დაქუცმაცებული კუნძულები ოკეანეში გაუფანტავთ.

პოლინეზიის მრავალი კუნძული მთაგორიანია. მთების სიმაღლე ზღვის დონიდან ზოგან 1500 მეტრია (სამოა), ზოგან 2240 მეტრი (ტაიტი), ზოგან კი — 4200 მეტრსაც აღწევს. კუნძულთა უმრავლესობა ხშირი მცენარეულითაა დაფარული. ცხოველთა სამყაროდან ყველაზე მდიდარია ზღვის ფაუნა. ჰავა ტროპიკულია. ყველაზე დიდი მდინარეა ტაიპივანი, რომელიც წყალვარდნილად ეშვება ოკეანეში.

ევროპელთა მოსვლამდე პოლინეზიის კუნძულები მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ვარაუდობენ, რომ მაშინ აქ აბორიგენთა რაოდენობა მილიონზე მეტს შეადგენდა. დღეისათვის ეს რიცხვი განახევრებულია — 1964 წლის მონაცემებით, პოლინეზიაში სულ 600 ათასი მკვიდრი მცხოვრები

ითვლება. მოელი ეს მოსახლეობა ლაპარაკობს მონათესავე ენებზე, რომ-ლებსაც ეწოდება პოლინეზიური ენები. ისინი ძალაურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახში შედიან. პოლინეზიურ ენებს, თავის მხრივ, აღმოსავლურ და დასავ-ლურ ქვეჯგუფებად ყოფენ.

ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ ი ტ ი პ ი თ პოლინეზიელები ძალზე-ად განსხვავდებიან თავიანთი მეზობლებისაგან და ეკუთვნიან პოლინეზიურ რასას. მათთვის დამახასიათებელია საშუალო ტანი (170-173 სმ), ძუძი კანი, ტალღოვანი თმები, ოდნავ წინწამოწეული ნიკაპი, ფართო პირისახე და სხვ. სპეციალისტთა უმრავლესობა ამ რასას დიდი მონგოლოიდური და დიდი ეკვატორული რასების უძველესი ფორმირების ნაჯვარად მიიჩნევს. ზოგიერ-თი ნიშნით პოლინეზიური რასა უახლოვდება მელანეზიურსა და ავსტრალია-ურ რასებს, ნაწილობრივ – მონგოლოიდურ რასას. ამ მონაცემების ექსტრაპო-ლირებული ვარაუდი პოლინეზიელთა აღმოსავლეთ აზიიდან და ინდონეზიიდან წარმოშობა-ლობის შესახებ. ზოგიერთი ანთროპოლოგი პოლინეზიური რასის ფორმირე-ბაში ევროპოიდული ელემენტების მონაწილეობასაც ხედავს.

პ ო ლ ი ნ ე ზ ი ე ლ თ ა ე თ ნ ო გ ე ნ ე ზ დიდი ხანია აინ-ტერესებს მეცნიერებს. ეროხანს ფიქრობდნენ, რომ პოლინეზიელები ოკეანე-თის ავტოქტონური მოსახლეობაა; შემდეგში გაჩნდა მათი წარმოშობის აზიური და ამერიკული თეორიები. ევროპელი მოგზაურების ვარაუდით, წყნარი ოკეანიის კუნძულები მიჩნეული იყო იმ დიდი ხმელეთის ნაშთად, რომელიც თითქოს გეოლოგიური კატასტროფის შედეგად ჩაძირა ოკეანეში და რომელიც ოდესღაც აზიასა და ამერიკას ერთმანეთთან აკავშირებდა. მაგრამ პოლინეზიელთა ავტოქტონობის ჰიპოთეზამ მეცნიერული დასაბუთე-ბა ვერ მოიპოვა და შემდგომში უკუგდებულ იქნა. გაცილებით უფრო დამაჯ-ერებელი აღმოჩნდა პოლინეზიელთა სხვა ქვეყნებიდან მიგრაციის თეორია, თუმცა დღემდე მთლად ნათელი არ არის, საიდან ან როდის მოვიღნენ მათი წინაპრები ოკეანეთში. ამ კითხვაზე ვერც პოლინეზიელთა ეთნოგენეალოგი-ური გადმოცემები პასუხობს გარკვევით, მიუხედავად იმისა, რომ მათში ზოგჯერ 90-მდე თაობის (დაახლოებით 2.300 წლის წინანდელი) ამბებია შემონახული, სამაგიეროდ ამ გენეალოგიებში ყოველთვის ხაზგასმულია პოლინეზიელთა ერთიანი წარმომავლობა ისეთი ლეგენდარული ქვეყნიდან, როგორიცაა ჰ ა ვ ა ი კ ა, რომელთანაც სპეციალისტები ჩვეულებრივ სამ-ხრეთ აზიის მრავალ ქვეყანას (იავა, ინოდეთი) აიგივებენ. ანთროპოლოგიურ-რი, ენობრივი, გენეალოგიური და ეთნოკულტურული მონაცემების მთელი რიგის მიხედვით, პოლინეზიელთა თავდაპირველ სამშობლოდ სამხრეთ-აღ-მოსავლეთ აზიას მიიჩნევენ. სწორედ ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქს უკავშირებენ პოლინეზიური კულტურის ისეთი ელემენტების წარმოშობას, როგორიცაა შინაური ცხოველები (ღორი, ძაღლი, ქათამი), კულტურულ-ი მცენარეები, საცხოვრებელი ნაგებობანი და სხვ.

ამ თეორიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ცნობილი ეთნოლოგი ტე რანგი სირო (დედით პოლინეზიელი, მამით ირლანდიური წარმოშობის ახალზელანდიელი). მის წიგნში — „მზიური აღმოსავლეთის მეზღვაურები" — მთლიანი კონცეფციის სახითაა ჩამოყალიბებული პოლინეზიელთა ეთნოგენეზის საკითხი. მისი შეხედულებით, პოლინეზიელთა წინაპრები საუკეთესო მეზღვაურები ყოფილან. თავდაპირველად მათ ინდოეთში უცხოვრიათ, შემდეგ კი ინდონეზიაში გადასულან. ანთროპოლოგიური ტიპით მაშინ ისინი ევროპოიდები ყოფილან, თუმცა მონგოლოიდური მინარევებიც ჰქონდათ. მონგოლოიდური ხალხების მოწოლის შედეგად აყრილან ამ სამოსახლოდან და მიკრონეზიის გავლით ტაიტის არქიპელაგზე დამკვიდრებულან. სწორედ ამ კუნძულთან აიგივებს ტე რანგი სირო ლეგენდარულ „ჰავაიკას". ამ ცენტრიდან განსახლებულან პოლინეზიელები მარკიზის, ტუამოტუს, ჰავაის, კუკის, ტონგას, სამოას, ახალი ზელანდიისა და პოლინეზიის სხვა მრავალრიცხოვან კუნძულზე.

პოლინეზიელთა წარმოშობის ძველი ამერიკული თეორია ბოლო ხანებში ხელახლა წამოწია ცნობილმა ნორვეგიელმა ეთნოგრაფმა ტურ ჰეიერდალმა. ჰეიერდალის კონცეფციით, პოლინეზიელთა პირველ ტალღას ოკეანეთში V საუკუნეში მოულწევია პერუდან, მეორე ტალღას კი XII საუკუნეში ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროებიდან. ამ მოსაზრებების შესამოწმებლად ტურ ჰეიერდალმა 1947 წელს თავის თანამგზავრებთან ერთად ლეგენდარული ტიკი („კონ-ტიკი") გადაცურა ვეებერთელა ოკეანე და დაასკვნა, რომ ძველ პერუელებს თავისუფლად შეეძლოთ მარტივი ტიკებით პოლინეზიამდე მგზაურობა. პოლინეზიელთა წარმოშობის ამერიკული თეორიის დასაბუთებას ისახავდა მიზნად მისივე ხელმძღვანელობით 1955 წელს ჩატარებული დიდი არქეოლოგიური გათხრები აღდგომის კუნძულზე. ამ მეცნიერული ექსპერიმენტის შედეგად ტურ ჰეიერდალმა პოლინეზიელებში გამოავლინა სამხრეთ ამერიკის აბორიგენთა ეთნიკური და ანთროპოლოგიური ელემენტები, რომლებიც მან ქვეყანათა შორის უძველესი კონტაქტების ნაკვალევად მიიჩნია.

პოლინეზიელები ოდითგანვე სახელგანთქმული მეზღვაურები იყვნენ; მათ რეგულარული მიმოსვლა ჰქონდათ როგორც მეზობელი, ისე შორეული კუნძულების მოსახლეობასთან. ჩანს, ამითაც იყო განპირობებული პოლინეზიური კულტურის საერთო და ლოკალური ვარიანტები. ეს განსაკუთრებით შეეხება პოლინეზიის ისეთი განაპირა ოლქების მოსახლეობას, როგორიცაა ახალი ზელანდიის მაორები, აგრეთვე აღდგომისა და ჰავაის კუნძულების პოლინეზიელები.

კოლონიზაციის პროცესში პოლინეზიელთა ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა. ზოგან ევროპელმა დამპყრობლებმა ისინი მთლიანად გაანადგურეს, ზოგან კი ნაწილობრივ, მაგალითად, აღდგომის კუნძულზე აბორიგენები მთლიანად ამოწყვიტეს, მარკიზის კუნძულებზე კი მთელი მოახლეობის

9/10. იმავე დროს, ევროპელი, ამერიკელი (აშშ) და აზიელი იმიგრანტებით აივსო ახალი ზელანდია და ჰავაის კუნძულები, რის შედეგადაც აბორიგენები აქ ეროვნულ უმცირესობაში აღმოჩნდნენ, და პირიქით. სამოას, ტონგას, ტაიტის, კუკის და ზოგ სხვა კუნძულზე აბორიგენები დღესაც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

მეურნეობისა და კულტურის განვითარების დონით პოლინეზიელებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს წინ ოკეანეთის დანარჩენ მოსახლეობას. ჯერ კიდევ კოლონიზაციამდე არსებობდა პოლინეზიაში ისეთი პრიმიტიული სახელმწიფოები, როგორიც იყო ტონგა და ტაიტი; მაორების გარდა დღეს პოლინეზიელთა ყველაზე მსხვილი ეთნიკური ერთეულებია: სამოელი, ჰავაელები, ტაიტელები, ტონგაელები და სხვ. ამათგან ყველაზე უკეთ თავისი ეთნიკური კულტურა შემონახული აქვთ სამოელებსა და ტონგაელებს.

ეთნიკური კონსოლიდაციის დაჩქარებას და ცალკეულ ეროვნებათა წარმოშობას პოლინეზიაში ხელს უწყობდა ეროვნული კულტურულ-საყოფაცხოვრებო ტიპები. აქ თავისებური სახით იყო წარმოდგენილი ტროპიკული ზოლის ოთხნიანი მიწათმოქმედება, განვითარებული იყო ზღვაოსნობა.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. კოლონიზაციამდე პოლინეზიელებს საკმაოდ დაწინაურებული მეურნეობა ჰქონდათ. მათი მთავარი საქმიანობა განვითარებული მიწათმოქმედება და მეთევზეობა იყო. მიწათმოქმედება მთელს პოლინეზიაში იყო გავრცელებული. ბევრ კუნძულზე ძველთაგანვე იყენებდნენ ხელოვნურ რწყვას, მიწის განოყიერებას, ზოგან კი ტერასულ სისტემას, მაგრამ მიწათმოქმედების ეს დაწინაურებული სისტემა ყველგან მარტივი შრომის იარაღებს ემყარებოდა. მთავარი სამიწათმოქმედო იარაღი იყო ხის დიდი ძარგილი, რომელსაც ფეხის საბჯენი კავი მარტო ახალ ზელანდიაში ჰქონდა. პოლინეზიაშიც, მელანეზიის მსგავსად, ტროპიკული ტიპის სამიწათმოქმედო კულტურები იყო გავრცელებული; ქოქოსის პალმის, ბანანისა და პურის ხის გარდა პოლინეზიელებს თავიანთ ბოსტანში მოჰყავდათ ტარო, იამსი, ბატატი, გოგრა და სხვ.

ცნობილია, რომ სამიწათმოქმედო კულტურის საწყის საფეხურზე მიწათმოქმედება ქალის საქმე იყო. პოლინეზია კი ამ საწყის საფეხურს მნიშვნელოვნად იყო გადაცილებული — აქ მიწის დამუშავება ქალისა და მამაკაცის საერთო, საზიარო, ან უპირატესად მამაკაცის საქმიანობას წარმოადგენდა. მიწის მძიმე სამუშაოებს (ნაკვეთის გასუფთავება, ბარვა), როგორც წესი, კაცები ასრულებდნენ, ქალები კი მათ კვალს მისდევდნენ და ამოთხრილ ბელტებს ხელითყფშვნიდნენ. სარეველა მცენარეებისაგან ნათესნარგავების გაწმენდა და მოსავლის აღებაც ქალს ევალებოდა.

პოლინეზიაში ნადირობას, ნადირის სიმცირის გამო, არასოდეს ჰქონია სამეურნეო მნიშვნელობა. შინაური ცხოველებიდან გავრცელებული იყო ღორი, ძაღლი და ქათამი. იქაურმა ძაღლმა ყეფა არ იცოდა და მას უმთავრესად

სახორცედ აშენებდნენ. ქათმები ყველგან ჰყავდათ პოლინეზიაში, მაგრამ ქათმის კვერცხებს არსად არ ჭამდნენ. გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ღორს, რომლის წარმოშობის შესახებ ოკეანეთში ორი შეხედულება არსებობს: პირველის თანახმად, ეს ცხოველი ოკეანეთში პოლინეზიელებს თავიდანვე შემოუყვანიათ წინარე სამშობლოდან; მეორე შეხედულებით, პირიქით, ესპანელთა მიერ პოლინეზიის კოლონიზაციის პერიოდში გაჩენილა იგი აქ.

დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა პოლინეზიაში მეთევზეობას. თევზაობდნენ ძვლის ანკესებით, დიდი და პატარა ბადეებით, ზოგან შუბებით. სამოელები კი ამ მიზნით მშვილდ-ისარსაც იყენებდნენ. პოლინეზიელები დახელოვნებულნი იყვნენ ზვიგენზე მისატყუებლით ნადირობაში და მათ ნავებიდან კომბლებით ხოცავდნენ. ასეთსავე დახელოვნებას იჩენდნენ ისინი ზღვის ვეებერთელა კუზე ნადირობაშიც. მეთევზეობას, როგორც წესი, მამაკაცები მისდევდნენ. პოლინეზიელთა მთავარ სარჩოს მცენარეული და თევზეული საკვები შეადგენდა. ხორცეული საჭმელი მხოლოდ წარჩინებულთა წრეებისათვის („ბელადები", ე.წ. „კეთილშობილნი") იყო ხელმისაწვდომი (ტარო, ბატატი, ქოქოსის კაკალი, ბანანი). არანაკლებ ყუათიანობის გამო ასეთი პროდუქტების დღიური ნორმა ერთ კაცზე 5-6 კილოგრამს აღწევდა. პოლინეზიაში გავრცელებული იყო პროდუქტების დაკონსერვება და ღრმა ორმოებში შენახვა. კერძის დასამზადებლად იყენებდნენ მიწის ღუმელებს. ცეცხლს ხახუნით აჩენდნენ და დიდხანს ჩაუქრობლად ინახავდნენ. სასმელებიდან გავრცელებული იყო ქოქოსის „რძე", განსაკუთრებით კი მაგარი სასმელი „კავა", რომელსაც წყალში გაზავებული პილპილის ფესვების წვენიდან ამზადებდნენ. დასავლეთ პოლინეზიაში „კავა" წმინდა სასმელად ითვლებოდა და მისთვის სპეციალური სასმისები იყო განკუთვნილი.

ნ ი ვ თ ი ე რ ი კ ულ ტ უ რ ა. ვარაუდობენ, რომ პოლინეზიელთა წინაპრები ოკეანეთში მოსვლამდე საკმაოდ კარგად იცნობდნენ ლიოთონის დამზადების ხელოვნებას, მაგრამ საბადოების უქონლობის გამო პოლინეზიაში ლიოთონის იარღას არ ამზადებდნენ. სამაგიეროდ ქვის, ხის, ძვლისა და ნიჟარების დამუშავების ტექნიკა ისეთ მაღალ დონეზე იყო, რომ მას ბადალი არ მოეპოვებოდა ნეოლითური კულტურის მქონე არც ერთ საზოგადოებაში. შრომის იარაღებში ყველაზე მთავარი და გავრცელებული იყო ტარზე დაგებული ქვის ცული, რომელსაც უნივერსალური დანიშნულება ჰქონდა პოლინეზიელთა ყოფაში.

საბრძოლო იარაღებიდან გავრცელებული იყო როგორც სატყორცნი და დასარტყმელი (ნაირ-ნაირი კომბალი, შუბი, შურდული და სხვ. ისე თავდასაცავი (დაწნული აბჯარი) საშუალებები.

ზღვაოსნობის მაღალმა ტექნიკამ მნიშვნელოვნად განაპირობა პოლინეზიელთა გ ა ნ ს ა ხ ლ ე ბ ი ს თავისებურებანი ოკეანეთში. ასეული და

ათასეული კილომეტრებით ერთმანეთისაგან დაშორებულ კუნძულების შორის ნაოსნობა სისტემატურ სასიათს ატარებდა. მათ საზღვაო „ფლოტში" მრავალფეროვანი და სხვადასხვა დანიშნულების (საბრძოლო, საოჯახო, სამხედრო და სხვ.) დიდი და პატარა ნავები შედიოდა. ნავების მშენებელი ოსტატები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ საზოგადოებაში და სპეციალურ კასტას შეადგენდნენ. მათ მფარველად ითვლებოდა ღვთაება ტანე, რომელსაც ნავის აგების წინ საგანგებო მსხვერპლს სწირავდნენ. ნავის დამზადებასა და წყალში ჩაშვებასთან სხვადასხვა ცერემონია იყო დაკავშირებული, პოლინეზიელები შესანიშნავად იყენენ დაუფლებული ოკეანეთში ნაოსნობის რთულ ხელოვნებას. ისინი კარგად ერკვეოდნენ ზღვის დინებაში, მნათობების მიხედვით გზის გაკვლევაში, ღარსა თუ ავდარში ნიჩბიანი ხომალდების მართვაში. შორეული საზღვაო ექსპედიციების ღროს თან მიჰქონდათ სასმელი წყლისა და დაკონსერვებული საგზლის დიდი მარაგი.

პოლინეზიელები მოწნულ ან ფიცრულ ს ა ხ ლ ე ბ შ ი ცხოვრობდნენ. მათი ტიპური საცხოვრებელი სახლი იყო ორფერდა სახურავიანი, სწორკუთხედი ან ოვალური მოყვანილობის სახლი, რომელიც მაღალ სვეტებზე იდგა და პალმით ან ისლით იყო გადახურული. ახალ ზელანდიაზე, შედარებით უფრო მკაცრი კლიმატური პირობების გამო, გავრცელებული იყო მდიდრულად მოჩუქურთმებული ფიცრული სახლები, მარკიზის კუნძულებსა და სამოაზე კი ქვის ბალავრიანი ხის დიდი სახლები. სახლის შიდა მოწყობილობა მეტად მარტივი იყო, თითქმის უავეჯო. დიდი ქოხები ჭილოფის ფარდებით იყო გადატიხრული იმდენ „ოთახად", რამდენი პატარა ოჯახიც ცხოვრობდა მთელ სახლში. კერა კი ორმოში იყო გაკრთოლილი. ცოლ-ქმარს კერის პირას დაფენილ ჭილოფებზე ეძინათ. იქვე ქოხის სახურავი მიწამდე არ იყო დაქანებული და საცხოვრებელ სახლს კედლები არ ჰქონდა, ოჯახის მთელი ცხოვრება გარედან ჩანდა.

სახლებისა და ნავების მშენებლობის გარდა, პოლინეზიაში ფართოდ იყო გავრცელებული ტაპას წნეხა და ჭილოფის წვნა. ტ ა პ ა ქსოვილის დანიშნულებას ასრულებდა და მას ყველგან თითქმის ერთნაირი ტექნიკით წნეხდნენ მცენარის კანისაგან; ხეს დანით ქერქს ჯერ გრძლად ჩააჭრიდნენ, შემდეგ მერქანს ააგლეჯდნენ და შიგნითა კანს გააცლიდნენ, წყალში დაალბობდნენ, ფიცარზე დადებდნენ და ხის საბეგვლით მანამდე ბეგვავდნენ, ვიდრე მის სიგრძეს სიგანეს არ გაუტოლებდნენ. ბოლოს გვერდების შეუსწორებდნენ; თუ დიდი ტაპას დამზადება სურდათ, ცალკეულ ნაჭრების ერთმანეთთან შეაერთებდნენ. ამ მიზნით, ტაპას ნაჭრების ნაწიბურების აღმოსავლეთ პოლინეზიაში ერთმანეთს შეაწნეხდნენ, დასავლეთ პოლინეზიაში — შეაწებებდნენ, აღდგომის კუნძულზე კი — გადააკერებდნენ. ტაპა ხაოიანი და სახიანი იყო. მხატვრული სახეები მის ზედაპირზე დაჩითვის წესით გამოჰყავდათ. პოლინეზიელები ტაპას იყენებდნენ არა მარტო ტანსაცმლის,

არამედ საფენების, ფარდების, სამკაულებისა და სხვათა დასამზადებლად.

თუმცა პოლინეზიელები როვასა და ქსოვას, საერთოდ ფეიქრობას, არ მისდევდნენ, სამაგიეროდ წნული ნახელავის დამზადებაში მეტად დახელოვნებულნი იყვნენ. მცენარეული ბოჭკოსაგან პოლინეზიელები წნავდნენ როგორც სამოსლის ელემენტებს (სარტყელი, წინსაფარი), ისე ნაირნაირ საფენებს, განსაკუთრებით ჭილოფებს. სამოას კუნძულზე ჭილოფი „ფულის" ფუნქციასაც ასრულებდა. დასავლეთ პოლინეზიაში ჭილოფის ხარისხი ხშირად მისი მფლობელის საზოგადოებრივი მდგომარეობის მაჩვენებლად ითვლებოდა; ქორწილისა და დაკრძალვის დროს მიღებული იყო ძვირფასი ჭილოფებით დასაჩუქრება.

პოლინეზიელთა სამოსელი ძველად არ იყო მრავალფეროვანი: მამაკაცის კოსტიუმის მთავარი ელემენტი იყო ჭილოფის ან ტაპას სარტყელი, ქალისა კი ქვედატანი ან წინსაფარი. ტაპას სამოსელს პოლინეზიელები ფაქიზად ხმარობდნენ, რადგანაც მისი გარეცხვა არ შეიძლებოდა. რაც უფრო კარგი და ძვირფასი მასალისაგან დამზადებული ტანსაცმელი ეცვა ადამიანს, მით უფრო მდიდარ კაცად ითვლებოდა იგი. მაგალითად, წარჩინებული ტაიტელი მეომარი სამი ფერის წამოსასხამს ატარებდა. მაღალი წრის მანდილსნები ხშირად ოქროებზე ოთორსა და წითელ ტაპას ან ჭილოფს ოთხ ფენად შემოიხვევდნენ. ჰავაის კუნძულებზე მდიდარი მამაკაცები ფრინველის ტყავისა და ფროებისაგან დამზადებულ წამოსასხამებს ატარებდნენ. ყველაზე ბევრი ტანსაცმელი გავრცელებული იყო ახალ ზელანდიაზე. აქ იყენებდნენ როგორც ახალზელანდიური სელისაგან, ისე ძაღლის ტყავისაგან დამზადებულ სამოსელს. მცირე გამონაკლისის გარდა პოლინეზიაში საერთოდ უცნობია ფეხსაცმელიც და თავსაბურავიც. ამჯამად იქ ევროპული ჩაცმულობაა გავრცელებული.

პოლინეზიაში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა სამკაული, განსაკუთრებით მოსწონდათ თავის შემკობა ყვავილებით. მათი სახალხო დღესასწაულების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი სწორედ ყვავილების თაიგულები იყო. ყვავილების გარდა შესამკობად იყენებდნენ ფერადი ფრინველის ფროებს, რიყარებისაგან აცმულ ყელსაბამებს, სამაჯურებს, ცხოველთა ბრჭყალებს, კბილებს და სხვა ასეთებს.

პოლინეზიელთა კულტურის ერთ-ერთი სპეციფიკური ელემენტი ძველად სხეულის ტატუირება ანუ მოხატვა იყო. სხეულის მოხატვას პოლინეზიაში სოციალური და რელიგიური დანიშნულებაც ჰქონდა. ახალგაზრდების ტატუირებას პოლინეზიაში უმთავრესად მაშინ მიმართავდნენ, როცა ქალიშვილები და ჭაბუკები პიროვნების საზოგადოებრივი მდგომარეობისა და დამსახურების მაჩვენებლად და მის პრივილეგიად ითვლებოდა. პოლინეზიაში ტატუირების ოსტატები ცალკე კასტას შეადგენდნენ და ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. სხეულის მოსახატავად ოსტატი ქვის, ხის

ან ძელის მახვილკბილებიან საკარცხელსა და ხის ნიჩხისებურ კვერს იყენებდა — ადამიანის სხეულზე ჯერ გამოსახულების კონტურს ხატავდა. შემდეგ კონტურის ხაზზე საკარცხლის კბილებს აბჯენდა, საკარცხელზე კვერის დარტყმით კანს დაჩხვლეტდა და ნაჩხვლეტებში ლურჯი საღებავი შეჰქონდა. კანის მოხატვის პროცესი საკმაოდ მტკივნეული იყო. განსაკუთრებით ტუჩ-ბაგის, ქუთუთოებისა და ცხვირისა, რაც ხშირად კანის ანტების იწვევდა. ამასთან, მამაკაცის მოხატულობა უფრო მდიდრული იყო, ვიდრე ქალისა. ტატუირების ხელოვნება განსაკუთრებით იყო დაწინაურებული მარკიზის კუნძულებზე, სადაც მას უძველესი ტრადიციები გააჩნდა.

საზოგადოებრივი წყობა. კოლონიზაციის დასაწყისში პოლინეზიელთა საზოგადოებრივი ცხოვრება რთული სოციალური მოვლენებით ხასიათდებოდა. მიმდინარეობდა კლასობრივი საზოგადოების ფორმირების საერთო პროცესი, ზოგან თემური ურთიერთობის ძლიერი გადმონაშთების, ზოგან კი პრიმიტიული სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბების პირობებში. საზოგადოება სხვადასხვა სოციალურ ფენად იყო დაყოფილი — პრივილეგირებულ კლასს შეადგენდნენ მსხვილი მიწათმფლობელები. მოსახლეობის უმრავლესობას — რიგითი მეთემეები (მიწათმოქმედნი და ხელოსნები). ყველაზე დაბალ ფენას კი — მონები. მიწათმფლობელები ექსპლოატაციას უწევდნენ რიგით მეთემეებსა და მონებს. სოციალური დიფერენციაციის ეს პროცესი პოლინეზიაში შინაგანი განვითარების შედეგი იყო და არა გარეშე ფაქტორების ზეგავლენის ნაყოფი. სიმდიდრის წარმოშობა აჩქარებდა თემური წყობილების ფორმების საბოლოო რღვევას და კლასების ჩამოყალიბებას. მელანეზიისაგან განსხვავებით გაცვლა-გამოცვლის პოლინეზიაში არ მიუღია ფართო ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ აქ ხელოსნობა მიწათმოქმედებისაგან არა მარტო გამოყოფილი იყო, არამედ საკმაოდ განვითარებულიც.

თემური ურთიერთობების რღვევა პოლინეზიაში მრავალი თავისებურებით ხასიათდებოდა. ვარაუდობენ, რომ შორეულ წარსულში პოლინეზიელები მატრიარქალურ გვარებად ცხოვრობდნენ. ეს ვარაუდი ემყარებოდა ისეთ გადმონაშთურ მოვლენებს, როგორიცაა პოლინეზიის ზოგიერთ კუნძულზე დამოწმებული მატრიარქალური ქორწინება, ქალის შედარებით მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა და სხვ. მაგრამ პოლინეზიაში მატრიარქალური გვარი შეიცვალა არა პატრიარქალურით, არამედ საოჯახო თემით. ამ ქვეყანაში სრულიად უცნობი იყო ქალის გამოსასყიდი — ურვადი, რომელიც სწორედ პატრიარქალური წყობისათვის არის დამახასიათებელი. სამაგიეროდ, დასავლეთ პოლინეზიის კუნძულებზე (სამოა, ტონგა, ფუტუნა და სხვ.) დამოწმებულია ავუნკულატი, რომელიც მატრიარქალური გვარის დროინდელ ჩვეულებად ითვლება (ავუნკულატი — ლათინური სიტყვაა avunkulus — დედის ძმა — ძველ გერმანელებში, ძველ ბერძნებსა და აფრიკის ზოგიერთ ხალხში

დამოწმებული ჩვეულება, რომელიც დისწულსა და დედის ძმას (ბიძას) შორის არსებულ მჭიდრო ნათესაურ ურთიერთობას გამოხატავს). ამ ჩვეულებით, დედის ძმა ვალდებულია, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს თავისი დისწულის მიმართ, ვიდრე ღვიძლ შვილზე (დაიცვას იგი, აღმოუჩინოს დახმარება, მემკვიდრეობით გადასცეს თავისი ქონება და ა'შ).

ს ა ო ჯ ა ხ ო თ ე მ ი. პოლინეზიელთა სოციალური განვითარების ერთ-ერთი თავისებურება სწორედ მატრიარქატიდან უშუალოდ საოჯახო თემზე გადასვლით გამოიხატება. თუ მსოფლიოს მეტწილ ხალხებში საოჯახი თემი, ანუ დიდი ოჯახი, პატრიარქალური გვარის ერთ-ერთ დანაყოფს, ანუ ასეთი გვარის დაშლის პროცესში ჩამოყალიბებულ ერთეულს წარმოადგენდა, პოლინეზიელებში იგი საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი იყო. ასეთ ოჯახში განუყოფლად ცხოვრობდა დიდი ნათესაური კოლექტივი — ერთი წინაპრიდან მომდინარე სამი, ოთხი თაობა მამის მხრიდან. პოლინეზიაში ასეთი ოჯახი ჩვეულებრივ 30-50 სულისაგან შედგებოდა. საოჯახო თემის წევრები კოლექტიურად ამუშავებდნენ, ხოლო ცალცალკე გამოყოფილ ნაკვეთებს თითოეული ცოლ-ქმარი ინდივიდუალურად. საოჯახო თემის ყველა წევრი ეწეოდა საერთო მეურნეობას და საზოგადო შრომით მოპოვებული პროდუქტების მოხმარებაც კოლექტიურ ხასიათს ატარებდა. თუმცა ნომინალურად დიდი ოჯახის მეთაური ითვლებოდა სათემო მიწის განმკარგულებლად, მას არ ჰქონდა უფლება, რაიმე გადაწყვეტილება მიეღო ამ მიწის თაობაზე, თემის სრულწლოვანი წევრების დასტურის გარეშე. თავის მხრივ, ყველა საოჯახო თემი, ანუ დიდი ოჯახი, პოლინეზიაში თანაბარი უფლებებით როდი სარგებლობდა, თითოეულ ოლქში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ერთ რომელიმე დიდ ოჯახს, რომელიც სხვებთან შედარებით დიდი მემკვიდრეობითი პრივილეგიებით სარგებლობდა. სატომო მმართველობის სისტემაში ყველა მაღალი თანამდებობა ამ პრივილეგირებული ოჯახის წევრებს ეკავათ. ისინი შეადგენდნენ ტომების მემკვიდრეობით დიდკაცობას, გვაროვნულ არისტოკრატიას.

ს ა ს ო ფ ლ ო თ ე მ ი. ერთმანეთის მეზობლად დასახლებული რამდენიმე ასეთი დიდი ოჯახი შეადგენდა ცალკეულ სოფელს, ანუ სასოფლო (ტერიტორიულ) თემს, რომლის საერთო მიწები ამ ოჯახებზე იყო დანაწილებული. პოლინეზიაში თითოეულ ასეთ სასოფლო თემში საშუალოდ 10-15-მდე დიდი ოჯახი (300-500 კაცამდე) შედიოდა. სოფლის თემს დიდი ოჯახის მეთაურებისაგან შემდგარი სათემო საბჭო განაგებდა. თუმცა საერთო საკითხების განხილვაში თემის ყველა წევრს შეეძლო მიეღო მონაწილეობა, გადაწყვეტილების მიღება მაინც თავკაცობის პრეროგატივას შეადგენდა. ასეთ საბჭოს ქურდებისა და ტრადიციების დამრღვევთა სამართალიც ეკითხებოდა და დამსჯელი ფუნქციებიც გააჩნდა, მას შეეძლო დანაშაულის ჩადენისა და ურჩობისათვის თემიდან მოკვეთაც და მისი ქონების კონფისკაციაც.

ზოგიერთი თავისებურების მიუხედავად, პოლინეზიაში სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი იმავე ზოგადი კანონზომიერებით ხასიათდებოდა, როგორც მსოფლიოს სხვა ხალხებში. აქაც სოციალური დიფერენციაციის შედეგად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ კლასები — თავისუფლები და მონები, მდიდრები და ღარიბები. თემური ურთიერთობის რღვევის პროცესშივე პოლინეზიაში ჩამოყალიბდა მემკვიდრეობითი კასტური წყობა, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდა სხვადასხვა სოციალური ძალა: რიგითი მეთემეები და თემის აღზევებული წევრები — კეთილშობილნი. ყველაზე დაბალ ფენას შეადგენდნენ მონები (მეტწილად სამხედრო ტყვეები), რომლებიც არცერთ კასტას არ ეკუთვნოდნენ. ისინი მოქცეული იყვნენ პატრიარქალური მონობის ფარგლებში. მაგალითად, კუნძულ ტაიტიზე ძონა მოკლებული იყო პირად უფლებას, ბელადის საკუთრებად ითვლებოდა და ძის მაძულში მუშაობდა. ბელადს თუმცა შეეძლო თავისი მონის მსხვერპლად შეწირვა და გაჩუქება, მაგრამ მონით ვაჭრობა და მონების ბაზარი აქ ჯერ კიდევ უცნობი იყო. პოლინეზიელთა საზოგადოების ძირითადი მასა სწორედ ასეთი იერარქიული სტრუქტურის მქონე მემკვიდრეობითი კასტებისაგან შედგებოდა. ამ იერარქიას სათავეში ედგა გვაროვნული არისტოკრატია — ბელადები და წარჩინებულები. ფაქტობრივად, პრივილეგირებული სოციალური ფენა წარმოადგენდა მსხვილ მიწათმფლობელთა მემკვიდრეობით არისტოკრატიას. კუკის კუნძულებზე ასეთ მემკვიდრეობით არისტოკრატიას სამი გამიჯნული კასტა შეადგენდა — არიკი (უზენაესი ბელადი, ანუ ე.წ. მეფე) და ძისი სახლობა, მატაიაპო — ადგილობრივი ბელადი და რანგატირა — მსხვილი მიწათმფლობელები. ანალოგიური სურათი იყო კუნძულ სამოაზე, სადაც ადგილობრივი არისტოკრატია — მატაი მსგავსივე ფენებისაგან შედგებოდა. ასეთები იყვნენ: ალიები, ანუ ბელადები; უხიალიები, ანუ უმცროსი ბელადები — ბელადის ძმები და ტულაფალები, ანუ დიდი ოჯახების უფროსები და გავლენიანი თემების მეთაურები. ამ მსხვილ მიწათმფლობელთა შორის მთავარი განსხვავება ის იყო, რომ სატომო მმართველობაში ძალიან თანამდებობანი მხოლოდ უფროსსა და უმცროს ბელადებს ეკავათ.

პოლინეზიელთა საზოგადოებრივ სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ხელოსანთა კასტებს. თითოეულ ასეთ კასტას მოეძებებოდა თავისი საწარმოო საიდუმლოება, რომელსაც სხვებს არ უმხელდნენ. პროფესიულ-საწარმოო პრინციპზე დამყარებული ასეთი მემკვიდრეობითი კასტები ჰქონდათ ქვითხუროებს, ხითხურეობს, ნამშენებლებს, მეთევზეებს, ტატუირების ოსტატებს და სხვ. თავკაცთა რიცხვს ეკუთვნოდნენ და საზოგადოებაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ ხელოსნობის ისეთი დარგების წარმომადგენლები, როგორიცაა: დურგლები, ნავების მშენებლები, მეთევზეები; შედარებით უფრო ნაკლები საპატიო პროფესიის მოხელეები კი რიგით მიწათმოქმედებს უტოლდებოდნენ.

კასტური ფორმა არსებითად ხელოსნობის თითქმის ყველა დარგში იყო წარმოდგენილი. ამ კასტებისათვის პირველ რიგში დამახასიათებელი იყო პროფესიის მემკვიდრეობა და კარჩაკეტილობა, საწარმოო საიდუმლოების თაობიდან თაობაზე გადაცემა.

კასტური წყობის კლასიკურ ქვეყნად ინდოეთია მიჩნეული, მაგრამ ეს ინსტიტუტი არც სხვა ხალხებისათვის, კერძოდ პოლინეზიელებისათვის ყოფილა უცხო.

პოლინეზიის ტომებს შორის საკმაოდ ხშირი იყო შეღლი და შეიარაღებული თავდასხმები. მეკობრული ომების მთავარი მიზანი მიწების მიტაცება და ტყვეების მონებად გადაქცევა იყო.

ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. პოლინეზიელთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები საკმაოდ შეესაბამებოდა მათი სოციალური განვითარების დონეს. მარტივი რელიგიური რწმენები მხოლოდ შორეული გადმონაშთების სახით იყო შენონახული. ტოტემიზმი აქ დიდი ხნის წინ იყო არსებითად გამქრალი. მართალია, მაგიას დაკარგული ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, მაგრამ ისეთი მოვლენები, როგორიცაა ტაბუ და მანა, ზოგან დღემდეა შემონახული. პოლინეზიელთა წარმოდგენით, მანა იყო იდუმალი, განსაკუთრებული ძლიერების მქონე ძალა, რომელსაც ადამიანისათვის ყოველგვარი სიკეთე და წარმატება მოჰქონდა. მაგრამ ასეთი ძალა (ანუ მანა) ყველა პოლინეზიელს როდი გააჩნდა. განსაკუთრებული ძლიერი მანა მიეწერებოდა ბელადებსა და ტომის დიდკაცობას, რომლებიც დიდად უფრთხილდებოდნენ მას. მაოროა წარმოდგენით, ტყვედ ჩავარდნილი ბელადი პირველ რიგში კარგავდა მანს. ამიტომაც ბელადები ერიდებოდნენ ყველაფერ ამას, რასაც შეეძლო მათი მანის დაძაბუნება-შესუსტება, ავტორიტეტისა და პრესტიჟის დაცემა. ბელადებისა და არისტოკრატიის ძალაუფლება სწორედ მანაზე იყო დამყარებული. გაცილებით უფრო ნაკლები ძალის მანა ჰქონდათ მცირემიწიან და უმიწაწყლო მეთემეებს, ხოლო მონები კი საერთოდ მოკლებული იყვნენ ყოველგვარ მანას,

მანას იდეოლოგიასთან უშუალო კავშირში იყო ტ ა ბ უ (ტაბუ — აკრძალვა — პოლინეზიური ტერმინია, რომელიც ევროპულ ლიტერატურაში პირველად შემოიტანა მოგზაურმა ჯეიმს კუკმა), რომელსაც ტომის ბელადები და არისტოკრატია თავიანთი ინტერესებისათვის იყენებდნენ. ბელადი თვითონ წარმოადგენდა ტაბუს — რასაც ბელადი ხელით შეეხებოდა, თანატომელთათვის მისი შეხება სასტიკად იყო აკრძალული.

რელიგიის უშუალო კავშირი პოლინეზიელთა საზოგადოებრივ წყობასთან განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატებოდა გალმერთებაში. პოლინეზიაში ბელადის პიროვნება თითქმის ყველგან წმიდათაწმიდა შარავანდით იყო მოსილი და კულტის ობიექტად გადაქცეული. განსაკუთრებით წმინდა ნაწილებად ითვლებოდა ბელადის თავი და მისი თეძოს სარტყელი, რომლებსაც

უბრალო მოკვდავი ვერ შეეხებოდა, ასეთი მოქმედება მიუტევებელ დანაშაულად და მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. ამასთან იყო დაკავშირებული არა მარტო ბელადის სახელის წარმოთქმის აკრძალვა, არამედ ზოგიერთ კუნძულზე (სამოა, ტაიტი და სხვ.) ამ სახელის მსგავსი სიტყვის ხმარებაც.

წმინდანთა მეორე კატეგორიას ეკუთვნოდნენ ქურუმები და ქადაგები. რომლებიც უშუალოდ ენათესავებოდნენ ბელადებს. პროფესიონალი ქურუმები და ქადაგები „შუამავლობდნენ" თავიანთ ღვთაებებსა და ხალხს შორის, აუწყებდნენ მეთემეებს ღმერთების ნება-სურვილს.

პოლინეზიელებს საიქიო ცხოვრება საკაროს მსგავსად ჰქონდათ წარმოდგენილი. მათ სჯეროდათ, რომ მიცვალებულის სულის მდგომარეობას საიქიოში განსაზღვრავდა ადამიანის რანგი საკაროში. სამოთხეში მხოლოდ მაღალი კასტის წარმომადგენელთა სულები იმყოფებოდნენ განცხრომაში. სწორედ ასეთი სულებისათვის ყოფილა განკუთვნილი ცათა სასუფეველი ანუ „ჰავაიკა", მაშინ როცა უბრალო ადამიანების სულებისათვის ქვესკნელი ან წყალქვეშეთი ყოფილა გამოყოფილი. ტონგაელთა რწმენით, საიქიოში უკვდავება მარტო წარჩინებულთა სულების ხვედრი ყოფილა, ხოლო ჩვეულებრივ მოკვდავთა სულები კი ადამიანთა სიკვდილისთანავე იღუპებოდნენ. ცნობილია, რომ ანალოგიური წარმოდგენები საიქიოზე დამახასიათებელი იყო ძველი აღმოსავლეთის ბევრი ადრეკლასობრივი საზოგადოებისათვის.

პოლინეზიელთა ამ რელიგიურ წარმოდგენებს შეესაბამებოდა მიცვალებულთა დაკრძალვის წესები, რომლებშიც თავისებურად იყო ასახული რიგორც სოციალური ფაქტორები, ისე მათი შორეული საზღვაო მიგრაციების გამოძახილი. მაგალითად, სამოაზე დამოწმებულია წყალზე „დასაფლავების" წესი; აქ მიცვალებულის გვამს პირდაპირ ნავით გაუშვებენ ღია ზღვაში. ვარაუდობენ, რომ ასეთი ჩვეულება პოლინეზიელებში უნდა შემუშავებულიყო დიდი საზღვაო მიგრაციების დროს, როცა ჯერ კიდევ ცოცხლობდა მოგონება პოლინეზიელთა გამოსვლის შესახებ მათი ლეგენდარული სამშობლოდან (ჰავაიკა), რომელიც მათსავე რელიგიურ წარმოდგენებში ასევე სახელწოდების მქონე სულთა სასუფეველთანაა გაიგივებული ზეცაში. წყალში დაკრძალვის გარდა, რიგით მიცვალებულებს მიწაში ამარხავდნენ. ხოლო წარჩინებულთა მუმიფიცირებულ გვამებს საგვარეულო აკლდამებში.

მელანეზიელებისაგან განსხვავებით, პოლინეზიელებს უკვე შემუშავებული ჰქონდათ დიდი ღმერთების პანთეონი, რომელშიც მთავარი ადგილი ბუნების 4 დიდ ღვთაებას — ტანე, ტუ, რონგო და ტანგაროას ეკავა. ტ ა ნ ე მიჩნეული იყო მზის ღვთაებად, გამანაყოფიერებელ ღმერთკაცად; ტუ ითვლებოდა ომის ღვტაებად; რ ო ნ გ ო (ლონო, როო) — წვიმის, მიწათმოქმედებისა და მოსავლის აღების ღმერთად; ტ ა ნ გ ა რ ო ა (ტანგალოა, ტაგალოა, ტაალოა, კანალოა) — სხვადასხვა ფუნქციის მქონე ღვთაებად: სამოაზე — დედამიწისა და ადამიანის გამჩენად, ტონგაზე —

ხელოსნებისა და მხატვრების მფარველად, მარკიზის კუნძულებზე — ზღვისა და თევზების ღმერთად. ამ იერარქიულ პანთეონში დიდი ღმერთების შემდეგ განლაგებული უმცროსი ღვთაებები და დემონებისა და ადგილობრივი სულების მთელი დასები.

ამგვარად, ზემომოტანილი მასალიდან უეჭველი ხდება, რომ პოლინეზიელთა რელიგია წარმოადგენდა ადრეკლასობრივი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენების ტიპურ ნიმუშს ოკეანეთში.

ხ ა ლ ხ უ რ ი ც ო დ ნ ა დ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. პოლინეზიელთა დაწინაურებული კულტურა მათ ხალხურ ცოდნასა და შემოქმედებაშიც მკაფიოდ იყო წარმოდგენილი. ზღვაოსნობის განვითარების შედეგად პოლინეზიაში მაღალ დონეზე იყო აყვანილი ნავებისა და ხომალდების მართვის ხელოვნება, რომელიც რთულ ვარსკვლავმრიცხველობაზე იყო დამყარებული. პოლინეზიელი მეზღვაურები წარმატებით იყენებდნენ პრიმიტიულ „რუკებს" ნაოსნობაში. დროის საათვალავს ისინი დღეებით კი არ აღრიცხავდნენ, არამედ ღამეებით. მათ კალენდარში თვის თითოეულ ღამეს საკუთარი სახელი ჰქონდა. დღე-ღამის პერიოდებს მზისა და მთვარე-ვარსკვლავების მოძრაობით ასხვავებდნენ. წელიწადის დროს სამხრეთით ან ჩრდილოეთით მზის დახრილობით საზღვრავდნენ, ხოლო თვეებს მთვარის ფაზებით ანგარიშობდნენ. წელიწადში მხოლოდ ორ დროს გამოყოფდნენ — ზაფხულისას და ზამთრისას. ზომის ეროვნულად მიღებული ჰქონდათ წყრთა, მხარი და დიდი ნაბიჯი.

პოლინეზიელებს მდიდარი ცოდნა ჰქონდათ დაგროვებული ხ ა ლ ხ უ რ მ ე დ ი ც ი ნ ა შ ი, რომელიც უმთავრესად ქურუმებისა და ექიმბაშების ხელში იყო. მკურნალები რაციონალურ საშუალებებთან ერთად იყენებდნენ ბალახეულსა და სხვა მცენარეულ წამლებს; განსაკუთრებით დაწინაურებული ჰქონდათ ქირურგია — ძვლის მოტეხილობისა და ნაღრძობების მკურნალობა, დასახიჩრებული ხელ-ფეხის მთლიანი ან ნაწილობრივი ამპუტაცია. ამ ოპერაციებს ისინი ატარებდნენ მეტისმეტად მარტივი ქვისა და ძვლის ინსტრუმენტებით, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების გარეშე. საჭმლით მოწამვლის შემთხვევაში მიმართავდნენ კუჭის ამორეცხვის თავისებურ წესს. რევმატიზმსა და კანის დაავადებებს ბუნებრივი სამკურნალო წყლებით მკურნალობდნენ (ასეთი წყლებით განსაკუთრებით მდიდარი იყო ახალი ზელანდია). პოლინეზიელები მეანობაშიც ღახელოვნებულნი იყვნენ.

პოლინეზიის ზოგ კუნძულზე ახალგაზრდობისათვის თავისებური „სკოლებიც" არსებობდა. ისინი ორი კატეგორიისა იყვნენ. პირველი განკუთვნილი იყო ბელადებისა და კეთილშობილთა შვილებისათვის, მეორე კი რიგით მეთემეთა ბავშვებისათვის. წარჩინებულთა შვილებს უმთავრესად რელიგიურ საიდუმლოებას ასწავლიდნენ, რიგით მეთემეთა ბავშვებს კი მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის პრაქტიკულ საკითხებს.

მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ მოპოვებული პოლინეზიელების ს ა ხ ვ ი თ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა შ ი, განსაკუთრებით ქანდაკების დარგში. ქანდაკების საუკეთესო ნიმუშები მამაკაცთა ფიგურების სახით ქანდათ წარმოდგენილი. აღსანიშნავია მარკიზისა და ახალი ზელანდიის კუნძულები, სადაც მამაკაცთა ფიგურები დამოწმებულია როგორც დამოუკიდებელი ქანდაკების, ისე ნავების, სახლის სვეტებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შემკულობის სახით. ამ მხრივ ოკეანეთში განსაკუთრებით გამოიყოფა აღდგომის კუნძული, რომელსაც საყოველთაო სახელი გაუთქვა დღემდე იდუმალებით მოცულმა მამაკაცთა ვეებერთელა ქვის ქანდაკებებმა. მამაკაცთა ფიგურების გამოსახულებანი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მხატვრული მოტივია აღმოსავლეთ პოლინეზიის სახვით ხელოვნებაში.

პოლინეზიელებში ფართოდაა გავრცელებული მ უ ს ი კ ა, ც ე კ ვ ა და ს ი მ ღ ე რ ა. მუსიკალური საკრავებიდან აღსანიშნავია: საყვირები, დოლი, ლარჭემი, სასტვენი და სხვ. ისინი სიმღერების ასრულებლნენ როგორც საკრავთა თანხლებით, ისე უაკომპანიმენტოდ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მათში გუნდური სიმღერები სოლისტების მონაწილეობით. პოლინეზიელები ცეკვებს ერთ ადგილზე ასრულებენ. ფეხბალიანელელად. მათში გავრცელებულია კოლექტიური ცეკვები. რომლებშიც ბევრი შემსრულებელი მონაწილეობს. ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი ჯავაელების ტემპერამენტიანი ცეკვა ხ უ ლ ა და მაორების ცეკვა ხ ა კ ა. ხაკას ცეკვის დროს რიგ-რიგად განლაგებული მოცეკვავეები გასაოცარი სინქრონიულობით ასრულებენ სიმღერის ხმასთან ერთად შეხამებულ საცეკვაო ილეთებს, რაც სხეულისა და ხელების რხევით გამოიხატება.

პოლინეზიელებში გავრცელებულია ხალხური თამაშობანი და სპორტის ტრადიციული ფორმები. მათი ფოკლორი მდიდარია ლექსებით, სიმღერებით (მათ შორის შრომის სიმღერებით), ანდაზებით, გამოცანებით, ლეგენდებით, მითებით, ჰიმნებით, შელოცვებითა და სხვა ასეთებით. კულტურის ეროვნულ საზიარო ფორმებთან ერთად პოლინეზიელთა ცალკეული ეთნიკური ჯგუფებისათვის (მაორები, ჰავაელები, ტონგაელები, ტაიტელები და სხვ.) დამახასიათებელი იყო აგრეთვე კულტურის ლოკალური ვარიანტები. მაგრამ პოლინეზიელთა კულტურის განვითარების ეს ბუნებრივი პროცესი შეწყდა XVIII საუკუნის მიწურულში, როცა მათ ქვეყანას ევროპელი კოლონიზატორები დაეპატრონნენ.

პოლინეზიელი ხალხების დამორჩილებაში დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და ამერიკის ხელისუფალნი. XIX საუკუნის ბოლოსათვის პოლინეზიის კოლონიზაცია უკვე არსებითად დამთავრებული იყო. თავიანთი ძალაუფლების განმტკიცებლად კოლონიზატორები არაფერს არ ერიდებოდნენ — ტომების ერთმანეთზე საომრად აქეზებდნენ, ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში მათთვის ერ-

ოგულ ბელადებს აყენებდნენ და მათი საშუალებით მართავდნენ დამორჩილებულ კუნძულებს. იმავე დროს უცხოელი ვაჭრები უმოწყალოდ ძარცვავდნენ აბორიგენებს; ჩალის ფასად იძენდნენ მარგალიტს, ხე-ტყეს და მიწის ნაკვეთებს, ხოლო მეტროპოლიიდან შემოტანილ ცეცხლსასროლ იარაღს მამასისხლად ყიდდნენ. ასეთი იარაღის ფართო შემოზიდვამ და გამოყენებამ კიდევ უფრო დაჩქარა აბორიგენთა ფიზიკური განადგურება. XX საუკუნის დამდეგისათვის პოლინეზიელთა რაოდენობა 180 ათასამდე შემცირდა. იზრდებოდა მუშახელის შემოყვანა სხვა ქვეყნებიდან, რამაც გამოიწვია მკვეთრი ცვლილებები პოლინეზიის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში. ამ პროცესმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო ჰავაის კუნძულებსა და ახალ ზელანდიაში, სადაც რადიკალურად შეიცვალა ეთნიკური კომპონენტების თანაფარდობა და აბორიგენი მოსახლეობა უმნიშვნელო უმცირესობაში აღმოჩნდა.

§ 4. მიკრონეზიელები

ზ ო გ ა დ ი ც ნ ო ბ ე ბ ი. სიტყვა მიკრონეზია ნიშნავს „მცირე კუნძულებს“ (ბერძ. „მიკრო“ — პატარა, მცირე, ნესოს — „კუნძულები“). იგი ეწოდება წყნარი ოკეანის 12 მლნ კმ² ვეებერთელა ზონაში გაფანტულ ორი ათასზე მეტ პაწაწინა კუნძულს. ამ კუნძულების საერთო ტერიტორია სულ 3,4 ათას კმ² შეადგენს. მიკრონეზიის მთელი ხმელეთი კუნძულთა ხუთი ჯგუფისაგან შედგება. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელოვანი მ ა რ ი ა ნ ი ს, კ ა რ ო ლ ი ნ ი ს, მ ა რ შ ა ლ ი ს და ჯ ი ლ ბ ე რ ტ ი ს კუნძულები.

მიკრონეზიის მოსახლეობა არ არის ერთგვაროვანი. აბორიგენთა სხვადასხვა ჯგუფებში შეინიშნება მელანეზიური და პოლინეზიური ანთროპოლოგიური ნიშნების მეტ-ნაკლები მსგავსება: სამხრეთში მელანეზიური (ხუჭუჭთმიანობა), აღმოსავლეთში — პოლინეზიური კომპონენტების უპირატესობით.

მიკრონეზიის დასავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულთა მოსახლეობის ანთროპოლოგიურ ტიპში აშკარად წარმოდგენილია სამხრეთ-აზიური ელემენტი. ეს გამოწვეულია მიკრონეზიის გეოგრაფიული მდებარეობით — მას შუალედი ადგილი უკავია პოლინეზიას, მელანეზიას, ფილიპინებსა და ინდონეზიას შორის.

მეცნიერთა ნაწილი მიკრონეზიელებს პოლინეზიელებად მიიჩნევდა, მეორე დამოუკიდებელ ეთნიკურ წარმონაქმნად თვლიდა, უმრავლესობა მიკრონეზიელთა ე თ ნ ო გ ე ნ ე ზ ი მთავარ როლს პოლინეზიელთა და მელანეზიელთა უძველეს კონტაქტებს ანიჭებდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ჯილბერტის კუნძულების მოსახლეობაში გავრცელებული გადმოცემა მათი წინაპრების შესახებ. გადმოცემის მიხედვით, ეს კუნძულები ოდესღაც დასახლებული ყოფილა შავკანიანი, დაბალტანიანი ხალხით, რომელიც თურმე უმ ხორცს

ჭამდა და თაყვანს სცემდა ობობასა და კუს. შემდეგში ეს ხალხი ლაუსონიელებია დასავლეთიდან მოსულ მეზღვაური ტომების, რომლებსაც ცოლებად დაეპყრობილია ქალები შეურთავთ. ამ შეჯვარების შედეგად წარმოშობილა არქიპელაგის თანამედროვე მოსახლეობა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ ლეგენდაში მიკრონეზიელთა ოდინდელი დასახლების ნამდვილი ისტორიაა ასახული.

მ ი კ რ ო ნ ე ზ ი ე ლ თ ა ე ნ ე ბ ი მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახს ეკუთვნის. მიკრონეზიულ ენებზე ლაპარაკობენ ცენტრალურსა და აღმოსავლეთ მიკრონეზიაში მცხოვრები მცირე ეთნიკური ერთეულები — იაპელები, ულიტიელები, ტრუკები, პონაპენელები, კუსაიელები, მარშალელები, ჯილბერტელები, ბანაბანელები, ნაურუელები და სხვ.

მიკრონეზიის მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ხანგრძლივმა იზოლაციამ განაპირობა გარკვეული თავისებურებების გამომუშავება მათ კულტურაში. კულტურის საერთო ფორმებთან ერთად მათტან ჩამოყალიბდა ლოკალური ვარიანტებიც. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში განასხვავებენ დ ა ს ა ვ ლ ე თ მ ი კ რ ო ნ ე ზ ი ა ს ა (მარიანის კუნძულები, პალაუ, იაპი) და ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ მ ი კ რ ო ნ ე ზ ი ა ს (მარშალისა და ჯილბერტის კუნძულები). ამასთან ერთად ვარაუდობენ, რომ დასავლეთში ჭარბობს ინდონეზიური ელემენტები, ხოლო აღმოსავლეთში — პოლინეზიური; კაროლინის კუნძულებს შუალედური ზოლში აქცევენ.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. მიკრონეზიაში ნაყოფიერი ნიადაგები ძალზე მცირეა. ამიტომაც აქ მიწათმოქმედება უმთავრესად ნაყოფის მომცემი მცენარეების (ქოქოსის პალმა, პურის ხე და სხვ.) მოშენებით იყო შემოფარგლული. მიწათმოქმედების წესები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც მელანეზიასა და პოლინეზიაში; სამაგიეროდ ცენტრალურსა და დასავლეთ მიკრონეზიაში ფართოდ იყო გავრცელებული მეთევზეობა. მაგალითად, პალაუს და იაპის კუნძულებზე მეურნეობის მთავარი დარგი მეთევზეობა იყო. ხოლო მიკრონეზიის სხვა კუნძულებისაგან განსხვავებით, იმავე პალაუზე ცნობილი იყო სარწყავი მიწათმოქმედებაც — მოჰყავდათ ტარო, ბანანი და სხვ. კაროლინის, მარშალისა და ჯილბერტის კუნძულებზე მიკრონეზიელთა ძთავარი სარჩო თევზეულობა იყო. მეთევზეობას აქ მთელი წლის განმავლობაში მისდევდნენ. სამაგიეროდ ამ კუნძულებზე მიწათმოქმედება უფრო სუსტად იყო განვითარებული. გარდა ამისა, ინდონეზიური კულტურის გავლენას მიეწერება დასავლეთ მიკრონეზიის კულტურის ისეთი ლოკალური ელემენტები, როგორიცაა: ბრინჯის მოყვანა მარიანის კუნძულებზე, მეთუნეობა პალაუსა და იაპზე, საქსოვი დაზგა კაროლინის კუნძულებზე და სხვ.

მიკრონეზიაში ნადირის სიმცირის გამო ნადირობას არასოდეს არ ჰქონია სამეურნეო მნიშვნელობა.

ნ ი ვ თ ი ე რ ი კ ულ ტ უ რ ა. მიკრონეზიელთა მთელი ტექნიკა ქვისა და ნიჟარების იარაღებზე იყო დამყარებული. მიწის დასამუშავებელი

მთავარი იარაღი აქ მიწის საოხრელი წვეტიანი ჯოხი იყო. მარიანის კუნძულებზე ასეთ ჯოხთან ერთად მიწათმოქმედებაში გამოყენებული იყო ქვის თოხიც. ბრინჯის სამკელად კი ნიჟარის დანა. მიწათმოქმედებას უმთავრესად მამაკაცები მისდევდნენ. უცნობი იყო მშვილდ-ისარი. ზოგან კი, ძირითადად პალაუსა და იაპის კუნძულებზე ინდონეზიელთა გავლენით, გვხვდება მშვილდ-ისარი და მასთან ერთად გავრცელებული იყო ისრის სატყორცნი მილი.

ცენტრალურსა და აღმოსავლეთ მიკრონეზიაში (სადაც პოლინეზიური კულტურის ელემენტები ჭარბობდა) გავრცელებული იყო სხვადასხვა თევზსაჭერი ხელსაწყო და იარაღი — სათევზაო ნავები, გრძელი ბადეები, სადაფის ანკესების და სხვ. ღია ზღვაში ქალები მამაკაცებთან ერთად თევზაობდნენ. კაროლინის, მარშალისა და ჯილბერტის კუნძულების მოსახლეობა შესაფერისი ქვის სახეობის უქონლობის გამო შრომისა და ბრძოლის იარაღებს, მათ შორის სათემო საკუთრებაში მყოფ დიდ ცულებს, ნიჟარებისაგან ამზადებდნენ. იმავე კუნძულებზე ამზადებდნენ საუკეთესო ნავებს, რომლებითაც ღია ზღვაში საკმაოდ შორს გადიოდნენ. ნავებს აქ, ისევე როგორც საცხოვრებელ სახლებს, მამაკაცები აგებდნენ. მიკრონეზიის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენაში გავრცელებული იყო სხვადასხვა კონსტრუქციის სახლები: მდიდრები და წარჩინებულები ცხოვრობდნენ ხის სვეტებიან ან ქვის ხიმინჯიან სალხებში. დანარჩენები კი პალმის ფოთლებით გადახურულ უბრალო ქოხებში. ქვითხუროობა ძალზე ფასობდა მთელს მიკრონეზიაში. იქაურ კალატოზებს დიდი ლოდებით ამოჰყავდათ არა მარტო სახლის საძირკველი, არამედ ბელადის აკლდამის კედლებიც. სანაპიროებზე ზოგან ქვის ჯიბირებსაც აგებდნენ.

მიკრონეზიელთა ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა დიდი მრავალფეროვნებით. ამას მიკრონეზიის თბილი ჰავით ხსნიან. ტაპა აქ უცნობი იყო. მიკრონეზიელთა ჩაცმულობის მთავარი ელემენტი თეძოს სარტყელი იყო, რომელსაც მცენარეული ბოჭკოებისაგან ამზადებდნენ. ატარებდნენ საყურეებს, ტატუირებას მიკრონეზიაში რელიგიური ხასიათიც ჰქონდა.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ა. მიკრონეზიელთა საზოგადოებრივი წყობა კოლონიზაციამდე ღრმა სოციალური დიფერენციაციით ხასიათდებოდა. მარიანის კუნძულების მკვიდრი მოსახლეობა ჩ ა მ ო რ ო (ადგილობრივი სახელწოდებიდან ჩამორი — ბელადი) დაყოფილი იყო სამ ფენად: პირველს ეკუთვნოდა მ ა თ უ ა (მაღალი ფენა), მეორეს — ა ჩ ა - ო თ ი (საშუალო ფენა) და მესამეს — მ ა ნ გ ა თ ჩ ა ნ გ ი (დაბალი ფენა). პირველ ფენაში შედიოდნენ აგრეთვე მხედრები, მეზღვაურები, მეთევზეები, ნავების მშენებლები, ვაჭრები. საშუალო ფენა ყველაფერში ეხმარებოდა მაღალ ფენას. დაბალი ფენა (უბრალო ხალხი) კი, სხვადასხვა აღკვეთის (ტაბუს) წყალობით, მოკლებული იყო მაღალი კლასის საზოგადოებ-

რივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას და მარტოოდენ მიწათმოქმედებასა და მეთევზეობას მისდევდა.

თითოეული კუნძული დაყოფილი იყო რამდენიმე რაიონად, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე სოფელი შედიოდა. თითოეულ რაიონსა და სოფელს განაგებდა ბელადი და მისი ოჯახის წევრები. მოსახლეობის დაბალი ფენა უზრუნველყოფდა დიდკაცობას საჭმელ-სასმელით. ცენტრალურსა და ალმოსავლეთ მიკრონეზიაში ჯერ კიდევ კოლონიზაციამდე ყალიბდებოდა ადრეკლასობრივი საზოგადოება, რომლის პრივილეგირებულ კლასს შეადგენდა „კეთილშობილნი". ამათ რიცხვს პირველ რიგში ეკუთვნოდნენ დიდი და პატარა ბელადები, რომლებიც არავითარ ფიზიკურ შრომას არ ეწეოდნენ. მათ მამულებს ამუშავებდნენ ღარიბი უმიწაწყლო მეთემეები, რომლებიც ეკონომიკურად თავიანთ პატრონებზე იყვნენ დამოკიდებულნი.

მიკრონეზიაში შემონახული იყო გვაროვნული ყოფის გადმონაშთებიც. ასე, მაგალითად, მთელი ჩამორო დედისეული ეგზოგამიური გვარებისაგან შედგებოდა; გვარის წევრები კოლექტიურად შრომობდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. მარიანის კუნძულებზე უცოლო ვაჟები მამაკაცთა საოჯახო სახლებში ცხოვრობდნენ. კუნძულებზე — პალაუსა და იაპზე ფარიოდ ყოფილა გავრცელებული მამაკაცთა კავშირებისა და ქალთა კავშირების (კლუბების) სისტემა. იქაური ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავიანთ საკრებულოებში მამაკაცებს არ უშვებდნენ (ზოგიერთი ავტორი მიკრონეზიელებში გათხოვებამდე ქალიშვილების სრულ თავისუფლებაზეც მიუთითებდა). ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში შვილები მუდამ დედას რჩებოდა. ქალის უფლების დაცვა, ტრადიციის ძალით, ყველა მის ნათესავს ევალებოდა. მიკრონეზიაში ისევე როგორც პოლინეზიაში, საზოგადოების ძირითად სამეურნეო უჯრედს დიდი ოჯახი წარმოადგენდა.

ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. მიკრონეზიელთა რწმენა-წარმოდგენებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მიცვალებულთა და წინაპართა კულტს. კულტის მსახურთაგან საზოგადოებაში უდიდესი გავლენით სარგებლობდნენ მისნები და ჭურუმები. განსაკუთრებული სიძლიერით იყო წარმოდგენილი ეს კულტები მარიანის კუნძულებზე, სადაც ჩამორო ჯადოქრები მიცვალებულთა თავის ქალებს მაგიური მიზნებით იყენებდნენ. გარდა ამისა, მათ გამოიმუშავებული ჰქონდათ 13-თვიანი მთვარის კალენდარი და ღია ზღვაში ციური მნათობების მიხედვით მიმართულების გაკვლევის ჩვევები.

მათ საკმაოდ განვითარებული ჰქონდათ ფოლკლორი, მუსიკა, ხალხური მედიცინა. განსაკუთრებით ნაღრძობისა და მოტეხილობის მკურნალობა. ცნობილმა რუსმა ეთნოლოგმა ნ. მიკლუხო-მაკლაიმ არქიპელაგ პალაუსა და იაპის მოსახლეობის კულტურაში შამანიზმისა და პიქტოგრაფიული დამწერლობის ადრეული ფორმებიც დაადასტურა.

კ ო ლ ო ნ ი ზ ა ც ი ა. ოკეანეთში კოლონიზაციის უღელქვეშ პირველად დასავლეთ მიკრონეზიის მოსახლეობა აღმოჩნდა. ესპანელმა დაპყრობლებმა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში სცადეს მარიანის კუნძულების დამორჩილება. ამ კუნძულების მოსახლეობა — ჩამორო მთელი 30 წლის განმავლობაში უმკლავდებოდა დამპყრობლებს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს უთანასწორო ბრძოლაში სულ ერთიანად ამოწყდა. XVIII საუკუნის მიწურულში ჩამოროს ძველი 100-ათასიანი მოსახლეობისაგან ერთი მამაკაციც კი აღარ იყო ცოცხალი. იმხანად უკეთესი დღე არც კუნძულ პალაუს 50-ათასიან მოსახლეობას დასდგომია — აბორიგენთა რიცხვი 12-ჯერ შემცირებულა. გაუკაცრიელებელ ადგილებში ესპანელებს ამერიკიდან და ფილიპინებიდან შემოჰყავდათ კოლონისტები, რომლებიც შერეული ქორწინების შედეგად ერთიანად გაითქვიფნენ გადარჩენილ აბორიგენებში. უმამაკაცოდ დარჩენილი ჩამოროელი ქალები იძულებული იყვნენ, ახალმოსულებს — ესპანელებსა და ფილიპინელელებს მისოხოვებოდნენ. საბაგიეროდ დედებმა შვილების შემოუნახეს და ეთნონიმთან ერთად მემკვიდრეობით გადასცეს თავიანთი წინაპრების მშობლიური ენა, რომელიც დღესაც ცოცხლობს. გარდა ენისა და ეთნონიმისა, თანამედროვე ჩამოროელს არსებითად თითქმის აღარაფერი აქვს საეროო ძველთან და მის კულტურასთან.

შედარებით უფრო ნაკლები დამანგრეველი გავლენა განიცადა და მეტი თვითმყოფადობა შეინარჩუნა აღმოსავლეთ მიკრონეზიის მოსახლეობის კულტურამ.

მიკრონეზიაში კოლონიზატორები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ესპანელთა თითქმის ორასწლოვანი ბატონობის შემდეგ XIX საუკუნის ბოლოს მიკრონეზია გერმანელების ხელში აღმოჩნდა.

ამჟამად მიკრონეზიის მთელი ფართობის ნახევარზე მეტი აშშ-ის სამეურვეო ტერიტორიადაა გამოცხადებული. აქ შედის მეორე მსოფლიო ომამდე ფაქტობრივად იაპონიის კოლონიები — მარშალის, კაროლინის და მარიანის კუნძულები (გუამის გარდა, რომელიც აშშ-ის სამფლობელო ტერიტორიად ითვლება); გარდა ამისა, მიკრონეზიაშივე ავსტრალიის კავშირის, ახალი ზელანდიისა და ინგლისის საეროო სამეურვეო ტერიტორიას წარმოადგენს ნაურუ, ხოლო მიკრონეზიისა და პოლინეზიის მიჯნაზე განლაგებული ჯილბერტისა და ელისის კუნძულები კი ინგლისის კუთვნილებად ითვლება).

მიკრონეზიაში აშშ-ის სამეურვეო ტერიტორიის მეურნეობის ძირითადი დარგებია ტ რ ო პ ი კ უ ლ ი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა და მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა. სასაქონლო მნიშვნელობა აქვს ქოქოსის პალმას და კაკაოს. სასურსათო კულტურებიდან მოჰყავთ ტარო, იამსი, ბატატი, პურის ხე, ბანანი, ციტრუსები, ბოსტნეული და სხვ. ზოგან ბოსტნეული კულტურების მოშენებას სასაქონლო ხასიათი აქვს (კუნძულები როტა და საიპანი). ხე-ტყის დამზადება შეზღუდულია, მეცხოველეობას დამხმარე ხასიათი აქვს. აშენებენ მსხვილფეხა რქოსან საქონელს, აგრეთვე ღორებს, ოხებს, შინაურ

ფრინველს. მეთევზეობა თუმცა გავრცელებულია ყველგან, მაგრამ განსაკუთრებით ფაროოდ პალაუს და პრინაპეს კუნძულებზე.

სამეურვეო ტერიტორიის მიკრონეზიელი მოსახლეობა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ერთ მთლიან ეთნიკურ ერთობად — ხალხად და ათასობით წერილი ეთნიკური ერთეულისაგან შედგება. ორი მათგანის — ჩამორროს და პალაუს მოსახლეობა ლაპარაკობს მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახის ინდონეზიური ჯგუფის ენებზე. ჩამორროელები განსახლებული არიან მარიანის კუნძულებზე, პალაუელები კი პალაუს კუნძულებზე. ენით, კულტურით და ყოფით თანამედროვე ჩამორროს მოსახლეობა გუამის ჩამორროსთან ერთად ერთ მთლიანობას შეადგენს. შედარებით უფრო ნაკლები ანთროპოლოგიური ნარევებით ხასიათდება პალაუ (აქვთ იაპონური და ფილიპინური მინარევები). ამჟამად, პალაუს ყველა კუნძულის მოსახლეობა ერთ მთლიან ეთნიკურ ერთობას შეადგენს. ჩამოროსა და პალაუსაგან განსხვავებით აბორიგენები ლაპარაკობენ მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახის არა ინდონეზიურ, არამედ მიკრონეზიული ჯგუფის ენებზე. ჩამოროსა და პალაუს კულტურულად ყველაზე მეტად უახლოვდებიან იაპელები (კუნძულ იაპის მცხოვრებლები). იაპელები მკვეთრად ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობაა და ამ ხალხში შემავალ ცალკეულ ჯგუფებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა.

შედარებით უფრო სუსტია ეთნიკური კონსოლიდაცია ულიტის, კოლონიისა და ზოგი სხვა კუნძულის ერთ და იმავე ენისა და კულტურის მქონე მოსახლეობაში. გაცილებით უფრო გამოკვეთილი ეთნიკური პროფილი აქვთ კაროლინის კუნძულების აღმოსავლეთ რაიონებში მცხოვრებ ხალხებს — პონაპეელებსა და კუსაიელებს (კუნძულების — პონაპეისა და კუსაიეს მიკრონეზიელები). ცალკე ეთნიკურ ერთობას წარმოადგენს მარშალელები (მარშალის კუნძულების მიკრონეზიელები).

პატარა, მაგრამ ეთნიკურად დამოუკიდებელ ჯგუფს ეკუთვნიან ბონინის კუნძულების — სონსოროლის და ტობის მცხოვრებლები. ასევეა ცალკე ეთნიკურ ერთობას წარმოადგენს ატოლების, ნუკუოროს და კაპინგამარანგის მოსახლეობა, რომელიც მალაიურ-პოლინეზიური ენების პოლინეზიური ჯგუფის ენებზე ლაპარაკობს.

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება ეთნიკური პროცესები გუამის, ნაურუს, ჯილბერტისა და ელისის კუნძულების მოსახლეობაში. აშშ-ის საბჭოთა საზღვაო ბაზა გუამი-მარიანის არქიპელაგის ყველაზე დიდი კუნძულია, მისი ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სამხედრო-საზღვაო ბაზისს ინტერესებთან, მკვიდრი მოსახლეობა მისდევს მიწათმოქმედებას, მესაქონელობას, მრეწველობა და ხელოსნობა კი სუსტადაა განვითარებული.

გუამის თანამედროვე აბორიგენი მოსახლეობა, თუმცა ჩამოროელია მსგავსად ნარევია და თავის თავს განუყრელ ნაწილად თვლის, მაინც გარკვეული ყოფითი თავისებურებებით გამოირჩევა. ინტენსიური მეტიზაციის გამო გუ-

ამჟე აბორიგენთა კულტურა გაცილებით უფრო მეტადაა გაევროპელებული, ვიდრე სხვა კუნძულებზე. ამიტომ საერთო ეთნონიმის — „ჩამოროს" გარდა, ლიტერატურაში გავრცელებულია ამ მოსახლეობის აღმნიშვნელი ლოკალური სახელწოდებაც — „გუამელები". მათი უმრავლესობა (98%) კათოლიკეა, არიან ბაპტისტებიც.

ჯილბერტისა და ელისის კუნძულების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არ არის რთული. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ორი მკვიდრი ხალხისაგან შედგება, ესენია: ჯილბერტელები ანუ ჯილბერტის კუნძულების მიკრონეზიელები და ელისელები, ანუ ელისის კუნძულების პოლინეზიელები.

ეთნიკურად ერთ მთლიანობაში შეადგენს წყნარი ოკეანის სამხრეთდასავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულ ნაურუს მოსახლეობა. ნაური ამჟამად დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი პატარა სახელმწიფოა, რომლის ტერიტორია სულ 22 კმ²-ია, მცხოვრებთა რაოდენობა კი 7 ათასი (მათ შორის აბორიგენებისა 3.500 კაცი). ფოსფორიტების აღმოჩენამდე ნაურუს მოსახელობა მარტოოდენ აბორიგენებისაგან შედგებოდა, ფოსფორიტების წარმოების გაჩაღებას შედეგად მოჰყვა მისი მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის შეცვლა. კუნძულზე მომრავლდნენ აზიიდან შემოყვანილი მუშები და ევროპელი მომსახურეები.

მესამე თავი

ამერიკის ხალხები

ამერიკის ძირეული მოსახლეობის ეთნოგენეზის პრობლემები. ამერიკის უძველესი მოსახლეობის წარმოშობის შესახებ მეცნიერებაში გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი. მათი ერთი ნაწილი (განსაკუთრებით არგენტინელი პალეოანთროპოლოგი ფ. ამეგინო) XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იმ თვალსაზრისს ავითარებდა, რომ ამერიკის კონტინენტი წარმოადგენს დედამიწაზე ადამიანის წარმოშობის ერთ-ერთ კერას. კერძოდ, ისინი ცდილობდნენ გენეტიკური კავშირები დაედგინათ ამერიკის მოსახლეობასა, ამერიკელ ადამიანსა და ამერიკულ ფაროთოცხვირიან მაიმუნს შორის. შემდგომ ჩატარებული დეტალური გამოკვლევებით ამის დამადასტურებელი არგუმენტები უარყვეს სამაგიეროდ, რამდენიმე მყარი საფუძველი მოიპოვა ჯერ კიდევ ჩ. დარვინის შიერ წამოყენებულმა მოსაზრებამ ძველი სამყაროს ადამიანის ახლო ნათესაობის შესახებ ვიწროცხვირიან მაიმუნთან.

შედარებით მყარ მეცნიერულ საფუძველზე დგას ამერიკის კონტინენტის გეოლოგიური ისტორია, რომელთანაც მჭიდრო კავშირშია ამ კონტინენტზე ცხოვრების ჩასახვისა და მათ შორის ეთნოგენეზის საკითხი.

სამხრეთ ამერიკა ჩრდილოეთ ამერიკას გამოეყო მესამეულ პერიოდში. მასში შეჭრა მოასწრეს მხოლოდ ჩანთოსანმა ცხოველებმა და უმაღლესი ძუძუმწოვრების უძველესი ფორმების წარმომადგენლებმა. მაიმუნები ამ დროს ჯერ კიდევ არსად იყო, ხოლო პრიმატებიდან როგორც ძველ. ისე ახალ სამყაროში მხოლოდ ლემურები და გრძელტერფიანები არსებობდნენ.

ჯერ კიდევ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ხელახალ შეერთებამდე (პლიოცენის ბოლოს), სამხრეთ ამერიკაში ჩამოყალიბდა ფართოცხვირიან მაიმუნთა სახეობა. ამის პარალელურად დანარჩენ ძველ სამყაროში მიმდინარეობდა ვიწროცხვირიანი მაიმუნის ჩამოყალიბების პროცესი. მოგვიანებით შემდგომში წარმოიშვა უმაღლესი, ვიწროცხვირიანი, ადამიანის მსგავსი მაიმუნი. მეცნიერები ასკვნიან, რომ ამერიკული მაიმუნი წარმოადგენს ადამიანის მეტად შორეულ ნათესავს და იგი არ არის მისი წინაპარი. ამდენად, მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესი ამერიკის კონტინენტზე არ ფასტურდება. ადამიანი ამერიკაში სამყაროს სხვა ნაწილიდან მოვიდა.

ამჟამად მიღებულია თვალსაზრისი, რომ ადამიანი ამერიკის კონტინენტზე გამოჩნდა გამყინვარების ეპოქის ბოლოს, ე.ი. არაუმეტეს რამდენიმე ათეული ათასწლეულის წინათ. ამერიკელი ადამიანის ასაკი ბევრად ჩამორ-

ჩება ძველი სამყაროს ადამიანის ასაკს, რომელიც რამდენიმე ასეული ათასწლეულით განისაზღვრება. ამერიკის უძველესი ადამიანის კულტურის დონე შეესაბამებოდა ძველი სამყაროს ადამიანის მეზოლითური ან გვიანპალეოლითური ადამიანის კულტურის დონეს.

რაც შეეხება ენობრივი მონაცემების მიხედვით, ამერიკის ადამიანის ეთნოგენეზის საკითხს, ასეთი სურათი გამოიკვეთება: მეტად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია ამერიკელ ინდიელთა ენები. არ არსებობს რამდენადმე მეცნიერულად დამაჯერებელი არგუმენტები მათი დაკავშირებისა ძველი სამყაროს ენებთან. პ. რივემ აღმოაჩინა რამდენიმე ლექსიკური პარალელი სამხრეთ ამერიკის ცალკეული ენებისა ავსტრალიის ტომების ენებთან, ასევე კალიფორნიაში მოსახლე აბორიგენი ტომების ენებისა მალაიურ-პოლინეზიურ ენებთან. მის მიერ დადგენილი ეს პარალელები თიოქოს ცალკეულ ამერიკულ ენებსა და კავკასიის ხალხთა ენებს შორის. ნ. მარი ამ მოვლენას იყენებდა მისი თვალსაზრისი არგუმენტად ენების წარმოქმნის ერთიანი პროცესის შესახებ. სინამდვილეში, როგორც ჩანს, ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის ენათა ცალკეული ლექსიკური დამთხვევები ოკეანეთის ან კავკასიის ხალხების ენებთან, ან შემოხვევითი ხასიათისაა ან შედეგია უძველესი ენობრივი კავშირებისა, რომელიც მოიცავდა მთელ კაცობრიობას მის განსახლებამდე როგორც ამერიკაში, ისე ავსტრალიაში.

ამიტომ ითვლება, რომ ენობრივი მონაცემების მიხედვით ამერიკის დასახლება მოხდა ეპოქაში, რომელიც არა მარტო დიდად დაშორებულია ამერიკის ენების ძველი სამყაროს ენებისაგან გამოყოფის ეპოქას, არამედ თვით ამერიკის მკვეთრად განსხვავებული მრავალრიცხოვანი ენების ფორმირების დროს.

უფრო მნიშვნელოვანია ანთროპოლოგიური მონაცემები ამერიკის მოსახლეობის ეთნოგონიკური, ე.ი. მისი ძირეული მოსახლეობის სხვა ხალხებთან მიმართების საკითხების კვლევისას. დღეს უკვე საეჭვოდ არ ითვლება, რომ ამერიკა დასახლებულია გარედან მოსული ადამიანებით და მისი ძირეული მოსახლეობა არ არის ავტოქტონური (თუმცა, როგორც აღინიშნა, არსებობს ამის დიამეტრულად საწინააღმდეგო მოსაზრებაც). არ არის საეჭვო ისიც, რომ ამერიკაში იმოავითვე დასახლდა თანამედროვე სახეობის ადამიანი (Homo sapiens), რაც შეიძლებოდა მომხდარიყო არა უადრეს გვიანი პალეოლითისა.

ამერიკელი ინდიელები, სხვა რასობრივ ტიპებთან მათი შედარებისას, ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ მონგოლოიდებთან. ყველა ამერიკელი ინდიელის საერთო რასობრივი ნიშნები დამახასიათებელია მონგოლოიდებისათვის. ესენია: სწორი და უხეში თმები, სუსტად განვითარებულია მესამეული თმის საფარი, კანის საშუალო სიმუქის (ტონის) შეფერილობა საყოველთაო-საკაცობრიო მასშტაბებთან შედარებით, მეტ-ნაკლები მაღალღაწვი-

ანობა. ამ ნიშანთა კომბინაციების ერთნაირი ხასიათი, ერთი მხრივ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ აზიის რასობრივი ტიპების უმრავლესობისათვის და, მეორე მხრივ, ამერიკის ძირეული მოსახლეობისათვის მათი ნათესაობის დამამტკიცებელია. ამრიგად, ბერინგის ზღვის ბიმდებარე ტერიტორია უნდა ჩაითვალოს იმ ადგილად, საიდანაც ხალხთა მასები გადასახლდა ევრაზიის კონტინენტიდან ამერიკაში და მოხდა მისი დასახლება. ცხადია, ლაპარაკია კოლუმბამდელი ამერიკის მოსახლეობაზე და ეს თვალსაზრისი ძირეულია ანთროპოლოგების უმრავლესობის მიერ.

ამის შემდეგ საკამათოდ რჩება საკითხი — ამერიკის ძირეული მოსახლეობის რასობრივ ტიპში ხომ არ არის სხვა რასების შერევის ნიშნები? არსებობს მოსაზრებები ევროპოიდული და ავსტრალოიდურ-მელანეზიური რასობრივი ნიშნების შერევის შესახებ. ევროპოიდული რასობრივი შერევის ნიშნებად მიჩნეულია ყველა ის ნიშანი, რომელიც ამერიკის ძირეული მოსახლეობის რასობრივ ნიშნებს განასხვავებს აზიური მონგოლოიდურისაგან. კერძოდ, შედარებით წინ წამოწეული ცხვირი და თვალის ქუთუთოთა მონღოლური წყობის არარსებობა.

ამის საფუძველზე გამოიტქვა თვალსაზრისი ევროპოიდების ძველი გადასახლებების შესახებ ჩრდილო-ატლანტიკური გზით ჯერ კიდევ ძველთქვეულ პერიოდში. ამ მოსაზრებას ხელს უშლის ის, რომ გეოლოგიური მონაცემებით, ასეთი შეერთება უკვე არ არსებობდა, ამერიკაში კი ადამიანის კვალი მხოლოდ ამ ეპოქიდან დასტურდება.

1947 წელს ცნობილმა ნორვეგიელმა ეთნოგრაფმა ტურ ჰეიერდალმა, საერთაშორისო ხასიათის ექსპედიციის შემადგენლობით, განახორციელა გაბედული გადაცურვა ტივით — „კონ-ტიკი" — ამერიკიდან პოლინეზიაში. ამ ექსპერიმენტმა კვლავ გამოაცოცხლა თვალსაზრისი ამერიკის ძირეული მოსახლეობის რასობრივ ტიპში პოლინეზიური ნიშნების შესაძლო დანერგვის გზების შესახებ. საქმე ისაა, რომ წყნარი ოკეანის წყალქვეშა დინებების გამოყენებით შესაძლებელია მისი გადაცურვა საწინააღმდეგო მიმართულებით — პოლინეზიიდან ამერიკისაკენ.

მაგრამ პოლინეზიელების მიერ ამერიკის თავდაპირველი დასახლების, ან ამ გზით მათ მოსახლეობაში ავსტრალიურ-პოლინეზიური რასობრივი ნიშნების გაჩენის თვალსაზრისს რამდენადმე მტკიცე საფუძველი არ გააჩნია. რადგან პოლინეზიელების გამოჩენა და წყნარი ოკეანის კუნძულების მათ მიერ დასახლება გაცილებით უფრო გვიან დროს განეკუთვნება. კიდრე თვითონ ამერიკის დასახლება.

მაშასადმე, ამერიკის თავდაპირველი მოსახლეობის ეთნოგენეზის შესახებ შეიძლება შემდეგი დასკვნები გაკეთდეს: კონტინენტზე იმთავითვე დასახლდა თანამედროვე ტიპის ადამიანი. ამდენად, იგი არ ეკუთვნის დედამიწაზე ადამიანის წარმოშობის რაიონებს.ამერიკის უძველესი მოსახლეობის

კულტურის დონე შეესაბამება ევროპის მეზოლითური ან გვიანპალეოლითური მოსახლეობის დონეს; როგორც ჩანს, ამერიკაში ადამიანი განსახლდა გამყინვარების პერიოდის ბოლოს, ე.ი. 30-20 ათასი წლის წინათ; ამავე დროს, აქ ადამიანმა ჯერ კიდევ მიუსწრო ღღეს ამოწყვეტილ ცხოველთა ზოგიერთ სახეობას, კერძოდ, მამონტს; ამერიკის ძირეული მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ყველაზე მეტად ესათესავება მონგოლოიდებს; განსხვავებები მათ შორის აიხსნება კაცობრიობის აზიურ-ამერიკული განშტოებისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური თავისებურებების შენარჩუნებით. ავსტრალოიდური ელემენტების შერევით, ამერიკელი ინდიელების შედარებით მცირერიცხოვნობით და განცალკევებულობით, რომელთა შორის ხანგრძლივი იზოლაციის პირობებში გამომუშავდა თავისებური ნიშნების კომპლექსი; ინდიელთა, როგორც ჩრდილოეთი ისე სამხრეთ ამერიკისა, წინაპრები კონტინენტზე გადავიდნენ ბერინგის ზღვის მიმდებარე ტერიტორიების გზით; ავსტრალოიდური ელემენტიც, უკვე შერეული ტიპისა, ამერიკის კონტინენტზე მოხვდა იმავე ბერინგის ზღვის მიმდებარე ტერიტორიების გავლით (აინები); თუ მოხდა წყნარი ოკეანის გავლით პოლინეზიური წარმოშობის მოსახლეობის შერევა, ეს იყო მხოლოდ ცალკეული უმნიშვნელო ჯგუფები და ისიც მას შემდეგ, რაც ამერიკის კონტინენტი უკვე დიდი ხნის დასახლებული იყო მონგოლოიდური წარმოშობის მოსახლეობით.

პალეოლითის ეპოქაში, მის ბოლოს, ალიასკასა და ალეუტის კუნძულების გზით ადამიანი დასახლდა ამერიკაში. ესენი იყვნენ თანამედროვე, ანუ კოლუმბამდელი ეპოქის ინდიელების წინაპრები. იმ დროს ადამიანები ამზადებდნენ ქვის იარაღებს, მოიპოვებდნენ ცეცხლს, ტანსაცმლად იყენებდნენ ბეწვეულსა და ტყავს, ცხოვრობდნენ მიწურებში, ჰქონდათ ხისგან გამოჩორკნილი ან ტყავისაგან დამზადებული ნავები, შეიარაღებულნი იყვნენ შუბებით, შესაძლოა მშვილდ-ისრითაც, ქსოვდნენ, ამზადებდნენ ჩანთებს, მოშინაურებული ჰყავდათ ძაღლი, რომელიც თან ჩამოიყვანეს.

ეს არის ცხოვრებისა და კულტურის ის ელემენტები, რომლებიც ინდიელთა წინაპრებმა თან მოიტანეს თავიანთი შორეული სამშობლოდან, აზიიდან. ყველაფერი დანარჩენი მათ თვით შექმნეს ადგილობრივ, საუკუნეების განმავლობაში, იმის მიხედვით, თუ როგორ ხდებოდა მათი თანდათანობით განსახლება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ამ გზაზე, იმის მიხედვით, თუ როგორ გეოგრაფიულ პირობებში აღმოჩნდებოდნენ, ხდებოდა მათი აქტიური შეგუება გარემოსთან და შესაბამისად ახალი კულტურული ელემენტების შექმნა, რის შედეგადაც კონტინენტის სხვადასხვა ნაწილში ჩამოყალიბდა სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის სხვადასხვა ტიპები. იმის მიხედვით, თუ რამდენად ხანგრძლივად, ან როგორი ხასიათით — მშვიდობიანი თუ საბრძოლო — წარმოებდა კონტაქტები ცალკეულ ტომებსა ან დასახლებებს შორი, ხდებოდა მათი ეროვნებრივ-ამიდრება, ან ახალი სამე-

ურნეო ტიპებისა და კულტურების წარმოშობა. კოლუმბამდელ ამერიკაში, სანამ მატერიკის ორივე ნაწილის გაძლიერებული ევროპული კოლონიზაცია მოხდებოდა, ჩამოყალიბდა 11 ძირითადი კულტურულ-ისტორიული ოლქი, რომლებიც, თავის მხრივ, უფრო წვრილ, გარდამავალ ქვედანაყოფებს შეიცავდნენ, ესენია:

1. არქტიკის ზღვაოსანი მონადირეები; 2. ჩრდილო-დასავლეთ სანაპირის ბინადარი მეთევზეები; 3. შემგროვებელი ტომები კალიფორნიაში; 4. ჩრდილოეთის ტყის მონადირენი; 5. ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქების მიწათმოქმედნი; 6. პრერიების მონადირე ტომები; 7. ჩრდილოეთ ამერიკის შტატების სამხრეთ-დასავლური ტომები მეურნეობის ნაირგვარი ტიპებით; 8. ცენტრალური ამერიკის მაღალი კულტურების ხალხები; 9. ორინოკოსა და ამაზონკის აუზის მიწათმოქმედი და მონადირე ტომები; 10. სამხრეთ-ამერიკული პამპის მონადირე ტომები; 11. ცეცხლოვანი მიწის მონადირე-მეთევზე ტომები:

ამ კულტურულ-ისტორიული არეალებიდან თვალსაჩინოებისათვის გავიხილოთ ორი, შედარებით დამახასიათებელი და ამავე დრო, სხვებისაგან გამორჩეული: არქტიკის ზღვაოსანი მონადირენი და ცენტრალური ამერიკის მაღალი კულტურის ხალხები.

ა რ ქ ტ ი კ ი ს ზ ღ ვ ა ო ს ა ნ ი მ ო ნ ა დ ი რ ე ე ბ ი ს სამყოფელია უკიდურესი ჩრდილოეთი, ამერიკის არქტიკული სანაპირო, რომელიც წარმოადგენს ზღვის ცხოველებზე ნადირობის ადგილს. ეს ოლქი მოიცავს ვიწრო ზოლს, რომელიც გადაჭიმულია დასავლეთით სამხრეთ-დასავლეთი ალიასკიდან აღმოსავლეთით გრენლანდიამდე; მასში შედის ალეუტის კუნძულები და კუნძულების ერცელი არქიპელაგი მატერიკსა და გრენლანდიას შორის. აქ მოსახლეობენ ესკიმოსები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ალეუტები. მათი მეურნეობის უმთავრესი ფორმაა ზღვის ცხოველის რეწვა. მათზე ნადირობა. ეს ცხოველებია: ლომვეშაპი (მორჟი), სელაპი, ვეშაპი და სხვ. ცალკეულ ადგილებში, ბუნებრივი გარემოს შესაბამისად, წამყვანი მნიშვნელობა მოიპოვეს: თევზჭერამ (მაკენზის აუზში, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ალიასკაზე, ალეუტის კუნძულებზე), ნადირობამ ჩრდილოეთის ირემ კარიბუზე და ხარზე (ლაბრადორზე, კუნძულ საუთჰემპტონზე, ჰუდსონის ყურის დასავლეთით ტუნდრიან ზოლში), ნადირობამ ფრინველებზე (ჩრდილო-დასავლეთის გრენლანდიის პოლარულ ესკიმოსებში).

ამ ოლქის მოსახლეობის კულტურული ყოფის ტიპური ნიშნებია: მიწურები, ცალკეულ ადგილებში თოვლის ქოხები, ზაფხულობით ტყავის კარავები; გაობობისა და განათებისათვის იყენებენ ქონის ლამპას; იცვამენ ბეწვის ტანსაცმელს; იყენებენ ტყავის ნავებს, რომელთაც ჰქვია კაიაკი და უმიაკი: ნადირობენ ჭვილთით (ჰარპუნი); გადაადგილდებიან შორეულ მანძილზე ძაღლებშებმული მარხილებით.

მეურნეობისა და კულტურის ეს ტიპი ჩამოყალიბდა ესკიმოსების წინაპრების განსახლების პროცესში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ არქტიკული სანაპიროს გასწვრივ. აღმოსავლეთისაკენ გადაადგილების კვალდაკვალ სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა მათი შეგუება არქტიკის ბუნებრივ გარემოსთან, სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა მათი მეურნეობის სპეციფიკური ნიშნები. განსახლება მიმდინარეობდა, როგორც ჩანს ჩვ.წ. I ათასწლეულის განმავლობაში. ამდენად, ეს, დროის მიხედვით, მეურნეობისა და კულტურის ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი ტიპია ამერიკაში. ამერიკის არქტიკულ ნაწილს კოლონიზაცია შედარებით სუსტად შეეხო, ამიტომ მისი მეურნეობის სპეციფიკურმა ნიშნებმა აქ მნიშვნელოვანწილად ჩვენს დღეებამდეც მოაღწია.

ცხადია, სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს ცენტრალური ამერიკის მაღალი კულტურის ხალხებში. ეს რეგიონი მოიცავს ტერიტორიას მექსიკის შუა ნაწილიდან სამხრეთით პერუმდე და ბოლივიამდე. ამ ადგილებისათვის დამახასიათებელია მეტად თავისებური და მრავალფეროვანი რელიეფი, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. უმეტესობა მაღალ მთიანეთის და მთისპირა ადგილების განეკუთვნება – ესაა მექსიკისა და ანდების მთისპირეთი; გვხვდება დაბლობებიც (მაგ; იუკატანში) და ღრმა ხეობებიც (ბოლივიაში).

აქ მოსახლე ინდიელი ტომების უმრავლესობა განეკუთვნება რამდენიმე მსხვილ ენობრივ ჯგუფს: ჩრდილოეთში იუტო-აცტეკებისა და მაიას, ხოლო სამხრეთის ჯგუფებია: ჩიბჩა, კეჩუა, აიმარი.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში აქ განვითარებას იწყებს მიწათმოქმედება, რის შედეგად წარმოიქმნება მაღალი ცივილიზაციები. ისინი მაქსიმალურ განვითარებას აღწევენ X-XV საუკუნეებში. ამ კულტურის უმნიშვნელოვანესი კერები ჩამოყალიბდა: შუა მექსიკის დაბლობსა და ზეგანზე – ოლმეკები, ტოლტეკები, აცტეკები: სამხრეთ მექსიკასა და თანამედროვე გვატემალაში – მაია; ჩრდილოდასავლეთყოლუმბიაში – ჩიბჩა-მუისკები; სამხრეთ პერუში – კეჩუა, აიმარი და სხვა ტომები. თითოეული ამ კულტურის განვითარება დამოუკიდებლად მიმდინარეობდა, მაგრამ მსგავსებაც ბევრია მათ შორის, რაც, როგორც ჩანს, ერონაირი ბუნრბივ-გეოგრაფიული პირობებით იყო გამოწვეული.

მთელი ეს რეგიონი ხასიათდება სამიწათმოქმედო მეურნეობის უპირატესი განვითარებით, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა მცენარეულის მოყვანაზე, ესენია: მაისი (სიმინდი), პარკოსნები, ლობიო, კვახეული, პილპილი, მზესუმზირა, კაკაო, აგავა, თამბაქო, ბამბა და სხვ. ამასთანავე ანდების ზეგანზე მოჰყავდათ კარტოფილი.

ასევე ნაირფეროვნებით გამოირჩეოდა საკუთრივ მიწათმოქმედება: მარტივი საახოე ცეცხლის გამოყენებით, რომელიც მაიაში იყო გავრცელებული და ტერასული, რომელსაც პერუში მისდევდნენ.

შინაური ცხოველებიდან და ფრინველებიდან გავრცელებული იყო ძაღ-ლი, ინდაური, ქათამი, ხოლო ანდების ქვეყნებში — ლამა და ალპაკა. ამდენად, ეს ქვეყნები გამონაკლისია მთელს ამ მხარეში, რადგან აქ მეცხოველეობაც იყო განვითარებული.

მაღალ დონეს მიაღწია ტექნიკის განვითარებამ. კერძოდ, ჩვ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე განვიტარდა მეტალურგია — სპილენძის, ოქროს, ვერცხლის მოპოვება, ხოლო პერუსა და კოლუმბიაში შენადნობების — ბრინჯაოსა და ტუმბაგას (ოქროსა და სპილენძის შენადნობი) დამზადება. ერთადერთი მაიას ხალხები დარჩა ქვის იარაღის ტექნიკის დონეზე და ისინი არც იყენებდნენ ლიოთონებს.

ასევე მაღალ განვითარებას მიაღწია ბოჭკოს დამუშავებამ და ამის შედეგად ქსოვამ, ასევე კერამიკულმა წარმოებამ და ქვაზე კვეთის ხელოვნებამ.

ბუნებრივია, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებამ ადრევე გამოიწვია ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან. წარმოიშვა ქალაქები რთული არქიტექტურული ნაგებობებით, საცხოვრებლების, სასახლეების, ტაძრების, ციხე-სიმაგრეების კომპლექსებით. ქალაქ-სახელმწიფოები თანადათან ერთიანდებოდნენ შედარებით დიდ პოლიტიკურ კავშირებში, ასე შეიქმნა მაიას, აცტეკების, ჩიბჩა-მუისკების, ინკების სახელმწიფოები. მათი ნარჩენები მიმოფანტულია ვრცელ ტერიტორიაზე. ამ სახელმწიფოთა უმრავლესობამ იარსება XVI საუკუნის დასაწყისამდე, სანამ ესპანელთა მიერ მათი დაპყრობები დაიწყებოდა.

ქალაქებში მაღალ განვითარებას მიაღწია კულტურის სხვადასხვა დარგმა, უპირატესად ქურუმებს შორის გავრცელდა იეროგლიფური ტიპის დამწერლობა, ჰქონდათ დროის გამოთვლის რთული კალენდარული სისტემა, აწარმოებდნენ ქრონიკალურ ჩანაწერებს, ქვებზე კვეთდნენ სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის ტექსტებს და ა.შ.

ესპანელების დაპყრობებმა გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა ცენტრალური ამერიკის უძველეს მაღალ კულტურებს, მათგან მხოლოდ ნანგრევებმა და მკვდარმა ძეგლებმა მოაღწია, თუმცა ამ კულტურების შექმნელთა შთამომავლები დღესაც ცოცხლობენ, ისინი ნაწილობრივ შეერწყნენ ევროპიდან გადმოსახლებულებს და მათ შთამომავლებს და ამავე დროს, ამყარადაც შენარჩუნებული აქვთ მრავალი წესი მათი წინაპრების თვითყოფადი სამეწარმოქმედო კულტურიდან.

ამის შემდეგ შეიძლება შედარებით დაწვრილებით შევჩერდეთ ლათინური ამერიკის ხალხებისა და მაიას ხალხების ეთნოლოგიის საკითხებზე.

§ 1. ლათინური ამერიკის ხალხები

ო ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი. დედამიწის სხვადასხვა რეგიონს შორის ეთნოკულტურული, ბუნებრივი, სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკუ-

რი თავისებურებების მრავალსახეობით განსაკუთრებით გამოირჩევა ლათინური ამერიკა. ადრე, და ზოგჯერ ახლაც, მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ: ინდო-ამერიკა, ესპანეთის ამერიკა ან იბერო-ამერიკა. სახელწოდება ლათინური ამერიკა მეტყველებს ამ რეგიონის კოლონიზაციის თავისებურებაზე, მის ე.წ. ლათინურ ტიპზე, განსხვავებით ჩრდილოეთ ამერიკის ანგლოსაქსური კოლონიზაციისაგან. სახელწოდება ლათინური ამერიკა ამ რეგიონს XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაუმკვიდრდა.

ამ რეგიონის ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც ტერიტორიის სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობით, ისე ეკონომიკური განვითარების დონით, აგრეთვე, რაც არსებითია, თანამედროვე მოსახლეობის ჩამოყალიბების გზებითა და ფორმებით.

ლათინური ამერიკის ხალხები ჩამოყალიბდა ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობის, ევროპელი კოლონისტებისა და აფრიკიდან გადმოსახლებული მრავალი მილიონი მონის ხანგრძლივი ურთიერთშერევის შედეგად. ეთნიკური ელემენტების ასეთი ნარევი, რომელიც ამ რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულადაა წარმოდგენილი, ქმნის მეტად თვითმყოფად კულტურებს და ხალხური შემოქმედების ტრადიციებს.

ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი. ლათინური ამერიკა დედამიწის სხვა რეგიონების შორის გამოირჩევა ბუნებისა და ლანდშაფტის დიდი მრავალფეროვნებით. მთების ძალზე განვითარებული სისტემა, მდინარეთა გიგანტური აუზები, ტროპიკული ტყეების უზარმაზარი მასივები ქმნის ამ რეგიონის უმრავლესი ქვეყნის გარეგნულ სახეს. ტროპიკების ათვისებასა და დასახლებასთან დაკავშირებული სიძნელეები, ცხადია, თავის დაღს ამჩნევს ლათინური ამერიკის ხალხთა ცხოვრების როგორც სამეურნეო-კულტურულ, ისე სოციალურ მხარეს.

ლათინური ამერიკის ქვეყნები გადაჭიმულია 13 ათას კვ. კმ-ზე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ბუნებრივი მახასიათებლების თვალსაზრისით, მათი უმრავლესობისათვის საეროოა ტროპიკული ლანდშაფტები, ნოტიო ტროპიკული ტყეები. სავანეები და მეჩხერტყიანი ზონები, გარდამავალი ნოტიო კლიმატით, საოცრად თავისებური და მდიდარი მცენარეული საფარი, არანაკლებ საოცარი და თავისებური ცხოველთა სამყაროთი, წარმოადგენს უმთავრეს ბუნებრივ გეოგრაფიულ მახასიათებლებს ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის.

მეორე უმთავრესი მახასიათებლებია კორდილიერების მთების სისტემა, რომელსაც სამხრეთ ამერიკაში ანდების მთებს, ანუ ანდებს უწოდებენ. ეს სისტემა გადაჭიმულია მთელი ლათინური ამერიკის დასავლეთით, გარს ერტყმის მას სარტყელივით და 6960 მ სიმაღლეს აღწევს სანტიაგოს დასავლეთით (ეს არის მთა აკონკაგუა — დასავლეთი ნახევარსფეროს უმაღლესი მწვერვალი). თითქმის მთელ სიგრძეზე მთების ამ სისტემას დაჰყვება

მძინარე ან მოქმედ ვულკანთა კონუსების მრავალრიცხოვანი ჯაჭვი. რომლებიც 5000-6000 მეტრის სიმაღლეზეა განლაგებული. აქტიური ვულკანიზმი და უაღრესი სეისმურობა კორდილიერების მთელი სარტყელისა იმის მაჩვენებელია, რომ აქ გეოლოგიურად ახალგაზრდა მთებია და მათთა წარმოქმნის პროცესები ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. პირიქით, იგი ამჟამადაც აქტიურად მიმდინარეობს.

მექსიკა, ცენტრალური ამერიკის ნახევარკუნძულები და ანტილის კუნძულები თითქმის მთლიანად დაფარულია ქედებით და მთებით, რის გამოც ლათინური ამერიკის ეს ნაწილი უპირატესად მთაგორიან ზონის წარმოადგენს. სამხრეთ ამერიკაში ანდების ქედის ძლიერი სარტყელი მთელ მატერიკს უვლის დასავლეთით. იგი არა მარტო დიდად აფერხებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონებს შორის კავშირს, არამედ წარმოადგენს ძლავრ ბუნებრივ საფარს — დასავლეთით მდებარე წყნარი ოკეანის სანაპიროს იცავს ატლანტის ოკეანიდან მონადენი საჰაერო მასებისაგან.

სამხრეთ ამერიკის დანარჩენი ვრცელი ტერიტორია უკავია ბრაზილიის, გვიანის და პატაგონიის ზეგანსა და დაბლობებს, რომელთა შორისაა ლედა-მიწაზე ყველაზე ვრცელი — ამაზონის დაბლობი.

უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს უჭირავს დასავლეთის სანაპიროები და კონტინენტის შიდა რეგიონები ტროპიკულ და ნაწილობრივ სუბტროპიკულ ზოლში — ჩრდილო-დასავლეთ მექსიკაში, პერუში, ჩილეს ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ არგენტინაში. მათი გამოყენება შეიძლება ხელოვნური მორწყვის პირობებში, ხოლო პატაგონიის ნახევარუდაბნოების ბუჩქნარი ზონა მხოლოდ საძოვრებადაა გამოსადეგი.

მთის მდელოებითა და სტეპებით დაფარული მაღალი ზეგნები და ქვაბულები წარმოადგენს ძირითად რაიონებს ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობისათვის, რომლებიც ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ.

რ ე გ ი ო ნ ი ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი რ უ კ ა.

ლათინური ამერიკის თანამედროვე ქვეყნები ევროპის სახელმწიფოთა ყოფილი კოლონიებია. პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1804 წელს თავისუფლება მოიპოვა და რესპუბლიკა გამოაცხადა, იყო საფრანგეთის ყოფილი კოლონია კუნძულ ჰაიტიზე. აქაური ქვეყნების უმრავლესობამ თავისუფლება მოიპოვა 1810-1825 წლებში განმათავისუფლებელი ომების დროს. ძირითადად ესენი ესპანური კოლონიები იყო. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია და დიდად გაითქვა სახელი ვენესუელელი პატრიოტების განმათავისუფლებელმა არმიამ სიმონ ბოლივარის წინამძღოლობით, პირველ რიგში მან დაამარცხა მოწინააღმდეგეები, ესპანელი კოლონიზატორები, სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთით და შემდეგ დაიძრა სამხრეთისაკენ. აქ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების გათავისუფლების კვალდაკვალ იგი მივიდა ბოლივიამდე, რომელსაც ეს სახელი ეწოდა მის

პატივსაცემად. ჩილეს, პერუსა და ეკვადორის გათავისუფლებაში იმავე ხანებში მონაწილეობდა არგენტინის ჯარები ხოსე დე სან-მარტინის სარდლობით. ესპანეთის კოლონიების განთავისუფლების გამოჩენილი მოღვაწეებია: ბოლივარი, სან-მარტინი და არტიგასი — ურუგვაიში, ო'ჰიგინსი — ჩილეში, იდალგო და მორელესი — მექსიკაში და სხვ.

ამ განმათავისუფლებელი ბრძოლების შედეგად ესპანეთის ყოფილი სამფლობელოების ადგილებზე აღმოცენებული მეტ-ნაკლებად მსხვილი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები თანდათან დაიშალა პატარა პოლიტიკურ ერთეულებად. სიმონ ბოლივარის მიერ შექმნილი „დიდი კოლუმბიის" ადგილას წარმოიქმნა ვენესუელა, კოლუმბია და ეკვადორი. ცენტრალური ამერიკის შეერთებული პროვინციების ფედერაცია დაიშალა ხუთ სახელმწიფოდ: გვატემალა, სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა და კოსტა-რიკა. ხოლო ლა-პლატის შეერთებული პროვინციის ადგილზე წარმოიქმნა ორი დიდი სახელმწიფო — არგენტინა და ურუგვაი.

რაც შეეხება რეგიონის ყველაზე დიდ სახელმწიფოს — ბრაზილიას, მან დამოუკიდებლობა შედარებით მშვიდობიანი გზით მოიპოვა.

განსხვავებით ბრაზილიისაგან, ახალწარმოქმნილი სახელმწიფოები რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ და 1889 წელს ბრაზილიაშიც რესპუბლიკური წყობილება დამყარდა.

ამ ქვეყნებში კიდევ დიდხანს იყო გაბატონებული მონობა, ბრაზილიაში, მაგალითად, იგი გაუქმდა მხოლოდ 1888 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისი შეეცადა ხელში ჩაეგდო ესპანეთის იმპერიის დაშლის შედეგად განთავისუფლებული მისი ყოფილი კოლონიები, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწია. მხოლოდ არგენტინას წაართვა 1833 წელს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები, რომელთაც დღემდე ფლობს. გარდა ამისა, XX საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც მეტროპოლიტენებმა კოლონიური ომების შემდეგ თავისუფლება მიანიჭეს თავიანთ სამფლობელოებს, 1962 წელს ინგლისის სამფლობელოებს გამოეყო იამაიკა, ტრინიდადი და ტობაგო; გაიანა და ბარბადოსი — 1966 წელს; ბაჰამის კუნძულები — 1973 წელს; გრენადა — 1974 წელს; დომინიკა — 1978 წელს; სენტ-ლუისია, სენტ-ვინსენტი და გრენადინი — 1979 წელს.

სხვებისაგან განსხვავებით, საფრანგეთმა თავისი სამფლობელოები გამოაცხადა ზღვისგაღმა დეპარტამენტებად და ისინი უფლებებით მეტროპოლიის დეპარტამანტებს გაუთანაბრა.

1975 წელს ჰოლანდიამ თავისუფლება მიანიჭა სურინამს.

ამჟამად ლათინური ამერიკა 47 დიდ და პატარა სახელმწიფოს შეიცავს, სადაც ცხოვრობს 345 მილიონი ადამიანი.

ეთნოგენეზი. ანთროპოლოგების უმეტესობას მიაჩნია, რომ ადამიანი ამერიკის კონტინენტზე მოვიდა აზიიდან ჩრდილოეთის გზით, ბერინ-

გის სრუტის მეშვეობით, რომელიც ადრე ორ კონტინენტს — აზიას და ამერიკას აერთებდა და მან ერთგვარი ხიდის როლი შეასრულა ხალხთა გადასახლების პროცესში. მათგან წარმოიშვა ამერიკის კონტინენტის თავდაპირველი მკვიდრი მოსახლეობა, რომელმაც შემდეგში თანდათან სამხრეთისაკენ გადაინაცვლა.

არქეოლოგიურად ლათინური ამერიკის ტერიტორია შესწავლილია არასრულად და არათანაბრად. ეს განსაკუთრებით ითქმის მექსიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის შესახებ. შედარებით თანმიმდევრულად და სრულადაა შესწავლილი მექსიკის, გვატემალისა და კოლუმბიის ის ადგილები, სადაც არქეოლოგები უძველესი ცივილიზაციების კვალს წააწყდნენ. იგივე ითქმის სამხრეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროს შესახებ. ძნიშვნელოვანი რეგიონები ამ ტერიტორიების მიღმა არქეოლოგიურად სრულებით შეუსწავლელია.

ცხადია, ყოველივე ეს დიდად აროულებს ლათინური ამერიკის ქვეყნების დასახლების ქრონოლოგიის დადგენას. მიუხედავად ამისა, ზოგიეროთის ქრონოლოგია მაინც დადგენილია, კერძოდ, არქეოლოგები თვლიან, რომ ჩრდილო ამერიკის ზოგიერთი რეგიონი ადამიანებით დასახლებული იყო 30-21 ათასი წლის წინათ ჩვენს ერამდე, სამხრეთ ამერიკაში იგი უფრო გვიან, 17-11 ათასი წლის წინათ დასახლებულა.

რაც შეეხება ანთროპოლოგიურ გამოკვლევებს, აქ დადგენილია, რომ ამერიკის თავდაპირველ მოსახლეობაში გამოიყოფოდა ორი დიდი ჯგუფება, ანუ რასა: ჩრდილოამერიკული და ცენტრალურ-სამხრეთამერიკული. საზღვარი მათ შორის, როგორც ირკვევა, გაივლის თანამედროვე აშშ-ის სამხრეთსა და ჩრდილოეთ მექსიკას შორის.

 რ ა ს ო ბ რ ი ვ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა. ცენტრალური სამხრეთამერიკული რასა ერთობ მრავალფეროვანია თავისი შემადგენლობით. მასში პოპულაციის (ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს დასახლებას) ექვსი ჯგუფია გაერთიანებული: კალიფორნიული, ცენტრალურამერიკული, ამაზონური, ანდური, პატაგონიური და ცეცხლოვანი მიწის.

კალიფორნიული ჯგუფის ჩამოყალიბების ადგილები, როგორც ჩანს, თანხვდება საკუთრივ კალიფორნიის გეოგრაფიულ საზღვრებს, ცენტრალურამერიკული ჯგუფიც იქ უნდა იყოს წარმოდგენილი, სადაც ახლა ამ ჯგუფის ინდიელები მოსახლეობენ; რაც შეეხება ამაზონურ ჯგუფს, იგი მოიცავს გაიანის, სურინამის, საფრანგეთის გვიანას, ბრაზილიის და ნაწილობრივ ურუგვაის ტერიტორიებს და ყალიბდებოდა ამაზონის აუზის ტროპიკულ ტყეებში, უფრო ახლოს ატლანტის ოკეანის სანაპიროებთან; მეოთხე ანდური ჯგუფი ჩამოყალიბებულა სამხრეეთ ამერიკის დასავლეთით, მთიან ადგილებში. ამ ჯგუფებში შედის პერუს, ბოლივიის, ვენესუელის, კოლუმბიის და ნაწილობრივ ჩილეს ჩრდილოეთ რაიონის ინდიელები; მეხუთე და მეექვ-

ვსე ე.ი. პატაგონიისა და ცეცხლოვანი მიწის ტერიტორიებზე, მათი მკვიდრი მოსახლეობის საფუძველზე, ცეცხლოვან მიწაზე ამ ჯგუფში შეჰყავთ იაგანები და ალაკალიკები, ხოლო თავის მხრივ, ისინი გაერთიანებულები არიან პატაგონიურ ჯგუფში.

ცხადია, რომ ამ სუბკონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის ანთროპოლოგიური და ეთნიკური სახე მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც XVI საუკუნის პირველ ათწლედში სწრაფად დაიწყო მისი კოლონიზაცია ევროპელების და განსაკუთრებით ესპანელების მიერ. ხოლო ბრაზილიაში ეს საქმე პორტუგალიელებმა განახორციელეს.

ცნობილია, რომ მკვიდრი მოსახლეობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია, როგორც მათმა ფიზიკურმა განადგურებამ დამპყრობელთა მიერ, და ამას შეეწირა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ისე აუტანელმა მონურმა შრომამ, რომელიც მათ კოლონიზატორების მხრიდან დააწვა. ადგილობრივი მოსახლეობის გაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა დამპყრობელთა მიერ შემოტანილმა სხვადასხვა ინფექციურმა დაავადებამ, რომლებსაც ინდიელები მანამდე არ იცნობდნენ. ასეთი იყო მაგალითად, ყვავილი და სხვ.

პირველ რიგში კოლონიზატორთა მძიმე ხვედრი გაიზიარა ვესტ-ინდოეთის მკვიდრმა მოსახლეობამ, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ XVI საუკუნის I ნახევარში ამოწყდა. ასევე დიდი რაოდენობით დაიხოცა მკვიდრ ინდიელთა მნიშვნელოვანი ჯგუფები ზღვისპირა რაიონებსა და ზოგიერთ მთიან ადგილას, რომლებმაც პირველებმა განიცადეს კოლონიური რეჟიმის სიმწვავე.

ყოველივე ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მკვიდრი მოსახლეობის გადარჩენილმა ნაწილმა თავი შეაფარა ტროპიკულ ტყეებსა და მთებს. დღემდე დაუდგენელია დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა, როგორც მკვლევარები თვლიან, შედარებით ზუსტი უნდა იყოს დიდი ესპანელი ჰუმანისტის, ინდიელთა თავგამოდებული დამცველის ბართლომე დე ლას კასასის ცნობა კოლონიზაციის შედეგად მრავალი მილიონი ინდიელის დაღუპვის შესახებ.

ლ ა თ ი ნ უ რ ი ა მ ე რ ი კ ი ს ნ ე გ რ ო ი ზ ა ც ი ა. ამ სუბკონტინენტის ეთნიკური სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ზანგების, როგორც მონა მუშახელის დიდი რაოდენობით გადმოსახლებამ აქ აფრიკის კონტინენტიდან. განსაკუთრებით ეს ითქმის ლათინური ამერიკის ცალკეული რეგიონების შესახებ, როგორიცაა: ცენტრალური ამერიკის, ანუ კარიბის ზღვის აუზის რეგიონი, ხოლო სამხრეთ კონტინენტზე — ბრაზილია.

მონების შეყვანა ლათინურ ამერიკაში ჯერ კიდევ XVI საუკუნის I მეოთხედში დაიწყო. ეს პროცესი გრძელდებოდა XIX საუკუნის დამდეგამდე, ხოლო კუბასა და ბრაზილიაში იმავე საუკუნის დასასრულამდეც, რადგან ამ ქვეყნებში მხოლოდ ამ დროს გაუქმდა მონობა. შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენი მონა შემოიყვანეს. ზოგიერთი მონაცემით, ეს ციფრი

10 მილიონამდე უნდა აღწევდეს. მათ შორის ბევრი იყო აფრიკის კონტინენტის დასავლეთ სანაპიროების მკვიდრი მოსახლეობა, აგრეთვე ცენტრალური რაიონებისა და თვით აღმოსავლეთ აფრიკის მოსახლეობაც კი.

მონების უმრავლესობა შეჰყავდათ ვესტ-ინდოეთში, ბრაზილიასა და გვიანანაში, ე.ი. იქ, სადაც დიდი რაოდენობით იყო პლანტაციური მეურნეობა ზოგიერთ ქვეყანასა და რეგიონში ზანგი მოსახლეობა ამჟამად უმრავლესობას შეადგენს. პირველ რიგში ესაა ჰაიტი, რომელიც პრაქტიკულად ზანგებითაა დასახლებული, შემდეგ თითქმის მთელი ინგლისურენოვანი ვესტ-ინდოეთი და საფრანგეთისა და ჰოლანდიის საკუთრებელები. რაც შეეხება კუბასა და ბრაზილიას, აქაც მოსახლეობის დიდი ნაწილი წარმოშობით დაკავშირებულია აფრიკელ ზანგებთან.

ზანგები დამპყრობი და მათი დამმონებელი კოლონიზატორების წინააღმდეგ მათთვის ამ ახალ, უცხო ქვეყანაში აჯანყებებს აწყობდნენ. მაგალითად, ცნობილია XVII საუკუნის ბრაზილიის ზანგების ერთ-ერთი რესპუბლიკა პალმარიში. ზანგების შეიარაღებული გამოსვლები აღინიშნა იამაიკაში, კუბასა და ვესტ-ინდოეთის სხვა კუნძულებზე. ასევე გვიანანაში. არსებობდა გაქცეული აფრიკელი ზანგებისა და მათი მემკვიდრეების დიდი ჯგუფები, რომლებიც თავს აფარებდნენ ზანგებისა და მათი მემკვიდრეების დიდ ჯგუფები, რომლებიც თავს აფარებდნენ ტროპიკულ ტყეებსა და მთებს — მათ მარუნები ეწოდებოდათ. მარუნთა დასახლებები არსებობდა რეგიონის როგორც კონტინენტურ ნაწილში, ისე კუნძულებზე.

ცხადია, ზანგი მოსახლეობის ცხოვრებამ საუკუნეების განმავლობაში ამერიკის კონტინენტზე დაღი დაასვა როგორც მათ, ასევე მკვიდრი და ევროპიდან გადმოსახლებული მოსახლეობის კულტურულ-ყოფით სახეს. მაგრამ, პირველ რიგში, დიდი ცვლილებები განიცადა ამ მხრივ სწორედ ზანგმა მოსახლეობამ. მონათმფლობელები, პირველ რიგში, ცდილობდნენ პლანტაციაში ერთად ჰყოლოდათ აფრიკის სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები, რათა მათ გაჭირვებოდათ ერთმანეთთან დაკავშირება და დამპყრობელთა წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლა. პლანტაციებში სალაპარაკო ენა იყო ევროპული, იმის მიხედვით, თუ რომელი ქვეყნის კოლონია იყო ეს ტერიტორია. ამის შედეგად წარმოქმნილი დიალექტები, უკვე აშობლიური ხდებოდა მონათა შვილებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ლათინური ამერიკის ზანგმა მოსახლეობამ ბევრი რამ დაკარგა თავისი ტრადიციული კულტურიდან, მათ მაინც შეინარჩუნეს ან წარმოქმნეს ყოფასა და კულტურაში მრავალი თავისებურება (მათ შესახებ ქვემოთ). ამჟამად ზანგი მოსახლეობა ზოგიერთი მონაცემით, შეადგენს ლათინური ამერიკის მოსახლეობის 9-10%-ს.

კ რ ე ო ლ ე ბ ი, მ ე ტ ი ს ე ბ ი, მ უ ლ ა ტ ე ბ ი. ახალადმოჩენილ კონტინენტზე ტერიტორიების დაპყრობისა და ათვისების კვალ-

დაკვალ მუდმივად მიმდინარეობდა, აგრეთვე, ესპანელებისა და პორტუგალიელების გადასახლება მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე. ამას შედარებით ნაკლებად მისდევდნენ ინგლისელები, ფრანგები და ჰოლანდიელები. თანდათანობით ესპანეთისა და პორტუგალიის ზღვისგადაღმა სამფლობელოებში ჩამოყალიბდა თავისებური ჯგუფები მაოი მემკვიდრეობისა, რომლებიც ცნობილია ესპანური სახელწოდებით — კ რ ე ო ლ ე ბ ი.

კრეოლების, რომელთა შორის მრავლად იყვნენ მდიდარი მიწათმფლობელები, პოლიტიკური უფლებები გარკვეულად შეზღუდული იყო. კერძოდ, მათ უფლება არ ჰქონდათ, დაეკავებინათ მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობანი. ამის გამო მათსა და მეტროპოლიიდან გადმოსახლებულებს შორის ხშირად უთანხმოება იყო. XIX საუკუნის I ნახევარში ესპანელების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას ლათინურ ამერიკაში სწორედ კრეოლები ჩაუდგნენ სათავეში და ისინი მოექცნენ ახალჩამოყალიბებული რესპუბლიკების სათავეშიც.

ჯერ კიდევ კოლონიურ პერიოდში ხდებოდა ინტენსიური რასობრივი შერევები, რის შედეგადაც წარმოიქმნენ ე.წ. მ ე ტ ი ს ე ბ ი. ეს იყო ინდიელი წარმოშობის მრავალი ჯგუფები, რომლებიც ჩამოყალიბდა სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროებზე, მექსიკაში, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში, კოლუმბიასა და ვენესუელაში. ამგვარად, ისინი ეკუთვნოდნენ მოსახლეობის ყველაზე დაჩაგრულ ნაწილს, ინდიელებს. ნიშანდობლივია, რომ მრავალ ქვეყანაში მეტისისა და ინდიელი ქალის შთამომავლის აღსანიშნავად შემოიღეს საგანგებო ტერმინი — „სალტო ატრას", რაც „უკუნახტომს" ნიშნავს.

მესამე, დიდი ჯგუფი, რომელიც წარმოიქმნა ევროპული წარმოშობის ადამიანებისა და ზანგების კავშირების გზით — ესაა მ უ ლ ა ტ ე ბ ი. ისინი, როგორც წესი, ჩამოყალიბდნენ იმ ზონებში, სადაც მეტი იყო ზანგი მოსახლეობა. მეტისებში ზანგების სისხლს უფრო მეტად ჰქონდა სოციალური მნიშვნელობა, ვიდრე ეს მულატების შემთხვევაში იყო. ვესტ-ინდოეთში, ამასთან დაკავშირებით, შეიქმნა ტერმინთა მთელი სისტემა იმის გასაჩიჯნად, ზანგის სისხლი რამდენ ნაწილს შეადგენდა მეტისებში: კვარტერონი იყო 1/4-ით ზანგი, ოკტრიონი — 1/8-ით ზანგი, მუსტი — 1/16-ით ზანგი და მუსტეფინო — 1/32-ით. ამასთანავე, თუ რომელ საფეხურს ეკუთვნოდა ესა თუ ის პირი, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი სოციალური მდგომარეობის გარკვევისათვის. ადამიანი, რომელიც დაიბადა თეთრი ადამიანისა და მუსტეფინოსაგან, ოფიციალურად თეთრად ითვლებოდა და თავისუფალი იყო დაბადებიდანვე, მიუხედავად იმისა, მშობლებიდან რომელიმე მონობაში იმყოფებოდა თუ არა.

ს ხ ვ ა ე თ ნ ი კ უ რ ი წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ ე ბ ი. ცენტრალურ ამერიკაში, კოლუმბიის და ეკვადორის წყნარი ოკეანის სანაპიროებზე

წარმოიქმნა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი — საბბო, რომლებიც ინდურ-ზანგური წარმოშობისანი იყვნენ.

XIX საუკუნის I ნახევარში, ბრიტანეთის კოლონიებში, მონობის გაუქმების შემდეგ, პლანტაციებში სამუშაოდ დაიწყეს მუშების შემოყვანა ჩინეთიდან და ინდოეთიდან, რომლებიც კონტრაქტის დადების გზით ხელებიღნენ აქ. ამასთან, ინდოელები უფრო შემგუებლები აღმოჩნდნენ პლანტაციებში მუშაობისათვის. მათი შეყვანა შეწყვიტეს მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის წინ. მოხდა ისე, რომ ამჟამადაც გაიანას მოსახლეობის 50%-ზე მეტს შემოყვანილი ინდოელები შეადგენენ. დიდია მათი წილი სხვა ქვეყნების მოსახლეობაშიც: 40%-მდეა ტრინიდადსა და ტობაგოში. უფრო ნაკლები — სურინამში, იამაიკასა და საფრანგეთის ანტილებზე. საერთო რაოდენობა ინდოელებისა ლათინურ ამერიკაში ნახევარ მილიონამდეა.

ჩინელები გაფანტული არიან მცირერიცხოვან ჯგუფებად კესტ-ინდოეთისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში. ცალკე დგას სურინამი — ჰოლანდიის ყოფილი კოლონია, რომელიც ერთადერთი ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში, სადაც ცხოვრობენ იავაელები (კუნძულ იავას მკვიდრნი). რომელთა წინაპრები აქ გადმოასახლეს ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში ჩამოსახლება დაიწყეს იაპონელებმა. ძირითადად ისინი დასახლდნენ ბრაზილიაში, პერუსა და სხვა ქვეყნებში. მათ აქ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სფეროშიც. მაგალითად 80-იან წლებში პერუს პრეზიდენტი ალბერტო ფოხიმორე წარმოშობით იაპონელი იყო.

მაგრამ ლათინური ამერიკის მოსახლეობის სიჭრელე მარტო ამით არ ამოიწურება. XIX საუკუნის ბოლოს, ამ რეგიონის მრავალ ქვეყანაში მცირე ჯგუფებად გადმოსახლება დაიწყეს არაბებმა, ძირითადად პალესტინიდან. მოხდა ისე, რომ ამჟამად მათი შთამომავლები, მართალია მცირე, უმნიშვნელო ჯგუფებად, მაგრამ მაინც ცხოვრობენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ე ნ ო ბ რ ი ვ ი გ ა რ ე მ ო. რეგიონის სახელმწიფოთა უმეტესობაში სახელმწიფო ენა ე ს პ ა ნ უ რ ი ა, მაგრამ იგი რამდენადმე განსხვავებულია ყოფილი მეტროპოლიის ენისაგან. ასევე ეს პ ო რ ტ უ გ ა ლ ი უ რ ე ნ ა შ ი ც, რომელიც ბრაზილიის სახელმწიფო ენაა. ერთიცა და მეორეც ლექსიკის თვალსაზრისით გარკვეულად გამდიდრდა ადგილობრივი, ინდიელთა ენის მონაცემების საფუძველზე. ამავე დროს, ზოგიერთი სიტყვა და ფორმა, რომელიც უკვე არ არსებობს ევროპულ ესპანურში. შემონახულია ლათინური ამერიკის მეტყველებაში. თანაც ბევრმა სიტყვამ ლათინურამერიკულში სხვა მნიშვნელობა შეიძინა. შეიცვალა კილოც. იმდენად, რომ ამჟამად ესპანელს თავისი კილოთი ადვილად განასხვავებენ ხოლმე ესპარუნენოვანი ლათინურამერიკელებისაგან.

ინგლისური ენა გავრცელებულია ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში — იამაიკაზე, ტრინიდადსა და ტობაგოში, ბარბადოსზე, გრენადაში, სენტ-ლეისიაში, დომინიკაში, სენტ-ვინსენტესა და გრენადინებზე, ბაჰამებზე, გაიანაში, ბელიზსა და ამჟამადაც ინგლისის კუთვნილ ტერიტორიებზე — მცირე ანტილიისა და ფოლკლენდის კუნძულებზე. როგორც წესი, აქ ლაპარაკობენ ინგლისური ენის ადგილობრივ დიალექტზე.

ჰაიტიზე, რომელიც საფრანგეთის ყოფილი კოლონიაა, აგრეთვე, ამჟამადაც საფრანგეთის კუთვნილ ტერიტორიებზე — მარტინიკაზე, გვადელუპაზე და საფრანგეთის გვიანაში, გავრცელებულია ფრანგული ენა. თუმცა გამოიყენება ადგილობრივი დიალექტებიც — ეს დიალექტები გაერთიანებულია საერთო სახელწოდებით — კრეოლი და მნიშვნელოვნად განსხვავდება ლიტერატურული ფრანგულისაგან.

ჰოლანდიური ენა გავრცელებულია ჰოლანდიის ვესტინდოეთსა და სურინამში. თუმცა კუნძულების მოსახლეობის უმეტესობა ლაპარაკობს პაპიამენტოზე, რომელიც ესპანურის (ძირითადად), ჰოლანდიურის, ინგლისურის, პორტუგალიურისა და ზოგიერთი აფრიკული ენის სინთეზია, საინტერესოა, რომ პაპიამენტოზე გამოდის გაზეთები, იბეჭდება წიგნები, იგი ისწავლება სკოლებში. რაც შეეხება ჰოლანდიის სურინამს, იქ ლაპარაკობენ სურინამის ენაზე.

ავტოქტონური ენები. ლათინური ამერიკის ადგილობრივი ანუ ავტოქტონური ენების კლასიფიკაციის საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული. ამას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს და პირველ რიგში ის, რომ ბევრი ადგილობრივი ენა ჯერაც არ არის შესწავლილი. ასევე მრავალი ენა დაიკარგა, რადგან მათი მატარებელი ტომები გაწყდნენ კოლონიური დაპყრობების დროს. ასეა თუ ისე, გარკვეული წარმატებები ლათინური ამერიკის ავტოქტონური ენების შესწავლაში მაინც მიღწეულია და აქ ამ სფეროში შემდეგი სურათი ისახება:

მექსიკის ინდიელთა ენები დაჯგუფებულია 19 ოჯახად. ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე 500-დან 2500-მდე ავტოქტონურ ენას ითვლიან, რომელთაც 50-დან 100-მდე ოჯახად აჯგუფებენ. ასეთი დიდი სხვაობები გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა ლინგვისტს, რომლებიც ამ ენებს სწავლობენ, სხვადასხვანაირად ესმით ნათესაობის პრობლემები. ამ დაყოფათა თავისებურებაა ისიც, რომ დიდი რაოდენობითაა, ე.წ. იზოლირებული ენები. ე.ი. ისეთები, რომლებიც არც ერთ ჯგუფში არ თავსდებიან და ამიტომ ცალკე გამოიყოფიან.

ძალზე სქემატური გადმოცემით, ამჟამად ასეთი სურათია: ხუთი დიდი ჯგუფი, ანუ ოჯახი. შეადგენს მექსიკის ინდიელთა ენებს: ხოკა-სიუ — უმრავლესობა ამ ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ხალხებისა ცხოვრობს ქვეყნის ჩრდილოეთში და აშშ-ის სამხრეთით; აცტეკურ-ტანიანური ენები —

ყველაზე ცნობილი და დიდი ჯგუფი, რომელიც ამ ოჯახის ენებში შედის, აცტეკებია; მაკრო-ოტო-მანგე — ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებთა ენაა; მაია-კიჩუ — ამ ჯგუფის ენებზე ლაპარაკობენ მექსიკის სამხრეთით და გვატემალაში მოსახლე ინდიელი ტომები; ტარასკა — მექსიკის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით მცხოვრებ ინდიელთა ენობრივი ჯგუფი.

ცენტრალურ ამერიკაში წარმოდგენილია ძირითადად მაკრო-ჩიბჩის ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ინდიელი ტომები. ჰონდურასის ინდიელებში ჭარობს პაიას და ლენკას ენები, ნიკარაგუაში — მისკიტო და სუმი, კოსტა-რიკაში — ბორუკა, გუეტრო და სხვ.

ანდურ-ეკვატორულ ენათა ოჯახს განეკუთვნებიან კ ე ჩ უ ა, ა ი მ ა - რ ა დ ა ა რ ა ვ ა კ ი ს ენები. აქედან, კეჩუას, ანუ კეჩვას, ენაზე ლაპარაკობენ პერუს, ეკვატორის, ნაწილობრივ ბოლივიის, აგრეთვე ძალიან მოსაზღვრე არგენტინისა და ჩილეს ინდიელი ტომების უმრავლესობა. აიმარა გავრცელებულია, ასევე ბოლივიასა და პერუში. კეჩუას ენაზე ლაპარაკობენ ერთ დროს უდიდესი და უძლავრესი სახელმწიფოს — ინკების იმპერიის დამაარსებელი ინდიელები. ახლა ამ ენაზე ამერიკაში 13 მილიონზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს და იგი ყველაზე მრავალრიცხოვანია ინდიელთა სხვა ენებს შორის. არავაკის ენაზე კი ლაპარაკობს არანაკლებ 100 ინდიელი ტომი მეტად ვრცელ ტერიტორიაზე, ვენესუელიდან პარაგვაის ჩათვლით.

რეგიონის სახმრეთ ნაწილში, კერძოდ ჩილის სამხრეთით, გავრცელებულია არაუკანების ენა, ანუ მაპუჩე.

რიგი ენებისა გამქრალია და დღეს არ არსებობს. მათ შორისაა ჩონი, ანუ პატაგონური ენები — არგენტინის სახმხრეთით და ნაწილობრივ ცეცხლოვან მიწაზე, ალაკალუფი და იაგანი — ცეცხლოვან მიწაზე.

ერთ დროს კარიბები მოსახლეობდნენ მდინარეების — შინგუს და ტოკანტინორის ზემო წელზე, ამაზონის სისტემაში. ამჟამად მათი განსახლების უმთავრესი ადგილებია მდინარე ამაზონის მარცხენა სანაპირო და მდინარე ორინოკოს ქვემო დინება. უძველეს დროს ისინი მოსახლეობდნენ ვესტინდოეთში და სწორედ მათგან მიიღო კარიბის ზღვამ თავისი სახელწოდება. მოელ ამ ტერიტორიაზე გავრცელებული იყო და მცირე ჯგუფების სახით ადგილ-ადგილ ახლაც შემორჩენილია ე.წ. ჟეჰანო-კარიბის ენაოა ოჯახის ცალკეული ჯგუფები. საერთოდ, ეს ენები ამჟამად მხოლოდ მატერიკზე შემორჩა — გაიანაში, საფრანგეთის გვიანაში, ბრაზილიასა და ვენესუელაში; ნაწილობრივ — ანდების დასავლეთ ფერდობებზე კოლუმბიაში. სუსტადაა ამ ოჯახის ენები შესწავლილი ამაზონისა და ორიკონოს ზემო წელში. სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ რაიონებში.

თუ შევაჯამებთ ლათინური ამერიკის აუტოქტონური ენების შესახებ ყოველივე ზემოაღნიშნულს, ზოგადად ასეთ სურათს მივიღებთ: ინდიელთა

ენების დიდი ნაწილი ან განდევნილია, ან ინტენსიურად იდევნება შესაბამისი ქვეყნების სახელმწიფო ენების მიერ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ენათა მსხვილი ოჯახები — კეჩუა, აიმარა, მაიას ენა და მათთან ახლოს მდგომი ენები. კეჩუას და აიმარას ენებზე ამჟამად მიმდინარეობს სწავლება პერუსა და ბოლივიაში, ამ ენებზე არსებობს ლიტერატურა. ლიტერატურა არსებობს მაიას ენაზეც.

კ ულ ტ ურ ის ფ ო რ მ ე ბ ი. ლათინური ამერიკის კულტურას გააჩნია როგორც ზოგადი, მთელი რეგიონებისათვის დამახასიათებელი საერთო უმთავრესი ნიშნები, საერთოდ, იგი ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით, რაც საშუალებას იძლევა ამ ზოგად ცნებაში — ლათინურამერიკული კულტურა — გამოიყოს ცალკეული კულტურული ოლქები. ჩვეულებრივ, ლათინურ ამერიკაში გამოყოფენ შვიდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქს. ესენია: მექსიკურ-ცენტრალურ-ამერიკული, ვესტ-ინდოეთის, კოლუმბიურ-ვენესუელური, სამხრეთის ოლქი, ბრაზილიის, პარაგვაისა და წყნარი ოკეანის სანაპიროს ოლქები. საბოლოოდ, როგორც ეს ერთხმად არის აღიარებული, ამ რეგიონის ინდიელთა მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია. დანარჩენი კოლონიზატორთა მიერ უმოწყალოდ განადგურდა.

მიუხედავად ამისა, კაცობრიობა დიდადაა დავალებული სწორედ ლათინურ-ამერიკული ტომებისა და მათ მიერ შექმნილი კულტურისაგან. მათ პირველებმა გამოიყენეს დღეს მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ისეთი კულტურული მცენარეების, როგორიცაა: კარტოფილი, პომიდორი, სიმინდი, ბამბა, მზესუმზირა, კაკაო და მრავალი სხვ. ინდიელებმა პირველებმა დაიწყეს კაუჩუკის წვენის გამოყენება, პირველებმა გამოყვეს კურარეს შხამი, რომელიც გამოიყენება მედიცინაში და სხვ.

მატერიალური კულტურის საგნებიდან, რომლებიც ადრე ინდიელების მიერ იყო შექმნილი და გამოგონებული, ბევრი ნივთი დამკვიდრდა თანამედროვე ყოფაში. საკმარისია დავასახელოთ ჰამაკი, რომელიც სწორედ თავისი თავდაპირველი, ინდიელთა სახელწოდებითაა გავრცელებული თითქმის მთელ მსოფლიოში.

მოკლედ შევეხოთ ამერიკელ ინდიელთა კულტურის უმთავრეს მონაპოვრებს მექსიკის, პერუსა და კოლუმბიის ინდიელთა კულტურების მაგალითზე.

დღეს უკვე გარკვეულია, რომ ჩვენს ერამდე მრავალი საუკუნით ადრე ლათინურ ამერიკაში ცხოვრობდნენ მრავალრიცხოვანი და მაღალგანვითარებული ხალხები. მექსიკაში აცტეკების მოსვლამდე ცხოვრობდნენ ტოლტეკები, რომელთაც აგებული ჰქონდათ უზარმაზარი ქალაქები და დიდებული პირამიდები. ტოლტეკებს გააჩნდათ თავიანთი დამწერლობა, იცნობდნენ მათემატიკას და მათვე შექმნეს ზუსტი კალენდარი. საეროოდ, უნდა ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ესპანელების მოსვლამდე მექსიკაში

არსებულმა ცივილიზაციებმა შექმნა, ესაა ხუროთმოძღვრება. I-IX საუკუნეებში აგებული ტოლტეკების პირამიდები, სასახლეები, რომლებიც შეკეთებულია შესანიშნავი ბარელიეფებით და ფრესკებით, დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. გარკვეულია ისიც, რომ ტოლტეკების კულტურამ გავლენა იქონია მოსული აცტეკებისა და მაიას ხელოვნებაზე. ცნობილია, რომ თავის მხრივ ამ უკანასკნელებმა შესანიშნავი ქალაქები და მაღალგანვითარებული ხუროთმოძღვრული ძეგლები ააშენეს. განსაკუთრებით ძველი მექსიკის ხელოვნებაში სკულპტურა განვითარდა. მოღწეულია ამ ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები, მაღალ დონეზე იყო განვითარებული. აგრეთვე, ძველმექსიკურ ხელოვნებაში პორტრეტული სკულპტურა. მაიას ხელოვნების თვალსაჩინო ძონაპოვრადაა მიჩნეული მცირე ტერაკოტული პლასტიკის ნიმუშები.

მაღალ დონეზე მდგარა ძველი პ ე რ უ ს ინდიელთა ხელოვნებაც. მართალია, ძველი მექსიკის ინდიელთაგან განსხვავებით აქ არქიტექტურა შედარებით სუსტად განვითარდა, მაგრამ გვხვდება დიდებული არქიტექტურული ნიმუშებიც (მაგალითად, ძველი ციხე-ქალაქის — მაჩუპიკჩუს ნანგრევები). სამაგიეროდ, ძველი პერუელი ხელოვნება სახელგანოქმულია ფიგურული და მოხატული კერამიკის ძეგლებით. მოჩიკას კულტურის ჭურჭლეული სკულპტურული პორტრეტული გამოსახულებებით მიჩნეულია პორტრეტული ხელოვნების უბადლო ძეგლებად მთელი კოლუმბამდელი ამერიკის ხელოვნებაში.

კ ო ლ უ მ ბ ი ა შ ი სკულპტურის მაღალი დონის ძეგლებით გამორჩეულია ინდიელი მუისკების ხელოვნება. მათ შორის კიმბაიას ტომს უკვე სცოდნია ჩამოსხმა, ჭედურობა და ფილიგრანული ხელოვნების სანიმუშო ძეგლების შექმნა. მათტვის ძირითად მასალას წარმოადგენდა ტერაკოტა, ოქრო, ვერცხლი, ამ ორი ლითონის ნაერთი სპილენძთან, რაც განსაკუთრებულ, მოწითალო ფერის ნაეროს იძლეოდა და სხვ. მთელ მსოფლიოშია ცნობილი კიმბაიას ტომის მცირე პლასტიკის ძეგლები — ოქროს ნიღბები, ადამიანთა გამოსახულებანი, რომლებიც მავთულითაა შესრულებული ოქროს ბრტყელ-ბრტყელ ფირფიტაზე. ასევე ცნობილია მათ ძიერ შექმნილი ჭურჭელი და ცხოველთა მცირე ფიგურები.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. იმ დიდი ჯგუფების თავმოყრის ადგილებში, დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრებისაგან მოშორებით, ჯერ კიდევ შემორჩენილია ცხოვრების ძველი წესისა და ფორმების ნიმუშები. ეს ძველი ფორმები იქამდეა დაცული და შემონახული, რომ ინდიელებში, რომლებიც ბინადრობენ სამხრეთ-აღმოსავლეთის ტროპიკული ტყეების ზონაში, ჯერაც არსებობს გვაროვნული წყობილების ნიმუშები. ინდიელთა ოჯახი, როგორც წესი, აქ ზოგჯერ შედგება რამდენიმე გვარისაგან. ეს ოჯახი დიდი ხნის მანძილზე იყო, და გარკვეულწილად დღესაც რჩება სამეურნეო და ეონიკუ-

რი თვალსაზრისით რამდენადმე იზოლირებულად. მეურნეობა ხშირად ატარებს ჩაკეტილ, ლოკალურ და უფრო მეტიც, არსებითად ნახევრადნატურალურ ხასიათს. ინდიელთა თემში როგორც ტრადიციულად, ისე მოქმედი კანონმდებლობითაც, საკუთრება მიწაზე გადაეცემა მხოლოდ მემკვიდრეობით. ამასთანავე, ხდება მიწის განუწყვეტელი დაქუცმაცება პატარ-პატარა ნაკვეთებად. ხშირად მიწის საერთო ნაფილი შედგება რამდენიმე ნაკვეთისაგან, რომლებიც გამოცალკევებულია მაოი დანიშნულების ან იმის მხედვით, თუ როგორ შეიძლება მაოი უფრო მომგებიანად გამოყენება; მაგალითად, წყალსატევებთან სხვაზე მეტად ბოსტნეული მოჰყავთ, მთისძირა ნაკვეთებზე და მთისპირა ფერდობებზე — სიმინდი და ლობიო, ხოლო უფრო მაღლა მთის ფერდობები, როგორც წესი, უჭირავს მეტად მწირ საძოვრებს, რომლებიც მთელი თემის საერთო საკუთრებაა.

მექსიკის მიწათმოქმედებაში დღემდე დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდს. იგი, როგორც ცნობილია, აქაურ ინდიელთა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. სწორედ მის გაშენება-მოყვანაზე იყო დამყარებული კოლუმბამდელი ეპოქის მთელი მექსიკის ეკონომიკა. მეორე, ძალზედ მნიშვნელოვანი ტრადიციული საკვები სამეურნეო კულტურაა ლობიო. დღეს აქ ფართოდ არის გავრცელებული ხორბალიც, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც იგი ესპანელებმა შეიტანეს.

ესპანელების მოსვლამდე მექსიკის ინდიელებს მოშინაურებული ჰყავდათ მხოლოდ ძაღლები და ინდაურები, ხოლო მათ მოსვლას მოჰყვა მესაქონლეობის განვითარებაც. საინტერესოა, რომ თუ სოფლის მეურნეობა მაინც ტრადიციულ. ძველ ინდიელთა მეურნეობის საფუძველზე ვითარდება, მესაქონლეობა უკვე ევროპული, ესპანური მეურნეობის მიხედვითაა მოწყობილი.

მიწათმოქმედებაში გამოყენებული შრომის იარაღები დღეს წარმოდგენილია ძველი, ინდიელების ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და თანამედროვე მანქანების შერწყმის სახით. ძველი იარაღები, ცხადია, მეტად პრიმიტიულია, მაგრამ წვრილ გლეხურ მეურნეობას კარგადაა მორგებული. საინტერესოა, რომ კოლუმბამდელი ეპოქის მექსიკა, ისევე როგორც ლათინური ამერიკის სხვა ინდიელთა მიწათმოქმედება, საერთოს არ იცნობდა სახნავ მიწათმოქმედებას და მის ძირითად იარაღს — გუთანს. სათხრელი ჯოხებით მიწის დამუშავება იმდენად ტრადიციულია და საუკუნეებით გამჯდარი ინდიელთა მეურნეობაში, რომ დღესაც კი ბევრგან მას იყენებენ.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს მექსიკელთა და არა მარტო მექსიკელთა, დღეს ფართოდ გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო იარაღის — მაჩეტეს შესახებ. ეს არის მრავალმხრივი დანიშნულების დიდი ზომის ფართო და მძიმე დანა. მაჩეტეს საშუალებით ათავისუფლებენ მიწის ნაკვეთებს ტყეების ან ბუჩქნარებისაგან, ჭრიან შაქრის ლერწამს და სხვ. და აი, ეს მაჩეტე ლათინურ ამერიკაში გავრცელდა ევროპელთა მოსვლის შემდეგ; იგი აქ

წარმოიშვა ევროპელთა მიერ შემოტანილი ახალი იარაღის ელემენტების საფუძველზე, მაგრამ სისხლხორცეული გახდა ადგილობრივი მეურნეობისათვის.

ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა. მექსიკელ ინდიელთა შორის ფართოდ იყო გავრცელებული სოფლის კუსტარული წარმოება. აქ მისდევდნენ ქვაზე კვეთას, ქსოვას და საიუველირო საქმეს. ხელოსნური წარმოშობის ერთ-ერთი მაღალოსტატური დარგი იყო ბუმბულისაგან შედგენილი მოზაიკები; მეტად გავრცელებულ წრიულფსკერიან სამეურნეო ჯამ-ჭურჭელს სამეთუნეო ბორბლის გამოყენებლად ამზადებდნენ, რადგან იგი მათთვის საერთოდ უცნობი იყო.

სახლები შენდებოდა, და მეტწილად ამჟამადაც შენდება, სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალისაგან — თიხა, გამოუწვავი აგური, ქვა, ლერწამი და სხვ. სახლების გარეთა კედლებს იუკატანში შელესავენ და შეთეთრებენ. მათი სახურავები ტროპიკულ ზონაში მაღალია, ორ და ოთხფერდა, როგორც წესი, ბზით ან ჩალით გადახურული. ღარიბების სახლების სარკმელები არა აქვს, საცხოვრებელი ქოხები შედგება თითო სათავსისაგან, ანუ ერთი ოთახისაგან და მეტად ღარიბულადაა მოწყობილი. როგორც წესი, იძინებენ ჭილოფზე, ხოლო ქვეყნის სამხრეთ ნაწილში — ჰამაკებზე. სახლის აუცილებელი ჭურჭელია დიდი ზომის დოქი წყლისათვის და ხელსაფქვავი — მეტატე.

როგორც წესი, სახლშივეა მოწყობილი პატარა საკურთხეველი სახოლებით, მაგრამ ეს უკვე შემოტანილი ესპანურ-კათოლიკური კულტურისა და რელიგიის გავლენაა.

§ 2. მაიას ხალხები

I. ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ა ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ც ნ ო ბ ე ბ ი — ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე პეტენ-იცას ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით წარმოიშვა მაიას უძველესი ქალაქი-სახელმწიფოები. მაიას ხალხი და მისი კულტურა ერთ-ერთია იმ ხუთ კულტურას შორის, რომლებიც არქეოლოგიური მასალების მიხედვით ამჟამად ცნობილია ამერიკის კონტინენტზე. მაიას ხალხთა კულტურა განვითარდა თანამედროვე გვატემალის ცენტრალურ ნაწილსა და მექსიკის სამხრეთ-დასავლეთში.

დანარჩენი ოთხი, ასევე მაღალი განვითარების კულტურა, რომელიც იმავე ცენტრალურ ამერიკაში წარმოიშვა, შემდეგია: ოლმეკის კულტურა, რომელიც არსებობდა მექსიკის ატლანტიკურ სანაპიროზე, თანამედროვე ვერაკრუსისა და ტაბასკოს შტატების ტერიტორიაზე; ტოტონაკის კულტურა; საპოტეკების კულტურა სამხრეთ მექსიკაში; ხოლო შეხუთე ტოლტეკების კულტურა, რომლის ცენტრში იყო იმდროინდელი მექსიკის უდიდესი ქალაქი ტეოტიხუაკანი.

ხუთივე ამ კულტურას გააჩნდა როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო, ყველასათვის ზოგადი მახასიათებლები. კერძოდ, ხუთივე კულტურას ახასიათებდა მაღალგანვითარებული არქიტექტურა, შესანიშნავი სკულპტურული ძეგლები, მსატვრობა და იეროგლიფური დამწერლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ცნობა ამ კულტურების შესახებ მოპოვებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ამიტომ მხოლოდ პირობითად შეიძლება მათი დაკავშირება იმ ეთნიკურ ჯგუფებთან, რომელნიც მოგვიანებით ცხოვრობდნენ ამ კულტურების გავრცელების ტერიტორიებზე, ამიტომაც, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ არქეოლოგიურ კულტურების პირობითად უწოდებენ იმ ტომებსა და ხალხების სახელებს, რომლებიც უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ამ ადგილებში.

ასევე გაურკვეველია, თუ რომელია ამ კულტურათაგან უძველესი. არ არის გამორიცხული, რომ ყველა მათგანი ეროდროულად არსებობდა და ვითარდებოდა. კერძოდ, არქეოლოგიური მასალით თვალნათლივ ჩანს, რომ თითოეული ამ კულტურათაგანი ამდიდრებდა ერთმანეთს, ისინი იზოლირებულად არ განვითარებულან. ჩანს, რომ საპოტეკების კულტურას ოლმეკების კულტურის გავლენა განუცდია, ან კიდევ, მაიას კულტურის ძეგლებზე ხშირია ტოლტეკების კულტურისაგან ნასესხები მოტივები და სხვ.

ამ კულტურათა შედარებით თანმიმდევრული ცნობები და სხვებზე მეტი მასალა მოიპოვება მაიას კულტურის, მისი ყოფის, მეურნეობის, არქიტექტურის, ლიტერატურისა და დამწერლობის შესახებ. ამიტომ ჩვენც სწორედ ამ კულტურას განვიხილავთ.

მაიას კულტურის უმთავრესი ქალაქების — ტიკალის, ვაშაკტუნის, ვოლანტუნის, ბალაკბალისა და სხვათა ნანგრევებში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით სკულპტურული სტელები. იეროგლიფური წარწერები ქვებსა და კერამიკაზე ყველაფერი ეს წარმოადგენს ძვირფას წყაროს ამ კულტურის შესასწავლად.

მაიას ხალხს წესად ჰქონდა ყოველი ოცი წლის გასვლის შემდეგ კირქვის ფილისაგან დამზადებული სტელის აღმართვა, რომელიც დაფარული იყო იეროგლიფური წარწერით. ტექსტის დასაწყისში ყოველთვის დასმული იყო თარიღი. ამ თარიღების მიხედვით შესაძლებელია გაირკვეს რომელიმე ქალაქის არსებობის ქრონოლოგიის შესახებ. გამოთვლილია, რომ უძველესი სტელა აღმართული უნდა იყოს 328 წელს.

მაიას კულტურის უძველეს ცენტრებად მიჩნეულია მდინარე უსუმარინტის დასახლებები. აქ აღმოჩენილი უძველესი წარწერები თარიღდება V-VI საუკუნეების დასაწყისით. ირკვევა, რომ მაიას ყველა უძველესი ქალაქი დაღუპულა IX-X საუკუნეებში, რადგან თარიღიანი წარწერები სწორედ ამ დროიდან წყდება. მეცნიერთა ერთი ნაწილი მაიას ქალაქების დაღუპვას მიაწერს საახლო მიწათმოქმედების შედეგად მინდვრების გამოფიტვას, ხოლო მეორე ნაწილი მათი დაცემის მიზეზს ხედავს მტრების შემოსევაში.

ფაქტია, რომ მაიას ცივილიზაციის თავდაპირველი წარმოსადგენლები დასახლდნენ პეტენ-იცას ტბის მახლობლად, სადაც V-VI საუკუნეებში ითვისესს იუკატანის აღმოსავლეთი სანაპირო. სწორედ ამ ადგილებში წარმოიშვა მაიას ქალაქები: ციბანჩემ იჩპაატუნი, ტულუმი, კობა და ჩრდილოეთ იუკატანის მნიშვნელოვანი ცენტრი-ქალაქი — ჩიჩენ-იცა.

ტოლტეკებმა X საუკუნეში დაიპყრეს იუკატანი და ქალაქი ჩიჩენ-იცაც, რომელიც თავიანთ დედაქალაქად გადააქცეს. XII საუკუნის ჩათვლით ეს ქალაქი აქ წარმოდგენილი პოლიტიკური ერთეულის ცენტრი იყო. XIII საუკუნის ბოლოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა კოკომების დინასტია, რომლებიც თავიანთ წარმოშობას ლეგენდარული კუკულანიდან იწყებდნენ. დაქირავებული ჯარის დახმარებით მათ შეძლეს იუკატანში თავიანთი ბატონობის დამყარება, რომელიც გაგრძელდა XV საუკუნის შუა ხანებამდე. მათი აუტანელი ექსპლოატაციის შედეგად იუკატანში 1441 წელს ღაიწყო აჯანყება, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, იუკატანი ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაშალა. მათ შორის უმთავრესი იყო სამი დიდი ქალაქი: მანი, სოტეტა და იცმალი. მათ შორის ძიმდინარე ურთიერთბრძოლები იმით დამთავრდა, რომ 1541-1546 წლებში ესპანეთმა იოლად დაიპყრო და თავის კოლონიად აქცია ეს ტერიტორიები.

2. მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. მაიას ხალხი მისდევდა საახოო მიწათმოქმედებას. ნოემბერ-მაისის მშრალი სეზონის დროს ტყის ნაკვეთების ქვის ნაგახლების დახმარებით ასუფთავებდნენ მცენარეულობისაგან, დიდ ხეებს შეშოაცლიდნენ ქერქს ან შემოუნთებდნენ ცეცხლს და ამის შედეგად ეს ხეები ხმებოდა. აპრილში ხეებსა და ბუჩქნარს ცეცხლს მისცემდნენ. ამის შემდეგ ნაკვეთი მზად იყო დასამუშავებლად და მაისშიც აქ თესვას იწყებდნენ.

თესდნენ სხვადასხვა ჯიშის სიმინდს. მათ შორის დიდტაროიანებს, რომელიც 6-7 თვეში მწიფდებოდა და მცირეტაროიან ჯიშებს, რომლებიც ბევრად ადრე, დაახლოებით 3 თვეში მწიფდებოდა. მოსავლის აღების დროს სათესლედ შედარებით დიდ ტაროებს გადაარჩევდნენ.

მარცვლეულის შესანახად ქოხის კუთხეში ადგილს გამოყოფდნენ, რომელსაც ნესტისაგან დასაცავად ხის ქერქით ან პალმის ტოტებით გადახურავდნენ, დიდი რაოდენობით მარცვლეულის შესანახად აკეთებდნენ საგანგებო ბეღელს.

მიწის ერთი და იმავე ნაკვეთიდან რამდენჯერმე იღებდნენ მოსავალს. 2-3 მოსავლის შემდეგ მიწა იფიტებოდა. ახალი ტყე გადამწვარ ადგილას 6-10 წლის შემდეგ წამოიზრდებოდა, მაგრამ ეს ახალი ნაკვეთები. ნაკლები მცენარეული საფარით, მცირე მოსავალს იძლეოდა. ნაკვეთების გაფიფიტების შემდეგ მოსახლეობა ახალ ადგილზე გადადიოდა.

მაიას ხალხები სიმინდთან ერთად მისდევდნენ: პომიდვრის, გოგრის, ლობიოს, ტკბილი კარტოფილის (ბატატის), მწვანე პილპილის, კაკაოს,

ვანილის, თამბაქოსა და სხვადასხვა ხილის მოშენებას. ტექნიკური კულტურებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო: ბამბა, აგავა და ზოგიერთი სხვა მცენარე, რისგანაც აკეთდებენენ თოკს, ცისფერ საღებავს — ინდიგოს მოიპოვებდნენ ზოგიერთი მცენარისაგან, ხოლო წითელს — კოშენილს ერთ-ერთი სახეობის კაქტუსის მწერებისაგან.

მაიას ხალხი ამრავლებდა ინდაურსა და ძაღლებს — მათ ხორცს საკვებად იყენებდნენ. განვითარებული ჰქონდათ მეფუტკრეობა და მათ შორის მისდევდნენ ველური ფუტკრის თაფლის შეგროვებასაც.

მეთემეები კოლექტიურად ნადირობდნენ, თევზაობდნენ, ნადირობდნენ უმთავრესად ირემზე, კურდღელზე, ინდაურებზე და სხვ. სანადიროდ იყენებდნენ მშვილდ-ისარსა და შუბს, ხოლო თევზაობდნენ ბადითა და ანკესით.

ძირითად საკვებს სიმინდი შეადგენდა. სიმინდის გამომშრალ მარცვლებს ალბობდნენ კირწყალში, ხოლო შემდეგ ფქვავდნენ ხელსაფქვავებით. ფქვილს წყლით ზელდნენ და ცომისაგან ამზადებდნენ თავისებურ სასმელს ან მზისგანა გახურებულ ქვებზე აკრავდნენ კვერებს. სიმინდისაგან ამზადებდნენ მრავალ სხვა საჭმელსა და სასმელს, ზოგჯერ პილპილისა და კაკაოს შერევით. მათრობელი სასმელს ამზადებდნენ ბალჩეს ხის ფესვებისაგან.

3. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ა. გაბატონებული კლასი შედგებოდა წარჩინებული სამხედროებისა და ქურუმებისაგან. წარჩინებულებს ბევრი მონა ჰყავდათ. ისინი დიდი რაოდენობით ფლობდნენ კაკაოსა და ხილის პლანტაციებს, სკებს, მარილის საბადოებს, არ იხდიდნენ გადასახადებს, ომის დროს წარჩინებულები უნდა გამოცხადებულიყვნენ მმართველთან და დამდგარიყვნენ მისი დროშის ქვეშ. წარჩინებულთა უფლებები მემკვიდრეობითი იყო.

წარჩინებულთა წრის ცალკე ფენას შეადგენდნენ ქურუმები. ქურუმებად ჩვეულებრივ გამოდიოდნენ ქურუმთა შვილები ან წარჩინებულთა უმცროსი ვაჟები — უფროსი ვაჟები მამის მემკვიდრეები იყვნენ. ქურუმები დიდ როლს ასრულებდნენ მაიას ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. მხოლოდ ქურუმები დაეუფლნენ კალენდარულ ცოდნას და მათი განკარგულებით წარმოებდა სამეწარმოო-ქმედო სამუშაოების დაწყება და საერთოდ მიმდინარეობა.

მაიას საზოგადოების გარკვეულ ფენას შეადგენდნენ, აგრეთვე ვაჭრები. ისინი ჩვეულებრივ, წარჩინებულთა წრიდან ან გამდიდრებული მეთემეებისაგან გამოდიოდნენ. ჰქონდათ საგანგებო სავაჭრო რუკები, რომელთა საშუალებით გადადიოდნენ საქონლით ერთი ქალაქიდან მეორეში. საქონელი გადაჰქონდათ ქარავნებით. დიდ ქალაქებში გამართული იყო ბაზრები და სასტუმროები, რომლებიც გარკვეულ საზღაურს იხდიდნენ. ვაჭრობა წარმოებდა დადგენილ დღეებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მეზობელ ხალხებთან. უმთავრესი სავაჭრო საქონელი იყო ქსოვილი, სპილენძი, ცვილი, კაკაოს იარაღი, მარილი, თევზეული, აგრეთვე მონები. ის ლითონის ნაკეთო-

ბანი, რომლებიც იუკატანში არ იშოვებოდა, შემოჰქონდათ მექსიკიდან, ჰონდურასიდან, ნიკარაგუადან და პანამიდან.

ვაჭრობისას გაცვლის ძირითად ეროვნულად გამოყენებული იყო კაკაო: მაგალითად, მონა ფასობდა კაკაოს 100 მარცვლად, კურდღელი — 10 მარცვლად. ხშირად იმავე მიზნით გამოიყენებოდა ნიფარები, გარკვეული ზომის ქსოვილი, მექსიკური სპილენძის პატარა ნაჯახები და სხვ.

მონათმფლობელობა მაიას ხალხში მნიშვნელოვნად იყო განვითარებული. მონობის ძირითად წყაროს ტყვეები წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, მონათა უმეტესობა სამხედროებს ჰყავდათ. მონებად აქცევდნენ აგრეთვე ქურდობისა და სხვა დანაშაულისათვის. მონებად გადაიქცეოდნენ მევალეები და მიუსაფარი პირები — ობლები და ქმარს გაყრილი ქალები. აგრეთვე ის თავისუფალი მეთემეები, რომლებიც მონებს გაჰყვებოდნენ ცოლად, ან მონებს შეირთავდნენ. მონათა შვილებიც მონებად რჩებოდნენ.

საერთოდ, მაიას სოფლის მცხოვრებლები ქმნიდნენ სოფლის თემს. რომელშიც მრავლად იყო წარმოდგენილი გვაროვნული წყობის გადმონაშთები. მაგალითად, ახალი სათესი ფართობის გასასუფთავებლად ან სიმინდის დასათესად მიწათმოქმედები, ჩვეულებრივ ეროიანდებოდნენ ოცკაციან ჯგუფებად. ასეთი ჯგუფის ყოველ დოჯახებულ მამაკაცს გამოეყოფოდა ცალკე მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, ყოველ ოჯახს თავისი სახლის მიმდებარედ ჰქონდა ნაკვეთი. ნადირობას, თევზაობას ან კიდევ მარილის მოპოვებას კოლექტიურად ეწეოდნენ. მონაპოვრის ნაწილს გამოყოფდნენ წარჩინებულებისათვის, დანარჩენს იყოფდნენ ჯგუფის წევრებს შორის.

4. ო ჯ ა ხ ი. მაიას ოჯახი, როგორც ჩანს, იდგა გარდამავალ საფეხურზე წყვილადი ოჯახიდან მონოგამიურისაკენ. ქმარს შეეძლო მიეტოვებინა ცოლი, ისევე როგორც, ცოლსაც შეეძლო ქმრის მიტოვება და ხელახლა დაქორწინება. მიუხედავად ამისა, ცოლების ცვლას მაინცდამაინც არ იწყინებდნენ, ხოლო გარყვნილება სიკვდილით ისჯებოდა.

საქმროს ხუთი-ექვსი წელი უნდა ემუშავა მომავალი სიმამრის სახლში და თუ იგი არ მოეწონებოდათ, შეეძლოთ მისი გადაგდება, მშობლების ქონების მემკვიდრეები მხოლოდ ვაჟები იყვნენ. ქალებს აკრძალული ჰქონდათ რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეობა, ტაძრებში მისვლა, კაცებთან ერთად საჭმლის ჭამა და თვით კაცებისათვის ყურებაც კი ქუჩაში.

მამაკაცების ტანსაცმელი შედგებოდა წელზე შემოხვეული ნაჭრის, მოსასხამისა და სანდლებისაგან, ქალები ატარებდნენ ქვედატანს, ხოლო გარკვეულ ადგილებში მკერდზე შემოსახვევებსაც. სამკაულებად ხმარობდნენ ხელისა და ფეხის სამაჯურებს, საყურეებს, ტუჩებსა და ცხვირში გასაყრელებს, ყელსაბამებს. ძუძუმწოვარა ბავშვებს ფიცრის ნაჭრების მეშვეობით თავის ქალას უჯიწროებდნენ და უბრტყელებდნენ. ბიჭების სახის კანს უმდულრავდნენ, რომ წვერი არ ამოსვლოდათ. გავრცელებული იყო სხეულის ტატუირება და მოხატვა.

5. რ ე ლ ი გ ი ა. მაიას ხალხის სამეწათმოქმედო რელიგიაში დიდ როლს ასრულებდა ჩაკების კულტი — ისინი ითვლებოდნენ წვიმის ღმერთებად და მინდვრების მფარველებად. მაიას პანთეონში უმაღლეს ღვთაებად ითვლებოდა იცმანა, ცის ღმერთი, ხოლო მისი ცოლი — იშჩელი იყო ნაყოფიერების ქალღმერთი. იცმანა ითვლებოდა ქურუმების მფარველად. მას მიეწერებოდა დამწერლობის გამოგონება და მეცნიერთა შექმნა. წარჩინებულ სამხედროთა მფარველი იყო ომის ღმერთი კაკ-უ-პაკატ-ი (ცეცხლოვანი სახე) ვაჭრობის ღმერთად მიიჩნევდნენ ევჩუახს, რომელიც ითვლებოდა აგრეთვე, კაკაოს პლანტაციების მფარველადაც.

ქურუმები მაიას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოფაში, კულტურაში, მეცნიერებასა და განათლებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ. მათ შეიმუშავეს ურთულესი მისტიკური მოძღვრება ღვთაებათა შესახებ. ამ მოძღვრების თანახმად, ოთხი ღმერთი — ხობნელი, კან ციკ ნალი, საკ კიმი და ხოსან ეკი — მორიგეობით მართავდნენ სამყაროს. როგორც ჩანს, ამ მოძღვრებაში აისახა უძველესი წარმოდგენები ხელისუფლების მორიგეობით ცვლაში. გვარების მიხედვით ღვთაებათა ასეთი ცვალებადობა შეესატყვისებოდა შესაბამისი გვარის ტოტემს ხელისუფლების ცვლილებების კვალდაკვალ.

ქურუმების განსაკუთრებულ კატეგორიას შეადგენდნენ ჩილნები. მორწმუნეებს ისინი პასუხობდნენ ღვთის სახელით. ცნობილი და სახელმოხვეჭილი ორაკულები მრავალ მლოცველს იზიდავდა.

მაიას წარმოდგენით არსებობდა ცამეტი ცა, სფერო, ანუ ფენა და ცხრა მიწისქვეშა სამყარო. სამყაროს ოთხივე კუთხეში იყო ე.წ. „მსოფლიო ხეები“: აღმოსავლეთით — წითელი, ჩრდილოეთით — თეთრი, დასავლეთით — შავი, სამხრეთით — ყვითელი. სამყაროს ცენტრში იდგა მწვანე ხე. სამყაროს კუთხეებში, მსოფლიო ხეებზე ცხოვრობდნენ ჩაკები, წვიმის ღმერთები. იქვე იყო წყლით სავსე გიგანტური თასები: როდესაც ღმერთები მათგან წყალს ღვრიდნენ, წვიმა მოდიოდა. ცაში, მწვანე ხის ტოტების ჩრდილში არსებობდა ქალღმერთი იშ-ტაბ-ის სამოთხე. ხოლო მიწისქვეშ იყო ჯოჯოხეთი. იმქვეყნიური ცხოვრების ხვედრი განისაზღვრებოდა არა მარტო ამქვეყნად ქცევის მიხედვით, არამედ სოციალური წარმოშობითაც. მაგალითად, ქურუმები სიკვდილის შემდეგ მესამე ცაში ხვდებოდა. მაიას ხალხს მიაჩნდა, რომ სამყაროს გაიარა რამდენიმე ერა და ყოველი მათგანი წარღვნით მთავრდებოდა.

6. დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა, კ ა ლ ე ნ დ ა რ ი, მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა, გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, როგორც ჩანს, მაიას ხალხებში წარმოიშვა იეროგლიფური დამწერლობა. უძველესი ცნობილი წარწერები ქვებზე განეკუთვნება IV საუკუნეს. მაიას იეროგლიფური დამწერლობა ძირითადი პრინციპით არ განსხვავდება სხვა იეროგლიფური დამწერლობისაგან. ტექსტები ამ დამწერლობებით იწე-

რებოდა მაიას ძველ ენაზე, რომელიც მხოლოდ ქურუმებმა იცოდნენ. ქვებზე გარდა მრავალრიცხოვანი წარწერებისა, რომლებიც ძველი ქალაქების ნანგრევებში მოიპოვება, გადარჩენილია მაიას სამი ხელნაწერი, ძირითადად. კალენდარული შინაარსისა. წერდნენ ქაღალდზე, რომელსაც ფიკუსისგან ამზადებდნენ და ირმის ტყავის ეტრატზე ბეწვის ფუნჯის მეშვეობით.

მაიას კალენდარიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში წარმოიშვა. წელი იწყებოდა ზამთრის ბუნიობით და იყოფოდა 20-დღიან 18 თვედ 5 დღის დამატებით. ოვების ძველი სახელები აღნიშნავდა ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს. წელთაღრიცხვას მაიას ხალხი იწყებდა მითური თარიღიდან, როგორც ჩანს, უკანასკნელი წარღვნიდან, რომელიც შეესაბამებოდა 3113 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

რიცხვის აღსანიშნავად იყენებდნენ სამ ნიშანს: წერტილს — ერთის გადმოსაცემად, პატარა განივ ხაზს — ხუთის გადმოსაცემად და ნიჟარის გამოსახულებას, რომელიც ნულს გადმოსცემდა. ამ ნიშნების საშუალებით მათ შეეძლოთ ნებისმიერი რიცხვის ჩაწერა, რადგანაც იყენებდნენ რიცხვების ჩაწერის პოზიციურ სისტემას, ევროპელების მსგავსად, იმ განსხვავებით, რომ მაიელები მიმართავდნენ ოცობით თვლას და რიცხვი იწერებოდა ზემოდან ქვემოთ. ყველაზე ქვედა ციფრი აღნიშნავდა ერთეულს. ქვემოდან მეორე — ოცეულს, ქვემოდან მესამე — ათასეულს და ა.შ.

მაიას ასტრონომებმა გამოთვალეს წლის ხანგრძლივობა მხოლოდ ერთი წუთის სხვაობით, ე.ი. უფრო ზუსტად, ვიდრე აშჟამად მიღებულ გრიგორიანულ კალენდარშია. მათ შეეძლოთ გამოეთვალათ მზის დაბნელება, მთვარისა და პლანეტების მოქცევა.

მდიდარი ცნობებია მოღწეული ჩვენამდე მაიას ხალხში მედიცინის განვითარების შესახებ. იგი დაკავშირებული იყო ბოტანიკის განვითარებასთანაც, რადგან წამლებს ჩვეულებრივად მცენარეებისაგან ამზადებდნენ. ქურუმებისა და წარჩინებულთა შვილებს, როგორც ჩანს, ასწავლიდნენ ასტროლოგიას, რომელიც ასტრონომიის ელემენტებსაც შეიცავდა, რადგან საჭირო იყო კალენდრის შედგენა, მზის დაბნელების და სხვა ასტრონომიული მოვლენების გამოთვლა; ასწავლიდნენ ისტორიას, მითოლოგიას, სხვადასხვა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

7. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. შეიძლება ითქვას, რომ ესპანური დაპყრობების შედეგად განადგურდა მაიას სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები, განსაკუთრებით ლიტერატურული ქმნილებები. მაიას ლიტერატურიდან ფაქტობრივად შემონახულია მხოლოდ ჩილამ ბალამის წიგნები — მაიას ენაზე ესპანური ანბანით ჩაწერილი სხვადასხვა შინაარსის სტილისა და წარმოშობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი და ხშირად გაუგებარი ტექსტები.

ჩილამ ბალამის წიგნები შეიცავს კალენდარულ ტექსტების — შენიშვნების დღეების, თვეების შესახებ. ისინი, ფაქტობრივად, ქურუმულ ასტროლოგი-

ას, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, ხალხურ დაკვირვებებს წარმოადგენდნენ. წიგნებში წარმოდგენილია რამდენიმე მოკლე ქრონიკაც უმთავრესი მოვლენების გადმოცემით, წინასწარმეტყველური ტექსტები და ერთი ეპიკური სიმღერაც ქალაქ ჩიჩენ-იცას მტრისაგან დაპყრობის შესახებ.

როგორც ჩანს, მაიას ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული დრამატურგია. თეატრალური წარმოდგენებისათვის აშენებდნენ სპეციალურ ნაგებობებს, ჰყავდათ პროფესიონალი მსახიობები, რომლებიც დიდი ოსტატობით გამოირჩეოდნენ, თამაშობდნენ, ჩვეულებრივ ნიღბებით. არ შემონახულა არცერთი დრამატული ნაწარმოები, მაგრამ ცნობილია ზოგიერთი კომედიის სახელწოდება: მაგალითად, „სხვის კმაყოფაზე მყოფი", „დოქების გამყიდველი" და სხვ.

8. ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა დ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა. ესპანელთა დაპყრობების შედეგად განადგურდა მაიას ხალხის მდიდარი ხუროთმოძღვრება, ხელოვნების ძეგლები, მხოლოდ ზოგიერთი პირამიდა, ქვის სტელა, რელიეფი და ფრესკათა უმნიშვნელო ფრაგმენტები გადაურჩა ჟამთასვლას. მაგალითად, საფეხურებიანი პირამიდები, რომელთა თავზე ტაძრებია აგებული, სასახლეები, ობსერვატორიები, სტადიონები, საცეკვაო ბაქნები, თაღები და კოლონადები.

ნაგებობათა ფასადებს შუაში და ზემოთ ამკობდნენ როული რელიეფური ჩუქურთმებით. მაგალითად, ქალაქ უშმალის სახლებისათვის დამახასიათებელი იყო გეომეტრიული არქიტექტურული ორნამენტი, მრავალი სვეტი და ნახევარსვეტი. ტოლტეკური პერიოდის ნაგებობები ქალაქ ჩიჩენ-იცაში შემკული იყო ადამიანიებისა და ცხოველების, განსაკუთრებით ქვეწარმავლების, სტილიზებული გამოსახულებებით.

მაიას ხალხის რელიეფი გამოირჩეოდა შემდეგი სტილით — თავი და ფეხები გამოსახული იყო პროფილში, ხოლო ტანი პირდაპირ. შემდეგში შეიქმნა ისეთი რელიეფებიც, სადაც ფიგურები მთლიანად იყო გამოსახული ან პროფილში, ან ანფასში.

მრავალ რელიეფზე წარმოდგენილია რთული სცენები — ტყვეები მმართველის წინაშე, მმართველი ტახტზე გარშემო წარჩინებულებით და სხვ. ეს გამოსახულებანი გამოირჩევა არაჩვეულებრივი გამომსახველობითა და რეალიზმით. შემორჩა მრავალი ქანდაკების შესანიშნავი ნიმუშები; მათ შორისაა სიმინდის ახალგაზრდა ღმერთის ფიგურა ქალაქ კოპანიდან.

მაიას ფერწერის ყველაზე მნიშვნელოვან ნიმუშად ითვლება ბონამპაკის ფრესკები, რომლებიც VIII საუკუნით თარიღდება. მათზე გამოსახულია საომარი სცენები. ბევრი მათგანი მისდევს გამოსახვის ტრადიციულ, პირობითყ ფორმას. ამ ფრესკებზე ვხვდებით აგრეთვე სხვადასხვა სახის დინამიკურ პოზას, რომლებიც ყოველგვარი პიროებების გარეშე უკიდურესი რეალისტურობითა და გამომსახველობით გადმოსცემენ შემსრულებლის ჩანაფიქრს.

მეოთხე თავი

აფრიკის ხალხები

გეოგრაფიულ-დემოგრაფიული ვითარება. დედამიწის სხვა კონტინენტებს შორის აფრიკა გამოირჩევა გეოგრაფიული მდებარეობით — ეკვატორი მას ორ, თითქმის თანაბარ ნაწილად ყოფს და მისი ტერიტორია, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით, გადაჭიმულია სუბტროპიკულ განედებამდე. ფართობით აფრიკა მეორე ადგილზეა ევრაზიის სუპერკონტინენტის შემდეგ და უჭირავს 30,3 მილიონი კვ. კმ ფართობი, რაც დედამიწის ხმელეთის 1/5-ს შეადგენს.

აფრიკის კონტინენტი გამოირჩევა მრავალფეროვანი გეოგრაფიული პირობებით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით, მინერალური და მათ შორის, სათბობენერგეტიკული საბადოებით, ნედლეულით, დიდი ოდენობით ტყის, მიწისა და წყლის რესურსებით. აფრიკაში ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის 10% და შეადგენს თითქმის 500 მილიონ ადამიანს, მის ტერიტორიაზე არსებობს 50-ზე მეტი სახელმწიფო.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე აფრიკაში, როგორც ჩანს, 30-40 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, რაც დედამიწის მაშინდელი მოსახლეობის 18% უნდა ყოფილიყო. XVI საუკუნის დამდეგიდან, როდესაც დაიწყეს მონების გაყვანა ამერიკასა და აზიაში, აფრიკის მოსახლეობის რიცხვმა იკლო. XVII-XVIII საუკუნეებში მონებით ვაჭრობის გამო, აფრიკის მოსახლეობის დანაკარგმა, ზოგიერთი გამოანგარიშებით შეადგინა 100 მილიონი ადამიანი.

მონებით ვაჭრობამ, ადგილობრივი მოსახლეობის ამოწყვეტამ, აუტანელმა კოლონიზატორულმა ჩაგვრამ, იძულებითმა შრომამ ევროპელთა პლანტაციებში და ხმირმა შიმშილმა დიდად შეაფერხა მოსახლეობის ზრდის ტემპი. ზოგიერთ ადგილებში, მაგალითად, ყოფილ ბელგიის კონგოში, თანამედროვე ზაირში, იგი შემცირდა. XX საუკუნის დასაწყისისათვის აფრიკის წილი მსოფლიოს მოსახლეობაში შემცირდა 2-ჯერ და მეტად, 7,8%-მდე; ხოლო 1800-1900 წლებში მოსახლეობა გაიზარდა მხოლოდ 1,3-ჯერ, ანუ 130 მილიონამდე, მაშინ, როდესაც მთელი დედამიწის მოსახლეობა ამავე პერიოდში გაიზარდა 1,8-ჯერ.

XX საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო აფრიკის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. 1920 წელს თუ იგი 120 მილიონს შეადგენდა, 1950 წელს 220 მილიონი გახდა, ხოლო 1981 წელს — 470 მილიონი; 1985 წელს აფრიკის მოსახლეობამ 500 მილიონს გადააჭარბა; ვარაუდობენ, რომ 2000 წლისათვის იგი 1 მილიარდს მიაღწევს.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისისათვის თითქმის მთელი აფრიკის მოსახლეობა კოლონიურ რეჟიმში იმყოფებოდა. მხოლოდ სამ ქვეყანას – ეთიოპიას, ლიბერიას და ეგვიპტეს გააჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 50-იანი წლების დასასრულს აფრიკაში უკვე 9 დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ხოლო 1960 წელს მათი რიცხვი 26-მდე გაიზარდა. 1980 წლის დასაწყისისათვის აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვმა 50-ს მიაღწია და კონტინენტის ტერიტორიის 96% მოიცვა, რომელშიც მოსახლეობდა კონტინენტის მცხოვრებთა 94%. 90-იანი წლების დასაწყისისათვის აფრიკაში უკვე კოლონიური სახელმწიფოები აღარ იყო, თუ არ ჩავთვლით ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად ესპანეთის უმნიშვნელო სამფლობელოებს კონტინენტის სხვადასხვა ადგილას.

ა ფ რ ი კ ი ს რ ა ს ე ბ ი. გასული საუკუნის ისტორიული მეცნიერების ტრადიციათა შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ხალხები იყოფოდა ისტორიულ და არაისტორიულ ხალხებად, აფრიკის ხალხები მეორე ჯგუფში შეჰყავდათ და თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა მათ შესწავლას. ითვლებოდა, რომ მათ კაცობრიობის კულტურის განვითარებაში არავითარი წვლილი არ მიუძღოდათ. ასე იყო XIX საუკუნის ბოლოსაც. იმ დროს არქეოლოგები დარწმუნებულები იყვნენ, რომ აფრიკის კონტინენტის ხალხებს ქვის ხანა არც გაუვლიათ და ხისგან დამზადებული იარაღებიდან პირდაპირ გადავიდნენ რკინის იარაღების მოხმარებაზე, ძველი აღმოსავლეთის, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ხალხების გამოცდილების გაზიარების გზით.

აშკარად აფრიკის კონტინენტზე დადასტურებულია კაცობრიობის განვითარების თითქმის ყველა რგოლი; ხოლო ფრანგი არქეოლოგის – არამბურის მოსაზრებით, აფრიკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მრავალი კერძო საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია და გასარკვევი.

მითუმეტეს, რომ აფრიკის მოსახლეობის ეთნოგენეტიკური პრობლემა მრავალია და თავისებური – კონტინენტის ჩრდილოეთში გავრცელებული იყო ევროპოიდული მოსახლეობა, საჰარის სამხრეთით უმრავლესობას შეადგენდნენ დიდი ნეგროიდული რასის წარმომადგენლები, ხოლო უფრო სამხრეთით გავრცელებული იყო სამხრეთ-აფრიკული, ანუ ბუშმენური და ჰოტენტოტური ლოკალური რასის მოსახლეობა. ზოგიერთი მოსაზრებით, ეს მოსახლეობაც დიდი ნეგროიდული რასის შემადგენელი ნაწილი იყო.

აფრიკის რასებისა და მისი მოსახლეობის ეთნოგენეზის საკითხების სირთულის მაჩვენებელია ისიც, რომ აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის, ნეგროიდების წარმოშობასაც ერთ დროს აზიის კონტინენტს უკავშირებდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუ-

ნის დამდეგის გერმანელი გეოგრაფის ფრანც შტულმანის მოსაზრებები. რომელიც თვლისა, რომ თავდაპირველად კონტინენტი დასახლებული იყო ჯუჯა ადამიანებით, რომლებიც დღეს პიგმეების და ბუშმენების სახითაა წარმოდგენილი. მოგვიანებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან აფრიკაში შეიჭრნენ მუქკანიანი ნეგრიტები — თანამედროვე სუდანელების წინაპრები. ხოლო მრავალი საუკუნის შემდეგ მათ მოჰყვნენ პროტოქამიტები.

იმავე ფ. შტულმანის მიხედვით, ძვ. წ. VI ათასწლეულში აფრიკაში აზიიდან დაიწყო ღია ფერის კანიანი ქამიტების მიგრაცია. რომელთაც იგი თვლიდა ხმელთაშუაზღვისპირეთის წინაევროპოიდული მოსახლეობის — პელაზგების, ლიგურების, იბერების და სამხრეთ ევროპის სხვა ხალხების წინაპრებად. საკუთრივ აფრიკაში ამ ქამიტების შთამომავლებად იგი თვლიდა კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთის მოსახლეობის — სომალელებს, ორომოელებს, ნილოტებს, ხაუსას და სხვებს; მათვე აკუთვნებდა სამხრეთ აფრიკის ჰოტენტოტებს. პროტოქამიტების ქამიტებთან და ნეგრიტებთან სერევის გზით წარმოიშვნენ ოანტუს ხალხები. მათში გამოიყოფოდა „ძველი ბანტუს“ ტომები, რომლებიც მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენებას მისდევდნენ.

ქამიტების გადმოსახლებას ძვ. წ. V ათასწლეულში მოჰყვა სემიტების გადმოსახლება, რომლებმაც შექმნეს ძველი ეგვიპტის კულტურა და თან მოიტანეს ბრინჯაოს იარაღები, გუთნით ხვნა და მარცვლეული კულტურები — ქერი, ხორბალი და სხვ.

კონტინენტზე ერთ-ერთი უკანასკნელი მიგრაციული ტალღა იყო არაბების მოსვლა, რომელთაც მოიტანეს ისლამური კულტურა თავისი წესჩვეულებებით, არქიტექტურით, დამწერლობით და სხვ.

აფრიკის კონტინენტზე მოსახლეობის მიგრაციის ამ ჯაჭვის ბოლო რგოლად ევროპელების მიერ მის ათვისებას მიიჩნევდნენ, ხოლო თვით აფრიკელები წარმოიდგინებოდნენ დამოუკიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის უძლურ არსებებად. ეს შეხედულებები დამახასიათებელი იყო ვიქტორიანული ეპოქისათვის, როდესაც ხდებოდა აფრიკის კონტინენტის ინტენსიური კოლონიური ათვისება.

მრავალი, მეტად გამოჩენილი პალეოანთროპოლოგის აღმოჩენაა შედეგად, XX საუკუნის 20-იან წლებში და მომდევნო ხანებში, ძირეულად შეიცვალა ეს შეხედულებანი და დამოკიდებულება აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის და მისი ეთნოგენეზის მიმართ. მართლაც, პალეოანთროპოლოგების: რაიმონდა დარტის, რობერტ ბრუმის, ლუის ლიკის, მერი ლიკის, რობერტ ლიკის, კამილ არამბურასა და სხვათა გამოკვლევებით გაირკვა, რომ სწორედ აფრიკაშია მიკვლეული კაცობრიობის წარმოშობის ნაშთები და ასევე უძველესი კულტურული ფორმები. ასევე თვალსაზრისს ავითარებს აფრიკის არქეოლოგიის უდიდესი თანამედროვე სპეციალისტი — დესმონდ კლარკი.

რომელიც მიიჩნევს, რომ პირველ წარმატებების კულტურის ისტორიაში კაცობრიობა სწორედ აფრიკის ხალხებს უნდა უმადლოდეს.

იარაღის გააზრებული დამზადების უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია აღმოსავლეთ აფრიკაში და თარიღდება 2-2,6 მილიონი წლით. ამ ფაქტის მნიშვნელობა ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ აფრიკის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. უბეიდასა და იორდანიაში აღმოჩენილი უძველესი მსგავსი მასალის ასაკი განისაზღვრება სულ 700 ათასი წლით.

აღმოჩენები აღმოსავლეთ აფრიკაში, რომლებიც ყოველწლიურად ახალი მასალებით მდიდრდება, თვალნათლივ ამტკიცებს, რომ აფრიკა წარსულში კაცობრიობის განაპირა მხარეს არ წარმოადგენდა, რომ სწორი ყოფილა ჩ. დარვინი, რომელიც ადამიანის საძშობლოდ, მისი წარმოშობის ადგილად აფრიკას მიიჩნევდა.

ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ ი ტ ი პ ე ბ ი. არსებობს აფრიკის ხალხთა სხვადასხვა ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია, რომლებიც ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოა. საქმეს რამდენადმე ართულებს ისიც, რომ ჩვენ ამჟამადაც არ გაგვაჩნია დაზუსტებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ხალხი ცხოვრობს აფრიკაში. მიუხედავად ამისა, რამდენიმე განზოგადებული ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის წარმოდგენა, ცალკეული ანთროპოლოგიური ტიპების გამოყოფა მაინც შესაძლებელია.

პირველ რიგში ამის საშუალებას იძლევა ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის ასევე რამდენადმე განზოგადებული კრიტერიუმების შერჩევა, რომელთა მიხედვით შესაძლებელია თვით ანთროპოლოგიური ტიპების გამოყოფა. მიჩნეულია, რომ ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია შესაძლებელია ორი ნიშნის — ფენოტიპისა და გენოტიპის მიხედვით. პირველ შემთხვევაში ამოსავალია გარეგანი იერი და ჩონჩხზის აგებულება, ხოლო მეორე შემთხვევაში კლასიფიკაციის საფუძველია გენეტიკური ნიშნები. ამავე დროს, ეს მეორე რიგის ნიშნები ჯერ კიდევ არასაკმარისადაა შესწავლილი. ამიტომაც ჩვენს დროშიც კი, აფრიკის ხალხთა სხვადასხვა კლასიფიკაციის საფუძვლად აღებულია ფენოტიპური ნიშნები, ე.ი. ნიშნები გარეგანი იერისა და ჩონჩხის აგებულების მიხედვით, ანუ მოკლედ — ფიზიკური ტიპის მიხედვით.

ფიზიკური ტიპის ძირითადი ნიშნები, რომლებიც თაობებს გადაეცემა და რომელთა მიხედვით ხდება კლასიფიკაცია, შემდეგშია: კანის, თმისა და თვალების ფერი. თავის, სახის, ცხვირის, თმის მოყვანილობა, სიმაღლე. ამ ნიშანთა ერთობლიობის გათვალისწინებით შემდეგ სურათს ვღებულობთ:

მთელი ჩრდილოეთ აფრიკა წარმოადგენს ევროპოიდული რასის გავრცელების ზონას. საზღვარგარეთელი მეცნიერები მას ჩვეულებრივ კავკასიურ რასას ეძახიან. საბჭოთა ანთროპოლოგიაში მათ აღსანიშნავად დამკვიდრებული იყო და არის ი. როგინსკის ტერმინი — ინდოელხმელთაშუაზღვისპირული. ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვერა-

სას, რომელიც შედის დიდ ევროპოიდულ რასაში. ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვერასა ხასიათდება ღია ფერის, მაგრამ ამასთანავე, საკმაოდ მუქი შეფერილობის კანით, თავის მოგრძო ფორმით, ანუ დოლიხოცეფალით, ვიწრო სახით, მკვეთრად გამოწეული ცხვირით, მუქი ტალღოვანი თმით, მუქი ფერის თვალებით. მათი სიმაღლე საშუალოდ 165-170 სმ-ია.

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დახასიათება ხმელთაშუაზღვისპირული ქვერასისა ეროობ პირობითია. მაგალითად, ალჟირისა და ტუნისის არაბებისა და ბერბერების რასობრივი შემადგენლობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათში მრავლად გამოიყოფა ლოკალური ვარიანტები, კანის მუქ ფერთან ერთად, რომელიც მათთვის საერთო ნიშანია, ისინი განსხვავდებიან თვალების ფერით. კერძოდ, ჩრდილოეთ მაროკოს ბერბერებს შორის გვხვდებიან ღია ფერის თვალებიანებიც. ასევე მართალია, ბერბერებისათვის ზოგადად ტიპურია თმის მუქი ფერი, ცალკეულ ჯგუფებს შორის გვხვდებიან ეროეულები საკმაოდ ღია ფერის თმებით. ყველაზე მეტად სხვაობა თავს იჩენს სიმაღლეში. თავიც ყოველთვის არ არის წაგრძელებული; მაგალითად, ალჟირის ბერბერების ცალკეული ჯგუფები ბრახოკეფალობით, ანუ მრგვალთავიანობით ხასიათდება.

კაიროს ჩრდილოეთით, ნილოსის დელტის მოსახლეობა შერეული ხასიათისაა. აქ უძველესი დროიდან დაწყებულა ხალხთა შერევა — ბერძნების, იტალიელთა, სირიელთა, ებრაელების, არაბების, თურქების, ალბანელებისა და სხვათა.

ზემო ეგვიპტის მოსახლეობას კაიროდან ასუანამდე, პირიქით, დღემდე შენარჩუნებული აქვს უძველესი სახე ძველი ეგვიპტელებისა. მათი დამახასიათებელი ნიშნებია მტკიცე აგებულება, დიდი სიმაღლე, კანის მუქი ფერი.

იდფუს სამხრეთით მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპი იცვლება. აქ უკვე იგრძნობა ნუბიური ნეგროიდული ტიპის სიჭარბე, რომელიც გავრცელებულია მთელ ზემო ნუბიაში ნილოსის დაბლობის სამხრეთით ასუანის კაშხალიდან. კონტინენტის დასავლეთ ნაწილშიც, მაროკოს სამხრეთით, ასევე შეიმჩნევა ნეგროიდული ტიპების სიჭარბე, რომელთა წარმოშობა ყოველთვის არაა მთლად გარკვეული; მათი ნაწილი არაბ-ზანგთა შთამომავლებია, რომელთა წინაპრები სუდანიდან არიან გადმოყვანილები, მაგრამ შესაძლებელია, რომ ამ ჯგუფებს შორის ზოგიერთი ძველი, წინაისტორიული საჰარის მოსახლეობის ნაწილს შეადგენს.

საჰარის მოსახლეობა — ტუარეგები, რომლებიც ბერბერულ ენაზე მეტყველებენ, გამოირჩევიან შედარებით ღია ფერის კანით, დიდი სიმაღლით, გამხდარი აგებულებით, წვრილი ძვლებით, გრძელთავიანობით. მათ შორის ასევე გვხვდება ნეგროიდულ რასასთან შერეული ტიპები, განსაკუთრებით სამხრეთის ჯგუფებში — იულემიდენის ტუარეგებში.

ნეგროიდული რასა აფრიკაში გავრცელებულია საჰარის სამხრეთით — სუდანიდან კონტინენტის დასასრულამდე. საყოველთაოდ ცნობილია მისი-

ვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი — კანის მუქი ფერი. სახელწოდება სუდანიც ხომ „შავს" (არაბ. „სუდ") ნიშნავს. ყველაზე უფრო მუქი ფერის კანი აქვთ კონტინენტის უკიდურესი დასავლეთით მოსახლე ხალხებს — ატლანტის ოკეანის სანაპიროს გაყოლებით. მდინარე სენეგალის სამხრეთით; კერძოდ, ვოლოფების ჯანის ფერი მოლურჯო-შავია. ეს მაღალი „შავი გიგანტები" წარმოადგენენ მკვეთრად საპირისპირო ტიპს უდაბნოების მცხოვრებ გამხდარ ევროპოიდ ბერბერებთან და არაბებთან შედარებით.

ნეგროიდული რასა. რა თქმა უნდა, რამდენიმე, ცალკეულ ქვერასებად იყოფა. ერთი მათგანია ნილოსის ზემო დინებაში მოსახლე მრავალრიცხოვანი ნილოტური ქვერასები. ესენია ბაჰრ-ელ-რაზალიშის ჭაობებში და თეთრი ნილოსის ნაპირებზე მცხოვრებნი, რომლებიც ქმნიან ნეგროიდული რასის განსაკუთრებულ ქვეტიპს და გამოირჩევიან კანის განსაკუთრებულად მუქი ფერით.

კანის ეს შეფერილობა მერყეობს მოლურჯო შავიდან — ვოლოფებსა და ნილოტებში, ღია მოყავისფრომდე — ტროპიკული ტყეების მაცხოვრებლებში. კანის მუქი შეფერილობა აიხსნება განსაკუთრებული პიგმენტით — ნივთიერება მელანინით, რომელიც აკავებს თვალით უხილავ ულტრაიისფერ სხივებს და ორგანიზმს იცავს მზის რადიაციისაგან.

ნეგროიდული რასის თავის ფორმა დოლიხოკეფალურია. სახე აღბეჭდილია პროგნატიზმის, ე.ი. წინგამოწეული ყბის ნიშნით. მაგრამ ნილოტებში ეს ნიშანი ხშირად არ შეინიშნება. ნეგროიდული რასის მეტად დამახასიათებელი ნიშანია განიერი ცხვირი და ძალზე დაბალი ცხვირის კეხი. ეს ნიშანი განსაკუთრებით დამახასიათებელია ზემო გვინეის — ლიბერიიდან კამერუნამდე — ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებისათვის. ნეგროიდული რასის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება აგრეთვე ოილნტებში. თვალების ფერი ოვით გუგისა მუქია.

სიმაღლის მიხედვით ნეგროიდული რასის ხალხები მეტად სხვადასხვაგვარია. საშუალოდ ყველანი 165 სმ-ზე მეტი სიმაღლისაა, მაგრამ ტროპიკული ტყის ხალხები გამორჩევიან დაბალი ტანით — 140 სმ, მაშინ როდესაც სავანის მცხოვრებნი ძალზე მაღლებია. მაგალითად, ნილოტები საშუალოდ 180 სმ-ზე დაბლები არ არიან; ბენინის ჩრდილოეთ ნაწილში ზოგიერთ ჯგუფში საშუალოდ სიმაღლე 185 სმ-ს და მეტს აღწევს. ძალზე მაღლებია ვოლოფები და ტუკულერები. პირველნი გამოირჩევიან ათლეტური აგებულებით, განიერი მხარბეჭით. მათგან განსხვავებით გასაოცრად ტანადი და ნატიფი აგებულებით გამოირჩევიან ტუკულერები და საჰილის სხვა ხალხები, ასევე აფრიკის ყველაზე მაღალი ხალხები — ტუტსები, ჰიმაელები და სხვ. მათი საშუალო სიმაღლე აღწევს 180-200 სმ-ს.

ნეგროიდული რასისათვის დამახასიათებელი მთელი ეს ნიშნები ჩამოყალიბდა ცხელ ეკვატორულ სარტყელში ცხოვრების პირობებში, კანქვეშა

ფენებში მათ წარმოექმნათ ჭარბი მელანინი, ღია ფერის ევროპელებისაგან განსხვავებით. მეტად განუვითარდათ საოფლე ჯირკვლების სისტემა, რომელიც ასევე კარგად იცავს კანს მზისა და გადახურებისაგან. კანის შეფერილობა სხეულზე არაერთგვაროვანია — უფრო მუქია ზურგსა და კეფაზე, სადაც იგი იცავს ნერვული სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

ნეგროიდების კანის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სტენოთერმია, ანუ დიდი მგრძნობიარობა ტემპერატურის ცვალებადობისადმი. აფრიკელები მეტად მგრძნობიარენი არიან სიცივისადმი. ასევე მგრძნობიარენი არიან ის ევროპელები, რომელთაც დიდი ხნით უხდებათ ცხოვრება ტროპიკებში, მაგრამ მათში იგი მემკვიდრეობითად არ გადაქცეულა, მაშინ როდესაც ნეგროიდებში ერთ-ერთი რასობრივი ნიშანია და ეს თვისება შენარჩუნებული აქვთ თვით ჩრდილოეთ ამერიკაში გადასახლებულ ზანგებსაც.

დიდი ნეგროიდული რასის აფრიკული ნაწილი იყოფა ნეგრულ, პიგმეურ და ბუშმენურ რასებად, რომელთაც ზოგიერთი თვალსაზრისით, მიეკუთვნება ეთიოპიური რასაც და, რომელიც ითვლება კონტაქტურ, ანუ შუალედური რასების ჯგუფში. მეცნიერთა ნაწილი მას მიიჩნევს ცალკე რასადაც. ეთიოპიური რასა გავრცელებულია აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ეგვიპტის სამხრეთით, სუდანის აღმოსავლეთით და საშრეთში ტანზანიის ჩრდილოეთ ნაწილამდე.

ეთიოპიური რასა გამოირჩევა მუქი, მაგრამ მოწითალო შეფერილობის კანით, სახისა და ცხვირის ფორმით ეთიოპელები უფრო ახლოს დგანან ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვერასასთან. თავის ფორმით ისინი დოლიცოხეფალურ ტიპს განეკუთვნებიან და ამის მიხედვით ემსგავსებიან ნეგროიდების ნილოტურ ქვეჯგუფს. მათ ისინი ემსგავსებიან სიმაღლეშიც, რომელიც 175-185 სმ-ს და მეტსაც აღწევს.

ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვერასისა და ნეგროიდული რასის შეხების ადგილს წარმოადგენს საჰილი-საჰარის საზღვარი. მთლიანად ამ ზონაში შეინიშნება ანთროპოლოგიური ტიპების შერევის სხვადასხვა ნიმუში. მაგალითად, ტუბუს, ანუ ტიბუს ხალხის ანთროპოლოგიური ტიპი გამოირჩევა დიდი თავისებურებით: ტუბუს ხალხს ისევე როგორც ნეგროიდებს, გააჩნიათ მუქი ფერის კანი, მაგრამ მათ სახეზე არ არის პროგნატიზმის, ე.ი. წინგაბოწეული ყბის ნიშნები და მათი საერთო იერიც უფრო ევროპოიდულია.

ყველაზე დიდ გამოცანას წარმოადგენს ფულბე — დასავლეთ სუდანის მესაქონლეები, წარსულში სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულმა მისმა დიდმა ნაწილმა მოიპოვა მკვეთრად გამოხატული ნეგროიდული ნიშნები. ამავე დროს, განცალკევებულ ჯგუფებად მცხოვრებმა მომთაბარე-მესაქონლე ბორორის ხალხმა ზოგიერთი მოსაზრებით შეინარჩუნა თავისი თავდაპირველი ანთროპოლოგიური სახე — კანის ღია ფერი, ვიწრო სახე, გრძელთაეიანობა, მაღალი ვიწრო ცხვირი, საშუალო სიმაღლე. არ არის გამორიცხული, რომ

ბოროროელები, რასობრივი თვალსაზრისით, განეკუთვნებოდნენ ხმელთაშუაზღვისპირული რასის ერთ-ერთ ვარიანტს.

კიდევ უფრო რთულია საჰარის ოაზისების მცხოვრებთა ანთროპოლოგიური შედგენილობის გარკვევა. აქ გვხვდება იმ ზანგი მონების შთამომავლები, რომლებიც ადრე ტუარეგებმა ოაზისებში წაიყვანეს. არ არის გამორიცხული, რომ მათი ნაწილი საჰარის ძველი მოსახლეობის ნარჩენი იყო. ამავე დროს, მრავალი ათასი წლის წინათ საჰარის მცხოვრებთა მიერ კლდეზე შესრულებული ნახატები იმის საბუთია, რომ იგი უძველესი დროიდანაა დასახლებული როგორც ნეგროიდული, ისე ევროპოიდული რასით.

ცენტრალური აფრიკის ეკვატორულ ტყეებში მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ დაბალი ტანის პიგმეები. მათი მოელი იერი — კანის ფერი, ტანის აგებულება, სახის ფორმა განსხვავებულია ნეგროიდულისაგან. კანის ფერი პიგმეებისა ბევრად უფრო ღია ფერისაა, ვიდრე ნეგროიდებისა, სახის მოყვანილობაც სხვაა — ოხელი ტუჩები, ძალზე განიერი ცხვირი, თმის ხშირი საფარველი. თვალები აქვთ შავი და სიმაღლითაც საშუალოდ 150 სმ-ზე დაბლები არიან. სწორედ ამიტომ დაერქვა მათ პიგმეები („პიგმოს" ბერძნულად ეწოდება სიგრძის ერთეულს, რომელიც 0,5 მ-ზე ნაკლები ზომისაა). პიგმეების არსებობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელებისათვის.

პიგმეური რასის შესწავლამ ანთროპოლოგების წინაშე მრავალი საკითხი დააყენა. ერთნი მათში ხედავდნენ ერთიანი ნეგროიდული რასის ნარჩენებს, რომლებიც წარსულში განსახლებულები იყვნენ მთლიანად ეკვატორის მიდამოებში და შემორჩნენ არა მხოლოდ აფრიკაში, არამედ აზიის სამხრეთშიც — შრილანკაში, ანდამანის კუნძულებზე, ინდონეზიაში და ნახევარკუნძულ მაკალაზე; მეორენი პიგმეებში ხედავდნენ განსაკუთრებულ რასას, რომელიც წარმოიშვა აზიური დაბალტანიანი ნეგრილების სახესხვაობისაგან დამოუკიდებლად. ამჯამად მიჩნეულია, რომ პიგმეები წარმოადგენენ ნეგროიდული რასის განსაკუთრებულ ვარიანტს.

პიგმეებშიც გამოიყოფა ცალკეული დამახასიათებელი ტიპები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ მკვეთრად გამოხატული რასობრივი ნიშნები. ასეთებია პიგმეების ბამბუტი, ანუ მბუტე, ისინი ცხოვრობენ იტურის ტყეებში. მათგან განსხვავებულია კამერუნის, გაბონის და მათი მეზობელი ქვეყნების, ანუ ბინგას, პიგმეები. რაც შეეხება ტვა, ჩვა, სვხა, ტუა ჯგუფების პიგმეებს, მათი გაერთიანება შეიძლება ტვას სახელით, რაც ბანტუს ენაზე დაბალტანიანს ნიშნავს. ამ ტიპის პიგმეები ცხოვრობენ ზაირის ტყეებში. მათი ფიზიკური ტიპი წარმოადგენს მათივე მეზობელ ნეგროიდული რასის ხალხებთან შენარევს.

ცალკე რასას წარმოადგენენ სამხრეთ აფრიკის ბუშმენები. ისინი, ისევე როგორც პიგმეები, დაბალტანიანებია. საშუალო სიმაღლე 150 სმ-ია. ღია ფერის კანიანი პიგმეებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჩაფსკვნილი აგებუ-

ლებისანი არიან, ბუშმენები წვრილძვლიანებია, მათ მეტად ბატარა სხეული (მოკლე) და ფეხები აქვთ, უთმო ტანი, ფაროთ და ბრტყელი სახე, პიკანტუსი და წინწამოწეული ყურიმალები, მათ მონღოლოიდურ იერს აძლევს. ბუშმენური რასის დამახასიათებელ ნიშნად მიჩნეულია სტეატოპიგია — ცხიმის დაგროვება საჯდომზე, რაც განსაკუთრებით მკვეთრად აქვთ გამოხატული ქალებს. ბუშმენებისათვის დამახასიათებელია. აგრეთვე ხერხემლის ძლიერი გამრუდება.

ჰოტენტოტებს, რომლებიც ბუშმენების მეზობლად მოსახლეობენ. მრავალი მათი მსგავსი ფიზიკური ნიშანი აქვთ, თუმცა ტანით უფრო მაღლები არიან და სხვაგვარი აქვთ თმის საფარველიც. გარდა ამისა, ჰოტენტოტები მრავალი ნიშნით განსხვავდებიან კიდეე ბუშმენებისაგან. ამიტომ მათი გაერთიანება ერთ რასად ეჭვს აღძრავს. მითუმეტეს, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ისინი ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ერომანეთის მეზობლად. რაც აუცილებლად გამოიწვევდა რასობრივ შერევას.

მეცნიერთა ნაწილი ბუშმენებს მიაკუთვნებს აგრეთვე დაბალტანიან მონადირეებსა და შემგროვებლებს, რომელთაც აქვთ მუქი კანი. ეს ჯგუფები, რომლებსაც შავ ბუშმენებს უწოდებენ, ლაპარაკობენ ჰოტენტოტების ენაზე და მოსახლეობენ ნამიბიის მთებში, მათი წარმოშობა ჯერჯერობით გაურკვეველია.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კუნძულ მადაგასკარს. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ეს კუნძული დასახლდა ინდონეზიიდან გადმოსახლებულებით. ამიტომ რასობრივი თვალსაზრისით, მათი მაცხოვრებლები ძირითადი მონაცემებით ყველაზე ახლოს დგანან მონგოლოიდურ რასასთან. ყველაზე მკაფიოდ გამოხატული სამხრეთ-მონგოლოიდური ტიპები გვხვდებიან კუნძულის ცენტრში. კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობს ბევრი არაბი, რომელიც რიგორც ჩანს, აქ გადმოსახლდნენ სამხრეთ არაბეთიდან. კუნძულის დასავლეთ ნაწილში გვხვდებიან ნეგროიდული რასის წარმომადგენლებიც.

რაც შეეხება კომორის კუნძულების მცხოვრებთ, ისინი შერეულია. აქ ბევრია სამხრეთ არაბეთიდან, ინდოეთიდან, მადაგასკარიდან და აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებიდან გადმოსული. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, კომორის კუნძულებზე ჭარბობენ ნეგროიდები.

ძ ი რ ი თ ა დ ი ე თ ნ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი ხშირად აფრიკის ხალხებს შეცდომით ტომებს უწოდებენ. სინამდვილეში ამოს უმტესობამ დიდი ხნის წინათ გაიარა გვაროვნულ-ტომობრივი წყობილება. ძველი პირველყოფილი თემური ურთიერთობების რღვევას ხელს უწყობდა ის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობანი, რომლებიც საჰარის სამხრეთით მდებარე პოლიტიკურ ერთეულებს შორის არსებობდა დიდი ხნით ადრე ევროპელების გამოჩენამდე. რაც შეეხება საჰარის ჩრდილოეთით მდე-

ბარე ტერიტორიებს, აქ კლასობრივი საზოგადოება კონტინენტის ჩრდილოეთში, ნილოსის დაბლობში წარმოიქმნა ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულში — ძველი ეგვიპტის სახით. რამდენადმე მოგვიანებით იგი შეიქმნა თანამედროვე ეთიოპიის ნილოსური ნაწილის მიდამოებში — მეროეს და ნაპატის სახელმწიფოებს სახით, ხოლო შემდეგ — ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში — წითელი ზღვის სანაპიროზე, აკსუმში. იმავე დროს აფრიკის ჩრდილოეთში წარმოიქმნა მძლავრი სავაჭრო-მონათმფლობელური სახელმწიფო კართაგენი, რომელსაც თავისი კოლონიები ჰქონდა მაღრიბისა და სამხრეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე.

ევროპის სამხრეთ ქვეყნების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოეთ აფრიკის წარსულთან. აქ უძველეს დროსვე ჩამოყალიბდნენ ხალხები, წარმოიქმნა ფეოდალური სახელმწიფოები, რომლებიც არაბების გამოჩენის შემდეგ ხალიფატის შემადგენლობაში შევიდნენ. მოგვიანებით მათ საფუძველზე წარმოიქმნენ არაბული სამყაროს ხალხები — მაროკოელები, ალჟირელები, ტუნისელები, ეგვიპტელები და სუდანელები. კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთში წარმოიქმნენ ეთიოპელები და სომალელი ხალხები. წინანდელი ტომობრივი და პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობანი ჩვენს დრომდე შემონახულია მხოლოდ უმნიშვნელო, ძირითადად მთიან რაიონებში — ეთიოპიის მთებსა და დარფურის პლატოზე სუდანში.

რაც შეეხება საჰარის სამხრეთით მცხოვრებ ხალხებს, აქ მათი ბედი განსხვავებულად წარიმართა. სუდანის ოლქის დასავლეთ ნაწილებში — ჩადისპირა რაიონებში, აგრეთვე სამხრეთ ნიგერიაში, წარმოიშვა ამჟამად ცნობილი ყველაზე ძველი სოციალურ-ეკონომიკური ერთეულები აფრიკაში. კერძოდ, სახელმწიფოებრივი გაერთიანებები წარმოიქმნა მდინარეების — სენეგალისა და ნიგერის შუამდინარეთის ზემო წელში, აუკერში, რომელიც განას სახელწოდებითაა ცნობილი, ასევე ჩადის ტბის სანაპიროებზე — სახელმწიფო კანემი. მდინარე ნიეგრის დაბლობში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა აქ გამოავლინა გვინეის სანაპიროს მაღალი კულტურა, სადაც ამჟამად მოსახლეობენ იგბო, იჯო და იბიბო. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე აქ დაიწყო პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება და აქ მოსახლე თანამედროვე ხალხებიც დიდი ხანია გამოვიდნენ ტომობრივი წყობის სტადიიდან. ამ რეგიონში ჩამოყალიბდნენ ხალხები და მიმდინარეობს ერების ფორმირება. ეს პროცესი აქ დაირღვა XV საუკუნეში, როდესაც ევროპელებმა მთელი გვინეის ყურის სანაპირო გადააქციეს შავკანიანებზე ნადირობის ასპარეზად.

XVI-XVII საუკუნეებში ზემო გვინეაში გაჩნდა სახელმწიფოები: ფრთოსანთა სახელმწიფო, სპილოს სანაპირო, ოქროს სანაპირო, ტყვეთა სანაპირო, რაც ევროპელთა მტაცებლური ინტერესების გამომხატველი იყო. სავაჭრო ფაქტორების გაჩენამ, მონების შეპყრობამ, ოქროსა და სპილოს

ძვლის შესყიდვამ. ხის ძვირფასი ჯიშებით ვაჭრობამ მოლიანად შეცვალა აქ ეთნიკური პროცესების ხასიათი, რომელიც ისედაც ნელა მიმდინარეობდა აფრიკის ამ ნაწილში.

სწორედ აქ იყო შემონახული ძველი აფრიკული კულტურა თავისი ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატული ფორმებით: ეს არის ოლქი მსხვილი სავაჭრო დასახლებებითა და სახელმწიფოებით, განვითარებული ხელოსნობით, ლიოონის დამუშავებით, ბრინჯაოს გამოდნობის ტექნიკით, შესანიშნავი სკულპტურული ნაკეთობებით, სასახლეებით, რომლებიც მორთული იყო ბრეფეებისა და მათთან დაახლოებული პირების, ღვთაებათა სიმბოლოების რელიეფური გამოსახულებებით; ეს არის ოლქები, სადაც ჩამოყალიბდა საიდუმლო კავშირები, რომლებიც ტომობრივ გაერთიანებებზე მაღლა იდგნენ.

ყველაფერი ეს დაინგრა მონებზე ბარბაროსული ლაშქრობების შედეგად. აფრიკელ მმართველთა ერთი ნაწილი გამოდიოდა ევროპელთა კამპანიების ხელშემწყობთა როლში, მეორე ნაწილი კი ხდებოდა მათი მსხვერპლი და ა.შ. სანაპიროს ყველა ქვეყანა გადაიქცა ერთმანეთთან ბრძოლების სარბიელად, ამ ბრძოლებში წარმოიქმნებოდა ახალი პოლიტიკური გაერთიანებები და ქრებოდა, ისპობოდა ძველი. მთელი ეს ქაოსი მალე ისეთივე ძალადობრივობით დასრულდა, როგორითაც დაიწყო. მონებით ვაჭრობამ დასაბამი მისცა აფრიკის კონტინენტის დაყოფასა და კოლონიური საზოგადოების შექმნას.

აფრიკის თანამედროვე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესწავლა საშუალებას იძლევა, გამოიყოს მთელი რიგი მსხვილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ანუ ისტორიულ-კულტურული ოლქებისა, რომლებიც ხასიათდებიან აქ მოსახლე ხალხების თავისებური ეთნიკური შემადგენლობითა და კულტურულ-ყოფითი ნიშნებით.

აფრიკის ჩრდილოეთში ერთი ასეთი ჯგუფია ის ნაწილი, რომლის მოსახლეობა ხასიათდება მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი შემადგენლობით ეთნიკური (არაბები და ბერბერები), რელიგიური და კულტური თვალსაზრისით. ამ ოლქში შედიან ხალხები, რომლებიც ლაპარაკობენ ეროიანი სემიტურ-ქამიტური, ანუ აფრაზიული ენობრივი ოჯახის მონათესავე ენებზე.

უძველესი დროიდან აფრიკის ჩრდილოეთის ეთნიკური ისტორიისათვის დამახასიათებელი იყო არაბული და ბერბერული მოსახლეობის შერევა. საუკუნეთა განმავლობაში აქ მიმდინარე მწვავე ეროვნულ-განმათავისუფლებელი და პოლიტიკური ბრძოლების პირობებში ჩამოყალიბდა მრავალი ეროვნება — ეგვიპტელებისა, ლიბიელებისა, ტუნისელებისა, ალჟირელებისა და მაროკოელებისა. მაროკოსა და ალჟირში ეროვნულ-პოლიტიკური ერთობა ჯერ კიდევ არ ემთხვევა მთლიანად ეთნიკურს, რადგან აქ შემორჩენილია ბერბერულენოვანი მოსახლეობის ჯგუფები. მაროკოში, მაგალითად ისინი შეადგენენ მოსახლეობის თითქმის 1/4-ს. ესენია: რიფები, ტამაზიტები, შლეხები და სხვ.

მთელი ამ ვრცელი რაიონის სამხრეთ ოლქები წარმოადგენს გარდამავალ ზონას ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხებიდან ტროპიკული აფრიკის ხალხებისაკენ. კერძოდ, სუდანში მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ სუდანის არაბები. ხოლო აქაური ეთნიკური უმცირესობა შედგება ნუბიელების, ბეჯასა და ზოგიერთი სხვა მათი მეზობელი ხალხებისაგან. ქვეყნის სამხრეთში მოსახლეობენ ნილოტური, ნეგროიდული ხალხები. ისინი მკვეთრად გამორჩევიან არაბებისაგან თავიანთი გარეგნული იერით, ისტორიულ-კულტურული ტრადიციებით, რელიგიითა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით.

ცალკე ისტორიულ-კულტურულ ოლქს ქმნიან დასავლეთი და, ნაწილობრივ, ცენტრალური აფრიკის ქვეყნები, ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით. ამ ქვეყნების მოსახლეობა მეტად სხვადასხვაგვარია და მკვეთრად გამოირჩევა როგორც ჩრდილოეთ აფრიკის, ისე კონტინენტის სხვა ნაწილების ქვეყნების მოსახლეობისაგან. ეს ოლქები ძირითადად დასახლებულია ნეგროიდული ხალხებით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენობრივად და ჩვეულებრივ ჯგუფდებიან განსაკუთრებულ ლინგვისტურ ოჯახებში, ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში — დასავლეთ-ატლანტიკური, მანდე, კვა, ვოლტის ქვეჯგუფი და სხვ. შეიმჩნევა სხვაობა, აგრეთვე სოციალური განვითარების დონეში, დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება მათი ტრადიციულ-სამეურნეო კულტურები და ასე შემდეგ. ეთნიკური და ენობრივი მრავალფეროვნება აქ გაბატონებული იყო კოლონიურ ეპოქამდეც. იგი კიდევ უფრო გაიზარდა ამ ეპოქაში, რამაც განაპირობა მრავალეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა თავისუფლების მოპოვების შემდეგ.

ამავე დროს, ამ ახალწარმოშობილ სახელმწიფოებშიც დაიწყო აქტიური პროცესები მდგრადი ეროვნულ-პოლიტიკური ერთობების ჩამოყალიბებისა — სენეგალური, კამერუნული, განის და სხვ. შეიმჩნევა მიდრეკილება კონსოლიდაციისკენ მსხვილ ეროვნულ ერთეულებად — იორობა, იბო და სხვ.

აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებიც ხასიათდება მოსახლეობის არაერთგვაროვანი ეთნიკური და რასობრივი შემადგენლობით. ჩრდილოეთით, ეთიოპიაში, ფორმირებას იწყებს ეთიოპიური ერი, რომლის ბირთვს შეადგენს ამ მხარის ხალხი. მისი ენა ე.წ. ამირინია, განეკუთვნება სემიტურ ენებს. მაგრამ ეთიოპიის ეთნიკური შემადგენლობა რთულია. ზოგიერთი ხალხი, როგორიცაა მაგალითად, ორომო, აქ ლაპარაკობს აფრაზიული ენობრივი ოჯახის კუშიტური ჯგუფის ენაზე. ამავე ჯგუფს განეკუთვნება მათი მეზობელი სომალელები. თუმცა სომალი გამოირჩევა საკმაოდ ეროგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობით. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ აფრიკის სხვა ქვეყნები, პირიქით დასახლებულია სხვადასხვა ხალხით, რომლებიც უმეტესად ლაპარაკობენ ბანტუს ენაზე და გააჩნიათ ბევრი საერთო ნიშანი ტრადიციული-ყოფით კულტურაში. ბანტუს ხალხები ჭარბობენ აგრეთვე ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში.

სამხრეთი აფრიკა წარმოადგენს მასობრივი ევროპული კოლონიზაციის ოლქს. აქ კაპიტალისტური ურთიერთობების ფართოდ განვითარებამ მოიტანა სამთო-მომპოვებელი მრეწველობის ზრდა, ქალაქების წარმოშობა. რამაც ეთნიკურ პროცესებსაც თავისებური მიმართულება მისცა. შეიქმნა რასისტული წესების მთელი სისტემა — აპარტეიდი. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს, კერძოდ, 80-90-იანი წლების მიჯნაზე, შეინიშნებოდა აპარტეიდის რეჟიმის შესუსტება. ამ ტენდენციამ გამოკვეთილი სახე მიიღო განსაკუთრებით ფრედერიკ დე კლერკის მოღვაწეობის დროს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. ამ ნაწილის მკვიდრი მოსახლეობა — ბუშმენები, ზულუ და სხვა ლაპარაკობს ბანტუს ენაზე, მათ ბევრი საერთო გააჩნიათ კულტურის, წესებისა და ჩვეულებების სფეროში.

ენობრივი კლასიფიკაციები. ენობრივი თვალსაზრისით, აფრიკის მოსახლეობა განეკუთვნება ენათა სამ დიდ ძირითად ჯგუფს: აფრაზიულს, ანუ სემიტურ-ქამიტურს, აფრიკულს, ჰალეოაფრიკულს. გარდა ამისა, გამოყოფენ ჰოტენტოტურ ენათა ჯგუფს, რომლის წარმოშობა გაურკვეველია.

ენათა განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის შერეული ენები. უფრო ზუსტად კრეოლური ტიპის ენები, რომლებიც წარმოიშვნენ ევროპული ენების — ინგლისურის, ფრანგულისა და პორტუგალიურის ადგილობრივ აფრიკულ ენებთან კონტაქტების საფუძველზე. ასევე კრეოლური ენათა ჯგუფების განეკუთვნება ის ენები, რომლებიც წარმოიქმნენ ადგილობრივი აფრიკული ენების — ლინგალის, კიკონგისა და სანგოს ბაზაზე.

გარდა ამისა, ყველა აფრიკულ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპულ ენებს — ფრანგულს, ინგლისურს, პორტუგალიურს, ესპანურს, იტალიურს, ხოლო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში — ჰოლანდიურს.

უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკული ენების საფუძვლიანი, დასაბუთებული გენეტიკური კლასიფიკაცია ჯერ კიდევ არ არსებობს. ამის ძირეული, ერთი მხრივ, მათი დიდი მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება და მეორე მხრივ, ყველა მათგანის საფუძვლიანი შეუსწავლელობა. ამიტომაც ჩვენ ამ შემთხვევაში შევჩერდებით საკუთრივ აფრიკულ ენებზე და იმ კლასიფიკაციაზე, რომელიც მათ შესახებაა მიღებული.

კონტინენტის ჩრდილოეთში გავრცელებულია მანდეს ოჯახის ენები. ისინი შეადგენენ სუდანის ენების განსხვავებულ ჯგუფს, რომელზეც ლაპარაკობს მალის, გვინეის, სიერა-ლეონის ძვლის ნაპირისა და მათი მეზობელი მხარეების მოსახლეობა.

სუდანის ოლქის ცენტრში, ჩადის ტბის დასავლეთ სანაპიროზე, ძის ჩრდილოეთ ნაპირებსა და ენედის მთიან რაიონებში გავრცელებულია საჰარის ოჯახის ენები. მას მიეკუთვნება კანური, ტუბი, ზაგავა და სხვ. კანური არის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიის მოსახლეობის ენა, სხვა დანარჩენი ენები გავრცელებულია ლიბიის სამხრეთისა და ჩადის ჩრდილოეთში.

მესამე ენობრივი ოჯახია ნილოტური ენები, რომლებიც თავის მხრივ, სამ ჯგუფად იყოფა. ჩრდილოეთის ჯგუფს ქმნიან შილუკის, დინკას, ნუერისა და სხვა ხალხების ენები, რომლებიც ცხოვრობენ თეთრი ნილოსის გასწვრივ და მისი შენაკადების სანაპიროებზე სუდანის რესპუბლიკის ფარგლებში.

მთელი სუდანის ოლქი წარმოადგენს ორი ენობრივი ერთობის შერევის ტერიტორიას. ესენია ჩრდილოეთის აფრაზიული და სამხრეთის საკუთრივ აფრიკული ენები. ეს უკანასკნელი, რომელსაც გვინეის ენების ეროობა შეიძლება ეწოდოს, თავის მხრივ, მოიცავს მეტად სხვადასხვაგვაროვან ენებს.

კონტინენტის უკიდურეს დასავლეთში გამოიყოფა ატლანტის სანაპიროს ენების ორი ჯგუფი. კერძოდ, სენეგალის მიდამოებში გავრცელებულია ვოლოფებისა და სერერის ენები. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ფულბეს ხალხის ენა, რომლის ცალკეული ჯგუფები გავრცელებულია სუდანის ოლქის მთელ ტერიტორიაზე — სენეგალიდან კამერუნამდე. საერთო რაოდენობა ფულბეს ენაზე მოლაპარაკე ადამიანებისა შეადგენს 6 მილიონს.

კვას ენები დიდ როლს ასრულებს თანამედროვე აფრიკის ცხოვრებაში. რამდენადაც მასზე ლაპარაკობენ ძველი კულტურის ხალხები, რომელთა შორის 10-12 მილიონი დღესაც მასზე მეტყველებს. კვას ჯგუფის ენებზე ლაპარაკობს ზემო გვინეის სანაპიროს მოსახლეობა, კერძოდ, განის, ტოგოს, ბენინის, ნიგერიის მცხოვრებნი. საეროო რაოდენობა კვას ენებზე მოლაპარაკე ხალხის დაახლოებით 30-40 მილიონს აღწევს.

ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და შედარებით კარგად შესწავლილია ბანტუს ჯგუფის ენები. მათი ეროობა დადგენილი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში ლინგვისტ ე. ბლიკის მიერ. ეს სამუშაო გააგრძელა გერმანელმა ლინგვისტმა კარლ მეინჰოფმა და შემდეგში — ინგლისელმა მ. ჰასრიმ. მათ ნაშრომებში დამტკიცებულია, რომ ბანტუს ყველა ენა ერთიანია როგორც ლექსიკით, ისე გრამატიკული თვალსაზრისით. ბანტუს ენის კლასიკური ტიპის წარმოქმნის ადგილად მიჩნეულია მდინარეების — კონგოსა და ზამბეზის გარშემო მდებარე რაიონები.

ენათა ამ ოჯახის აღმნიშვნელი სახელია „ბანტუ", რაც ნიშნავს „ხალხს". ბანტუს ენებს შორის პირველ ადგილზეა სუახილის ენა. როგორც მნიშვნელობით, ისე მასზე მოლაპარაკეთა რაოდენობით, იგი ოფიციალური ენაა ტანზანიაში, კენიასა და უგანდაში, გარდა ამისა, იგი გავრცელებულია მოზამბიკის ჩრდილოეთ ნაწილში, ზამბიაში, მალავსა და ზაირის აღმოსავლეთ რაიონებში. მასზე ლაპარაკობს 40 მილიონამდე კაცი, იმათი ჩათვლით, ვისთვისაც სუახილი მეორე ენაა.

სუახილის ენა სათავეს იღებს ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში. ამ დროიდან შემონახულია პოემებისა და გადმოცემების ჩანაწერები. თავდაპირველად მისი დამწერლობა დამყარებული იყო არაბულ გრაფიკაზე, ხოლო ამჟამად გამოყენებულია ლათინური შრიფტი. სუახილის ენა იყოფა მრავალ პატარა

დიალექტად, რომლებიც გავრცელებულია ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე. ზაირის მიდამოებში ჩამოყალიბდა სუახილის დასავლური დიალექტი კიგვანის სახელწოდებით, რაც „თავისუფალს", „თავისუფალთა ენა" ნიშნავს.

მნიშვნელობით მეორე ადგილზეა ლინგალა. იგი გავრცელებულია კონგოს შუა და ქვემო დინებაში და წარმოადგენს კონგოს რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი ნაწილის ენას.

გავრცელების მასშტაბით შემდეგია კიკონგის ენა, რომელზეც ლაპარაკობს ზაირის დასავლეთი ნაწილის მოსახლეობა, ანგოლის ჩრდილოეთის მოსაზღვრე ტერიტორიის მცხოვრებნი, გაბონის საშხრეთი რაიონის და კონგოს მნიშვნელოვანი ნაწილის მობინადრენი.

ამ ქვეყნებში გავრცელებულია მრავალეროვნება. ლინგვისტები ითვლიან ბანტუს 600 ენაზე მეტს, დიალექტების ჩათვლით. მხოლოდ ორ ქვეყანაში ენობრივი საზღვრები ემთხვევა სახელმწიფო საზღვრებს — კერძოდ ბურუნდსა და რუანდაში, რომლებშიც ოფიციალურ ენებად მიღებულია შესაბამისად კირუნდი და კინიარუანდა.

ცალკე ჯგუფს ქმნის დღემდე თავისი წარმოშობით გამოუცნობი ენები კჰოი-კჰოინი, რაც ნიშნავს „ადამიანთა ადამიანებს". როგორც უწოდებენ თავიანთ თავს ჰოტენტოტები.

ეს ზოგადი მიმოხილვა აქ წარმოდგენილია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად ჭრელია და ხშირად გაურკვეველი აფრიკის კონტინენტის ზოგადი ენობრივი სიტუაცია.

კ ულ ტ ურ ა თ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს გ ზ ე ბ ი. აქ უკვე წარმოდგენილი მიმოხილვიდანაც ცხადია, რომ აფრიკაში, ისევე, როგორც დედამიწის სხვა ნაწილებში, ისტორიული განვითარების პროცესი არათანაბარია.

ძვ. წ. VI-V ათასწლეულში კონტინენტის ჩრდილოეთით, ნილოსის ხეობაში, ჩამოყალიბდა ეგვიპტის ოვითმყოფადი სამიწათმოქმედო კულტურა. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საჰარის და აფრიკის სხვა შიდა რაიონების კულტურებთან, სადაც მოსახლეობდნენ მხოლოდ მონადირენი და შემგროვებლები. წარმოებითი მეურნეობის ჩვენები ნილოსის ხეობაში, როგორც ჩანს, შემოიტანეს სამიწათმოქმედო კულტურის უფრო ძველი კერიდან — სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან. გამოვლენილია ნეოლითური დასახლებანი ლიბიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომლებიც ძვ. წ. VI ათასწლეულით თარიღდება, სადაც როგორც ჩანს, უკვე ჰყავდათ შინაური ცხოველები. ქერის, ხორბლისა და სელის კულტივირების ნიშნები მიკვლეულია ნილოსის ხეობის ფაიუმის ოაზისის ნეოლითურ კულტურაში.

აფრიკაში, საჰარის სამხრეთით, ჩატარებულმა გამოკვლევებმა გამოავლინა მრავალი დამოუკიდებელი, მაგრამ ქრონოლოგიურად უფრო გვიანი, ტროპიკული მიწათმოქმედების კერა. მარცვეულეული, ბოსტნეული

და ბოლქეოვანი ამ რაიონის კულტურაში თავს იჩენს უკვე ძვ. წ. III-II ათასწლეულებში.

მოგვიანებით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ეგვიპტის გარდა, წარმოიშვა სხვა სახელმწიფოები (ნაპატი, მეროე, აქსუმი, ეთიოპია). მათ სამეურნეო ბაზას წარმოადგენდა მარცელოვანი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. იმავე დროს, აფრიკის მრავალ რაიონში მონადირეობა და შემგროვებლობა ის-ის იყო იცვლებოდა მეურნეობის სხვა უფრო პროგრესული ფორმებით.

აფრიკის ხალხების მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა რკინის გამოდნობის დაუფლებამ. რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღების წარმოების ჩვევების გავრცელებასთან ერთად, დაიწყო მიწათმოქმედებათა შეღწევა ტყიან ზონაში, სადაც ტროპიკული აფრიკის მონადირეები მოსახლეობდნენ, სავანეების განიერ ზონაში, რონელიც გადაჭიმული იყო ატლანტის ოკეანიდან ინდოეთის ოკეანემდე. ჩვ. წ. X და XI სს. მიდრეკილზე გაჩნდა მთელი რიგი ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

არაბული კულტურის შეჭრამ მრავალმხრივ შეცვალა კონტინენტის ჩრდილოეთი ნაწილის ეთნიკური გეოგრაფია. მოსახლეობის ნაწილმა, რომელიც უპირატესად ბერბერულ ენაზე ლაპარაკობდა, თანდათან მიიღო არაბული ენა, მუსლიმური რელიგია და კულტურა.

XI საუკუნის დასაწყისში არაბთა ცალკეული ჯგუფების აღმოსავლეთ და დასავლეთ სუდანში შეჭრამ, არაბებისა და სპარსელების გამოჩენამ ინდოეთის ოკეანის კუნძულებსა და სანაპიროზე ხელი შეუწყო ახალი ეთნიკური ჯგუფების წარმოქმნას. კონტინენტის აღმოსავლეთში, ზღვის სანაპიროს საკაჭრო ცენტრებში, ადგილობრივი ტომების საფუძველზე, რომლებიც ბანტუს ენაზე ლაპარაკობდნენ, წარმოიშვა შერეული მოსახლეობა სუაჰილი („სანაპიროს მცხოვრებნი"). არაბების ისლამისა და ზოგიერთი ჩვევის გადმოლებით, მათ შექმნეს ადგილობრივი კულტურის მეტად თვითმყოფადი, მკვეთრად გამოხატული ფორმები.

XI საუკუნიდან კონტინენტის შიდა რაიონებში გაჩნდა მთელი რიგი ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისა. აქ მიმდინარე მონათესავე ტომებისა და ხალხების ეთნიკური შერევის პროცესების შედეგად მოხდა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების კონსოლიდაცია და ასიმილაცია მონომატაპის, კონგოს, ლუნდას, ბეგინდასა და სხვა ქვეყნების ფარგლებში.

XVII-XVIII საუკუნეებში ევროპული კოლონიზაციისა და მონებით ვაჭრობის განვითარებამ გამოიწვია აფრიკის დასავლეთი და ცენტრალური რაიონების გაჩანაგება: გაძლიერდა ბრძოლები და შეტაკებანი ცალკეულ ხალხებს შორის, რასაც შედეგად მოჰყვა მათი სამეურნეო და კულტურული საქმიანობის დაქვეითება. მონებით ვაჭრობას იმ დროს ევროპის სახელმწიფოები ძირითადად მისდევდნენ აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე, საიდანაც

მონები გადაჰყავდათ ატლანტის ოკეანის გავლით ამერიკაში, მონებით ვაჭრობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ინგლისი.

აფრიკის ადრეული სახელმწიფოები ევროპელებმა გაანადგურეს. კონტინენტის კოლონიურმა დანაწილებამ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს (საფრანგეთი, ინგლისი, პორტუგალია, ჰოლანდია, ესპანეთი, იტალია) შორის დაარღვია ძველადვე ჩამოყალიბებული ეთნიკური ტერიტორიები და დააქუცმაცა მთელი რიგი ხალხები.

ისტორიული და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოებების მიზეზებით აფრიკის მრავალი ხალხი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ერებად და იმყოფება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. მხოლოდ ტუნისში, ეგვიპტესა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. ისტორიული პირობების მიზეზით, თანამედროვე ეთნიკური ერთიანობა ძირითადად დაემთხვა ერიერნულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ერთობას. ამავე დროს, ყველგან მიმდინარეობს მსხვილი ეთნიკური ერთობების კონსოლიდაციის პროცესი, რაც მკაფიოდ გამოიხატება ამ ერთობების თვითშეგნების განვითარებაში, რომელიც მთლიანად არ სპობს ძველ წარმოდგენებს ტომობრივ კავშირებზე.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო - კ ულ ტ ურ ული ტ ი პ ებ ი. აფრიკაში შემონახულია მრავალი ძველი სამეურნეო-კულტურული ტიპი, რომელთაც ჩვეულებრივ სამ ჯგუფში აერთიანებენ: პირველ ჯგუფს ეკუთვნის ტიპი, რომელშიც ჭარბობს შემგროვებლობის ეკონომიკური როლი, მონადირეობა და ნაწილობრივ, მეთევზეობა; მეორეში — თოხნითი მიწათმოქმედება ან ნახევრადმომთაბარე მესაქონლეობა და მესამეში — გუთნური მიწათმოქმედება ან განვითარებული მომთაბარე მესაქონლეობა.

ეკონომიკური და სოციალური კავშირების დონით ყველაზე ძველი და ყველაზე პრიმიტიულია მხოლოდ ეკვატორული ტყისა და უდაბნოების ზოგიერთ რაიონში შემორჩენილი ტიპი მოხეტიალე შემგროვებელ-მონადირეობისა. მაგალითად, დაბალტანიანი პიგმეების ტომები — ეფე, ბასუა, ბატეკა — დღემდე ნაყოფის, ძირხვენების, ტაფლის, მწერების შეგროვებას ეწევიან. ნადირობენ წვრილფეხა ნადირ-ფრინველზე, აგებენ ქარ-საფარებს ან პრიმიტიულ ქოხებს და თითქმის არ იყენებენ ტანსაცმელს. მეტად ახლოს დგანან პიგმეებთან ცხოვრების წესით კალაჰარის უდაბნოს ბუშმენები.

ტროპიკულ აფრიკაში მაინც ყველაზე დაწინაურებულია მიწათმოქმედების ტიპი უმნიშვნელოდ განვითარებული მესაქონლეობით და დამხმარე საქმიანობით — ნადირობით, შემგროვებლობითა და მეთევზეობით. აქ დღემდე ყველაზე გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო იარაღია სხვადასხვა ფორმის რკინის თოხი, ყამირის დასამუშავებელი მჭრელი იარაღები, ღერები ბუჩქნარებისაგან მინდვრების გასაწმენდად და სხვ. სუსტად არის განვითარებული მესაქონლეობა ბუზის — ცეცეს გავრცელების გამო, რომელიც სპობს საქონელს.

ამიტომ ტროპიკული მიწათმოქმედების შეხამებას მესაქონლეობასთან ერთად ვხვდებით სავანის მხოლოდ ზოგიერთ რაიონში და დასავლეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ზეგანზე. სწორედ აქ გვხვდება მესაქონლე-მონადირეთა სამეურნეო-კულტურული ტიპი. მოსახლეობა ძირითადად იკვებება მცენარეული პროდუქტებით: ძირხვენები, ბანანი, ფეტვის ფაფა და სხვ.

დამჯდარი ან ნახევრადდამჯდარი მიწათმოქმედნი და მიწათმოქმედნი-მესაქონლენი ცხოვრობენ მრგვალი ან ოვალური მოყვანილობის მცირე უფანჯრო ქოხებში, რომლებსაც აქვს კონუსური ან ფიჭის ფორმის სახურავი და დაბალი შესასვლელი. თითოეული ქოხი წარმოადგენს ნაგებობათა კომპლექსის ნაწილს, რომელიც ნათესავების საკუთრებაა. ხშირად ნათესაობა წარმოადგენს დიდ ოჯახს.

ისტორიული პროცესის თვალსაზრისით, მეორე ჯგუფის სამეურნეო-კულტურული ტიპი — თოხნითი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისა — თავის დროზე წარმოადგენდა წინგადადგმულ ნაბიჯს შემგროვებლობასა და მონადირეობასთან შედარებით. ისტორიული განვითარების შემდეგი ეტაპი დაკავშირებული იყო სახნავ მიწათმოქმედებასთან, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური სინთეზი ხელითა და თოხით წარმოებული მიწათმოქმედებისა მესაქონლეობასთან.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან აქ ჭარბობს გვალვაგამძლე მარცვლეული — ხორბალი, ქერი, ფეტვი. ეთიოპიაში ფართოდ არის გავრცელებული ენდემური მცენარეები — პურის მარცვალი — ტეფი, ზეთისა — ნუგი და სელი, რომელთა თესლი გამოიყენება არა მარტო ზეთის დასამზადებლად, არამედ კვერების გამოსაცხობადაც.

ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში ფართოდ არის გავრცელებული ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურები, ვენახი, ზეთისხილი. მიწათმოქმედება შეხამებულია მესაქონლეობასთან, ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზონაში, რადგან აქ რბილი სუბტროპიკული ჰავაა, ფართოდ არის განვითარებული მებაღეობა და მევენახეობა. ნილოსის ცხელ დაბლობზე ფართოდაა გავრცელებული მებამბეობა სარწყავ მიწებზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წელიწადი სამ სეზონს მოიცავს: ზამთრის, როდესაც თესენ მარცვლეულს (ქერი, ხორბალი) და პარკოსნებს; ზაფხულის, როდესაც თესენ ბამბას, სელს, კანაფს, ბრინჯს, სიმინდს; შემოდგომის, როდესაც თესენ ბრინჯსა და ფეტვს.

ჩრდილოეთი აფრიკის არაბულენოვანი მუსლიმური მოსახლეობის საცხოვრებელი თითქმის ისეთივეა, როგორც წინააზიური. სოფლის ადგილებში ჭარბობს თიხატკეპნილი, გამოუწვავი აგურის, აგრეთვე ქვის სწორკუთხა სახლები მიწის იატაკითა და ბრტყელი სახურავით. მთიან რაიონებში ბერბერების ქვის საცხოვრებლები შეყუჟულია კლდეების გარშემო მათ ძირში.

დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა მთიელი ეთიოპიელების საცხოვრებელი; ერთ ნაწილთან იგი მრგვალია, კონუსური სახურავით, ხოლო სხვებისა — სწორკუთხოვანი, საჰარის არაბ მომთაბარეებში გავრცელებულია კარვები,

ხოლო კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთში, სომალელებში — მცირე ოვალური საცხოვრებელი, რომელიც გადახურულია ბალახითა და ტყავებით.

აფრიკაში გამოყოფილ ყველა სამეურნეო-კულტურულ ტიპს გააჩნია სხვადასხვა ისტორიული ასაკი: ერთი ნაწილი განეკუთვნება ღრმა ისტორიულ წარსულს, მეორე წარმოადგენს პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების დროისდელი ეპოქის მემკვიდრეობას.

§ 1. პიგმეები, ბუშმენები, ჰოტენტოტები

აფრიკის აბორიგენულ მოსახლეობაში სამი ხალხი გამოირჩევა დამახასიათებელი თავისებურებებით, რაც გამოიხატება არა მარტო მათ ყოფასა და მეურნეობაში, არამედ თვით ფიზიკურ ტიპშიც, ენობრივ თავისებურებებსა და ცხოვრების წესში.

პ ი გ მ ე ე ბ ი ტროპიკული აფრიკის აბორიგენული მოსახლეობაა. ისინი მარტო აფრიკის, არამედ მსოფლიოს სხვა ხალხებს შორისაც ისინი გამოირჩევიან დაბალი ტანით. საისტორიო წყაროებში მოიხსენიებიან ჯერ კიდევ ძვ. წ. III ათასწლეულით. კერძოდ, ამ დროის ერთ-ერთ ძველეგვიპტურ წარწერაში მოთხრობილია ახალგაზრდა მეფის გასართობად ერთი მონა ჯუჯას ჩამოყვანის შესახებ, რომელსაც ტექსტში დენგ თუ დანგ ეწოდება, რაც ზუსტად შეესაბამება ერთ-ერთ ეთიოპიურ ენაში — ამხარულში სწორედ ჯუჯას სახელწოდებას. მრავალი ფანტასტიკური ცნობა აქვთ შენონახული მათ შესახებ ძველბერძენ ავტორებსაც. მაგრამ მიუხედავად ამ ცნობების ფანტასტიკური და ლეგენდარული ხასიათისა, ფაქტია, რომ სადღაც ცენტრალურ აფრიკაში, ტროპიკულ ტყეებში, მდინარე კონგოს აუზში ცხოვრობდა ჯუჯა ხალხის მრავალრიცხოვანი ტომი, რომლებმაც ჩვენს დრომდე მოაღწიეს.

ამჟამად ეს ტომები შემორჩენილია მდინარე კონგოს, ოგოვას და იტურის აუზებში. ცნობილია, რომ ჩრდილო აფრიკიდან ბანტუს ტომების შემოსევებმა მნიშვნელოვნად შეავიწროვა და სამხრეთისაკენ დასწია ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში მოსახლე ტომები. მათ რიცხვში მოჰყვნენ პიგმეები, რომელთაც აქამდე მთელი დასავლეთ ტროპიკული აფრიკა ეკავათ და რიცხობრივადაც მეტნი იყვნენ.

დასახელებული სამი მდინარის აუზში მცირე ჯგუფებად გაფანტულნი. მაგრამ მაინც მრავალრიცხოვანი, პიგმეური ტომი დაახლოებით 90-100 ათასს შეადგენს. ამას გარდა, 80 ათასამდეა ის პიგმეებიც, რომლებიც შერეულია მათ გარშემო მცხოვრებ ზანგ მოსახლეობასთან.

პიგმეებს საერთო სახელი არ მოეპოვებათ. გარშემო მცხოვრები ბანტუს ხალხი მათ უწოდებს ბაჩვას, ან ბატუას, რაც ნიშნავს „დაბალტანიან ადამიანებს“, „პატარა ადამიანებს“.

პიგმეების სამეურნეო საქმიანობა მონადირეობაა. გარდა ამისა, ერთ-ერთი უმთავრესია მათ საქმიანობაში შემგროვებლობა. იგია პიგმეური ჯგუფის კვების ძირითადი განმსაზღვრელი და საჭმლის მოპოვების წყარო. საკვები ძირითადად მცენარეულია. მისი მოპოვება ქალების საქმეა. ქალები და ბავშვების თანხლებით, პიგმეური ჯგუფის მიერ დროებით საცხოვრებლად დაკავებული ტერიტორიის გარშემო, მთელი დღის განმავლობაში აგროვებენ ძირხვენებს, საკვებად გამოსადეგი მცენარეების ფოთლებს და ნაყოფს, იჭერენ ჭიებს, ლოკოკინებს, ბაყაყებს, გველებსა და თევზებს.

ცხადია, კულტურის ასეთი პირველყოფილი ფორმები პიგმეებს მკვეთრად გამოყოფს მათ გარშემო მოსახლე ნეგროიდული ხალხებისაგან: რას წარმოადგენენ პიგმეები, საიდანაც გაჩნდნენ ისინი ცენტრალურ აფრიკაში, მათი წარმოშობა მალალტანიანი მოსახლეობის დეგრადაციის შედეგია, თუ ისინი თვითვე წარმოადგენენ დამოუკიდებელ ანთროპოლოგიურ ტიპს და ძრავალი სხვა საკითხი დაკავშირებულია პიგმეურ პრობლემასთან, რომელზეც პასუხი ჯერ არ არის გაცემული.

პიგმეების სამხრეთით, თანამედროვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ჩრდილოეთიდან მისი მოსაზღვრე ზოგიერთი სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე მოსახლეობდნენ და ამჟამადაც მოსახლეობენ ბ უ შ მ ე ნ ე ბ ი ს ა და ჰ ო ტ ე ნ ტ ო ტ ე ბ ი ს ტომები. აქედან — დასავლეთით მოსახლეობდნენ ჰოტენტოტები, ხოლო აღმოსავლეთით ბუშმენები.

როგორც ბუშმენები, ისე ჰოტენტოტები ანთროპოლოგიური ტიპის მიხედვით შეადგენენ ერთ რასას, რომელსაც კ ო ი ს ა ნ უ რ ს უწოდებენ, მაგრამ მათი კულტურა და ყოფა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჰოტენტოტები მესაქონლე მებრძოლი ხალხი იყო. კულტურული დონითაც ისინი ბევრად უსწრებდნენ თავიანთ მეზობელ ბუშმენებს. ბუშმენები მისდევდნენ მონადირეობას და ეწეოდნენ მეტად პრიმიტიულ ცხოვრებას. მათ მუდმივი ქოხებიც კი არ გააჩნდათ. ღამღამობით თავს აფარებდნენ ბუჩქებს, ან იკეთებდნენ დროებით სადგომებს ხის ტოტებისა და ფოთლებისაგან. ამიტომაც იყო, ჰოლანდიელები, რომლებიც პირველი გადმოსახლდნენ ამ ადგილებში და დაიწყეს ამ ტერიტორიების ათვისება, ბუშმენებს „ბუჩქის ხალხს" უწოდებდნენ.

ბუშმენების მატერიალური კულტურა მეტად პრიმიტიული იყო. მათი ნადირობის ძირითადი იარაღი იყო პატარა ზომის მშვილდი და ისარი ქვის წვეტანებით. არქეოლოგების მიერ ამ ისრის პირების შესწავლამ დაადასტურა, რომ ისინი არაფრით არ განსხვავდებიან, განვითარების თვალსაზრისით, ზედაპალეოლითური ხანის ისრის პირებისაგან. ზოგჯერ ისინი იყენებდნენ რკინის ისრის პირებსაც, რომლებსაც მათი მეზობელი ჰოტენტოტებისაგან მოიპოვებდნენ.

ბუშმენი მონადირის მთელი აღჭურვილობა შედგებოდა მშვილდის, ისრის, მოკლული ნანადირევის შესანახი პატარა ტყავის ჩანთისაგან და

მაგარი ჯოხისაგან. მათ ერთადერთ ტანსაცმელს წარმოადგენდა ტყავის წელზე შემოსაკრავი. მათ არ გააჩნდათ სახლისათვის საჭირო თითქმის არავითარი ნივთი. წყალს ინახავდნენ სირაქლემას კვერცხის ნაჭუჭში. ამ ნაჭუჭისგანვე ამზადებდნენ თავისებურ მძივებს, რომელიც დიდად ფასობდა. გარდა ამისა, მათ ემარჯვებოდათ მცენარეული ბოჭკოებისაგან სხვადასხვა ჩანთის, ხელჩანთისა და სხვა ნივთების ქსოვა.

ერთადერთი შინაური ცხოველი, რომელიც ბუშმენს ჰყავდა, ეს იყო ძაღლი, მას იგი იყენებდა ნადირობისას. მამაკაცები მთელ დროს ნადირობაში ატარებდნენ. ბუშმენები ძალზე დახელოვნებული და მეტად ამტანი ნადირეები იყვნენ. მონადირეები იყენებდნენ სხვადასხვა სახის ხაფანგსა და მახეს, ზოგჯერ მსხვილ ცხოველს ალყაში აქცევდნენ. მათ მოსარეკად ქალები და ბავშვები ჩამწკრივდებოდნენ ორ რიგად და პალმისა და სხვა ხეების ტოტებისა და ფოთლების ქნევით, აგრეთვე ხმამაღალი შეძახილით სანადირო ცხოველებს ერეკებოდნენ ალყისაკენ.

ბუშმენების ყოფისა და კულტურის ყველა საკითხი ამჟამადაც არ არის საბოლოოდ შესწავლილი. სხვაზე მეტი წვლილი ამ საქმეში ჰოლანდიელებმა შეიტანეს. ამავე დროს, ისინი ნადირობდნენ ბუშმენებზე და ბევრი მათგანი გაწყვიტეს კიდეც. რაიმე საერთო ტომობრივი ორგანიზაცია ბუშმენებს არ გააჩნდათ და ისინი მხოლოდ ენობრივი პრინციპით არიან გაერთიანებული. ამჟამად 20-მდე ბუშმენური ენაა ცნობილი. ბუმენების საერთო რაოდენობა XX საუკუნის 50-იან წლებში 7 ათასს აღწევდა.

ბუშმენებთან ზოგიერთი ნიშნით რამდენადმე ახლოს იდგნენ ჰ ო ტ ე ნ ტ ო ტ ე ბ ი, რომლებიც ტომთა განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ. მათ ახასიათებდათ ზოგიერთი საერთო ენაშიც, როგორც ფონეტიკასა და გრამატიკაში, ისე ლექსიკურ ფონდში. ანთროპოლოგიურად ისინი განეკუთვნებიან ერთ, კოისანურ ჯგუფს. ეს სახელი იშლება ორ სიტყვად „კოი" და „სან". სიტყვა ჰოტენტოტურია. „კოი" ნიშნავს „ადამიანს", ჰოტენტოტები თავისთავს უწოდებენ „კოი-კოინს", ე.ი. ადამიანთა ადამიანებს, ანუ ნამდვილ ადამიანებს. მეორე ნაწილი სიტყვისა „სან", როგორც ჩანს, დამცინავი სახელწოდებაა, რომლითაც ჰოტენტოტები მოიხსენიებენ თავიანთ მეზობელ ბუშმენებს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ბუშმენები, ისე ჰოტენტოტები ერთ ჯგუფს ქმნიან, ისინი მაინც სავსებით განსხვავებული ხალხია. აფრიკაში პირველი ევროპელების გამოჩენის დროისათვის, ე.ი. XVII საუკუნის შუა ხანებში, ჰოტენტოტებს დაკავებული ჰქონდათ მთელი სამხრეთ აფრიკის ქვედა ნაწილი — კეთილი იმედის კონცხიდან მდინარე კეიმდე.

ამ დროისათვის, ე.ი. XVII საუკუნის შუა ხანებში, ჰოტენტოტები შეადგენდნენ მრავალრიცხოვან მესაქონლე ტომს. მსხვილი რქოსანი პირუტყვის უზარმაზარი ჯოგები შეადგენდნენ მათ უმთავრეს სიმდიდრეს. გარდა ამისა, მათ მოშენებული ჰყავდათ ცხვარი და თხა.

ჰოტენტოტების ყოფა და წესები იმთავითვე კარგად შეისწავლეს ჰოლანდიელმა კოლონისტებმა და ძვირფასი ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური ლიტერატურაც შექმნეს მათ შესახებ. ჰოტენტოტების ასეთ მრავალმხრივ შესწავლას XVIII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი.

ჰოტენტოტები ცხოვრობდნენ ფიჩხებისაგან მოწნულ ზემოდან ტყავით გადახურულ ქოხებში, რომლებიც განლაგებული იყო წრიულად. ყოველ ასეთ დასახლებაში ცხოვრობდა 300-400 კაცი. ეს დასახლებები დროებითი იყო. როგორც კი გარშემო საძოვრები ამოიწურებოდა, ან არ იყო საკმარისი საქონლისათვის, მოსახლეობა მაშინვე ახალ ადგილას გადავიდოდა.

საქონელს ფლობდა დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომელსაც ზოგან რამდენიმე ათასი სული ჰყავდა. მათ მამაკაცები უვლიდნენ. ქალის საქმე იყო საჭმლის მომზადება და ტყავის გუდებში კარაქის მოდღვება, ძირითადი საკვები რძის ნაწარმი იყო. საქონელს ჰოტენტოტები ნაკლებად კლავდნენ, ზრუნავდნენ მათი რაოდენობის გაზრდაზე და ამიტომ საკვებ ხორცად ნანადირევს იყენებდნენ. ტყავისაგან ამზადებდნენ ტანსაცმელს, სამეურნეო საგნებს, ხურავდნენ ქოხებს, კერავდნენ ტომრებსა და მოსასხამებს.

ჰოტენტოტების შეიარაღებაში შედიოდა რკინისწვერიანი შუბი, მშვილდი და ისარი, გრძელი საძგერებელი კომბლები, რომლებსაც კირი ერქვა. რკინის იარაღს ჰოტენტოტები თვითონვე ამზადებდნენ. მათ იცოდნენ არა მარტო რკინის დამუშავება, არამედ მადნისაგან ლითონის გამოდნობაც.

ჰოტენტოტები იყოფოდნენ მრავალ ტომად, თითოეული ლაპარაკობდა თავის განსაკუთრებულ ენაზე. ტომის სათავეში იდგა ბელადი, რომელიც განაგებდა ყველა საქმეს. ბელადთან არსებობდა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ტომის უხუცესი წევრები. ჰოტენტოტებს შორის, XVII საუკუნის შუა ხანებისათვის უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი ქონებრივი განსხვავება. მდიდრების გვერდით, რომელთა ქონებას რამდენიმე ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი შეადგენდა, იყვნენ ღარიბებიც, რომელთაც ორიოდე ხარი, რამდენიმე ცხვარი და თხა მოეპოვებოდათ.

ჰოტენტოტებში არსებობდა მონობაც. ომებში დატყვევებულებს არ კლავდნენ, არამედ ღარიბ თანატომელებთან ერთად, მდიდრები საქონლის მწყემსებად იყენებდნენ.

მეხუთე თავი

აზიის ხალხები

აზია წარმოადგენს კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციების წარმოშობის რეგიონს. კერძოდ, შუამდინარეთში, მესოპოტამიის სამხრეთით, ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს და III ათასწლეულის დასაწყისში აღმოცენდა ერთ-ერთი უძველესი კლასობრივი საზოგადოება — შუმერთა სახელმწიფო; III ათასწლეულის დასაწყისში მდინარე ინდის აუზში აღმოცენდა ძველი ჯო-დაროს კულტურა; ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში მდინარე ხუანხეს ხეობაში, ჩინეთის ჩრდილოეთ რაიონებში ჩაისახა ცივილიზაციის უძველესი კერები.

უფრო მეტი, არსებობს ძოსაზრებები იმის შესახებ, რომ აზიის ზოგიერთ ტროპიკულ მხარეში უნდა ჩაყრილიყო საფუძველი ანთროპოგენეზს, თვით ამის საწყის ეტაპებს. ამის საბუთად მიიჩნევენ კუნძულ იავაზე (ინდონეზია) აღმოცენილ პითეკანთროპის ნაშთებს, რომელსაც ერთი მილიონი ხლის წინანდელი დროით ათარიღებენ. ასევე უძველესად ითვლება და ანთროპოგენეზს უკავშირდება სამხრეთ აზიაში აღმოჩენილი რამაპითეკის ძვლები. ამ რეგიონში ანთროპოგენეზის შესაძლო ვარაუდის არაპირდაპირ საბუთად იმასაც მიიჩნევენ, რომ აქ, აზიის თითქმის ყველა ნაწილშია აღმოჩენილი არქეოლოგიური, მასთან ერთად პალეოანთროპოლოგიური მასალები, რომლებიც ადრეული პალეოლითის სხვადასხვა ეტაპს ასახავენ. აქვეა აღმოჩენილი ისეთი არქეოლოგიური მასალები, რომლებიც, მართალია მოგვიანო ხანას განეკუთვნებიან, მაგრამ ასახავენ ეპოქას, როდესაც ჩამოყალიბდა თანამედროვე ადამიანი — Homo sapiens.

მეტად რთულია აზიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, რასაც თავისი მიზეზები აქვს. უპირველესად ეს გამოწვეულია მისი ისტორიული განვითარების თავისებური გზით, სოციალური და ეკონომიკური განვითარების არათანაბარი დონით, მრავალფეროვანი, დიამეტრიულად განსხვავებული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი რეგიონის სხვადასხვა მხარეში.

აქ დასახელებულ მიზეზებს შორის რეგიონის ისტორიული განვითარების გზიდან უნდა აღინიშნოს მრავალრიცხოვანი სხვადასხვა, ხოლო ზოგჯერ ერთი და იმავე ხალხის მიგრაციები, ფართო მასშტაბის დაპყრობითი ომები, რომლებშიც ზოგჯერ ერთდროულად სხვადასხვა ხალხი მონაწილეობდა, რაც ეთნიკურ აღრევებს იწვევდა. ეს აღრეული ხალხები, თავის მხრივ, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში გადაადგილდებოდნენ, რაც ისევდაც ჭრელ ეთნიკურ სინამდვილეს კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდიდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია და შეიძლება გადამწყვეტიც იყოს, აზიის ჭრელი ეთნიკური სინამდვილის ჩამოყალიბებაში ის, რომ ამ ხალხთა შორის გვხვდება ყველა დიდი რასის წარმომადგენლები. მართალია, ყველას რიცხობრივად სჭარბობენ მონგოლოიდები და ევროპოიდები, მაგრამ ბევრია შერეული, კონტაქტური ჯგუფების, ავსტრალოიდური რასის წარმომადგენლები და რაც მთავარია, უძველესი, ე.წ. რელიქტური ჯგუფების — პაპუასების, მელანეზიელებისა და ნეგრიტო-პიგმეების წარმომადგენლები.

ამდენად, მოლიანობაში დახასიათება, თანაც შედარებით მოკლედ, აზიის ეთნიკური სინამდვილისა და მასთან დაკავშირებული ეთნოლოგიური საკითხებისა, ზოგად სქემებსა და კანონზომიერებებში მათი მოქცევა ოიოქმის შეუძლებელია. ოუმცა ძირითადი, უმეტესი ნაწილისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნებისა და დაჯგუფებათა გამოყოფა მაინც ხერხდება.

პირველ რიგში ასეთი ზოგადი არეალების, როგორც ჩანს, სხვაზე უფრო მაინც ლინგვისტურ, ენობრივ ჯგუფებში მოქცევაა გამაროლებული და მიზანშეწონილი.

აზიის ხალხების მრავალი ენობრივი ოჯახის ჩამოყალიბება, მათი ფორმირება ჯერ კიდევ ძვ. წ. V-II ათასწლეულებს განეკუთვნება. უძველესად ითვლება ენათა სემიტურ-ქამიტური ოჯახის სემიტური ჯგუფის ენები. ამ ენებზე მეტყველებდნენ აქაველები, ბაბილონელები, ასირიელები, არამეელები, ფინიკიელები, ძველი ებრაელები, არაბები. ეს ენები ახლაც ყველაზე გავრცელებულია არაბეთსა და წინა აზიის ქვეყნებში.

ფართოდ არის წარმოდგენილი აზიის ქვეყნებში ინდოევროპული ენები და მათი მატარებელი ხალხები. ამ ენების ირანული და ინდური ჯგუფები ჯერ კიდევ უძველეს დროს ჩამოყალიბდა ირანის ზეგანსა და ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონებში. იმავე ინდოსტანში ადრევე არსებობდა კიდევ ერთი დიდი ენობრივი ოჯახის — დრავიდულის ენები. მაგრამ მათმა მატარებელმა ტომებმა თანადათან სამხრეთისაკენ გადაინაცვლეს, იმის მიხედვით, თუ როგორ ზეწოლას განიცდიდნენ ისინი ჩრდილოეთიდან შემოჭრილი არიელი ტომებისა და ხალხების მხრიდან, რომლებიც ინდოევროპული ენების მატარებლები იყვნენ.

რაც შეეხება აზიის ასევე დიდი რეგიონის — ინდოჩინეთისა და ინდონეზიის ენებს, ითვლება, რომ მალაიურ-პოლინეზიური ენების ოჯახის ინდონეზიური ჯგუფი ჩამოყალიბდა ჩინეთის სამხრეთ ზღვისპირა ზოლში და ძვ. წ. II-I ათასწლეულებში აქედან გავრცელდა აღმოსავლეთ ინდოჩინეთსა და ინდონეზიაში.

არანაკლებ რთული და მრავალფეროვანი იყო ენათა ოჯახების ფორმირების პროცესი ჩინეთის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში. აქ ჩამოყალიბდნენ ჩინურ-ტიბეტური ენობრივი ოჯახის ხალხები, რომლებმაც დიდად შეაეიწროვეს და სამხრეთისაკენ განდევნეს მონ-ქმერები.

ჩინურ-ტიბეტური ენობრივი ოჯახის ჩრდილოეთით ჩამოყალიბდა ალთაური ენობრივი ოჯახის მატარებელი ხალხები.

რაც შეეხება ამ რეგიონის ასევე ერთ-ერთ მრავალრიცხოვან იაპონურ და კორეულ ენებს, ითვლება, რომ ისინი ცალკე მდგომი იზოლირებული ენებია, რომლებიც არცერთ ენობრივ ოჯახში არ ერთიანდებიან. თუმცა, ზოგჯერ კორეულ ენას მაინც ათავსებენ ალთაური ენების ოჯახში.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, აზიის ხალხთა ეთნიკურ სიჭრელეზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ხალხთა დიდი მასების არაერთგზისმა მიგრაციამ: ჯერ კიდევ კლასობრივი საზოგადოებებისა და პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბების დროს დაიწყო წინააზიური და ცენტრალურ-აზიური მომთაბარე-მესაქონლეების გადასახლება-გადაადგილება ვრცელ ტერიტორიებზე, რომლებზეც მათ შექმნეს უზარმაზარი სახელმწიფოები. იგივე პროცესი გაგრძელდა შუა საუკუნეებში, ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბების ადრეული ეტაპებიდანვე.

ყოველივე ამის შედეგად ჩამოყალიბდა არაბთა ვრცელი სახალიფო VII-VIII საუკუნეებში და მან მოიცვა უზარმაზარი ტერიტორია ჩრდილოეთი აფრიკიდან შუა აზიის ჩათვლით; შემდეგში, XIII საუკუნეში შეიქმნა ჩინგიზ-ხანის იმპერია, რომელმაც მოიცვა იმ დროის ცივილიზებული სამყაროსათვის ცნობილი თითქმის ყველა ქვეყანა, დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოკლებით. ამას მოჰყვა თურქული და ირანული, ასევე იმპერიული შემადგენლობის სახელმწიფოების ჩამოყალიბება XIV-XV საუკუნეებში, დიდ მონგოლთა იმპერიის შექმნა XVI საუკუნეში და სხვ. ყოველივე ეს, ერთი პოლიტიკური სისტემისა და გაერთიანების ქვეშ ამოდენა ტერიტორიების და მასზე მოსახლე ხალხების გაერთიანება — იწვევდა ხალხთა აღრევებს, მათ ურთიერთშერწყმას, ახალი, ნარევი ეთნიკური ერთეულების წარმოქმნას, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა აზიის ასეთი ეთნიკური სიჭრელე.

მიგრაცია და ემიგრაცია, მათთან დაკავშირებული ეთნიკური პროცესები აზიის ხალხებში არც შემდეგში შეწყვეტილა. XV საუკუნიდან აქ ევროპელების გამოჩენამ, ხოლო შემდეგში მათ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, განსაკუთრებით ახალი, მათთვის უცხო კაპიტალისტური ურთიერთობებისა და ეკონომიკური წყობის თანდათანობითმა დამკვიდრებამ გარკვეულ ეთნიკური პროცესები წამოქმნა აზიის ხალხებში. კერძოდ, დაიწყო აზიის ხალხების ერთი ქვეყნიდან მეორეში და, ასევე კონტინენტს გარეთ მრავალრიცხოვანი გადასახლებები. XIX საუკუნის II ნახევრიდან მან ფართო მასშტაბები მიიღო ჩინეთში. ძირითადად, ისინი გადასახლდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, სხვა კონტინენტზეც (ამერიკაში). სადაც შექმნეს მრავალრიცხოვანი შემადგენლობის კომპაქტური დასახლებები. დიდი რაოდენობით გადასახლდნენ ინდოელები ცეილონზე, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, ასევე სამხრეთ აფრიკაში (გავიხსენოთ, რომ ინდოელების

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადისა და მამამთავრის — მაკათმა განდის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები დაკავშირებულია მის ცხოვრებასთან სწორედ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში).

აზიის კონტინენტის ამ ზოგადი ეთნომიმოხილვისა და დახასიათების შემდეგ, მისი ცალკეული ხალხების — ჩინელების, ინდოელების, ციმბირისა და შუა აზიის ხალხების — შედარებით დაწვრილებით განხილვით შესაძლებელი იქნება ამ რეგიონის კონკრეტული ეთნოლოგიური საკითხების წარმოდგენა.

§ 1. ჩინელები

თვით სახელწოდება — ხანი, დედამიწის ყველაზე დიდი რაოდენობის მოსახლეობა — 1 მილიარდ 200 მილიონი.

ი ს ტ ო რ ი ა. ჩინეთი არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა. ამის შესაბამისად, ჩინელებიც დედამიწის უძველეს მოსახლეობას განეკუთვნებიან. ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოს და IV ათასწლეულის დასაწყისში აღმოსავლეთით აზიის ტერიტორიაზე ნეოლითური კულტურის რამდენიმე ცენტრი იწყებს ჩამოყალიბებას. ერთ-ერთი მათგანი ჩინეთის აღმოსავლეთ ზღვისპირა ზოლში მდებარეობდა. აქ ძიანსუსა და ჯეძიანის პროვინციებში ე.წ. ცინლიანგანის კულტურა ჩამოყალიბდა, რომლის მატარებლებს ბრინჯი მოჰყავდათ და ხიმინჯებიან სახლებში ცხოვრობდნენ. ამ კულტურის თანადროულად, ჩინეთის დასავლეთ ნაწილში აღმოცენდა მეორე ნეოლითური კულტურა იანშაო. მოსახლეობას მოჰყავდა ფეტვი და ნახევრადმიწურ ქოხებში ცხოვრობდა. ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში აინშაოს ტომები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთმა დასავლეთით მდინარე ხუანხეს ზედა წელზე გადაინაცვლა, ხოლო მეორემ აღმოსავლეთით მდინარე ხუანხეს შუა წელი დაიკავა. ითვლება, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა შეასრულა მთავარი როლი უძველესი ჩინური ეთნოსის ჩამოყალიბებაში.

მაშასადამე ჩინელების წინაპრებს მიაკუთვნებენ მდინარეების — ხუანხესა და იანძის აუზში მცხოვრებ მიწათმოქმედ ტომებს, რომლებმაც ძვ. წ. III-II ათასწლეულში შექმნეს განსხვავებული ნეოლითური კულტურები — იანშაო და ლუშანი.

ძვ. წ. II ათასწლეულში ხენანის, შანსის და შენსის ტერიტორიაზე აღმოცენდა ადრინდელი სახელმწიფოებრივი გაერთიანება ინი. ეს ადრემონათმფლობელური სახელმწიფო დაიპყრეს ჯოუს ტომებმა. ძვ. წ. XI-III საუკუნეებში ჩინეთის ტერიტორიაზე არსებობდა ჯოუს სახელმწიფო, რომელიც ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში რამდენიმე დამოუკიდებელ სამეფოდ დაიშალა.

ძვ. წ. III საუკუნის ბოლოს აღმოცენდა ცინის ცენტრალიზებული იმპერია. მისი დამაარსებელი და ყველაზე გამოჩენილი მმართველი იმპერატო-

რია ცინ შიხუანდი, რომელმაც გაატარა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რეფორმები: ფულის ერთეული, დამწერლობისა და ზომის ერთეულის მასვე მიეწერება ჩინეთის დიდი კედლის აშენებლობის დამთავრება. დაუსრულებელი ომების შედეგად მან დიდად გააფართოვა ცინის იმპერიის საზღვრები.

ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისიდან ახალი წ. აღ. III საუკუნის დასაწყისამდე ჩინეთში ბატონობდა ხანის დინასტია. ამ დროს ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარებულ იქნა კონფუციანობა. მიმდინარეობდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობის შემდგომი განვითარება და მიწის მსხვილი მემამულეების ხელში გადასვლა.

ახ. წ. III-VI საუკუნეებში ჩამოყალიბებას იწყებს ფეოდალური ურთიერთობები და ამ დროსვე ქვეყანა რამდენიმე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაიშალა.

VI-VII საუკუნეებში ჩინეთში ბატონობს სუის დინასტია, ხოლო VII-X საუკუნეების დამდეგს ტანის დინასტია. ამ დინასტიის მმართველები იბრძვიან სეპარატისტი ფეოდალების წინააღმდეგ და დაპყრობითი ომების შედეგად აფართოებენ იმპერიის საზღვრებს. ბოლოსდაბოლოს შიდაფეოდალური ბრძოლების შედეგად, განსაკუთრებით სამხრეთის პერიფერიული პროვინციების გუბერნატორების პერიოდული ამბოხებების გამო ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ტანის იმპერია დაემხო და იგი შეცვალა სუნის იმპერიამ.

X-XIII საუკუნეებში არსებული სუნის იმპერიის დროს ჩინეთმა დაკარგა მანამდე დაპყრობილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი. გახშირდა ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან სხვადასხვა მოთამბარე ტომების — ჯურჯენებისა და სხვათა თავდასხმები.

XIII საუკუნის დამდეგიდან ჩინეთს თავს ესხმიან მონგოლთა ტომები, რომლებმაც 1279 წელს ბოლო მოუღეს სუნის დინასტიას და გააბატონეს მონგოლთა დინასტია იუანი. მონგოლებმა ჩინეთში დაამყარეს ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის სასტიკი რეჟიმი. ამას ჩინელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლები მოჰყვა დამპყრობლების წინააღმდეგ, აჯანყების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჯუ იუანჯანმა 1368 წელს განდევნა მონგოლი დამპყრობლები და დააარსა მინის დინასტია, რომელიც XVII საუკუნის მეორე ხანებამდე არსებობდა.

ამის შემდეგ, უკვე XVI საუკუნეში ჩინელების გაეცნობიან ევროპელები. პირველები მათ შორის იყვნენ პორტუგალიელები, რომლებმაც 1587 წელს იჯარით აიღეს ჩინეთის ნავსადგური აომინი (მაკაო), რომელიც დღემდე მათ ხელშია.

ამ დროიდანვე გამოჩნდნენ ჩინეთში პირველი ევროპელი მისიონერები, კერძოდ, იეზუიტები, რომლებმაც აქ ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას მიჰყვეს ხელი, თუმცა, ნაკლები წარმატებით. საბოლოოდ მოხდა ისე.

რომ XVII საუკუნის დასაწყისიდან მიწები მსხვილი მიწათმფლობელების ხელში აღმოჩნდა, გაიზარდა გლეხთა ჩაგვრა, ქვეყანა მოიცვა ღრმა სოციალურმა კრიზისმა. ამასობაში ჩრდილოეთით მომთაბარე ჯურჯენთა (მანჯურიელთა) ტომებმა მოახერხეს ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გაერთიანება და განიზრახეს ჩინეთის დაპყრობა. ამას დაეროო 1628-1645 წლების გლეხთა ომი. ამდენ დაწოლას მინის დინასტიამაც ვეღარ გაუძლო, იგი დაემხო და შეიცვალა ჩინეთის უკანასკნელი ცინის დინასტიით, რომლის მმართველობა მოიცავს 1644-1911 წლებს. ეს დინასტია მანჯურიული იყო. მათ ჩინელ ფეოდალებთან ერთად შექმნეს დესპოტური მონარქია, დამყარებული ძლიერ არმიასა და უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატზე — ძანდარინატზე.

პარალელურად ჩინეთის შიდა ისტორიის ამ დრამატული მოვლენებისა, გარეფაქტორებიც მისთვის არაკეთილსასურველად მიმდინარეობდა. ევროპული სახელმწიფოები — პორტუგალია, ჰოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი (მათ მოგვიანებით რუსეთიც შეუერთდა) XVIII საუკუნიდან გამუდმებით ცდილობენ ჩინეთთან ოფიციალური ურთიერთობის დამყარებას და როგორმე მის საზღვრებში შეღწევას. მათ მხოლოდ სამხრეთში, გუანჯოუში მიეცათ ვაჭრობის უფლება, ეს ყველაზე მეტად და მოხერხებულად ინგლისმა გამოიყენა და დაიწყო ჩინეთში ოპიუმის შეზიდვა, რაც ინგლისისათვის დიდად შემოსავლიანი აღმოჩნდა.

1839 წელს ჩინეთის ხელისუფლებამ აკრძალა ოპიუმით ვაჭრობა, ამას მოჰყვა 1840-1842 წლებში „ოპიუმის ომი". ამ ომში ჩინეთი ინგლისთან დამარცხდა და 1842 წლის 28 აგვისტოს დაიდო ნანკინის ხელშეკრულება. ჩინეთი იძულებული შეიქნა, გაეხსნა ხუთი ნავსადგური, გადაეცა ინგლისისათვის ჰონგკონგი, გადაეხადა დიდი კონტრიბუცია და დაეწესებინა შეღავათიანი საბაჟო ტარიფები. იყო კიდევ სხვა, შედარებით უმნიშვნელო ვალდებულებები.

1856 წელს ინგლისმა და საფრანგეთმა ახალი, ე.წ. „მეორე ოპიუმის ომი" გააჩაღეს ჩინეთის წინააღმდეგ. ჩინეთი ამ ომშიც დამარცხდა და ტიანძინისა და პეკინის (1858, 1860) ხელშეკრულებებით ახალ დათმობებზე წავიდა იმპერიალისტური ქვეყნების წინაშე.

ჩინელი ხალხი თავგამოდებით იბრძოდა, ამ დროისათვის ინგლისთან ერთად მოძალებული, სხვა იმპერიალისტური სახლემწიფოების და ასევე ადგილობრივი მჩაგვრელების წინააღმდეგ. 1850 წელს ტაიპინელთა რელიგიურმა სექტამ გუანსის პროვინციაში ფართო გასაქანი მიიღო და იმპერატორმა გუიანსიუიმ მთავრობაში მოიწვია მოძრაობის მონაწილენი. 100 დღეს მონაწილეობდნენ ისინი ქვეყნის მართვა-გამგებლობაში, დაიწყეს ბურჟუაზიული რეფორმების გატარება, მაგრამ 1898 წლის 21 სექტემბერს ჩინეთის უკანასკნელმა იმპერატრიცამ — დედოფალმა ცისიმ მოახდინა სა-

ხელმწიფო გადატრიალება. რეფორმატორების ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ნაწილი რეპრესირებულ იქნა. იმავე წელს მოეწყო ძალიან მძლავრი ანტიიმპერიალისტური აჯანყება. ამის საპასუხოდ 1900 წელს რვა სახელმწიფომ — ინგლისმა, აშშ-მა, იაპონიამ, რუსეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ავსტრია-უნგრეთმა და საფრანგეთმა მოაწყო ინტერვენცია ჩინეთის წინააღმდეგ. იმავე წელს ინტერვენტებმა აიღეს პეკინი. მოაკრიბა სიანში გაიქცა. ცისის ხელისუფლებამ ომი გამოუცხადეს ინტერვენტების და ამის შედეგად ჩაიშალა ჩინეთის ტერიტორიული დანაწილების იმპერიალისტური გეგმა.

ამ მოვლენების პარალელურად ჩინეთში გაიშალა რევოლუციური მოძრაობა — შეიქმნა რევოლუციური ორგანიზაციები. 1905 წელს სუნ იატსენი აარსებს რევოლუციურ პარტიას — ტუნმენხოი — საში სახელმწიფო პრინციპის (მანჯურიელთა დამხობა, რესპუბლიკის დამყარება, მიწაზე უფლებების გათანაბრება) პროგრამით. 1911 წლის 10 ოქტომბერს იწყება აჯანყება სუნ სიუციუანის ხელმძღვანელობით მანჯურიელთა ბატონობის წინააღმდეგ.

ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნებს იაპონიაც შეუერთდა 1894-1895 წლებში ომი გააჩაღა ჩინეთის წინააღმდეგ და მიიტაცა მისი ტერიტორიები. ესენი შორის კუნძული ტაივანი. ტერიტორიებისა და გავლენის სფეროების მიტაცებაში მას არც ევროპის ქვეყნები ჩამორჩნენ და გერმანიამ შანდუნის პროვინციაში მოიკიდა ფეხი ინგლისმა — ფლინარე იანძის აუზში, საფრანგეთმა — სახმრეთ-დასავლეთის პროვინციებში, მეფის რუსეთმა — ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციებში, ხოლო იაპონიამ დამატებით) ფუძიანის პროვინციაში.

საუკუნის ბოლოს აშშ-მა „ღია კარის" დოქტრინა გამოაცხადა 1899 წელს და დაიწყო პრეტენზიების წამოყენება ჩინეთზე. ჩინეთშიც ნელ-ნელა ბურჟუაზიულმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ დაიწყო ფესვის მოკიდება, 1895-1898 წლებში მას სათავეში ჩაუდგა კან იუვეი.

რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის (1917 წ.) შემდეგ ჩინეთში კიდევ უფრო ფართოდ იშლება რევოლუციური მოძრაობა, ამაში ყოველმხრივ აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა კავშირი. 1949 წლის 1 ოქტომბერს პეკინში საზეიმოდ გამოცადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა, რომელმაც მიზნად დაისახა სოციალიზმის მშენებლობა.

სამეურნეო-კულტურული ტიპები. ჩინელები შედიან აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობის იმ სამეურნეო-კულტურულ ტიპებში, რომლებიც მრავალ ქვეყანასა და ხალხს მოიცავს. ეს ტიპები ძირითადად ოთხ ჯგუფში ერთიანდებიან; 1. მონადირეობა, მეთევზეობა და შემგროვებელთა; 2. თოხნითი მიწათმოქმედების; 3. სახნავი მიწათმოქმედებისა და 4. მესაქონლეობის.

პირველი სამეურნეო-კულტურული ტიპი — მონადირეობა, მეთევზეობა და შემგროვებელთა — უძველესია და ამ რეგიონის ხალხში ჯერ

კიდევ მეზოლითის ხანაში აღმოცენდა. ამ ტიპის ცალკეული სამეურნეო კულტურული ნიშნები შეიმჩნევა ჩინეთში მცხოვრებ ტუნგუსურ-მანჯურიული მოდგმის ზოგიერთ ხალხში;

მ ე ო რ ე სამეურნეო-კულტურული ტ ი პ ი თოხნითი მიწათმოქმედებისა დაკავშირებულია ნეოლითის ეპოქასთან. ითვლება, რომ იგი ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ ჩინეთის დაბლობზე ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლოს. იყენებდნენ ორკბილიან ხის ჯოხს ფეხის სადგარით. მოსავლის აღებისას გამოიყენებოდა კერამიკის ან ქვის სამკელი დანები. ამ დროსვე მოხდა ღორისა და ძაღლის მოშენება, რომელთა ხორცს ჭამდნენ. თოხნითი მიწათმოქმედება გაგრძელდა ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე, ხოლო ამ დროიდან იგი სახნავმა მიწათმოქმედებამ შეცვალა. ამავე დროს, უძველეს ხანაში აქ გავრცელებული იყო ბრინჯის მოყვანა და საახოე მიწათმოქმედება. უმთავრეს სამუშაო იარაღსაც ჯოხი და თოხი წარმოადგენდა. მისდევდნენ მიწის გაფხვიერებასაც, რაც მიიღწეოდა ნახნავში კამეჩების გატარებით. მაღალმთიან რაიონებში — იბუსა და ნაწილობრივ ტიბეტში, მოჰყავდათ სიცივეგამძლე კულტურები — ქერი, შვრია, წიწიბურა;

მ ე ს ა მ ე ტ ი პ ი სახნავი მიწათმოქმედებისა წარმოშვა რკინის სამუშაო იარაღების გამოყენებამ. ამ ტიპის საფუძველს სახნისის, ხოლო მოგვიანებით, გუთნის გამოყენება წარმოადგენს. გამწევ ძალად უმეტეს შემთხვევაში ხარებს იყენებდნენ, ხოლო მარცვლეულ მცენარეებს მკიდნენ განსაკუთრებული ფორმის რკინის ნამგლებით, რომლებშიც ბასრი პირი და ტარი ერთმანეთის მიმართ პერპენდიკულარულად იყო განლაგებული. ამ ტიპისთვის დამახასიათებელია შემდეგი კულტურების მოყვანა: მარცვლეული — ხორბალი, ფეტვი, ბრინჯი; პარკოსანი — სოიო და მისგან წვნიანის დამზადება; ტექნიკური კულტურები — ბამბა, რამა, თუთა, ჩაი. სამხრეთის მთიან რაიონებში გავრცელებულია წიწიბურას, შვრიის და ქერის მოყვანა, ხოლო უმთავრესი სახვნელი იარაღია მძიმე, ფართო სახნისიანი და ფრჩხილებიანი გუთანი.

მ ე ო თ ხ ე ტ ი პ ი მესაქონლეობისა, უმეტესად, მონგოლური, თურქულ და ნაწილობრივ ტუნგუსურ-მანჯურიულ ხალხებში ჩამოყალიბდა ძვ. წ. I ათასწლეულში. საკუთრივ ჩინეთში მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ოროჩენებისა და ევენკების ცალკეულ ჯგუფებში გამოიყოფა ტაიგის მეირძეობა. იგი მხოლოდ იმ ადგილებშია გავრცელებული, სადაც ირმის ხავსი ხარობს და ამდენად, ეს სამეურნეო-კულტურული ტიპი დიდი ხანგანის ტერიტორიითაა ლოკალიზებული.

მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. აღმოსავლეთ აზიის მიწათმოქმედ ხალხში, რომელთაც ჩინელებიც განეკუთვნებიან, ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ე ბ ი დიფერენცირებულია მიწასთან იატაკის დონის მიხედვით. ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში, თოხნითი მიწათმოქმედების ხალხებში გავ-

რცელებული იყო ნახევრად მიწურები. მოგვიანებით ისინი შეიცვალა ძვ. ზე აგებული საცხოვრებლებით. ჩინეთის ტერიტორიის ობილ სარტყელში გავრცელდა ხიმინჯებიანი საცხოვრებელი ნაგებობანი, ისინი შრაშიანი ქვეწარმავლების სიმრავლის პირობებში, ცხადია, ყველაზე რაციონალური იყო.

ჩინელების საცხოვრებელთა უუდმივად ტიპების კლასიფიკაციაში მნიშვნელობა ენიჭება კერასა და მის მდებარეობას. ხიმინჯებიან სახლებში კერის დანიშნულებაა საჭმლის მომზადება. კერა, რომელშიც ცეცხლი ინოება. ასეთ სახლებში მიწით სავსე ბრტყელ ყუთს წარმოადგენს. საერთო ჩინელების მიწისზედა სახლებში უუდმივი კერა არ არსებობს. წლის ცივ პერიოდში აქ გადასატანი საცეცხლე ქურებით ობებიან. ხოლო ჩრდილოეთ ჩინელებში გავრცელებულია სპეციალური საწოლები — „კან"

ჩინელების გავლენით ტაის მრავალი ხალხი ხიმინჯებიანი სახლებიდან მიწაზე დადგმული სახლების აშენებლობაზე გადავიდა, ხოლო სამხრეთელმა ჩინელებმა მასალად დახეთქილი ბამბუკის გამოყენება დაიწყეს, რაც უცხოა ჩრდილოელეთელი ჩინელებისათვის.

ჩინელების ტ ა ნ ს ა ც შ ე ლ ი მრავალ ისეთ კომპონენტს შეიცავს, რომელიც მათ გადმოღებული აქვთ მომთაბარე შეჯოგეების ტანსაცმლიდან. ეს პირიქით. მაგალითად, მომთაბარეთა გამოგონებად ითვლება შარვალი, რომელიც აუცილებელია ცხენოსნობის დროს. მოგვიანებით, იგი მიწათმოქმედ ხალხებმა და, მათ შორის, ჩინელებმა გადაიღეს. ასევე აღმოსავლეთ აზიის მომთაბარეთა ჩაცმულობაში მთავარი კომპონენტია ხალათის ტიპის ფარული მოსასახამი, რომელსაც მარცხნივ გადმოიკალთავდნენ — მარჯვენა კალთა ზემოთ რჩებოდა. ასევე ტყავის ან ქეჩისგან დამზადებული მაღალი ჩექმები. სწორედ მომთაბარეთათვის დამახასიათებელი ტანსაცმლის ელემენტია.

აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი სარტყელის, მაშასადამე ჩინეთის. მიწათმოქმედები ხალათს მარჯვნივ გადმოკალთულს ატარებდნენ. იგი მათ ჩვენს დრომდე შემორჩათ. ეს იყო მათი ტანსაცმლის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი ჩრდილოეთელი „ბარბაროსების" მარცხნივ გადმოკალთული ხალათისაგან. ძვ. წ. IV-III ათასწლეულში არსებითი ცვლილება მოხდა იმის შედეგად, რომ მათ გადმოიღეს ტანსაცმლის ისეთი ელემენტი, როგორიც იყო შარვალი. თავდაპირველად მას მხოლოდ მეომრები, კერძოდ, მხედრები ატარებდნენ, ხოლო შემდეგში იგი გადაიქცა, როგორც კაცების, ასევე ქალების ყოველდღიურ ტანსაცმლად. ამჟამად ჩინეთის მოსახლეობაში უმეტესად გავრცელებულია მარჯვნივ შესაკერელი, მხარზე მოსასხმელი ტანსაცმელი, რომელსაც ახასიათებს ლოკალური თავისებურებანი ფარგლისა და ორნამენტებში.

ს ა კ ვ ე ბ შ ი ერთმანეთს უპირისპირდება ორი კომპლექსი — დამახასიათებელი მესაქონლეობისათვის და მიწათმოქმედებისათვის; ამა თუ იმ ფორმით არსებობს „ძირითადი საჭმელი" და „მეორეხარისხოვანი საჭმელი".

პირველი სახის საჭმელებს შორის უმთავრესია ბრინჯი, რომელსაც ორთქლში ხარშავენ. ჩრდილოეთელი ჩინელები ბრინჯის მაგივრად ხმარობენ „მანტოუს“ და „ვოვოტოუს“ — ხორბლის ან სიმინდის ფქვილისაგან დამზადებულ, მოხარშულ, უმარილო პურს, აგრეთვე სხვადასხვა კვერს. „მეორეხარისხოვანი საჭმელები“ ბოსტნეულის, ხორცისა და თევზისგან მზადდება. ისინი წვრილად იჭრება და უმთავრეს შემოხვევაში მათ წვავენ ღრმა, ნახევრად სფერული ფორმის ტაფაზე. ბრინჯი სუფრაზე აუცილებლად ცხელი მიაქვთ, მასთან ერთად რამდენიმენაირ „დამატებით კერძს“ ამზადებენ. თუ ბრინჯს ფიალებით ჩამოარიგებენ, დამატებითი კერძები თითო დიდი თასით იდგმება, საიდანაც მათ ხის ჯოხებით შეექცევიან. დამახასიათებელია, რომ რძეს და მისგან მიღებულ პროდუქტებს (ყველი, ხაჭო, არაჟანი...) აღმოსავლეთის მიწათმოქმედი მოსახლეობის უმეტესობა საკვებად არ იყენებს.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი - კ ლ ა ნ უ რ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა. აღმოსავლეთ აზიის ძრავალი ხალხის და მათ შორის ჩინელების საზოგადოებრივი შეგნებისა და საოჯახო ყოფის მრავალ მხარეზე დიდ გავლენას ახდენდა და ახდენს კლანური, პატრინიმიული ორგანიზაცია, რომელიც ბევრგან ჩვენს დრომდეა შემონახული. ჩინელებთან გავრცელებული იყო მამისეული ჯგუფის ოჯახების ნათესაობა, რომელიც სამეურნეო ერთობას ემყარებოდა და წარმოადგენდა ერთ-ერთ რგოლს სოფლის სოციალურ სტრუქტურაში. მას „ძუნძუ“ ეწოდებოდა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მიწის საკუთრების ხასიათს — კერძოდ, გარდა მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც მთელი კლანის საკუთრებას წარმოადგენდა, მისი წევრები დაკავშირებულნი იყვნენ ისეთი ურთიერთობებით, რომლებიც ზღუდავდა ცალკეული ოჯახის კერძო საკუთრების უფლებას. ამიტომაც ჩინეთში ხანგრძლივად არსებობს წესი, რომელიც მიწის ყიდვის დროს უპირატესობას ანიჭებს კლანის წევრს. მიწის ნაკვეთის გაყიდვისას მფლობელი ვალდებულია ამაზე თანხმობა მიიღოს ჯერ ახლობლებისაგან, შემდეგ შორეული ნათესავებისაგან, მაშასადამე, პრაქტიკულად „ძუნძუს“ ყოველი წევრისაგან. კლანური ერთობა დამყარებული იყო საერთო წინაპრის კულტზე. იკრძალებოდა „ძუნძუს“ წევრებს შორის შეუღლება, რეგულარულად წარმოებდა მათ შორის სპეციალური გენეალოგიური წიგნების შედგენა.

„ძუნძუს“ განმასხვავებელ გარეგნულ ნიშანს წარმოადგენდა საერთო კლანური სახელი. იგი მამამოავარი წინაპრის სახელის ან მეტსახელისაგან წარმოდგებოდა, ზოგჯერაც იმ ადგილის სახელიდან, სადაც პირველად დასახლდა ეს კლანი. ამ კლანური სახელებიდან აღმოცენდა თანამედროვე გვარები. ჩინელებში გვარები ადრევე წარმოიშვა — იგი ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებით თარიღდება. ჩინელებში გვარი ადამიანის სახელის პირველი კომპონენტია, პირადი, ანუ ინდივიდუალური, სახელი ჩინელებთან ადამიანის სახელის მეორე კომპონენტია. ჩინელებში

ერთი თაობის ნათესავებს თავისი ინდივიდუალური სახელის შემაღგენლობაში აქვთ რაიმე საერთო ელემენტი. მათში არსებობს ტაბუ უფროსი ნათესავების ან სხვა პატივსაცემი პირების პირადი სახელების ხმარებასთან დაკავშირებით.

ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. აღმოსავლეთ აზიაში და ასევ ზორის ჩინეთში, მართალია, არც ერთი მსოფლიო რელიგია არ აღმოცენებულა, მაგრამ მათი კულტურის მრავალი ნიშანი რელიგიური ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა. მითუმეტეს, რომ იქ თითქმის ყველა მსოფლიო რელიგიამ შეაღწია და მეტ-ნაკლები წარმატებით მოიკიდა ფეხი.

ქრისტიანობა ჩინეთში შეიტანეს VII-VIII საუკუნეებში და იგი. ძირითადად, ნესტორიანობის სახით იყო წარმოდგენილი. მან ჩინეთში ფესვები ღრმად ვერ გაიდგა. ასევე, თითქმის უშედეგოდ დამთავრდა ევროპელ მისიონერთა საქმიანობა XV-XVII საუკუნეებში.

მუსულმანობა თავდაპირველად ჩინეთის თურქულ მოსახლეობაში გავრცელდა. მან ჩინელებში ბევრად მეტ წარმატებებს მიაღწია, ვიდრე ქრისტიანობამ, იმდენად, რომ მათში განსაკუთრებული ეთნოგრაფიული ჯგუფი — ჰუეი ჩამოყალიბდა.

ბუდიზმმა ჩინეთში ახ. წ. პირველ საუკუნეებში შეაღწია. იგი მოხერხებულად ეგუებოდა ყოველგვარ პირობებს და მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, რაც მრავალრიცხოვანი სექტების შექმნა-ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. მათ შორის ჩინეთში ყველაზე დიდი, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა „ჩანის“ სკოლას. ჩინეთის ტიბეტური მოსახლეობაში გავრცელებული რელიგია იყო და არის ლამაიზმი.

ჩინეთში გავრცელებული რელიგიური სისტემებისათვის დამახასიათებელია სინკრეტიზმი. მათ რწმენა-წარმოდგენებში ერთმანეთს ერწყმის ბუდისტური ნიშნები და კონფუციანობისა და უძველესი რელიგიის — დაოიზმის მორალურ-ეთნიკური სწავლების ელემენტები. მისთვის დამახასიათებელია მეტად ფართო პანთეონი, განდეგილების კულტი და მკაფიოდ გამოხატული მისტიციზმი.

ჩინელების მითოლოგია ტიპოლოგიურად რამდენიმე ციკლად იყოფა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კოსმოგონიური მითების ციკლი. რომელშიც მოთხრობილია ქალღმერთ ნიუივას მიერ მიწის, ცისა და ადამიანების წარმოქმნის შესახებ პირველყოფილი ქაოსის ტრანსფორმირების შედეგად.

ჩინური მითები მოგვითხრობენ აგრეთვე კულტურული ძეღვაწეების პერსონიფიცირებულ შემოქმედებაზე. ამის მიხედვით ჩინელები თაყვანს სცემენ: სიუეენს — ხახუნით ცეცხლის მომპოვებელ პირველ ადამიანს. ფურის — მშვილდ-ისრის პირველ გამკეთებელს, შენნუნს — სამკურნალო ბალახების დამზადების მასწავლებელს, ჰაუნდის — ორთქლში მარცვლის (მათ შორის ბრინჯის) მოხარშვის წესის აღმომჩენს და სხვ.

ჩინელების სულიერი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ხანგრძლივი ტრადიციის მქონე დამწერლობის არსებობა. აქ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში აღმოცენდა დამწერლობის უძველესი სისტემა — ძველი ჩინური იეროგლიფური დამწერლობა. იგი თითქმის უწყვეტლივ ვითარდება დღემდე. ეს დამწერლობა აფიქსირებს ენის ერთეულებს მათი აზრის და არა ბგერის მიხედვით. ამ თავისებურების გამო, რომელიც გარკვეულწილად სიადვილით ხასიათდება, ჩინური იეროგლიფური დამწერლობა გადაიღეს მეზობელმა ხალხებმაც. იგი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ აზიის ხალხებში ისეთსავე როლს ასრულებდა, როგორსაც ლათინური დამწერლობა ევროპაში.

§ 2. ინდოელები

ინდოელები სამხრეთ აზიის იმ ხალხების შემადგენლობაში შედიან, რომლებიც მოსახლეობენ ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, კუნძულ ცეილონზე, ანუ შრილანკაზე, ლაკატივის, ამინდივის, ანდამანის და ნიკობარის კუნძულებზე. ამათგან ჩვენ გვაინტერესებს საკუთრივ ინდოეთი და ინდოელები; ისინი დასახელებულ ტერიტორიებზე მოსახლე სხვა ხალხებთან ერთად, დაახლოებით ერთნაირი ყოფისა და კულტურის მატარებლები არიან.

აქ მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიარდს შეადგენს, მათგან დაახლოებით 800 მილიონი ინდოელია. საინტერესოა ამ ქვეყნის გეოგრაფიული გარემო. მას გარს არტყია მსოფლიოში უდიდესი ჰიმალაისა და ყარაყორუმის ქედები, ბელუჯისტანის მთიანეთი, ჰინდიკუში, ინდოსტანის სუბკონტინენტი შემოსაზღვრულია ერთ-ერთი უდიდესი — ინდოეთის ოკეანით, არაბეთის და ანდამანის ზღვებით, ბენგალის ყურით. აქ მიედინება უდიდესი მდინარეები: ინდი, განგი, ბრაჰმაპუტრა, ჯამნა და სხვ. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა აქაური ფაუნა და ფლორა — ტროპიკული ტყეები, ჯუნგლები, ძვირფასი ხის ჯიშები, მარადმწვანე ტყეების უზარმაზარი მასივები, ფიკუსები, ხისებრი გვიმრები, მანგოს ტყეები, ბანანისა და ქოქოსის პალმები, ჩაის ბუჩქები.

1. ეთნიკური ისტორია, ლინგვისტური და ანთროპოლოგიური სიტუაცია. რამდენიმე ათეული მილიონი წლის წინათ, როგორც ეს მეცნიერებაშია დადგენილი, ამ ადგილებში ცხოვრობდნენ დრიოპითეკური მაიმუნები, ხოლო დაახლოებით ათი მილიონი წლის წინათ რამაპითეკები. მიუხედავად იმისა, რომ ესენი ადამიანის წინაპრებადაც კი შეიძლება მიჩნეულ იქნენ, მაინც არ არის გარკვეული საკითხი იმის შესახებ, დედამიწის ეს რეგიონი ეკუთვნის თუ არა იმ ადგილებს, სადაც ანთროპოგენეზი მიმდინარეობდა. საქმე ის არის, რომ აქ — სამხრეთ აზიაში არ არის ნაპოვნი უძველესი ადამიანის ძვლები.

ასევე არ მოიპოვება სანდო და პირდაპირი წყაროები ამ ტერიტორიებზე ადამიანის განვითარების ადრეული ეტაპების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. თუმცა, ცალკეული მონაცემები იმაზე მეტყველებენ, რომ ინდოეთის ნახევარკუნძულის მნიშვნელოვანი ნაწილის მოსახლეობა იმ პერიოდში ვედოიდური უნდა ყოფილიყო. მეცნიერების მოპოვებათ საუძველში ძველის მტკიცებებისათვის, რომ ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ამ ადგილებში შეიჭრნენ და დასახლდნენ დრავიდები, რომლებიც ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით სამხრეთელი ევროპელები არიან. ითვლება, რომ მათვე შექმნეს ცივილიზაციის პირველი კერები მდინარე ინდის ხეობაში. შემდეგ მათ დაიწყეს განსახლება აღმოსავლეთითა და დასავლეთით, სადაც უხდებოდათ შეტაკებები ძველ ვედურ ტომებთან. ეს შეტაკებები, უმეტეს შემთხვევაში მაინც, როგორც ჩანს, დრავიდების გამარჯვებით და ვედების ასიმილაციით მთავრდებოდა; ამის შედეგი იყო, რომ ჩამოყალიბდა სამხრეთ-ინდური დრავიდული რასობრივი ჯგუფები.

ლინგვისტური და არქეოლოგიური მონაცემებით გარკვეულია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში ჩრდილოეთ ინდოეთში განსახლების იწყებენ ინდოარიულ ენაზე მოლაპარაკე სამხრეთ ევროპოიდული არიელები. მათ ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ რაიონებს მიაღწიეს და აქ მოხდა მათი ასიმილაცია დრავიდების მიერ. ინდოევროპული ტომები, ირანულ და თოხარულ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფები, როგორც ჩანს, სამხრეთ აზიაში, ანუ ინდოეთის სუბკონტინენტზე გვიანაც, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის ზღურბლზეც მიდიოდნენ ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან.

ინდოეთის ნახევარკუნძულზე ძვ. წ. II და I ათასწლეულის დასაწყისში განსახლებული ინდოარიული მოსახლეობის ისტორია მეცნიერებისათვის ცნობილია არქეოლოგიური მონაცემებით და ე.წ. ვედებით, რომლებიც არიოიანების ჰიმნების კრებულებს, მსხვერპლშეწირვის რიტუალების აღწერილობას და მასთან დაკავშირებულ მაგიურ ფორმულებს, წმინდა ტექსტებს, მათ განმარტებებს და კომენტარებს. უძველეს ვედად ითვლება „რიგვედა“ (ე.ი. „ჰიმნების ვედა“). ეს არიელები შეერივნენ ადგილობრივ დრავიდულ მოსახლეობას, მოხდა მათი კულტურული მონაპოვრების ურთიერთგაცვლა და შერწყმა. მათვე შექმნეს ამ ტერიტორიებზე რამდენიმე ადრეკლასობრივი სახელმწიფოები, რომელთაც ახასიათებდათ რთული კლასობრივი და ფეოდებრივი საზოგადოებრივი დაყოფა.

ამ ტერიტორიაზე ორასი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, რომელთა დიდი ნაწილი მცირერიცხოვანია. საკუთრივ ინდოეთში გავრცელებულია 187 ენა. აქ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი ლაპარაკობს ინდური (ინდოარიული) და ურ-აზიური და ჩინურ-ტიბეტური ოჯახების ენებზე. მაგრამ მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენენ ისინი, რომლებიც ინდოევროპულ ენებზე ლაპარაკობენ. ინდურ შტოს მიეკუთვნებიან: ჰინდი, ურდუ,

ბენგალური, ნეპალური, სინგალური, პენჯაბური და სხვა მრავალი აქ გავრცელებული ენა. აქედან, ჰინდი არის ინდოეთის ოფიციალური ენა (ასევე მეორე დროებით ოფიციალურ ენად ითვლება ინგლისური), ხოლო ურდუ პაკისტანის ოფიციალური სახელმწიფო ენაა.

აღსანიშნავია, რომ უძველესი მოსახლეობის — დრავიდების ენობრივი ოჯახი წარმოდგენილია მრავალი დიდი და მცირე ენით: ტელუგუ, ტამილური, კანაია, მალაიალი, ტოდა, კოტა, ირულა, ჩენჩუ და სხვ.

ინდოეთის სუბკონტინენტის მოსახლეობა ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით სამხრეთ ევროპელებს მიეკუთვნება. თავისებური ნიშნებით გამოიყოფა დრავიდების ანთროპოლოგიური ტიპი, რომელშიც შერწყმულია სამხრეთ ევროპოიდული და ავსტრალოიდური ნიშნები. ამ ტერიტორიის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში განსახლებულია მონგოლოიდური ანთროპოლოგიური ტიპის მოსახლეობა. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია სამხრეთ აზიის მოსახლეობისათვის გარდამავალი ანთროპოლოგიური ტიპები. კერძოდ, ვედებმა, რომლებიც უძველეს მოსახლეობას წარმოადგენდნენ აქ, სხვადასხვა რასობრივ ჯგუფთან შერევის შედეგად შექმნეს რიგი ანთროპოლოგიური ჯგუფებისა.

2. მ ე ურ ნ ე ო ბ ა დ ა მ ი ს ი ტ ი პ ე ბ ი. ინდოეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით ძვ. წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის დასაწყისში მოსახლე არიელები მესაქონელობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ოუმცა არქეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური მონაცემებით არ ჩანს, რომ მცენარეთა მოშენებისა და ცხოველთა მოშინაურების პროცესი დედამიწის ამ რეგიონში დაწყებულიყო.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ. წ. IV ათასწლეულამდე აქ ყველგან ბატონობდა მიმთვისებლური მეურნეობა — მონადირეობა, მეთევზეობა, ხილისა და კენკრის შეგროვება. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში ინდზე, მოჰენჯო-დაროს ოლქში ჩამოყალიბდა ამ კუთხის უძველესი ცივილიზაცია, აღმოცენდა მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა პირველი დასახლებები და სულ უფრო და უფრო ფართოდ გავრცელდა მწარმოებლური მეურნეობა. ამასთანავე, აქაურმა ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების სხვადასხვაობამ განსაზღვრა სამეურნეო-კულტურული ტიპებისა და ქვეტიპების მრავალფეროვნება.

ახ. წ. დასაწყისში ყველაზე უფრო გავრცელებულ სამეურნეო-კულტურულ ტიპად იქცა გ უ თ ნ უ რ ი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შერწყმული მეცხოველეობასა და ხელოსნური წარმოებასთან. ამასთანავე, გუთნური მიწათმოქმედების სამეურნეო-კულტურული ტიპი აერთიანებდა მრავალ სახეობასა და ქვეტიპს, რომლებმაც ჩვენს დრომდეც მოაღწიეს. ეს სხვადასხვაობა განპირობებული იყო მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის განსხვავებული სამეურნეო განვითარების დონით.

ასევე უძველესი დროიდანვე იყო აქ ცნობილი გუთნური, ნაწილობრივ თოხნიანი მიწათმოქმედების ს ა რ წ ყ ა ვ ი ფ ო რ მ ა. გავრცელებული იყო და დღემდეა შემორჩენილი საირიგაციო საშუალებები წყალმწყობრბლების სახით. ისინი მოძრაობენ გამწევი ძალით ან ხელით. აქ უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი გუთანი. კერძოდ, ტრადიციული იყო ლა არის მსუბუქი რკინის სახნისიანი ხის გუთანი, რომელშიც გამწევი ძალაა კაცი ან ზებუ. მოხნულ მიწას ამუშავებენ ფარცხით, ხოლო ასწორებენ საორეველა მორით. როგორც უძველეს დროს ამჟამადაც თესენ ხელით. ბალის ნამგლებით ან თავთავების კრეფენ ხელით, ლეწავენ ჯაჭვებით ან ძრებზე ცხოველების გატარებით (დღეს, ზოგან საავტომობილი გზებზე პირდაპირ ყრიან ძრებს და ისინი ილეწება მათზე გამავალი ავტომობილების გადაკვლით). მარცვალს ამჟამადაც ისევე როგორც უძველეს დროს. ხელსაფქვავებით ფქვავენ ან ქვასანაყში ნაყავენ.

ინდოეთის მოსახლეობის იმ ნაწილში, სადაც გუთნური მიწათმოქმედება იყო გავრცელებული, განვითარებას მიაღწია შ ი ნ ა უ რ მ ა ს ა (((

ვითარებულმა კლასობრივმა ურთიერთობამ მხოლოდ იმ დროს დაიწყო აქაურ არიელებში აღმოცენება, როდესაც ისინი მიწათმოქმედებაზე და ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ. უნდა ითქვას, რომ აქ ეს პროცესები ამჟამადაც დიდი მასშტაბით მიმდინარეობს.

მესამე სამეურნეო-კულტურული ტიპი, რომელმაც ფართო გავრცელება მოიპოვა აქ წარსულში, იყო თ ო ხ ნ ი თ ი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე - დ ე ბ ა. მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. აქ, ამ ტიპში ორი ძირითადი სახესხვაობა გამოიყოფა: თოხნითი მიწათმოქმედება საახოე სახით. ის ტომები, რომლებიც ამ უკანასკნელ ტიპს — გადამწვარი ტყის ნაკვეთებზე მეურნეობას მისდევდა, დღემდე პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ცხოვრობს.

რაც შეეხება საირიგაციო ფორმის თოხნით მიწათმოქმედებას, მის ერთ თავისებურებას ისიც შეადგენდა, რომ ხშირად იგი ტ ე რ ა ს უ ლ ი ძირდვრების დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. ხშირად თოხნითი მიწათმოქმედება ერწყმოდა სარწყავ მიწათმოქმედებას, ხოლო საახოე ფორმა დღესაც ფართოდაა გავრცელებული მთებსა და ტყეებში. მეურნეობის ეს სახეობები დაკავშირებული იყო ბრინჯის, მარცვლეულის, პარკოსნებისა და ბოსტნეულის, ხოლო ბოლო ხანებში ტექნიკური კულტურების — ტუნგო, ჩაი და სხვ. — მოყვანასთან.

უნალექო, მშრალი სეზონის დასაწყისში ხდებოდა ტყეების გაწმენდა დასამუშავებელი მინდვრების მოსამზადებლად, რაც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სწორედ საახოე მიწათმოქმედების პირველად სამუშაოს. გამხმარ ხეებსა და ბუჩქებს გადაწვავდნენ და ამ გზით მინერალურ სასუქს — ნაცარს ღებულობდნენ. ამ დროს, ხეებთან ერთად, ცხადია, გადაიწვებოდა სარეველა მცენარეებიც. ასე მომზადებულ მინდვრებზე უმთავრესად თესავდნენ ბრინჯს, ფეტვს, ხოლო მოგვიანებით სიმინდს, ზეთოვან კულტურებს და სხვ. საუკუნეების და, შეიძლება ითქვას, ათასწლეულების განმავლობაში აქ საახოე მიწათმოქმედების ფართოდ გავრცელებამ, დასამუშავებელი მინდვრების ამ გზით იოლად მოპოვებამ გამოიწვია სამხრეთ აზიის უზარმაზარი ტყის მასივებისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიტოვებულ მინდვრებში კვლავ სწრაფად ხდებოდა მათი აღდგენა ჯუნგლებისა და აქაურობისათვის დამახასიათებელი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების წყალობით.

საუკუნეთა განმავლობაში მოსახლეობის ზრდა, საახოე მიწათმოქმედების ტრადიციების დიდი სიმტკიცე მაინც იწვევდა ტყის გაჩანაგებას, ამიტომაც კანონით აიკრძალა ქვეყნის მრავალ მხარეში ტყის გაჩეხვა და ამ გზით დასამუშავებელი მინდვრების შექმნა. ამან მოსახლეობის ნაწილის ცხოვრებაში საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია. მათ არსებობის ახალ საშუალებათა ძიება მოუხდათ. ერთ-ერთი მათგანი იყო გუთნურ მიწათმოქ-

მედებაზე გადასვლა, რაც ყველასათვის არ აღმოჩნდა ყოველთვის ხელსაყ-
რელი — ბევრი მოჯამაგირედ წავიდა ან სეზონურ მუშად დადგა.

ამ ძირითადი სამეურნეო-კულტურული ტიპების გარდა, უნდა აღინიშ-
ნოს ინდოეთის მოსახლეობაში გავრცელებული კიდევ ორი შუალედური, ან
არაძირითადი ტიპის — მიმოვისებლური მეურნეობის და გადარეკვითი ძესა-
ქონლეობის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ინდოელებისა და მათი ძეზობლების მეურნეობაში
დიდი ხნის განმავლობაში გარკვეულ მნიშვნელობას ინარჩუნებდა მათთვის
იმთავითვე ტრადიციული მ ი მ ო ვ ი ს ე ბ ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე -
ო ბ ა: ნადირობა, მეთევზეობა, ხილის, კენკრის და სხვ. შემგროვებლობა
გარკვეულწილად იგი აქ დღესაც გავრცელებულია. მაგალითად, ქასებში
ბოლო დრომდე მიღებული იყო მშვილდ-ისრით ნადირობა. ეს იარაღი, ასევე
შუბი და სხვა ამჟამადაც გავრცელებულია ჯუნგლებში მცხოვრებ ზოგიერთ
ისეთ ტომში, რომელიც თოხნით მიწათმოქმედებას მისდევს. შემგროვებლობამ
აქ თავისებური ფორმები მიიღო; კერძოდ, ისინი შემსყიდველებზე ყოლიან
შეგროვების გზით მოპოვებულ კაუჩუკს, ქაფურს, ფისისებურ მცენარეების და
ძვირფასი ხის მასალას. თუმცა ყველაფერი ეს ინდუსტრიალიზაციაზე ქვევ-
ნის გადასვლის გამო, სულ უფრო და უფრო საწარმოო ხასიათს ღებულობს.

თავისებურ სამეურნეო-კულტურულ ტიპად ჩამოყალიბდა ნილგირიის
მთიელ ტოდას ხალხებში სათემო გ ა დ ა რ ე კ ვ ი თ ი მ ე ს ა -
ქ ო ნ ლ ე ო ბ ა. პირველ რიგში, იგი გულისხმობს სათემო საკუთრებაში
არსებული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებას და მასთან დაკავში-
რებული სარძეო მეურნეობის წარმოებას. თვითონ ტომები ბინადარ ცხოვრე-
ბას ეწევიან, მაგრამ მათ მწყემსებს ნახირი სეზონურ საძოვრებზე გადაყავთ
მცენარეულ პროდუქტებს და სხვა საჭირო საქონელს ისინი ძეზობლებისაგან
იღებენ მათ მიერ მოწეული სამეურნეო პროდუქტების გაცვლის გზით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთს მსოფლიოში პირველი ადგილი
უკავია მ ს ხ ვ ი ლ ფ ე ხ ა რ ქ ო ს ა ნ ი ს ა ქ ო ნ ლ ი ს რა-
ოდენობით. როგორც ჩანს, ეს ყოველთვის ასე იყო, რადგან საქონელი აქ
წმინდა ცხოველად ითვლება და მისი დაკვლა, ტრადიციულად არ შეიძლე-
ბა. ამის გამოა, რომ ინდოეთში მრავლადაა არაპროდუქტიული მსხვილფეხა
რქოსანი საქონელი. ეს კი თანამედროვე სოფლის მეურნეობას გარკვეულ
სიძნელეებს უქმნის. ჰიმალაის მთისძირა ზოლში ამრავლებენ თხებს და
ცხვრებს, სატრანსპორტო გამწევ ძალად იყენებენ სპილოებს, სახელრებს,
აქლემებს — გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების შესაბამისად. ჰყავთ მცი-
რე რაოდენობით ცხენებიც.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ინდოეთის მოსახლეობის ერთი ნაწილის
შესახებაც, რომელიც თავისებური სახის სამეურნეო ტიპს მიეკუთვნება.
ესენია მოსახლეობის წვრილ-წვრილი ჯგუფები, რომლებიც მიყრუებულ-

იზოლირებული ტყეების ზონაში ცხოვრობენ და თავს შ ე მ გ რ ო ვ ე ბ ლ ო ბ ი თ ირჩენენ. მათ მიეკუთვნებიან: მოხეტიალე მონადირეები, მეთევზეები და შემგროვებლები — ანდამანადელები, ვედები და ჩენჩუს ნაწილი. მთელი წლის განმავლობაში ყოველდღე ისინი დახეტიალობენ ტროპიკული ტყეების გარკვეულ რაიონებში მშვილდ-ისრითა და შუბებით შეიარაღებულნი არსებობის საშუალებათა მოსაპოვებლად. სწორედ მათ გამოა, რომ ინდოეთს დედამიწის ერთ-ერთი უღატაკესი ქვეყნის იმიჯი აქვს შექმნილი. ისინი აგროვებენ ყველაფერს ზღვის კუზე, მოიპოვებენ გარეული ფუტკრის თაფლს. ლიოონის ცხლად დამუშავება მათთვის უცნობია და იარაღსაც ნეოლითური ხერხებით ცივად დამუშავების გზით ამზადებენ. ცხადია, ისინი ბიმოვისებლური ტიპის შემგროვებლური მეურნეობის ქვეტიპს უნდა მივაკუთვნოთ.

3. ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი, ს ა კ ვ ე ბ ი, ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი. ინდოეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლებშია დასახლებული. დასახლებათა დაგეგმარება და საცხოვრებელი სახლების ტიპები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მდინარეების — ინდისა და განგის დაბლობში ჭარბობს ქუჩური დასახლებები, როდესაც ქუჩის ორივე მხარეს რამდენიმე ათეული საცხოვრებელი სახლია განლაგებული. უმეტესად ესენი ბანიანი სახლებია თიხატკეპნილი იატაკით. ქვეყნის ჩრდილოეთით გავრცელებულია მცირე ზომის აგურის ერთი, ან ოროთახიანი სახლები აივნებით. სამხრეთში ძირითადი სააშენებლო მასალაა ქვა და ხე. ჰიმალაის მთისძირა ადგილებში აშენებენ ბოძებზე ან მაღალ საძირკველზე შემდგარ სახლებს. ხშირად სახლები კეთილმოუწყობელია და მაოში მოსახლეობის ყველაზე დაბალი, ღარიბი „მიუკარებელთა კასტის“ წევრები ცხოვრობენ.

განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ქონებრივი უთანასწორობა სახლების სიდიდეში, სამშენებლო მასალაში, სამეურნეო ნაგებობების ზომებში, რაოდენობასა და საცხოვრებლების როგორც შიდა, ისე გარე მორთულობაში. გლეხის საოჯახი ინვენტარს შეადგენს ჭილოფით დაფარული დაბალი ტახტი — მასზეევე სხედან და იძინებენ. ავეჯი შედგება ჯორკოებისა და მაგიდებისაგან, რომლებიც დამზადებულია დამუშავებული ხისაგან.

დიდად განსხვავებულია ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებელი. აქ ეროვნულ ინტერიერს ერწყმის ევროპული ნვითები. ამჟამად ინდოეთის ქალაქების ცენტრალურ ნაწილებში იგება თანამედროვე მრავალსართულიანი სახლები მაღაზიებით, ბანკებით, დაწესებულებებით. თუმცა ქალაქების გარეუბნები ჯერაც შედგება ჭუჭყიანი, დაგრეხილი პატარა ქუჩებისაგან, რომლებზეც განლაგებულია ღარიბთა სახლები და ქოხმახები. მათ შორის ბევრია უსახლკარო. დიდია სოციალური დიფერენციაცია ინდოეთის სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას შორის.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად ქვეყნის მოლიანობაში ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისა, დროებით მომთაბარე დასახლებებად ცხოვრობს სეზონური საძოვრების და წყაროს წყლის სიახლოვეს.

ინდოელთა საოჯახო ჭურჭელი ლითონის, თიხისა და ხისაა. ქალაქებში იგი მინის, ფაიფურის და კერამიკისაა. სოფლებში იყენებენ გამხმარი გოგრისა და ბამბუკისაგან დამზადებულ ჭურჭელს. აქ თეფშის მაგივრობას ფოთლები სწევს, საჭმელს ხელით შეექცევიან.

აქაური მოსახლეობის უმეტესობის ს ა ჭ მ ე ლ ი ა რძისა და ძეხვეულები საკვები. ჭამენ ბევრ ბოსტნეულს და ხილს, ხოლო ზღვებისა და მდინარეების სანაპიროებზე მოსახლენი — თევზს; ხორცს, განსაკუთრებით ძროხისას, ინდუისტები საჭმელად არ იყენებენ, ხოლო ღორის ხორცს მუსულმანები არ შეექცევიან.

დიდი ორიგინალურობით, ფერადოვნებით და მრავალსახეობით გამოირჩევა აქაური მოსახლეობის ტრადიციული ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი. იგი რამდენიმე ტიპად იყოფა. ამაოგან ძირითადია ორი ტიპი: შეუკერავი და შეკერილი ტანსაცმელი.

მამაკაცთა შეკერილი ტანსაცმლის ძირითადი ელემენტია დ ჰ ო ტ ი — გრძელი ან მოკლე თეძოსაკრავი; შეკერილი ტანსაცმელი შედგება შარვლის, პერანგისა და ქურთუკისაგანა. თავზე მამაკაცები იხურავენ ქუდს, ან იმის მიხედვით, თუ რომელ ტომს ეკუთვნიან — ტიურბანებს (ბენგალიელები და პენჯაბელები). ინდუსიტებს ტრადიციული რიტუალით ეკრძალებათ ტყავის ფეხსაცმლის ტარება, ამიტომაც სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამჟამადაც ფეხშიშველი დადის. გავრცელებულია ქსოვილისაგან შეკერილი ფეხსაცმელი.

ქალის შეუკერავ ტანსაცმელს ს ა რ ი წარმოადგენს. იგი შედგება ქსოვილის გრძელი ნაჭრისაგან, რომელსაც წელისა და ფეხების ირგვლივ შემოიხვევენ. სარის ერთი ბოლო მხარზეა გადაგდებული და შეიძლება იგი თავზეც იყო მოხვეული. მასთან ერთად ხმარობენ ზედატანს. ზოგიერთი ქალის ტანსაცმელს შეადგენს შეკერილი კაბა, ფართო ქვედატანი და შარვალი. ასეთი ტანსაცმელი განსაკუთრებით მომთაბარე ქალებშია გავრცელებული. ტრადიციულად ინდოეთის ყველა ქალი დიდი რაოდენობით იყენებს სამკაულს — სამაჯურებს, ხელებსა და ფეხებზე, ყელსაბამებს, საყურეებს, ცხვირში გაყრილ სამკაულს, ბეჭდებს ხელსა და ფეხის თითებზე.

ვედები ადრე ხის ქერქისაგან დამზადებულ წინსაფრებს ატარებდნენ, რომლებიც ბოლო ხანებში ქსოვილის, ძირითადად, ბამბის ნაჭრებმა შეცვალა. რაც შეეხება ანდამანელებს, ისინი დადიოდნენ ან თეძოსაკრავით, ბალახისაგან დამზადებული ქვედა ტანით, ან სრულიად შიშვლები.

4. ო ჯ ა ხ ი დ ა ს ა ყ ო ფ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი. ინდურ ოჯახსა და საყოფაცხოვრებო ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენს ის, თუ რა დონეზე დგას და რომელ რელიგიას — ინდუისტურს,

მუსულმანურს თუ რომელიმე სხვას აღიარებს ეს ჯგუფი. ცხადია, ერთ-ერთი განმსაზღვრელია სოციალურ-ეკონომიკური დონეც. ძველად გავრცელებული იყო დიდი, პატრიარქალური ოჯახები, თუმცა ამჟამად ჭარბობს პატარა ოჯახები. მუსულმაური ოჯახები შარიათის წესით ცხოვრობენ, რაც მათში პოლიგამიის დაშვებას იწვევს, მაგრამ მრავალცოლიანობა გავრცელებულია მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ ფენებში — ვაჭრებში, მევახშეებში, წვრილ მწარმოებლებში.

საქორწინო ცერემონიალს წინ უძღვის გარიგება საქმროსა და საცოლის მშობლებს შორის. ადრე, 2-4 წლის ასაკში დანიშნა, ხოლო შეულლება 6-8 წლის ასაკში ხდებოდა. ამჟამად ეს კანონით აკრძალულია. აკრძალულია, აგრეთვე ქერეის გათხოვება იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ადრეულ ასაკში გარდაიცვლება.

საქორწინო ცერემონიალის კულმინაცია არის ის, როდესაც საქმრო საცოლეს ყელზე ჰკიდებს განსაკუთრებულ მედალიონის — ტალის. საცოლის გამოსასყიდის გაღახლის წესი დღემდე მყარადაა ფეხმოკიდებული მუსლიმანთა საქორწინო რიტუალებში.

ამჟამად ჭარბობს წყვილადი ოჯახები და მონოგამიაზე გარდამავალი ოჯახის ფორმები. ოჯახებში, იმის მიხედვით, თუ რომელ ტომთან გვაქვს საქმე, ჯერ კიდევ ძლიერია მატრილოკალური ნიშნები. ქასებთან ახალგაზრდა ქმარი უნდა ჩასახლდეს ცოლის სახლში, ბავშვებიც სახელს დედის ხაზით ატარებენ. მრავალქმრიანობა, საძმო და არანათესაური პოლიანდრიის სახით, ერთ დროს გავრცელებული იყო ტოდას ხალხში. შედარებით ჩამორჩენილ ხალხებში — ანდამებსა, ვედებსა და ზოგიერთ სხვაში, გავრცელებულია არამყარი წყვილადი ოჯახები.

საზოგადოებრივი წყობის ერთ-ერთი თავისებურებაა კ ა ს ტ უ რ ი სისტემა. თავისი წარმოშობით მათი შედგენილობა ძალზე რთულია. ისინი წარმოშობილია უძველეს საზოგადოებაში შრომის დანაწილების განვითარების შედეგად. კასტების ერთი ნაწილი ეთნიკური წარმომავლობისაა, ნაწილი კი პროფესიონალურია. კასტები აღიარა აქ გავრცელებულმა რელიგიებმაც და ამიტომ ამ სისტემამ საუკუნეები გამოიარა. უძველეს დროს არსებობდა ოთხი კლასიკური კასტა: ბრაჰმანები — ქურუმები, ქშატრიები — მეომრები, ვაიშიები — მიწათმოქმედნი და შუდრები — მსახურები. კასტები ენდოგამიურია. ამჟამად არსებობს ყოველგვარი კასტის გარეთ მდგარი მოსახლეობის ნაწილი — მიუკარებლები, რომლებიც სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე დგანან. მათ ეკრძალებათ დასახლდნენ მაღალი კასტის ხალხთან ერთად, გამოიყენონ მათი ნივთები, ამოიღონ წყალი მათი ჭიდან. ისინი ასრულებენ ყველაზე მძიმე, ჭუჭყიან და დაბალ ანაზღაურებად სამუშაოს. ამჟამად ქვეყნის კონსტიტუციით კასტური სეგრეგაცია აკრძალულია, მაგრამ სინამდვილეში კასტური სისტემა აქ მაინც ძალიან ძლიერია. მისგან თავის დაღწევის საშუალებაა ისლამის მიღება.

5. ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. ინდოეთში გავრცელებულია სხვადასხვა რელიგიური რწმენა-წარმოდგენა. მათ შორის განსაკუთრებით ბევრი მიმდევარი ჰყავს ინდუიზმს, ისლამსა და ბუდიზმს. მოსახლეობის ნაწილი აღიარებს ჯაინიზმს, სიქჰიზმს და ქრისტიანობას. აქ გვხვდებიან მაზდეანებიც, ძირითადად ფარსებში.

ინდოეთი არის ბუდიზმის სამშობლო. იგი აღმოცენდა ქვეყნის ჩრდილოეთში დაახლოებით ძვ. წ. VI-V საუკუნეებში, როგორც საწინააღმდეგო რეაქცია ბრაჰმანიზმზე — მკაცრ, ფართოდ განშტოებულ კასტურ სისტემაზე. ბუდიზმი ადამიანთა შორის თანაბარუფლებიანობას აღიარებს. ადგრამ ქადაგების პასიურ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, მორჩილებას უსამართლობისადმი. ინდოეთში რამდენიმე მილიონი ბუდისტი ცხოვრობს. ძალიან მსგავსია ჯაინიზმი, რომელიც დამატებით ადამიანს თვითსრულყოფილებისაკენ მოუწოდებს. სიქჰების რელიგია ჩამოყალიბდა გვიან შუა საუკუნეებში (XVI-XVII სს.) ინდუიზმის, ისლამის და სხვა რელიგიების ელემენტების შეერწყმით. იგი აღიარებს ერთ ღმერთს, არ ცნობს კასტებს, მონაზვნობას და ღმერთის გამოსახვას. ჩვენს დროში ინდოეთში ყველაზე დიდ პატივს სცემენ ვიშნუს და შივას ღვთაებებს.

ხალხში ამჟამადაც ფართოდ არის გავრცელებული მაჰაბჰარატა, რამაიანა და სხვა უძველესი ეპიკური ნაწარმოებები; საყოველთოდ ცნობილია აგრის არქიტექტურული კომპლექსები და მათ შორის თაჯმაჰალის მავზოლეუმი; ულამაზესია გენარესის ტაძრები და აჯანტის გამოქვაბულ ტაძრთა კედლის მოხატულობა.

ქვეყნის ფარგლებს ფართოდ გასცდა ადგილობრივი ხალხური მელოდიების მიღწევები, იოგების მოძღვრება და სხვ.

§ 3. ციმბირის ხალხები

ზ ო გ ა დ ი ც ნ ო ბ ე ბ ი. ციმბირი, რომელსაც 12.5 მლნ კმ² ფართობი უკავია, ეთნოგრაფიულად ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ისტორიულ-კულტურული ოლქია. ამ ოლქის მკვიდრ მოსახლეობას დიდი ხნის განმავლობაში შემონახული ჰქონდა ყოფისა და კულტურის რიგი არქაული, თვითმყოფადი ფორმებისა. ამ ვეებერთელა ოლქში სამეურნეო-კულტურული თავისებურებებით გამოყოფენ ისეთ რეგიონებს, რომლებიც ისტორიულად გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონებს ემთხვევა (სამხრეთ ციმბირის ტყესტეპები, დასავლეთ ციმბირის ტაიგისა და ტუნდრის ზონები, ალტაი-საიანი, შუა ციმბირი, ამურისა და ზღვისპირეთის მხარე და უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონი).

ციმბირის უზარმაზარ ტერიტორიაზე მოსული, პირველ რიგში რუსული მოსახლეობის გარდა, ცხოვრობს მრავალი მკვიდრი ეროვნება და ეთნოგრა-

ფიული ჯგუფი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის რევოლუციამდე პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ან კლასობრივ საზოგადოებაში გარდამავალ საფეხურზე იმყოფებოდა.

ციმბირის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (90%) ამჟამად რუსები შეადგენენ. ციმბირის ტერიტორიაზე რუსები პირველად XVI საუკუნის ბოლოს ჩნდებიან, როცა რუსმა პირველმოსახლეებმა ჯერ დასავლეთ ციმბირში შექმნეს პირველი რუსული დასახლებანი, ხოლო შემდეგ თანდათანობით აითვისეს მთელი ციმბირი. XVI საუკუნის ბოლოდანვეა ცნობილი პირველი რუსული ქალაქები ციმბირში (ტიუმენი — 1586 წ, ტობოლსკი — 1587 წ. და სხვ.). XVII საუკუნის ბოლოს ციმბირის რუსი მოსახლეობა შეადგენდა სულ ცოტა 150 ათას კაცს (დაახლოებით იმდენივე იყო მკვიდრი მოსახლეობაც). მაგრამ მიმდინარეობდა რუსი გლეხების მასობრივი გადასახლების პროცესი ციმბირში, მკვეთრად გაიზარდა რუსული მოსახლეობის რაოდენობა და ხვედრითი წილი.

ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები. ციმბირის თანამედროვე მკვიდრ მოსახლეობაში 30-მდე სხვადასხვა ეთნიკურ ეროვნულს ითვლიან. ამთგან რიცხობრივად 1979 წლის აღწერით ყველაზე მსხვილი ეთნოსები არიან: ბურიატები (353 ათასი კაცი), იაკუტები (328 ათასი კაცი), ტუველები (166 ათასი კაცი), ხაკასები (71 ათასი კაცი), ალტაელები (60 ათასი კაცი). ასეთ, შედარებით მსხვილ ეთნოსებთან ერთად ციმბირის მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიან ისეთი მცირე ხალხებიც, რომელთაგან თითოეული სულ რამდენიმე ასი ან რამდენიმე ათასი კაცისაგან შედგება და რომლებსაც ჩრდილოეთის მცირე ხალხების უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ციმბირის მკვიდრი მოსახლეობა რასობრივად მონგოლოიდურ ტიპს ეკუთვნის, ეს მოსახლეობა მთლიანად მაინც არ არის ერთგვაროვანი, მონგოლოიდური ნიშანი უფრო მკაფიოდაა წარმოდგენილი აღმოსავლეთ ციმბირში, ხოლო ენისეიდან დასავლეთით იგი თანდათან სუსტდება; აქ უკვე ჭარბობს ურალური ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც ნარევი მონგოლოიდურ-ევროპოიდული ნიშნებით ხასიათდება.

ციმბირის ხალხთა უმრავლესობა ლაპარაკობს თურქულ, მონგოლურსა და ტუნგუსურ-მანჯურიულ ენათა ოჯახების ენებზე. თურქულ ენებზე ლაპარაკობენ ალთაი-საიანის ხალხები — ალთაელები, ტუველები, ხაკასები, შორიები, ჩულიმელები, ყარაგასები, ანუ ტოფალარები, დასავლეთ ციმბირის თათრები, ჩრდილოეთის იაკუტები და დოლგანები.

მონგოლურ ენათა ოჯახის ენებზე ლაპარაკობენ მარტო ბურიატები. ტუნგუსურ-მანჯურიულ ენებზე ლაპარაკობენ აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხები — ევენკები (ტუნგუსები), ლამუტები (ევენები) და ქვემო ამურის მცირე ხალხები: ნანაელები (გოლდები), ულჩე-

ბი, ორიოჩები, უდეგეები, ორიოკები; ურალის ენათა ოჯახის ენებზე ლაპარაკობენ დასავლეთ ციმბირის ხალხები — ხანტები და მანსები; სამოიედურზე — ნენცები (სამოედები), ენცები, ნგანასანები, სელკუპები და სხვ. ე.წ. პალეოაზიურ ენებზე ლაპარაკობენ ჩრდილო აღმოსავლეთ ციმბირის პატარა-პატარა ხალხები — იტელმენები, ანუ კამჩადალები, ჩუქჩები, კორიაკები, იუკაგირები, ნივხები (გალიაკები). ხალხთა ამავე ჯგუფს მიაკუთვნებდნენ ძველად შუა და ქვემო ენისეის კეტებს, მაგრამ ენობრივად მათ უფრო ტიბეტურ-ბირმულ ენათა ჯგუფს უახლოვდებენ. ადრე პირობითად პალეოაზიური ენების მიაკუთვნებდნენ აგრეთვე ჩუკოტკასა და ვრანგელის კუნძულზე მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხების — ესკიმოსებისა და ალეუტების ენებს. მაგრამ შემდეგში გაირკვა, რომ ეს ენები დამოუკიდებელნი იყვნენ.

ციმბირის ტერიტორიაზე ა დ ა მ ი ა ნ ი ს დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ს უ ძ ვ ე ლ ე ს ი კ ვ ა ლ ი ზედა პალეოლითის ხანის უკანასკნელ ეტაპზე ზედა პალეოლითური სადგომების უმრავლესობა მიკვლეულია საშრეებში. მდინარე ობის საოავეებში, ზემო ენისეისა და ბაიკალის ტბის აუზში. ამათ შორის ყველაზე უფრო ადრინდელი სადგომები — მალტა და ბურეტი ორინიაკ-სოლუტრეს ხანითაა დათარიღებული. ამ სადგომების მსახლეობის კულტურისათვის დამახასიათებელი ყოფილა მამონტზე და ჩრდილოეთის ირემზე ნადირობა, დიდი მიწური საცხოვრებელი, ბეწვეულის დამშუშული ტანსაცმელი და ძვლის ქანდაკებები (ქალის, მამონტისა და სხვა გაქოსახულებით). მადლენით (მადლენი — ზედა პალეოლითის ბოლო საფეხური) დათარიღებული აფონტოვის სადგომში ნაპოვნი განათხარი ადამიანის შუბლის ძვლის ფრაგმენტების შესწავლის საფუძველზე სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ იმ შორეულ ხანაში ციმბირში მონღოლოიდური მოსახლეობა უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ციმბირის მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკურ წ ა რ მ ო ძ ა ვ ლ ო ბ ა ზ ე მეცნიერებაში ორი განსხვავებული აზრი არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილის ვარაუდით, ციმბირის თავდაპირველი მოსახლეობა მოსული უნდა იყოს ევროპიდან, მეორე ნაწილის მიხედვით კი ცენტრალური აზიიდან. სპეციალურ ლიტერატურაში მეორე შეხედულება უფრო საფუძვლიანადაა მიჩნეული. მართლაც, ციმბირის მოსახლეობის მონღოლოიდური ტიპის ფორმირება უშუალოდაა დაკავშირებული აზიასთან. ისევე როგორც ციმბირის პალეოლითური კულტურა — მონღოლეთთან. ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ციმბირის თავდაპირველი დასახლება ცენტრალური აზიის ოლქებიდან უნდა დაწყებულიყო. არსებული ვარაუდით, უძველესი მონღოლოიდები თავდაპირველად აღმოსავლეთ ციმბირში, ბაიკალისპირეთსა და ალთაიში დასახლდნენ, საიდანაც თანდათანობით დასავლეთით მიიწევდნენ. ამით ხსნიან იმას, რომ დასავლეთ ციმბირის პალეოლითური სადგომები უფრო გვიანდელია, ვიდრე აღმოსავლეთის.

ნ ე ო ლ ი თ ი ს ხ ა ნ ა შ ი კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ციმბირის უკიდეგანო ტერიტორიის ათვისება სამხრეთიდან მოყოლებული ყინულოვან ოკეანემდე. ამ პერიოდში ციმბირის ცალკეული ოლქების მიხედვით, უკვე შესამჩნევი ხდება განსხვავება მოსახლეობის მეურნეობასა და კულტურაში. არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ დასავლეთ ციმბირში ობის ნეოლითური კულტურის მატარებელი ტომები მისდევდნენ მეთევზეობას მდინარეთა სანაპიროებზე, ხოლო ტაიგაში — ნადირობას (თანაც. ზამთარში თხილამურებით).

აღმოსავლეთ ციმბირის ნეოლითური კულტურის შემოქმედებად მიჩნეული არიან ის მონადირე ტომები, რომლებიც მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ და ტაიგაში ადგილმონაცვლეობის დროს სპეციალურ თხილამურებსა და მარხილებს იყენებდნენ. მათგან განსხვავებით, ქვემო ამურისა და ზღვისპირეთის ნეოლითური კულტურის მქონე ტომები მყარ, ბინდარ ცხოვრებას ეწეოდნენ და მეთევზეობას მისდევდნენ. ამავე დროს, ციმბირის ეს ნეოლითური კულტურები გარკვეულ კონტაქტებს ამყარებდნენ როგორც ერომანეთთან, ისე გარე სამყაროსთან. იმასაც ვარაუდობენ, რომ ამ ეპოქაში აღმოსავლეთ ციმბირში ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. პალეოაზიური მოსახლეობა (მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ ნივხების წინაპრები, ძველისძველი იუკაგირები და სხვ.). ბერინგის ზღვის სანაპიროზე უძველესი დროიდანვე ვარაუდობენ ესკიმოსების განსახლებას.

სულ სხვანაირად მიმდინარეობდა კულტურულ-ეთნიკური პროცესები სამხრეთ ციმბირში. ძვ. წ. III-II ათასწლეულებში მინუსის მხარესა და ალთაიში გავრცელებული ჩანს აფანასიევის კულტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ლითონის (სპილენძის) წარმოება და მესაქონლეობა. ანთროპოლოგიურად ამ კულტურის მატარებელ მოსახლეობას ევროპოიდულ ტიპს მიაკუთვნებენ.

ძვ. წ. 1500-1200 წლებში ვოლგიდან მინუსის მხარემდე ფართოდ გავრცელებული ანდრონოვის კულტურისათვის დამახასიათებელი იყო განვითარებული ბრინჯაოს იარაღები, ბინადარი მესაქონლეობა და მიწათმოქმედება.

ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე სამხრეთ ციმბირის სტეპებში დაწინაურებულია ნომადური მესაქონლეობა, რასაც ყარასუკსის კულტურას (ძვ. წ. 1200-800 წწ.) უკავშირებენ. ახალი წარმატებები მოუპოვებია ამ ხანებში აქაურ მოსახლეობას ბრინჯაოს ჩამოსხმის ტექნიკაში. ეს კულტურა გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ალთაიში, ჩრდილო ენისეის აუზში, ობის ზემო დინების რაიონში. იმავე ხანებში გაძლიერებულა სააღებმიმცემო კონტაქტები სტეპებსა და ტაიგის ტომებს შორის ციმბირში.

ძვ. წ. I ათასწლეულში ზემო და შუა ენისეის აუზში დაწინაურებულა თაგარის კულტურა (ძვ. წ. VII-II სს.); მინუსის ტაფობში დაუწყიათ სარწყავი მიწათმოქმედება. ბრინჯაოს ხანის და ადრე რკინის ხანის

სამხრეთ ციმბირის ამ მოსახლეობას ეთნიკურად უკვე აღარ უკავშირებენ პალეოაზიელებს.

ვარაუდობენ, რომ ციმბირის მოსახლეობის სამხრეთის ჯგუფები ძველ ლაპარაკობდნენ ძველ ინდოევროპულ ენებზე, დასავლეთისა — უგორიულზე, ხოლო აღმოსავლეთის ჯგუფები — ალთაურზე. საკუთრივ ძველ ალთაურ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ეთნოგენეზსაც უკავშირებენ ყარასუქის კულტურის მატარებელ ნახევრად ნომადურ მოსახლეობას, რომელთა ფართო მასები თურქული თუ მონღოლურენოვანი ჰუნების ბატონობის ხანაში ალთაიზე, ზემო ენისეიზე და ბაიკალისპირეთში გადასულან.

თურქი ტომების მნიშვნელოვან მიგრაციებზე სამხრეთ ციმბირში წერილობითი წყაროებიც მიუთითებს. ასეთი მიგრაციების შედეგად VI-V საუკუნეებში ძველი თურქები უკვე ფართოდ ჩანან განსახლებული ობის სათავეებში, ენისეიზე და ბაიკალისპირეთში. იმავე ხანებში ბაიკალისპირეთში ცხოვრობდნენ დამწერლობის მქონე თურქულენოვან კურიკანთა ტომები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ ბურიატებისა და იაკუტების ეთნოგენეზში.

ციმბირის ხალხებიდან მარტო ბურიატები ლაპარაკობენ მონღოლურ ენაზე. თუმცა ამ ხალხის ფორმირება XVII-XVIII საუკუნეების ეკუთვნის. მაინც ვარაუდობენ, რომ ისინი ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში ლაპარაკობენ ცენტრალური აზიის სტეპებიდან ბაიკალში გადმოსახლებული მონღოლურენოვანი ტომების ენაზე. იმავე დროს, დასავლეთ ბაიკალისპირეთის ბურიატების ლექსიკაში შემონახულია ძალიან ძველი თურქული ელემენტები, რომლებიც ბურიატებს მათ შემადგენლობაში შესული კურიკანებისაგან უნდა მიეღოთ.

ბურიატებთან ახლოს დგანან თურქულენოვანი იაკუტები, რომლებიც წარმოშობით დაკავშირებული არიან ალთაისა და შუა აზიის თურქულენოვან ხალხებთან. იაკუტთა წინაპრები მდინარე ლენის შუა წელის აუზში გადმოსახლდნენ XIII-XIV საუკუნეებში. აქ მოხდა მათი ასიმილაცია ევენკების ცალკეულ ჯგუფებთან; მაგრამ იაკუტების ენაში, მრავალი მონღოლური ელემენტის გარდა, შემონახულია აგრეთვე, ბევრი ტუნგუსური და შესაძლებელია, პალეოაზიური სიტყვები (ნიშანდობლივია, რომ იაკუტები ანთროპოლოგიური ტიპითაც ახლოს დგანან ჩრდილოეთის ბურიატებთან).

არსებული ვარაუდით, პალეოაზიური კომპონენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ტუნგუსურენოვანი ხალხების ეთნოგენეზში. ტუნგუსური ენების ფორმირების თავდაპირველ კერად მიჩნეულია ამურის სათავეების რაიონი. აქედან უნდა იყვნენ განსხვალებული ევენკები ამურის ქვემო წელში, ბაიკალისპირეთში, ენისეიზეც. შემდგომში I ათასწლეულის დასაწყისიდან. ისინი ფართოდ ვრცელდებიან მთელ აღმოსავლეთ ციმბირში და ამ პროცესში მათ პალეოაზიელთა არაერთი ჯგუფი გათქვიფეს თავიანთ შემადგენლობაში.

სამაიგეროდ, პალეოაზიელებისაგან ევენკებმა შეითვისეს მათი კულტურული ტრადიციები; ნიშანდლობლივია, რომ ისინი ანთროპოლოგიურადაც იმავე პალეოაზიელებს უკავშირდებიან.

ციმბირის უგორული და სამოდიური ხალხების თავდაპირველი ფორმირების კერად მიჩნეულია დასავლეთ ციმბირი. უგორულ ენებში შემონახული ირანული და ნაწილობრივ, თურქული ელემენტების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ხანტებისა და მანსების წინაპრებს კონტაქტები უნდა ჰქონოდათ ურალის, ყაზახეთისა და სამხრეთ ციმბირის სტეპების მოსახლეობასთან. სამოდიური ტომების ფორმირების ცენტრი ობის შუა და ზემო დინების ზოლი უნდა ყოფილიყო.

მ ე ურ ნ ე ო ბ ა დ ა ნ ი ვ თ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. ციმბირის ხალხთა მეურნეობა და ნივთიერი კულტურა ბუნებრივ-საწარმოო პირობების შესაბამისად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ტუნდრისა და ტაიგის, სტეპისა და ტყესტეპიან რეგიონებში. მაშინ, როცა ტუნდრა და ტაიგა დასახლებული იყო ენობრივად და კულტურულად, ერთმანეთისაგან განსხვავებული იყვნენ შედარებით უფრო კომპაქტური და მრავალრიცხოვანი თურქული და მონღოლურენოვანი ხალხები. ამასთან, სამხრეთ ციმბირში ძველთაგანვე განვითარებული იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ტაიგისა და ტუნდრის მოსახლეობის მეურნეობა კი ნადირობას, მეთევზეობას და მეირმეობას ეფუძნებოდა.

რუსეთის რევოლუციამდე ციმბირის ხალხებში წარმოდგენილი იყო ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული და ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავებული კ უ ლ ტ უ რ უ ლ - ს ა მ ე უ რ ნ ე ო ტ ი პ ე ბ ი. მათ შორის, პირველ რიგში აღსანიშნავია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობაზე დამყარებული კულტურულ-სამეურნეო ტიპი, რომელიც დამახასიათებელი იყო ბურიატებისათვის, ალთაი-საიანის თურქულენოვანი ხალხებისათვის და იაკუტებისათვის. ბურიატთა ნაწილი კი (აღმოსავლეთის ბურიატები) მისდევდა ნ ო მ ა დ უ რ მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე - ო ბ ა ს: აშენებდნენ ცხენს, ცხვარს, აქლემს. მიწათმოქმედება-მესაქონლეობის მიმდევარ დასავლეთელ ბურიატთა საქონლის ჯოგებში ჭარბობდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ზამთარში საქონელი ნაწილობრივად ბაგურ კვებაზე ჰყავდათ და მომარაგებული თივით კვებავდნენ. XIX საუკუნეში მიწათმოქმედება აღმოსავლეთელ ბურიატებშიც ვრცელდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა მათი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა.

ალთაი-საიანის ზეგანის თურქულენოვან ხალხებს (ალთაელები, ხაკასებიმ ტუველები, შორები და სხვ.) ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ძველად მათი საცხოვრებელი ადგილის — „ალთაის“ მიხედვით „ალთაელებს“ უწოდებდნენ. ეს ხალხები სამხრეთისა და ჩრდილოეთის ჯგუფებად იყოფოდნენ და ერთმანეთისაგან მეურნეობისა და კულტურის ფორმებითაც განსხვავდებოდნენ. სამ-

ხრეთის ალტაელები (თუველები, ხაკასები) ნომადურ და ნახევრად ნომადურ მესაქონლეობას (ცხენი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხვარი) მისდევდნენ. მთელი წლის განმავლობაში საქონელი საძოვარზე ჰყავდათ. ჩრდილოაღმოსავლეთის ტუველებში და საიანის ყარაგასებში (ტოფალარები) გავრცელებული იყო სატრანსპორტო მეირმეობა. ისინი ირმებს წველიდნენ კიდეც. სამხრეთ ალთაიში ნაწილობრივ მარტივ მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ (ძირითადად ქერი). ჩრდილო ალთაის თურქულ მოსახლეობაში მთავარი საქმიანობა იყო ირემზე და ბეწვიან ცხოველებზე ნადირობა.

იაკუტები ჯერ კიდევ ძველად მისდევდნენ მსხვილფეხა საქონლის მოშენებას. ამასთან, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ზამთარში ბაგურ კვებაზე ჰყავდათ, ხოლო ცხენი, სუსხიანი კლიმატის მიუხედავად, ზამთარ-ზაფხულ — ღია ცის ქვეშ; მომთაბარეობდნენ ზამთრის საძოვრებიდან საზაფხულოებამდე. მათ საკვებში მთავარი ადგილი რძის პროდუქტებს ეკავა. ცხენის რძიდან ამზადებდნენ კუმისს, სამხრეთ ციმბირის მესაქონლეებში ძველად გავრცელებული რძის არაყი მაოთვის უცნობი იყო. ტაიგაში ძღინარეებისა და ტბების რაიონებში მოსახლე იაკუტები მისდევდნენ ოვეჭის ჭერას. აგრეთვე, ძვირფასბეწვიან ცხოველებზე ნადირობას; მეზობელი ხალხებისაგან განსხვავებით ისინი მეთუნეობასაც ეწეოდნენ.

ბუნებრივი გარემოსა და მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, ციმბირის ხალხებში სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი იყო გავრცელებული. მესაქონლეობის მიმდევარ ხალხებს ჰქონდათ როგორც მომთაბარული, ისე ნახევარი ტიპის საცხოვრებელი; ბურიატებისა და ალთაელებისათვის დამახასიათებელი იყო მონღოლური ტიპის ქეჩის იურტა, რომელსაც დაბალი კონუსური გადახურვა ჰქონდა; დასავლეთის ბურიატები, ციმბირის თათრები ძელურ სახლებში ცხოვრობდნენ; ალთაელები, ხაკასები, ბურიატები და იაკუტები მრავალსაუკუნოვან იურტებში.

სამხრეთ ციმბირის მოსახლეობის ტრადიციული საძოსელი მონღოლური ტიპის გახსნილი ხალათი იყო. ბურიატებში ასეთი ხალათი მზადდებოდა ქსოვილის ან ბეწვეულისაგან, ხალათს წელზე ქამრით იმაგრებდნენ და მარცხნიდან მარჯვნივ იკრავდნენ. იმავე თარგით იყო შეკერილი ქალის ხალათიც, კალთები და ნაკერები ფერადი ქსოვილის ზოლებით (ქალები) შემკული.

იაკუტები ქალის და მამაკაცის ზედა სამოსელს წარმოადგენდა ცალბორტიანი ქურქი — სონი, რომელიც წინ მთლიანად გახსნილი იყო. ძალ ყოფაში დიდხანს იყო შემონახული ქალის სადღესასწაულო ბეწვეულის გრძელკალთიანი და სახელოებიანი, წელში გამოყვანილი სამოსელი სახგიახი, რომელიც მდიდრულად იყო შემკული ნაქარგებითა და მხატვრული აპლიკაციით. ჩრდილოელი იაკუტები ატარებდნენ ბეწვეულის შეკერილ სა-

მოსელსაც, რომელიც უმთავრესად მეირმეებისათვის იყო დამახასიათებელი. გასულ საუკუნეში მათთან რუსების გავლენით ფართოდ ვრცელდება ქსოვილის საცვლები. სამხრეთ ალთაელ მესაქონლეთა ქალისა და მამაკაცის სამოსლის მთავარი ტიპი იყო გრძელკალთებიანი ტყავკაბა, რომელიც წელზე ქამრით მაგრდებოდა. ქალები ზოგჯერ ასეთ ტყავზე იცვამდნენ თავისებურ სამოსელს („ჩეგედეკ"), რომელიც გრძელი, წელში გამოყვანილი, უსახელო და წინ მთლად გახსნილი თარგით „სანგიახს" ჰგავდა.

სულ სხვა სამურნეო კულტურული ტიპი იყო გავრცელებული ბინადარი მეთევზეობის მიმდევარ ხალხებში, რომლებიც განსახლებული იყვნენ საოევზაო სარეწებით მდიდარ რაიონებში — ზღვის სანაპიროებსა და დიდი მდინარეების აუზებში. არქეოლოგიური მონაცემებით, ამურის აუზში ძველთაგანვე სახლობდა ბინადარი ხალხი, რომელიც მეთევზეობას მისდევდა. ისინი ცხოვრობდნენ მიწურებში და ორნამენტით შემკულ თიხის ჭურჭელს ამზადებდნენ. ამ ხალხის უშუალო შთამომავლებად თვლიან თანამედროვე ნივხებს. ნივხებთან ერთად ნანაელები, ულჩები, კორიაკთა ნაწილი, იტელმენები, სამხრეთის სელკუპები, ხანტები და ობისპირეთის მანსები უძველესი დროიდანვე მისდევდნენ მეთევზეობას და მათი არსებობის მთავარი წყარო თოელი წლის განმავლობაში თევზჭერა იყო. მათ სამეურნეო ყოფაში ნადირობას მცირეოდენი ხვედრითი წონა ჰქონდა; ზამთრობით ცხოვრობდნენ მიწურებში, ზაფხულობით უმთავრესად მსუბუქ საცხოვრებლებში. XIX საუკუნეში ამურის ქვემო წელის ბინადარ მეთევზეებში, ობის ხანტებში, მანსებსა და სელკუპებში ვრცელდება ძელური მიწისზედა თბილი საცხოვრებლები.

აქაური ბინადარი მეთევზეობის მიმდევარ ხალხებში ტრანსპორტის ძირითადი სახეობა იყო მარხილი, ხოლო მისი გამწევი ძალა ცხოველი — ძაღლი. ციმბირში ძ ა ღ ლ ი ს მ ა რ ხ ი ლ ი ს სხვადასხვა ტიპი იყო ცნობილი (განსხვავებული იყო არა მარტო მარხილის ფორმა, არამედ მარხილში ცხოველთა შებმის წესიც). ამურისა და ობის მეთევზეები მისდევდნენ თევზის ტყავის დამუშავებას. თევზის ტყავისაგან კერავდნენ შარვლებსა და ხალათებს, საზამთრო ხალათებს კი ბეწვისაგან ამზადებდნენ. ციმბირის ხალხებიდან მარტო ხანტები, მანსები და ნარიმის სელკუპები მისდევდნენ ფეიქრობას და ქსოვილებს საქსოვ დაზგებზე ქსოვდნენ.

აღმოსავლეთ ციმბირში ტაიგის ტყე-ტუნდრების მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული ტიპისათვის დამახასიათებელი იყო ნ ა დ ი რ ო ბ ა დ ა მ ე ი რ მ ე ო ბ ა. მას მისდევდნენ: ევენკები, ტოფალარები, დოლგანები, ტყის ზონის ნენცები, ჩრდილოეთის სელკუპები, მეირმე კეტები, მათი მეურნეობის წამყვანი დარგი ძველთაგანვე ნადირობა იყო. ამ ხალხებში ნადირობას ორნაირი მიმართულება ჰქონდა: სამომხმარებლო (ნადირის ხორცის მოპოვება) და სასაქონლო (ძვირფასი ბეწვეულის მოპოვება). მის-

დევდნენ აგრეთვე მეირმეობას, რომელსაც უმთავრესად სატრანსპორტო ღანიშნულება ჰქონდა და ნაწილობრივ მეთევზეობას.

ბინადარი მეთევზეებისაგან განსხვავებით, ეს მონადირე ხალხები მოსიარბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი ნივთიერი კულტურა საგზებით შეესაბამებოდა. მათი ფარული კონუსური იურტა ადვილად დასაშლელ-ასაწყობი იყო და ადგილმონაცვლებისას ერთი ადგილიდან მეორეზე ირმებით გადაქონდათ. სანადირონოდ იყენებდნენ არყის ხის ქერქისაგან შეკრულ მსუბუქ ნავს, რომლის გადატანაც ერთ კაცს შეეძლო. ევენკები ზამთარში ტაიგაში სასიარულოდ იყენებდნენ სპეციალური კონსტრუქციის, გრძელსა და ფართო მსუბუქ თხილამურებს, რომლებსაც ქვემოდან ირმის წვივის ტყავი ჰქონდა ამოკრული (ციმბირის ხალხებში ეს სასიარულო თხილამურები საუკეთესოდ ითვლებოდა). ევენკების ძველებური ტანსაცმელი კარგად იყო მორგებული როგორც თხილამურით სიარულთან, ისე ირემზე ჯდომასთან. ეს იყო ირმის ტყავისაგან შეკერილი მსუბუქი, ღია საბოსელი, რომელსაც წინა კალთები ერთმანეთისაგან დაშორებული ჰქონდა. ასეთი საბოსლის ქვეშ ისინი ატარებდნენ მდიდრულად ნაქარგ ტყავისავე წინსაფარს.

ტუნდრის ტიპური მ ე ი რ მ ე ე ბ ი იყვნენ ნენები და ნაწილობრივ ჩუქჩები და კორიაკები. მათთვის მეირმეობა იყო მთავარი საარსებო წყარო (ნადირობასა და მეთევზეობას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა). მეირმეების ირმები მთელი წლის განმავლობაში გადაჰყავდათ საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე, შემოდგომაზე კი — ტყისპირეთისაკენ. ჩუქჩებისა და კორიაკებისაგან განსხვავებით ნენებს ჰყავდათ სამწყემსო ძაღლები, რომლებიც ირმის ჯოგების მგლებისგან იცავდნენ. ტუნდრების მეირმეები წელიწადის ყოველ დროს იყენებდნენ მსუბუქ მარხილებს, ნართებს, რომლებშიც ორიდან ხუთამდე ირემი იყო შებმული. მათი ნივთიერი კულტურაც შეფარდებული იყო მომთაბარე ცხოვრებასთან. საცხოვრებლის ძირითადი ტიპი აქაც ადვილად დასაშლელ-ასაწყობი და გადასატანი კონუსური „ჩუმი" იყო. ტანზე ატარებდნენ ბეწვეულის დახშულ ტანსაცმელს, რომელიც კარგად იცავდა ადამიანს ყინვისა და ქარისაგან. ამ საბოსელის ძირითადი ელემენტი იყო ირმის ტყავისაგან შეკერილი თავზე გადასაცმელი, გრძელსახელოებიანი და კაპიუშონიანი „მალიცა", რომელსაც ბეწვიანი მხარე შიგნით ჰქონდა. ყინვისას „მალიცაზე" ზემოდან იცვამდნენ იმავე მასალისაგან დამზადებულ მეორე სათბურს, რომელსაც ბეწვი გარეთ ჰქონდა, ფეხზე იცვამდნენ მაღალყელიან ბეწვეულისავე ჩექმებს.

მომთაბარე ჩუქჩებისა და კორიაკების ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი იყო „იარანგა", რომლის კარკასი ჩუმისაგან განსხვავებით ორი ნაწილისაგან შედგებოდა — ქვემოთა ცილინდრული მოყვანილობისა იყო, ზემოთა კონუსური. გარედან კი ირმის ტყავებით იყო გადახურული, ჩუქჩები და კორიაკებიც დახშულ ტანსაცმელს ატარებდნენ; მათი ჩაცმულობის ელემენტები იყო ბეწ-

ვეულის პერანგი და შარვალი (ბეწვით შიგნით), რომელზეც ზემოდან იცვამდნენ ბეწვეულისსავე მოკლე პერანგსა და შარვალს (ბეწვით გარეთ).

თავისებური სამეურნეო-კულტურული ტიპი იყო დამახასიათებელი ჩუკოტკის ზღვის სანაპიროზე მცხოვრები არქტიკის მონადირე ხალხებისათვის (ესკიმოსები, ბინადარი ჩუჩები და კორიაკები). მათი მთავარი საქმიანობა იყო სელაპსა და ზღვის ლომზე ნადირობა. ზამთარში მონადირე თავის მსხვერპლს უდარაჯდებოდა ნადირის მიერ ყინულზე ამოტეხილ ხვრელთან, ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულში ის ღია ზღვაში ნადირობდა მსუბუქი ნავით. ხმელეთზე გადასაადგილებლად იყენებდნენ ნაროებს, რომლებშიც ძაღლები ჰყავდათ შებმული. ადრე ისინი ცხოვრობდნენ მიწურებში, რომლებშიც კვამლის ამოსასვლელად დატოვებული ერდოდან ჩადიოდნენ. მათი თავზე გადასაცმელი ტანსაცმელიც დახშული და ორმაგი იყო (ბეწვგარეთა და ბეწვშიგნითა).

საზოგადოებრივი წყობა და რელიგია. მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, აღნიშნული კულტურულ-სამეურნეო ტიპები მაინც საწარმოო ძალების განვითარების დაბალ დონეს შეესაბამებოდა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ციმბირის ხალხებს შემონახული ჰქონდათ საზოგადოებრივი ცხოვრების და რელიგიის არქაული ფორმები.

ციმბირის ბევრ ხალხში (ნივხები, იუკაგირები და სხვ.) გაბატონებული იყო პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობა. ზოგიერთი ხალხი იმყოფებოდა კლასობრივი საზოგადოების ფორმირების სტადიაზე (ხანტები, მანსები და სხვ.), ხოლო მესაქონელობა-მიწათმოქმედების მიდმეკარ ხალხებში (ალთაელები, იაკუტები, ბურიატები და სხვ.) არსებობდა ადრეკლასობრივი და პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობა. ფეოდალურმა ურთიერთობამ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში მოიკიდა ფეხი ციმბირის თაორებში, რომლებმაც ციმბირის მკვიდრი მოსახლეობისაგან ყველაზე ადრე განიცადეს რუსეთის კაპიტალიზმის გავლენა.

ქრისტიანობის, ისლამისა და ბუდუზმის გავრცელებამდე (XVI-XVIII სს.) ციმბირის ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული შამანიზმი. სიტყვა „შამანი" ტუნგუსური წარმოშობისაა(სამან, შამან) და ნიშნავს „აღგნზებულს", რელიგიის ამ ფორმას საფუძვლად უდევს რწმენა სულებზე და იმაზე, რომ გარკვეულ პიროვნებას, კერძოდ, შამანს მრავალი მაგიური საშუალებით (სიმღერა, ცეკვა, საკრავზე დაკვრა და სხვ.) შეუძლია თავისი თავი ექსტაზში, ისტერიულად აღგზნებულ მდგომარეობაში მოიყვანოს. მორწმუნეთა წარმოდგენით, ასეთ მდგომარეობაში მყოფი შამანის სული მიემგზავრება სულთა სასუფეველში და უშუალო კონტაქტს ამყარებს სულებთან; სულთა ვებერთელა დასში თითოეულ შამანს ჰყავდა თავისი პირადი, მფარველი სული, რომელსაც თავად ემსახურებოდა; ზოგჯერ სული თვითონ ირჩევდა შამანს ასეთი სამსახურისათვის, თვითონვე

მიდიოდა მასთან. შედიოდა ამის სხეულში და შამანის პირით ლაპარაკობდა.

იმავე წარმოდგენით, თითოეულ შამანს ჰყავდა აგრეთვე, დამხმარე სულები, რომლებიც მას ეხმარებოდნენ და ხელს უმართავდნენ შამანობაში და ასრულებდნენ-სურვილის აღმსრულებლები იყვნენ. შამანისტური რწმენით, დანარჩენი სულები, რომლებითაც ალსავსე იყო ქვეყნიერება, ბოროტი სულები იყვნენ და მათ გამუდმებით ებრძოდნენ შამანები და ამათი მფარველი და დამხმარე სულები. შამანთა იმპროვიზებული სეანსები უმთავრესად საღამოობით ან ღამღამობით ეწყობოდა და რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ამ სეანსების მთავარი მიზანი იყო ავადმყოფების მკურნალობა, აგრეთვე მკითხაობა და სხვ.

შამანს ჰქონდა თავისი ატრიბუტები: რიტუალური კოსტუმი, რომელსაც ხშირად რკინის ჟღარუნები იყო ჩამოკიდებული და რომლებსაც ცეკვის დროს ახმაურებდა, საგანგებო თავსაბურავი, ყავარჯენი და რაც ძოვალია, დასარტყმელი საკრავი. ციმბირის ზოგიერთ ხალხში შამანობა შემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა.

შამანიზმის განვითარებაში სამ საფეხურს განასხვავებენ — ა დ რ ე დ ე ლ ს, ანუ საყოველთაოს, როცა შამანები ჯერ კიდევ თითქმის არაფერით განსხვავდებოდნენ, რიგითი მეთემეებისაგან (ამ დროს ქალებიც შამანობდნენ), გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი შამანიზმი, როცა შამანი ჯერ კიდევ ალ იყო პროფესიონალი და გვაროვნულ კულტს ემსახურებოდა და პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ ი შამანიზმი, როცა შამანი თავისი ხელობის შემოსავლით ცხოვრობდა. შამანიზმის ეს უკანასკნელი ფორმა გაბატონებული იყო ციმბირის ხალხთა უმრავლესობაში. იაკუტებსა და სამხრეთ ციმბირის ხალხებს „შამანები" ორ ფენადაც კი ყოფდნენ: „შავი" და „თეთრი" შამანები (ეს უკანასკნელი მთავარ ღვთაებებს ემსახურებოდნენ).

ციმბირის ზოგიერთ ხალხში შამანიზმთან ერთად შემონახული იყო სხვა რ ე ლ ი გ უ რ ი კ ულ ტ ე ბ ი ც. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია: მჭედელთა კულტი (იაკუტებსა და ბურიატებში მჭედლობა თავიანთი ძალით შამანებთან იყვნენ გათანაბრებულები); დათვის კულტი, რომელიც განსაკუთრებით ნივხებში იყო ფართოდ გავრცელებული; ტოტემიზმის გადმონაშთები, სარეწავი კულტები (ნადირობის, მეთევზეობის და სხვ. მფარველი ღვთაებები); საგვაროვნო-საოჯახო კულტები (კერის და სხვა კულტები) და ა.შ.

XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთი ყოველნაირად ცდილობდა ციმბირის ხალხებში მისიონერთა მოღვაწეობის გაფართოებას და ქრისტიანობის (მართლმადიდებლობის) გავრცელებას, ზოგჯერ ძალდატანებითაც. ყოველივე ამის შედეგად, XIX საუკუნის ბოლოს, ციმბირის ხალხთა უმრავლესობა თუმცა ქრისტიანობაზე მოექცა, მაგრამ მართლმადიდებლობის პარალელურად ამათში ძველი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები დიდხანს ცოცხლობდა.

§ 4. შუა აზიის ხალხები

შუა აზიის მოსახლეობა ეთნიკურად მრავალფეროვანია. აქ სახლობენ: ყაზახები, უზბეკები, ყირგიზები, თურქმენები, ყარაყალფაქები და უიღურები. ამათ გარდა, შუა აზიაში ცხოვრობენ რუსები, უკრაინელები, თათრები, ბელორუსები, გერმანელები, დუნგანები, შუა აზიის (ბუხარის) ებრაელები, არაბები, ბოშები და სხვ.

შუა აზიის გეოგრაფიული გარემო თავისებურია და აღსავსე კონტრასტებით. ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია მშრალ სტეპებსა და ცხელ უდაბნოებს. საშხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით აღმართულია პამირის, ტიან-შანისა და კოპეტ-დაღის ვეებერთელა მთების სისტემები. მთელი ტერიტორია წარმოადგენს გაუდინარ დახშულ აუზს (კასპიისა და არალის ზღვები ფაქტობრივად ჩაკეტილი ტბებია). მდინარეები შედარებით ცოტაა, ნაწილი მდინარეებისა — სირ-დარია, ამუ-დარია — არალის ზღვას უერთდება, ხოლო ნაწილი (მურღაბი) სილაში იკარგება. დიდი მდინარეების სანაპიროებსა და მთის წინა რაიონებში განლაგებულია მოსახლეობის მიერ ძველთაგანვე ათვისებული საუკეთესო მიწები (ოაზისები), სადაც ყალიბდებოდა და ერთმანეთს ენაცვლებოდა შუა აზიის უძველესი სახელმწიფოები და კულტურები.

შუა აზიის მოსახლეობა ძირითადად ორ დიდ ენობრივ ოჯახში შემავალ ენებზე ლაპარაკობენ: უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები, ყარაყალფაქები და თურქმენები — ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ჯგუფის ენებზე; ტაჯიკები — ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანული ჯგუფის ენაზე (V-X სს-ში მთელი ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქის ძველი მოსახლეობა ირანულ ენაზე ლაპარაკობდა). ანთროპოლოგიურად შუა აზიის მოსახლეობა ეკუთვნის როგორც ევროპოიდულ რასას, ისე ნაწილობრივ ევროპოიდულ-მონგოლოიდური რასების ნარევ ჯგუფებს. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიაზე მონგოლოიდები უფრო გვიან ჩნდებიან (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი), ვიდრე ევროპეიდები. ევროპეიდებს მიაკუთვნებენ თურქმენებს, ტაჯიკებსა და უზბეკებს, ხოლო ყირგიზებს, ყაზახებსა და ყარაყალფაქებს — ცენტრალური აზიისა და სამხრეთ ციმბირის მონგოლოიდებს.

შუა აზიის ტერიტორიაზე (გამოქვაბული თეშიქ-თაში) არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ნეანდერტალელი ბავშვის ნაშთი, რომელიც პალეოლითის ქვედა საფეხურით (მუსტიეს ეპოქა) არის დათარიღებული. ნეოლითის ხანაში მთელი ეს ტერიტორია ათვისებული ყოფილა ადამიანის მიერ. მაშინდელი მოსახლეობა ნადირობით, თევზჭერითა და შემგროვებლური მეურნეობით ირჩენდა თავს. სამხრეთ რაიონებში მოსახლეობა ადრევე (ძვ. წ. V ათასწლეული) გადასულა მიწათმოქმედებაზე. განათხარ მასალაში ბლომადაა ნაპოვნი ლითონის ნივთები და შინაური ცხოველების ძვლები. პირველი ათასწლეულის დასაწყისში ბრინჯაოს ხანა რკინის ხანით შეცვლილა; სტეპების

მსოახლეობა ამ დროს ვილის მომთაბარე მესაქონლეობას ამისდევდა. ხოლო ოაზისებში მიწათმოქმედებას. ძვ. წ. I ათასწლეულში შუა აზიაში ფალობდება სოღდიანის, ხვარაზმის, ბაქტრიის, მარღიანისა და სხვა სახელმწიფოები. იმავე ხანებს ეკუთვნის პირველი წერილობითი ცნობები ირანის ჩრდილოეთით მოსახლე ხალხებზე. ბერძნული წყაროები იხსენიებს ოაზისების მცხოვრებლებს ბაქტრიელების, ხვარაზმელების, სოგდიელების, ხოლო ველოს მოსახლეობას საკებისა და მასაგეტების სახელწოდებით.

ახ. წ. I-II საუკუნეებში შუა აზიის ქვეყნები შედიოდნენ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში, რომელსაც ყუშანთა დინასტია მართავდა. ამასთან მთელი ის მოსახლეობა ევროპოიდულ რასას ეკუთვნოდა და ირანული ჯგუფის ენებზე ლაპარაკობდა. V საუკუნეში შუა აზიის ტერიტორიაზე მასობრივად იჭრებიან თურქები, რომლებმაც დაიპყრეს სტეპების უდიდესი ნაწილი. აქ მათ შექმნეს საკუთარი სახელმწიფო – თურქული კაგანატი, რომელიც VI-VII საუკუნეებამდე არსებობდა. თუმცა თურქული კაგანატი არაბთა შემოსევების შედეგად VII საუკუნეში დაეშხო, თურქული ელემენტის შემოჭრა შუა აზიაში შემდეგშიც გრძელდებოდა.

არაბებმა შუა აზიაში შემოიტანეს ისლამი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობაში გაავრცელეს. IX საუკუნეში არაბთა ბატონობას შუა აზიაში ცვლის ადგილობრივი დინასტიების ხელისუფლება. შეიქმნა სამანიდების ძლიერი სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო ბუხარა. XII საუკუნეში დაწინაურდა ხვარაზმის სამეფო. ამ პერიოდში განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია ეკონომიკამ, საქალაქო ცხოვრებამ, ხელოვნებამ. ლიტერატურამ, მეცნიერებამ.

ახ. წ. I-II ათასწლეულების მიჯნაზე შუა აზიაში ფეოდალური ურთიერთობების პირობებში ყალიბდება ტაჯიკი, თურქმენი და უზბეკი ეთნოსები. მაგრამ შუა აზიის ხალხთა შემდგომი ეთნიკური განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა მონგოლთა შემოსევებმა (ჩინგის ხანმა 1219-1221 წლებში მიწასთან გაასწორა შუა აზიის ქალაქები და სოფლები, გაანადგურა სარწყავი სისტემები).

მართალია, მონგოლური ელემენტების მომძლავრებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შუა აზიის სტეპების მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაზე. მაინც ეს გავლენა არსებითად არ შეხებია ოაზისების მოსახლეობას. სამაგიეროდ, მონგოლთა შემოსევების შემდეგ თანადათანობით ძლიერდება თურქული ელემენტების შეღწევა ოაზისებშიც, რასაც შედეგად მოჰყვა მოსახლეობის უმრავლესობის თურქიცაზია და ირანული ენების განდევნა. ეს პროცესი, რომელმაც ტაჯიკების გარდა, შუა აზიის თითქმის მთელი მოსახლეობა მოიცვა, რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდა და XVII საუკუნეში დასრულდა.

შუა აზიის ხალხებიდან მარტო ტაჯიკებმა შეინარჩუნეს თავიანთი წინაპრების (სოღდიელები, ბაქტრიელები) ენა და ყველაზე ადრე ჩამოყალიბდნენ ცალ-

კე, დამოუკიდებელ ეთნოსად, მაგრამ ტაჯიკებში ახლო წარსულამდე იყო შემონახული ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფები; ყოფისა და კულტურის თავისებურებებით ერთმანეთისაგან გამოირჩეოდნენ მთისა და ბარის ტაჯიკები.

უზბეკი ხალხის ფორმირება ძირითადად მიმდინარეობდა მიწათმოქმედების მიმდევარი, ოაზისების უძველესი ადგილობრივი ირანულენოვანი მოსახლეობისა. და მოსული მომთაბარე თურქულენოვანი ეთნიკური ჯგუფების ხანგრძლივი შერევისა და თურქიზაციის პროცესში (განსაკუთრებით ყარახანიდების სახელმწიფოსა და თათარ-მონღოლთა შემოსევების ხანაში). მომთაბარეთა ბოლო დიდი ტალღა, რომელმაც XVI საუკუნეში დაიმორჩილა უზბეკეთის ოაზისების ძველი მკვიდრი მოსახლეობა და თან მოიტანა თავისი ეთნონიმი — „უზბეკი", იყო ყივჩაყთა თურქულენოვანი ტომობრივი ჯგუფი. ვარაუდობენ, რომ ამ უზბეკმა ტომებმა ეს ეთნონიმი თავის მხრივ მიიღეს XIV საუკუნეში ოქროს ურდოს ერთ-ერთი ხანის უზბეკისაგან და შემდგომში შექმნეს თავიანთი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი — ბუხარის, ხივისა და კოკანდის სახანოები. მოსული მომთაბარე უზბეკები დაპყრობილ ოლქებში თანდათანობით ბინადარ ცხოვრებას ეკიდებოდნენ. ეს პროცესი რამდენიმე საუკუნეს გრძელდებოდა და ძირითადად XIX საუკუნეში დასრულდა.

თურქმენთა ეთნოგენეზის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ანთროპოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, სპეციალისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ თურქმენები იმ მომთაბარე სკვითების შთამომავლები არიან, რომლებიც ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის დაწყებამდე ცხოვრობდნენ თურქმენეთის სტეპებში; სპეციალისტთა მეორე ჯგუფი, ლინგვისტური მონაცემების მიხედვით, ამტკიცებს, რომ თურქმენები იმ თურქი იღუზების შთამომავლები არიან, რომლებმაც თურქული კაგანატის დაშლის შემდეგ კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადაინაცვლეს; ახალი არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემები მიუთითებს, რომ თურქმენთა ეთნოგენეზი გაცილებით უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო, ვიდრე თურქმენეთში თურქი იღუზები გამოჩნდებოდნენ. ირკვევა, რომ V საუკუნეში თურქმენთა ტერიტორიაზე უკვე ცხოვრობდნენ ხიონიტების თურქულენოვანი ჯგუფები. განათხარი მასალა მიუთითებს თურქმენეთის გვიან შუა საუკუნეების მოსახელობისა და შუა აზიის ამ ნაწილის უძველესი მოსახლეობის უშუალო ეთნიკურ ნათესაობაზე. თურქულ ელემენტთან ერთად, თურქმენთა ეთნოგენეზში მონაწილეობდა კოპეტ-დაღის და თურქმენეთის ოაზისების სხვა მიწათმოქმედი ტომები.

ადრე სპეციალისტთა ნაწილი ყაზახების ფორმირების საწყის თარიღად თვლიდა XIV საუკუნეს, როცა ოქროს ურდოს გამოეყო მომთაბარეთა დიდი ჯგუფი და თანამედროვე ყაზახეთის აღმოსავლეთ ნაწილში გადასახლდა. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ დღეს მიჩნეულია, რომ ყაზახთა ეთნოგენე-

ზი უძველეს ხანაში დაიწყო. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა რიგორც ძველი ადგილობრივი ირანულენოვანი მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ტომები, ისე საუკუნეთა განმავლობაში, მათ შორის თურქული კაგანატის დროს, აქ შემოჭრილი თურქულენოვანი ტალღები. ყაზახთა ეთნოგენეზის მოგვიანო საფეხურზე მთავარი როლი მაინც ყივჩაყებმა შეასრულეს. ყივჩაყურმა ენამ უდიდესი გავლენა მოახდინა ყაზახური ენის ფორმირებაზე. ყაზახი ხალხის საბოლოო ჩამოყალიბება დასრულდა თათარ-მონღოლთა შემოსევის შემდეგ, XV საუკუნეში.

ყირგიზების ეთნიკური ფორმირების პროცესი მოლად ნათელი არაა. ეს საკითხი გართულებულია იმითაც, რომ წერილობით წყაროებში ამ ეთნონიმით ორი ხალხია მოხსენიებული — ენისეის ყირგიზები, რომლებსაც VI-IX საუკუნეებში ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო ენისეის სათავეებში და ტიან-შანის ყირგიზები. ამასთან, ენისეის ყირგიზები პირველად მოხსენიებული არიან ძვ. წ. II საუკუნის ჩინურ წყაროებში, ხოლო ტიან-შანის ყირგიზებზე წერილობითი ცნობები მარტო XVI საუკუნიდან მოიპოვება. ამდენადვე გაურკვეველია, როდის არიან ისინი მოსული ტიან-შანში. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ყირგიზთა ეთნოგენეზი ზემო ენისეის აუზში ჯერ კიდევ უძველეს ხანაში უნდა დაწყებულიყო. აქედან, მათი ცალკეული ჯგუფები თანდათანობით მიიწევდნენ დასავლეთისაკენ, ყირგიზთა განსახლების თანამედროვე ტერიტორიაზე, სადაც ისინი ეთნიკურად ერწყმოდნენ ამ ადგილების უძველეს მკვიდრ მოსახლეობას — ირანულენოვან მიწათმოქმედ ტომებს; ნიშანდობლივია, რომ განათხარი ძვლოვანი მასალის მიხედვით ტიან-შანის მოსახლეობა XIII საუკუნემდე ევროპოიდულ რასას ეკუთვნოდა. ტიან-შანის მოსახლეობაში მონღოლოიდური ანთროპოლოგიური ტიპის გაჩენას სპეციალისტები უკავშირებენ მონღოლთა შემოსევების პროცესში მესაქონლეთა დიდი ჯგუფების მიგრაციასა და ადგილობრივი მოსახლეობის თურქიზაციას.

რაც შეეხება ყარაყალფაქთა ეთნოგენეზს, ვარაუდობენ, რომ მათი წინაპრები იყვნენ არალისპირეთის საკები, რომლებიც ილუზების შეერიენენ. მომდგომში არალისპირეთის სტეპებს იპყრობდნენ ყივჩაყები, რომელთა ენას ითვისებენ ყარაყალფაქები. ყარაყალფაქთა ეთნიკური ფორმირება მთავრდება XVI-XVIII საუკუნეებში.

შუა აზიის ტერიტორიაზე, ე.წ. „შვიდმდინარეთში". მიმდინარეობდა უიღურების ეთნოგენეზი, რომლებსაც საკუთარი დამწერლობა და სახელმწიფო გააჩნდათ ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში. დუნგანები კი გასული საუკუნის ბოლოს არიან გადმოსახლებული ჩინეთიდან რუსეთში და დღეს ყირგიზეთსა და ყაზახეთში ცხოვრობენ.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. შუა აზია კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ჯერ კიდევ ნეოლითში ჩაეყარა საფუძველი მიწათმოქმედებასა და მესაქო-

ნელობას. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შუა აზიასა და ყაზახეთში მეურნეობის სამი ძირითადი ტიპი იყო წარმოდგენილი: 1. სარწყავი მიწათმოქმედება, რომელსაც მისდევდა ოაზისების ბინადარი მოსახლეობა; 2. მომთაბარე მესაქონლეობა, რომელსაც მისდევდა სტეპებისა და ნახევრადუდაბნოების მოსახლეობა და 3. მომთაბარე მესაქონლეობასთან შერწყმული ნახევრადბინადარი მიწათმოქმედება, რომელსაც მისდევდა ოაზისების განაპირა რაიონებსა და დიდი მდინარეების დელტებში მცხოვრები მოსახლეობა. მეურნეობის პირველი ფორმა გავრცელებული იყო ტაჯიკებში, უზბეკებსა და თურქმენებში, ყარაყალფაქებისა და ყირგიზების ზოგ ჯგუფებში, აგრეთვე უიღურებსა და დუნგანებში. მეურნეობის მეორე ფორმას მისდევდნენ ყაზახები, ყირგიზები, ნაწილობრივ თურქმენები და უზბეკები, შერწყმულ მეურნეობას — ყარაყალფაქები, ხვარაზმის უზბეკები, თურქმენები და ყირგიზთა ერთი ნაწილი.

მიწათმოქმედების უძველესი ნაშთები, რომლებიც ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლო საუკუნეებითაა დათარიღებული, ბოლო წლებში აღმოჩენილია სამხრეთ თურქმენეთში. ამავე მონაცემებით, ძვ. წ. IV ათასწლეულიდან სამხრეთ თურქმენეთის მთისწინეთში დამოწმებულია სარწყავი მიწათმოქმედება. ძვ. წ. I ათასწლეულში შუა აზიის სახელმწიფოებში განვითარების მაღალ საფეხურზეა ასული საირიგაციო მშენებლობა. ბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედება ფართოდ ვრცელდება შუა აზიის ზოგ რეგიონში. მიმდინარეობს ოაზისების ათვისება, სადაც მიწათმოქმედება ხელოვნურ რწყვაზე იყო დამყარებული. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში მიწათმოქმედება, როგორც მეურნეობის საფუძველი, უკვე მთელ სამხრეთ შუა აზიაშია გაბატონებული.

სახნავი მიწების ინტენსიური განვითარება შემდეგ ხანებშიც მიმდინარეობდა, რასაც ხელს უწყობდა ოაზისებში მოსული მომთაბარე მესაქონლეების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა. ახ. წ. I ათასწლეულის ბოლოსათვის ხვარაზმის, ფერღანისა და მურღაბის ოაზისებში მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ნიადაგების თითქმის მთელი ფართობი უკვე ათვისებული იყო. მონღოლთა შემოსევების შედეგად შუა აზიაში სარწყავი მიწათმოქმედების ძველი სამეურნეო კულტურა თითქმის მთლიანად მოშალა და დიდი ხნის განმავლობაში განადგურებული იყო. იმავე მოვლენებმა ხელი შეუწყო მიწათმოქმედების ჩამორჩენილი ფორმების გახანგრძლივებულ არსებობას შუა აზიის ხალხებში. გასულ საუკუნეშიც შუა აზიის დაბლობ რაიონებში მიწათმოქმედება ისევ სარწყავ სისტემაზე იყო დამყარებული.

შუა აზიის ხალხებმა საუკუნეთა განმავლობაში გამოიმუშავეს საკმაოდ რთული საირიგაციო კულტურა, რომელიც შეიცავდა როგორც არხებისა და ჯებირების მშენებლობის მრავალფეროვან მარტივ საშუალებებს, ისე რთულ წყალმწეე დანადგარებს („ჩიგირი"). შუა აზიის მთიან რაიონებში, სადაც მესაქონლეობა იყო დაწინაურებული, მიწათმოქმედება შეზღუდული იყო სახნავი მიწების ნაკლებობის გამო. პირიქით, მიწათმოქმედების რაიონებში მესაქონლე-

ობას დამხმარე ხასიათი ჰქონდა. მთაში ზოგან ბოგარულ (ურწყავ) მიწათმოქმედებას მისდევდნენ; მოსავლის ბედი აქ წვიმებზე იყო დამოკიდებული.

XX საუკუნის პირველ მესამედამდე შუა აზიაში მიწას პრიმიტიული კავით ხნავდნენ და ხის ფარცხით ფარცხავდნენ. გამწევ ძალად ხარს, ცხენს, ზოგან აქლემს იყენებდნენ. მიწის დასამუშავებლად ფართოდ იყო გავრცელებული მძიმე თოხი (ქეთმენ) და ბარი. მარცვლეული კულტურიდან მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი და სხვ; ტექნიკური კულტურებიდან მთავარი ადგილი ეკავა ბამბას, რომლის სამეურნეო მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა შუა აზიის რუსეთთან შეერთების შემდეგ. მოსავალს კალოზე ლეწავდნენ საქონლის ფეხით. მარცვლეულს ფქვავდნენ მარტივი ხელწისქვილებით. მიწათმოქმედებაში იყენებდნენ თესლბრუნვას. ოაზისებში ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე მებაღეობა, მებაღჩეობა და მევენახეობა.

არქეოლოგიური მონაცემები მიუთითებენ, რომ ნომადური (მომთაბარე) მესაქონლეობა, როგორც მეურნეობის ტიპი, შუა აზიასა და ყაზახეთში ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბდა. მომთაბარეები სტეპებში, ნახევრად უდაბნოებსა და მთებში ცხენებისა და ცხვრის მოშენებას მისდევდნენ. ნომადური მესაქონლეობა ახლო წარსულამდე წარმოადგენდა ყაზახების, ყირგიზებისა და ნაწილობრივ თურქმენთა მთავარ სამეურნეო საქმიანობას. ისინი საქონლისათვის საზამთრო საკვებს არ ამზადებდნენ და მთელი წლის განმავლობაში ჯოგები საძოვრებზე ჰყავდათ. სტეპებში მცხოვრები ყაზახი მომთაბარეები ზაფხულობით თავიანთ ჯოგების (თხა, ცხვარი, ცხენი, აქლემი) სამხრეთიდან ჩრდილოეთით (ზოგან 800 კილომეტრამდე) გადარეკავდნენ, ზამთრობით კი სამხრეთში აბრუნებდნენ. ეს ტრადიციული ნომადური მარშრუტები თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ყაზახებისაგან განსხვავებით, თურქმენი მომთაბარეები საქონელს სეზონურ საძოვრებზე ერეკებოდნენ (უფრო იქ, სადაც წყალი ეგულებოდათ). გვალვიან ამინდში საქონელს აძოვებდნენ მთის წინა რაიონებში. ასევე საძოვრებზე საქონლის სასმელად ჭის წყალსაც იყენებდნენ. ზამთარში ჯოგებს გადარეკავდნენ ქვიშნარში, სადაც უფრო თბილობდა და საკვებიც მეტი იყო. საქონლის გადარეკვის მარშრუტები ასევე შემთხვევაში 50-60 კმ-ს არ აღემატებოდა. მათ ჯოგებში მთავარი ადგილი ცხვარსა და თხას ეკავა. ძველად აქლემიც ბლომად ჰყოლიათ. ყირგიზებისა და ყაზახებისაგან განსხვავებით, რომლებიც ცხენს სახორცე და სარძევე დანიშნულებით აშენებდნენ, თურქმენები ცხენს მარტო სამგზავროდ იყენებდნენ.

ყირგიზები მომთაბარეობას მისდევდნენ. მათ ჯოგებში ჭარბობდა ძსხვილფეხა საქონელი. ზამთარში საქონელს მთების ხეობებში აძოვებდნენ. გაზაფხულზე თანდათანობით ავყავდათ მთებში, ხოლო ზაფხულში ალპურ საძოვრებზე აბალახებდნენ. შემოდგომაზე საქონელს გაზაფხულის საძოვრებზე ჩამორეკავდნენ, ზამთარში ისევ ხეობებში აბრუნებდნენ.

მომთაბარეების შრომის იარაღები იყო უმთავრესად ტვიროისა და ბარგის გადასაზიდი და ჭიდან წყლის ამოსაღები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მომთაბარეებში პირუტყვის უზრუნველყოფას სასმელი წყლით. განსაკუთრებით ცხელ თვეებში (ჭების დაცვა და მოვლა, პატარა-პატარა ხელოვნური წყალსაცავების მოწყობა და სხვ.).

მომთაბარეები, როგორც წესი, მიწათმოქმედებას არ მისდევდნენ. მიწათმოქმედების პროდუქტებს (პური და სხვ.) ისინი ბაზრებზე იძენდნენ უმთავრესად საქონელზე, მატყლზე ან საოჯახო ნაწარმზე გაცვლის გზით. ნომადური მეურნეობა მოლიანად ბუნების „წყალობაზე" იყო დამყარებული, განსაკუთრებით სუსხიან ზამთარში, როცა საქონელს თოვლსა და ყინულში ბალახის მოპოვება უჭირდა. ასეთ ვითარებაში შიმშილის გამო ხშირად საქონლის დიდი ფარები იღუპებოდა. მომთაბარეთა მთავარი სარჩო-საბადებელი საქონელი იყო: საქონლისაგან ღებულობდნენ ისინი მთავარ საზრდოს — ხორცსა და რძეს. ტყავისაგან ტანსაცმელს კერავდნენ, ხოლო მატყლისაგან ქსოვილებსა და ფარდაგ-ხალიჩებს ქსოვდნენ. ასევე საცხოვრებელი კარვის ქეჩებს თელავდნენ.

შუა აზიაში ოაზისების განაპირა რაიონებსა და დიდი მდინარეების დელტებში სარწყავი მიწათმოქმედება შერწყმული იყო მომთაბარე მესაქონელობასთან. მეურნეობის ეს ფორმა შუა აზიის ტერიტორიაზე ახ. წ. პირველი საუკუნეებიდანაა ცნობილი. ახლო წარსულამდე ის შემონახული იყო ყარაყალფაქებში, ნაწილობრივ თურქმენებსა, ყაზახეთსა და უზბეკეთში. მეურნეობის ამ ფორმის დროს ოჯახის ერთი ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევდა, ხოლო ნაწილი საქონელს სეზონურად მწყემსავდა. სხვა პირობებთან ერთად, მეურნეობის ამ ფორმის გახანგრძლივებულ არსებობას ხელს უწყობდა მცირემიწიანობა. ზღვებისა და ტბების სანაპიროებზე მესაქონლეობა მეთევზეობასთან იყო შერწყმული.

შუა აზიის სამეურნეო ცხოვრებაში გარკვეული ადგილი ეკავა მადნეულის მოპოვებას ტაჯიკეთსა და უზბეკეთში, ხოლო ნავთის მოპოვებას — სამხრეთ თურქმენეთში. შუა აზიის ხალხებში გავრცელებული იყო ნადირობა, მათ შორის გაწვრთნილი ფრინველებით ნადირობა. ოაზისებში მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, მთაში — მეფუტკრეობას. ფართოდ იყო განვითარებული ხელოსნობა — განსაკუთრებით მეთუნეობა, მჭედლობა, ფეიქრობა.

მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. შუა აზიის ხალხებში ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და სამეურნეო ყოფის თავისებურებების შესაბამისად საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავდა მატერიალური კულტურის გარკვეული ფორმები: დასახლების ტიპები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ტანსაცმელი და სხვ.

ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში შუა აზიის ოაზისებში დამოწმებულია ქალაქური და სოფლური დასახლებანი. მომდევნო საუკუნე-

ებში თანდათანობით იზრდება ქალაქების რიცხვი. შუა საუკუნეებში ქალაქები წარმოადგენდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრების — ქალაქის ბაზრებზე სავაჭროდ თავს იყრიდა სტეპებისა და ოაზისების მოსახლეობა. ქალაქის ცენტრში აღმართული იყო ციხესიმაგრე. მის გარშემო მდებარეობდა ქალაქი, რომლის შუაგულში მოთავსებული იყო სავაჭრო მოედანი და მეჩეთი. შუა აზიის ქალაქებში სახლები დახშული კედლებით გამოდიოდა ვიწრო ქუჩებში. ქალაქი უბნებად იყო დაყოფილი. შუა საუკუნეების შუა აზიაში, როგორც კულტურის ცენტრები, განსაკუთრებით დაწინაურდნენ ქალაქები — ბუხარა და სამარყანდი.

სოფლური დასახლების მთავარ ტიპების წარმოადგენდა აული და ყიშლაყი. ბინადარ მოსახლეობაში გავრცელებული იყო დასახლების სხვადასხვა ტიპი. ქალაქის გარეუბნის სამოსახლოებში, სადაც ხელოსნები ცხოვრობდნენ, შერწყმული იყო ქალაქისა და ყიშლაყის ნიშნები. ღობლობში, სარწყავი მიწების დასახლებებში სახლები განლაგებული იყო არხების გასწვრივ. ასეთი ყიშლაყი ზოგჯერ რამდენიმე ასეულ სახლს მოითვლიდა, მთიანეთში სამოსახლოები ხეობებში იყო განლაგებული და ერთმანეთზე მიშენებული. საცხოვრებელი სახლები ნაოსავებით დასახლებულ უბნებს ქმნიდა. ხვარაზმის ოაზისსა და ტაჯიკეთის ღობლობში გავრცელებული იყო ხუტორული დასახლება, რომელიც ხშირად დიდი, გაუყოფელი ოჯახის კარმიდამოს წარმოადგენდა. ასეთ კარმიდამოს ხშირად გალავანი ჰქონდა შემოვლებული. მომთაბარეთა სამოსახლოები, როგორც წესი, ჭებისა და წყაროების ირგვლივ იყო უწესრიგოდ განლაგებული.

ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი. შუა აზიისა და ყაზახეთის ხალხთა საცხოვრებელი სახლები მათი ბუნებრივ-საწარმოო და ყოფითი თავისებურების შესაბამისად ძირითადად ორი ტიპისა იყო: ბინადარი მიწათმოქმედების ოლქებში გავრცელებული იყო ბანიანი, სწორკუთხოვანი სახლები, ხოლო ნომადურ მესაქონლეებში ადვილად გადასატანი ქეჩის კარვები (იურტა) ასასთან, საცხოვრებელთა ორივე ტიპი ხასიათდებოდა მრავალფეროვანი ლოკალური ვარიანტებით. ბანიან სახლებს ყოველი მხრიდან აკრავდა თიხალესილი კედლები. კარ-ფანჯრები კი ეზოსკენ ჰქონდა მიქცეული. მაჰმადიანური რელიგიის ნორმების მიხედვით, სახლი საქალო და საძინაკაცო ნაწილებად იყო დაყოფილი. შიდა კარმიდამოში ჯალაბობა ცხოვრობდა და იქ გარეშე პირს შესვლა არ შეეძლო. ამ დახურულ ეზოში მიმდინარეობდა ოჯახის მთელი სამეურნეო ცხოვრება.

სახლის შიდა კედლებში მოწყობილი იყო თახჩები, რომლებშიც საოჯახო ნივთები და ლოგინი ეწყო. კერა საცხოვრებლის ცენტრში ან კედელთან იყო გამართული. შეძლებულ ოჯახებში იატაკი და კედლები ხალიჩა-ფარდაგებით იყო მოფენილი. კედლების საშენ მასალად ზოგან გამოყენებული იყო თიხა, ზოგან ალიზი, ზოგან ქვა (უფრო მთაში), ზოგან კარკასი (ეს

უკანასკნელი უფრო სეისმურად საშიშ რაიონებში). საცხოვრებლის ეს ტიპი მეტი არქაულობით ხასიათდებოდა მთაში, სადაც ასეთ სახლს ზოგან ფანჯარაც არ ჰქონდა და კვამლის გამოსასვლელად მარტო პატარა ერდო იყო დატოვებული. ქალაქებში მდიდრები ცხოვრობდნენ, მეტწილად ორსართულიან სახლებში, რომლის შადრევნიან („ჰაუზ") კარმიდამოში ხშირად ხეხილის ბაღი და ვენახიც იყო გაშენებული.

ნომადურ მესაქონლეებში საცხოვრებლის ძირითადი ტიპი იყო ადვილად დასაშლელ-ასაწყობი და ერთი ადგილიდან მეორეზე ადვილად გადასატანი მსუბუქკარკასიანი ქეჩის კარავი. შუა აზიაში ასხვავებენ ამ კარვის ორ ნაირსახეობას — მონღოლურსა და თურქულს; პირველისათვის დამახასიათებელია დაბალი კონუსის მოყვანილობის სახურავი, მეორისათვის კი გუმბათი. მდიდარი მესაქონლეების კარვები შიგნით მოფენილი იყო ხალიჩებითა და მხატვრული ქეჩებით.

ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი. შუა აზიის ხალხთა ტრადიციული ტანსაცმელი შეიცავდა როგორც ლოკალურ თავისებურებებს, ისე საერთო ელემენტებს. ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში მამაკაცისა და ქალის ჩაცმულობის ძირითადი ელემენტები თითქმის ერთნაირი იყო.

მამაკაცის კოსტიუმის ძირითად ტიპს ტუნიკისებური პერანგი და უბეგანიერი შარვალი წარმოადგენდა. ზედა სამოსელი მთავარი და საყოველთაოდ გავრცელებული სახეობა იყო წინიდან მთლიანად გახსნილი გრძელი ხალათი, რომელიც სხვადასხვა ოლქში უმთავრესად ფერით განსხვავდებოდა. მიწათმოქმედების რაიონებში ჭარბობდა დაბამბულდალიანდაგებული ხალათები. ხოლო მესაქონლეების ოლქებში დამატებით შალის ხალათებსაც ატარებდნენ, ზამთარში კი ცხვრის ტყავის ქურქებს. ფეხზე იცვამდნენ ტყავის ჩექმებსა და წაღებს. შუა აზიაში მამაკაცის თავსაბურავის საყოველთაოდ გავრცელებული ტიპი იყო „ტიუბიტეიკა", რომელიც თარგითა და ნაქარგობით განსხვავდებოდა.

შედარებით უფრო მეტი თავისებურებით გამოირჩეოდა ქალის სამოსელი, რომლის ძირითად ელემენტებს წარმოადგენდა ფერადი აბრეშუმის ტუნიკისებურივე გრძელი პერანგი — კაბა და შარვალი. ზედა სამოსელად ქალებიც ხალათს იყენებდნენ. შუა აზიაში ძველად გავრცელებული იყო აგროვე ქალის ცრუსახელოიანი და თავზე წამოსახურავი ხალათი (ფარაჯა), რომელსაც სახის დასაფარავად შავი თმის ბადე ჰქონდა გაკეთებული. სახლიდან ქალი გარეთ უფარაჯოდ არ გამოდიოდა. გასათხოვარი ქალები მრავალნაწნავიან თმებს ატარებდნენ, გათხოვილები კი — ორ ნაწნავიანს. ქალის თავსაბურავში ძველად გარეგნულად ეთნიკური და სოციალური სხვაობაც იყო ასახული. შუა აზიის ხალხებში ქალის ჩაცმა-დახურვის კომპლექსში დიდი ადგილი ეკავა ვერცხლის სამკაულებს (ზოგჯერ ერთი ასეთი კომპლექტი 8 კილოგრამამდე იწონიდა).

ს ა ო ჯ ა ხ ო დ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ყ ო ფ ა. შუა აზიის ხალხების უმეტეს ნაწილში გასულ საუკუნეში ოჯახის ძირითადი ფორმა მონოგამიური იყო; მრავალცოლიანობა ფაქტობრივად შეძლებულ ფენებში იყო გავრცელებული. უზბეკეთში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში ნაწილობრივ შემონახული იყო დიდი პატრიარქალური ოჯახები. ასეთ ოჯახებში ოჯახის უფროსი, ადათისა და შარიათის წყალობით, თითქმის განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდა. სახლში კარჩაკეტილი ქალი კი ოჯახის საშუშაოებს ასრულებდა — საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ის მთლიანად მოწყვეტილი იყო. შუაააზიურ პატრიარქალურ ოჯახში ქალის დამონების ერთ-ერთი საშუალება იყო ურვადი (გამოსასყიდი), რომელსაც სასიძო საპატარძლოს უხდიდა; აქ ქორწინება გარიგებით ხასიათს ატარებდა. საოჯახო ყოფაში შემონახული იყო ლევირატისა და სოროორატის გადმონაშთები.

შუა აზიის ხალხთა საზოგადოებრივ ყოფაში შემონახული იყო ფეოდალურ-პატრიარქალური გადმონაშთები, ქალაქებში კი ხელოსანთა ასოციაციები გაერთიანებანი. მომთაბარე მესაქონლეებში შემონახული იყო უმთავრესად ტომობრივი ორგანიზაციის გადმონაშთური ფორმები. ყაზახეთში ტომობრივი სხვაობის გარდა, მთელი საზოგადოება ორად იყო დაყოფილი — „ო

ორი ძვალი“ და „შავი ძვალი“ (პირველს ეკუთვნოდა დიდკაცობა, მეორეს — მდაბიო ხალხი). ყირგიზები ორ (მარჯვენა და მარცხენა) ფრთად იყვნენ დაყოფილი, თითოეული მათგანი კი — ტომებად; გაბატონებულ ფენას წარმოადგენდა ტომის დიდკაცობა. მის ხელში იყო საძოვრები და წყალი. სამაგიეროდ, შუა აზიაში უცნობი იყო თემური საკუთრება საქონელზე. პირუტყვი ყველგან ცალკეული ოჯახების კერძო საკუთრებას შეადგენდა.

მდიდარ მომთაბარე მესაქონლეებს ზოგან XIX საუკუნემდე ჰქონდათ შემონახული პატრიარქალური მონობა, მეკობრეობა და სხვ. კაპიტალიზმის განვითარების პირობებში შუა აზიაში შეიქმნა ექსპლოატატორთა ახალი ფენა — ბაიები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს საუკეთესო სახნავი მიწები და საძოვრები. ისინი ტომისა და თემის დიდკაცობის წრიდან იყვნენ გამოსული.

ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. შუა აზიის ხალხებში გაბატონებული იყო ისლამის სარწმუნოება, რომელიც აქ არაბებმა შემოიტანეს VII საუკუნეში (ისლამი პირველად ჯერ ოაზისებში გავრცელდა, მოგვში და სტეპებში კი მხოლოდ XIV ს-დან), მაჰმადიანობასთან ერთად, ყოფაში შემონახული იყო წინარე ისლამური რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც დაკავშირებული იყო უმთავრესად „წმინდა“ წყაროების, მცენარეების, ქვებისა და სხვათა თაყვანისცემასთან. საყოველთაოდ იყო გავრცელებული „ძალთა“ კულტი — „წმინდა“ შეიხების საფლავთა თაყვანისცემა.

მოსახლეობის მთელ სულიერ ცხოვრებას განაგებდნენ სასულიერო პირები, პირველ რიგში მოლები. შუა აზიის ხალხური შემოქმედების ოფიციალური ფორმებიდან აღსანიშნავია მდიდარი ზეპირსიტყვიერება, კერძოდ, სა-

ყოველთაოდ გავრცელებული ეპიკური სიმღერები და გადმოცემები, რომლებიც თავიანთი საწყისებით უძველეს ხანას უკავშირდებიან. ამ სიმღერებსა და გადმოცემებში ასახულია შუა აზიის ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები და მშრომელი მასების ის სანუკვარი იდეალები, რომლებიც უკეთესი მომავლისაკენ იყო მიმართული.

განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდნენ მომღერალი პოეტი-აშუღები (აკინები), რომლებიც არა მარტო იცავდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ მამაპაპურ ზეპირსიტყვიერებას, არამედ საკუთარი შემოქმედებითაც ამდიდრებდნენ მას. აქ ფართოდ იყო გავრცელებული იუმორისა და სატირის მოხეტიალე დასები („მასხარაბოზ") და თოჯინების თეატრი. შუა აზიისა და ყაზახეთის ხალხთა მხატვრული შემოქმედება წარმოდგენილი იყო როგორც ძველ არქიტექტურულ ძეგლებში, ისე ყოფაში შემონახულ გამოყენებით ხელოვნებაში (მხატვრული კერამიკა, ხალიჩები, სახიანი ქსოვილები, ხით ხუროობა, ქვით ხუროობა, მჭედლობა, ოქრომჭედლობა, ხალხური ორნამენტი და სხვ.).

მ ე ე ქ ვ ს ე თ ა ვ ი

ევროპის ხალხები

ზ ო გ ა დ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა. ევროპა ევრაზიის უზარმაზარი მატერიკის ყველაზე დიდი და დასავლეთით მდებარე ნახევარკუნძულია. განუზომელია აქ მოსახლე ხალხების წვლილი მსოფლიო ცივილიზაციისა და კაცობრიობის კულტურულ მონაპოვართა შექმნაში. ეს ტერიტორია ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ კერას წარმოადგენს დედამიწაზე. აქის ნაოელი დადასტურებაა გერმანიაში აღმოჩენილი ნეანდერტალელი ადამიანი. პირობითად ევროპის ორ ნაწილად ყოფენ — დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპად, ამ უკანასკნელში მოლიანად სლავი ხალხები იგულისხმებიან. თუმცა, გეოგრაფიულად ზოგიერთი მათგანი (სამხრეთის სლავები) ისევე სხვა დასავლეთ-ევროპელ ხალხებზე (შვედები, დანიელები, ფინელები...) დასავლეთით მოსახლეობს.

ევროპის საზღვრებში შემავალ ქვედანაყოფებს საფუძვლად უდევს თანამედროვე ან წარსული სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური, გეოგრაფიული, ანთროპოლოგიური, კონფესიური ან რომელიმე სხვა კრიტერიუმი.

ევროპაში 60-მდე ეროვნების ხალხი ცხოვრობს და 50-მდე კიდევ მათში შერეულია იქ სხვადასხვა დროს ჩამოსახლებული ეროვნული უმცირესობების სახით — ესენია იქ სამუშაოს საშოვნელად ჩასული ემიგრანტები. ზოგადად ევროპისათვის მსხვილი ეთნიკური ცნებების მისადაგებისას შემდეგი სურათი ჩანს: ძვ. წ. I ათასწლეულისათვის ძიღებულია ეთნიკური ცნება — „კელტური ევროპა", ხოლო ახ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან (დაახლ. V-VI საუკუნიდან) XX საუკუნამდე — ევროპის რომანულენოვანი, გერმანულენოვანი და სლავურენოვანი ხალხები. ევროპის მკვიდრი მოსახლეობის დასახასიათებლად გამოიყენება ომის ფერის მიხედვით წარმოებული ცნებები: ქერათმიანები, წაბლისფერთმიანები, შავგვრემნები.

ევროპელთა ანთროპოლოგიური კლასიფიცირება ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყო. ამ დროს ფრანსუა ბერნიემ ევროპის ხალხები, ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით, მიაკუთვნა როგორც წინა აზიის, ისე ჩრდილოეთ აფრიკის ხალხთა ერთ საერთო ინდოევროპულ რასას. დღეს უკვე იგი მიჩნეულია, როგორც ერთ-ეროი, ნეგროიდულ, მონგოლოიდურ და ავსტრალოიდურ რასათა შორის და ცნობილია ევროპოიდული ანუ კავკასიური თეორი რასის სახელით.

ევროპის მოსახლეობის 96% ლაპარაკობს ინდოევროპულ ენებზე. აქ ენათა ამ ოჯახიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია გერმანული ჯგუფი, რომელიც 17 ხალხისაგან შედგება; რაოდენობით მეორეა რომანული ჯგუფი, რომელიც 15 ხალხს მოითვლის; სლავური ჯგუფი 11 ხალხს აერთიანებს; ბერძნულ-ალბანური — ორ ხალხს, ურალის ენობრივი ჯგუფი სამ ხალხს — ფინელებს, საამებს და უნგრელებს; ალთაური ენობრივი ჯგუფი ორ ხალხს — თურქებს (ევროპულ ნაწილში მაცხოვრებლებს) და გაგაუზებს (ბულგარეთში); სემიტურ-ქამიტური ენობრივი ჯგუფი წარმოდგენილია კუნძულ მალტის მაცხოვრებლებით; ცალკე დგანან და არცერთ ენობრივ ოჯახს არ მიეკუთვნებიან ბასკები.

ევროპის ხალხთა ეთნოლოგიის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ვფიქრობთ, ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, შეიძლება შედარებით დაწვრილებით შევჩერდეთ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე.

ევროპის და მათ შორის დასავლეთ ევროპის ხალხთა ეთნიკური ისტორია რთულია და ხანგრძლივი დროის მომცველია. ჯერ კიდევ უძველეს დროს 100-40 ათასი წლის წინათ ნეანდერტალელები მოსახლეობდნენ ევროპის ყველა ნაწილში, ჩრდილოეთის გამოკლებით. თანამედროვე ტიპის ადამიანი ევროპაში გამოჩნდა ზედა პალეოლითში, დაახლოებით 40-13 ათასი წლის წინათ. მისი განსახლების არეალი, ნეანდერტალელებთან შედარებით, გაფართოვდა და ჩრდილოეთის რაიონებიც მოიცვა. მეზოლითის დროს, 13-7 ათასი წლის წინათ, უკვე გამოიკვეთა კულტურული განსხვავებები ევროპის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის, რაც პირველ რიგში. განპირობებული იყო მათი განსხვავებული სამეურნეო საქმიანობით. ასე მაგალითად, თუ ჩრდილოეთში წამყვანი იყო მონადირეობა-მეთევზეობა, სამხრეთში მთავარი სახეობა იყო მონადირეობა-შემგროვებლობა.

მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე ევროპის ხალხები გადავიდნენ ნეოლითის ეპოქაში, ე.ი. დაახლოებით 7-4 ათასი წლის წინათ.

განსაკუთრებით მაღალ სამეურნეო და კულტურულ განვითარებას ძვ. წ. III და II ათასწლეულში მიაღწიეს ევროპის იმ ხალხებმა, რომლებიც ეგეოსის არქიპელაგის კუნძულებსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მიმდებარე ტერიტორიებზე ბინადრობდნენ. იქ ჩამოყალიბდა და განვითყარდა ე.წ. ეგეოსური, ანუ კრეტა-მიკენური ცივილიზაცია, როგორც ჩანს, უძველესი ეგვიპტური და წინააზიური კულტურების გავლენით.

ნეოლითისა და ბრინჯაოს ეპოქაში ევროპაში მოსახლე ტომების ეთნიკური კუთვნილების შესახებ ძალზე ცოტაა ცნობილი. ცხადია, მხოლოდ ის, რომ ისინი განეკუთვნებოდნენ სხვადასხვა ენობრივ ოჯახს, რომელთა შორის იყვნენ უნგრო-ფინური და კავკასიური ენობრივი არეალის წარმომადგენლები. ძვ. წ. II და I ათასწლეულებში ევროპაში საყოველთაოდ გავრცელდა ინდოევროპული ენები, რომლებმაც სხვა დანარჩენები განდევნა.

ინდოევროპული ენების წინარესამშობლოდ მეცნიერები აზიისა და ევროპის სხვადასხვა რაიონს მიიჩნევენ. ფაქტია, რომ ძვ. წ. II ათასწლეულში ინდოევროპული ტომები ბინადროვდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე; ითვლება, რომ ლეგენდარული პელასგები და ლელეგები ინდოევროპელები იყვნენ. მათ კვალდაკვალ იქ შეიჭრნენ აქეველები და სხვა ინდოევროპული ტომები.

ძვ. წ. I ათასწლეულში თითქმის მთელს ევროპაში გავრცელდნენ კელტური ტომები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ რკინის ხანის ლატენის კულტურასთან. ანტიკურ ეპოქაში მხოლოდ ცალკეულ ადგილებში ვერ კიდევ მოსახლეობდნენ არაინდოევროპული ტომები: ლიგურები, იბერიები და სხვ. — აპენინის ნახევარკუნძულზე; იბერები, ბასკონები და სხვ. — პირინეის ნახევარკუნძულზე და სხვ.

ძვ. წ. VII ჩვ. წ. III საუკუნეებში, ანუ ანტიკურ ეპოქაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს დიდ ტერიტორიაზე გავრცელდა მაღალგანვითარებული ცივილიზაცია, რომელიც ბერძნებმა და რომაელებმა შექმნეს. სწორედ ანტიკურ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციას.

რომის იმპერიაში გაერთიანდა იმ დროის მთელი ევროპული და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზებული სამყარო, რომელიც IV-V საუკუნეებში იმპერიის განაპირას მოსახლე ბარბაროსული ტომების დაწოლისა და შემოსევების შედეგად დაემხო. დაიწყო ხალხთა ახალი დიდი გადასახლებები. ევროპის ეთნიკური რუკის ხელახალი გადაკეთება. კერძოდ, გერმანელი ტომები, რომლებიც თავდაპირველად ე.წ. დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ, განსახლდნენ ევროპის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ, ნაწილობრივ — ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში. უფრო მეტი. მათ დაიპყრეს რომის იმპერიის დასავლეთი ნახევარი. იმავდროულად, სლავური ტომები, რომლებიც დნეპრის, ვისლისა და ოდერის აუზებში ბინადრობდნენ, V-VI საუკუნეებში ფართოდ გავრცელდნენ ცენტრალურ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში.

ფეოდალური ეპოქა ხელს არ უწყობდა მსხვილი ეთნიკური გაერთიანებების შექმნას. მაგრამ XV საუკუნის შუა ხანებიდან კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ გამოიწვია ეკონომიკური კავშირების განმტკიცება ცალკეულ ოლქებს შორის, შეიქმნა პირობები მსხვილი ეთნიკური ერთობების ჩამოყალიბებისათვის, ევროპაში ჩამოყალიბება დაიწყო პირველმა ერთიანულმა სახელმწიფოებმა — ინგლისმა, ესპანეთმა, პორტუგალიამ, საფრანგეთმა და სხვ. მათში მიმდინარეობდა სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხების შერწყმა და ჩამოყალიბება ერთიან ერებად.

მაგრამ, ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის გამო, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ეს პროცესი მეტად გაჭიანურდა. მხოლოდ XIX საუკუნეში მოხდა იტალიელების,

გერმანელების, უნგრელების, ჩეხებისა და ზოგიერთი სხვა ხალხების ეროვნული კონსოლიდაცია.

ასევე რთულია და მრავალფეროვანი ევროპის ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ - რ ი ს უ რ ა თ ი. ევროპის მოსახლეობის 95%, ეს კი 407 მილიონი აღამიანია, ლაპარაკობს ინდოევროპულ ენებზე.

ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ენობრივი დაჯგუფებაა ს ლ ა - ვ ურ ი ენ ებ ი. ისინი სამ ჯგუფად იყოფიან — დასავლურად, სამხრეთულად და აღმოსავლურად. დასავლურსლავურ ენებზე ლაპარაკობენ: პოლონელები, კაბუშები, ჩეხები, სლოვაკები და ლუჟიცელი სერბები; სამხრეთსლავურზე — ბულგარელები, სერბები, ხორვატები, ჩერნოგორიელები, ბოსნიელები, სლოვენები და მაკედონელები; აღმოსავლეთ-სლავურზე — რუსები, უკრაინელები, ბელორუსები.

ევროპაში ინდოევროპული ენების მეორე მსხვილი ჯგუფია გ ე რ მ ა - ნ უ ლ ი ენ ებ ი. ისინიც ორ ჯგუფად იყოფიან — ჩრდილოეთის და დასავლეთის. პირველ ეკუთვნიან გერმანული, ფლანდიური, ჰოლანდიური, ფრიზული და ფარეროდ გავრცელებული ინგლისური ენები. ერთ-ერთი გერმანული დიალექტიდან ჩამოყალიბდა იდიში — მას იყენებენ პოლონეთის, რუმინეთისა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოსახლე ებრაელები. გერმანული ენების მეორე ჯგუფია ჩრდილო-გერმანული, ანუ სკანდინავიური ენები — დანიური, შვედური, ნორვეგიული, ისლანდიური და ფარერული;

ევროპული ენების მესამე მსხვილი ჯგუფია რ ო მ ა ნ უ ლ ი ენ ე - ბ ი. მათ საფუძვლად უდევს ამჟამად მკვდარი ლათინური ენა, რომელიც შუა საუკუნეებში საყოველთაოდ იყო გავრცელებული მთელს ევროპაში. ამ ჯგუფში შედიან: რუმინული, იტალიური, ფრანგული, პროვანსული, კატალონიური, ესპანური, პორტუგალიური და გალისიური ენები;

ინდოევროპულ ენათა ოჯახის მეოთხე ჯგუფია კ ე ლ ტ უ რ ი ენ ე - ბ ი — ირლანდიური, გალური, უელსური და ბრეტონული;

ინდოევროპულ ენათა ჯგუფში შედიან ალბანური და ბერძნული ენები. ინდოევროპულია ბოშების ენაც; ისინი განსახლებული არიან თითქმის მთელს ევროპაში;

დასავლეთ ევროპის მოსახლეობის დაახლოებით 5 პროცენტი არაინდოევროპულ ენებზე მეტყველებს; ეს დაახლოებით 21 მლნ კაცია. ეს არის ბასკური ენა, რომელსაც ზოგიერთი ლინგვისტი კავკასიურ ენებთან ანაოესავებს. ასევე არაინდოევროპულია უნგრელების, ფინელების და საამების ენები, რომელნიც ენათა ურალური ოჯახის ფინურ-უნგრულ შტოს განეკუთვნებიან;

თურქეთის ევროპულ ნაწილისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთ ქვეყანაში მოსახელე თურქები, თათრები და გაგაუზები ლაპარაკობენ ენათა ალთაური ოჯახის თურქულ ენებზე;

სეზონურია ხმელთაშუა ზღვაში მალტაზე მოსახლეობის ენა.

ხანგრძლივი იყო ევროპის ხალხთა ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი ე ს ი ფორმირების პროცესი. უძველესი ადამიანების (არქანთროპების) ძვლების ნარჩენები თარიღდება მეოთხეული პერიოდის შუა ხანებით, დაახლოებით 400-300 ათასი წლის წინა დროით. ეს ნარჩენები აღმოჩენილია გერმანიაში, ჰაიდელბერგის მახლობლად და ჰაიდელბერგული ყბის სახელითაა ცნობილი. შესაძლოა, პალეოლითის ხანის უძველესი ადამიანები ევროპაში შეიჭრნენ სამხრეთიდან ან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, აფრიკიდან ან ნინა აზიიდან. მრავალი ანთროპოლოგის აზრით, სწორედ ამ ადგილებში ძირითადად ყალიბდებოდა ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. გერმანიის დასავლეთში, ნეანდერში იქნა აღმოჩენილი ადამიანის ნარჩენები, რომელსაც [პალეოანთროპოლოგების მოსაზრებით, გააჩნია ყველა პროგრესული ნიშანი. რომ საითვალის თანამედროვე ადამიანის — Homo Sapiens-ის უშუალო წინაპრად

ითვლება, რომ გვიანი პალეოლითის ეპოქაში მოხდა თანამედროვე ადამიანის ძირითადი რასების ჩამოყალიბება — ევროპოიდულის, ნეგროიდულ-ავსტრალოიდურის და მონგოლოიდურის. უეჭველია, გვიანპალეოლითის ხანის ევროპის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დიდი ევროპოიდული რასის სხვადასხვა ვარიანტს განეკუთვნებოდა.

პალეოლითის ბოლოსა და მეზოლითში, ე.ი. დაახლოებით 13-7 ათასი წლის წინათ ადამიანები დასახლდნენ ჩრდილოეთ ევროპაში — ბალტიისპირეთში, სკანდინავიასა და ბრიტანეთის კუნძულების ჩრდილოეთში. პალეოანთროპოლოგიური მონაცემებით, აქ ჩამოსახლებულთა ტალღები ძირითადად მოდიოდა სამხრეთიდან — ხმელთაშუაზღვისპირეთიდან და შუა ევროპიდან.

ევროპის კონტინენტზე თანდათან ჩამოყალიბდა ევროპოიდების სამი ძირითადი განსახლების სარტყელი: სამხრეთული, შუა და ჩრდილოეთის. სამხრეთულში ჭარბობენ ამ ერთიანი რასის უფრო ძუნ. მავგრებანი წარმომადგენლები: შუა სარტყელი მოიცავს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთიანი რაიონების მოსახლეობას. რომლებიც ზომიერად დოლიხოკეფალურებულნი არიან — ეს არის წაბლისფერთმიანების დასახლების ზოლი: ჩრდილოეთის სარტყელი მოიცავს სკანდინავიის, ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროებს — ეს არის ქერათმიანების დასახლების ზოლი.

IV-IX საუკუნეებში, ხალხთა დიდი გადასახლებების დროს, ევროპაში შავიზღვისპირეთის სტეპებიდან შეიჭრნენ სხვადასხვა მომთაბარე ტომები — ჰუნები, ავარები, ბულგარელები, უნგრელები. ისინი ანთროპოლოგიურად ძალიან შერეულ ხალხებს წარმოადგენდნენ და ევროპოიდულთან ერთად, სხვადასხვა მონგოლოიდურ კომპონენტებსაც შეიცავდნენ. შემდეგში ეს მონგოლოიდური ნიშნები მთლად გაითქვიფა ევროპოიდულ ნიშნებში. მაგრამ ძალიან ხშირად ჯერ კიდევ შეინიშნება ბულგარელებში, უნგრელებში და ლუნინისპირა აუზისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ზოგიერთ მოსახლეობაში

ხალხთა დიდი გადასახლების დროს მომხდარი ინტენსიური ეთნიკური შერევების ერთ-ერთი გამოხატულება იყო ბრაქიკეფალიზაციის პროცესი, ე.ი. თავის ქალის ფორმების თანდათანობითი დამოკლება და გაფართოება.

ბოლო ასი წლის განმავლობაში რასობრივი ნიშნების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს განეკუთვნება მოსახლეობის საშუალო სიმაღლის ზრდა. ეს დაკავშირებულია ცხოვრების დონის საერთო ზრდასთან.

სამხრეთ ევროპაში, ევროპოიდების შედარებით მუქ წარმომადგენლებს შორის ჩამოყალიბდა შემდეგი ადგილობრივი ტიპები: პონტიური (შავზღვური) — ზომიერად მუქი, მეზოკეფალური, საშუალო სიმაღლის; დინარული — ასევე ზომიერად მუქი, მკვეთრად ბრაქიკეფალური, მაღალტანიანები; მედიტერანული ანუ ხმელთაშუაზღვისპირული — უფრო მუქი, ღოლიქოკეფალური, დაბალტანიანები; სამხრეთ-ატლანტიკური — ახლოს მედიტერანულთან, მაგრამ უფრო ღია ფერისანი და უფრო მაღლები.

პონტიური ტიპი ჭარბობს ბულგარელებსა და ყოფილი იუგოსლავიის მაკედონელებში. ამავე ჯგუფში შემოდიან ბერძნები, რუმინელები, ნაწილობრივ უნგრელები. ავსტრიელები და სამხრეთ პოლონელები.

დინარული ტიპი დამახასიათებელია ჩერნოგორიელების, ალბანელებისა და მათ მეზობლად მოსახლე ცალკეული ბერძნების, ბულგარელებისა და რუმინელებისათვის.

მედიტერანული ტიპი გავრცელებულია მთელს სამხრეთ იტალიაში, სიცილიისა და სარდინიის ჩათვლით, კორსიკაზე, სამხრეთ საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიასა და ნაწილობრივ ბასკებში.

სამხრეთ-ატლანტიკური ტიპი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მის მეზობელ და მახლობელ სხვა ანთროპოლოგიურ ტიპებთან, ძირითადად გავრცელებულია პირინეის ნახევარკუნძულის ხმელთაშუაზღვის და ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე. აქ მოსახლე ესპანელებს, პორტუგალიელებსა და გალისიელებს შორის.

I. დასავლეთ ევროპის ხალხები

§1. რომანული ხალხები

რომანული ხალხების ეთნიკურ ფორმირებაში მთავარი როლი რომაელებმა შეასრულეს. ევროპის ხალხების რომანულ ჯგუფში გაერთიანებული 15-ვე ხალხი, მათ შორის, მათი ეთნოგენეზის მთავარი მონაწილე იტალიელები, სხვა ენებზე ლაპარაკობდნენ. ეს ჯგუფი ამჟამად წარმოდგენილია შემდეგი ხალხებით: იტალიელები, შვეიცარიელი იტალიელები, ფრიულები, რომანშები, ლადინები, კორსიკელები, კატალონიელები, ესპანელები, გალიციელები, პორტუგალიელები, ფრანგები, შვეიცარიელი ფრანგები, ვალონები, ვლახები და რუმინელები. ზოგიერთი მეტად მრავალრიცხოვანია: იტალიელები — 65 მლნ, ფრანგები — 50 მლნ, რუმინელები — 20 მლნ-ზე მეტი და სხვ. ხოლო ზოგიერთი — შედარებით მცირერიცხოვანი: ლადინები — 14 ათასი (ცხოვრობენ იტალიაში, დოლომიტის ალპებში), რომანშები — 50 ათასი, კორსიკელები — 280 ათასი და სხვ.

ამჟამად მეცნიერებაში ამ ხალხების რომანიზაციის შემდეგი სურათია მიღებული:

ძვ. წ. VIII-III საუკუნეებში აპენინზე მცხოვრებმა რომაელებმა თანდათან დაიმორჩილეს ენით მონათესავე იტალიელი ტომები, შემდეგ არაინდოევროპული ეთნოსები — ეტრუსკები, ილირიელები, ლიგურიელები და სხვ. აპენინის და მის სამხრეთით მდებარე სიცილიის, სარდინიისა და კორსიკის კუნძულების ათვისების შემდეგ, ძვ. წ. III საუკუნეში რომაელებმა პირენეის მრავალტომოვანი ნახევარკუნძულის ხელში ჩაგდება და მათი ასიმილაციის დაწყება რომანიზაციის გზით დაიწყეს. რომის სახელმწიფოს არსებობის მთელს მანძილზე ახ. წ. V საუკუნემდე, განსაკუთრებით გაიუს იულიუს კეისრის დაპყრობითი ლაშქრობების შემდეგ. მართალია არათანაბრად, მაგრამ მაინც ინტენსიურად წარმოებდა მასში მოქცეული მთელი ევროპის ხალხების რომანიზაცია. იმდენად მოედო ლათინური ენა მთელს ამ ტერიტორიას, რომ ამ ენის ადგილობრივი დიალექტებიც კი ჩამოყალიბდა ასე შეიქმნა ვალონების (ბელგია), ფრანგთა, ესპანელთა, კატალონიელთა, გალისიელთა, პორტუგალიელთა ენები. ერთი სიტყვით, რომანიზაცია წარმატებით წარიმართა თანამედროვე საფრანგეთის, ბელგიის, პირენეის �ელა ეთნოსის მიწებზე.

ძვ. წ. 146 წლისათვის, როდესაც რომმა დასრულა საბერძნეთის დაპყრობა, აქაც დაიწყო რომანიზაციის პროცესი, მაგრამ ელინური კულტურის მაღალმა დონემ არსებობა შეანარჩუნებინა ბერძნულ ენას, რომელიც პირველი.

თვითონ გავრცელდა იტალიაში, როგორც კულტურისა და მეცნიერების ენა. მიუხედავად ამისა, რომანიზაცია განიცადეს ბალკანეთზე მცხოვრებმა ცალკეულმა ეთნოსებმა, ასევე დუნაის ქვემო წელზე მცხოვრებმა დაკებმა, თრაკიელებმა და სხვ. ამაში დიდი როლი შეასრულეს აქ მდგომმა რომაულმა სამხედრო ლეგიონებმა, რომლებიც იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა ხალხებისაგან კომპლექტდებოდნენ, მაინც მთლიანად რომანიზებულები იყვნენ.

ა. ი ტ ა ლ ი ე ლ ე ბ ი — ისინი აპენინის ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენენ. მათი ტრადიციული საქმიანობა მებაღეობა, მარცვლეული კულტურების მოყვანა და მესაქონლეობა. მევენახეობა და მეღვინეობა გავრცელებულია მთელს იტალიაში. დიდი რაოდენობით მოჰყავთ ციტრუსები და მისი მოყვანით მსოფლიოში მესამე ადგილზე არიან (აშშ-ისა და ესპანეთის შემდეგ).

მეტად ტრადიციულია იტალიელთა საკვები. განსაკუთრებით პოპულარულია მაკარონის კერძები. საყოველთაოდ ცნობილია იტალიური „სპაგეტი", პირველი კერძია მ ი ნ ე ს ტ რ ა — პომიდვრის საწებლით, კარაქით და ყველით, ხოლო ზოგჯერ დაკეპილი ხორცით შეზავებული სპაგეტი. მეორე კერძია ძ უ პ ა — ლობიოს და ბოსტნეულის წვნიანი მასში ჩალბობილი პურით. ასევე ტრადიციულია პ ო ლ ე ნ ტ ა — სიმინდის ფქვილის ფაფა, ღომის ნაირსახეობა. იტალიელთა სადილის აუცილებელი შემადგენელია ღვინო.

ყველაზე უფრო მეტად იტალიელთა ტრადიციული ყოფა სოფელშია შემონახული. აქ სოფლის დასახლებები სამი ტიპისაა: 1. დიდი სოფლები და დაბები სიგრძივი ან რადიალური დაგეგმარებით, ისინი გავრცელებულია ქვეყნის ჩრდილოეთით, ალპურ ზონაში; აგრეთვე, ნაწილობრივ ცენტრალურ ადგილებსა და სამხრეთში; 2. ხუტორები, რომლებიც დაბლობ ადგილებშია გავრცელებული; 3. გორაკზე განლაგებული სერული დასახლებანი, რომლებიც მთისწინა რაიონებშია გავრცელებული.

იტალიურ სოფლებში ოთხი ტიპის კარმიდამოა გავრცელებული:

1. ლ ა თ ი ნ უ რ ი ტ ი პ ი — იგი მთელ იტალიაში გვხვდება. ესაა ქვის ორსართულიანი სახლი კრამიტის ორფერდა სახურავით. მეორე სართულზე მოხვედრა შეიძლებოდა გარედან მოდგმული ბაქნიანი ქვის კიბით. ასეთი სახლი ვერტიკალურად გაყოფილია ორ ნაწილად. ერთი ნაწილის პირველ სართულშია ბოსელი და მის ზემოთ სათივე; ხოლო მეორე ნაწილის პირველ სართულში განლაგებული საშზარეულო, მეორე სართულზე — საძინებელი ოთახები;

2. ა ლ პ უ რ ი ტ ი პ ი — ამ ტიპის სახლები გავრცელებულია ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში. სახლების პირველი სართული ქვისაა, ხოლო მეორე სართული ძელურია. მეორე სართულს დაუყვება ხის მოაჯირიანი ღია აივანი. სახლი ამ შემთხვევაშიც, ლათინური ტიპის სახლების

მსგავსად, ვერტიკალურად იყოფა ორ ნაწილად — სამეურნეო და საცხოვრებელი დანიშნულების განყოფილებებად;

3. კ ო რ ტ ე — ესაა ჩაკეტილი მართკუთხედი, რომელიც შედგება ქვის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობისაგან. კორტეს ცენტრში, როგორც წესი, მარცვლეულის სალეწი კალოა მოწყობილი;

4. ა პ ე ნ ი ნ უ რ ი ტ ი პ ი — ამ შემთხვევაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები აშენებულია ცალ-ცალკე. საშენ მასალად ძვირფასი ლეგა გამოყენებულ იქნეს, როგორც ქვა, ისე ხე. მთელ ადგილ-მამულს, ამ ტიპის კარმიდამოს შემთხვევაში, შემოვლებული აქვს მესერი.

იტალიაში შემონახულია და დღესაც გამოიყენება არქაული ნაგებობები — ტ რ უ ლ ი. ესაა ქვის გუმბათისებური შენობა ძშრალად ამოყვანილი კედლებით და ერთადერთი უფანჯრო ოთახით. ტრული სამეურნეო დანიშნულების ნაგებობაა.

იტალიის ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ ყოველდღიურად არის შემონახული ტრადიციული ტანსაცმელი, თუმცა, ბევრგან და განსაკუთრებით ქალაქებში, იგი მაინც საერთოევროპული ჩაცმულობითაა წარმოდგენილი. მ ა ს ა კ ა ც ი ს ხ ა ლ ხ უ რ ი ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი ა: პანტალონები, კამიჩა, ჯაკა, პანჩოტო, ქუდი ან ბერეტი. პანტალონი მოკლე შარვალია, კამიჩა ტუნიკის ფორმის პერანგი, ჯაკა მოკლე ქურთუკია, ხოლო პანჩოტო — უსახელოებო ზედატანი. ქ ა ლ ი ს ასევე ხ ა ლ ხ უ რ ი ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი ა: გონა, გრემბიულე, კამიჩა, კორსეტი, ჯაკეტა, ფაცოლეტო. გონა არის გრძელი ფართო ქვედატანი. გრემბიულე — წინსაფარი. კამიჩა, ისევე როგორც მამაკაცებთან — ტუნიკის ფორმის პერანგი. კორსეტი — მოკლე, თასმებიანი ზედა ტანი, ჯაკეტა — წელამდე ჩახსნილი ხელა ტანსაცმელი, ხოლო ფაცოლეტო — ოავსაბურავი.

ასევე მრავალფეროვანია იტალიელთა ფეხსამოსი, რომელსაც ძირითადად ადგილობრივად ამზადებენ. ამ ქვეყნის ალპურ ზოლში გავრცელებულია ხის ფეხსაცმელი ტყავის თასმებით, ტყავის მაღალყელიანი და ხისძირიანი ჩექმები. ზოგან იტალიაში ამჟამადაც აცვიათ ანტიკური წარმოშობის ფეხსაცმელები, ე.წ. ჩოჩი — ტყავისაგან დამზადებული რბილი სანდლები, რომლებიც თასმების საშუალებით იკვრება.

იტალიის სხვადასხვა რაიონში მრავალი წეს-ჩვეულებაა შემორჩენილი ნიშნობასთან, მაჭანკლობასთან, ქორწინებასა თუ ქორწილთან დაკავშირებით. ბრავალ სოფელში ახლაც არსებობს დანიშვნისა და ცოლად მოყვანის სიმბოლური ფორმები. ასე, მაგალითად, საჭირო საცოლის სახლის წინ, ზღურბლზე, ღამით დების ხის ღეროს ღა დილით ამ ღეროს შეეტანენ სახლში, ეს იმის მაუწყებელია, რომ საცოლე გაყვანილ მას, თუ ღერო რჩება ზღურბლთან, ეს ნიშანია, რომ იგი უარყოფილია.

ჯვრის წერის შემდეგ, ეკლესიიდან გამოსვლისას, იტალიელთა ჩვეულების მიხედვით, იწყება ე.წ. „ქალის გამოსყიდვის" ცერემონიალი. საცოლის

ნათესავები და მეგობრები დაიჭერენ საქმროს, და არ უშვებენ მას მანამდე, სანამ იგი არ გადაიხდის „გამოსასყიდს“ ფულის სახით ან არ დაასაჩუქრებს მათ ტკბილეულით.

დაკრძალვის რიტუალებიდან საინტერესოა მიცვალებულის დატირების წესი, რომელსაც კოჩერი ჰქვია. ასეთი წესი შუა საუკუნეების იტალიაში გავრცელებული იყო ყველგან, ხოლო XIX საუკუნის ბოლოდან შემორჩა იტალიის ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის: სარდინიაში, პემონტეში, ფრიულსა და სხვაგან. იცოდნენ ასევე მიცვალებულთან „საუბრის“ ჩვეულებაც, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ მკვდრების სახსენებელ დღეს, მიცვალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი მიდიოდა მის საფლავზე და დაწვრილებით ესაუბრებოდა მიცვალებულს მისი ოჯახის შესახებ, ოჯახის საქმეები იქნება ეს თუ ვიოარება ან მოვლენა, რომელიც მოხდა მისი სიკვდილის შემდეგ, ხოლო სასაფლაოდან წამოსვლისას იგი აუცილებლად ტოვებდა საფლავზე საჭმელს.

იტალიელების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკეები არიან. ეკლესია იქ ფორმალურადაა გამოყოფილი სახელმწიფოსაგან. რელიგიის ძლიერების მიმანიშნებელია ის, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, 1870 წლამდე, იტალიას რომის პაპები მართავდნენ. 1929 წლიდან პაპის რეზიდენცია — ვატიკანი — გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. იგი განთავსებულია რომში 44 ჰექტარ მიწაზე. ვატიკანის საერთაშორისო მნიშვნელობა და მისი გავლენა მსოფლიოს კათოლიკეთა შორის ძალზე დიდია.

უფრო რელიგიურია იტალიის სოფლის მოსახლეობა. ყველა სოფელს ჰყავს თავისი წმინდანი-მფარველი, მოსახლეობას სჯერა, რომ წმინდანებს შეუძლიათ იხსნან ისინი უბედურებისა თუ სხვა განსაცდელისაგან, ასე მაგალითად, მოსახლეობის რწმენით, წმ. პავლეს შეუძლია იხსნას ისინი გველის კბენისაგან, წმ ლუჩიას — ავადმყოფობისაგან და სხვ.

იტალიელთა ჩვეულებებიდან ბევრია უძველესი დროიდან მომდინარე, რომელიც ამჟამადაც არის გავრცელებული მათში. მაგალითად, ვენდეტა — სისხლის აღების წესი. თუ შელახულია პიროვნების ან მისი ახლო ნათესავების პირადი ღირსებები და თუ იგი არ მიმართავს ვენდეტას წესს, მას ლაჩრად მიიჩნევენ, ხოლო თუ იგი მოკლავს შეურაცხმყოფელს, მას იფარავენ და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პოლიციას არ ჩაუვარდეს ხელში.

იტალიელთა გულღია ხასიათი კარგად ჩანს მათ გართობა-სანახაობებსა და დღესასწაულებში. ისინი დიდი პატივით აღნიშნავენ წმ. იოსების (19 მარტი) დღეს, წმინდანების — პეტრესა და პავლეს (29 ივნისი) დღეს, შობის (25 დეკემბერი) და სხვა რელიგიურ დღესასწაულებს.

იტალია განოქმულია თავისი მუსიკალური შემოქმედებით. მთელ იტალიაში მღერიან საქვეყნოდ ცნობილ ხალხურ სიმღერებს. ქვეყნის ჩრდილოეთით უფრო მეტად გავრცელებულია ეპიკურ-ლირიკული სიმღერები, სამხ-

რეთით, განსაკუთრებით კამპანიაში — ლირიკული. ამ ოლქის ძირითადი ქალაქის, ნეაპოლის სახელწოდებიდან წარმოსდგება ამ სიმღერათა სახელწოდება — ნეაპოლიტანური. სარდინიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს იავნანები, რომელსაც დურუ-დურუს ეძახიან.

იტალიელთა ცეკვებიდან აღსანიშნავია ტარანტელა. რომლის სამშობლოა სამხრეთ იტალია. იგი საერთო ნაციონალურ ცეკვადაა აღიარებული. ლაციოში ცეკვავენ ე.წ. სალტარელოს, ლომბარდიაში — ლომბარდუს. ვენეციის ოლქში გავრცელებულია ფრიული ცეკვა — ფურლანა.

იტალიაში დიდადაა განვითარებული ხალხური ხელოვნება. იტალიელი ხელოსნები დიდი გულისყურითა და მონდომებით ამზადებენ ისეთ საგნებს, რომლებიც შეიძლება ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშად ჩაითვალის. ისინი ცნობილი არიან ქსოვის, დეკორატიული ქსოვილის, კერამიკის, ხეზე ჩაფიონისა და ინკრუსტირების მაღალი ხელოვნებით. ცნობილია იტალიელი ოსტატების მიერ შეტალზე გრავირებისა და მინის მხატვრულად დამუშავების ხელოვნება, ნიჟარისაგან სამკაულის, სამაჯურების, ჭილოფისაგან ქუდების, კალათების, ავეჯისა და სხვა საგნების კეთება.

იტალიელთა სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა იტალიელი ხალხის უდიდესი მონაპოვარია მსოფლიო კულტურის საგანძურში. აღორძინების ეპოქაში იტალიელმა არქიტექტორებმა, მხატვრებმა თუ მოქანდაკეებმა ძალზე მკაფიოდ გამოხატეს, გადმოსცეს თავის შემოქმედებაში ჰუმანიზმის იდეები, ადამიანის შემოქმედებითი რწმენა და სულიერი ძლიერება. ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის, ტიციანის და სხვათა შემოქმედებაში მკაფიოდ გამოიხატა იტალიელი ხალხის ესთეტიკური იდეალები.

ბაროკოსა და როკოკოს სტილის ბატონობის შემდეგ (XVI-XVIII სს.) იტალიურ ხელოვნებაში ძირითადად განვითარდა და დამკვიდრდა კლასიციზმი, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია — ანტონიო კანოვა.

ბ. ფ რ ა ნ გ ე ბ ი — რომანიზაციის შედეგად ცალკე ერად ჩამოყალიბებული ფრანგები ევროპის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა. საკუთრივ საფრანგეთი ინდუსტრიული ქვეყანაა მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობით.

საფრანგეთის სოფელში განვითარებულია მესაქონლეობა, მეფრინველეობა და მევენახეობა. ამ უკანასკნელს აქ მისდევენ მოელ; ქვეყანაში ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გამოკლებით. შემთხვევითი არაა, რომ ფრანგებს პირველი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში ღვინის გამოყენებაში — იგი სუფრასთან დღეში ორჯერ მაინც მიაქვთ. მარცვლეული კულტურებიდან საფრანგეთში მოჰყავთ: ხორბალი, შვრია, ქერი, ჭვავი, სიმინდი და ბრინჯი (ორი უკანასკნელი — უფრო ნაკლებად).

საყოველთაოდ განოქმულია ტრადიციული ფრანგული სამზარეულო და მისი მრავალფეროვნება. ბოსტნეული, ძირხვენეული და ყველი ფრანგული

სუფრის ძირითადი კომპონენტებია. ტრადიციული ეროვნული კერძებია: მდუღარე ზეთში დამზადებული კარტოფილის ბივშტექსი, პრასის წვნიანი კარტოფილით და ყველით შემზადებული ხახვის წვნიანი. ფრანგების კვების რაციონში დიდი ადგილი ეთმობა ხორცს — ბოცვრის და შინაური ფრინველისას ყველგან, ხოლო მტრედისას — ქვეყნის სამხრეთში. ძალზე უყვართ სხვადასხვა სახის თევზეულისაგან დამზადებული საჭმელები, ხამანწკა ნიორმოსხმული რუხი პურით და ზეთისხილი. საერთოდ, ატლანტიკის სანაპიროებზე მოპოვებული ხამანწკის რეწვით ფრანგებს პირველი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში.

საფრანგეთის სოფლები დასახლებათა ტიპების მიხედვით სამ ზონად იყოფა: ქ უ ჩ ი ს გ ა ს წ ვ რ ი ვ დაგეგმილი სოფლის ზონა; იგი გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში; შ ე ჯ გ უ ფ ე ბ უ ლ ა დ განლაგებული სახლებიანი სოფლების ზონა — ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მთიან რაიონებში; ხ უ ტ ო რ ე ბ ი ს ზონა — ცენტრალურ, სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში.

საფრანგეთის სოფლებში გავრცელებულია ოთხი ტიპის კარმიდამო: 1 ფ რ ა ნ გ უ ლ ი ტ ი პ ი — ერთსართულიანი ნაგებობა, სადაც ერთი სახურავის ქვეშ გაერთიანებულია ქუჩის პარალელურად, ზოგჯერ ერთ შწკრივად განლაგებული საცხოვრებელი და სამეურნეო ოთახები. ძირითადად ეს ტიპია გავრცელებული ქვეყნის უმეტეს ნაწილში; 2. კ ო რ ტ ე — იგი გავრცელებულია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში და მდინარე სენის შუა წელზე; 3. ა ლ პ უ რ ი ტ ი პ ი — გავრცელებული ალპებსა და პირენეებში და 4. ლ ა თ ი ნ უ რ ტ ი პ ს — მიმსგავსებული ნაგებობანი. გავრცელებული ქვეყნის სამხრეთით და კუნძულ კორსიკაზე.

ფრანგულმა ტრადიციულმა ტანსაცმელმა ყველაზე უფრო სოფლებში შემოინახა თავი, მაგრამ აქაც — ნაკლებად. რაც შეეხება ქალაქებს, აქ საეროოევროპულმა ტანსაცმელმა ეროვნული ფრანგული ტანსაცმელი, ევროპაში ყველაზე ადრე შეცვალა. იგივე შეიძლება ითქვას სოფლის მოსახლეობის ტანსაცმლის შესახებაც. ამიტომ ფრანგული ტრადიციული ტანსაცმლის შესახებ დღეს წარსულ დროში შეიძლება საუბარი. XVIII საუკუნემდე ამაკაცის ტანსაცმელი მოკლე, წვივს ქვემოთ შეკრული შარვლის, პერანგის, ჟილეტის, ყელზე მოსახვევისა (კაშნე) და ფეტვის ან ჭილის ქუდისაგან შედგებოდა. XVIII საუკუნის ბოლოდან მოკლე შარვლები გრძელმა და ვიწრო შარვლებმა შეცვალა. რაც შეეხება ქალის ტანსაცმელს, იგი აქ ყოველთვის დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ფრანგები ხომ ამ დარგში მსოფლიო მოდის კანონმდებლებად ითვლებიან.

ძველად ფრანგი გლეხის ფეხსაცმელი ხის მთლიანი ნაჭრისაგან ამოღარვით მზადდებოდა და საბო ერქვა, იგი უკვე გამოსულია ხმარებიდან. მხოლოდ ზოგან, და ისიც ძალზე იშვიათად, თუ იყენებენ მოხუცები, თანაც მარტო ციესა და წვიმიან ამინდში.

საფრანგეთში განვითარებული იყო ხელოსნობის ისეთი დარგები, როგორიცაა: ხეზე ჭრა, წვნა, ფაიფურის მოხატვა. ხეზე ჭრის ოსტატები ცნობილი იყვნენ ავეჯის, საოჯახო ჭურჭლისა და ასევე საეკლესიო მოწყობილობების დამზადებით.

ფრანგულმა მაქმანმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ამასთან, ყველაზე გავრცელებულია ქალაქებში — ვალანსენისა და ვანტილიაში დამზადებული მაქმანები.

ფაიფურის ჭურჭლის მოხატულობა ძირითადად ქალაქ ლიმაჟოსთან დაკავშირებული. ეს ქალაქი შუა საუკუნეებში ითვლებოდა ერთ-ერთ ძირითად ცენტრად მხატვრული მინანქრის წარმოების საქმეში.

მორწმუნეთაგან საფრანგეთში უმეტესობას კათოლიკეები შეადგენენ. ეს დაახლოებით 1 მილიონამდე პროტესტანტია. ისიც უნდა ითქვას, რომ ფრანგების უმეტესობა ეკლესიაში დადის მხოლოდ განსაკუთრებული ცერემონიებისა და სადღესასწაულო აქტების შესრულების დროს, როგორიცაა: ნათლობა, ქორწილი ან დასაფლავება. მიუხედავად იმისა, რომ 1905 წლიდან ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, ოფიციალური ხელისუფლება ყოველთვის მხარს უჭერს მას სხვადასხვა რელიგიური საკითხის გადაწყვეტისას. თავის მხრივ, ეკლესია ცდილობს, გაავრცელოს თავისი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე; მაგალითად, მის ხელშია კერძო განათლების დაწესებულებები.

ფრანგულ ოჯახებში მრავალ საოჯახო ტრადიციულ წეს-ჩვეულებას იცავენ; ესენია: ნათლობა, ბავშვების კონფირმაცია (პირველი ზიარება), ქორწილი, დასაფლავება და მიცვალებულთა სულების მოხსენიება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა ტრადიციულმა დღეობამ ან დღესასწაულმა დაკარგა თავისი ძველი მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობა. ეს ეხება ისეთ პოპულარულ დღესასწაულებსაც, როგორიცაა შობა. შობა საოჯახო დღესასწაულია. ძველად ამ ზეიმის ჟამს ოჯახში თავშეყრის ტრადიციული ადგილი (ცენტრი) იყო ბუხარი, სადაც იწვებოდა შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი შეშის ნაპობი. ბუხრის წინ მოკალათებული იყო მთელი ოჯახი, მღეროდნენ, საუბრობდნენ. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით აშზადებდნენ საზეიმო სუფრას, ტკბილეულს და სხვ.

რელიგიური დღესასწაულებიდან ფრანგები აღნიშნავენ მიძინების დღესასწაულს, რომელიც 15 აგვისტოს იმართება, ასევე ზეიმობენ ყველა წმინდანის დღეს, იგი აღინიშნება, აგრეთვე, როგორც მიცვალებულთა სულების მოხსენიების დღეც (1 ნოემბერი).

ფრანგების ნაციონალურ დღესასწაულს — 1789 წლის 14 ივლისს — ბასტილიის აღების დღეს, ხელისუფლება აღნიშნავს ოფიციალური ცერემონიით, სამხედრო აღლუმითა და სხვ.

საინტერესოა სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში გავრცელებული ხარებთან ბრძოლა. განსაკუთრებით პოპულარულია იგი ნიმასა და არლეში.

ძალიან მდიდარია ფრანგული სასიმღერო შემოქმედება. ბევრი სიმღერა საწესჩვეულებო ხასიათისაა: საქორწილი, საკარნავალო, საშობაო და სხვ; ამ სიმღერათა უმრავლესობა ყოფაში აღარ გვხვდება უკვე XVIII საუკუნის ბოლოდან. ასევე, ფრანგებში გავრცელებული იყო ლირიკული, სატირული სიმღერები და ფერხულები.

უკანასკნელ წლებში, საეროაშორისო ტურიზმის განვითარების შედეგად ხალხურმა ტრადიციებმა დაიწყო აღორძინება. თითქმის ყველა ფრანგულ პროვინციაში ჩამოყალიბდა ფოლკლორული ჯგუფები, რომლებიც ორგანიზაციას უკეთებენ ფოლკლორულ ზეიმებს.

რაც შეეხება ცეკვებს — საზეიმო ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ფრანგები, ძველი მუსიკალური ინსტრუმენტების აკომპანიმენტით ასრულებენ სხვადასხვა ცეკვას. მაგალითისათვის, საფრანგეთის სამხრეთში ცეკვავენ საყოველთაოდ განთქმულ პროვანსულ ფარანდოლს, ოვერენები ცეკვავენ ბურეს. გუდასტვირის, ვიოლას ან აკორდეონის თანხლებით (ვიოლა სიმებიანი ინსტრუმენტია, რომლისგანაც შემდგომ განვითარდა ვიოლინო).

ბრავალი ფრანგი კომპოზიტორის შემოქმედებაში გამოყენებულია ფრანგული ხალხური სიმღერებისა თუ ცეკვების მოტივები. ამ კომპოზიტორთა რიცხვშია: გ. ბერლიოზი, ჟ. ბიზე, კ. სენ-სანსი, მ. რაველი და სხვები.

გ ვ ა ლ ო ნ ე ბ ი — ისინი ევროპის ერთ-ერთი უძველესი მოსახლენი არიან. ცხოვრობენ ბელგიაში, მის სახმრეთ-აღმოსავლეთში, ძირითადად, ჰატარა ქალაქებსა და მუშაოა დასახლებებში, სადაც მოსახლეობა არაუმეტეს 15 ათას კაცს შეადგენს. მოლიანად, ბელგიის მოსახლეობის ნახევარს ვალონები შეადგენენ. ათეულობით კილომეტრზე ერთმანეთზე გადაბმული მათი დასახლებები გაჭიმულია მდინარე სამბრას გასწვრივ — მონს-შარლეროას ქვანახშირის აუზში და მდინარე მაასის გასწვრივ ნამიურიდან ლიეჟამდე, ანუ მთელი ბელგიის გარდიგარდმო, საფრანგეთისა და გერმანიის საზღვრების შორის.

სოფლის დასახლებებისათვის დამახასიათებელია ქუჩის ან შეჯგუფული ტიპის მცირე და დიდი სოფლები — არდენებში. ვალონთა სახლები აგურისაა, ოღონდ სახლებს ისინი არ აბათქაშებენ, არამედ წითელი აგურის ნაგებობას მშენებლობის პროცესში აგურის თეორ ფენებს ატანენ კედლებში და ასე ალამაზებენ. ვალონებისათვის კარმიდამოს სამი ტიპია დამახასიათებელი: ა ლ პ უ რ ი ტ ი პ ი არდენებში, ი ტ ა ლ ი უ რ ი კ ო რ ტ ე ს მსგავსი და ვ ა ლ ო ნ უ რ ი — იტალიაში გავრცელებული ა პ ე ნ ი ნ უ რ ი ტ ი პ ი ს მსგავსი.

ვალონები ძველთაგანვე ცნობილნი არიან ხელოსნობით. ამჟამადაც ბელგიის მრეწველობის ყველაზე მაღალგანვითარებულ დარგებში — ნახშირის, მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ქიმიური — სწორედ ვალონები არიან დასაქმებული.

სოფლის მეურნეობაში დაკავებულია ვალონთა უმნიშვნელო ნაწილი. ისინი ღია საძოვრებზე მსხლიფეხა, ხორცისა და რძის ძოძეები საქონლის გამოკვებით არიან დაკავებულნი. მათმა განლაგებამ ქალაქების ან დიდი საძრეწველო ცენტრების სიახლოვეს განაპირობა ვალონებში ფერმერული მეურნეობის ფართოდ გავრცელება. ერთი მხრივ, და მათი ვიწრო სპეციალიზაცია — საბოსტნე-საორანჟერეო, მეფრინველეობის, მეღორეობისა — მეორე მხრივ.

დ. პირენეის ხალხები — პირენეის ნახევარკუნძულის ძირითად, სხვაზე მრავალრიცხოვან მოსახლეობას შეადგენენ ესპანელები, პორტუგალიელები, კატალონიელები. ესენი ამ ადგილებში უძველესი დროიდან მოსახლე რომანიზებული მცხოვრებლებია.

პირენეელები იმთავითვე განოქმული მევენახეები, მეღვინეები და ძროვ-ზეები იყვნენ. აქ ბერძნებმა ზეთისხილის კულტურა შეიტანეს. რომელსაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი და ამჟამად ესპანეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა ზეითუნის ზეთის წარმოებით. დიდი ადგილი უჭირავს კატალონიელთა სამეურნეო საქმიანობაში მეციტრუსეობას, რის გამოც ესპანეთი ციტრუსების მოსავლით მსოფლიოში მეორე ადგილზეა აშშ-ის შემდეგ; რაც შეეხება აქ ასევე ფართოდ გავრცელებულ ლეღვისა და ნუშის მოსავალს — ესპანეთი მეორე ადგილზეა მსოფლიოში იტალიის შემდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადად მიანიშნებს იმაზე, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს პირენეის მოსახლეობის ცხოვრებაში სოფლის მეურნეობას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პირენეის მოსახლეთა ცხოვრებაში **სა-მარცვლე მეურნეობა**. იგი ძირითადად წარმოდგენილია ხორბლისა და ზოგიერთი სხვა მარცვლეულის სახით. აქ ეს უმოავრესად საირიგაციო სისტემაზეა დამყარებული. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში აქ არაბებმა შემოიტანეს და გაავრცელეს ნორია — წყალსატევებიდან ბადიით წყლის ამოსასაპავი ბორბალი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ცხენს ან სახედარს.

ესპანეთი და პორტუგალია ჯერ კიდევ რომის დროიდან განოქმული იყო მსხვილფეხა საქონლის მომრავლებით. დღესაც ესპანელების, გალისიელების, პორტუგალიელების და ნახევარკუნძულის ზოგიერთი სხვა ჩრდილოეთის ხალხის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმიანობას მსხვილფეხა საქონლის მოშენება წარმოადგენს. აქ უძველესი დროიდანვე აშენებდნენ ოხას. ხოლო ცხვარი არაბებმა შემოიყვანეს.

დღეს ორივე ეს ცხოველი ისევ გავრცელებული ესპანეთში. რომ ასი რაოდენობით იგი მხოლოდ ინგლისსა და საბერძნეთს ჩამორჩება.

პირენეის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლებში ცხოვრობს. ძველი რომაელთა დროის მრავალი სოფელი საუკუნეთა განმავლობაში ულამაზეს პატარა ქალაქებად ჩამოყალიბდა, მაგალითად, მერიდა ესპანეთში, ტარაგონა კატალონიაში, მაგრამ სოფლური დასახლება მაინც ბოლომდე ტრადიციულია პირენეელებისათვის.

პირენეის ნახევარკუნძულზე საცხოვრებელი კარმიდამოს შვიდი ტიპია მკველვარაოა მიერ გამოყოფილი:

1. გ ა ლ ი ს ი უ რ ი — იგი გავრცელებულია ჩრდილოეთის ტენიან ზონაში, პორტუგალიის დასავლეთიდან ნავარამდე; მსგავსია იტალიაში გავრცელებული აპენინური ტიპისა და საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ცალ-ცალკე აშენებას გულისხმობს.

2. ბ ა ს კ უ რ ი — გავრცელებულია იმავე ტერიტორიაზე და წარმოადგენს გეგმაში მართკუთხედის ფორმის ორ ან სამსართულიან სახლს;

3. კორტეს თიხატკეპნილი ვარიანტი, რომელიც გავრცელებულია პორტუგალიაში, პირენეის მთების ცენტრალურ ნაწილში;

4. ლ ე ვ ა ნ ტ უ რ ი ბ ა რ ა კ ა — ლელქაშისაგან დაწნული და თიხით შელესილი ქოხი. იგი გადახურულია მაღალი, ორფერდა, თითქმის მიწამდე დასული უსაკვამურო სახურავით;

5. ა ნ დ ა ლ უ ს ი უ რ ი კ ო რ ტ ე — ნაგებობებით ჩაკეტილი ოთხკუთხედი, რომაელთა და არაბთა საცხოვრებლების კვალით;

6. ა ნ დ ა ლ უ ს ი უ რ ი ს ა ხ ლ ი — იგი ძირითადად გავრცელებულია არაბთა ყოფილი ბატონობის ადგილებში — ანდალუსიაში, ვალენსიაში, კატალონიაში. წარმოადგენს ტერასულ სახლს მიწის ან თიხატკეპნილი კედლებით და ბრტყელი გადახურვით;

7. კ ო რ ტ ი ხ ო — მსგავსია იტალიური კორტეს ტიპისა, მაგრამ ახასიათებს ქვის ნაგებობათა მეტი ფუნდამენტურობა, მათ მიერ შექმნილი ჩაკეტილი ეზო კომკით, რომელშიც ჭიშკარია ჩატანებული. ეზოს შიგნითვეა სამეურნეო ნაგებობანი განლაგებული. ეს არის ანდალუსიური სამემამულო ნაგებობის ტიპი.

როგორც ყველა რომანული ხალხის, პირენეის მცხოვრებთა ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ხალხური ჩაცმულობის ვარიანტები შემონახულია მხოლოდ ზოგიერთ, უმთავრესად, სოფლის ადგილებში. ესპანელი ქ ა ლ ი ს ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ს შეადგენს: ნაოჭებიანი ქვედატანი, პატარა წინსაფარი, ღია ფერის ზედატანი, კორსაჟი — შალის მოკლე ქურთუკი, ან მანტონი — ჭრელი, მკერდზე დამაგრებული შალი. თავზე ახურავთ თავსაფარი ან სომბრერო. კ ა ც ი ს ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ შ ი შედის: კალსონესი, კამისა, ჩალეკო, ფახა, მონტერა ან სომბრერო. პირველი მუხლებზე ოდნავ გრძელი ვიწრო შარვალია; კამისა თეთრი სელის პერანგია; ჩალეკო იგივე ჟილეტია; ფახა ხასხასა ფერის სარტყელია წელზე, ხოლო მონტერა ორრქიანი ქუდია. კატალონიელები დამატებით ატარებენ ბერეტინოს — ჩაჩის ქუდს. გალისიელთა ტანსაცმელი მუქი ფერებით და მეტი ნაოჭებით გამოირჩევა, ხოლო პორტუგალიელთა ტანსაცმელი, ესპანელებთან შედარებით უფრო ნათელი ფერებისაა.

ე. ესპანელები — მოსახლეობენ პირენეის ნახევარკუნძულის ისტორიულ ოლქში — კასტილიაში, ასტურიაში, ლეონეში, ესტრემადურეში, არაგონაში, ანდალუსიაში, მურსიასა და ვალენსიაში.

ესპანური ენა მიეკუთვნება რომანული ჯგუფის ინდოევროპული ენების ოჯახს. ნაციონალურ, სალიტერატურო ენას საფუძვლად კასტილიური დიალექტი დაედო.

ესპანელების ეთნოგრაფიულნი თავისებურებანი თავს იჩენს მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა სფეროში.

ესპანელების ნახევარზე მეტი ცხოვრობს სასოფლო დასახლებებში. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ძირითადად გაბნეული სახის დასახლებებია — პატარა სოფლები ოთხი, ხუთი ოჯახით, რომლებიც ერთმანეთისაგან არც თუ ისე დიდი მანძილითაა დაშორებული. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცენტრალური დასახლებები, ქუჩებით დაგეგმარებული სოფლები.

ესპანელების საშზარეულო მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საქვეყნოდ ცნობილი მათი კერძები. კასტილიაში ცნობილია კერძი — კოსიდო, რომელიც ხორცისა და მწვანილეულობისაგან მზადდება; ასტურიაში ცნობილია კერძი — ფაბადა (ლობიო); ვალენსიაში — პაელია (წვნიანი კერძი საქონლის ხორცით ან ქათმით გაკეთებული); ანდალუსიაში — გასპაჩო (ცივი შეჭამანდი ზეითუნის ზეთით, ღვინით, პურის პატარა ნაჭრებით, კიტრით, ტომატით, პილპილით, ხახვითა და ნივრით შეზავებული); მურსიის ოლქში ყოველდღიური საჭმელია ზამთარში — სემოლი (ხორბლის ან ბურღულეულის ფაფა, ღორის ქონითა და რძით შეზავებული), ხოლო ზაფხულში — ტომატითა და პილპილით შეზავებული; ლა-მანჩეში კი მიირთმევენ პისტო მანჩეგოს (მოთუშულ ბოსტნეულს). მთელ ესპანეთშია გავრცელებული ხორციანი შეჭამანდი, რომელსაც ოლუს ეძახიან.

ესპანელები ბევრ ყავას სვამენ. დილით რძიანს, ხოლო დღის განმავლობაში შავს. დიასახლისები ამბობენ, რომ მათი საჭმლის რაციონში ყველაზე მეტი გასავალი ყავასა და შაქარს აქვსო. ასევე სვამენ ყაშლის ნეკრს, ლიმონათს, საკმაო რაოდენობით ღვინოს, ხოლო სპირტიანი სასმელებიდან — არაყს (აგუარდიენტეს).

ესპანელთა უმრავლესობა კათოლიკეები არიან. კათოლიციზმი აქ 1945 წლის, 17 ივლისის კანონით ითვლება სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად. ამდენად, სხვა რელიგიის წარმომადგენლებს ეკრძალებათ ქვეყანაში რაიმე სახალხო ცერემონიალის ჩატარება. სამღვდელოების 200 ათასი წარმომადგენელი სუბსიდიებს იღებს სახელმწიფოსაგან. ქვეყანაში იგრძნობა ვატიკანის დიდი გავლენა.

მაგრამ ოფიციალურ რელიგიასთან ერთად მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი წარმართობის დროინდელი კულტების გადმონაშთები. მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას სჯერა კეთილი და ბოროტი სულისა

ასევე — მოჩვენებების, ფუძის ანგელოზის, ფერიებისა და ჯადოქრების, რომლებიც მათი გაგებით, ცხოვრობენ მდინარეებში, ტბებსა თუ ტყეებში, ჯუჯებისა და სალამანდრების სახით. ასევე სჯერათ კენტავრებისა და სატირების მსგავსი ნახევრად ადამიანისა და ნახევრად მხეცების არსებობა.

საქორწინო ურთიერთობებიდან საინტერესოა ნიშნობის ტრადიცია, რომელიც თავისებურებებით ხასიათდება. საქმრო და საცოლე დანიშნულად არ ჩაითვლება მანამდე, სანამ მათი მშობლები, ჯერ ერთი არ შეთანხმდებიან ამის შესახებ და მეორეც, ამ საკითხთან დაკავშირებით არ მიირთმევენ ვიროევზისაგან დამზადებულ ტრადიციულ კერძებს. ამის გამოა, რომ ნიშნობას ესპანეთში ჰქვია „ჭამე ვიროევზა“ — „კომერ ბაკალაო“.

თუ საქმროს სურვილი აქვს დაქორწინდეს ქალიშვილზე, რომელიც მოსწონს, იგი აფენს ჭილოფისაგან ბილიკს, თავისი სახლიდან ქალიშვილის სახლამდე.

სიოფელში ქორწილს იხდიან დიდი ზეიმით, ხმაურითა და მხიარულებით. საქორწილო სუფრის აუცილებელი კერძია — აროს კონ ლეჩე (ბრინჯისაგან დამზადებული ტკბილი კერძი რძით შეზავებული).

მექორწილენი ჯამზე, რომელსაც ნათლიდედა და ნათლიმამა ჩამოატარებენ, ყრიან ფულს ან საჩუქარს იმისათვის, რომ პატარძალთან ცეკვის საშუალება მიეცეთ. მექორწილენი დაღამებისას აწყობენ ფეიერვერკს, ახალდაქორწინებულთა ფანჯრებთან მღერიან სერენადებს, რომლებიც როგორც ამბობენ, გადაიზრდებოდა ხოლმე ე.წ. „კატების კონცერტში“, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა ქორწინდება ქვრივი ქალი ან ქვრივი მამაკაცი. ეს ჩვეულება ოანდათან ქრება.

ესპანეთში ქალის მდგომარეობა ოჯახში არაერთგვაროვანია. მაგალითად, ასტურიაში, ლეონში — ისე როგორც ბასკებსა და გალისიელებში ქალი დიდ მონაწილეობას იღებს მინდვრის სამუშაოებში, ასევე თანასწორუფლებიანია საოჯახო საქმეებშიც. უფრო მეტიც, ლეონელში ბევრგან, როცა ქალები მინდვრებში მუშაობდნენ, მამაკაცები რჩებოდნენ სახლში, ქსოვდნენ და საქმიანობდნენ საოჯახო მეურნეობაში. არსებობს გამოთქმა: „ლეონის პროვინციის ქალები აკეთებენ იმას, რაც მამაკაცებმა უნდა გააკეთონ“.

დიდია კორიდის — ხარებთან ბრძოლის ტრადიცია ესპანეთში. კორიდა (კორიდა დე ტოროს) როდის წარმოიშვა, დადგენილი არ არის. ზოგიერთი მოსაზრებით, იგი გადმოიღეს მავრების ჩვეულებიდან, სხვები თვლიან, რომ მასში არეკლილია ხარის კულტის, როგორც ტოტემური ცხოველის, გადმონაშთები, ან კიდევ ესპანელების სიყვარული ცირკის სანახაობისადმი, რაც სათავეს უნდა იღებდეს რომში გლადიატორების ბრძოლიდან. XVIII საუკუნემდე ხარებთან ბრძოლა იმართებოდა მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის დროს და მაშინ მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ პატივცემული სენიორები.

კორიდის მონაწილე ჯგუფი შედგება 12-14 ტორერისაგან, რომლებსაც აცვიათ ტრადიციული ძვირფასი კოსტიუმები. ამ ჯგუფის მთავარი ფიგურაა მატადორი, ან ესპადა (დაშნის ნიშნავს), რომელთაც ჰყავთ წითელი მოსასახამებით შემოსილი ასისტენტები. მათ უკმდეგ მოდიან ხელშუბის მსგავსი წვეტიანი ღეროებით შეიარაღებული ბანდერილიერები და ცხენოსანი პიკადორი შუბით ხელში. ბრძოლის მიზანია დაშნით ხარის ღაფრა ქეჩოდან გულისაკენ. მატადორმა ეს უნდა გააკეთოს სწრაფად, ყოჩაღად და მოხდენილად. ამისათვის ის იყენებს მოსასახამს და ჯოხზე გაჭიმულ მულეტს — სამკუთხედი ფორმის წითელი მაუდის ნაჭერს. ხარის მოქანცვაში მატადორს ეხმარებიან პიკადორები. საბოლოოდ, ხართან უკანასკნელი შერკინებისას ბანდერილიერმა ან მატადორმა ცხოველის კისერში უნდა ჩაარჭოს რამდენიმე ბასრი ხელშუბი, რის შემდეგაც ტორერო უკვე ეროიერთზე იბრძვის გახელებულ, გაცოფებულ ცხოველთან და საბოლოოდ აშარცხებს მას.

გარდა ხარებთან ბრძოლისა, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, დღესასწაულებზე იციან ე.წ. მამლების ბრძოლა. ვალენსიის ზოგიერთ სოფელში ამ მიზნისათვის გამოყოფილია პატარა, ცირკის მსგავსი არენები (მოედნები).

ესპანელთა ხალხური შემოქმედება მკაფიოდ აისახა მუსიკაში — განსაკუთრებით, ესპანურ სიმღერებსა და ცეკვებში. სიმებიანი ინსტრუმენტებიდან მთელს ესპანეთშია გავრცელებული გიტარა ან ისეთი მუსიკალური საკრავები, როგორიცაა: პანდერო, პანდერეტო (დაიარა), კასტანეტები. ხოლო ჩრდილოეთ რაიონებში გაიტა (სტვირი).

საყოველთაოდ ცნობილია ესპანური ცეკვები, შეტად თავისებური ტრადიციული ფორმებით. ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონების მოსახლეობის ცეკვები ჯგუფურ ხასიათს ატარებს, რომელსაც ასრულებენ სოფლის დღესასწაულებზე რბილ ფეხსაცმელებში (ალპარგატები) ნაცვლები, მოკლე ქვედატანით, მამაკაცები — კალსონერებში. დიამეტრულად განსხვავებულია სამხრეთი ესპანეთის ცეკვები. ანდალუსიის ხარის ცეკვის მანერაში გამოხატულია ე.წ. „ესპანური სტილი". ამ ცეკვების შესრულება ინდივიდუალურია და საჭიროებს დიდ განსწავლას.

ვ. კ ა ტ ა ლ ო ნ ი ე ლ ე ბ ი ან კატალანები (თვითსახელი — კატალან) განსახლებულნი არიან ჩრდილო და აღმოსავლეთ ესპანეთის რაიონებში.

კატალონიელების ენა მიეკუთვნება რომანული ჯგუფის ინდოევროპული ოჯახის ენებს და ახლოსაა ესპანურ ენასთან, მაგრამ მან ძველი პროვანსული ლიტერატურული ენის ძლიერი გავლენა განიცადა. კატალონიურ ენაში ორ დიალექტს ასხვავებენ: პ ი რ ე ნ ე ულ ს, რომელიც მთელს ფრანგულ კატალონიაში და ესპანეთის კატალონიის ჩრდილოეთ ნაწილშია გავრცელებული; მეორეა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ კ ა ტ ა ლ ო ნ ი უ რ ი, რომელიც კატალონიის თითქმის ძირითად ნაწილს მოიცავს.

ვარაუდობენ, რომ კატალონიელები ჩამოყალიბდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ესპანეთის ტერიტორიაზე, დაახლოებით XV საუკუნეებში. ამავე პერიოდს მიეკუთვნება კატალონიურ ენაზე დაწერილი პირველი ლიტერატურული ძეგლები.

კატალონიელები კათოლიციზმის მიმდევრები არიან, თუმცა მთიან კატალონიაში შემორჩენილია წარმართული რწმენა-წარმოდგენები. ისინი პატივს ცემენ ოჯახის სულებს, ცეცხლს, სახლის ბალავრის ჩაყრისას ასრულებენ სხვადასხვა რიტუალს, რაც გამოიხატება სიმბოლურ მსხვერპლშეწირვაში, ცხოველების შელებილი ფიგურების სახით. გარდა ქრისტიანული რელიგიური დღესასწაულებისა, ზოგან შემორჩა ისეთი დღეობებიც, რომელიც დაკავშირებული იყო ცხოველთა და სამიწათმოქმედო კულტებთან. მაგალითად, მათი რწმენით, ასეთია ზამთრის მასკარადი, სადაც მონადირისა და დათვის ფორმაში გადაცმული ადამიანები მონაწილეობენ. აგრეთვე, სიმბოლურად მოხვნის ჩვეულება პირენეის ოლქში და სხვა.

ბერძნული კოლონიზაციის ნაკვალევი აისახა კატალონიელთა მითოლოგიაში. კატალონიის ჩრდილოეთ სანაპიროზე ძალზე პოპულარულია მითი პოლიფემეს შესახებ, ხოლო მეზღვაურებსა და მეთევზეებს შორის გავრცელებულია ლეგენდები სირინოზების შესახებ.

კატალონიაში საკმაოდ განვითარებულია ხალხური შემოქმედება. აქ მრავალი სახალხო სასიმღერო საზოგადოებაა. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად „ორფეი კატალა" მსოფლიო აღიარებით სარგებლობს. მეტწილად, ეს სიმღერები დაირის თანხლებით სრულდება. ასევე საკმაოდ განვითარებულია ცეკვის ხელოვნება. ცეკვის შესრულებისას ახალგაზრდები აგებენ ხუთრიგიან პირამიდას. ისინი ერთმანეთის მხრებზე დგებიან, ხოლო ანსამბლის ყველაზე მცირეწლოვანი მონაწილე პირამიდის წვერზე ადის.

კატალონიურ ენაზე მოიპოვება მდიდარი ლიტერატურა. XX საუკუნის მწერლებიდან ევროპაში ცნობილია დრამატურგები: ანჯელო გიმპერა, იგნაზი იგლეზიასი, პოეტი სანტიაგო რუსინიოლი. თანამედროვე მუსიკალური სამყაროს ერთ-ერთი ფიგურა იყო კატალონიელი ვიოლონჩელისტი, დირიჟორი, საზოგადო მოღვაწე და კომპოზიტორი პაბლო კაზალსი.

ზ. პ ო რ ტ უ გ ა ლ ი ე ლ ე ბ ი (თვითსახელი პორტუგეში) ქვეყნის მოსახლეობის 99,5%-ს შეადგენს (დაახლოებით 9 მილიონზე მეტი კაცი). გარდა ევროპისა, პორტუგალიელები ცხოვრობენ ამერიკაში, ძირითადად ბრაზილიასა და აშშ-ში, ასევე აფრიკასა და აზიის ზოგ რაიონში.

პორტუგალიური ენა რომანული ჯგუფის ინდოევროპული ოჯახის ენებს მიეკუთვნება. აქვს დიალექტები: მირანდული, ჩრდილოპორტუგალიური, სამხრეთ პორტუგალიური და კუნძულების დიალექტი. ლიტერატურულ ენას საფუძვლად დაედო ცენტრალური პორტუგალიის მელოდიური და რბილი კილო.

პორტუგალიის უძველესი მოსახლეობა წერილობითი წყაროების მიხედვით, იყო ლუზიტანიის ტომები. ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ისინი დაარბიეს ველურმა ტომებმა, რომლებმაც მყარად მოიკიდეს ფეხი ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ პირენეის ნახევარკუნძულზე. შემდეგ აქ გამოჩნდნენ ფინიკიელები და ბერძნები, ხოლო ძვ. წ. III და ახალი წ. V საუკუნეებში აქ ბატონობდნენ რომაელები, რომელთაც ყველაზე მეტად იზიდავდა პროვინცია ლუზიტანია. 409 წელს ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი მიწები დაიპყრეს სვევებმა, ხოლო 710 წლიდან ლუზიტანია დაიკავეს არაბებმა.

XV საუკუნიდან ვითარება შეიცვალა. ამ საუკუნიდან მოყოლებული პორტუგალიელებმა თვითონ დაიწყეს ექსპანსია ევროპის საზღვრების იქით. 1415 წელს დაიპყრეს სეუტა (მაროკო). 1418 წელს — მადეირას არქიპელაგი, 1431 წელს — აზორის კონცხი. მრავალრიცხოვანმა დაპყრობებმა პორტუგალია გადააქცია ძლიერ კოლონიურ სახელმწიფოდ. XVI-XVII საუკუნეებში პორტუგალიაში ჩამოიყვანეს მრავალი ზანგი მონა: ისინი თანდათანობით შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მოხდა მათი შერევა.

1581 წელს პორტუგალია ესპანეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. მხოლოდ 1640 წლის ლისაბონის აჯანყების შემდეგ მოიპოვეს პორტუგალიელებმა დამოუკიდებლობა.

პორტუგალიელთა ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. მასში დაკავებულია მთელი მოსახლეობის ნახევარი. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ვაზი, ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი.

მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უმთავრესად აშრაველებენ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ხოლო ცენტრალურ რაიონებში განვითარებულია მეცხვარეობა.

სამიწათმოქმედო ტექნიკა პრიმიტიულია. მიწას ამუშავებენ ხის გუთნით (ლაბ რეგუ); მოსავალს ხელით იღებენ. გამწევ ძალად გამოიყენება ცხენები, ჯორები და სახედრები. მოსახლეობის დაახლოებით 50 ათასი ოჯახი დაკავებულია მეთევზეობით. მეთევზეებს ზოგიერთები თვლიან ფინიკიელ კოლონიზატორთა შთამომავლებად, რადგან მათ ყოფაში შემორჩენილი ყოფილა ფინიკიური კულტურის ელემენტები, კერძოდ, მეთევზეთა ორიგინალური ნავები.

ქვეყნის მთიანი ჩრდილოეთ ნაწილის ზოგიერთ სოფელში უკანასკნელ დრომდე შემორჩა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობების გადმონაშთები. მართალია, გაბატონებულია კერძო მიწათმფლობელობა, მაგრამ ასევე აღსანიშნავია სათემო საძოვრების არსებობაც. საქონელს მწყემსავენ მორიგეობით. ავადმყოფებისა თუ უბედური შემთხვევების დროს მეზობლები დახმარების ხელს უწვდიან დაზარალებულს. სხვადასხვა ოჯახის უფროსები მორიგეობით ასრულებდნენ სოფლის მამასახლისის მოვალეობას. მამასახლისი იწვევდა საბჭოს, რომელიც 5 (ხუთი) სხვა ოჯახის უფროსებისაგან

შედგებოდა. საბჭო წყვეტდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ტყის გაჩეხვა, სარიგაციო სისტემის მოწესრიგება, მოსავლის აღებისა და საძოვრებზე საქონლის გარეკვის დროის დადგენა და სხვ.

პორტუგალიელთა ტანსაცმელი ლამაზი და მრავალნაირია. ქალის ტანსაცმლის ძირითადი ელემენტებია: ფართო ქვედატანი (საია), სხვადასხვა ფერის წინსაფარი, გრძელსახელოებიანი თეთრი პერანგი, კორსაჟი ან ბოლერო და თავსაბურავი. ფეხთ აცვიათ თეთრი წინდები და ხის ძირიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელები. რაც შეეხება მამაკაცის ტანსაცმელს, იგი შედგება მოკლე შარვლისა (კალსასი), მაღალყელიანი წინდებისა, პერანგის, ჟილეტის, ფართო ქამრისა (ფაიშა) და ქუდისაგან (სომბრერო).

პორტუგალიელთა საჭმელში დიდი ადგილი უკავია თევზს. ყველაზე მეტად მიირთმევენ სარდინებს (შემწვარს ან კონსერვირებულს) და ვიროვეზას. თევზეულიდან დელიკატესად მიჩნეულია კალმახი, ორაგული და ხამანწკა.

პურს აცხობენ ხორბლისაგან. გავრცელებულია სიმინდი, განსაკუთყრებით ჩრდილოეთ რაიონებში. მისგან აშზადებენ წვნიანს თაფლით. დიდი რაოდენობით მიიერთმევენ კარტოფილს, ბრინჯსა და სხვადასხვა პარკოსანს. ხორცეულს ჭამენ ცოტას, განსაკუთრებით ეტანებიან ღორის ხორცს, ხოლო მთის მოსახლეობა — ცხვრისას.

ყველაზე გავრცელებულია შავი ყავა, რომელიც პორტუგალიაში შემოაქვთ ანგოლიდან, ესპანეთისაგან განსხვავებით, საუკეთესო ხარისხის ღვინოები აქ გამაგრებულია, პორტვეინის ტიპისაა.

პორტუგალიის მოსახლეობის 93% კათოლიკეა. თუმცა ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, მაგრამ ამას ფორმალური ხასიათი აქვს და პირიქით, ისინი ძალიან ახლო ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან.

პორტუგალიის გლეხებისა და მეთევზეთა საოჯახო ყოფაში ბევრი ძველი ჩვეულებაა შემორჩენილი. ასე მაგალითად, ქორწინებაზე მშობლების წინასწარი შეთანხმება, ნიშნობა და სხვ.

გარდა იმ დღესასწაულებისა, რომლებიც საერთოა ყველა კათოლიკური ქვეყნისათვის, პორტუგალიაში განსაკუთრებულად აღნიშნავენ პატივსაცემი წმინდანი — მფარველების დღესასწაულებს, ასეთები კი მათთვის არის გონსალოსა და კრიშტობალია, ტორკაშუ, ანტონიუსი, პედრუ და სხვ.

ხარებთან ბრძოლა პორტუგალიაში ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ესპანეთში. რაც შეეხება ბრძოლის პირობებს, აქ იგი უფრო შერბილებულია. ვიდრე ესპანეთის კორიდაში. აქ, მაგალითად, ხარს არ კლავენ. ეს სანახაობა უფრო მოგვაგონებს საშიშ თამაშს, ვიდრე შებრძოლებას.

ხ ა ლ ხ უ რ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი დ ა ნ სიმღერების ყველაზე პოპულარული ფორმაა ე.წ. კოსანტები. ითვლება, რომ ეს ფორმა შეიქმნა ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში.

ხალხურ თემებზეა აგებული XVI საუკუნის დიდი პორტუგალიელი პოეტის ლუის დე კამოენსის პოემა, რომელიც მიეძღვნა ცნობილ პორტუგალიელ ზღვაოსანს ვასკო დე გამას.

მდიდარი და ორიგინალურია პორტუგალიელთა მუსიკალური შემოქმედება. მათი სიმღერები მელოდიურია, ბევრი ხალხური სიმღერა უმეტეს შემთხვევაში საცეკვაო მელოდიებზეა აგებული. დიდი პოპულარობით სარგებლობს მელანქოლიური სიმღერა — ფადუ. ხალხური ინსტრუმენტებიდან გავრცელებულია — გიტარა, ფლეიტა, გაიტა, ბრტყელი ბანდოლინა, დაირა, დოლი. ზოგი პორტუგალიური მუსიკალური ინსტრუმენტი არაბული წარმოშობისაა, რაზეც მათი სახელწოდებებიც მეტყველებს. მაგალითად, „ალაუდი“ (ბარბითი), „რებეკა“ (პრიმიტიული ვიოლინო), „ადუფი“ (კვადრატული დაირა) და სხვ.

თ. ბ ა ს კ ე ბ ი — ბასკები რომანულ ხალხთა ჯგუფში მჭიდროდ ცხოვრობენ საცხოვრებლის გეოგრაფიული მდებარეობის გამო თუ განიხილება — პირენეის მთების ორივე კალთებზე — სამხრეთით ესპანეთში და ჩრდილოეთით საფრანგეთში ცხოვრობენ. სხვა მხრივ, ისინი უძველესი, ინდოევროპელებამდელი მოსახლეობის შთამომავლები არიან და ენის მიხედვით იზოლირებული მდგომარეობა უჭირავთ. ბასკების რაოდენობა დაახლოებით 1 მილიონი კაცია. მათი ოვითსახელია „ეუსკალდუნაკი“, რაც ბასკურად მოლაპარაკეს ნიშნავს. 1980 წელს ესპანელმა ბასკებმა მიიღეს საოლქო ავტონომია.

სოფლებში მოსახლე ბასკების ტრადიციული საქმიანობაა გადარეკვითი მეცხვარეობა, მესაქონლეობა, მარცვლეულის მოყვანა. შებაღეობა და მევენახეობა. ქალაქის მაცხოვრებლები დაკავებულები არიან საზღვაო-სავაჭრო გემებზე და მეტალურგიულ წარმოებაში. ბასკებში ძველი დროიდანვე ძნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მეთევზეობას.

ბასკებში გავრცელებულია საცხოვრებლის თავისებური, მათთვის დამახასიათებელი ტიპი, რომელიც „ბასკურის“ სახელს ატარებს. ესაა ძიწის ნაკეთის ცენტრში მდგარი ორი ან სამსართულიანი სახლი. რომლის ქვედა სართული მსხვილი ოლიანი ქვითაა ნაგები, ხოლო ზედა სართული ძელჩარჩოებულია. სახლი მართკუთხედის ფორმისაა, ორფერდა დამრეცი სახურავით, რომლის ქვეშ მოქცეულია როგორც საცხოვრებელი ბინა. ისე სამეურნეო განყოფილებები. სახლს გარშემო აკრავს ბაღი, სახნავი და ვენახი.

ჩაცმულობა ბასკებისა ამჟამად საერთოევროპულია, თუმცა კარნავალებზე ისინი ტრადიციულ ტანსაცმელს ატარებენ. ბასკების შემოღებულია ტანსაცმლის კოლორიტული ელემენტი — ბ ე რ ე ტ ი, რომელიც ფართოდ გავრცელდა სხვა ხალხებშიც.

მკვლევარები საერთო ელემენტებს პოულობენ პირენეის ბასკებისა და „კავკასიის ბასკების“ — ქართველთა ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის ყოფით რეალიებსა და ენაშიც კი. ზოგიერთი მოსაზრებით, ეს ორი ხალხი

ერთ დროს ხმელთაშუაზღვის აუზში განსახლებული საერთო წარმომავლობის ხალხის, ან მონათესავე ხალხთა ჯგუფების დარჩენილი შთამომავლები უნდა იყოს.

ბასკ ქალს ოჯახში თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაღალი ადგილი ეკავა. იგი სოფლის კოლექტივის სრულუფლებიანი წევრია და მამაკაცებთან ერთად, თანასწორი უფლებებით სარგებლობს, მაგრამ მაინც შეინიშნება ზოგიერთი სხვაობა ამ უფლებებს შორის. მაგალითად, მამაკაცები და დედაკაცები ერთად არ სადილობენ. მამაკაცები მაგიდასთან მიირთმევენ საჭმელს, ქალები კი — კერასთან. საზეიმო ვითარების დროსაც ქალებსა და გოგონებს ეკრძალებათ მათთან ერთად ყოფნა და განცალკევებულად არიან.

ბასკებში სპორტის ეროვნული სახეობაა ე.წ. პელოტა, რომელიც ბურთის თამაშის 25 სახეობას აერთიანებს. განვითარებულია ხეზე კვეთის ხელოვნება.

ბასკების ცეკვებიდან საინტერესოა მამაკაცების ცეკვა, რომელსაც ესპატა დანსა ეწოდება და რომელიც ადრე სრულდებოდა ხანჯლებით, ხოლო ახლა ხანჯლები შეცვალა ჯოხებმა. ბასკების ორიგინალური მუსიკალური ინსტრუმენტია ექვსსიმიანი სოინა, ფლეიტა, დოლი, ხოლო სასულე ინსტრუმენტებიდან საყვირი. ბასკების ზოგიერთი სიმღერა მრავალხმიანია.

ბასკონიაში დიდი ყურადღება ექცევა ხალხური შემოქმედების შესწავლას და გამოცემას. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოიცა ზღაპრების, სიმღერებისა და ცეკვების კრებული შედგენილი იგნასიო იცტუეტას მიერ. 1826 წელს პედრო ალბენოსმა გამოაქვეყნა 40 ხალხური ბასკური სიმღერა და სხვ.

ი. მ ა ლ ტ ე ლ ე ბ ი — მალტელები, ბასკების მსგავსად, მხოლოდ თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო განიხილებიან რომანული ხალხების ჯგუფში, თორემ ისინი ძალიან განსხვავდებიან ევროპელი ხალხებისაგან. მათი ენა სემიტურია — წარმოადგენს არაბული ენის ტუნისურ დიალექტთან მიახლოებულს, თუმცა მასში შერეულია იტალიური ენის სიცილიური დიალექტის და ინგლისური ენის ელემენტები, რომლის კოლონიაც იყო მალტა 1900-1964 წლებში.

მალტელები ცხოვრობენ ორ კუნძულზე — მალტასა და გოცოზე. მათი აქ ცხოვრების მატერიალური კულტურის ნაშთები შემონახულია ნეოლითის ხანიდან სამარხებისა და ქვის ნაგებობების ნანგრევების სახით, თუმცა ეს ხალხი, როგორც ჩანს, ჩამოყალიბდა აქ ჩამოსული სხვადასხვა ეთნოსისაგან. რაოდენობითაც მალტელები სულ 400 ათასს შეადგენენ.

სოფლის მეურნეობას მალტელები მისდევენ ტერასული ტიპის მიწის პატარა ნაკვეთებზე. მოჰყავთ ბოსტნეული — კარტოფილი,ხახვი, ნიორი, ლობიო, წიწაკა და მარცვლეული — ხორბალი, ქერი. მესაქონლეობა შეზღუდულია, რადგან საამისოდ ფართობები არ გააჩნიათ და აშენებენ მხოლოდ

ღორს, ცხვარს, თხას, სახედარსა და ჯორს. მიწას ამუშავებენ ოიხით. ზოგიერთი კულტურის მოსავალი წელიწადში 2-3-ჯერ მოჰყავთ.

მალტელების სახლს ფასადზე აუცილებლად აქვს აივანი. ხოლო ძალი ტანსაცმელი უმეტესად შავი ფერისაა.

მალტელების საოჯახო ყოფა ჩვენს დრომდე ინარჩუნებდა ძალიან ძველ-არქაულ ელფერს. საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაში კათოლიკური რელიგიის ძლიერი გავლენა შეინიშნება. სკოლები ეკლესიებთანაა შეკრული.

აქვთ მაღალგანვითარებული მუსიკალური შემოქმედება. არის საოპერო თეატრი, ფილარმონიული საზოგადოებები და სხვ.

§ 2. გერმანელი ხალხები

გერმანელი ხალხები მოსახლეობენ ცენტრალური, დასავლეთი და ჩრდილოეთი ევროპის მიწებზე. დასავლეთ ევროპაში 17 ხალხია, რომელიც ლაპარაკობს გერმანული ენობრივი ჯგუფის ენებსა და დიალექტებზე. ესენია: გერმანელები, ავსტრიელები, შვეიცარიელი გერმანელები, ლუქსემბურგელები, ელზასელები, ლოტარინგიელები, ფლამანდიელები, ჰოლანდიელები, ფრიზები, დანიელები, შვედები, ნორვეგიელები, ისლანდიელები, ფარერელები, ინგლისელები, შოტლანდიელები და ოლსტერელები.

ამ მრავალირცხოვანი ხალხების ეთნოგენეზის ერთიანი სურათის წარმოდგენა რთულია, თუმცა წყაროების შედარებით დიდი რაოდენობა საშუალებას იძლევა, ეს სურათი, ცალკეულ შემთხვევებში, მკაფიოდ გამოიკვეთოს. იგი ასეთია:

ძვ. წ. I საუკუნეში გერმანელ ტომებს ეკავათ თანამედროვე გერმანიის მხოლოდ ჩრდილოეთი მიწები და სკანდინავია. ახ. წ. II-III საუკუნეებში გერმანელებმა დაიწყეს რომის იმპერიის საზღვრებში შეჭრა, ბოლოსდაბოლოს დაამხეს იგი და დასახლდნენ მთელ დასავლეთ რომის იმპერიაში. ჩრდილოეთ აფრიკის გამოკლებით. საკუთრივ გერმანელი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო მდინარეების: რაინს, ელბასა და ზემო დუნაის შორის მდებარე ტერიტორიებზე, სადაც საქსები, ბავარიელები, ალემანები და სხვა ტომები ცხოვრობდნენ. ამ პროცესის დაწყების სათავედ მიიჩნევენ კარლოს დიდის იმპერიის დაშლის დასაწყისს — 843 წელს. იმ დროიდან იუტლანდიის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდნენ დანიელები, ხოლო სკანდინავიის ნახევარკუნძულზე — შვედები და ნორვეგიელები. მოგვიანებით, XI საუკუნეში, ამ უკანასკნელებმა დასაბაში მისცეს ფარერელებს და ისლანდიელებს.

ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე, ნიდერლანდებში, ჩამოყალიბდა ჰოლანდიელი ხალხი, ჩრდილოეთ ბელგიაში — ფლამანდიელები. რომლებიც ენით ჰოლანდიელებს ემსგავსებიან, ხოლო გერმანიის ჩრდილო-დასავლეთში — ფრიზები.

შედარებით რთულად წარმართა ინგლისელების, შოტლანდიელებისა და ოლსტერელების ეთნოგენეზი. V-VI საუკუნეებში ანგლების, საქსების და იუტების გერმანელმა ტომებმა დაიპყრეს ბრიტანეთის კუნძულების მნიშვნელოვანი ნაწილი და იქ მცხოვრები კელტები. ამის შემდეგ დანიელებმა და ნორვეგიელებმა, რომლებიც ასევე გერმანული წარმოშობისანი იყვნენ, დაიწყეს თავდასხმები ირლანდიაზე და მოახდინეს აღმოსავლეთ ინგლისის კოლონიზაცია. 1066 წელს ინგლისი დაიპყრეს ნორმანებმა, გერმანულივე წარმოშობის ტომებმა, რომლებიც აქამდე ნორმანდიაში, ჩრდილოეთსაფრანგეთში ცხოვრობდნენ. დაკარგული ჰქონდათ თავიანთი ენა და ძველ ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდნენ. „ვიკინგების ეპოქაში", 800-1050 წლებში, სხვადასხვა გერმანელმა ტომებმა მეტ-ნაკლები ინტენსივობით რამდენჯერმე გადაიარეს ამ ხალხებზე და ასე ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის ხალხების გერმანული ჯგუფი, რომელიც დღემდე მოდის.

გერმანელი ხალხების ტრადიციული საქმიანობა იყო მეცხოველეობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება და მიწათმოქმედება. კერძოდ, სკანდინავიაში, შვეიცარიაში, შოტლანდიასა და სამხრეთ გერმანიაში — ალპური მესაქონლეობა; ისლანდიასა და ფარერაში — მეცხვარეობა, ხოლო ისლანდიაშიც — მეცხენეობა.

მიწათმოქმედება კარგადაა განვითარებული გერმანიასა და ავსტრიაში, გერმანელებს, დანიელებს, ჰოლანდიელებს მოჰყავთ ხორბლის, ჭვავის და კარტოფილის ყველაზე მაღალი მოსავალი ევროპაში. მაღალგანვითარებული მეთევზეობით გამოირჩევიან ჰოლანდიელები, ნორვეგიელები, ისლანდიელები, ფარერელები.

გერმანული ჯგუფის ხალხები განსაკუთრებით გამოირჩევიან დასახლებათა ტიპებისა და საცხოვრებელი სახლების მრავალფეროვნებით. მათ შესახებ ცნობები ძველი დროიდანვე მოიპოვება და ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნეს უკავშირდება.

გერმანელთა დასახლების ტრადიციული ტიპია შ ე ჯ გ უ ფ უ ლ ი სოფელი უწესრიგოდ განლაგებული ეზოებით და უსწორო ქუჩებით. გერმანელთა ასეთი დასხლებები აღწერილი აქვს ჯერ კიდევ ტაციტუსს და გრძელდება ჩვენს დრომდე. გერმანელთა დასახლების მეორე ტიპია ე. წ. წ რ ი უ ლ ი ფორმის დასახლება ცენტრალური მოედნით და მის ირგვლივ განლაგებული სახლებით. მესამე ტიპია ხ უ ტ ო რ უ ლ ი დასახლება, რომელიც გავრცელებულია ფრიზებთან, ფლამანდიელებთან, ჰოლანდიელებთან, ნორვეგიელებთან და ისლანდიელებთან.

რაც შეეხება საცხოვრებელ შენობას, გერმანელ ხალხებში მისი გავრცელების შემდეგი სურათი ჩანს: ფ ა ხ ვ ე რ ს ი — ჩარჩოებიანი ან კარკასული ტექნიკით აშენებული საცხოვრებელი, გავრცელებული იყო გერმანელებში, ფლამანდიელებში, ფრიზებში, დანიელებში და სამხრეთ შვედებში.

მატერიალური კულტურის ფორმები განსაკუთრებული სიმკვეთრით ძვლავრდება გერმანელთა სწორედ საცხოვრებელი შენობის ტიპებში. ცრადიციულად გამოარჩევენ გერმანული კარმიდამოს საქსონიურ, ფრანკონულ, ალემანურ და სხვა ტიპებს, ხოლო საკუთრივ საცხოვრებელი ნაგებობების რამდენიმე ტიპია წარმოდგენილი. ესენია:

1. ფ რ ი ზ ი უ ლ ი ე ზ ო - ს ა ხ ლ ი — მართკუთხედის ფორმის დიდი კარკასული შენობა. აქ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები მოქცეულია ერთი, ოთხფერდა სახურავის ქვეშ, იგი გადახურულია ჭილოფით, მოგვიანო ხანაში იყენებდნენ კრამიტს. ასეთი სახლები გავრცელებულია ჩრდილო გერმანიაში, დანიაში, ჰოლანდიაში;

2. ლ ი მ ბ უ რ გ ი უ ლ ი ტ ი პ ი — საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობები დგას ცალ-ცალკე. ისინი სამმხრივ ან ოთხმხრივ ეკვრიან ეზოს. კერიის გარდა, საცხოვრებელ ოთახში დგას ღუმელი. იგი გავრცელებულია ქვეყნის შუა ნაწილში და სამხრეთით — შვეიცარიაში, ავსტრიაში, ნაწილობრივ — ბელგიასა და ჰოლანდიაში;

3. ა ლ ე მ ა ნ უ რ ი ტ ი პ ი — მორებისაგან აშენებული ძელური სახლი, სადაც ერთ ჭერქვეშ მოქცეულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. ისინი ეზოს სამი ან ოთხი მხრიდან ეკვრის და ქმნის ჩაკეტილ ეზოს. ოთხმხრივ ჩაკეტილი ეზოს შემთხვევაში ეს ტიპი ემსგავსება იტალიურ კორტეს. ასეთი საცხოვრებელი გავრცელებულია გერმანიის სამხრეთ-დასავლეთში — ბადენ-ვიურტემბერგში.

4. ა ლ პ უ რ ი ტ ი პ ი — ასეთ სახლებში პირველი სართული ქვისაა, ხოლო მეორე ხის. მეორე სართულს დაუყვება აივანი. სახლი ვერტიკალურად იყოფა ორ ნაწილად — ერთში საცხოვრებელია, მეორეში — სამეურნეო სათავსოები. ამ ტიპის საცხოვრებელი გავრცელებულია ზემო ბავარიაში, როგორც ცნობილია, იგი გვხვდება სხვა ქვეყნებშიც — იტალიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, იუგოსლავიაში.

თავისებურ ტიპს წარმოადგენს ნ ო რ ვ ე გ ი ე ლ თ ა ტრადიციული ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი. იგი შედგება ორ ან სამსართულიანი ძელური სახლისაგან და მრავალი სამეურნეო ნაგებობისაგან. დაბლობ ადგილებში ცალკეული შენობები მართკუთხედად განლაგებულია ქვით მოკირწყლული ეზოს ირგვლივ. მთიან ადგილებში შენობები ფერდობებზეა განლაგებული ორ მწკრივად — ერთია „საქონლის რიგი" ფერდობის ქვემო მიმართულებით და მეორეა „საცხოვრებელი რიგი" ფერდობის ზემო მიმართულებით. ასეთი სახლები გვხვდება ტყის რაიონების შვედებთან.

ასევე საინტერესოა სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების ის არქაული ფორმები, რომლებიც ისლანდიაში და ფერარაზეა გავრცელებული. აქ სახლებს აშენებენ ტუფის ან ბაზალტის ქვისაგან, კორდის ბელტებისაგან, ლელიანისაგან ან შემოტანილი ხე-ტყის მასალისაგან, რიყის ქვების შორის

დარჩენილი ადგილები ბელტებით ივსება. გადახურვა ორფერდა — არყის ხის ქერქის ან ფიცრის სახურავით.

დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა გერმანული ჯგუფის ხალხების ტრადიციული ტანსაცმელი. იგი შედგება კორსაჟის, კოფთის, ქვედა კაბისა და წინსაფრისაგან. ამათ ჩრდილოეთის ხალხები შალის თბილი, მძიმე ქსოვილისაგან იკერავენ. გამოირჩევიან ჰესენის მკვიდრი ქალები, რომელთა ქვედა ტანის ნაოჭების რაოდენობა ოცს აღწევს. ნორვეგიაში ქალის ადგილობრივი, სადღესასწაულო ტანსაცმლის 150-მდე სახეობაა.

§ 3. ბერძნები

ბერძნები ევროპის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენ. მათ ერთ-ერთ წინაპრად აქეველებია მიჩნეული, რომელთაც მიეწერებათ კრეტა-მიკენური ტექსტები ა და ბ ხაზოვანი დამწერლობებით; ისინი ძვ. წ. III-II ათასწლეულით თარიღდებიან. ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაცია, რომელიც ძვ. წ. VIII-V საუკუნეებში ჰქონდა ადგილი. ამ დროს ბერძენი მოახალშენეები დასახლდნენ ხმელთაშუა ზღვის, შავი და აზოვის ზღვების სანაპიროებზე. ბერძენმა კოლონისტებმა დასავლურ-ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზეც მოიკიდეს ფეხი. სწორედ მათი წერილობითი წყაროებიდანაა ცნობილი ანტიკური კოლხეთის ქალაქები: ფაზისი, გიენოსი, დიოსკურია.

დიდი ბერძნული კოლონიზაციის დროსვე ჩამოყალიბდა საერთო ბერძნული ერთობა, ერთიანი ენა, საერთო ეთნიკური სახელწოდება — ელინები და ქვეყნის სახელი — ელადა.

შუა საუკუნეებში, V-X საუკუნეებში, ძირითადად, ბერძნების მიერ შექმნილმა ბიზანტიის იმპერიამ, მასში გაბატონებულმა მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ დიდი როლი შეასრულა სლავების, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ხალხების კულტურულ და სახელმწიფოებრივ განვითარებაში. XV საუკუნეში (1453 წელს კონსტანტინოპოლის დამხობის შემდეგ) საბერძნეთი თურქებმა დაიპყრეს და უკვე ამით მოახდინეს თავის მხრივ ზეგავლენა ბერძნების ყოფით და მატერიალურ კულტურაზე. 1830 წელს საბერძნეთმა ეროვნული სუვერენიტეტი მოიპოვა და იგი დღეს ევროპის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ქვეყანაა.

ბერძნებისათვის დამახასიათებელ სამეურნეო საქმიანობას ძველი დროიდანვე წარმოადგენდა მეხილეობა (ყურძნის, ზეთისხილის, ნუშის მოყვანა), წვრილფეხა მეცხოველეობა (მეცხვარეობა და თხების მოშენება), აგრეთვე, ხელოსნობა (მეთუნეობა, ქსოვა და სხვ.). საბერძნეთში განვითარებული იყო, აგრეთვე, მარცვლოვანი კულტურების მოყვანა. მაგრამ მათი მოსავალი არასოდეს აკმაყოფილებდა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებებს. პური

საბერძნეთისათვის ყოველთვის იმპორტის საგანს წარმოადგენდა (შეძლებ-ქონდათ იგი, ძირითადად, ეგვიპტიდან და, ბერძნული კოლონიზაციის შემ-დეგ — ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან, ითვლება, რომ დიდი ბერძნული კოლონიზაციის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ პურის ახალი კერე-ბის მოპოვება იყო). ტრადიციულად, მეთევზეობა, საზღვაო ვაჭრობა და საერთოდ, ზღვაოსნობა ბერძნების ერთ-ერთი ძირითად საქმიანობა იყო.

ბერძენთა ტრადიციული დასახლებები შ ე ნ გ უ ფ უ ლ ი ტიპისაა. მათი საცხოვრებელი სახლები აშენებულია დაუმუშავებელი ქვისაგან. ისინი, ჩვეულებრივ, ერთი ან ორსართულიანია. პირველი სართული გამოყენებულია პირუტყვისათვის, ხოლო მეორე სართული საცხოვრებელია. როგორც წესი, ბერძნულ სახლებს ფანჯრები და აივნები მზისკენ აქვს მიქცეული.

ბერძენთა ძირითადი საკვებია ლობიო — შეზავებული ლიმონით, ზეთიანი ბოსტნეულით, ნივრით, ოხრახუშით და წიწაკით. მათი რაციონის ნაწილია ყველი და ძეხვი.

ბერძენი მამაკაცის ტრადიციულ ტანსაცმელში შედის: შარვალი (ჩვეულ-ებრივ შავი ან ლურჯი ფერისა), პერანგი (თეთრი ფერის), ჟილეტი მრავალი ღილით, სარტყელი (წითელი ან შავი ფერის), შავი ლაბადა.

ქალის ტანსაცმლის შემადგენელი ნაწილებია: გრძელი თეთრი პერანგი ტუნიკის ფორმის, გრძელი სახელოებით, მოქარგული კალთებით, გრძელი და ფართო ქვედატანი; სხვადასხვა ვარიანტის სარაფანები.

ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს მართლმა-დიდებლური ეკლესია. მართლმადიდებლურია ბერძნული მოსახლეობის დი-დი უმრავლესობა, მხოლოდ თრაკიასა და როდოსის კუნძულზე მცხოვრები ბერძნების მცირე რაოდენობა ისლამის მიმდევარია.

§ 4. ალბანელები

ბალკანეთის ძველი აბორიგენი მოსახლეობა ილირიელები და, ნაწილობ-რივ თრაკიელები ალბანელების წინაპრებად არიან მიჩნეული. ნახევარკუნ-ძულის დასავლეთ სანაპიროზე მათი კვალი ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნეში ჩანს. შემდეგში ისინი მოექცნენ რომის გავლენის ქვეშ, ხოლო ქვეყნის სამხრეთი ბერძნების ძლიერ ასიმილაციას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ალბანელებმა შეინარჩუნეს საკუთარი ენა, მართალია, ინდოევროპული ოჯა-ხისა, მაგრამ, სხვებისაგან განსხვავებული და თვითსახელწოდება — შ ქ ი პ ე-ტ ა რ, რაც „გასაგებად მოლაპარაკეს“ ნიშნავს. XII საუკუნის დასასრულს მათ სუვერენული სახელმწიფოც კი შექმნეს, რომელსაც არბანი ერქვა. XV საუკუნეში, მათი თურქების მიერ დაპყრობის შემდეგ ალბანელებში ადრე გავცელებული მართლმადიდებლური ქრისტიანობის ნაცვლად გავრცელდა ისლამი. დაიწყო ბრძოლები თურქეთის ბატონობის გადასაგდებად. იგი მრა-ვალი სახელოვანი ფურცლით აღინიშნა ალბანელი ხალხის ისტორიაში.

საერთოევროპული სახელი და აღიარება მოიპოვა ალბანეთის ეროვნულმა გმირმა, ოსმანთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურმა სკანდერბერგმა (ნამდვილი სახელი გეორგ კასტრიოტი, დაახლოებით 1405-1468 წწ.). 1443 წელს იგი საოცარ ომში ჩაუდგა ოსმანთა წინააღმდეგ სახალხო ბრძოლას და ქვეყნის ნაწილი გაათავისუფლა მათი ბატონობისაგან. შემდეგშიც არაერთხელ წარმატებით მოიგერია ოსმანთა მრავალმხრივი შეიოსევები. XX საუკუნეში ალბანელებმა კვლავ შექმნეს სუვერენული სახელმწიფო — ერთ დროს ხელი მიჰყვეს სოციალიზმის წარუმატებელ მშენებლობას, და დღეს იგი ევროპის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ქვეყანაა.

ალბანელების ძირითადი და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა იყო მეცხვარეობა, ხოლო მიწათმოქმედებაში მარცვლეული კულტურების მოყვანა. სხვადასხვა დროს აქ დაიწყეს სიმინდის (XVII საუკუნიდან), კარტოფილის (XIX საუკუნიდან) და ბამბის (XX საუკუნიდან) მოყვანა; მარცვლეულიდან კი მოჰყავდათ: ქერი, ჭვავი, შერია, ფეტვი. ალბანელები, როგორც ხმელთაშუა ზღვის ხალხები მისდევენ აგრეთვე, მებაღეობას, მეღვინეობას.

ალბანელთა სოფლებში სამი ტიპის დასახლებებია: 1. გ ა ფ ა ნ ტ უ ლ ი, 2. შ ე ჯ გ უ ფ უ ლ ი და 3. რ ე გ უ ლ ი რ ე გ უ ლ ი (თანამედროვე სოფლებში). აშენებენ ორსართულიან სახლებს — ქვედა სართულში ბოსლით და სხვა სამეურნეო სათავსოებით, ხოლო ზედა სართულში — საცხოვრებელი ოთახებით. ზედა სართულს, სახლის გასწვრივ მიდგმული აქვს აივანი. ჩრდილოეთ ალბანეთში აშენებენ ორ და სამსართულიან სათიფურიან კოშკურ სახლებს დაუმუშავებული ქვისაგან, რომლებსაც კუთხეებში, ან ფანჯრებისა და შესასვლელი კარების გარშემო აქვთ დატანებული ოლილი, დამუშავებული ქვები. სამხრეთ ალბანეთში, სადაც ჭაობიანი ადგილებია, სახლები წნული, ერთსართულიანი და გარედან შელესილია.

ალბანეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მისმა ისტორიულმა წარსულმა განაპირობა ის, რომ ევროპის ამ შედარებით პატარა ქვეყანაში (დაახლოებით 5 მლნ მოსახლეობით) გავრცელებულია ქრისტიანობის ორი დიდი განშტოება — მართლმადიდებლობა და კათოლიკობა, ასევე ისლამი — ყველაზე მეტად ეს უკანასკნელი, თანაც მისი ორივე მიმდინარეობა — სუნიტური და შიიტური.

§ 5. კელტები

კელტები ბრიტანეთის კუნძულებისა და ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთის მოსახლეობის კრებითი სახელია. ერთ დროს იგი მრავალრიცხოვან ჯგუფს აღნიშნავდა, ხოლო ამჟამად ოთხი ხალხითაა წარმოდგენილი: 1. ი რ ლ ა ნ დ ი ე ლ ე ბ ი; 2. ვ ა ლ ი ე ლ ე ბ ი (ცხოვრობენ უელსში); 3. გ ე ლ ე ბ ი (ცხოვრობენ შოტლანდიაში და ჰებრიდის

კუნძულებზე) და 4. ბრეტონელები (ცხოვრობენ საფრანგეთში, ბრეტონის ნახევარკუნძულზე); ამათ გარდა კიდევ იყვნენ კელტური წარმოშობის ხალხები, მაგრამ დღეს ისინი მოლიანად ასიმილირებულები არიან ევროპის დანარჩენი მოსახლეობის მიერ.

კელტების ტრადიციული საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ ქერი, შვრია, ხორბალი, ხოლო მესაქონლეობაში პირველ ადგილზე იდგა მეცხვარეობა (ველებში) და შემდეგ მსხვილფეხა პირუტყვის მოშენება. რაც შეეხება ირლანდიელებს, კალიელებს და ბრეტონელებს, აქ ეს უკანასკნელი იყო პირველ ადგილზე. კელტების უძველესი ტრადიციული საქმიანობაა მეთევზეობა. აქვე ძლიერ განვითარდა წყალმცენარეებისა და ხამანწკების რეწვა, თუმცა ეს ძალიან შედარებით ახალი საქმეა.

კელტებში ძირითადად გავრცელებულია ხუტორის ტიპის სოფლის დასახლებები. საცხოვრებელი უძველეს დროს თიხით შელესილ წნულს წარმოადგენდა, ხოლო XVIII საუკუნიდან ქვის სახლებიც გავრცელდა. ბრეტონელები დაბალ ფართო სახლებს აშენებენ გრანიტისაგან. სახლების აქვს დაქანებული და დაბლა ჩამოშვებული ორფერდა სახურავი. ირლანდიელთა ტრადიციული საცხოვრებელი ისლითაა გადახურული.

კელტების საკვები რაციონი მეტად შეზღუდულია. იგი სულ რამდენიმე ტრადიციული კერძისაგან შედგება. ესაა ბურღულეული, თევზეული და რძის კერძები. თავისებურია და პოპულარული ხ ა გ ი ს ა — ცხვრის ან ხბოს შიგნეულის წვნიანი, რომელშიც ამატებენ შვრიის ფქვილს, წიწაკას და ხახვს. კელტების ეროვნული სასმელებია: ლუდი და ვისკი. მეღვინეობით უფრო მრავალფეროვანია სამხრეთ ბრეტონელების საჭმელი — ისინი იყენებენ მეტ ბოსტნეულსა და ხილს.

დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა კელტების ტრადიციული ტანსაცმელი — მარტო ბრეტონელი ქალების ჩაცმულობა 66 სახეობას აღწევს. თავისებურებით გამოირჩევა მთიელი გელი (შოტლანდიელი) მამაკაცის ტანსაცმელი კ ი ლ ტ ი — იგი შედგება მუხლებამდე სიგრძის კუბოკრული ქსოვილის ქვედატანისაგან, თეთრი ტილოს პერანგისაგან, მოკლე ქურთუკისაგან, მოქსოვილი კუბოკრული წინდებისა და ლიფონის ბალიანი ტყავის ფეხსაცმლისაგან.

§ 6. უგრო-ფინელები

საამები ანუ ლოპარები, ფინელები ანუ სუომები, უნგრელები ანუ მადიარები არის ევროპის სამი ხალხი, რომელთა ენა ურალურ ენათა ოჯახში შედის. მაგრამ ისინი არა მარტო ამით გამოირჩევიან დასავლეთ რუსეთში ან გერმანული ჯგუფის ხალხებისაგან.

1. პირველი მათგანი — ს ა ა მ ე ბ ი ანუ ლოპარები ერთადერთი დასავლეთევროპელი ხალხია, რომელიც მეირმეობას და დღემდე ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას მისდევს; თუმცა, მათი ნაწილი მეთევზეობით და მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებითაც არის დაკავებული, ცხადია, ისინი ვინაც ბინადარ ცხოვრებას ეწევა. ლოპარებში განვითარებულია ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, მათ შორის ტრადიციულია და მათთვის დამახასიათებელია ძვლის მოჩუქურთმება და მასზე სხვადასხვა რელიეფური გამოსახულებების გამოყვანა. ამ სახით მათი ნაწარმის ნაწილს იძენენ უცხოელი ტურისტები და მუზეუმები.

საამების ანუ ლოპარების საკუთარი სახელმწიფო არ გააჩნიათ, მაგრამ მათ მიერ მოპოვებული კულტურული ავტონომიის უფლებებს იცავენ ე.წ. საამის საბჭოები. ისინი წარმოადგენენ სათათბირო ორგანოებს ნორვეგიის, შვეციის და ფინეთის პარლამენტებში.

2. ფ ი ნ ე ლ ე ბ ი, უფრო სწორად, მათი წინაპრები ევროპის ერთ-ერთი უძველესი მოსახლენი არიან. ითვლება, რომ მათი თანამედროვე საცხოვრებლის ადგილზე ისინი ორ ტალღად მოვიდნენ — აღმოსავლეთიდან და სახმრეთ-აღმოსავლეთიდან. მათი კვალი აქ ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქაში დასტურდება.

თუ ფინელების ეროი ნახევარი ქალაქში ცხოვრობს და მათთვის საერთო-ევროპული ქალაქური ცხოვრების წესია დამკვიდრებული, მოსახლეობის მეორე ნახევარი სოფლად ცხოვრობს. მათ ტრადიციული დასახლებები და საცხოვრებელთა ტიპები ახასიათებს. კერძოდ, სამხრეთ დასავლეთში შეჯგუფული ტიპის დასახლებებია, ხოლო აღმოსავლეთში — ხუტორები. ფინელების საცხოვრებელი კარმიდამო შედგება ძირითადად ძელური საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობებისაგან.

ფინელები მისდევენ სოფლის მეურნეობას — მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებას. შუა საუკუნეებში მიწათმოქმედება უპირატესად საახოო სისტემისა იყო. მათ მიერ მოწეული მარცვლეული ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას, მაგრამ მისი შევსება ხდება მსხვილფეხა სახორცე და სარძევე საქონლის მოშენებით მიღებული შემოსავლით.

ფინელებს საინტერესო, თავისებური ტრადიციული ტანსაცმელი აქვთ. მამაკაცებს აცვიათ: მუხლამდე შარვალი, ხიფთანი, ორნამენტირებული შალის წინდები და ლაფნის ქალამნები, ან პოსტოლები. ქალის ტანსაცმელია: ტუნიკის ფორმის პერანგი, ქვედა ტანი, ფერადი ლიფი და მაქმანებით გაწყობილი წინსაფარი, ხოლო თავზე ახურავთ ჩაჩი. როგორც ხედავთ, ფინელთა ჩაცმულობა მარტივია და ამით მკვეთრად გამოირჩევა ევროპის სხვა ხალხების ტრადიციული ტანსაცმლისაგან.

3. უ ნ გ რ ე ლ ე ბ ი — დასავლეთ ევროპის ურალური ენობრივი ოჯახების ხალხებს შორის უნგრელებს გააჩნიათ ყველაზე სახელოვანი, მრა-

ვალფერიანი და ამდენად, საინტერესო ისტორია. თუ დღეს ისინი ცენტრალურ ევროპაში მოსახლეობენ და აქ თავიანთი სუფერენული სახელმწიფოც გააჩნიათ, მათი წინაპრები სამხრეთ ურალში ცხოვრობდნენ. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ისინი შავი ზღვის სანაპიროებზე გამოჩნდნენ. ხოლო თანამედროვე დასახლებების ადგილას მათ მიაღწიეს IV საუკუნეში. საინტერესოა, რომ ენით ისინი ენათესავებიან რუსეთში ქვემო ობის სანაპიროზე მცხოვრებ ხანტებსა და მანსებს; უნგრელთა კვალს პოულობენ ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხის წინაპრების მატერიალურ კულტურაში.

უძველესი უნგრელები მომთაბარულ მესაქონლეობას მისდევდნენ, ხოლო ევროპაში დამკვიდრების შემდეგ მათ მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი. მეურნეობის ამ დარგის ძირითადი კულტურაა ხორბალი. უნგრეთში განვითარებულია მევენახეობა და შესაბამისად, მეღვინეობა.

უნგრეთის მოსახლეობის (იგი შეადგენს დაახლოებით 10 მილიონს) ნახევარზე მეტი სოფელში ცხოვრობს. აქ უპირატესად გავრცელებულია ხ უ ტ ო რ უ ლ ი დასახლებები, არის დასახლების მეორე ტიპიც — პ უ შ ტ ე ბ ი, ანუ სწორი დაგეგმარების დიდი სოფლები. უნგრული საცხოვრებელიც ორი ტიპისაა: 1. საცხოვრებელი და სამეურნეოს ნაგებობები ერთ ჭერქვეშაა მოქცეული და 2. სხვადასხვა დანიშნულების შენობები ცალ-ცალკეა აგებული. ჩვეულებრივ, სახლი ერთოთახიანია, თითო შელესილი და კირით შეთეთრებული, ხოლო მისი ისლის სახურავი ხშირად ორფერდა, დაბლა, თითქმის მიწამდეა დაშვებული.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა უნგრული სამზარეულო. ისინი იყენებენ ფქვილეულს, ბოსტნეულს (კომბოსტოს, პარკოსნებს, ხახვს, ნიორს და პომიდორს), ცხარედ შეზავებულ ხორცს, ხილს, ყურძნის ღვინოს.

მრავალფეროვნებით და, ამავე დროს, კონტრასტული ფორმებით გამოირჩევა უნგრული ტანსაცმელი. ასე მაგალითად, მამაკაცების ქვეყნის აღმოსავლეთში აცვიათ მაუდის ვიწრო, ხოლო დასავლეთში ძალიან ფართო ტილოს შარვალი. იცვამენ ტილოს მოკლე პერანგს, ზონრით და თასმებით გაწყობილ მოკლე ჟილეტს, მაღალ შავ ჩექმებს, ჭილის ან ნაბდის ქუდს.

ქალის ტანსაცმელია: ნაოჭებიანი, ძალიან ფართო ქვედა ტანი, წინსაფარი, ჩაჩი, ფერადი ტყავის მაღალი ჩექმები. ტრადიციულია და დამახასიათებელია პ რ უ ს ლ ი კ ი — ღია ფერის ზონრებით, ლიბონის სარტყლებითა და ნაქარგებით დამშვენებული უსახელოები ზედატანი.

2. ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘ

§ 1. ბალტიისპირეთის ხალხები

ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ბალტიისპირეთის ხალხები ევროპოიდული რასის ჩრდილოეთ შტოს განეკუთვნებიან; ენობრივად კი ორ ჯგუფად იყოფიან: ინდოევროპულ ენათა ოჯახის ლეტო-ლიტვური ჯგუფის ენებზე ლაპარაკობენ ლატვიელები და ლიტველები, ხოლო ურალური ოჯახის უნგრულ-ფინური ჯგუფის დასავლურ-ფინური შტოს ენებზე — ესტონელები და მათთან ახლო მდგომი ლივები.

ლეტო-ლიტვური ენები ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სლავური ჯგუფის ენებთან, ესტონური — კარელიურსა და ფინურთან. ეს გარემოება მეცნიერებისათვის დიდი ხნის განმავლობაში აუხსნელი იყო. ადამიანმა ბალტიისპირეთის ტერიტორია უძველესი დროიდანვე აითვისა. ძვ. წ. III-II ათასწლეულებში ბალტიისპირეთის ჩრდილოეთ რაიონებში მოსახლეობდნენ უმთავრესად ალმოსავლეთიდან მოსული უნგრულ-ფინური ტომები. სამხრეთ რაიონებში — სამხრეთიდან მოსული ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ტომები. ბალტიისპირეთში ამ ორი სხვადასხვა კულტურული ოლქის ძველთაგანვე არსებობას არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებიც ადასტურებს. არქეოლოგიური გათხრები მოწმობს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდილოეთში ჭარბობს ქვაყუთიანი სამაროვნები და ქვაყუთიანი ყორღანები, სამხრეთში — მიწაყრილი ყორღანები და ორმო-სამარხები. პირველს უკავშირებენ ესტონელთა წინაპრებს, მეორეს — ლეტო-ლიტვურ ტომებს. წერილობითი ცნობები ბალტიისპირეთის ხალხებზე (ტაციტუსის „ესტონები") ჩვენი ერის დასაწყისში ჩნდება.

ლატვიელთა ეთნოგენეზში მონაწილეობა აქვთ მიღებული ზემგალებს, ლატგალებს, კორსებსა და სელებს, ლიტველთა ეთნოგენეზში — ჟმუდებსა და ლიტვებს, ესტონელების ეთნოგენეზში — ჩუდებსა და ნაწილობრივ ლივებს.

ლ ი ტ ვ ე ლ ი (თვითსახელწოდება „ლიტუვიაი") ხალხის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა მესაქონლე და მიწათმოქმედმა ბალტიელმა ტომებმა, რომელთა წინაპრებმა ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე შეაღწიეს მდინარე ნემანისა და დაუგავას აუზში. ამაოგან, ლიტველი ხალხის შემადგენლობაში მთლიანად შევიდნენ საკუთრივ ლიტველები. ანუ აუკშტაიტები, ჟემაიტები, ნადრავები და სხვ. ლიტველთა შემადგენლობაში ნაწილობრივ შევიდნენ აგრეთვე, სუდავები, კურშების სამხრეთი ჯგუფები, ზემგალები და სელები.

ლ ა ტ ვ ი ე ლ ო ა (თვითსახელწოდება „ლატვიეიში") ძირძველობს ძველი ლატვიელი ხალხის ეთნონიმიდან „ლატგალ" ანუ „ლეტგალ", რომელთა მეზობლები მაშინ იყვნენ მათივე მონათესავე სელები, ზემგალები და კურშები. ამ ტომთა წინაპრები ლატვიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ნეოლითში (ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისი) სახლდებიან სამხრეთიდან და შემდეგ თანდათანობით მიიწევენ ჩრდილოეთით. ამ პროცესში ლატგალებს შეერწყა ვიძემესა და კურზემეში მცხოვრები ბალტიისპირეთის ფინური ტომები, რომლებიც ლიტვებისა და ესტონელების წინაპრები იყვნენ.

ე ს ტ ო ნ ე ლ ი (თვითსახელწოდება „ეესტლასედი") პირველად გვხვდება კორნელიუს ტაციტუსის ნაშრომში „გერმანელების წარმოშობისა და გერმანელების ადგილმდებარეობის" შესახებ. რუსულ წერილობით წყაროებში ესტონელები და მასთან ერთად ზოგიერთი დასავლეთ-ფინური ძოლგმის ტომი მოიხსენიებიან „ჩუდების" საერთო სახელწოდებით. ზოგიერთები მათ ჩუხონცებს უწოდებენ, ხოლო XVIII საუკუნიდან რუსულ ენაში გავრცელდა ტერმინი „ესტონელი".

ლეტო-ლიტვურ ტომებს ძველთაგანვე საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავათ. დასავლეთით ძველი ბალტიელები გერმანულ მოსახლეობას ეზღვარებოდნენ. XIX საუკუნის ბოლოს გერმანელი ფეოდალების აგრესიის შედეგად აღმოსავლეთ პრუსიაში მცხოვრები პრუსიელთა დიდი ნაწილი აღოწყვეტილ იქნა, ნაწილი გერმანიზებული აღმოჩნდა. ბალტიისპირეთის ხალხთა ეთნოგენეზის ეს რთული პროცესი მათი ყოფისა და კულტურის თავისებურებებშიც აისახა.

ეთნოგრაფიულად გარკვეული კულტურულ-ყოფითი თავისებურებებით ხასიათდება ლატვიაში ლატგალეს, ზემგალეს, კურზემესა და ვიძემეს მოსახლეობა, ლიტვაში — აღმოსავლეთით აუკშტაიტები და დასავლეთით — ჟემაიტები, ესტონეთში — მცირერიცხოვანი ს ე ტ უ ანუ ს ე ტ უ კ ე ბ ი, რომელთაც სპეციალისტთა ერთი ნაწილი გარუსებულ ესტონელებად თვლის, მეორე ნაწილი კი — პირიქით, გაესტონელებულ რუსებად.

მეტად რთულ ისტორიულ ვითარებაში მიმდინარეობდა ბალტიისპირეთის ხალხების ეთნიკური განვითარება და სახელმწიფოებრივი ცხოვრება XIII-XVIII საუკუნეებში. ამის დამადასტურებელი ფაქტებია XIII საუკუნიდან მოყოლებული გერმანული ბარონების ბატონობა ლატვიისა და ესტონეთის დიდ ნაწილებში, განსაკუთრებით ქალაქებში, კათოლიკობისა და ლუთერანობის იძულებითი გავრცელება. შვედების მიერ ესტონელების დამორჩილება XVII საუკუნეში ლივონიის ომის დროს (1558-1583 წწ.). ლატვიის ერთი ნაწილის პოლონეთის მიერ დაპყრობა და სხვ.

ბალტიისპირეთის ხალხებიდან მარტო ლიტველებმა შეძლეს ლიტვურ-რუსული სახელმწიფოს შექმნა XIII საუკუნეში. შემდგომში ლიტვა პოლონეთთან გაერთიანდა, ხოლო 1795 წელს პოლონეთის დაყოფის შემდეგ

რუსეთს შეუერთდა. ბალტიისპირეთის ქვეყნების რუსეთთან შეერთების შემდეგაც ესტონეთსა და ლატვიაში გერმანელი ბარონები ბატონობდნენ, ხოლო ლიტვაში — პოლონელი პანები.

ბალტიისპირეთის ხალხთა ეთნიკურმა ისტორიამ დაღი დაასვა მათ კულტურულ თავისებურებებს. მათ ყოფასა და კულტურაში შესამჩნევია როგორც სლავური, ისე შვედურ-გერმანული გავლენა. ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ერების ფორმირება მიმდინარეობდა კაპიტალიზმის ხანაში.

ბალტიისპირეთის ხალხები უძველესი დროიდანვე მისდევდნენ მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს ა დ ა მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა ს (ბალტიის ზღვის სანაპიროებზე და კუნძულებზე დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა ს). კაპიტალისტურ ხანაში სოფლის მეურნეობის ამ დარგებმა სასაქონლო მიმართულება მიიღო. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავდათ ქერი, ჭვავი, მუხუდო, ტექნიკური კულტურებიდან — სელი. XIX საუკუნეში ფართოდ გავრცელდა კარტოფილი. ძიწას მარტივი სახვნელი იარაღით ამუშავებდნენ, მოსავალს ნამგლითა და ცელით იღებდნენ. ძნებს ყველგან პურეულის გასაშრობ ძელურ სახლებში — „რიგაში“ აშრობდნენ. ძველთაგანვე მისდევდნენ მეფუტკრეობას.

XIX საუკუნეში უმთავრესად მესაქონლეობა განვითარდა. განსაკუთრებით დაწინაურდა მ ე ღ ო რ ე ო ბ ა, დასავლეთის ბაზრებზე ღორის ქონსა და ღორზე მოთხოვნილების ზრდის გამო. მათ სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე მ ე ც ხ ე ნ ე ო ბ ა ს (ლიტველები საუკეთესო ცხენოსნებად ითვლებოდნენ).

ბალტიისპირეთის ხალხებში გავრცელებული იყო საოჯახო წარმოებისა და ხელოსნობის დარგები — მხატვრული ქსოვა, ფეიქრობა, ტყავის დამუშავება, მეთუნეობა, მჭედლობა, ოქრომჭედლობა, ხით ხუროობა და სხვ.

დ ა ს ა ხ ლ ე ბ ი ს ტ ი პ ი. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ადრეულ იყო დაწინაურებული საქალაქო ცხოვრება, მაგრამ ქალაქის მოსახლეობაში მკვიდრი მოსახლეობის ხვედრითი წონა დაბალი იყო, რადგანაც ხელოსნობასა და ვაჭრობას უმთავრესად უცხოელები განაგებდნენ. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქალაქებში მდგომარეობა იცვლება — თანდათანობით იზრდება მკვიდრი მოსახლეობის რიცხვი.

ძველად ბალტიისპირეთის ხალხებში სოფლური დასახლების ძირითადი ტიპი იყო სოფელი (შეჯგუფული ან ქუჩებად დაყოფილი), ხოლო ესტონეთსა და ლატვიაში უპირატესად ხუტორი, რომელმაც ფართო ხასიათი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიიღო.

ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი. ბალტიისპირეთში გლეხის საცხოვრებელი სახლის სხვადასხვა ტიპია დამოწმებული; ლიტვაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი კარმიდამოს შიგნით იყო განლაგებული. სახლების მშენებლობაში გაბატონებული იყო ძელური ტექნიკა. აქ ორნაირი სახლები

იყო გავრცელებული: 1. საცხოვრებლის უძველესი ტიპი — „ნიმას“ ერთოვლიანი და შუაცეცხლიანი ნაგებობა და 2. უფრო მოგვიანო ტიპი „პირკა“ — სამთვალიანი საცხოვრებელი, რუსული ტიპის ღუმელით. ესტონეთისა და ჩრდილოეთ ლატვიაში გავრცელებული იყო ძელური საცხოვრებელი „რიგა“ — დიდი ღუმელით. შემოდგომით რიგაში აშრობდნენ ძნებს, ზამთარში ის ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ესტონეთშივე იყო გავრცელებული კარმიდამოს ერთ-ერთი არქაული ელემენტი „კოდა“ — საზაფხულო ფიცრული სამზარეულო, რომელსაც კონუსური კარვის მოყვანილობა ჰქონდა. ლიტვასა და ლატვიის აღმოსავლეთ რაიონებში საცხოვრებელი ნაგებობანი თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა მეზობელი რუსებისა და უკრაინელების საცხოვრებლებისაგან.

ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება ბალტიისპირეთის ხალხთა ტრადიციული ტანსაცმელი, რომლისთვისაც შინაარსად ქსოვილებს იყენებდნენ ლიტვური და ლატვიური ხალხური ტანსაცმელი ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა; ქალები ატარებდნენ გრძელსახელოებიან პერანგებს, წინსაფრებს, ქვედატანებს, ნაირ-ნაირ თავსაფრებსა და პლედებს. ესტონეთში ქალის ტანსაცმლის მთავარი ელემენტი იყო ტუნიკისებური პერანგი, რომელიც მკერდზე მრგვალი აბზინდით იკვრებოდა; ტანსაცმლის კომპლექსში შედიოდა აგრეთვე სარაფანი, ქვედატანი, წინსაფარი და თავსახვევები.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში მამაკაცის ჩაცმულობა თითქმის ყველგან ერთნაირი იყო. კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ჩაცმულობის ტრადიციული ფორმები თანდათანობით გზას უთმობს ფაბრიკული ქსოვილებისაგან დამზადებულ ქალაქური ტიპის ჩაცმულობას. ამჟამად ტრადიციული ჩაცმულობა გამოყენებულია უმთავრესად სიმღერის დღესასწაულების პერიოდში, რასაც ბალტიისპირეთში საყოველთაო და მასობრივი ხასიათი აქვს.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ა. ბალტიისპირეთის ხალხებში სოციალური ურთიერთობის არქაული ფორმები იშვიათობას წარმოადგენდა. თემური ურთიერთობა აქ ძვ. წ. I ათასწლეულში უკვე დაშლილი იყო. XIX საუკუნეში გლეხები მიწის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. ლიტვაში მიწა უმთავრესად გაპოლონელებულ პანებს ეკუთვნოდა, ხოლო ლატვიაში და ესტონეთში — გერმანელ ბარონებს. XIX საუკუნეში ყველგან გაბატონებული იყო პატარა ოჯახი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა. მამული და სახლი მემკვიდრეობით უფროს შვილზე გადადიოდა. უმცროსი შვილი მხოლოდ მოძრავი ქონებიდან ღებულობდა წილს. წერილობითი ხელშეკრულებით, უფროსი შვილი მოხუც მშობლებს სიკვდილამდე არჩენდა.

ბალტიისპირეთის ხალხებში მორწმუნეთა შორის გავრცელებული იყო ქრისტიანობა — მორწმუნეთა უმრავლესობა, პოლონელთა გავლენით, მიმდევდა კათოლიკობას, ესტონელები და ლატვიელები კი, გერმანელთა გავ-

ლენით, — პროტესტანტობას (ლუთერანობას), მართლმადიდებლობას კი — სეტუ-ესტონელები. ამას გარდა, შემონახული იყო სხვადასხვა წინაქრისტიანულ ღვთაებათა კულტები და რწმენა-წარმოდგენები.

ბალტიისპირეთის ხალხებში განვითარებული იყო ხალხური შემოქმედება.

§ 2. სლავი ხალხები

ა. დასავლეთისა და სამხრეთის სლავები. უზარმაზარ ტერიტორიაზე, ბალტიის ზღიდან ხმელთაშუა ზღვამდე, განსახლებულია სლავების საერთო სახელწოდებით გაერთიანებული, წარმოშობით ანთროპოლოგიურად, ენობრივად და მატერიალური და სულიერი კულტურით მონათესავე ევროპის სხვადასხვა ხალხი, ესენია: პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები, სერბები, ხორვატები, სლოვენები, მაკედონიელები, ბოსნიელები, ჩერნოგორიელები. ზოგიერთი მათგანი შედარებით მრავალრიცხოვანია — პოლონელები 40 მილიონამდე, ჩეხები — 15 მილიონამდე, ბულგარელები — 10 მილიონამდე, ხოლო სხვები მცირერიცხოვანნი: მაკედონიელები — ერთნახევარი მილიონი, ჩერნოგორიელები — 100 ათასი და სხვ.

ეს ხალხები ლაპარაკობენ სლავურ ენებზე, რომელთაც ინდოევროპულ ენათა ოჯახში მესამე ადგილი უჭირავთ, რაოდენობის მიხედვით, გერმანული და რომანული ენების შემდეგ. თავის მხრივ, იგი იყოფა დასავლურ და სამხრეთულ სლავურ ენობრივ შტოებად და ორივე მათგანზე 80 მილიონზე მეტი კაცი ლაპარაკობს.

დასავლეთისა და სამხრეთის სლავები ანთროპოლოგიურად დიდ ევროპოიდულ რასას განეკუთვნებიან, რომელშიც ისინი წარმოდგენილია, ასევე მრავალი გარდამავალი ფორმით. ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, ალპური ტიპი, რომელიც ჭარბობს სლოვენებში. სლავების რასობრივი მრავალფეროვნება აიხსნება მათი შერევით სხვა მეზობელ, ან აბორიგენ მოსახლეობასთან.

მათი თანამედროვე დასახლებების ადგილებში სლავების უძველესი კვალი ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან დასტურდება. მათვე უკავშირდება უორნამენტო ნაძერწი კერამიკის ე.წ. „პრაღული ტიპი", რომელიც გავრცელებული ყოფილა V-VII საუკუნეებში ჩეხეთის, სლოვაკეთის, სამხრეთ და შუა პოლონეთის, აღმოსავლეთ ავსტრიის, გერმანიის, რუმინეთისა და ბალკანეთის ტერიტორიებზე.

სლავების ამ ტერიტორიებზე გადასახლების პროცესი V საუკუნის დასაწყისს უკავშირდება და იგი თავდაპირველად ზემო და შუა ვისლის აუზით, პრიპიატის აუზის სამხრეთ ნაწილით იყო შემოსაზღვრული. ამ დროსვე, ჰუნების განადგურების შემდეგ, სლავებს ფართოდ გაეხსნათ გზა

დასავლეთ ევროპისაკენ და მათ დაიწყეს დასახლება მდინარეების - ელბისა და ელბის გადაღმა, დანიის კუნძულებამდეც კი. მეორე ნაწილი ე.წ. მორავიის ჭაშკრის გავლით დაიძრა სამხრეთისაკენ ალპებისა და ადრიატიკის მიმართულებით და მიაღწია დუნაის ქვემო წელსა და შავი ზღვის სანაპიროებს. დაიწყო სლავების მიერ ბალკანეთის ინტენსიური კოლონიზაცია — 580 წელს მათ დაიკავეს მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული. პელოპონესი, კრეტა.

ცოტა მოგვიანებით, სხვადასხვა დროს სლავების მიერ დასახლებულ ამ ვრცელ ტერიტორიებზე წარმოიქმნა სხვადასხვა პოლიტიკური კოლექტივები: სამი — 623 წელს, პირველი ბულგარეთის სამეფო — 681 წელს. დიდი მორავია — IX საუკუნის დასაწყისში, პიასტების პოლონური სახელმწიფო — X საუკუნის შუა წლებში, ჩეხური სახელმწიფო — X საუკუნეში. ნემანიჩების სერბიული სახელმწიფო — 1168 წლიდან და სხვ.

გვიან შუა საუკუნეებსა და ახალ დროში სლავი ხალხები დასავლეთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცნენ. XV საუკუნის II ნახევრისათვის ბულგარეთი, სერბია, ბოსნია, ხორვატია და ჩერნოგორია (მთიანი ნაწილის გამოკლებით) თურქებმა დაიპყრეს და ოსმალთა უზარმაზარი იმპერიის შემადგენლობაში მოაქციეს.

XIX საუკუნის II ნახევარში ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში დაიწყო სლავური ეროვნული სახელმწიფოების აღორძინება. კერძოდ: ბალკანეთზე თავისუფლება მოიპოვეს სერბებმა, ჩერნოგორიელებმა და ბულგარელებმა. პირველი მსოფლიო ომის დროს აღდგა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული სახელმწიფოები. 1918 წელს სერბიასთან გაერთიანდა ჩერნოგორია, ხორვატია და სლოვენიის დიდი ნაწილი, რომელიც 1929 წლიდან შეადგინეს იუგოსლავიის სამეფო. ასევე განმტკიცდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სლავური სახელმწიფოები. რაშიც დიდი როლი შეასრულა მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა, რომელმაც ისინი სოციალიზმის სადღეისოდ უკვე დაშლილ ბანაკში ჩააბა.

სლავები იმთავითვე ბინადარი მიწათმოქმედი და მესაქონლე ხალხები იყვნენ. ასევე ტრადიციული იყო მათთვის მინადირეობა, მეთევზეობა, ხეტყის რეწვა.

სლავები მისდევდნენ სახნავ მიწათმოქმედებას, რომელიც დაკავშირებული იყო ხორბლის, ჭვავის, შვრიის, ფეტვის, სელის, კანაფის და სხვ. კულტურების მოყვანასთან. მათში ფართოდ განვითარდა მებაღეობა და მებოსტნეობა, ხოლო ბალკანეთის სლავებმა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისაგან გადმოიღეს ყურძნის, ხეხილის, ზეთისხილის, ნიწაკის და ზოგიერთი სხვა კულტურების მოშენება. როგორც სხვაგან ევროპაში. დასავლეთისა და სამხრეთის სლავებშიც გვიან შუა საუკუნეებში გავრცელდა კარტოფილის, სიმინდის, ბრინჯის, ბამბის მოყვანა. XV-XVI საუკუნეების

ბულგარეთში განვითარდა მევარდეობა, რომელიც დღესაც მისი მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია.

სლავები მისდევდნენ გადარეკვით მესაქონლეობას, აშენებდნენ მსხვილფეხა რქოსან საქონელს, ცხენს, ცხვარს, ღორს, ხოლო ფრინველებიდან — ქათამს, ბატს, იხვს. მათში დიდი პოპულარობა მოიპოვა მონადირეობამ — ხორცისა და ბეწვეულის მომცემი ცხოველებისა და წყლის ფრინველების რეწვამ. სლავების მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს დარგად ითვლება მეთევზეობა.

თავისებურია სლავების საზოგადოებრივი წყობა. მათში ყოველთვის დიდი როლი ეკავა საგლეხო თემს, რომელმაც თავისი ძალა, გავლენა და მნიშვნელობა XX საუკუნის დასაწყისამდეც კი მიიტანა. სხვადასხვა სლავურ ხალხში საგლეხო თემი სხვადასხვა ძალისა იყო და განსხვავებული ტერმინებითაც აღინიშნებოდა.

საერთოდ, საგლეხო თემი, როგორც სხვაგან, ისე სლავებში, წარმოადგენდა საზოგადოების ორგანიზაციაში უმცირეს ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ეროეულს, რომელიც ეფუძნებოდა მიწის გარკვეული ტერიტორიის საერთო მფლობელობას.

პოლონეთში საგლეხო თემს „ოპოლე“ ეწოდებოდა და მის განკარგულებაში შედიოდა შლიახტის მიერ მიტაცებული მიწებიდან დარჩენილი ნაწილი — დასამუშავებელი მინდვრები მომიჯნავე არემარეთი, მდელოებით, ტყის მასივებით, წყაროებით, გზებითა და სხვ.

ჩეხეთსა და სლოვაკეთში საგლეხო თემს „ობცე“, „ობჩინა“ ეწოდებოდა, უმთავრესად წარმოადგენდა საგლეხო თემის ადმინისტრაციულ ვარიანტს და მოქმედებდა საადგილმამულო ურთიერთობათა სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხალხებში სასოფლო თემმა ყველაზე ადრე დაიწყო რღვევა, მათი დაწინაურებისა და შემდგომში უპირატესად ინდუსტრიული გზით განვითარების გამო.

ბულგარელებში საგლეხო თემს „ოკოლინა“, ხოლო სერბებში „ოპშტინა“ ეწოდებოდა. ამ ხალხებში მან თავი გვიანობამდე შემოინახა.

ასევე დიდი არქაულობით გამოირჩეოდა სლავების, განსაკუთრებით სამხრეთის სლავების საოჯახო ურთიერთობანი. ძველთაგანვე შემონახული თემური ტრადიციების სიმტკიცის გამო, ფართოდ იყო გავრცელებული დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომელსაც „ზადრუგა“ ეწოდებოდა. დასავლეთის სლავებში მათი შესატყვისი იყო „ნედელნა როდინა“. სლავებში პატრიარქალური ოჯახი 30, 50 და ზოგჯერ 100 სულისაგან შედგებოდა.

არანაკლებ გავრცელებული იყო სლავებში მცირე, ინდივიდუალური ოჯახი. ჩვეულებრივ, იგი ცოლ-ქმრისა და შვილებისაგან შედგებოდა.

ყველაზე გავრცელებულ სლავთა დასახლებებს მცირე ზომის სოფლები წარმოადგენდა. ისინი საწყისს გვაროვნულ დასახლებებში იღებდნენ. სა-

სოფლო თემი მრავალრიცხოვან სოფელს წარმოადგენდა. სლავური დასახლებები შემდეგი ტიპისაა:

1. გაფანტული — ბულგარეთში, ალპურ სლოვენიაში, [illegible], ჩერნოგორიაში;

2. შეჯგუფული — პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, სერბეთში, ხორვატიაში, ბულგარეთის ნაწილში;

3. წრიული — დასავლეთ პოლონეთში, ლუჟიცაში, ბულგარეთის თრაკიულ ნაწილში;

4. ქუჩის ტიპის — აღმოსავლეთ პოლონეთში, სლოვაკიაში, იუგოსლავიის ვოევოდინაში;

5. წრიული და ქუჩის ტიპის შერეული, ე.წ. „თითისტარისებური". — დასავლეთ პოლონეთისა და ლუჟიცაში.

ასევე სხვადასხვა ტიპისა იყო სლავური საცხოვრებლები. [illegible] კარმიდამო. გამოყოფენ აღმოსავლეთ შუაევროპულ, სამხრეთ ევროპულ, დასავლეთ შუაევროპულ და ალპურ კარმიდამოების. ჩვეულებრივ ესენია: ერთკამერიანი ძელური ან ბოძებიანი სახლები, ჩარდახიანი ან წინკარიანი ეზოები. საინტერესოა, რომ საკუთრივ სამხრეთ სლავებში გამოიყოფა საცხოვრებლის ექვსი ქვეტიპი, რომელთაგან ძირითადია:

1. პანონიური, ანუ მორავიული — ერთკამერიანი საცხოვრებელი. იგი დროთა განმავლობაში გადაიქცა ორ და სამკამერიან საცხოვრებლად;

2. მიწურკამერიანი — მიწური და ნახევრადმიწური. იგი გავრცელებულია ჩრდილოეთის ბულგარეთში;

3. ხიმინჯებიანი — გავრცელებულია ხორვატებში და საფეხის ნეოლითის ხანაში, ძველი ილირიული მოსახლეობიდან იღების.

შუაევროპული კარმიდამოს ერთ-ერთი დამახასიათებელია ორსართულიანი ან სამსართულიანი შენობა ალპური ტიპისაა. აქ ერთ სასურავქვეშაა მოქცეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.

დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა სლავების ტრადიციული ტანსაცმელი. სელისა და კანაფის შინნაქსოვი ტილოსაგან შეკერილი პერანგი სლავი ქალისა და მამაკაცის ძირითად ტანსაცმელს წარმოადგენდა. ფართოდ იყო გავრცელებული პერანგის სხვადასხვა ტიპი — ტუნიკის ფორმის, ერთი ან ორთალმიანი, ორი ნაჭრისაგან შეკერილი და საყელოსთან ნაოჭებასხმული და სხვ. ქალის ტანსაცმლის ყველაზე გავრცელებულ და არქაულ ელემენტს, ასევე ყველაზე მრავალფეროვანს წარმოადგენდა წინსაფარი. გამოირჩეოდა სლავების ზედა ტანსაცმელი — ჯუბაჩები, ხიფთანები, უსახელოები ზედატანი, მოსასხამები და სხვ. ასევე ტრადიციული იყო თავსაბურავებისა და ფეხსაცმლის ტიპები. პირველს წარმოადგენდა ბეწვშემოვლებული მრგვალი სლავური ქუდი, თავსაფარი, ჩაჩი, თავზე მოსახვევები და სხვ. ხოლო ფეხთ ეცვათ: შალის პაჭიჭები, ტყავის ფეხსაცმელი, რბილი ფეხსაცმელი, ხისძირიანი ფეხსაცმელი და სხვ.

ბ. **აღმოსავლეთის სლავები.** რუსები, უკრაინელები და ბელორუსები ანთროპოლოგიურად ეკუთვნიან დიდ ევროპოიდულ რასას, ლაპარაკობენ ერთმანეთთან ახლომონათესავე აღმოსავლეთსლავური შტოს ენებზე, რომლებიც დასავლურსლავურ (პოლონური, ჩეხური, სლოვაკიური) და სამხრეთსლავურ (ბულგარული, სერბიულ-ხორვატიული, სლოვენური, მაკედონიური) ენებთან ერთად შეადგენენ ინდოევროპულ ენათა ოჯახის სლავურ ჯგუფს.

აღმოსავლეთ სლავთა ეთნოგენეზის პრობლემა მეტად რთულია; მათი ეთნიკური ისტორია დაკავშირებულია მათივე ფორმირების თავისებურებასთან იმ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელზეც საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარეობდა რთული ეთნიკური პროცესები. გასულ საუკუნეში, მეცნიერთა ერთი ნაწილი სლავთა აზიურ წარმომავლობას ამტკიცებდა; სლავთა წარმომავლობას უკავშირებდნენ ჰუნების, სარმატებსა და სტეპების სხვა მომთაბარეების. ეს არამეცნიერული შეხედულება საფუძვლიანად დაარღვია ცნობილმა ჩეხმა მეცნიერმა პ. შაფარიკმა (1795-1861 წწ.). მან დაასაბუთა, რომ სლავები ძველი ევროპელების შთამომავლები არიან. მეორე თეორია სლავთა თავდაპირველ სამშობლოდ დუნაის დაბლობს ვარაუდობდა, მაგრამ შემდეგში გაირკვა, რომ სლავთა ეთნიკური ფორმირების პირველადი კერა კარპატების ჩრდილოეთით ვისლის, პრიპიატისა და შუა დნეპრისპირეთის აუზში მდებარეობდა (ლ. ნიდერლე — 1865-1944 წწ, ა. შახმატოვი — 1864-1920 წწ.).

სლავთა ეთნიკური ისტორიის პრობლემატიკის დამუშავებაში დიდი წელილი შეიტანეს როგორც რუსმა, ისე აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა მეცნიერებმა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ინდოევროპული წარმომავლობის ხალხთა ეთნიკური ჯგუფებიდან გენეტიკურად ყველაზე ახლოს ერთმანეთთან იყოფებოდნენ სლავები, ბალტები (ლეტო-ლიტველები) და გერმანელები, რომელთა ფორმირება მეზობელ რაიონებში ხდებოდა. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ სლავების, ბალტიისპირელებისა და გერმანელების ეთნიკური ისტორიის საწყისები უკავშირდება ძვ. წ. III და II ათასწლეულების მიჯნაზე გრეხილი კერამიკის მქონე იმ ინდოევროპულ ტომებს, რომლებიც იმ ხანებში ჩრდილო და აღმოსავლეთ ევროპაში ჩნდებიან. იმავე შეხედულებით, სლავები ჯერ კიდევ უძველეს ხანაში უნდა ყოფილიყვნენ განსახლებული შუა დნეპრსა და ზემო დნესტრს შორის მდებარე მიწებზე და აგრეთვე ჩრდილოეთ კარპატებსა და ვისლის აუზში. იმასაც ვარაუდობენ, რომ ძვ. წ. II-I საუკუნეებში შუა დნეპრისა და ზემო დნესტრის ორმდინარეთში ჩამოყალიბებული ზარუბინეცის კულტურა ადრესლავურ მოსახლეობას ეკუთვნოდა. ეს ადრესლავური მოსახლეობა ცხოვრობდა სწორედ იმ მიწებზე, რომლებიც შემდგომში აღმოსავლეთის სლავთა ეთნიკური ტერიტორიის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა.

არქეოლოგიური მასალა აგრეთვე მიუთითებს, რომ სლავთა წინაპრები, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა ხანებამდე ცხოვრობდნენ ღია საძოსახლოებში, იშენებდნენ ოთხით შელესილ ქოხებს, რომლებსაც ღუმელებით ათბობდნენ და ბინადარ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ეწეოდნენ.

პირველი ლიტერატურული ცნობა აღმოსავლეთ სლავებზე (ანტების სახელწოდებით) მოეპოვება იორდანეს (VI ს.). ვარაუდობენ, რომ ანტების კულტურის ცენტრი მაშინ შუადნეპისპირეთი უნდა ყოფილიყო I ათასწლეულის შუა ხანებში აღმოსავლეთის სლავები სამხრეთითა და ჩრდილოეთით იკავებს ტერიტორიებს და სახლდებიან ჩუდისა და ილმენის ტბების რაიონსა დ ავოლგა-ოკის შუამდინარეთის აუზში.

ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე შექმნილ ძველ რუსულ (კიევის) სახელმწიფოში, მეზობელი აღმოსავლეთ ბალტიისპირელებისა და ფინურენოვანი ტომების სრული სლავიზაციის პირობებში მიმდინარეობდა აღმოსავლეთ სლავი ტომების ეთნიკური კონსოლიდაციის ის პროცესი, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძველი რუსული ეთნოსის ჩამოყალიბება. მაგრამ ფეოდალური ღალატაქსულობის, ძალმომრეობისა და შუღლის პირობებში, განსაკუთრებით მონღოლთა შემოსევების შედეგად, ეს დიდი ეთნიკური გაერთიანება იშლებოდა და მის ბაზაზე დაიწყო სამი ახლო მონათესავე ხალხის — რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების ჩამოყალიბება.

XIV-XV საუკუნეებში რ უ ს ი ხ ა ლ ხ ი ს ეთნიკური ტერიტორიის ცენტრი მოსკოვი გახდა. მომდევნო საუკუნეებში რუსების ეთნიკური ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. რუსები ჩრდილოეთით ბარენცის და თეთრი ზღვის სანაპიროებამდე განსახლდნენ, დასავლეთით — ბალტიის ზღვამდე და დასავლეთ დვინამდე, სამხრეთით — შავი ზღვის პირამდე და კავკასიის მთებამდე. აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე რუსების განსახლების შედეგად შეიქმნა მათი ორი ჯგუფი: ჩრდილოეთისა და სამხრეთის ველიკორუსები, რომლებიც ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ. განსაკუთრებული ინტენსიური ხასიათი ჰქონდა რუსების განსახლების აღმოსავლეთით, სადაც ურალის გადალახვის შემდეგ XVI საუკუნეში ციმბირის უკიდეგანო სივრცეებზე გავიდნენ და წყნარ ოკეანემდე განსახლდნენ.

მართალია, ახალ ტერიტორიებზე განსახლებული რუსი მოსახლეები არსებითად არასოდეს არ იყვნენ მოწყვეტილი მშობლიურ ეთნოსს. მაინც ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დიფერენციაციას ზოგჯერ თან ახლდა რუსი ხალხის შემადგენლობაში ახალი ეთნოგრაფიული ჯგუფების გაჩენა. ასეთ ჯგუფებს შორის აღსანიშნავია თეთრი ზღვისა და ბარენცის ზღვის სანაპიროებზე მცხოვრები პ ო მ ო რ ე ბ ი, რომელთა წინაპრებმა ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაიწყეს ამ მხარის ათვისება.

ასევეა კ ა ზ ა კ ე ბ ი, რომლებიც ყოფისა და კულტურის თავისებური ფორმებით გამოირჩევიან სხვებისაგან. XV საუკუნიდან მოყოლებული რუსი თავადებისა და ბოიარების ძძიმე უღლიდან ლტოლვილი ყმა გლეხები სახლდებოდნენ მაშინდელი რუსეთის სახელმწიფოს განაპირა რაიონებში. თავდაპირველად (XV ს.) ისინი ჯერ დონის რაიონში განსახლდნენ (დ ო ნ ი ს კაზაკები), სადაც დროთა ვითარებაში მათი ყოფა ნახევრად სამხედრო ყაიდაზე აეწყო. ასეთივე ჯგუფი შეიქმნა დნეპრზე (ზ ა პ ო რ ო ჟ ი ე ს კაზაკები). XVI საუკუნეში დონიდან კაზაკები განსახლდნენ ვოლგისა და თერგის სანაპიროებზე. XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა ყ უ ბ ა ნ ი ს კაზაკობა, რომელშიც შედიოდნენ კავკასიის რეგულარული არმიის ნაწილებზე მიწერილი კაზაკი ჯარისკაცებიც. XIX საუკუნეში შეიქმნა კაზაკთა სხვა ჯგუფები ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში.

მეფის რუსეთი დაინტერესებული იყო კაზაკთა სამხედრო ძალის გამოყენებით როგორც შინაური აჯანყებების ჩასაქრობად, ისე საზღვრების დასაცავად და მეზობელ ქვეყნებთან საომრად; ამიტომაც იარაღით, ფულითა და სურსათით მომარაგების გარდა, მათ სხვა შეღავათებსაც ანიჭებდა. ცარიზმის პირობებში კაზაკობა გარკვეული სოციალური ფენის როლს ასრულებდა. ისინი ამბობდნენ ხოლმე: „ჩვენ კაზაკები ვართ და არა გლეხებიო“. მათ არც მეფის არმიაში იწვევდნენ და არც გადასახადებას ახდევინებდნენ.

ყოფისა და კულტურის გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა ციმბირში — კამჩატკაზე, იაკუტიასა და კრასნოიარსკის მხარეში განსახლებული რუსი მოსახლეობა. ასეთივე თავისებურებებით გამოირჩევიან ს ტ ა რ ო ო ბ რ ი ა დ ც ე ბ ი, რომელთა ნაწილიც რუსული ეკლესიის გაოიშვისა და ცარიზმის მიერ ძველი სარწმუნოების მიმდევართა დევნის შედეგად ურალში გადასახლდა.

შედარებით კომპაქტურად არიან დასახლებული და ეთნიკურადაც უფრო ერთგვაროვანია უ კ რ ა ი ნ ე ლ ე ბ ი. უკრაინელებში ყოფისა და კულტურის თავისებურებებით გამოირჩევიან კარპატებში მცხოვრები უკრაინელი მთიელები — გ უ ც უ ლ ე ბ ი და მათთან ახლოს მყოფი ე ვ რ ხ ო ვ ი ნ ე ლ ე ბ ი.

ეთნიკურად კიდევ უფრო კომპაქტურ ერთობას წარმოადგენს ბ ე ლ ო რ უ ს ე ბ ი, რომლებშიც მცირეოდენი ეთნოგრაფიული თავისებურებებით გამოირჩევა პოლესიეს მოსახლეობა („პინჩუკები“, „პოლეშჩუკები“). ეს მოსახლეობა ენითა და კულტურით წარმოადგენს გარდამავალ ჯგუფს ჩრდილოეთის უკრაინელებსა და სამხრეთის ბელორუსებს შორის.

ამ ე ო ბ ა, აღმოსავლეთის სლავებმა, რომლებმაც თავიანთი წინაპრებიდან მემკვიდრეობით მიიღეს ძველი ს ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ო კულტურა, უძველესი ხანიდანვე მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მეურნეობის ეს დარგები ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულ-

ში წარმოადგენდა იმ ტომთა ეკონომიკის საფუძველს, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის სლავი ხალხები. აღმოსავლეთელ სლავთა სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აგრეთვე მეურნეობის ისეთ დამხმარე დარგებს, როგორიცაა ნ ა დ ი რ ო ბ ა, მ ე ფ ა ლ ზ ე ო ბ ა, შ ე მ გ რ ო ვ ე ბ ლ ო ბ ა. ამასთან, რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების კულტურულ-სამეურნეო ტიპები ძველად შეიცავდა როგორც საერთო ნიშნებს, ისე ლოკალურ ფორმებს. მათი საბინაო-მეურნეო კულტურა, სამეურნეო ტრადიციებისა და ნიადაგების თავისებურებათა შესაბამისად, სხვადასხვა კლიმატურ ზოლში ემყარებოდა. როგორც რეგიონულ საშიწათმოქმედო სისტემებს, ისე მათი შესატყვისი სახვნელი იარაღების გამოყენებას, ერთკბილიანი კავიდან და ორკბილიანი სახვნელებიდან მოყოლებული, ყამირის გასატეხად განკუთვნილ ძნიშ გუთანამდე.

სამხრეთში, სტეპებსა და ტყე-სტეპების ძნიშ ნიადაგებიან რაიონში (უკრაინა, რუსეთის შავმიწიანი ზოლი), სადაც გავრცელებული იყო ძველინდრეობა, სახვნელი იარაღის ძირითად ტიპს წარმოადგენდა ძ ვ ი ლ ი გ უ თ ა ნ ი ასიმეტრიული რკინის სახნისითა და საკვეთელით. ასეთ გუთანში გლეხი გამწევ ძალად რამდენიმე უღელ ხარს უბამდა. იმავე რაიონში ასეთი გუთნით მოხნული ნიადაგის გადასახნავად და საკულტივაციოდ იყენებდნენ შედარებით უფრო მსუბუქ სახვნელ იარაღს („რალო"). იქვე ცნობილი იყო ნიადაგების პერიოდული დასვენების ნაირ-ნაირი ფორმები.

სასუქები მარტო ბოსტნებსა და საკანაფეებში შეჰქონდათ. რუსეთისა და ბელორუსიის არაშავმიწიან ზოლში მინდვრებს, როგორც წესი, საქონლის ნაკელით ანოყიერებდნენ. აქ მინდვრის მიწათმოქმედებასთან თანაარსებობდა ს ა ა ხ ო ე მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ც — ტყის გაჩეხვის წესით.

შუა რუსეთის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში საახოე მიწათმოქმედება ადრევე (XVIII-XIX სს.) გამოდევნა მიწათმოქმედების ს ა ა ლ ი ნ დ ვ რ ი ა ნ მ ა სისტემამ. ამ სისტემის მიხედვით, მთელი სახნავი ფართობი სამად იყო დანაწილებული: ერთზე ითესებოდა საშემოდგომო ხორბალი, მეორეზე — საგაზაფხულო ხორბალი, მესამე დასვენებული იყო. ძველად წლებში ამ მინდვრებს თანმიმდევრულად ერთმანეთს უნაცვლებდნენ — ნასვენებზე საშემოდგომო მარცვლეულს თესავდნენ, საშემოდგომისს — საგაზაფხულოს, მესამეს კი ასვენებდნენ.

ნიადაგების დასამუშავებლად აქ სხვადასხვა სახვნელ იარაღს იყენებდნენ. ფ ა ბ რ ი კ უ ლ ი გ უ თ ა ნ ი გლეხის მეურნეობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ვრცელდება. აღმოსავლეთის სლავებში ძველთაგანვე იყო გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები ძველინდრეობაში — ხორბალი, ქერი, ჭვავი, წიწიბურა, მუხუდო; მებოსტნეობაში — კომბოსტო, ჭარხალი, ხახვი, სტაფილო. XVIII საუკუნეში შემოდის და XIX საუკუნეში ფაროდ ვრცელდება კარტოფილის კულტურა. განსაკუთ-

რებით ბელორუსიასა და ცენტრალურ რუსეთში. იმავე ხანებში შემოდის და ბევრ ოლქში ფართოდ ვრცელდება მზესუმზირა, სიმინდი და პამიდორი. იმავე პერიოდს ემოხვევა შაქრის ჭარხლის ფართო გავრცელება უკრაინაში. აღმოსავლეთის სლავები უძველესი დროიდანვე მისდევდნენ ტექნიკური კულტურების (სელი, კანაფი) მოყვანასაც. ამასთან, სელის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ტენიან რაიონებში, ხოლო სამხრეთ რუსეთსა და უკრაინაში — კანაფი. ძველად სელსა და კანაფს გლეხები მცირე ნაკვეთებზე თესავდნენ — უმთავრესად პირადი მოხმარებისათვის. XIX საუკუნეში ჩნდება ამ კულტურების სამრეწველო ნათესები. სელისა და კანაფის მაღალხარისხოვანი ქსოვილებით ძველთაგანვე იყვნენ სახელგანთქმულნი აღმოსავლეთის სლავები.

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე მ ა რ ც ვ ლ ე ე ულ კ უ ლ ტ უ რ ე ბ ს ხელით თესავდნენ და მოსავალსაც ხელით, დაკბილული რამგლით იღებდნენ. ჩრდილოეთსა და ცენტრალურ რაიონებში პურს გალეწვამდე აშრობდნენ სპეციალურ ნაგებობაში — „რიგაში", რომელშიც დიდი ღუმელი იყო გამართული. პურს ყველგან ჯაჭვებით ლეწავდნენ, ნიჩბებით ანიავებდნენ და წყლის წისქვილებით, ზოგან კი ქარის წისქვილებითა და ხელსაფქვაველებით ფქვავდნენ.

მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა. ჯერ კიდევ ძველ რუსეთში განსაკუთრებით მისდევდნენ ვაშლისა და ალუბლის მოშენებას. მეხილეობა ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ რუსეთსა და უკრაინაში, სადაც საამისო ხელსაყრელი ბუნრივი პირობები მოიპოვებოდა.

აღმოსავლეთ სლავებში მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა ოდითგანვე მიწათმოქმედებასთან იყო შერწყმული. აშენებდნენ როგორც მსხვილფეხა რქოსან საქონელს, ცხენებს, ისე წვრილფეხა საქონელს, შინაურ ფრინველებსა და სხვ. მეცხოველეობის მთავარი დარგი იყო მსხვილფეხა მესაქონლეობა როგორც სახორცე, ისე სარძევე მიმართულების. გამწევ ძალად სამხრეთის შავიწიან ზოლში იყენებდნე ხარებს, ხოლო არაშავიწიან ზოლში — ცხენებს. საქონლის სულადობა გლეხების შეძლებაზე იყო დამოკიდებული. მრავლად იყო ისეთი ღარიბი გლეხი, რომელსაც სრულებით არ ჰყავდა არც ძროხა, არც ცხენი, არც ცხვარი. კარპატების ზოგ რაიონში გლეხის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მ ე ც ხ ვ ა რ ე ო ბ ა ს ეკავა.

აღმოსავლეთის სლავები ძველთაგანვე მისდევდნენ მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ა ს, რომელიც ბევრგან, XIX საუკუნის ბოლომდე, მარტივი ფორმებით იყო შემონახული (გეჯები, ზოგან ტყიური მეფუტკრეობა). თანამედროვე საფუტკრე სკები მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოდან გავრცელდა.

აღმოსავლეთის სლავებში თუმცა მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა ს ბევრგან მისდევდნენ, სადაც კი საამისო პირობები იყო, მაგრამ ამ სარეწავს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ტბებისა და ზღვების სანაპიროებზე ჰქონდა.

შემგრეველობასა და ნადირობას ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ექონდა ძველი რუსეთის მერუნეობაში, მაგრამ რეწვის მნიშვნელობა ამ საქმიანობამ მხოლოდ ჩრდილოეთში, ციმბირის რუსეთში შეინარჩუნა.

სხვა რაიონებში ნადირობა უმთავრესად გასართობ საშუალებას წარმოადგენდა საზოგადოების მაღალი ფენებისათვის.

XX საუკუნის დამდეგამდე აღმოსავლეთის სლავებში გლეხური მეურნეობა ნახევრადნატურალურ ხასიათს ატარებდა. ყველაფერს, რაც ოჯახს სჭირდებოდა, გლეხი თვითონვე ამზადებდა თავის მეურნეობაში ან აღგილობრივი წვრილი ხელოსნებისაგან (მეთუნეები, მჭედლები და სხვ.) იძენდა.

ყველა გლეხის ოჯახში იყო გამართული ჯარა და საქსოვი დაზგა. გლეხის ქალები თვითონვე უქსოვდნენ და უკერავდნენ საკმესელს ოჯახის წევრებს. ზოგ რაიონში გავრცელებული იყო სათამაშოების, კოვზების, ტაფავის, კასრების, მოხატული ჭურჭლის („ხოხლომა") და სხვა საოჯახო.

აღმოსავლეთის სლავებში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩნდება ს ო ფ ლ ო ს ა ნ ო ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ნ ი და ქალაქები, რომლებიც სოფლებს ბაზრობებზე თავიანთი ნაწარმით ამარაგებდნენ. კაპიტალიზმის პირობებში სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად ლიდან გაიზარდა საქონლის მოცავარი მიმწოდებლის — ინდუსტრიული ქალაქების და ხელოსნური წარმოების ცენტრების ეკონომიკური როლი სოფლის მოსახლეობაში, რომელიც ახლა უკვე ნაყიდი სამრეწველო საქონლით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს. ამავე დროს, კაპიტალიზმის შეჭრამ სოფელში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სოფლის მოსახლეობის საზეურნეო ყოფაში, სოციალურ ურთიერთობაში, მატერიალურ და სულიერ კულტურაში

ძველად აღმოსავლეთის სლავებში გავრცელებული იყო ლ ა ს ა ხ ლ ე ბ ი ს ორი ძირითადი ტიპი: სოფლისა და ქალაქის დასახლება. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სოფელში ცხოვრობდა.

რუსეთის სამხრეთ რაიონებსა და უკრაინაში საკმაოდ ხშირი იყო ძრავალკომლიანი დასალხებანი (ათას კომლამდე), რომლებიც, როგორც წესი, ძ�drlad იყო დასახლებული მდინარეთა სანაპიროების გასწვრივ. რუსეთის ცენტრალურ რაიონებსა და ბელორუსიაში გავრცელებულ საშუალო ზომის სოფლებში (10-15-დან 100-150 კომლამდე) მოსახლეობა თანაზომიერად იყო განსახლებული ნაყოფიერ მიწაზე მდინარეთა გასწვრივ ან ტბების გარშემო. რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებისათვის კი დამახასიათებელი იყო მცირეკომლიანი სამოსახლოები. დასახლების უძველესი ფორმები იყო: შეკგუფული, წრიული, რიგების ან ხაზვით. დასახლების რეგიონული ფორმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ძველი ხიმინჯიანი დასახლებანი ბელორუსიაში, სადაც სახლები ბოძებზე იდგა და წყალდიდობისას ერთი სახლიდან მეორემდე ნავებით გადადიოდნენ. XVIII-XIX საუკუნეებში სოფლური დასახლების ძველი ფორმების ახალი ფორმებით (ქუჩებად და უბნებად დაყოფა) შეცვლა ინტენსიურად მიმდინარეობდა

ქალაქური დასახლება ჯერ კიდევ ძველ რუსეთში იყო გავრცელებული. ფეოდალური ქალაქისათვის დამახასიათებელი იყო ციხესიმაგრე ცენტრში და ხელოსანთა რიგები მის გარშემო. კაპიტალიზმის დროს ახალი ტიპის ქალაქებთან – სამრეწველო ცენტრებთა ერთად (მაგ, ივანოვო) ვრცელდება სავაჭრო დაბები, ხოლო სამრეწველო რაიონებში მუშათა ისეთი ახალშენები, როგორიცაა დონბასი და სხვ.

ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი. XIX საუკუნის აღმოსავლეთის სლავებში სოფლად საცხოვრებელი სახლის გარკვეული ტიპები იყო გავრცელებული. ამ ტიპებში თავისებურად იყო შერწყმული საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსები, გეოგრაფიული გარემოსა და მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული ტრადიციების შესაბამისად.

გლეხის კარმიდამოში ოჯახის საცხოვრებელი ნაწილი იყო ქ ო ხ ი (უკრაინასა და ბელორუსიაში – ხატა), რომლის მოავარ დამახასიათებელ კომპონენტს ღუმელი შეადგენდა. აღმოსავლეთის სლავები სახლებს სხვადასხვა მასალისაგან აშენებდნენ. შუა რუსეთსა და ბელორუსიის დიდ ნაწილში საცხოვრებელი და სამეურნოე ნაგებობების საშენ მასალად ხე-ტყეს იყენებდნენ. ცენტრალურ რუსეთში გლეხის სახლს ორმწკრივად მიშენებული ჰქონდა საქონლის სადგომი (ხოლო ჩრდილოეთ ოლქებში – ერთმწკრივად, სახლის უკან). საცხოვრებელი სახლიდან გამოცალკევებით იდგა ბეღელი. ზოგან – აბანო და სხვა ნაგებობანი. სახლებში ხის იატაკი მიწიდან 1,50 მეტრამდე იყო ამაღლებული. ორფერდა სახურავი ნამჯით, ყავრით ან სხვა მასალით იხურებოდა.

სამხრეთ რუსეთის ზოგ რაიონში, უკრაინის მეტწილ ოლქებსა და სამხრეთ ბელორუსიაში საცხოვრებელი სახლის კედლები თიხით იყო შელესილი და თეთრად შეღებილი. გარეგნულად ასეთი სახლების ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელი იყო, რადგანაც შელესილი თიხა ფარავდა კედლის კონსტრუქციას (ძელური, წნული, სხვ.). ასეთი სახლები ხშირად ორი-სამი თვალისაგან შედგებოდა და გადახურული იყო ორფერდა ან ოთხფერდა სახურავით. იატაკი მეტწილად მიწის ჰქონდა და ფასადი სამხრეთით იყო მიქცეული. სამეურნეო ნაგებობანი ერთ ჭერქვეშ თავსდებოდა. საკუთრივ საცხოვრებელი ქოხი იდგა მაღალ ბანზე; ორ სართულიან სამეურნეო ნაგებობებში – ქვემოთ საქონლის სადგომი იყო მოთავსებული, ზემოთ – საქონლის საკვები.

აღმოსავლეთის სლავებში საცხოვრებელი სახლის ინტერიერი თითქმის ერთნაირად გამოიყურებოდა – ერთ-ერთ კუთხეში მოთავსებული იყო რუსული ღუმელი, რომლის უძველესი წინაპარი უკრაინაში ჯერ კიდევ ტრიპოლიეს განათხარ კულტურაშია (ძვ. წ. III ათასწ.) დამოწმებული, ქოხის შიგნით კედლების გაყოლებით მოწყობილი იყო ხის გრძელი მერხები. ღუმელის პირდაპირ, საპატიო კუთხეში ეკიდა ქრისტიანული ხატები.

ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი. აღმოსავლეთის სლავთა ტრადიციულ ჩაცმულობაში საერთო ელემენტებთან ერთად წარმოდგენილი იყო მოცული რიგი ლოკალური თავისებურებებისა. რუსი, უკრაინელი და ბელორუსი გლეხების ტრადიციული ტანსაცმელი სელის, კანაფისა და შალის შინაბადი ან ფაბრიკული ქსოვილებისაგან მზადდებოდა. მათი სამოსელი, განსაკუთრებით ქალისა, მდიდრულად იყო შემკული ნაქარგებით და აღმოსავლეთის სლავთა განსახლების ოლქებში რეგიონული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

მ ა მ ა კ ა ც ი ს კ ო ს ტ ი უ მ მ ა გაცილებით ადრე, განსაკუთრებით ქალაქური ჩაცმულობის გავლენა. მამაკაცის ტრადიციული ტანსაცმელი იყო ტილოს პერანგი სწორად ჩაჭრილი გულისპირით, ტილოს ან შალის ვიწრო შარვალი (უკრაინის ზოგ რაიონში გავრცელებული იყო უძველესი შარვლები) და მაუდის, ან ცხვრის ტყავის ობილი ზედა სამოსი.

ქ ა ლ ი ს ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი იყო თეთრი, გრძელი, სახელოებიანი დაქარგული პერანგი. თუმცა სიგრძითა და დეტალის მიხედვით პერანგის რამდენიმე ვარიანტი იყო ცნობილი, ისინც მათი თარგი აღმოსავლეთის სლავთა ჩაცმულობის უძველეს ტრადიციას უკავშირდება. პერანგზე ქალები ატარებდნენ თეძოებზე შემოხვეულ კაბა-რული შალის შეუკერავ ქვედატანს, რომელიც სამხრეთ რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი (ფარეკა, ზაპასკა, დერგა, პლანტა, პონიავა), პობევას უპირატესად გათხოვილი ქალები ატარებდნენ. ჩრდილო და სამხრეთ რუსეთში ქალები და ქალიშვილები ატარებდნენ სარაფანს, რომლის გავრცელებას XVI-XVII საუკუნეებში სპეციალისტები მოსკოვის გავლენას მიაწერენ (ცნობილია სარაფანის რამდენიმე ტიპი: ნოვგოროდული, მოსკოვური და სხვ.). ქალის ობილი ტანსაცმელი იმავე ტიპისა იყო, როგორც მამაკაცისა (მაუდის კაფთანი, წელში გამოყვანილი ტყავკაბა ან ტყაპუჭი და სხვ.). განსაკუთრებული ორნამენტებით ხასიათდებოდა ქალის თავსაბურავი. უბრალო თავსაფრისგან მოყოლებული სახიან თავშლამდე. XIX საუკუნეში მამაკაცის ქუდებიც გავრცელებული თავსაბურავი იყო ქალაქური „კარტუზიანი" ქუდი. ასევე ერთად, შემორჩენილი იყო ნაბდის, ბეწვეულის, ჩალისა და სხვა ქუდებიც.

რევოლუციამდე რუსი გლეხების ძირითადი ფეხსაცმელი იყო ლაფანისაგან მოწნული ქალამანი; ტყავის ფეხსაცმელსა და ჩექმებს მარტო შეძლებული გლეხები ატარებდნენ. უკრაინასა და ბელორუსიაში გავრცელებული იყო აგრეთვე მოჭრილი ტყავის ქალამანი.

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ყ ო ბ ა. აღმოსავლეთ სლავებში თუმცა ოჯახის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა პატარა, ძირითადი ოჯახი, მაგრამ რუსებსა და ბელორუსებში ბევრგან კაპიტალისტამდე იყო შემონახული დიდი პატრიარქალური ოჯახები, მათი უფროსისადმი დესპოტური უფლებებით. ასეთ ოჯახებში მამებთან ერთად განუყოფელად ცხოვ-

რობდნენ მათი შვილები (ძმები) და მათი ოჯახები, ზოგჯერ ზედსიძეები, შვილიშვილები თავიანთი ოჯახებით, რომელთა რიცხვი ხშირად 40-60 სულს აღწევდა. ასეთ ოჯახში სამეურნეო საქმეებს უძღვებოდა ოჯახის უფროსი — „ბოლშაკი", რომელსაც საქალო საქმეების გამგებლობაში მისი მეულლე ეხმარებოდა. ასეთ ოჯახში განსაკუთრებით მძიმე იყო ქალების მდგომარეობა. ოჯახის გაყოფის შემთხვევაში ოჯახის უფროსის ნება-სურვილი გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა.

რეფორმის შემდგომ ხანაში განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა დიდი ოჯახების დაშლა პატარა ინდივიდუალურ ოჯახებად, რის შედეგადაც XX საუკუნის დასაწყისში მან თითქმის საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა.

ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. აღმოსავლეთის სლავი ხალხების ძველ ყოფაში (განსაკუთრებით გლეხებში) შემორჩენილი მრავალი წესჩვეულება დაკავშირებული იყო საყოფაცხოვრებო მოვლენებთან — მშობიარობასთან, ქორწინებასთან, მიცვალებულის დასაფლავენასთან და სხვ. მათი დაცვა ტრადიციის ძალით საკალდებულოდ ითვლებოდა და ხშირ შემთხვევაში გლეხობისაგან მნიშვნელოვანი ნივთიერი სახსრების გაღებასა და სულიერი ძალების დაძაბვას მოითხოვდა.

აღმოსავლეთის სლავთა რწმენა-წარმოდგენებში ასახული იყო როგორც ქრისტიანული, ისე წინაქრისტიანული კულტები და საწესო ჩვევები. მათი ოფიციალური რელიგია იყო მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ლ ო ბ ა, რომელიც ერთხანს უკრაინასა და ბელორუსიაში წარმოადგენდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას პოლონელი, ლიტველი და სხვა კათოლიკე პანების წინააღმდეგ. შედარებით დიდი გავლენა ჰქონდა ქრისტიანულ რელიგიას სტაროობრიადცებში და XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა სექტაში (ბაპტისტები, ევანგელისტები და სხვ.).

სამხრეთ რაიონებში, ოფიციალურ რელიგიასთან ერთად, ხალხში შემონახული იყო წ ა რ მ ა რ თ უ ლ ი რ წ მ ე ნ ა - წ ა რ მ ო დ გ ე ნ ე ბ ი. ამ რწმენა-წარმოდგენებში ქრისტიანული წმინდანები ხშირად დაკავშირებული იყვნენ ძველ სლავურ წარმართულ ღვთაებებთან: პერუნი, მსგავსად წმინდა ელიასი, ითვლებოდა ტაროსის, ჭექა-ქუხილის ღვთაებად; წმ. გიორგი და ვლასი — პირუტყვის მფარველად და ა.შ. თავისებური წარმოდგენები იყო დაკავშირებული წინაპრის კულტთან (ოჯახის მფარველი ღვთაება „დომოვი", მშობლების მოსაგონარი „შაბათები" და სხვ.). ამ რწმენა-წარმოდგენებში დიდი ადგილი ეკავა, აგრეთვე, სამეურნეო ციკლთან დაკავშირებულ საწესჩვეულებო მონაცემებს, რაც თავისებურად იყო ასახული ხალხურ დღეობათა კალენდარში.

აღმოსავლეთის სლავებმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწიეს. განსაკუთრებით, ხ ა ლ ხ უ რ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მრავალ-

მა დარგმა, პირველ რიგში — ხალხურმა სიმღერებმა (მათ შორის ისტორიულმა), ცეკვებმა, ზეპირსიტყვიერებამ (რუსული „ბილინები") და სხვ. ღიღი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ხალხური მუსიკალური საკრავები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხური შემოქმედების ისეთის სახეები, როგორიცაა სადღესასწაულო ტანსაცმლის მდიდრული ნაქარგობა და მხატვრული ქსოვა, საცხოვრებელი სახლების მოხატვა და მოჩუქურთმება, ძრავალფეროვანი ხალხური მხატვრული სარეწები, განსაკუთრებით XVIII-XIX საუკუნეებში შექმნილი მხატვრული ხელოსნობის საქვეყნოდ ცნობილი ცენტრები (ხოხლომა, პალეხი და სხვ.).

მეშვიდე თავი

კავკასიის ხალხები

(ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები)

:

XI საუკუნეში საქართველოში შეიქმნა ერთი კონცეფციით განმსჭვალული საისტორიო თხზულებების კრებული, ქართული საისტორიო მეცნიერების დედაბოძი — „ქართლის ცხოვრება". მასში არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის ხალხთა ისტორიაა მეტ-ნაკლები სისრულითა და მოცულობით წარმოდგენილი. კონკრეტული ისტორიის, მრავალი ისტორიული ფაქტის გადმოცემასთან ერთად, მასში მრავალი ზოგადი ხასიათის თვალსაზრისი და კონცეფციაა გატარებული. ერთ-ერთი მათგანია იდეა კავკასიის ხალხთა ერთიანობის, საერთო წარმომავლობის, თანამოძმეობის, სისხლისმიერი ნათესაობის შესახებ. ამ იდეით იყო განმსჭვალული ქართული პოლიტიკური აზროვნება, მისი არსებობის მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში — მაშინაც, როდესაც ქვეყანა სხვადასხვა გარემოებათა გამო პოლიტიკურად, ხშირად ეკონომიკურადაც, დაშლილ-დაქუცმაცებული იყო.

წინამდებარე თავში თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მონაპოვართა საფუძველზე კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის ზოგადი მიმოხილვისას, ვფიქრობთ, კარგად გამოჩნდა თუ ყველასი არა, ამ ხალხების დიდი ნაწილის მაინც საერთო წარმოშობა, მათი ნათესაობა, ეროიანი კავკასიური სახლის, არა მარტო პოლიტიკური ცნების სახით, არამედ გენეტიკურადაც, რეალურად არსებობა.

მართალია, და ეს აქ წარმოდგენილ ნარკვევებშიც აისახა, კავკასიაში მოსახლე ხალხების ნაწილი ინდოევროპელებს ეკუთვნის, ნაწილი — იბერიელ-კავკასიელებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი აბორიგენები, ადგილობრივი წარმოშობისა, საერთო ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის მატარებლები არიან.

ვფიქრობთ, ეს ძველისძველი იდეა, რითაც გამსჭვალული იყო კავკასიის ხალხთა აზროვნება ათასწლეულების განმავლობაში, თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიხედვითაც დასტურდება და მომავალშიც ახალ-ახალი ფაქტებით განმტკიცდება.

* * *

კავკასიის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ - გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი გ ა რ ე - მ ო. კავკასია წარმოადგენს ერთიან მსხვილ გეოგრაფიულ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს. იგი იყოფა ჩრდილოეთ კავკასიად და ამიერ კავკა-

სიად. მთელ კავკასიაზე გადაჭიმულია მთების მძლავრი, განტოტვილი სისტემა, დიდი კავკასიონის სახელწოდებით, რომლის საერთო სიგრძე — ტამანის ნახევარკუნძულიდან, შავი ზღვის სანაპირიოზე, აფშერონამდე, კასპიის ზღვაზე — შეადგენს დაახლოებით 1500 კმ-ს. კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, ამიერკავკასიაში, შავი ზღვისა და მდინარე არაქსის ქვემო დინებას შორის, განლაგებულია ნაოჭა მთების მეორე სისტემა მცირე კავკასიონის სახელწოდებით. მთათა ორივე ამ სისტემას მრავალი განტოტვება მოეპოვება, ხოლო ერთმანეთთან ისინი დაკავშირებულია სურამის, ანუ ლიხის ქედით. მთელს ამ ტერიტორიას, რომელზეც მრავალი ხალხი, ერი და ტომი ცხოვრობს, 440 ათასი კვ. კმ უჭირავს.

თოვლის საფარი დიდ კავკასიონზე განლაგებულია დასავლეთით ზღვის დონიდან 2750-3200, ხოლო აღმოსავლეთით — 3500-3900 მეტრ სიმაღლეზე. მისი ფართობის 2000 კვ. კმ დაფარულია მყინვარებით, რომელთა რიცხვი 1400-ს აღწევს.

დიდი კავკასიონის მძლავრი ქედი, რომლის სიგანე იალბუზის ძირამდე 180 კმ-ს აღწევს, სიმაღლეში მატულობს ცენტრისაკენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ამ ცენტრალურ ნაწილშია განლაგებული კავკასიონის მთავარი მწვერვალები — იალბუზი (5633 მ), შხარა (5201 მ), დიხთაუ (5198 მ), კოშტან-თაუ (5144 მ), ყაზბეგი (5047 მ), ორწვერიანი უშბა (ჩრდილოეთ მწვერვალი — 4690 მ, სამხრეთ მწვერვალი — 4710 მ) და მრავალი სხვ.

მრავალ ადგილას დიდი კავკასიონი გადაკვეთილია გადასასვლელებით. მათ შორისაა: გოითხის (რომელზედაც გადის ტრანსკავკასიის რკინიგზა), მარუხის, ქლუხორის, მამისონის, ჯვრის, კოდორის, სალავათის და სხვ. ამ მთავარ გადასასვლელებს გარდა, მოიპოვება ბევრი სხვა მცირე. აღგილობრივი მნიშვნელობის გადასასვლელი, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევს. ისინი კავკასიის მცხოვრებთათვის უძველესი დროიდან იყო ცნობილი, ასე რომ, კავკასიის ქედი მათთვის გადაულახავ წინაღობას არასოდეს წარმოადგენდა ურთიერთობისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს კავკასიის ისტორიაში ასრულებდა ორი ცნობილი გადასასვლელი — დარიალისა, რომელითაც საქართველო უკავშირდებოდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს და დარუბანდისა, ანუ რკინის კარები, რომელიც გაჭრილი იყო კავკასიონის ქედის ბოლოს, კასპიის ზღვის სანაპიროზე, ღღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე.

ამ „კარებისა" და გადასასვლელების მეშვეობით, საუკუნეთა განმავლობაში, კავკასიის ხალხებს შორის დამყარებული იყო და ამჟამადაც არსებობს მჭიდრო ურთიერთობა, როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის სფეროში; ხშირად გარეშე მტრების თავდასხმის დროსაც, ამ ხალხებს არაერთხელ შეუკრავთ პოლიტიკური და სამხედრო კავშირები მათ მოსაგერიებლად. ხო-

ლო XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ისინი, ზოგი პირდაპირი შეერთების და ზოგიც ვასალურ სახელმწიფოთა სისტემით, გაერთიანებული იყვნენ ერთ საერთო პოლიტიკურ და კულტურულ-ისტორიულ ორგანიზმში, რომელსაც საქართველო მეთაურობდა. ყველაფერ ამას გარეშე მტრების, ჯერ მონგოლების, შემდეგ ირანისა და ოსმალთა შემოსევებმა მოულო ბოლო; ხოლო ამ მხარეში რუსული მმართველობის რეჟიმის დამყარების შემდეგ ეს ფაქტები მიივიწყეს. კავკასიის ხალხთა ერთობის იდეის მოშლას დიდად შეუწყო ხელი 1917-1990 წლების დროს აქ დამყარებულმა სოციალისტურ-კომუნისტურმა რეჟიმმა, რომლის დროსაც ინტერნაციონალიზმის უკულმართად გაგებული გაბატონებული იდეოლოგიის პირობებში მოუხდა ამ ხალხების დაპირისპირება და კონფრონტაცია კონსოლიდაციის ნაცვლად.

ამ მცირე ისტორიულ-პოლიტიკური ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ კავკასიის რეგიონის გეოგრაფიულ და ბუნებრივ დახასიათებას.

კავკასიის ბუნებრივი პირობების ერთ-ერთი თავისებურებაა მისი სეისმურობა. მარტო XX საუკუნის პირველ ნახევარში აქ რეგისტრირებული იყო 2000-ზე მეტი მიწისძვრა. რამდენიმე დამანგრეველი მძლავრი მიწისძვრა მოხდა 80-იან წლებშიც (ლენინაკანის, რაჭის), რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი. ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ ძლიერი მიწისძვრები კავკასიაში დაფიქსირებულია წარსულშიც, მაგალითად, 1089, 1280-იან წლებში და XV და XVII საუკუნეებში. სეისმური მოქმედების მთავარი კერები განლაგებულია ამიერკავკასიაში; ესენია: შემახის — დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის აღმოსავლეთის წვერზე, ახალქალაქის, ლენინაკანისა და ზანგეზურის ამიერკავკასიის ზეგანზე, ასევე ლენქორანისა და სხვები; მიწისძვრები აღირიცხა აგრეთვე დიდი კავკასიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში და იმიერკავკასიისპირეთში (კერძოდ, პიატიგორსკის რაიონში).

კავკასიაში, გარდა მაღალმთიანი რელიეფისა, არის მთელი რიგი ნოტიო და მშრალი დაბლობებისა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მრავალი ვრცელი ტერიტორიები უჭირავს, ისე კავკასიონის ქედის სამხრეთით. ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლის ზეგანის, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით განლაგებულია ორი დიდი დაბლობი — ყუბან-აზოვისპირეთისა და თერგი-კუმისა, რომელიც შეადგენს კასპიისპირა დაბლობის ნაწილს. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გამოიყოფა მტკვარ-არაქსისა და ლენქორანის დაბლობები, ხოლო დასავლეთში — კოლხეთის, ანუ რიონის დაბლობი.

კავკასიის ძირითადი მდინარეები ჩაედინება სამ — შავ, აზოვისა და კასპიის ზღვაში. კერძოდ: ენგური, რიონი, ჭოროხი — შავ ზღვაში, მტკვარი არაქსით, თერგი, სულაკი, კუმა — კასპიის ზღვაში და ყუბანი — აზოვის ზღვაში. კავკასიის მდინარეების უმრავლესობა ღრმა არ არის, ხასიათდება დიდი სიჩქარითა და ცვალებადი დინებით. ზოგიერთი გამოუსადეგარია ნა-

ოსნობისათვის. ასეთია როგორც დიდი, ისე პატარა. მდინარეები. ნაოსნობა შესაძლებელია მხოლოდ მდინარე ყუბანზე, ისიც. მხოლოდ ლაბას შესართავთან. მდინარე რიონზე — დაახლოებით 70 კმ-ის მანძილზე შესართავიდან, მდინარე მტკვარზე (ეველახიდან). კავკასიის მდინარეები არც სიდიდით გამოირჩევიან. ყველაზე დიდი მდინარეა მტკვარი, რომლის სიგრძეა 1515 კმ. აქედან ნაოსნობისთვის გამოსადეგია 615 კმ-ის სიგრძეზე. სიგრძის მიხედვით მტკვარს მოსდევს მდინარე ყუბანი — 961 კმ, მდინარე არაქსი — 914 კმ და მდინარე თერგი — 615 კმ.

კავკასია მდიდარია ტბებითაც. მათი რიცხვი 2000-ს აჭარბებს. ისინი მცირე ზომისაა. შედარებით დიდია სევანის ტბა, რომელიც მდებარეობს სომხეთში 1914 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მისი წყლის სარკის ზედაპირი 1416 კვ. კმ-ს შეადგენს, მაქსიმალური სიღრმე 99 მეტრია. მისგან მოედინება მდინარე რაზდანი, რომელიც მდინარე არაქსს უერთდება. ხოლო ეს უკანასკნელი — მტკვარს.

რაც შეეხება კლიმატურ პირობებს, კავკასია მდებარეობს ზომიერ და სუბტროპიკულ სარტყელთა შეერთების ადგილზე. მათი საზღვარია კავკასიონის ქედი, რომელიც გზას უღობავს ცივი არქტიკული მასების ჩრდილოეთიდან და აკავებს ცხელ მასებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამის გამო არსებითი განსხვავებაა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის კლიმატურ პირობებს შორის — ჩრდილოეთ კავკასია ზომიერ სარტყელს განეკუთვნება, ხოლო ამიერკავკასია — სუბტროპიკულს. თუმცა, ზოგჯერ არსებითი განსხვავებაა კავკასიის თვით ცალკეულ რეგიონებს შორის. მაგალითად, ამიერკავკასიაში ნოტიო ან მშრალი სუბტროპიკული კლიმატი (პირველი — კოლხეთში, ხოლო მეორე — ლენქორანში, როგორც ვხედავთ, ორივე კავკასიის დიამეტრულად საწინააღმდეგო ადგილებშია) შერწყმულია კონტინენტურ ჰავასთან (ჯავახეთის ზეგანზე).

კავკასიის მთიანეთში ჰავის და ლანდშაფტის რაგვარობა დამოკიდებულია ვერტიკალურ ზონებზე. რელიეფის ამაღლებასთან ერთად ჰავა იცვლება, სუბტროპიკულიდან ზომიერი თბილისაკენ, ხოლო შემდეგ სხვადასხვა სახის ცივი ჰავისაკენ მუდმივი სიცივის სარტყელამდე. ამის შესაბამისად იცვლება ლანდშაფტიც. ოთელიანი ზოლის შემდეგ განლაგებულია ალპური და სუბალპური მდელოები, რომლებიც ზაფხულობით გამოიყენება შესანიშნავ საძოვრებად. მათ ქვემოთ განლაგებულია ტყის და მარცვლოვან კულტურათა მოშენების ზონები, უფრო ქვემოთ რაიონებია, სადაც შესანიშნავად ხარობს ხილი, თხილი, ვენახი, ბამბა და სითბოსმოყვარული სხვა კულტურები. კოლხეთისა და ლენქორანის დაბლობებზე, აგრეთვე ზოგიერთ სხვა რაიონში, ყველა პირობა არსებობს სუბტროპიკული კულტურების მოსაშენებლად, რაც განხორციელებულია კიდეც (ჩაი, ციტრუსები და სხვ.).

კავკასია ცნობილია წიაღისეული სიმდიდრით. აქ მკვიდრი მოსახლეობა უძველესი დროიდანვე მოიპოვებოდა სპილენძს, რკინას, ტყვიას. ამიერკავკასიაში მოიპოვება ჭიათურის მარგანეცისა და ყაჯარანის მოლიბდენის უმნიშვნელოვანესი საბადოები. ჩრდილოეთ კავკასიაში ცნობილია სადონის პოლიმეტალური საბადო — თუთიის, ტყვიისა და ვერცხლის შემადგენლობით. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აქ უძველესი დროიდანვე მეტალურგიის განვითარებისათვის.

კავკასიის ხალხთა ყოფით კულტურაში დიდი ადგილი უჭირავს ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ტრადიციებს. აქ უძველესი დროიდან მისდევდნენ და მისდევენ ლითონის დამუშავებას, იარაღების გამოჭედვას, მისგან სხვადასხვა ნივთისა და სამეურნეო იარაღის დამზადებას.

კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის დიდი ადგილი უჭირავს ნავთობს, ბაქოს, გროზნოს, კასპიის ზღვისა და კავკასიის სხვა ადგილების ნავთობის საბადოები უმნიშვნელოვანესა და საყოველთაოდ ცნობილი თავისი მაღალი ხარისხით. დიდია კავკასიაში საწვავი გაზის მარაგიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვება იგი სტავროპოლში, დაღესტანსა და აზერბაიჯანში.

ძვირფასი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა კავკასიის მინერალური წყლები (წყალტუბოს, ბორჯომის, ჯერმუკის და სხვ.).

კავკასია ერთობ მდიდარია სამშენებლო მასალით. ფართოდ არის ცნობილი და სამრეწველო მნიშვნელობისაა ნოვოროსიისკის ცემენტის წარმოებისათვის საჭირო მერგელი, სომხეთის ტუფი, კავკასიაში ქვა ძირითადი სამშენებლო მასალაა, ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში თიხა, განსაკუთრებით დაბლობ და მთისწინა ზონებში. მასთან ერთად სამშენებლოდ ინტენსიურად გამოიყენება ხე-ტყე. იგი, ქვასთან ეროად, ძირითადი სამშენებლო მასალაა საქართველოში, ოსეთში, დაღესტანში, აზერბაიჯანსა და სომხეთის სხვადასხვა რეგიონში.

უეჭველია, კავკასიის ხალხების ყოფასა და მატერიალურ კულტურაზე, მის განვითარებასა და თვისებებზე, საზოგადოებრივ-ისტორიულ ფაქტორებთან ერთად, დიდ გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო — ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. სწორედ ამით აიხსნება მთავარი სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარება, როგორიცაა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, თანაც მათი ურთიერთშეხამების გზით, საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ფართოდ გამოყენებით, საგაზაფხულო და საშემოდგომო ოესვის დანერგვით და სხვ.

კავკასიაში ფართოდ არის გავრცელებული ხელოსნობის სწორედ ის დარგები, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულზეა დამყარებული და ისტორიულად ყალიბდებოდა შრომის გეოგრაფიული განაწილების თავისებურებათა გათვალისწინებით.

მიმოსვლის გზები და გადაადგილების საშუალებანი ისტორიულად განპირობებული იყო რთული რელიეფის თავისებურებებით.

ცხადია, გეოგრაფიული პირობების თავისებურებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა კავკასიის ხალხთა საცხოვრებელს, ტანსაცმელს, საკვებს. მაგალითად, კავკასიის დასახლებათა დაგეგმარება — სახლების ერთად თავმოყრა, მათი საფეხურებრივი განლაგება ან პირიქით, მიმოფანტვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ რეგიონის გეოგრაფიულ გარემოსა და მცენარეულ საფართან.

ეთნოლინგვისტური შემადგენლობა. კავკასია ძალზე თავისებური რეგიონია ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით. როგორც ერთ, ისე მეორე სფეროში იგი გამოირჩევა დიდი მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით. ცხადია, ყოველივე ეს განპირობებულია ძველ ისტორიული განვითარების თავისებურებებით, გეოგრაფიული გარემოთი და სხვ. ლინგვისტური თვალსაზრისით, კავკასიის დიდი სიჭრელის დასახასიათებლად საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ აქ ცხოვრობს 50-ზდე ეროვნება, თავისი დამოუკიდებელი ენით. ლინგვისტური თვალსაზრისით ეს ენები განეკუთვნება ენათა სამ დიდ ოჯახს: საკუთრივ კავკასიურს, ანუ იბერიულ — კავკასიურს, ინდოევროპულს და ალთაურს. ამის გარდა, კავკასიის ქალაქების მცხოვრებთა შორის მრავლად არიან ენათა სხვა ოჯახების წარმომადგენლები. მათ შორის: სემიტურ-ქამიტურის — ასირიელები, ანუ ასორები; ურალო-ფინურის — ესტონელები, მორდველები და სხვ. ყველა აქ დასახელებულ ენათა ოჯახების წარმომადგენლები ცხოვრობენ როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ისე ამიერკავკასიაში.

როგორია ზოგადად კავკასიის ლინგვისტური სურათი?

კავკასიურ, ანუ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი იყოფა ოთხ ჯგუფად: ჩრდილო-დასავლური — ადიღეურ-აფხაზური, ცენტრალური — ნახური, ანუ ვეინახური, ჩრდილო-აღმოსავლური — დაღესტნური და სამხრეთული — ქართველური, ანუ იბერიული.

ადიღეურ-აფხაზურ ენებზე ლაპარაკობს დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობა; ესენია: ადიღეელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, აბაზები, აფხაზები. ადიღეელები ცხოვრობენ ადიღეს ოლქში და კრასნოდარის მხარის ტუაფსესა და ლაზარევსკოეს რაიონებში. მათი ძირითადი ჯგუფები მოსახლეობენ, აგრეთვე, კრასნოდარის მხარის უსპენსკის რაიონში და ყარაჩაი-ჩერქეზეთში. 1983 წლისათვის, მათი რიცხვი 115 ათას კაცს აღწევდა. ადიღეელთა ენაზე ლაპარაკობენ, აგრეთვე, არმავირის სომხები.

ადიღეურ-აფხაზური ჯგუფის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია ყაბარდოელები (345.000), რომლებიც ცხოვრობენ ყაბარდო-ბალყარეთში. ყაბარდოელები მოსახლეობენ აგრეთვე, ადიღეს ავტონომიურ ოლქში და ჩრდილო ოსეთში, მოზდოკის რაიონში. ყაბარდოულ ენაზე, რომლესაც ყაბარდოულ-ჩერქეზულიც ეწოდება, ლაპარაკობენ ჩერქეზებიც, რომელთა რიცხვი 46 ათასამდეა; ისინიც ყარაჩაი-ჩერქეზეთში ცხოვრობენ.

რადგანაც ადიღეური და ყაბარდოული ენები ძალზე ახლოსაა ერთმანეთთან, მათ ადიღეურ-აფხაზური ენებიდან ცალკე ადიღეურ ჯგუფად გამოყოფენ. ამ ჯგუფის ყველა ხალხი თავის ენას „ადიღეურს“ უწოდებს. ენათა ეს ნათესაობა, ისევე როგორც ადიღეს ხალხთა კულტურული სიახლოვე, მათი საერთო წარმოშობის მაჩვენებელია ადრე შუა საუკუნეებში.

როგორც აღინიშნა, ადიღეურ-აფხაზურ ხალხთა ჯგუფს მიეკუთვნება ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები აბაზები (29 ათასი კაცი), რომელთა ენა უფრო ახლოსაა აფხაზურთან. მათი ლიტერატურული ენა განსხვავებულია აფხაზურისაგან და ცალკე დგას. აბაზები კომპაქტურად ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ხოლო ცალკეულ ჯგუფებად ისინი მოსახლეობენ ადიღეს ოლქშიც.

ჩრდილოეთ კავკასიის ადიღეელ ხალხებს ენათესავებიან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველებთან ერთად მცხოვრები აფხაზები (91.000), რომელთა კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართველმა ხალხმა.

ნახურ ენაზე ლაპარაკობენ მონათესავე ხალხები — ჩეჩნები (90-იანი წლებისათვის 900 ათასიდან 1 მილიონამდე) და ინგუშები (200 ათასი). მათი ენები იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ თითქმის თავისუფლად ესმით ერთმანეთის. ამ ჯგუფში შედის ბაცბების (წოვა-თუშები) ენა, რომელმაც ქართული ენის ძლიერი გავლენა განიცადა და ამდენად, მნიშვნელოვნად დაშორდა როგორც ჩეჩნურს, ისე ინგუშურს. ცხადია, მათთვის დღეისათვის სალიტერატურო ენას ქართული წარმოადგენს,

დაღესტანი და მისი ხალხები, ეთნიკური თვალსაზრისიდ, ერთ-ერთი ყველაზე როული შემადგენლობისაა, არა მარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. ენები, რომლებზეც ეს ხალხები და ეთნიკური ჯგუფები ლაპარაკობენ ცალკე, დაღესტნურ შტოდ გამოიყოფა და შედგება რამდენიმე ჯგუფისაგან, რომელთა შორის ყველაზე დიდია ავარული, ანუ ავარულ-ანდიურ-ცეზური, რომელიც სამ ქვეჯგუფად — საკუთრივ ავარულად, ანდიურად და ცეზურად. ანუ დიდოურად იყოფა.

ავარიელებს (ხუნძებს) და მათ გარშემო დაჯგუფებულ ანდო-ცეზებს უჭირავთ დაღესტნის დასავლეთ ნაწილი და ნაწილობრივ აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი (ზაქართალის და ბელქანის რაიონები). ავარიელთა მონათესავენი არიან დაღესტნის შემდეგი ხალხები: ანდიელები, ბოთლიხები, გოდობერელები, ქარათინები, ახვახები, ბაღულალები, ჩამალები, ტინდალები, ცეზები ანუ დიდოელები, ხვარშინები, ბეჟთელები, ღუნზელები და ღინუხები. ავარულთანაა შერწყმული არჭინელთა ენაც, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს დაღესტნური ენების ავარულ და ლეკურ ჯგუფებს შორის. არჭინელები, ისევე როგორც ანდო-ცეზები, ყოფაში საუბრობენ თავიანთ ენაზე, ხოლო ლიტერატურულ ენად იყენებენ ავარულს. ავარელთა საერთო რიცხვი. ანდო-ცეზების და არჭინელების ჩათვლით, 540 ათასი კაცია.

დაღესტნის ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობენ დ ა რ ღ ი ლ ე ბ ი (320 ათასი) და ლ ა კ ე ბ ი (110 ათასი). მათი ენებიც ენაია დაღესტნურ შტოს განეკუთვნება და ძალზე ახლოს დგას ერთმანეთთან. ორივე ხალხს მოეპოვება საკუთარი ლიტერატურული ენა. დარღელების ჯგუფში შედიან კაიტაღები და ყუბაჩელები, რომელთა ენები ისეთად მიჩნეულია დარღული ენის დიალექტებად. როგორც კაიტაღების, ისე ყუბაჩელებისათვის სალიტერატურო ენაა დარღული.

სამხრეთ დაღესტანში და აზერბაიჯანის ჩრდილოეთში ცხოვრობენ დაღესტნური ენების ლეკური ჯგუფის ხალხები. მათში შედიან: ლეკები (430 ათასი), ტაბასარანელები (85 ათასი), აღულები (13 ათასი), რუთულები (17 ათასი), წახურები (14 ათასი); აგრეთვე უდელები, ბუდუღები, ხინალუღები და კრიზები. ამ უკანასკნელთა რიცხვში შედიან ჯეკები და გაპუტლიები. ლეკებს მოეპოვებათ საკუთარი ლიტერატურული ენა. ხოლო ამ ჯგუფის აზერბაიჯანში მოსახლე ხალხების — ბულუღების, ხინალუღებისა და კრიზებისათვის ლიტერატურულია აზერბაიჯანული ენა.

ტაბასარანელები, აღულები და რუთულები ძირითადად მოსახლეობენ დაღესტანში, ხოლო წახურები — აზერბაიჯანშიც. აღულების ლიტერატურული ენაა ლეკური და რუსული, ხოლო რუთულებისა და წახურებისათვის — აზერბაჯანული და ასევე რუსული. რაც შეეხება ტაბასარანელებს, მათ საკუთარი ლიტერატურული ენა გააჩნიათ. უდიელთა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი (7 ათასი კაცი) მოსახლეობს საქართველოს რესპუბლიკის ყვარლის რაიონში, რომელთა სალიტერატურო ენაა ქართული; ისინი მოსახლეობენ, აგრეთვე აზერბაიჯანში (ნიჯი, ვართაშენი).

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი — ქართველობა (3 მლნ 800 ათასი კაცი) — ლაპარაკობს ქართველურ ენებზე. ქართველების ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი, ქართულთან ერთად, ყოფაში იყენებენ საკუთარ ენასაც, რომელიც ასევე ქართველურ ენათა შტოს მიეკუთვნება. ესენია დასავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები სვანები და ბარში მცხოვრები მეგრელები და ლაზები (ჭანები). სხვა ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფების — აჭარლების, ხევსურების, ფშაველების და ა.შ. ენა მხოლოდ ქართულია.

მეგრელებისა და ლაზების საყოფაცხოვრებო ენა წარმოადგენს ერთი ენის — ზანურის, ანუ მეგრულ-ჭანურის დიალექტებს. სვანები ცხოვრობენ მდინარე ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში, მეგრელები მოსახლეობენ მდინარე ცხენისწყლის ქვემო დინებასა და ლალიძგის ხეობებში, ასევე აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს — აბაშის, სენაკის, ხობის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და წალენჯიხის რაიონებში; ლაზები მოსახლეობენ ს. სარფში (აჭარაში) და თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში შავი ზღვის სანაპიროზე.

სვანების, მეგრელებისა და ლაზების სალიტერატურო ენა ქართულია, ასევე ქართულ ენაზე ლაპარაკობენ ძირითადად თბილისში და საქართველოს ზოგიერთ სხვა ქალაქში მცხოვრები ქართველი ებრაელები. ქართველი ინგილოების ჯგუფი ცხოვრობს აზერბაიჯანის დასავლეთში, საქართველოს მიმდებარე რაიონებში, მათი რიცხვი 20 ათასზე მეტს აღწევს; 25 ათასზე მეტი ქართველი ცხოვრობს აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად ოსეთსა და კრასნოდარის მხარეში, თუმცა დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გამო მათი რაოდენობა ჩრდილოეთ ოსეთში საკმაოდ შემცირდა. ეს ის ტერიტორიებია, რომლებიც უძველესი დროიდან საქართველოს გაერთიანებული ფეოდალური სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და რომლებმაც ქართული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადა.

კავკასიაში მრავლად ცხოვრობენ ინდოევროპული ოჯახის ენების მატარებლები — რუსები, უკრაინელები, სომხები, ოსები, ქურთები, თათები, თალიშები. ბერძნები და სხვ. რუსები წარმოადგენენ კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების ძირითად მოსახლეობას. მრავლად ცხოვრობენ ისინი კავკასიის სხვა რესპუბლიკებში, აგრეთვე ყველა დიდ ქალაქში (განსაკუთრებით თბილისსა და ბაქოში, ასევე შავიზღვისპირეთის საპორტო ქალაქებში). 1979 წლის აღწერით მათი საერთო რიცხვი კავკასიაში 7,5 მლნ-ს აღწევდა. აქედან მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა 6 მილიონამდე რუსი.

ჩრდილოეთ კავკასიის რუსული და უკრაინული მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ყუბანისა და თერგის კაზაკები. ესენი (რუსები, უკრაინელები, კავკასიაში მოსახლე სხვა სლავი ხალხები — ბელორუსები, პოლონელები და ა.შ.) ეკუთვნიან ენათა ინდოევროპულ ოჯახს. კავკასიაში ამ ოჯახის რაოდენობით მეორე წარმომადგენელია სომეხი ხალხი (3.7 მილიონზე მეტი). გარდა საკუთრივ სომხეთისა, ისინი ცხოვრობენ აზერბაიჯანში (მთიანი ყარაბაღი), ნახჭევანში და საქართველოშიც (ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონები). მრავლად ცხოვრობენ სომხები კავკასიის დიდ ქალაქებში. ბევრია ისინი ჩრდილო კავკასიაში — კრასნოდარში, არმავირში, მოზდოკში და ა.შ. სომხები ცხოვრობენ შავიზღვისპირეთშიც — აფხაზეთსა და კრასნოდარის მხარეში.

ინდოევროპულ ენებში სომხური ენა წარმოადგენს ცალკე შტოს. ვარაუდობენ, რომ ძველად იგი ეკუთვნოდა ინდოევროპული ენების სამხრეთის ჯგუფს, რომელშიც შედიოდა აგრეთვე ორაკიული და ფრიგიული ენები. ამას გარდა, თანამედროვე სომხურში შეინიშნება კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა გავლენაც მან განიცადა.

კავკასიის თითქმის მთელი დანარჩენი ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ენობრივად განეკუთვნებიან ენათა ამ ოჯახის ირანულ ჯგუფს. პირველ რიგში ესენია ოსები, რომლებიც ძირითადად ჩრდილო ოსეთსა და ცხინვალის რეგიონში მოსახლეობენ. ასევე ირანულენოვანია: ქურთები, თათები და

თალიშები. მართალია, ქართველების უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ზღვა ახლის ქვეყნებში — ირანში, ერაყსა და თურქეთში, მაგრამ 120 ათასამდე ქართული ცხოვრობს კავკასიაშიც — საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. თალიშები მოსახლეობენ აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთში. ხოლო თათები — ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანსა და ნაწილობრივ, სამხრეთ დაღესტანში, თათურ ენაზე ლაპარაკობენ მთის ებრაელებიც, რომლებიც ცხოვრობენ დაღესტანსა და აზერბაიჯანში. თათებისა და თალიშების სალიტერატურო ენა აზერბაიჯანულია, ხოლო მთის ებრაელებს საკუთარი დამწერლობა გააჩნიათ.

დაახლოებით 100 ათასამდე ბერძენი ცხოვრობს კავკასიაში. ისინი აქ დასახლდნენ ძირითადად XVII-XIX საუკუნეებში, როდესაც გადმოსახლდნენ თურქეთიდან და ნაწილობრივ ირანიდან. ყველაზე დიდი რაოდენობით ბერძენული მოსახლეობა ცხოვრობს საქართველოში: — წალკის რაიონსა და სოხუმის მიდამოებში, ასევე — სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებში. კავკასიის ბერძენთა უმრავლესობამ შეინარჩუნა მშობლიური ენა — ესაა ბერძნული ენის პონტოური დიალექტი. ბერძნების ნაწილი, ე.წ. ურუმები, ლაპარაკობენ თავისებურ ენაზე, რომელიც წარმოადგენს თურქულის დიალექტს.

კავკასიის ხალხთა ერთი ჯგუფი ლაპარაკობს ალთაური ოჯახის ენებზე. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია აზერბაიჯანელები. რომლებიც ცხოვრობენ როგორც კავკასიის აზერბაიჯანში, ასევე ირანის აზერბაიჯანში. აზერბაიჯანელები დიდი რაოდენობით არიან საქართველოსა და სამხრეთ დაღესტანში. აზერბაიჯანული ენა განეკუთვნება თურქული ენების სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს — ოღუზურს.

ყუმუხები ცხოვრობენ დაღესტნის ჩრდილოეთ რაიონებში. ასევე ძველი ჯგუფები მოსახლეობენ ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და ოსეთში. ყუმუხური ენას. ისევე როგორც ყარაჩაი-ბალყარულსა და ნოღაურს, მიაკუთვნებენ თურქული ენების ჩრდილო-დასავლურ ჯგუფს — ყიფჩაყურს.

ერთმანეთის მონათესავე ყარაჩაელები და ბალყარელები ლაპარაკობენ ერთ — ყარაჩაულ-ბალყარულ ენაზე. ყარაჩაელები ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის სამხრეთში, ხოლო ბალყარელები — ყაბარდო-ბალყარეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში.

კავკასიის თურქულენოვან მოსახლეობას განეკუთვნებიან, აგრეთვე, თათრები და თურქმენები. აქედან თათრების თითქმის ნახევარი ცხოვრობს აზერბაიჯანში. თურქმენების ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომელიც ცნობილია სტავროპოლის თურქმენების ან თრუხმენების სახელით, ძირითადად ცხოვრობს ამ მხარის ანიკულაჯის, არზგირის, ბლაგოდარნენსკისა და პეტროვსკის რაიონებში.

10 ათასზე მეტი ასირიელი მოსახლეობს საქართველოსა და სომხეთში. ისინი ლაპარაკობენ სემიტურ ენათა ოჯახის ახალასურულ ენაზე.

კავკასიაში, ძირითადად საქართველოში, როგორც აღინიშნა, ცხოვრობს 70 ათასზე მეტი ებრაელი; შავიზღვისპირეთში — კრასნოდარის მხარესა და

აფხაზეთში მოსახლეობენ ესტონელები, მორდველების მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომელთა ენა, ისევე როგორც ესტონელებისა, განეკუთვნება უგრო-ფინურ ენათა ოჯახის ფინურ შტოს, მოსახლეობს კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, აგრეთვე აზერბაიჯანში. ჩრდილოეთ კავკასიაში — დაღესტანში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში,ოსეთში და ყაბარდო-ბალყარეთში ცხოვრობს რამდენიმე ათასი კორეელი. გარდა ამისა, შედარებით მცირე ჯგუფებად, კავკასიაში მოსახლეობს მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

როგორც ამ ზოგადი მიმოხილვიდანაც ჩანს, კავკასია მსოფლიოს მეტად რთული რეგიონია ეთნო-ლინგვისტური თვალსაზრისით. აქ ეროვნული საკითხები განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს და მით უფრო საინტერესოა ეს მხარე ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგებისათვის.

1. ქართველები

საქართველოში ქართველების რაოდენობა 4 მლნ-მდეა. მსოფლიოში გაცილებით მეტია, მაგრამ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, ეთნიკური ფორმირებისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები ურთულესია საისტორიო მეცნიერებაში. მათ ირგვლივ დღეისთვის არსებულ არქეოლოგიურ და ენობრივ მონაცემებს სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად განმარტავს, რაც, ცხადია, წარმოშობს აზრთა და მეცნიერულ თვალსაზრისთა მრავალგვარობას.

საქართველოს მეცნიერული ისტორიის შექმნის პირველ ხანებშივე ფართოდ მოიკიდა ფეხი თვალსაზრისმა, რომ ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები მათი განსახლების თანამედროვე ტერიტორიაზე მოვიდნენ სამხრეთიდან, მცირე აზიიდან, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. განსაკუთრებით თანმიმდევრულად, არსებული საისტორიო წყაროების მთელი არსენალის მოხმობით, ეს თვალსაზრისი გატარებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომებში. მაგრამ თანამედროვე საისტორიო მეცნიერება, განსაკუთრებით აკად. ს. ჯანაშიას და აკად. ბ. კუფტინის დროიდან, უარყოფს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ ქართველები უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში მოსახლეობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ დღეს უკავიათ, და მათ შორის კავკასიის მთიან ზოლშიც. ეს დასკვნები გაკეთებულია საერთო ქართველური ფუძე-ენის და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე 80-90-იანი წლების მიჯნაზე, დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილმა ადამიანის ყბის ნაწილმა დაასაბუთა ამ რეგიონის დედამიწის იმ ნაწილისადმი კუთვნილება, სადაც მიმდინარეობდა ადამიანის ფორმირების, მისი ჩამოყალიბების პროცესი.

ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ არსებული მასალები სხვადასხვა სახისაა: ენობრივი, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვ.

ენობრივი მასალის მიხედვით, კერძოდ, მცენარეული საფარის, ცხოველებისა და სხვათა ძველქართული სახელწოდებების გამოკვლევით ჩანს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულში, როდესაც არსებობდა საერთო ქართველური ფუძე-ენა, ქართველი ტომები ცხოვრობდნენ მათი თანამედროვე განსახლების ადგილებში.

ამასთანავე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა საფუძველს იძლევა, დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ ამ ეპოქაშიც ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხების წინაპრების შეხების წერტილები, კონტაქტები ჰქონიათ განსხვავებული წარმოშობის მათ მეზობელ სხვა ტომებთან და ხალხებთან; კერძოდ, ხურიტ-ურარტელებთან, ასევე ინდოევროპულ ტომებთან. ბოლო ხანებში აკად. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე მ და ვ. ი ვ ა ნ ო ვ მ ა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ კავკასიის ქართველური ხალხებით დასახლებული რეგიონი შედიოდა ინდოევროპული ტომების უძველესი სამშობლოს არეალში. ასევე, მტკვარ-არაქსის არქეოლოგიური კულტურის ძეგლების ანალიზის საფუძველზე, გამოითქვა ძლიერი მოსაზრება (გ. მელიქიშვილი) უძველესი ქართველური ტომების, ქართველურ ფუძე-ენათა მატარებელი ხალხის, სამხრეთ კავკასიის და მისი მეზობელი ტერიტორიების ინდოევროპულ ტომებთან კონტაქტების შესახებ ძვ. წ. III ათასწლეულში.

ძვ. წ. III ათასწლეულისათვის ივარაუდება ქართველურ ენათა ფუძე-ენის არსებობა, ისევე, როგორც სხვა კავკასიურ ენათა ფუძე-ენის არსებობა (კერძოდ, აღმოსავლურკავკასიურისა, ე.წ. აფხაზურ-ადიღეურისა). მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ენები ნათესაურ კავშირშია ერთმანეთთან (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა) და მომდინარეობს ეროი საერთო ფუძე-ენიდან, რომლის შემდგომი დიფერენციაციის შედეგად მოხდა წინა აზიის ძველი (ამჟამად მკვდარი) ენების — შუმერულის, პროტოხეთურის, ხურიტულის, ურარტულის, ელამურის წარმოშობა.

ქართველური ფუძე-ენის დაშლას მკვლევარები ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებენ. ამ დროს უნდა დაწყებულიყო სვანურის გამიჯვნა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე არსებული ქართულ-ზანური (ძველურ-ჭანური) ენობრივი ერთობიდან, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, დაიშალა ძვ. წ. VIII საუკუნეში (გ. კლიმოვი, ჰ. ფოგტი, გ. მელიქიშვილი).

ქართველური ტომების სამხრეთითაც გავრცელების, მათი აქ ცხოვრების მაჩვენებელია ის მასალები, რომლებიც არსებობს მცირეაზიული ტომების — მუშქებისა და ტაბალების შესახებ. ისინი ხშირად მოიხსენიებიან ძვ. წ. VIII-VII საუკუნის ასურულ წარწერებში. მათი სახელების ქართველური ტომის, მესხების (მოსოხების) სახელთან მსგავსების გამო, ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველების ერთადერთი წინაპრები სწორედ ეს წინააზიელი მუშქები და თაბალები იყვნენ. რომლე-

ბიც თითქოს ძვ. წ. VII საუკუნეში გადმოსახლდნენ მცირე აზიიდან საქართველოში. ამჟამად ეს თვალსაზრისი უარყოფილია, თუმცა, გამორიცხული არაა, რომ ამ ტომებში ნაწილობრივ მაინც დავინახოთ სამხრეთისაკენ გავრცელებული ზოგიერთი ქართული წარმოშობის ტომის წინაპრები.

გამოითქმოდა უსაფუძვლო მოსაზრებები საქართველოს ტერიტორიაზე და საერთოდაც კავკასიაში, მოსახლეობის შეცვლის, ქართველური ტომების სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ (თითქოს, არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობითაც). მაგრამ ბ. კუფტინი თავის შრომებში თანმიმდევრულად იცავდა თვალსაზრისს საქართველოს ტერიტორიაზე, საერთოდ სამხრეთ კავკასიაში, კულტურული განვითარების უწყვეტი ხაზის, ერთიანი ჯაჭვის შესახებ. ამას მოწმობს, აგრეთვე, საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ანთროპოლოგიური მასალა, რომლის მიხედვითაც ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან გვიან ეპოქებამდე ერთი და იგივე ანთროპოლოგიური ტიპი მოსახლეობდა და ხდებოდა მისი ორგანული განვითარება.

ცხადია, ამა თუ იმ ხალხის წარმოშობისა და ეთნიკური ფორმირების საკითხი არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ მათ ავტოქტონობისა ან მათ მიერ გვიან დაკავებულ ტერიტორიებზე გადმოსახლების საკითხამდე. უფრო მნიშვნელოვანი ჩანს თვალის გადევნება მათ მიერ განვლილი მთელი ეთნო-სოციალური განვითარების გზისათვის, უძველესი დროიდან სულ ბოლო საფეხურებამდე.

მაშასადამე, ზემოთ წარმოდგენილი ზოგადი მსჯელობების შემდეგ შეიძლება გაკეთდეს დასკვნები, რომ ენობრივი მონაცემების მიხედვით, უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში არსებობდა საერთო ქართველური ენობრივი ერთიანობა და ქართველური ტომები ცხოვრობდნენ კავკასიაში. ამასთანავე არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე შეიმჩნევა უწყვეტი კულტურული განვითარება და ერთი და იმავე ანთროპოლოგიური ტიპის არსებობა, მისი ორგანული სახეცვლილებითი განვითარება, რაც გამორიცხავს ვარაუდს აქ მოსახლეობის შეცვლის შესახებ. საინტერესოა ის გარემოება, რომ უკანასკნელი ხანების არქეოლოგიური გათხრებით (დმანისი), საქართველო არის ის ტერიტორია, სადაც მიმდინარეობდა ადამიანის წარმოქმნისა და ჩამოყალიბების პროცესი.

ცხადია, ის უძველესი დროის მოსახლეობა ცხოვრობდა ჯერ კიდევ ცალკეულ ტომებად, ასე რომ, მეზობელ ტომებს შორის, მართალია, ბევრია საერთო ენობრივი თვალსაზრისით, მაგრამ მათი ეთნიკური კუთვნილების თვითშეგნება, ალბათ, არ სცილდებოდა საკუთარი ტომის ფარგლებს, იმ დროს წამყვანი იყო მაინც ენობრივი და საერთოდ, ეთნიკური დიფერენციაციის პროცესები. მაგრამ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან, მონათესავე ტომების მსხვილი კავშირების შექმნით, ინტენსიურად იწყება ინტეგრაციის პროცესი.

ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყისში, გვიან ბრინჯაოს ეპოქაში, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოიშობა დიდი

არეალის მომცველი ეროგვარიანი არქეოლოგიური კულტურები. რაც, რა თქმა უნდა, ტომთა მსხვილი კავშირების არსებობის მაჩვენებელია. ასევე ცალკეულ ტომებსა და ტომთა კავშირებს შორის არსებული ურთიერთობები საქართველოს მოსახლეობის ეთნო-სოციალური წინსვლის უდავო დადასტურებაა.

ბოლოსდაბოლოს, განვითარების ამ პროცესს, მონათესავე ტომების კავშირების საფუძველზე, ქართველური ტომების ჩამოყალიბებამდე მივყავართ: მათ შორის ანტიკურ ეპოქაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქ ა რ თ ი ს (აღმოსავლურ-ქართული, იბერიული) ხალხი, რომელიც იბერიის სამეფოს მოსახლეობის ძირითად ბიროვს შეადგენდა. იგი აღმოჩნდა შედარებით მტკიცე და ძლიერი სხვა ქართულ პოლიტიკურ და ეთნიკურ წარმონაქმნების შორის და შემლო არა მარტო ქართლის მთელი მოსახლეობის გაერთიანება, არამედ თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა საქართველოს ამ ტერიტორიაზე მოსახლე არაქართული ტომებიც. მისი სიძლიერის მაჩვენებელია ისიც, რომ მან არა მარტო დაიმორჩილა კავკასიის მთიანეთში მოსახლე ძრავალრიცხოვანი ტომები, არამედ მეგობრული კონტაქტებიც დაამყარა კავკასიის გაღმა მოსახლე ალან-სარმატულ ტომებთან, რომელთა შეიარაღებულ რაზმებს იბერიის მმართველები სისტემატურად იყენებდნენ მტრულად განწყობილი მეზობლების და თვით ყოვლისშემძლე პარფიისა და რომის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ანტიკურ ეპოქაში უფრო სუსტი აღმოჩნდა დ ა ს ა ვ ლ უ რ - ქ ა რ თ უ ლ ი (კ ო ლ ხ უ რ ი) სახელმწიფო, რომელიც ძირითადად, ჩამოყალიბდა კოლხეთის დაბლობის ფარგლებში. ამას ადასტურებს ანტიკური ხანის ავტორების, განსაკუთრებით სტრაბონის (I ს.) და არიანეს (I-II სს.). ცნობები. როგორც წერილობითი, ასევე სხვა სახის წყაროებიდან აშკარად ჩანს, დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს შეუდარებლად უფრო ძძიმე პირობებში მოუხდა არსებობა და განვითარება, ვიდრე იბერიას. კერძოდ, იგი მუდმივად განიცდიდა ძლიერი ანტიკური სახელმწიფოების — პონტოს სამეფოსა და რომის დაწოლას, ასევე მეზობელი მთიელი ტომებისას, რომლებზეც მან ვერ მოახერხა ისე მტკიცედ გაბატონება. როგორც ეს იბერიას შემლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებზე. უფრო მეტი, კოლხეთის სამეფომ ვერ შემლო ჩაერთო თავის შემადგენლობაში თვით ყველა დასავლურ-ქართული ტომებიც კი — კერძოდ პონტოს მთებში მცხოვრები ჭანები ამ სახელმწიფოებრიობის გარეთ რჩებოდნენ და ანტიკურ ეპოქაში ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების დონეზე იმყოფებოდნენ. ყველაფერი ეს განაპირობებდა დასავლეთ საქართველოს ტომების ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესის შედარებით სისუსტეს.

ამასთანავე, ძლიერი ანტიკური იბერია იმასაც ახერხებდა, რომ დროდადრო თავის პოლიტიკურ ბატონობას ავრცელებდა დასავლეთ საქართველოს ძნიშვ-

ნელოვან ტერიტორიაზე. ამას მოწმობს, როგორც ანტიკური ხანის ავტორთა, ისე ქართული ისტორიული ქრონიკების კრებულის — „ქართლის ცხოვრების" — ცნობები. ეს კი კიდევ უფრო ხელს უწყობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებას. ძველიბერიული სამეფოს სიძლიერემ და სიმტკიცემ განაპირობა მის წიაღში ჩამოყალიბებული ქართის ხალხის სიძლიერე, რომელმაც შემდეგში მაკონსოლიდირებელი ბირთვის როლი შეასრულა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში.

ქართველი ხალხის ჩამოყალიბებაში ახალ მძლავრ სტიმულს წარმოადგენდა ქრისტიანული რელიგია, რომელიც ოფიციალური სახით აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრდა IV საუკუნეში. მისმა ძალით დაჩერგვამ იბერიის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კავკასიის მთიანეთში ხელი შეუწყო მათ კულტურულ-რელიგიური განცალკევებულობის მოშლას და აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში მტკიცედ დამკვიდრებას. ქართლის ეკლესიამ, წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე დამკვიდრებასთან ერთად, ხელი შეუწყო ქართული დამწერლობის შექმნას და გავრცელებას.

დასავლეთ საქართველოში კი ქრისტიანობა გავრცელდა ორი გზით — ბიზანტიიდან და ქართლიდან. აქ თავიდან წირვა-ლოცვის ენად ბერძნული იყო შიღებული და კარგა ხანსაც გაბატონებული, მაგრამ ქართლის ეკლესიამ იგი თანდათან განდევნა ხმარებიდან, დაამკვიდრა ქართული ენა და ბოლოსდაბოლოს მიაღწია დასავლურ-ქართული ქრისტიანული ეკლესიის შერწყმას აღმოსავლურ-ქართულ ქრისტიანულ ეკლესიასთან, რაც ცხადია, შემდგომი ეთნიკური კონსოლიდაციის მტკიცე გარანტი იყო.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანებამ XI-XII საუკუნეებში კიდევ უფრო დააახლოვა საქართველოს კუთხეები. ქართული ენა ამიერიდან გახდა ერთადერთ საკომუნიკაციო ენად საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობისათვის; იგი გადაიქცა სახელმწიფოს, ეკლესიის, ლიტერატურის ენად. ყველაფერ ამას შედეგად მოჰყვა საერთო ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა, ერთიანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების თვითშეგნების ჩამოყალიბება.

საქართველოს ერთ-ერთი თავისებურება მისი ბუნებისა და მეურნეობის დიდი მრავალფეროვნებაა. შედარებით მცირე ტერიტორიაზე წარმოდგენილია რელიეფის, კლიმატისა და მცენარეულობის სხვადასხვა ტიპის ხშირი მონაცვლეობა.

ქართველი ხალხის ძირითადი საქმიანობა უძველესი დროიდანვე ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა იყო, რომელშიც მ ე მ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ა ს დიდი ადგილი ეჭირა. საქართველოში მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ღომი, ჭვავი, ხოლო მოგვიანებით სიმინდი, რომელიც სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი კულტურა გახდა. საინტერესოა, რომ ხორბლის სადღეისოდ ცნობილი 16 სახეობიდან 11 წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე, აქედან 5 ენდემური სახეობაა, მათ შორის — მახა და ზანდური.

ცხადია, მარცვლეული კულტურების ასეთ ფართო და მრავალფეროვან გავრცელებას მჭიდროდ უკავშირდებოდა საძოწამოქმედო იარაღების მრავალი სხვადასხვა სახეობის არსებობა ძველ საქართველოში. ცნობილია რიგორც ხელით სამუშაო, ასევე გამწევი ძალის გამოყენებით სახმარი იარაღები. თოხებისა და თოხისნაირი იარაღების ძველი მრავალსახეობა აქ ღაიგვანება სამ ძირითად ტიპზე — წერაქვისნაირები, ფართო მჭრელი პირით და კომბინირებულები. გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის სარგნელი იარაღი: კავწერა, აჩაჩა, ორხელა, ქიბორკელი, ერქვანი, გოგორა, ფილეა, ანკელის გუთანი, მუხრანული გუთანი და სხვ.

მოხნული მიწის ხელმეორე გადახვნისა და ფარცხვისათვის გამოიყენებოდა კაბდო. საქართველოში იმთავითვე ცნობილი იყო ნამგლის სხვადასხვა სახეობა. ასხვავებდნენ ხორბლის მოსამკელ ნამგალს, საოიბად გამოყენებულ ცელს, ნამგლებს ბასრი და დაკბილული პირით, მოხრილი ბოლოებით და სხვ. უპირატესობა ენიჭებოდა ნამგალს, რომლის მჭრელი პირი ფოლადისაგან იყო გამოჭედილი.

არსებობდა ნამგლით მკის ორი ხერხი: თავთავიანი ხორბლის გადაჭრა შუა ტანზე, ან ძირში. ცელი გამოიყენებოდა ძირითადად თიბვის დროს. საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ნაპოვნია კაჟის, სპილენძის, ბრინჯაოს და რკინის ცულები. მოსავლის აღების უძველეს იარაღს წარმოადგენს შნაკვი — ორი ჯოხი, რომელთა ბოლოები გადასკვნილია ერთმანეთზე. ღია ბოლოებით იგი ეყრებოდა თავთავის კოცონში და ხდებოდა მათი გადატეხა.

მარცვლეულის გალეწვისათვის გამოიყენებოდა კევრი. არსებობდა ასევე მეორე სახეობა ჩამური. ლეწავდნენ საგანგებოდ მოწყობილ ადგილას — კალოზე.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ქართული კევრი. იგი შედგება ან მთლიანი, ან ორნაწილიანი ტრაპეციის ფორმის ფიცრისაგან. რომლის ბოლოები აწეულია. ქვედა მხარეს, საგანგებოდ ამოჭრილ ფოსოებში ჰაა ჩადგმული აქვს კაჟის ნატეხები. ამ ნატეხების ფორმისა და განლაგების მიხედვით გამოყოფენ კევრის სხვადასხვა სახეობას.

მარცვლეულის სალეწი ფიცრის, ანუ კევრის გამომგონებლებად ითვლებიან რომაელები, რადგან მათში გავრცელებული ტრიბულუმი ცნობილია ძვ. წ. II საუკუნიდან. მაგრამ საქართველოში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, დადასტურებულია სალეწავი ფიცრის არსებობის გაცილებით ადრინდელი შემთხვევები — მცხეთაში აღმოჩენილია ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების მიცვალებულის დასასვენებელი კევრები, ხანლარსა და ლელვარში ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ასეთივე კევრები, ხოლო ხოვლეში ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების კევრების ნარჩენები და სხვ.

სხვადასხვა სამეცნიერო დარგის — პალეობოტანიკის, პალეოგრაფიის (მეცნიერება ყურძნის ჯიშებისა და სახეობების შესახებ), არქეოლოგიის,

ისტორიის, ლინგვისტიკისა და სხვათა მონაცემების საუძველზე საქართველო კარგა ხანია მიჩნეულია მევენახეობისა და მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად დედამიწაზე. ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შექმნა მევენახეობისა და მეღვინეობის თვითმყოფადი კულტურა — ყურძნის მრავალრიცხოვანი ჯიშები და მსოფლიოში განთქმული ღვინოები.

საქართველოში, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტი რაოდენობითაა გამოყვანილი კულტურული ვაზის აბორიგენული ჯიშები. ეს განპირობებულია საქართველოში ამ საქმისათვის უაღრესად ხელსაყრელი ნიადაგებისა და კლიმატური პირობების არსებობით; ასევე ვაზის ველური ჯიშების დიდი მრავალფეროვნებით და მათი გარდამავალი ჯიშებით ყველა სახეობის ველურიდან კულტურული ფორმებისაკენ. ყოველივე ამის გამო საქართველოში 500-ზე მეტი ყურძნის კულტურული ჯიში არსებობს. მათ შორის: კახურია 80, ქართლური — 72, იმერული — 75, რაჭულ-ლეჩხუმური — 50, ამათ ემატება რამდენიმე ათეული მესხურ-ჯავახური და სხვ.

მევენახეობის გავრცელების ზონა საქართველოში მოიცავს ქვეყნის ტერიტორიის 10-დან 1340 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან. ბუნებრივი პირობების შესაბამისად, გამოყვანილია ყურძნის ცალკეული, ქვეყნის მხოლოდ რომელიმე კუთხისათვის დამახასიათებელი და ამ კუთხეში გავრცელებული ჯიშები; ასეთებია: კახეთში — რქაწითელი, საფერავი, მწვანე; ქართლში — გორული მწვანე და ჩინური; იმერეთში — ციცქა, ცოლიკაური და კრახუნა; გურიაში — ჩხავერი და ჯანი; სამეგრელოში — ოჯალეში, ზერდაგი და სხვ.

ასეთივე მრავალფეროვნებით გამოირჩევა ვენახები: ყველაზე მეტად გავრცელებულია დ ა ბ ლ ა რ ი — იგი უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება. ესაა დაბალი ტანის ვაზი, რომელიც ბარეებზე — ხის ან რკინაბეტონის წვრილ ღეროებზეა დამაგრებული; დასავლეთ საქართველოში შედარებით მცირე მასშტაბით, მაღალი ტანის ვაზის ჯიშები — მ ა ღ ლ ა რ ი; მათ შორის გარდამავალია ო ლ ი ხ ნ ა რ ი, ამ შემთხვევაში ვაზი მიშვებულია მაღალ, დატოტვილ ღეროებზე; ფართოდაა გავრცელებული მთელს საქართველოში ტ ა ლ ა ვ ე რ ი — ვაზით გადახურული ხეივანი.

ყურძნის მოსავლის აღება — რთველი წარმოებს შემოდგომაზე, სექტემბერ-ნოემბერში. მტევნებს კრეფენ ხელით და აწყობენ კალათებში, ხოლო შემდეგ გადააქვთ მარანში. არსებობს მარნის რამდენიმე ტიპი. აღმოსავლეთ საქართველოში მარანს წარმოადგენს ხის ან ქვის ნაგებობა ჭერის გარეშე, მაგრამ გადახურული კრამიტით ან ყავრით. ხშირად მარანი მოწყობილია საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე. დასავლეთ საქართველოში ჩვეულებრივ, გადახურული ხის, იშვიათად ქვის მარნებია გავრცელებული. ზოგიერთ რაიონში უპირატესობა ღია, ფარდულის ტიპის მარნებს ენიჭება. როგორც წესი, მარანი მოწყობილია საკარმიდამო ნაკვეთში, იშვიათად — ვენახში.

განსხვავებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ღვინის შენახვის წესიც. აღმოსავლეთ საქართველოში ღვინის დაძველებისა და შენახვისათვის საჭირო მთელი მოწყობილობა — საწნახელი, ქვევრები და სხვ. მოთავსებულია მარანში. დასავლეთ საქართველოში ქვევრები უპირატესად დაფლულია მარნის სიახლოვეს, ხის ჩრდილში ან ვენახში. ასეთი ადგილი, როგორც წესი, შემოღობილია და მას ჭურისთავი ჰქვია. მარანის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საწნახელი, რომელშიც ყურძენს ფეხით ჭყლეტენ. დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია ხის საწნახელი, გამოთლილი დიდი ზომის მოლიანი ძირისაგან. აღმოსავლეთ საქართველოში ხის საწნახელის გვერდით უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა ქვითა და კირით ამოშენებული საწნახელები. ჯავახეთში შემონახულია კლდეში გამოკვეთილი XI-XII საუკუნეების საწნახელები.

მეღვინეობის ქართული კულტურის დამახასიათებელ ელემენტად ითვლება მიწაში ჩაფლული ოიხის ჭურები და ქვევრები — ჭურჭელი ღვინის დულილისა და შენახვისათვის, რომელთა ტევადობა შეიძლება იყოს 5-დან 800 დეკალიტრამდე. მათ ადგილობრივი ოსტატები აშზადებენ და საუკეთესოდ ითვლება იმერული ქვევრები.

მთელს საქართველოში ღვინის გადასაზიდად ფართოდ გამოიყენებოდა რუმბები, ტიკები და სხვა სპეციალური ჭურჭელი. რუმბია ხარის მოლიანი ტყავისაგან დამზადებული ჭურჭელი, რომლის ტევადობა ზოგჯერ 50 ჩოფამდე, დაახლოებით 500 ლიტრამდე აღწევს. შედარებით მცირე რაოდენობის ღვინის გადასატანად გამოიყენებოდა ტიკი, რომელიც ოხის ტყავისაგან აშზადებოდა. მისი მოცულობა 5-6 ჩაფს, დაახლოებით 50-60 ლიტრს აღწევდა.

საქართველოში მემინდვრეობასთან ერთად, მაღალმოსავლიანი და ძოვითი ტაიონების გამოკლებით, ფართოდ იყო და არის გავრცელებული ბ ო ს ტ ნ ე ო ბ ა. აქ ყველაზე მეტად გავრცელებულია ვაშლის, მსხლის, ოუთის, ოხილის, კაკლის, კოშის, წაბლის, ბლის, ტყემლის, ატმის, გარგარის, ბროწეულის, ლელვის, შინდის და სხვა ხილის მომცემი ხეების ბაღები. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ვაშლის, მსხლის, ატმის, კაკლის და წაბლის ჯიშები. ცალკეული კუთხეებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ხეხილი; ქართლში გავრცელებულია ვაშლი და ატამი, კახეთში — ყურძენი, ლელვი, მესხეთში — მსხალი, იმერეთსა და სამეგრელოში — ლელვის სხვადასხვა ჯიში, გურიაში — ვაშლი, აფხაზეთში — ქლიავი და სხვ.

ქართველების ყოფაში გავრცელებული იყო მ ო რ წ ყ ვ ი ს. ირიგაციის სხვადასხვა ფორმა — მთაში მარტივი და ბარში რთული სისტემები. მთაში ირწყვებოდა სათიბები და საძოვრები. მორწყვის ასეთი წესი გავრცელებული იყო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, მთიულეთში, ხევში, ფშავსა და ხევსურეთში. სამცხე-ჯავახეთში, ქართლის მთიან ნაწილსა და ნაწილობრივ აჭარაში გავრცელებული იყო ტერასების მორწყვა მებაღეობისა და მევენახეობისათვის.

საისტორიო წყაროები, ასევე ეთნოგრაფიული მონაცემები მოწმობს, რომ მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა ს ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა ქართველების სამეურნეო ცხოვრებაში. მთიან რაიონებში იგი სულაც მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა.

ქართველ ტომებში მესაქონლეობის ძველთაგანვე გავრცელებას მოწმობს ასურეთის მეფის თიგლათფილესარ I-ის წარწერა (ძვ. წ. XI ს.). ირკვევა, რომ ამ დროს მესხეთში დიდი რაოდენობით ყოფილა მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონელი; თაბალები (ძველი ქართული ტომი) განთქმული ყოფილან მაღალჯიშიანი ცხენების მოშენებით და სხვ.

საქართველოს იმ რაიონებს შორის, რომელთა მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობას, უნდა გამოიყოს ხევსურეთი, სადაც დღემდე შემორჩენილია ძროხის ადგილობრივი ჯიში. ასეა ეს სამეგრელოშიც.

დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, ფართოდ გავრცელდა წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის — თხის მოშენება, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში დიდი ადგილი ეკავა და უკავია მეცხვარეობას. მსხვილი რქოსანი პირუტყვის დიდი ჯოგები გავრცელებული იყო სამეგრელოში, სადაც მათი ჯიშების გაუმჯობესებასაც მისდევდნენ და გამოიყვანეს კვარაცხელიას, ფიფიას და სხვა ცნობილი ადგილობრივი ჯიშები.

რძის პროდუქტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მაწონი და სულგუნი, როგორც ადგილობრივი წარმოშობისა და წარმოების პროდუქტები. მაწონი მიიღება ძროხის ახალი რძის აჭრილ რძესთან (მაწვნის დედასთან) შერევით, ხოლო სულგუნი წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის ყველს, რომელიც უკვე ეროხელ ამოყვანილი ყველის ხელახალი გადახარშვით მზადდება.

მ ო ნ ა დ ი რ ე ო ბ ა. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ქართველები მისდევდნენ ნადირობის თითქმის ყველა ცნობილ ფორმას — ჩასაფრებით ნადირობით დაწყებულსა და შევარდენით ნადირობით დამთავრებულს. პირველს მისდევდნენ, უპირატესად, ბეწვეულის მოსაპოვებლად და მტაცებლების მოსასპობად, ხოლო მეორე ჩამოყალიბდა როგორც თავადთა და სამეფო კარის წევრთა სპორტულ-გასართობი სანახაობა.

საქართველოს მდინარეები სავსე იყო სხვადასხვა ჯიშის თევზით, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ი ს განვითარებისათვის. მარტო მდინარე არაგვში 15 სახის თევზი იყო, რომელთა შორის განსაკუთრებით ცნობილია კალმახი და მურწა. მეთევზეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ტომის — ლაზების საყვარელი საქმიანობა იყო, რომლებიც ამავე დროს დახელოვნებული ზღვაოსნებიც იყვნენ. სამეგრელოში გავრცელებული იყო ზღვის თევზის ჭერა ნავიდან, რომელიც დაწვრილებით აქვს აღწერილი XVII საუკუნეში აქ მყოფ ევროპელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის.

განიერ, შედარებით მდორე მდინარეებში თევზს იჭერდნენ საგანგებოდ მოწყობილი მოწნული კალათით — ფაცრით. ასეთსავე მდინარეებში გაჰართავდნენ ოჩხეს — ზამთარში თევზის ხელოვნურ სადგომს.

მთელს საქართველოში გავრცელებული იყო და არის ᲛᲔᲤᲣᲢᲙᲐᲠᲔᲝᲑᲐ, მაგრამ დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით გურიას, სამეგრელოს, სვანეთსა და აფხაზეთს ამ მხრივ პირველი ადგილი უკავია. საერთოდ, მთის კავკასიური, განსაკუთრებით მეგრული, ნაცრისფერი ფუტკარი მკვლევართა მიერ მიჩნეულია ენდემურ ჯიშად. მან დიდი პოპულარობა მოიპოვა თავისი გრძელი ნესტრის წყალობით, რომლის ზომა 9 მმ-ს აღწევს. ეს მას საშუალებას აძლევს მისწვდეს წითელ საკურა ყვავილის ნექტარს, რაც სხვა ჯიშის ფუტკრებისათვის მიუწვდომელია.

საქართველოში გავრცელებულია სხვადასხვა სახის სკა, რომელსაც სხვადასხვა კუთხეში გეჯა, ბუკი, კოდი ეწოდება. დასავლეთ საქართველოსათვის, კახეთისა და ნაწილობრივ ქართლისათვის დამახასიათებელია ორგანყოფილებიანი სკა, მოწნული და კონუსის ფორმისა — ძოისპირა ქართლის ადგილებისათვის, ხოლო ხის ქერქისაგან დამზადებული — დიდი და მცირე ლიახვის ხეობებისათვის.

საქართველოში ყველა პირობა არსებობდა და არსებობს ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ სხვადასხვა დარგის განვითარებისა და საქმიანობის ამ სფეროში მაღალი დონის მიღწევებისათვის. აქ განვითარებული იყო: ფეიქრობა, ხურობა, ქვის დამუშავება, მეთუნეობა, ლითონის დამუშავება. ხეზე კვეთა, ოქრომჭედლობა და სხვ.

მდიდარი ბუნებრივი რესურსები და ნედლეული. როგორიცაა კოლხური სელი, იმერული და თუშური ცხვრის მატყლი, აბრეშუმის ჰარკი, ბამბა და სხვ. ხელს უწყობდა ᲤᲔᲘᲥᲠᲝᲑᲘᲡ განვითარებას. თიოქრის, სულ ბოლო დრომდე ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით ძოიან რაიონებში, ტანსაცმლის შესაკერად იყენებდნენ მხოლოდ შინნაქსოვ ქსოვილს. საქართველოში გავრცელებული იყო ორი ტიპის საქსოვი დაზგა — ვერტიკალური და ჰორიზონტალური. პირველი გამოიყენებოდა უმთავრესად ხალიჩების დასამზადებლად, ხოლო მეორე — ქსოვილებისათვის. თუმცა, ცალკეულ მთიან რაიონებში გავრცელებული იყო მხოლოდ ვერტიკალური დაზგები და მათ იყენებდნენ შალის ქსოვილის დასამზადებლადაც.

საქართველოში საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ამზადებდნენ სხვადასხვა მხატვრულ და დეკორატიულ ქსოვილს — ნოხ-ხალიჩებს, ფარდაგებს, ხურჯინებს, ლურჯ სუფრებს და სხვ. ხშირად ისინი, განსაკუთრებით ტანსაცმლის ელემენტები, დამშვენებული იყო სხვადასხვა ნაქარგით, რისთვისაც იყენებდნენ აბრეშუმს, ვერცხლს, ოქრომკედს, მძივებს და სხვ.

საქართველოს ღრმა და მდიდარი ტრადიციები გააჩნია ᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. კერძოდ, ძის

მოჩუქურთმებაში. ხეზე შესრულებული ქართული ხალხური ორნამენტი ძირითადად ორი სახისაა: მთური და ბარისა. მთური ორნამენტი გეომეტრიული მოტივებითაა შედგენილი და ეფუძნება ხეზე ღრმა კვეთის ტექნიკას. ბარში ხეზე კვეთის ორნამენტში უმთავრესად წარმოდგენილია მცენარეული და ცხოველური სამყარო — ვაზის ტოტი, ხე, ყვავილები, ლომი, ჩიტები და სხვ. შესრულების ტექნიკაც აქ განსხვავებულია — იგი იქმნება პლასტიკური რელიეფის გამოყენებით.

ხეზე კვეთილ ორნამენტს საცხოვრებელ სახლებში რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდათ. ასე მაგალითად, ბუნების აღორძინებასთან ან მიცვალებულის კულტთან იყო დაკავშირებული სიცოცხლის ხის მოტივი, წყვილი ცხოველის ან მნათობების გამოსახულებით, ჯვრები, სხივანა წრეები, ნახევარწრეები და სხვა ასტრალური შინაარსის გამოსახულებანი, რომლებიც მოთავსებული იყო როგორც დარბაზის დედაბოძზე, საყრდენ სვეტზე, ისე გრაფიკული ხელოვნების სხვა ძეგლებზე.

კერამიკული წარმოება, ანუ მ ე თ უ ნ ე ო ბ ა, საქართველოში უძველესი დროიდანვე იყო გავრცელებული. აქამდე მოღწეული თიხის ნაკეთობანი გამოირჩევა ფორმების დიდი ნაირსახეობით, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული მოსახლეობის სამეურნეო ყოფასთან.

მეთუნეობა საქართველოში კერამიკული წარმოების რამდენიმე მსხვილ დარგად იყოფოდა: სხვადასხვა მოცულობის, ფორმისა და დანიშნულების ჭურჭლის დამზადება, ქვევრების, ანუ ჭურების, თონის, აგურის, კრამიტისა და სხვ. წარმოება.

ხშირად თიხის საგნების დასაფარავად იყენებდნენ ჭიქურს. საქართველოში მისი გამოყენება ცნობილია ჯერ კიდევ ადრერკინის ეპოქიდან (ძვ. წ. IX-VI სს.) მცხეთის, ორიალეთის, დმანისის არქეოლოგიური მასალებით. ფეოდალური ეპოქის — XI-XVII საუკუნეების ქართული ჭიქური გამოირჩევა შემადგენელი მასალის და მხატვრულ-დეკორატიული ფორმის დიდი ნაირგვარობით. სამეურნეო და სამზარეულო ჭურჭლის ჭიქურით დაფარვას სულ ბოლო დრომდე ფართოდ მისდევდნენ და ნაწილობრივ აქა-იქ ახლაც მისდევენ კახეთის, ქართლისა და იმერეთის სამეთუნეო ცენტრებში. ჭიქურით იფარებოდა კერამიკული საგნების როგორც შიდა, ისე გარეთა მხარე, ან მხოლოდ გარეთა მხარე.

საქართველოში ცნობილია კერამიკული წარმოების მეთუნეობის რამდენიმე ტრადიციული ცენტრი: შრომა — იმერეთში, ცხავატი — ქსნის ხეობაში; ასევე, კახეთში, ლეჩხუმში და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები უძველესი დროიდან მისდევდნენ ლ ი თ ო ნ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა ს. ამას ხელს უწყობდა დიდი რაოდენობით მადნის არსებობა, განსაკუთრებით ჭოროხის ხეობასა და ალაგერდის მიდამოებში. სპილენძსა და ბრინჯაოს დიდი რაოდენობით იყენებდნენ საბრძოლო-სამონადიერო, სამეურნეო საგნების დასამზადებლად,

საყოფაცხოვრებო მომსახურების ნივთების, სამკაულებისა და საკულტო საგნების წარმოებაში.

ქართული ხალხური მეტალურგიის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენდა წედისის რკინის წარმოება სარკინეთში. საეროოდ, აღსანიშნავია, რომ ძველ ზემო რაჭას ძველად სარკინეთი ეწოდებოდა. წედისელი მეტალურგები გაერთიანებული იყვნენ თავიანთი ოსტატობით, მათ „რკინის კაცებს" ეძახდნენ.

უძველესი მეტალურგიის კვალი ღრმად აღიბეჭდა ხალხურ გადმოცემებში. საეროოდ, სამჭედლო წმინდა ადგილად ითვლებოდა, ხოლო მჭედელი ზოგჯერ ზებუნებრივი ძალის არსებად. მჭედლობას თავისი მფარველი ღვთაება გააჩნდა, რომლისთვისაც დაწესებული იყო ცალკე დღე. რკინასთან დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემებში, როგორც ცნობილია, დიდი ადგილი აქვს დათმობილი გადმოცემებს ამირანზე.

ცხადია, ლიოონის დამუშავების მაღალ დონეს არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ოქრომჭედლობის განვითარება. საქართველოში განვითარებულმა მხატვრულ-ტექნიკური შესრულებით მეტად სრულყოფილმა ოქრომჭედლობის ორმა დარგმა — ტიხრულმა მინანქარმა და ლიოონზე ჭედურობამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

საქართველოში უძველეს დროსვე ჩასახული ოქრომჭედლობა კიდევ უფრო განვითარდა შუა საუკუნეებში. XI საუკუნიდან ჩამოყალიბდა ძველი რიგი სკოლებისა და მიმართულებებისა. ქართული ოქრომჭედლობის მწვერვალია XII საუკუნის ოქრომჭედლების — ბექა და ბეშქენ ოპიზრების ნაშუშევრები. საქართველოში არსებობდა ოქრომჭედლობის რამდენიმე კერა. ძალი შორის: სვანეთში, ლეჩხუმში, ხევსურეთში, ხოლო ამ ხელობის საქალაქო ცენტრებს წარმოადგენდნენ: თბილისი, თელავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი და სხვ. ლიოონის ნაწარმის ორნამენტით შემკობისათვის გამოიყენებოდა გრავირება, ჭედურობა, ს

დასახლებაში ეს ნაგებობები განლაგებულია ერთ სიბრტყეზე. გვერდი-გვერდ ერთ კომპლექსში, მაგრამ აუცილებლად სხვადასხვა სახურავის ქვეშ.

დასავლეთ საქართველოს ვაკის ზონისათვის დამახასიათებელია საკარმიდამო დასახლება. ამ ტიპის დასახლება ჩვეულებრივ გაჭიმულია რამდენიმე კილომეტრზე მთავარ და გვერდით ქუჩებზე. კარმიდამოს ეკავა დაახლოებით 5-6 ჰა. მიწის ნაკვეთი, ხოლო საკარმიდამო კომპლექსში შედიოდა სახლი, სამზარეულო, სათხე, ბოსელი, საქათმე, საღორე, მარანი, ნალია, სასიმინდე და სხვადასხვა სახის სავარგული: ვენახი, სიმინდის ყანა, პურის ყანა, ბაღი, ბაღჩა, ჭა, ტყის ნაკვეთი, საფუტკრე და სხვ. ხშირად იგი შემოკავებული იყო მცენარეული ღობით და ჰქონდა გადახურული კარიბჭე.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საქართველოს სოფლებში დადასტურებულია საცხოვრებლის სამი ძირითადი ტიპი. ისინი მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყო ფეოდალურ ეპოქაშიც და ცალკეულ შემთხვევებში იტარებენ უფრო არქაული ხანის ნიშნებს.

პირველი ტიპია ორი ან ოთხსართულიანი ქვის სახლი, რომელიც აგებულია მშრალი წყობით ან კირხსნარზე. ამ ტიპის დამახასიათებელი ნიმუშებია სვანური საცხოვრებელი ქ ო რ. როგორც წესი, იგი ყოველთვის აღჭურვილია თავდაცვითი კოშკით. სვანური სახლი შედგება ორი სართულისაგან. პირველი სართული — მ ა ჩ უ ბ ი, განკუთვნილია ადამიანისა და საქონლის სადგომად. საქონელი ადამიანის საცხოვრებლისაგან გამოყოფილია მდიდრულად ორნამენტირებული ტიხრით, რომელშიც ფართო ჭრილებია დატოვებული, მაი მეშვეობით საქონელი ყოველთვის ადამიანის თვალსაწიერშია. სვანური სახლის მეორე სართული — დ ა რ ბ ა ზ — განკუთვნილია საზაფხულო საცხოვრებლად და სურსათისა და ფურაჟის შესანახად.

ამავე ტიპს ეკუთვნის ხევსურული სახლი, — სამსართულიანი ქვის ნაგებობა, ამოყვანილი ბრტყელი ფილებით, მშრალი წყობითა და ოიხატკეპნილი იატაკით. ხევსურულ სახლში ცალკე იყო გამოყოფილი რძის ნაწარმის გადასამუშავებლად და შესანახად ე.წ. „ს ე ნ ე“.

დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში გავრცელებული იყო ე.წ. საჯალაბო სახლი (იმერული სახელწოდებით). ეს იყო მარაკუთხა ნაგებობა ორ ან ოთხფერდა გადახურვით, ოიხის იატაკით, ცენტრში კერიით. კედლების გასწვრივ განლაგებული იყო საძინებელი ოჯახის წევრებისათვის.

ქართლში საცხოვრებლის არქაულ ფორმას წარმოადგენდა სახლი, რომელიც შემდეგში დ ა რ ბ ა ზ ი ს ტიპის საცხოვრებლად ჩამოყალიბდა. დარბაზი გადახურულია გვირგვინით — გუმბათის მაგვარი საფეხურებიანი გადახურვით, რომელიც ვიწროვდება ზემოთკენ და ერთდროულად წარმოადგენს საკვამურს და სინათლის შემოსასვლელს. ასეთი გადახურვა შეხამებულია კერასთან, რომელიც საცხოვრებლის ცენტრშია და ძირითად საყრდენ სვეტთან — დედაბოძთან, რომელიც როგორც წესი, უხვად ორნამენ-

ტირებულია. ქართლის სხვადასხვა რაიონში განსხვავებული ტიპის დარბაზები იყო გავრცელებული.

დარბაზის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა მესხური დარბაზი, რომელიც ცხრა სექტორისაგან შედგება და თითოეულს თავისი გარკვეული ფუნქცია გააჩნია. პირველი სექტორი მდებარეობს შესასვლელი კარების მარცხნივ და წარმოადგენს ბელელს. მეორეა კარების მარჯვნივ — რძის ნაწარმის გადასამუშავებელი და შესანახი განყოფილება. სახლის სიღრმეში მოთავსებულია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესანახი განყოფილება, ხოლო შეძლეგ — საკუჭნაო და საცხოვრებელი — საკუთრივ დ ა რ ბ ა ზ ი.

საქართველოში ბუნებრივი რელიეფის შესაბამისად სხვადასხვა, ძირითადად, სამი სახის გზები არსებობდა: ბილიკები, საბარხილე და საურმე გზები. ამასთანავე, სახმელეთო ტრანსპორტი თავის მხრივ, სამ ჯგუფად იყოფა: უბორბლო, ბორბლიანი და შერეული ტიპისა. უბორბლო ტრანსპორტს განეკუთვნებოდა სათრეველას ტიპის გადაადგილებების საშუალებები: სათრიალა, ფჩხილა, ასევე ბარხილი, ლაჭანი, თურში, თავკავი და სხვ.

ბორბლიანი ტრანსპორტის ძირითად სახეობას წარმოადგენდა ორბორბლიანი ურემი, რომელსაც „ქართულ ურემს" უწოდებენ. იგი გავრცელებული იყო ყველგან დაბლობ ადგილებში და ნაწილობრივ მთაშიც. ბორბლიან ტრანსპორტს მიეკუთვნება აგრეთვე, ცალულელა ურემი, რომელშიც თითო ხარი ან კამეჩი იყო შებმული; ასეთივე ტიპისა იყო დიდი მორების გადასაზიდი ურემი ღ ე რ ძ კ ა ლ ა. იმერეთში ურმისათვის გამოიყენებოდა ძასიური ბორბალი გ ო გ ო რ ა. საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები აქ ასეთი ბორბლის გამოყენების უძველეს კვალს ადასტურებენ. ქართული ურმის ერთ-ერთ ქვესახეობას წარმოადგენს ბ ა რ ი ს უ რ ე მ ი, რომელიც შორ მანძილზე გადაადგილებისათვის გამოიყენებოდა.

საქართველოში განვითარებული იყო წყლის ტრანსპორტი. აღმოსავლეთ საქართველოში ამისათვის გამოიყენებოდა მდინარე მტკვარი და ალაზანი. ხოლო დასავლეთ საქართველოში მდინარე რიონი და ჭოროხი. მათი განსაკუთრებით რიონის, შენაკადები. ზოგიერთი მდინარე — ცხენისწყალი, რიონი, ენგური და სხვა გამოიყენებოდა ხე-ტყის, მორების დასაცურებლად.

მდიდრული და მრავალფეროვანია ქართული ეროვნული ტ ა ნ ს ა ც მ ე ლ ი. მართალია, იგი იცვლებოდა ეპოქებისა და ისტორიული გარემოებების შესაბამისად, მაგრამ მისი ძირითადი ელემენტები თაობიდან თაობაზე გადადიოდა.

ქალების ეროვნული ტანსაცმელია ქ ა რ თ უ ლ ი კ ა ბ ა, რომელსაც ატარებდნენ ქართლში, კახეთსა და იმერეთში, როგორც მაღალი, ისე დაბალი წრის წარმომადგენლები. განსხვავება მხოლოდ ქსოვილის ხარისხით და მორთულობის სიმდიდრით გამოიხატებოდა.

ქართველი ქალის ტანსაცმლის კომპლექსში შედიოდა: თავსაბურავი —

ო ა ვ ხ უ რ ვ ა, ქაროული კაბა, სარტყელი, გულისპირი, რომელსაც ამოჭრილი კაბის ქვეშ იფენდნენ, შიდა სახელო — ყ უ რ თ მ ა ჯ ი, შარვალი — შ ე ი დ ი მ ი, პერანგი, წინდები, ქ ო შ ე ბ ი, რბილი საშინაო ფეხსაცმელი — ფლოსტები, ზედა ტანსაცმელი, ზედატანი — ქათიბი, ოავსაკრავი — დოლბანდი და სხვ.

მამაკაცის ეროვნული ტანსაცმლის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა ჩ ო ხ ა - ა ხ ა ლ უ ხ ი. საქართველოში მამაკაცის კოსტიუმის განსხვავებული კომპლექტები არსებობდა: ქართლურ-კახური, იმერული, ხევსურული, აჭარულ-გურული და სხვ. მამაკაცის ტანსაცმელი შედგებოდა პერანგის, შარვლის, ახალუხის, ჩოხის, მოსასხამის, ნაბდის, სარტყლის, ბოხოხის ქუდის, წინდების, სხვადასხვა სახის რბილი ფეხსაცმლის, ქულაჯის, ყურომაჯიანი კაბის, ქოშის, ჩექმის და სხვა ელემენტებისაგან.

საქართველოში მაღალ განვითარებას მიაღწია ს ა ჭ მ ლ ი ს დამზადების ხელოვნებამ, ეროვნულმა კულინარიამ. ქვეყნის ცალკეულ რაიონებში სპეციფიკური ბუნებრივი პირობების შესაბამისად საჭმლის დამზადების მეტნაკლებად თავისებური, ადგილობრივი წესები და მენიუ ჩამოყალიბდა. ამ მხრივ მკვეთრად განსხვავებულია მთისა და ბარის მოსახლეობის საჭმელი, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა საჭმელები.

საერთოდ, ქ ა რ თ უ ლ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ჭ მ ე ლ ი შერეული ტიპისაა და იგი ხორცის, რძისა და მცენარეულის ნარევია.

დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ხორცისა და თევზისაგან დამზადებული კერძები, რომლებიც გამოიყენება, როგორც მოხარშული და შემწვარი, ისე დამარილებული და შებოლილი სახით. ხორცეულიდან ხმარობენ საქონლის, ცხვრის, თხის, ღორის, ფრინველის და ნადირის ხორცს, ხოლო თევზეულიდან — კალმახს, ლოქოს, წვერას, კობრს, ფარგას, კეფალს, თართს, ზუთხს, სვიას და სხვ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ხორცეული საჭმელი, მათ შორის საზამთროდ შესანახად დამზადებული კუპატი და ლორი. ეროვნულ კერძებს განეკუთვნება: მწვადი, საციერი, ჩახოხბილი, ხინკალი, მუჟუჟი, ხაში, კუპატი, ცოცხალი, ხრამული და სხვ. საჭმელში ფართოდ გამოიყენება პური (ძირითადად, ხორბლისაგან გამომცხვარი), მჭადი, ღომი (ორივე სიმინდის ფქვილისაგან დამზადებული), ლავაში და ხაჭაპური. ამათ გამოსაცხობ ეროვნულ ტაფას წარმოადგენს კ ე ც ი.

ფართოდ მოიხმარება რძის პროდუქტები — საკუთრივ რძე, ხაჭო, მაწონი, არაყანი და დიდი მრავალფეროვნება ყველისა; ცნობილია თუშური ყველი, იმერული ყველი და სულგუნი, რომელიც დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში მზადდება. ასევე, აქ მზადდება მცენარეული საკვების დიდი მრავალფეროვნება და სხვადასხვა საწებელი — კოწახურის, ტყემლის, ბროწეულის, ნივრის, დანაყილი ნიგვზის და სხვ. საერთოდ საქართველოში საჭმელი გემოს მიხედვით სამ ძირითად სახეობად იყოფა: მჟავე,

ცხარე და ტკბილი. ქაროულ საჭმელში გამოიყენება დიდი რაოდენობისა და მრავალფეროვნების სანელებლები. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა საჭმელი.

ქართველებს ქორწინების, საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული და მკაცრად რეგლამენტირებული წესები გააჩნიათ. ისინი მოიცავს ქორწინებასთან დაკავშირებულ ყველა სფეროს: საქორწინო ასაკს, ნიშნობას, მექორწინეების ოჯახების შორის ურთიერთობას, მაყრებისა და მეჯვარის მოვალეობებს, ქორწილის ჩატარების დროსა და ადგილს და მრავალ სხვას.

ნათესავებს შორის ქორწინება ჩვეულებითი საპაროლით აკრძალული იყო და არის. ეს აკრძალვა, ზოგჯერ ეროი და იმავე სოფლის მაცხოვრებლებს შორის ქორწინებაზეც ვრცელდებოდა. XIX საუკუნის მასალების მიხედვით, სოფლად, ჩვეულებრივ, ქორწინდებოდნენ 19-25 წლის ასაკში. ისე, რომ მექორწინეებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა არ ყოფილიყო. თუმცა, აღინიშნებოდა 17-18 წლის ასაკში ქორწინებაც.

ქორწინების პირველი ეტაპი მოიცავდა შემდეგ წესებს: სასიძოს ნათესავები, მშობლები გამოიკითხავდნენ საპატარძლოს წარმომავლობას (ხომ არ ეკუთვნოდათ ის შორეულ ან ახლობელ ნათესავად), მის საქმიანობას და პირად თვისებებს. დადებითი მონაცემების მოპოვების შემთხვევაში სასიძოს ნათესაობაში ყველაზე მეტად პატივცემული და დაფასებული პირი თავდაპირველად შუამდგომლობისათვის მიმართავდა საპატარძლოს ბიძას (ღედის ძმას), ხოლო თუ საპატარძლოს ასეთი არ ჰყავდა, მაშინ მის გვარში სხვებზე მეტად დაფასებულ, პატივცემულ და ოჯახის ახლობელ პირს.

თანხმობის შემთხვევაში საპატარძლოს ოჯახი სიძის მშობლებისაგან ღებულობდა ბელღას — წვრილ ფულს, რომლის საერთო ჯამი ეროი ცხვრის ფასს შეადგენდა. შემდეგ მას მოჰყვებოდა პატარა ნიშანი — თავსაფარი, რომლის მიღების შემდეგ საპატარძლოს ხალხში თავშიშველი გამოსვლა ეკრძალებოდა. თანამედროვე ყოფაში, ცხადია, ეს მომენტები არ არსებობს.

ქორწინების მეორე ეტაპი იყო დიდი ნიშნობა. იგი ტარდებოდა ორივე მხარის ნათესავთა მონაწილეობით. მასში მონაწილეობდნენ ეჯიბი და მეჯვარე. ეჯიბი უნდა ყოფილიყო სასიძოს უცოლო ნათესავი. მას ირჩევდნენ სასიძოს ძმებიდან ან ბიძაშვილებიდან მამის მხრივ. ეჯიბი იყო შუამავალი ყველა საქმეში სასიძოსა და საპატარძლოს ოჯახების შორის — ის პასუხისმგებელი იყო სასიძოს ოჯახის მიერ საპატარძლოს ოჯახისათვის გაგზავნილ საქორწილო სურსათზე; იგი იყო სასიძოს მცველი და სუფრასაც მარჯვენა მხარეს ეჯდა მას; უშუალოდ აგებდა პასუხს საპატარძლოს ოჯახის წინაშე სასიძოს ოჯახის მიერ დადებულ ყველა პირობაზე.

განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქორწინო წესებში მეჯვარეს. იგი სასიძოს ახლობლებიდან აირჩეოდა. მეჯვარესა და მექორწინეებს შორის

განსაკუთრებით ახლო კავშირი მყარდებოდა, მეჯვარე მათთვის შეძენილი ნათესავი იყო, მომავალი ბავშვის ნათლია და ა.შ.

დიდი ნიშნობის დროს საპატარძლოს მამის ოჯახიდან მიეცემოდა საათავნო, იგი სხვადასხვა სახისა იყო — მოაში ცხვარი ან ძროხა, ზოგჯერ სახნავი მიწა და იქიდან მოწეული ხორბალი, რომელიც პატარძალს სიძის ოჯახში შემოქონდა პირადი ქონების სახით და სხვ. საათავნოს დანიშნულება იყო, რძალს სიძის ოჯახში თავი უზრუნველად ეგრძნო, არ ეთფილიყო მოლად მათზე დამოკიდებული.

ამ და კიდევ სხვა წინასაქორწილო პერიოდთან დაკავშირებული წესების შესრულების შემდეგ, დადგებოდნენ ქორწილის დღეს. იგი, ჩვეულებრივ, შემოდგომით იმართებოდა, მოსავლის აღებისა და ჭირნახულის დახმარების შემდეგ.

ქორწილის დღეს სიძის სახლში იკრიბებოდა მაყრიონი, რომელიც მეჯვარის წინამძღოლობით საპატარძლოს სახლისაკენ მიემართებოდა.

საპატარძლოს სახლში მისულ სიძეს და მაყრიონს ხვდებოდა ოჯახის მეთაური, რომელიც მათ სუფრასთან იწვევდა. სტუმრები და ნათესავები სხდებოდნენ უფროს-უმცროსობის რიგის მიხედვით. სუფრის წამყვანი იყო ოჯახის მეთაური, რომელიც [illegible]ადაც იყო. ნადიმი გრძელდებოდა საღამოდან დილამდე. დილით მ[illegible]ებობრები საპატარძლოს გამოაწყობდნენ (რისთვისაც მათ ეჯიბი სა[illegible]ებს ურიგებდა). შემდეგ დედა დალოცავდა პატარძალს და მას [illegible]ეჯიბს ჩააბარებდა. ამის შემდეგ სიძე-პატარძალი, ეჯიბი, მეჯვარე და [illegible] ძაყრიონი სიძის სახლისაკენ გაემართებოდნენ.

[illegible]ესაც მაყრიონი სიძის სახლს, ან სოფელს მიუახლოდებოდა, მათ [illegible]ოეყოფოდა მახარობელი, რომელიც სიძის ოჯახში შეკრებილებს — ოჯახის წევრებს, ნათესავებს და სტუმრებს ხმამაღალი ძახილით, იარაღის სროლით და დიდი ხმაურით ატყობინებდა საახსარულო ამბავს, რომ სიძე-პატარძალი და მაყრიონი მათ უახლოვდებოდა. შემდეგ იგი უბრუნდებოდა მექორწილეებს, ასმევდა მაყრიონს ყანწით ღვინოს და მათთან ერთად შედიოდა სოფელში სიმღერით. ამის შემდეგ მიემართებოდნენ ეკლესიაში, სადაც ტარდებოდა ჯვრისწერა. შემდეგ სიძის სახლში იმართებოდა საქორწილო სუფრა, რომელსაც ასევე ოამადა, ამჯერად უკვე სიძის ოჯახის უფროსი უძღვებოდა.

ქართული ხალხური რწმენა-წარმოდგენები, როგორც წარმართული ღვთაებების პანთეონი, ასევე შემდგომი ხანის რელიგიური მიმდინარეობანი რთული და მრავალფეროვანია.

ქართველ მთიელებში და ზოგჯერ არა მხოლოდ მათში, ქრისტიანობამ მხოლოდ სახე უცვალა წარმართულ კულტებს და შეუფარდა ისინი თავის წმინდანებს. ასე მაგალითად, მთვარის კულტი დაუკავშირდა წმ. გიორგისადმი თაყვანისცემას და სხვ. ასევე თაყვანს სცემდნენ ცალკეულ ხეებს (მუხას, ფიჭვს, ცაცხვს და სხვ.), ქვებს, მთათა მწვერვალებს და ა.შ.

საქართველოს მოსახლეობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო

აგრარული წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები: მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული დღესასწაულები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ძაგ: ხარის) თაყვანისცემა; გვალვასთან ბრძოლის და მის საწინააღმდეგოდ მიმართული რელიგიურ-მაგიური ქმედებები — ქალთა პროცესიის წყლით გაწუწვა, „ლაზარობა" და სხვ.

ქართველთა ძველ რელიგიურ რწმენებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასტრალურ ღვთაებათა პანთეონს. პირველყოფილი საზოგადოების რელიგიურ სისტემაში ჩანს, რომ გამოიყოფოდა ღვთაებათა ორი ჯგუფი: უფროსი ღვთაებები, რომლებიც ქმნიდნენ დიდ ტრიადას: ძირითადი ღმერთი — პანთეონის მეთაური, იგივე მთვარის ღვთაება; მზე-ქალი — მზის ღვთაება და კვირია — საოჯახო და სატომო ღვთაებათა მეთაური; მეორე ჯგუფს ქმნიდნენ უმცროსი ღვთაებები, რომლებიც ადგილობრივ ღვთაებებს განასახიერებდნენ და ვარსკვლავების სახით იყვნენ წარმოდგენილნი.

პირველყოფილი წყობილების შემდგომ ეტაპზე უკვე გამოიყო უმაღლეს ღვთაებათა შვიდეული კვირის დღეების შესაბამისად, რომელიც აგებული იყო მთვარის კალენდარზე. ამ დროს განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანს წარმოადგენს დიდი ღვთაება ქალღმერთი ნანა, ხოლო ღმერთს უჭირავს ცათა უმაღლესი მბრძანებლის ადგილი.

337 წლიდან ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრდა, თუმცა მისი მიმდევრები აქ ბევრად ადრეული ხანიდან იყვნენ. საბოლოოდ აქ დიოფიზიტურმა მიმართულებამ — რწმენის ქალკედონურმა სიმბოლომ დაიკავა წამყვანი ადგილი. ადრევე გაიშალა (V-VI სს.) საქართველოში სამონასტრო საქმიანობა, ხოლო მომდევნო ხანებში უკვე საზღვარგარეთ — წმინდა მიწაზე, ათონზე, ბულგარეთში, კვიპროსზე და სხვაგანაც აშენდა ათობით ქართული ეკლესია — მონასტერი. საქართველოს ეკლესიის სამღვდელთმსახურო ენა ქართული იყო, ხოლო ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია V საუკუნიდან მოიპოვა.

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიებზე თურქეთის ხელისუფლებამ დაიწყო სუნიტური მიმდინარეობის ისლამის ძალად დამკვიდრება; ხოლო შაჰ-აბას I-ის მიერ ირანში გადასახლებულ ქართველებში ძალად გაავრცელეს შიიტური ისლამი. ქართველთა შორის გავრცელებულია, აგრეთვე კათოლიკური სარწმუნოება, რომელსაც აქ ძველი, XIII საუკუნიდან მოკიდებული ტრადიციები გააჩნია.

ქართველების ტრადიციული ყოფის ყველაზე დამახასიათებელი ელემენტებია ხალხური მუსიკა და ქორეოგრაფია.

განსაკუთრებით მრავალფეროვანია და მდიდარი ქ ა რ თ უ ლ ი ხ ა ლ ხ უ რ ი მ უ ს ი კ ა, რომელიც შეიცავს ეროი მხრივ, ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის უძველეს ნიმუშებს და მეორე მხრივ, ვოკალური ხელოვნების უმდიდრეს ძეგლებს.

მდიდარი ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში წარმოდგენილია: შრომის, ყოფის, საწესო, სალაშქრო, სამგზავრო, საქორწილო, ისტორიული, საგმირო, სატრფიალო, სახუმარო, საგუნდო-საცეკვაო და სამგლოვიარო სიმღერები. ყველა ეს ჟანრი სრულად წარმოდგენილია მხოლოდ სამხმიანობაში, აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული (გურული) შრომის სიმღერები ოთხხმიანია.

ერთხმიანი სატრფიალო-ლირიკული და სახუმარო სიმღერები და შაირები, ჩვეულებრივ სრულდება ხალხური ინსტრუმენტების თანხლებით; ესენია: ფანდური, ჩონგური, გუდასტვირი, ჭუნირი.

მუსიკალური გამომსახველობის განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევიან ქართლისა და კახეთის სუფრული სიმღერები. მათი მელოდია გრძელია, ღრმად ემოციური და სრულდება საზეიმოდ, დიდი აღმავლობით.

ქართული თვითმყოფადი ხალხური პოლიფონია მთელი სისრულით და მრავალწახნაგოვნებით წარმოდგენილია იმერულ, გურულ, აჭარულ და მეგრულ სიმღერებში. გურული სიმღერების ერთ თავისებურებას ქმნის სპეცფიკური ზედა ხმა — კრიმანჭული. ასეთი სიმღერები სრულდება დიდი ღაძაბვითა და აღმავლობით. მეგრულ მუსიკალურ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლირიკულ სიმღერებს. ისინი გხიბლავენ სილამაზით, დახვეწილობით, მელოდიური ხაზების სიმსუბუქით და ჰარმონიულ ფერთა ორიგინალურობით.

მრავალფეროვანია ძველი ქართული მუსიკალური ინსტრუმენტები. ძვ. წ. XV-XIV საუკუნეების სალამური აღმოჩენილია მცხეთაში, სამთავროს არქეოლოგიური გათხრების დროს, ძვ. წ. X-VI საუკუნეების ხუთსიმიან ქნარზე დამკვრელი ადამიანის ბრინჯაოს ფიგურა — ყაზბეგში და სხვ. ძველი ქართული მუსიკალური ინსტრუმენტებია: სოინარი — ექვსნახვრეტიანი სალამური, გუდასტვირი — ჭუნირი, ჭიანური და ჩანგი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ინსტრუმენტია ჩონგური, ასევე დოლი, დაირა, ბუკი და სხვ.

მხატვრულ ფორმათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქართული ხალხური ქორეოგრაფია. მისთვის დამახასიათებელია ღრმა შინაარსი, მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა, საცეკვაო ილეთების მრავალფეროვნება.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში მხედრული სცენები და სპორტული თამაშობანი ასახულია მთელ რიგ ცეკვებში: ზემყრელო, ხორუმი, ლაზური, შავლეგო, ძაბრალე, მხარული, ვაცბილ-მაცბილი, გერგეთულა და სხვ. რომელთაც მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ.

საწესჩვეულებო ცეკვებია: სამაია და შუშპარი, რომლებიც ასევე საწესჩვეულებო თამაშობებიდან განვითარდა. კერძოდ, ისეთებიდან, როგორიცაა: „მზე შინა", „იავნანა", „ბერიკაობა" — ყვენობა და სხვ.

ცეკვებიდან ზემყრელო არის ორ ან სამიარუსიანი ჯგუფური ცეკვა, რომელიც მოცეკვავეთა მიერვე შესრულებული სიმღერების თანხლებით

იმართება. ხორუმი ასევე ჯგუფური ცეკვაა, რომელიც საბრძოლო სცენების დრამატულ დაძაბულობაზე აგებული.

როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთ საქართველოს ქოიელთა ცეკვებს, საერთო ნიშნებთან ერთად, მკვეთრად გამოხატული თავისებურებანი, ნახატი და მოძრაობის ფორმები გააჩნია. კერძოდ ასეთი ცეკვებია: ქოიულური, მოხეური, აფხაზური, ჩანჯლური, ცერული და სხვ.

ქალაქურ საცეკვაო ფოლკლორში გამოირჩევა კინტაური და ბაღდადური, მაგრამ ყველაზე პოპულარულია და განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ცეკვა „ქართული". საქართველოში მას ასრულებს ყველა. სულ პატარა ასაკიდან დაწყებული, ამ მოძხიბლავი ცეკვა-რომანის წარმატებით შესრულებას სჭირდება მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა და ღახვეწილი გემოვნება, ვაჟისა და ქალის ქოხდენილი გარეგნობა.

ადრე „ქართულის" შესრულებას წინ უძღოდა „დაველური", რომელიც მისი შესაღგენელი, განუყოფელი ნაწილი იყო. ამჟამად „ქართული" გაძიყოფილია „დაველურისაგან" და ცალკე სრულდება. როდესაც ცეკვა „დაველურით" იწყება მასში მონაწილეობს არა ერთი, არამედ რამდენიმე წყვილი. რომლებიც თავიანთი პარტიის დამთავრების შემდეგ წრედ ან ნახევარწრედ დგებიან, გამოეყოფა ერთი წყვილი და ისინი ასრულებენ „ქართულს".

„დაველური" ნელი ტემპის ჯგუფური ცეკვაა, რომელსაც ამაკაცები იწყებენ, ისინი ქალთა ჯგუფიდან ირჩევენ წყვილებს და განაგრძობენ ცეკვას. „ქართულის" ცეკვასაც ვაჟი იწყებს, რომელიც წრეში ნარნარი და ღირსეული მოძრაობით მზერას მოაელებს ქალებს და მათგან ირჩევს თავის მეწყვილეს, მას დაუკრავს თავს, ისიც ნარნარად გაჭყვება მას და ასე გრძელდება ცეკვა.

სატრფიალო შინაარსის და წყვილების მიერ შესრულებულ ცეკვებს შორის გამოირჩევა მეგრული „არირა" და აჭარული „განდაგანა". ორივე სრულდება მომღერალთა გუნდების თანხლებით. ამ ცეკვების ახასიათების მოძრავი, ცოცხალი ილეთები, მკაფიო რიტმი და მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ნიშნები.

§ 1. აფხაზები

1989 წლის აღწერით აფხაზების რაოდენობა დაახლოებით 96 ათას კაცს შეადგენს. გარდა ამისა, აფხაზების გარკვეული ნაწილი მოსახლეობს თურქეთში.

აფხაზების ეთნიკური ფორმირება დაახლოებით ახ. წ. VIII საუკუნეში დაიწყო და იგი თითქმის XIX საუკუნემდე გრძელდებოდა. მეცნიერებაში ორი თვალსაზრისი არსებობს იმ აფხაზების ეთნიკური კუთვნილების შესახებ, რომლებმაც VIII-IX საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ეგრის-აფხაზთა სამეფო შექმნეს. ერთი მოსაზრებით ითვლება, რომ ისინი ქართული წარმოშობის ტომი იყო და გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან ადიღეელი ტომების გადმოსახლების შედეგად მოხდა მათი ასიმილირება, ხოლო მეორე მოსაზრებით, ისინი ქართველ ტომთაგან იმთავითვე განსხვავებულ ეთნიკურ ერთეულებს შეადგენდნენ. ყოველ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებული ეგრის-აფხაზეთის სამეფო ქართულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა და მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების საქმეში X საუკუნის ბოლოს.

აფხაზეთში, ისევე როგორც მთელს დასავლეთ საქართველოში, თავდაპირველად (IV საუკუნიდან) გავრცელებული იყო ქრისტიანული რელიგია, მართლმადიდებლობა (დასავლეთ საქართველოს ეპარქიები ბიზანტიას ექვემდებარებოდნენ და მხოლოდ X საუკუნიდან მოხდა მათი ქართული ეკლესიის წიაღში გადმოყვანა ზოგიერთი ორგანიზაციული ცვლილებების გზით — ფოთის მიტროპოლიის ნაცვლად შეიქმნა ჭყონდიდის საეპისკოპოსო, გუდაყვის საეპისკოპოსო შეცვალა ბედიის საეპისკოპოსომ და სხვ.), მაგრამ XV საუკუნის დასასრულიდან ერთბაშად, ამ ტერიტორიაზე შეწყდა ეკლესიების მშენებლობა, ქრისტიანული მღვდელთმსახურება და გავრცელდა სუნიტური მიმდინარეობის ისლამი. მოხდა მთელი რიგი ცვლილებებისა სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში. სწორედ ეს აძლევს მკვლევარებს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ამ დროიდან (XV საუკუნის ბოლოდან), აქ მოსახლე ძირძველი ქართული ტომების დასუსტების შედეგად (გაუთავებელი ფეოდალური შინაომები, გარეშე მტრების — ოსმალების თავდასხმები), დაიწყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან ადიღეელი ტომების ჩამოწოლა-ჩამოძალება. მათ მოახდინეს აქ დარჩენილი ძველი აფხაზების ასიმილირება, მიიღეს მათი სახელი და გაბატონდნენ ამ ტერიტორიებზე. ასიმილაციის პროცესი მათ მეტ-ნაკლები წარმატებით განახორციელეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

აფხაზების (ისინი თავიანთ თავს აფსუებს ეძახიან) ენა ენათესავება აბაზებისა და ადიღეელთა ენებს და მათთან ერთად შეადგენს კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლურ (აფხაზურ-ადიღეურ) ჯგუფს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე სამიწათმოქმედო კულტურას უძველესი ტრადიციები გააჩნია. არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ სახნავი მიწათმოქმედება აქ განვითარებული ყოფილა ძვ. წ. IV-III ათასწლეულიდან. აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწათმოქმედების მაღალი განვითარების მაჩვენებელია ისიც, რომ აქ გავრცელებული იყო სახვნელი იარაღის რამდენიმე სახეობა, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში.

აფხაზეთის მთავარი სამიწათმოქმედო კულტურებია: ხორბალი, ქერი და სიმინდი. მარცვლოვან კულტურებს შორის ძველი დროიდან წამყვანი ადგილი ეკავა ფეტვს, ხოლო XVIII საუკუნიდან იგი თანდათან შეცვალა იმ დროს შემოტანილმა და გავრცელებულმა სიმინდმა. სიმინდისაგან დამზადებულ ღომისმაგვარ საჭმელს აფხაზურად ა ბ ი ს ტ ა ეწოდება.

აფხაზეთში უძველესი დროიდან დასტურდება მეკვლეობა-მესვენიერების კულტურა. იგი განსაკუთრებით განვითარებული იყო და არის გუდაუთის, ანუ ბზიფის, აფხაზეთში. აქ ჯერ კიდევ 1836 წელს აავეს ღვინის დასაწნეველი ორი ქარხანა.

ფართოდაა აფხაზეთში განვითარებული მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა. ამისი არსებობის კვალი აქ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნიდან დასტურდება. მსხვილი რქოსანი საქონელი (ძროხა, ხარი, კამეჩი) გავრცელებული იყო ძირითადად დაბლობ ადგილებში, ხოლო ხეობებსა და მთისპირა რეგიონებში მისდევდნენ წვრილფეხა საქონლის — ცხვრების, თხების მოშენებას. აფხაზეთის ტერიტორიაზე, სანამ აქ ისლამი გავრცელდებოდა, დიდი ადგილი ეკავა მეღორეობასაც, მაგრამ შემდეგ მოსახლეობის ერთ ნაწილში იგი შეწყდა. აქ მისდევდნენ ცხენის, ჯორის და სახედრის მოშენებას. დიდად ფასობდა ისევე როგორც მთელს საქართველოში და განსაკუთრებით აფხაზეთის მეზობელ სამეგრელოში, კარგი ჯიშის ცხენი. ცხენსა და ჯორს მხოლოდ მგზავრობისათვის იყენებდნენ, ხოლო სამუშაოდ, გამწევ ძალად სახედარს, ხარსა და კამეჩს მოიხმარდნენ.

მეურნეობის სხვა დარგებიდან აფხაზეთში გავრცელებული იყო ნადირობა, თევზჭერა, მეფუტკრეობა და სხვ. განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო, ისევე როგორც მის მეზობელ სამგრელოში, ნადირობა და მისი სხვადასხვა ფორმა, კერძოდ — ინდივიდუალური და ჯგუფური. ჯგუფურ ნადირობას მიმართავდნენ სხვადასხვა სახის ხაფანგისა და მახის გამოყენებით, რასაც ა ბ ნ ა ზ ა რ ა ს ეძახდნენ. დიდად იყო გავრცელებული ნადირობა ძაღლებით, ხოლო ინდივიდუალური ნადირობა — საგანგებოდ გაწვრთნილი შევარდენებითა და მიმინოთი.

აფხაზთა დასახლებების დამახასიათებელი ნიშანი იყო და არის მათი გაფანტულობა. აფხაზური სასოფლო თემი ა ქ ი თ ა რამდენიმე დასახლებისაგან — ა ც უ ფ ა, ა ხ ა ბ ლ ა — შედგებოდა. სახლები აქ ძირითად, ხუტორული სისტემით კი არ იყო განლაგებული, არამედ ცალკე ძგარ

ნაგებობად ვრცელი ტერიტორიის ცენტრში. ამის გამო რომელიმე სოფლის დასახლება რამდენიმე ათეულ კილომეტრზე შეიძლება იყოს გაჭიმული.

აფხაზურ საცხოვრებელ სახლებში გამოიყოფენ სამ ტიპს: 1. ა ქ უ - ა ც ვ — წრიული ან ნახევარწრიული მოწნული ქოხი გვიმრის, თივის ან ლელქაშის კონუსური სახურავით; 2. ა მ ა ს ა რ - მ ი — ოთხკუთხა წნული ნაგებობა ოთხფერდა გადახურვით და თივის სახურავით. წაგრძელებული ფორმის სახლი; 3. ა გ ა ნ - უ ნ ი წარმოადგენდა აფხაზური დიდი ოჯახის, რამდენიმე თაობის საერთო საცხოვრებელს; 4. ა ქ ა უ ს - ქ ა — ბოძებზე შეშედგარი ფიცრული სახლი, ყაყრის ოთხფერდა სახურავით. უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებლის ეს ტიპები ასევე ფართოდ იყო გავრცელებული მიწის დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელოში.

შეძლებული პირების საცხოვრებელი რამდენიმე ნაგებობისაგან შედგებოდა: დიდი სახლი ა ს ა ს - ა ა ი რ თ ა სტუმრების მისაღებად, მცირე სახლი ოჯახის წევრებისათვის და ზოგჯერ აქვს ეიატება ა მ ხ ა რ ა — პატარა სახლი ახალდაქორწინებულთათვის.

აფხაზთა მთავარი საჭმელია სიმინდისაგან დამზადებული ღომი — აბისტა. ასევე ეს მეზობელ სამეგრელოშიც, სადაც მას ღ უ მ უ ს ეძახიან. თუმცა, სულ უფრო ფართოდ შემოდის ხმარებაში პური. ეროვნული კერძებია: მოხარშული და შემწვარი ლობიო, აბისტა ყველით (ზოგჯერ გამომხმარი და შებოლილი სულგუნით), ა შ ხ ვ ა, მოხარშული და შემწვარი ხორცი, სხვადასხვა საწებელი, საცივი, რომელიც როგორც ჩანს, სამეგრელოდან იქნა მეთვისებული და რა თქმა უნდა, სახელგანოქმული ა ჯ ი კ ა — მარილის, წითელი წიწაკის და სხვადასხვა სუნელის დანაყვით მიღებული ნარევი.

ძრავალფეროვნებით გამოირჩეოდა აფხაზების ჩ ა ც მ უ ლ ო ბ ა. მასში მკაფიოდ იყო წარმოდგენილი სოციალური დიფერენციაცია. წარჩინებულები და მდიდრები ატარებდნენ ძვირფას ჩერქეზკებს (ჩოხა-ახალუხს), მორთულს ვერცხლის ქამრებით, ასევე ძვირფას ნაბდებს, ბოხოხს და მოსირმულ (ბუზმენტებით დამშვენებულ) ყაბალხს. ისინი მგზავრობდნენ ცხენებით, შეირაღებულები იყვნენ დამბაჩებით, მოვერცხლილი ხანჯლებითა და ხმლებით; მოკრძალებული იყო გლეხის ტანსაცმელი — სახლში მოქსოვილი ჩოხა-ახალუხი. ოქის ქუდი, წელზე ჩამოკიდებული უბრალო დანა ან ხანჯალი.

ასევე მრავალფეროვნად გამოიყურებოდა ქალის ტანსაცმელი. იგი შედგებოდა ფართო შარვლისაგან, რომელიც კოჭებთან იკვროდა, ზემოდან გადმოცმული და ქვემოოკენ გაგანიერებული კაბისაგან, რომლის მაღალი საყელო წინ ყრუდ იყო შეკრული; ჩითის (ხოლო მდიდრებში აბრეშუმის) გადმოსაცმელისაგან, რომელიც მკერდთან იკვროდა ლითონის, ხშირად ვერცხლის შესაკრავებით. გოგონები 8-10 წლის ასაკიდან და პირველი შვილის შეძენამდე ატარებდნენ კორსეტს — ა ი ლ ა კ ს, რომლის დანიშნულება

§ 2. ენობრივი კლასიფიკაცია

ენა წარმოადგენს საზოგადოებრივ მოვლენას და არსებობს მხოლოდ საზოგადოებაში. იგი წარმოიშვა კაცობრიობასთან ერთად, ყალიბდებოდა ანთროპოგენეზისა და მომდევნო ისტორიულ ეპოქებში. ამდენად, მონაცემებს ენის ისტორიის, მისი განვითარების გზის შესახებ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეთნოგენეტიკური კვლევებისათვის. ხშირად ხდება ისე, რომ ენობრივი ნათესაობის გამოვლენას ხალხთა შორის გენეტიკური ნათესაობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

ამავე დროს, გენეტიკური ერთობები, რომელთაც გააჩნიათ საერთო წარმომავლობა და ერთი ენა, შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან მეურნეობითა და კულტურით. ამიტომ ენობრივი კლასიფიკაციის მნიშვნელობა მაინც რამდენადმე შეზღუდულია ეთნოლოგიური კვლევისათვის. იგი უპირატესად გამოიყენება სხვა მონაცემების გვერდით.

როგორ ხდება მოსახლეობის ენობრივი კლასიფიკაცია? რა პრინციპები და მეთოდები უდევს მას საფუძვლად?

ენის ისტორიას შეისწავლის შელარებით-ისტორიული ენათმეცნიერება საერთო ფუძე ენის დიალექტებიდან განვითარებულ ენათა ურთიერთშეპირისპირებით. ფუძე ენად იწოდება ძველი ტომების ან ხალხების დიალექტთა რეალური ერთობა, რომელთაგან მომდინარეობს მონათესავე ენების ჯგუფთა ყველა ენა, ანუ ენათა ოჯახები. მონათესავედ მიიჩნევენ ორ ან მეტ ენას, თუ ისინი წარმოადგენენ ერთი ენის ევოლუციის შედეგს. მათ ერთობლიობას ეწოდება ენათა ოჯახი. ასეთი ენათა ოჯახები მრავალია. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდია ინდოევროპულ ენათა ოჯახი. როგორც ვთქვით, ოჯახში მონათესავე ენებია გაერთიანებული. მაგალითად, ირანული, რუსული, ინგლისური ურთიერთმონათესავე ენებია, რადგანაც მათ საერთო ინდოევროპული ფუძე ენა გააჩნიათ.

ენის ჩამოყალიბებასა და მის ფორმირებაზე მრავალი გარემოება ახდენს გავლენას. რადგანაც ენა ისტორიული მოვლენაა, იგი განუწყვეტლივ ვითარდება, იცვლება მისი ელემენტები — ლექსიკა, გრამატიკა, ფონეტიკა. ენის ჩამოყალიბების პროცესში ხდება სესხება — წინანდელი ენა გავლენას ახდენს ახალი ენის განვითარებაზე. ყველაფერი ეს იწვევს თავდაპირველი ფუძე ენის განშტოებებს, ენათა ოჯახების, პატარ-პატარა ჯგუფების ჩამოყალიბებას.

ენათა ოჯახებიდან ყველაზე მეტად შესწავლილია ინდოევროპული ენები. ამდენად, მათი მონაცემები საერთო, განზოგადებული სურათის წარმოდგენის საშუალებასაც გვაძლევს.

ამ ოჯახს აკუთვნებენ იმ ენებს, რომლებიც ინდოევროპული ფუძე ენიდან მომდინარეობენ და აგრძელებენ მას მემკვიდრეობით. ამ ოჯახის ენათა

ჩამოყალიბების ზუსტი დრო არაა ცნობილი, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს ბრინჯაოს ეპოქისა. შემდეგ კი იქმნებოდა ენათა განშტოებები. ინდოევროპულ ენათა ოჯახი, მსგავსად ენათა სხვა ოჯახებისა, ისტორიული მოვლენაა, ე.ი. მასში შემავალი ენებისათვის არ არის აუცილებელი საერთო გრამატიკული, ლექსიკური ან ფონეტიკური მახასიათებლები — მათი ერთობა მხოლოდ წარმოშობაშია.

ლინგვისტური მეცნიერება გამოყოფს ენათა შემდეგ ოჯახებს: 1. ინდოევროპული. 2. სემიტურ-ქამიტური, 3. ურალური, 4. ალთაური, 5. კავკასიური, 6. ნიგერო-კორდოფანური, 7. ნილო-საჰარული, 8. კოისანური, 9. ავსტროაზიური, 10. მალაიზიურ-პოლინეზიური, 11. ჩინურ-ტიბეტური, 12. ტაიური, 13. ინდური, 14. დრავიდული, 15. პაპუასური და სხვ. ზოგიერთი მათგანი (ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური, ურალური, ალთაური, კავკასიური და სხვ) ცალკეულ შტოებად იყოფა. მაგალითად, კავკასიურ ენათა ოჯახში შედის ქართველური, აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური განშტოებები*. ზოგიერთი ოჯახი კი თითო ენითაა წარმოდგენილი. ასეთებია: იაპონური და კორეული.

*დღეისათვის ზოგიერთი ენათმეცნიერი არ იზიარებს კავკასიური ენების საერთო წარმომავლობას. განსაკუთრებით რუსი ენათმეცნიერები, რაშიც წმინდა მეცნიერულ საფუძველთან ერთად შორს გამიზნულ პოლიტიკურ შინაარსსაც დებენ. ამის მიხედვით, ცალ-ცალკე გამოიყოფა ორი ენობრივი ოჯახი: 1. ქართველური (დასავლეთ ამიერკავკასიური), რომელშიც შედის ქართული ენა, მეგრულ-ჭანური (ზანური) და სვანური; 2. ჩრდილოკავკასიური ოჯახი, რომელშიც შედის ორი ჯგუფი: 1. აფხაზურ-ადიღეური (აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, ჩერქეზული და უბიხური); 2. ნახურ-დაღესტნური (ჩეჩნური, ინგუშური, ხუნძური, ლაკური, დარგუული და სხვ).

§ 2. სომხები

სომხები მსოფლიოში 6.300 ათასი იყო 1983 წლის მონაცემებით. აქედან საკუთრივ სომხეთში ცხოვრობდა 2.725 ათასი. კავკასიაში სომხები ისტორიულად სახლობენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც სომხეთის ზეგანი ანუ სომხეთის მთიანეთი ეწოდება. ეს ადგილი ღედაბიწის იმ რაიონების მიეკუთვნება, სადაც ადამიანის ფორმირება, თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა. ცხადია, ეს მტკიცება არქეოლოგიური მასალით. კერძოდ, სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია შელისა და აშელის კულტურის ბრომის იარაღები, ასევე მეზოლითის ეპოქის ძეგლები.

ნეოლითის ეპოქაში სომხეთის ზეგანის მოსახლეობა გადავიდა საბინადრო-შემგროვებლობითი საქმიანობიდან პირველყოფილ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე. ხოლო, უკვე ნეოლითურ ეპოქაში ითვლება, რომ ჩამოყალიბდა ადამიანის არმენოიდული ტიპი, ე.წ. წინააზიური რასა. მიჩნეულია, რომ იგი ჩაისახა სომხეთის ზეგანზე და შემდეგ გავრცელდა წინაზიის ქვეყნებში.

პირველყოფილ მიწათმოქმედთა დასახლებები სომხეთში აღმოჩენილია მრავალ ადგილას, მათ შორის, ყველაზე მეტი რაოდენობით არარატის ველზე; ესენია შენგავიტი, შრეშბლური და სხვ. ისინი თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულით. ამ დასახლებათა ძირითადი საქმეურნეო საქმიანობა მესაქონლეობასთან შერწყმული პრიმიტიული მიწათმოქმედება იყო. ამასთანავე, სომხეთის ზეგანზე საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ხელსაყრელმა თანაარსებობამ განაპირობა მომთაბარე მესაქონლეობის განვითარება, კერძოდ კი საიალაღო მესაქონლეობისა.

პატრიარქალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების ჩამოყალიბება იწყება ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში, რომელიც ხასიათდება მაღალმთიან რაიონებში ბრინჯაოს ინდუსტრიის აყვავებითა და ტომთა შორისი გავრცელების განვითარებით. სწორედ ამ დროს განსაკუთრებით ინტენსიური ხდება ტომების შორის შეტაკებანი. მიწების ხელში ჩაგდება ნადავლის სახით და საბოლოო ჯაშში — მონათმფლობელური წყობის გამტკიცება.

ამ დროისათვის უკვე დგება ეპოქა, როდესაც იწყება სომხეთის ზეგანზე მოსახლე ტომების ეთნიკური კონსოლიდაცია. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჰომეროსის ეპოქის ა რ ი მ ე ბ ი ა — სომეხთა ინდოევროპულმა წინაპრებმა.

ჯერ კიდევ III-II ათასწლეულის მიჯნაზე არინები თრაკიის სანაპიროებიდან გადასახლდნენ მცირე აზიის სანაპიროებზე, სადაც შოეკცნენ ტროას სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენლობაში. მოგვიანებით ისინი განინდნენ ჰ ა ლ ი ს ი ს ველებზე და გავრცელდნენ ისტორიული მცირე არმენიის ტერიტორიაზე. დადგენილია, რომ ეს მოხდა ძვ. წ. XIV-XIII სს. ხეთების

სახელმწიფოს აყვავების ეპოქაში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა არინებით დასახლებული ტერიტორიაც — ჰ ა ი ა ს ა. ნაწილი ამ ტერიტორიისა უკვე იხსენიება ხეთურ წარწერებში ა რ მ ა ტ ა ნ ა ს სახელწოდებით.

ამავე, ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებს განეკუთვნება სომხური ტომების პირველი გაეროიანებები, რომელთაც თავიანთი გავლენა გაავრცელეს დასავლეთ ევფრატის ველებზე.

ცნობილია, რომ ხეთების სახელმწიფო დაემხო ფრიგიელთა შემოსევების შედეგად ძვ. წ. XII საუკუნის დასაწყისიდან ე.წ. დორიული გადასახლებების დროს. ამ დროს აქ მცხოვრები ინდოევროპელი სომხების წინაპრები შეერევნენ ხეთურ-ნესიტურ, იეროგლიფური დამწერლობის მქონე ხეთურ და ხურიტულ ტომებს, ხოლო ნაწილობრივ პროტოხეთურ, აფხაზურ-ადიღეურ და ქართველურ ტომებს. ასე შეიქმნა ახალი ეთნიკური წარმონაქმნი, რომელიც სომხურ ენაზე მეტყველებდა. ეს ენა კი მაშინ ბევრად ახლოს იდგა ინდოევროპულ ენებთან ფრიგიულთან და თრაკიულთან.

სომხურ ტომებს, რომლებიც ჰ ა ი ა ს ა - ხ ა თ ე ს ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ, ასურელები ურუმებს ეძახდნენ, ხოლო უფრო ხშირად კი ისინი მათ წარწერებში „მუშქების" სახელით იხსენიებიან. ამ ეთნიკურ ტერმინს უკავშირდება, კერძოდ მისგან წარმოშობილად მიიჩნევა სომეხთა ქართული სახელწოდება. ხოლო თვითსახელწოდება სომხებისა — ჰ ა ი და სომხეთისა — ჰ ა ი კ, ჰ ა ი ა ს ტ ა ნ ი, მეცნიერთა უმრავლესობის აზრით წარმოდგება ჰაიასას ქვეყნის სახელწოდებიდან. თუმცა, არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ ტერმინი „ჰაი"-ს კავშირი აქვს ტერმინთან „ხეთესთან". ე.ი. „ხეთების" ქვეყანასთან.

სომეხი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც თავდაპირველად დაიწყო ხეთურ-ხურიტულ, ჰაიას-ხათეს ტერიტორიაზე, თანდათან გავრცელდა მთელს სომხეთის ზეგანზე, ე.ი. მან მოიცვა საკმაოდ დიდი არე. ჯერ კიდევ XIII-XII საუკუნეებში სომხურმა ტომებმა, რომლებიც ჰაიასა-ხათეს ქვეყანაში მოსახლეობდნენ, დაიწყეს შეჭრა სომხეთის ზეგანსა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის სიღრმეში. დადგენილია, რომ ძვ. წ. 1170-1165 წწ. სომეხთა ინდოევროპელი წინაპრები შეიჭრნენ ასურეთის შ უ პ რ ი ი ს ოლქში (სოფენასა და ჩრდილოეთ მესოპოტამიაში) და დამკვიდრდნენ აქ დასახლებულ ხურიტების შორის.

შემდგომში მათ ხელი მიჰყვეს მიწათმოქმედებას, უარყვეს მომთაბარე ცხოვრება და ხარკს უხდიდნენ ასურელებს. ამ დროიდან ასურულ და ურარტულ წარწერებში შუპრიის ოლქი, იქაური ახალმოსახლეების სახელის მიხედვით, იწოდება უ რ უ მ ა დ, ანუ ა რ მ ე დ, ხოლო მოგიანებით — ა რ მ ი - ნ ა დ.

სწორედ ს ო ფ ე ნ ა - შ უ პ რ ი ი ს ტერიტორიაზე მოხდა სომეხი ტომების გაეროიანება, რომელმაც სათავე დაუდო სომხეთის ზეგანზე მოსახლე

ტომთა ეთნიკურ კონსოლიდაციის ეროვნულ სიმძლე ხალხად. სომხური ენა უძველ მეტყველობას უწევს ზეგანის ბორიგენთა ადგილობრივ ენებს და თანდათან იკავებს ტომთა შორისი ურთიერთობების ენის ადგილს. ძვ. წ. XIII საუკუნის დასაწყისიდან ასურელები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ სამხედრო ლაშქრობებს სომხეთის ზეგანის მთიან ხეობებში, ხელთ იგდებენ საქონელს და აბუქებენ ადამიანებს. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ზეგანზე ძოსახლე ტომები ერთიანდებიან კავშირებში. მათგან, ასურულ წერილობით ძეგლებში სხვებზე მეტად და ხშირად იხსენიებიან ურ უ ა ტ რ ი, ნ ა ი რ ი და დ ა ი ა ნ ა. დროთა განმავლობაში ამ ტომთა კავშირებისაგან სომხეთის ზეგანზე ჩამოყალიბდა პირველი უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — ურარტუ.

ურარტუს სახელმწიფო ჩამოყალიბდა ძვ. წ. IX საუკუნეში და თავისი სიძლიერის უმაღლეს საფეხურს მიაღწია ძვ. წ. VIII საუკუნეში. სწორედ ურარტუს სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ მოექცა ამ დროისათვის სომხური ტომების დასახლების უმთავრესი ტერიტორიები — არმენ-შუბრიის ოლქი. ეს მოხდა ძვ. წ. 773-774 წლებში.

ურარტელების მიერ დამორჩილებული ეს ტომები არა მარტო სარკეს უხდიდნენ მათ, არამედ წარმოადგენდნენ ძირითად ძალას ურარტუს სწრაფად მზარდი მონათმფლობელური მეურნეობისათვის. ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობის კვალდაკვალ ურარტელები მისდევდნენ ამ ტერიტორიებზე დასახლებული ტომების მასობრივ, იძულებით გადასახლებებს თავიანთი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილებში და მათ შორის სომხეთის ზეგანზე. იგი ძვ. წ. VIII საუკუნეში გადაიქცა ურარტუს ერთ-ერთ მსხვილ ეკონომიკურ ცენტრად, ხოლო მოგვიანებით ყველა სომხური ტომით დასახლებული ციწების გაერთიანების ადგილად.

ყოველივე ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი ურარტული წარწერა. რომლებშიც ხშირად არის მოთხრობილი მოსახლეობის მასობრივი გადასახლების შესახებ იმ ადგილებიდან, რომლებიც უპირატესად სწორედ სომხური ტომებით იყო დასახლებული. ამის შედეგად ურარტუს მეფეებმა, მათდაუნებურად, მონათმფლობელური ეკონომიკის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ხელი შეუწყეს სომხური ეთნოსის როლის გაძლიერებას თავიანთი სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში.

სომხეთის ზეგანზე განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ტომებისა და ხალხების შერევის, დაყოფის და დანაწილების პროცესი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში. სწორედ ამ დროს მოხდა კიმერიელებისა და სკვითების შემოსევები ჩრდილოეთიდან; მიმდინარეობდა სომეხი ხალხის ინტენსიური ფორმირება, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს არა მარტო სომხეთის ზეგანზე მოსახლე ურარტელმა ტომებმა, არამედ კიმერიულ-სკვითურმა ეთნიკურმა ელემენტებმაც. სომეხი ხალხის საუროიერთობლო ენად გადაიქცა არმ-ურუმების ინდოევროპული ენა.

სომეხი ხალხის ეთნიკური ფორმირების პროცესი ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნაზე, ასურეთისა და ურარტუს დაცემისა და მიდიის სახელმწიფოს გაძლიერების დროს, ძირითადად, დამთავრებული იყო. ამას მოწმობენ ძველაღმოსავლური, კერძოდ აქემენიდური წარწერები და ძველბერძენ ავტორთა ცნობები. 521-517 წლებით დათარიღებულ ბეხისტუნის ლურსმულ წარწერაში დასახლებულია ა რ მ ი ნ ა ს ქვეყანა, რომელიც დამორჩილებული ჰყავს აქემენიდურ სახელმწიფოს. ამავე წარწერის თანმხლებ რელიეფზე, სხვა ხალხებს შორის, გამოსახული არიან სომხები, რომლებიც ხარკს უხდიან აქემენიდ მეფეს დარიოს I-ს. ითვლება, რომ ეს არის სომხის ამჟამად ცნობილი ყველაზე ადრეული გამოსახულება — საინტერესო წყარო მისი ფიზიკური ტიპის, ეთნიკური სახის დასახასიათებლად.

ძველი საბერძნეთის კლასიკოსი ისტორიკოსები ჰეროდოტე (ძვ. წ. V ს.) და ქსენოფონტე (ძვ. წ. V-IV სს.) მოგვითხრობენ უკვე სომხეთის, არმენიის ვრცელი ტერიტორიების შესახებ. ამ დროისათვის ამ ხალხის ეთნიკური ჩამოყალიბების პროცესი საბოლოოდ დამთავრებული ჩანს. ყველაფერი მეტყველებს, რომ იგი მიმდინარეობდა სომხეთის ზეგანის ტერიტორიაზე ინტენსიური მიწათმოქმედების საყოველთაოდ გავრცელებისა და განვითარების პირობებში, რაც ხელს უწყობდა კლასების წარმოშობისა და განმტკიცების ყოვლისმომცველ პროცესს.

სწორედ ასეთ პირობებში, ურარტუს სახელმწიფო ნანგრევებზე წარმოიშვა სომხეთის მონათმფლობელური სახელმწიფო. პოლიტიკურად იგი ასე წარიმართა: ძვ. წ. 624 წელს ურარტუს სახელმწიფოს ცენტრში ქ. ტ უ შ პ ა შ ი (ვანი) განმტკიცდა ერვანდუნთა სომხური დინასტია. ეს პირველი სომხური სახელმწიფო არსებობდა ძვ. წ. 520 წლამდე, სანამ იგი არ დაიპყრეს სპარსელებმა. შემდგომში, ძვ. წ. 520-330 წწ. სომხეთის საზოგადოების, ამ ქვეყნის განვითარება მიმდინარეობდა აქემენიდთა სპარსული სახელმწიფოს ბატონობის პირობებში.

ძვ. წ. IV საუკუნეში აქემენიდური სპარსეთი დაემხო ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად და სომხურმა სახელმწიფოებრიობამაც აღორძინება დაიწყო. ამ დროს, ელინისტურ ეპოქაში, სომხეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია ქ. არმავირი, ძველი ურარტელების — ა რ გ ი შ - ტ ი ხ ი ნ ი ლ ი. ძვ. წ. II და I საუკუნეების მიჯნაზე სომხეთის ზეგანსა და მისი მიმდებარე ტერიტორიებზე არსებობდა სომხური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები: ა ი რ ა რ ა ტ ი, ს ო ფ ე ნ ა - კ ო მ ა გ ე ნ ა, დ ი დ ი ს ო მ ხ ე თ ი და მ ც ი რ ე ს ო მ ხ ე თ ი. ყველა ისინი შეერწყნენ ერთია მონათმფლობელურ სომხურ სახელმწიფოდ — დიდ არმენიად, რომლის სათავეში მოექცა ძვ. წ. 189 წელს დაარსებული ა რ ტ ა შ ე ს ი დ ე ბ ი ს დინასტია. ამ დროიდან და ახ. წ. IV საუკუნემდე, თითქმის მთელი ექვსი

საუკუნის განმავლობაში, დიდი არმენია არსებობდა, როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული მონათმფლობელური სახელმწიფო, სანამ იგი არ დაშალა ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად.

ორიოდე სიტყვით ამ მონათმფლობელური სომხეთის თავისებურებათა შესახებ. ქვეყნის უშუალო მწარმოებლები იყვნენ დაქირავებულები. ცენტრების წარმოადგენდა ამ დროისათვის წარმოქმნილი სომხური მონათმფლობელური ელინისტური ქალაქები. სწორედ მათ გარშემო არსებობდა უპირატესად მონათმფლობელური სავარგულები — აგარაკები და დასტაკერტები.

ძვ. წ. I საუკუნეში დიდი არმენია გადაიქცა იმ დროის ელინისტური სამყაროს ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ეროვნულად. მისი საზღვრები ამ სახელმწიფოს ყველაზე დიდი და სახელგანოქმული მეფის ტ ი გ რ ა ნ I I-ის (ძვ. წ. 95-56 წწ.) დროს გადაიჭიმა მდინარე მტკვრიდან კასპიის ზღვის სანაპიროებზე მდინარე იორდანემდე ხმელთაშუაზღვის სანაპირეებზე. ასევე კილიკიის ტავრებიდან მიდიის მთებამდე. ქვეყნის დედაქალაქი არ ტ ა შ ა ტ ი დ ა ნ, რომელიც არარატის ზეგანის ცენტრში მდებარეობდა. გადაიტანეს ტ ი გ რ ა ნ ა კ ე რ ტ ში, ალძნიკის ოლქში. ძვ. წ. 77 წელს. ახალი დედაქალაქი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილზე აღმოჩნდა, მალე გადაიქცა ვაჭრობისა და ხელოსნობის მსხვილ ცენტრად.

ტიგრან II-ის მეფობის მეორე ნახევრიდან სომხეთს უხდებოდა ძძიმე და ხანგრძლივი ბრძოლების წარმოება რომის აღმოსავლური ექსპანსიის წინააღმდეგ. რომაელი სარდლის პომპეუსის წარმატებულმა ლაშქრობებმა აღმოსავლეთში სომხეთი აიძულა რომისათვის საბოლოოდ დაეთმო სირია და მცირეაზიული საშფლობელოები. ჩვ. წ. I საუკუნეში რომაელების ძალისხმევა არტაშიდების დინასტიის დამხობა და სომხეთის თავისი ხელისუფლებისათვის დამორჩილება.

ახ. წ. 64 წელს აღდგა სომხური სახელმწიფოებრიობა პართიისა და რომის ნომინალური უზენაესობის პირობებში. სომხეთის მეფე გახდა პართიის მეფის ვალარშის ძმა თ რ დ ა ტ I (63-75 წწ.), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სომხეთში არშაკიდების (არშაკუნების) სამეფო დინასტიას.

ახალშექმნილ პირობებში სომხეთში ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა ქრისტიანული რელიგიის გასავრცელებლად. 301 წლის ახლო ხანებში მეფე თ რ დ ა ტ III (287-332 წწ) მონათლა არქიეპისკოპოსმა გრიგოლ განმანათლებელმა. ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადება ხელს უწყობდა სომხეთში ფეოდალიზაციის პროცესის დაჩქვიდრებას და შემდგომ განმტკიცებას. ხოლო სომეხი ხალხის ეთნიკური ჩამოყალიბება და კონსოლიდაცია იმ სახით, როგორიც იგი დღეს წარმოგვიდგება, ამ დროისათვის საბოლოოდ დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

§ 3. აზერბაიჯანელები

აზერბაიჯანელები მსოფლიოში 1983 წლისათვის 13 მილიონს შეადგენდნენ. აქედან აზერბაიჯანში ცხოვრობდა 4.709 ათასი.

აზერბაიჯანელი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები მეტად რთულია და მტკიცედ არის გადაჯაჭვული კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე უძველეს დროს მოსახლე ტომების, აგრეთვე, ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდებში ისტორიის არენაზე გამოსული სხვადასხვა თურქულ-სელჯუკური ტომის ეთნიკური ისტორიის საკითხებთან. ამ ხალხის და მისი ენის იმ სახით ჩამოყალიბებაში, როგორი სახითაც მას დღეს ვიცნობთ, მრავალმა ხალხმა და ტომმა, აგრეთვე მათმა ენებმა და სხვადასხვა საარწმუნოებრივმა მიმართულებამ მიიღო მონაწილეობა — იგი შეიქმნა მათი შერწყმის, ერთმანეთში გათქვეფის გზით.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ხელსაყრელი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები იმის საფუძველს ქმნიდა, რომ აქ ადამიანის საქმიანობა, მისი გამოჩენა უძველეს დროს, უკვე პალეოლითის ეპოქაში დაწყებულიყო; ხოლო ძვ. წ. II ათასწლეულში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაიწყო ბრინჯაოს ეპოქა. ამავე დროს, ადგილობრივი ტომები იყოფოდნენ მიწათმოქმედ და მესაქონლე ტომებად. ბრინჯაოს ეპოქის დასასრულს კი აზერბაიჯანში დამკვიდრდა ნახევრადმოძთაბარე მესაქონლეობა.

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში თანამედროვე აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში და მათ მიმდებარე ირანის ქურთისტანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ლ ულ უ ბ ე ს ა და ქ უ თ ი ს ტომების კავშირი. ძვ. წ. III ათასწლეულიდან I ათასწლეულის დასაწყისამდე ქვეყნის ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსახლე უძველესი ტომების მემკვიდრეები იყვნენ ლულუბურ-ქუთიური ტომები — მ ა ნ ე ბ ი, რომლებიც მოსახლეობდნენ ურმიის ტბის სამხრეთით და აღმოსავლეთით. მათ აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ მიდიელთა ტომები. მდინარე ყარასუს ველზე, ყარადაღში, ბინადრობდნენ კ ა დ უ ს ე ბ ი ს მებრძოლი ტომები, რომლებსაც ეკავათ. აგრეთვე მდინარე არაქსის სამხერეთ შენაკადები. კასპიის ზღვის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე ცხოვრობდნენ კ ა ს - პ ე ბ ი. ისინი როგორც ჩანს, ეთნო-ენობრივი თვალსაზრისით ახლოს იდგნენ კ ა ს ი ტ ე ბ თ ა ნ — ლულუბეების აღმოსავლეთ მეზობლებთან. მოგვიანებით კასპები შეერწყნენ სხვა მეზობელ ტომებს და მათი სახელი მხოლოდ კასპიის ზღვის სახელწოდებაში შემოინახა.

აზერბაიჯანელი ხალხის ეთნიკური ფორმირების პროცესში მნიშვნელო-

ვანი მონაწილეობა მიიღეს ალბანელმა ტომებმა, რომლებიც ბინადრობდნენ მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ ამ უძველეს ტომებსა და ხალხებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ურარტუელებთან, რომლებიც შემდეგში შეეიდნენ სომეხი და ქართველი ხალხების შემადგენლობაში.

ცნობილია, რომ ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში გამოჩნდნენ კიმერიელებისა და სკვითების ტომები: მათ გადმოლახეს კავკასიონი და თავს ესხმოდნენ ამიერკავკასიის ხალხებს, მათ შორის აზერბაიჯანს, ასევე ირანს და სხვ. ძვ. წ. VII საუკუნეში სკვითური ტომების მნიშვნელოვანი მასა დასახლდა აზერბაიჯანის სტეპურ რაიონებში.

პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები აზერბაიჯანში იყო ა ლ ბ ა ნ ე ბ ი ს ტომობრივი კავშირები. ძვ. წ. IX საუკუნეში მანაში შეიქმნა ადრემონათმფლობელური სახელმწიფო, დედაქალაქი — ი ზ ი რ ტ უ. მანა წარმატებით იბრძოდა ასურეთის და ურარტუს წინააღმდეგ, რის შედეგადაც ძვ. წ. VIII საუკუნის დასასრულისათვის მან შეძლო თავისი ძალაუფლება გაავრცელებინა ურმიის ტბის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებზე და აგრეთვე მდინარე ყიზილუზენის სათავეებში. მანას დაქვემდებარებულ ოლქებს შორის ერთ დროს იყო თვით მიდიაც, რომელიც VII-VI საუკუნეების მიჯნაზე გადაიქცა ერთ-ერთ უძლიერეს სეხლმწიფოდ — მან გაანადგურა ურარტუ და დაიმორჩილა მანა.

ელინისტურ ეპოქაში ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო მესამედში, აქემენიდური სპარსეთის ალექსანდრე მაკედონელის გამანადგურებელ ლაშქრობათა შედეგად, მიდიის ნაწილი, რომელიც მცირე მიდიად, ანუ მიდია-ატროპატენად იწოდებოდა, ჩამოყალიბდა ცალკე სახელმწიფოდ. იგი, ძირითადად მოიცავდა თანამედროვე სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიას.

აზერბაიჯანის უძველეს სახელწოდებად მეცნიერებაში მიჩნეულია ა ტ რ ო - პ ა ტ ე ნა. შემდეგში მან სახე იცვალა და სპარსელებში ჩამოყალიბდა „ა ბ დ ე რ - ბ ა დ ა გ ა ნ ი ს“ ფორმით, სომხეთში „ა ტ რ ა - პ ა ტ ა კ ა ნ ა დ“, ხოლო არაბებში „ა დ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ა დ“ ანუ „ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ა დ“, რაც „ცეცხლის ქვეყანას“ ნიშნავს: როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი სახელი აქ დამკვიდრდა იმის გამო, რომ ამ ტერიტორიაზე ფაროოდ იყო გავრცელებული ცეცხლთაყვანისმცემლობა. სხვა მოსაზრებით, შეიძლება ქვეყანას ეს სახელი ეწოდა აქ ნავთობის დიდი რაოდენობით არსებობის და მისგან ანთებული ცეცხლის გამო. როგორც ცალკე სახელმწიფომ, ატროპატენამ იარსება ძვ. წ. II საუკუნის შუა ხანებამდე. ამ დროს კი იგი მოექცა პართიის გავლენის ქვეშ, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა ახ. წ. III საუკუნის შუა ხანებამდე.

ატროპატენას სახელმწიფოს არსებობის პერიოდში გაძლიერდა აზერბაიჯანის ადგილობრივი ტომების ერთიან ხალხად შერწყმის პროცესი, რო-

მელშიც მონაწილეობდნენ ძვ. წ. III-I ათასწლეულებში აქ მოსახლე ტომები, აგრეთვე მანები, კასპები, კადუსები, მიდიელთა ნაწილი, რომლებიც სამხრეთ აზერბაიჯანის საზღვრებში მოსახლეობდა და სხვები.

ატროპატენას უმაღლესი ძლიერების პერიოდში მისი მოსახლეობა, რომელიც ძველი აზერბაიჯანული ეთნოსის უმთავრეს ნაწილს შეადგენდა. მეზობელი ხალხებისათვის ცნობილი იყო კრებითი სახელწოდების „ატროპატენას" მიხედვით. ატროპატენას ხალხის ფორმირების პროცესში ყალიბდებოდა მისი ენაც. როგორც ჩანს, ეს ის ენა იყო, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა ა ზ ე რ ი-ს სახელით და შევიდა ირანული ენების ოჯახში. იგი ძლიერ განსხვავდებოდა სპარსულისაგან და ახლოს იდგა თალიშურთან.

ჩამოყალიბების გზაზე მდგარი აზერბაიჯანელი ხალხის შემადგენლობაში მოგვიანებით შევიდნენ ჩრდილოეთით მოსახლე ალბანური ტომები. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩრდილოეთისა და სამხრეთისათვის ერთიანი აზერბაიჯანული ენა. მის ჩამოყალიბებას რამდენიმე საუკუნე დასჭირდა და სხვადასხვა ტომის ენების შერწყმის გზით იქნა მიღებული.

თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ჩრდილოეთით მოსახლე ა ლ ბ ა ნ ე ლ მ ა ხალხმა. ალბანეთად ძველად იწოდებოდა აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რაიონები და სამხრეთ დაღესტნის მნიშვნელოვანი ნაწილი.

თავისი ეთნიკური შემადგენლობით ალბანეთი შეტად ჭრელი იყო. მისი მოსახლეობის ენა კავკასიურ ოჯახს ეკუთვნოდა და ყველაზე ახლოს იდგა დაღესტნურ ენებთან. ალბანეთის შედარებით მსხვილ ეთნიკურ ტომებს შეადგენდნენ ა ლ ბ ა ნ ე ლ ე ბ ი, უ დ ე ლ ე ბ ი, გ ა რ გ ა - რ ე ბ ი, ლ ე გ ე ბ ი (ლ ე კ ე ბ ი). ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებით, აქ ოცდასამი ტომი ბინადრობდა. იგი მჭიდროდ დასახლებულ მდიდარ ქვეყანას წარმოადგენდა: მინგეჩაურში, იალოილუ-ტეფასა და სხვაგან წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ალბანელთა სოფლის მეურნეობის იარაღები, საბრძოლო საჭურველი, ყოფითი საგნები, სამკაულები, მოგვიანო-ქრისტიანული ხანის წერილობითი ძეგლები, წარწერები და სხვა, რაც ძველი ალბანეთის მაღალგანვითარებულობის მაჩვენებელია.

ძვ. წ. I საუკუნეში ალბანეთსა და ატროპატენში, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე, ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ მომთაბარე ტომები, რომლებმაც გააჩანაგეს ეს ქვეყნები, მათ შორის იყვნენ თურქულენოვანი ჰუნები და ხაზარები. ამ მომთაბარე ტომების მნიშვნელოვანი ნაწილი აქ დასახლდა და შეერია ადგილობრივ მოსახლეობას. ამის შედეგად, აგრეთვე, სხვა ფაქტორების ზემოქმედებით, აზერბაიჯანში თანდათან ძლიერდებოდა თურქული ენობრივი ელემენტი.

III-V სს. აზერბაიჯანში დაიწყო ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბება, რომელიც აქ მრავალი თავისებურებით ხასიათდებოდა. კერძოდ, ისევე როგორც

აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, საკუთრივ ფეოდალთა მეურნეობა უმნიშვნელო იყო ან სულ არ იყო, ძირითადად წარმოებდა სასურსათო გადასახადის აკრეფა და სხვ. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ ალბანეთში შეიქმნა სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო ბ ა რ დ ა ვ ი; ამავე დროს, IV საუკუნიდან ალბანეთში გავრცელდა ქრისტიანობა, ხოლო ატროპატენაში გაბატონებული იყო ზოროასტრიზმი.

III საუკუნეში ამ დროისათვის გაძლიერებულმა და აღმავლობის გზაზე მდგარმა სასანურმა ირანმა დაიმორჩილა ატროპატენა და დაიწყო ალბანეთის დაპყრობა. ამიერკავკასიაში ერთმანეთს შეეჯახა სასანური ირანისა და ბიზანტიის იმპერიის ინტერესები. ხანგრძლივი და გაჩაჩანაგებული ბრძოლები ადგილობრივი მოსახლეობისათვის იმ დროის ამ ორ უძლიერეს იმპერიას შორის 390 წელს დადებული ხელშეკრულებით დასრულდა, რომლის თანახმადაც ალბანეთი, სომხეთის აღმოსავლეთ რაიონები და იბერია (აღმოსავლეთ საქართველო) სასანური ირანის ხელში გადავიდა.

ირანი, ცხადია, ყოველმხრივ, მათ შორის ხალხთა გადასახლების გზითაც, ცდილობდა ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას და ამ მიზნით ალბანეთში დაიწყო ირანულენოვანი ტომების ჩასახლება, რომლებმაც შემდეგში მიიღეს ო ა თ ე ბ ი ს სახელწოდება. ისინი განსახლდნენ აფშერონის ნახევარკუნძულზე, შემახის და დივიჩის, ყუბის და ზოგი სხვა რაიონის ტერიტორიაზე. თანამედროვე ოათები იმ ძველი გადმოსახლებულების შთამომავლები არიან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობაში გაითქვიფა, შეერწყა მას და მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანელი ხალხის, როგორც ეთნოსის ფორმირებაში.

V საუკუნის დასაწყისში ალბანეთში შეიქმნა ორიგინალური დამწერლობა, რომელიც გამოიყენებოდა ქრისტიანული რელიგიის საჭიროებისათვის. აშენდა ეკლესიები, რომლებთანაც შეიქმნა სკოლები. გ ა რ დ მ ა ნ შ ი შეიქმნა ცალკე პოლიტიკური ერთეული ამავე სახელწოდების დედაქალაქით, რომლის ეკლესიას აღფრთოვანებაში მოჰყავდა მნახველები მაღალი საამშენებლო ხელოვნებით, ფრესკული მხატვრობით, ქვაზე კვეთით და ძვირფასი ლითონის სამკაულით.

ამ დროის ალბანეთის და ატროპატენის კულტურა მჭიდრო ურთიერთობაში იყო მეზობელი ხალხების — ქართველების, სომხების, დალესტნელების და ირანელთა კულტურასთან. ატროპატენისა და ალბანეთის ხანგრძლივად ერთად ყოფნა ერთი სახელმწიფოს, ირანის შემადგენლობაში, ხელს უწყობდა აზერბაიჯანის ამ ორი ისტორიული ნაწილის დაახლოებას, მათ შერწყმას და ეთნიკური ერთიანობის პროცესის დაჩქარებას,

VII საუკუნის შუა ხანებში აზერბაიჯანი მოექცა არაბთა მფლობელობის ქვეშ. დაიწყო ისლამის დანერგვა და არაბული დამწერლობის გავრცელება. მაგრამ აზერბაიჯანელები, ისევე როგორც ქართველი და სომეხი ხალხები,

სისხლისმღვრელ ბრძოლებს ეწეოდნენ არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. ბოლოსდაბოლოს, საკუთრივ სახალიფოში ფეოდალურ შინაამლილობათა და დაქუცმაცებულობის ტენდენციის გაძლიერების შედეგად, იგი დაიშალა ამიერკავკასიის ხალხებიც განთავისუფლდნენ მათი ბატონობისაგან, ამის ერთ-ერთი შედეგი იყო, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მთელი რიგი ფეოდალური პოლიტიკური ერთეულები: შ ი რ ვ ა ნ ი — შირვანშაჰებიო სათავეში (დედაქალაქი იყო შემახა), სამხრეთ აზერბაიჯანში — ს ა ჯ ი დ ე ბ ი ს ა, ა რ დ ე ბ ი ლ ი ს გარშემო — ს ა ლ ა რ ი დ ე ბ ი ს ა, განჯის ოლქში — შ ე დ ა დ ი დ ე ბ ი ს ა და სხვ. მოგვიანებით, XII-XIII საუკუნეებში ზოგი მათგანი, უშუალოდ და ზოგიც ყმადნაფიცობის პირობით, შევიდა ერთიანი, ძლიერი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომელიც არა მარტო კავკასიის, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

უფრო ადრე კი, XI საუკუნის შუა ხანებში, აზერბაიჯანსა და მის მომიჯნავე ქვეყნებში თურქ-სელჯუკები გაბატონდნენ. ამასთანავე არის დაკავშირებული XI-XIII საუკუნეების აზერბაიჯანში მოსახლეობის ძირეული ენების შეცვლა თურქული სასაუბრო ენით. აზერბაიჯანის ადგილობრივი მოსახლეობის ხანგრძლივმა ყოფნამ თურქულენოვან სამყაროსთან კავშირში, V-VII და XI-XII საუკუნეების აზერბაიჯანში თურქულენოვანი ტომების კომპაქტურმა დამკვიდრებამ, ახალმა მძლავრმა შემოჭრამ აზერბაიჯანში XIII საუკუნეში თურქულენოვანი მომთაბარეებისა, ასევე, თურქული ენის შედარებითმა სიმარტივემ, ადვილად ათვისებადობამ, გამოიწვია მისი თანდათანობითი განვითარება აზერბაიჯანში და თავდაპირველი, ძირეული ენების გამოდევნა. ეს ძირეული ენები კი იყო აზერული, არანული და სხვები. ამათგან, არანაულ ენას ადრე შუა საუკუნეების წყაროები უწოდებდნენ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ველის მოსახლეობის ენას. ეს ენა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე საყოველთაოდ გავრცელებული საურთიერთობო საშუალება იყო ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი ტერიტორიის მოსახლეობისათვის. იგი წარმოადგენდა შუალედურ რგოლს ალბანეთის ტომთა შორისი ენების განვითარებიდან თანამედროვე აზერბაიჯანულ ენამდე. ამ ენების — აზერულის, არანულის და სხვ. მრავალი ელემენტი შევიდა ამ დროისათვის (XI-XIII სს.) ჩამოყალიბებული აზერბაიჯანული ენის შემადგენლობაში.

ეს სხვადასხვა ძირითადად მაინც თურქულენოვანი ენების შერწყმის გზით ჩამოყალიბებული აზერბაიჯანული ენა, თავდაპირველად დამკვიდრდა საერთო სახალხო სასაუბრო ენად; იგი სალიტერატურო ენად მაშინვე არ გადაქცეულა. საქმის წარმოებაში მეცნიერებაში და ლიტერატურაში გაბატონებული იყო არაბული და განსაკუთრებით ფარსული ენები. ამავე დროს, აზერბაიჯანის მოსახლეობის მცირე ჯგუფები, რომლებიც ძნელად მისადგომ

ადგილებში. მთებში ცხოვრობდნენ ან ინარჩუნებდნენ თავიანთ თავდაპირველ ენებს ან ნაკლებად განიცდიდნენ ახალი, უცხო ენის ზეგავლენას. უფრო მეტი სამხრეთ აზერბაიჯანის ზოგიერთ სოფელში დღესაც ლაპარაკობენ აზერულ ენაზე.

ერთი სიტყვით, XI-XIII საუკუნეებისათვის, სხვადასხვა ტომთა შერწყმის შედეგად ერთიანი აზერბაიჯანული საეროთ-სახალხო სასაუბრო ენის ჩამოყალიბების გზით, დასრულდა აზერბაიჯანელი ხალხის ფორმირების მრავალსაუკუნოვანი პროცესი.

§ 4. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა შორის, რომელთა შესახებ წყაროების შემოუნახავთ ცნობები, უძველესნი არიან კიმერიელები. საბუნებრივ, ძალიან შესახებაც ცნობები მეტად მწირია და მხოლოდ ჰეროდოტეს მოინათხრობით. ასურული ლურსმული წარწერების მონაცემებითა და არქეოლოგიური მასალით ამოიწურება. ცნობილია, რომ უძველეს დროს, ყველა შემთხვევაში ძვ. წ. VIII საუკუნემდე ისინი მოსახლეობდნენ შავიზღვისპირეთის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილში. ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობით, კიმერიელები მათ მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან გამოდევნეს მომთაბარე სკვითებმა, რომლებიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აზიიდან შეიჭრნენ ძვ. წ. VIII საუკუნეში. შემორჩენილი, ან ძველ წერილობით წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმიკური მასალისა და არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ძეგლების მიხედვით, აკეთებენ დასკვნას, რომ კიმერიელთა დასახლების ძირითადი ტერიტორიები იყო ყირიმი და ყუბანისპირეთი.

იმავე ჰეროდოტეს ცნობით, სკვითების დაწოლის შედეგად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან გამოდევნილი კიმერიელები ჩრდილოეთ კავკასიის გავლით, სამხრეთისაკენ დაიძრნენ შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე და დამკვიდრდნენ იმ ადგილებში, სადაც მდებარეობდა ქალაქი სინოპი. ამ ცნობას ადასტურებენ ასურული ლურსმული წარწერები. რომელთა მიხედვით, კიმერიელები გამოჩნდნენ წინა აზიაში ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში. აქ მათ საფუძვლიანად შეარყიეს იმდროინდელი ძველი აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფოები — ასურეთი და ურარტუ და, როგორც ჩანს, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ ეთნიკურ პროცესში — ბოლოსდაბოლოს გაითქვიფნენ ძირძველ მოსახლეობაში, ისე რომ არაოუ დღეისათვის, არამედ 2000 წლის წინა დროისთვის იქ მათი კვალიც არ დარჩა.

საფიქრებელია, კიმერიელები მთლიანად არ გადასახლებულან ჩრდილოეთ შავიზრვისპირეთიდან წინა აზიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ მათი ტოპონიმიკა ასე მტკიცედ არ დაფიქსირდებოდა. ასე რომ, მათი რაღაც

ნაწილი ადგილზეც დარჩა და გარკვეული მონაწილეობა მიიღო აქ მიმდინარე ეთნიკურ პროცესებში.

საისტორიო წყაროების ერთობლივი დამოწმებით, ძვ. წ. VIII საუკუნეში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ სკვითები. მათი დასახლების აღმოსავლეთის საზღვარი გადიოდა დონზე (ანტიკური ავტორების მიხედვით, ტანაისზე), რომლის იქით, კავკასიისპირეთში მოსახლეობდნენ არასკვითური ტომები — მეოტები, სინდები, ტორეტები, კერკეტები და სხვ. თუმცა, კავკასიის მთისპირეთში სკვითებიც უთუოდ შეჭრილან, რადგან, იმავე ჰეროდოტეს ცნობით, მათ კავკასიის ქედისთვის შემოუვლიათ აღმოსავლეთის გასასვლელით დარუბანდის გზით და ასე გადასულან ამიერკავკასიაში.

დაახლოებით VII საუკუნიდან III საუკუნემდე, ჩრდილოეთ კავკასიის ძირეული მოსახლეობის სამეურნეო და საზოგადოებრივი წყობა, აგრეთვე კულტურა ყალიბდებოდა კავკასიისმოისპირეთის სტეპებში და ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილის მთისპირეთში — ყუბანის გადაღმა, მდინარეების ბელაიასა და ლაბას აუზში. ამ დროს სკვითური კულტურა რომ აითვისა აქ მოსახლე არასკვითურმა ტომებმა, ამის მაჩვენებელია მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლები სემიბრატნოესა და ყარაგოდეუაშხიდან; ისინი რომ ადგილობრივ სინდურ-მეოტურ ტომებს ეკუთვნიან, ეჭვს არ იწვევს.

შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის მთისწინა სტეპები და განსაკუთრებით ყუბანისპირეთი, სკვითურ პერიოდში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით თითქმის არ განირჩეოდა დონის დასავლეთით მდებარე სკვითური რაიონებისაგან. ყუბანისპირა სკვითების ყორღანები ადასტურებს იმავე მეურნეობის ტიპსა და საზოგადოებრივ წყობას, რასაც დნეპრისპირეთის მომთაბარე სკვითებისა.

ამასთანავე, კავკასიის მთისპირეთის სკვითურ ყორღანებს ახასიათებთ შთელი რიგი თავისებურებები. კერძოდ, ე.წ. „მეფეთა“ ყორღანები, ჩვეულებრივ გამოირჩევა ცხენების დიდი რაოდენობით; მაგალითად, ერთ-ერთ ყორღანში „ულულსკოისთან 400-ზე მეტი ცხენის ჩონჩხი იქნა ნაპოვნი. ამასთანავე, ყუბანისპირეთის ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში ძველი „სამეფო“ ყორღანები გამოირჩევიან უფრო მდიდრული, ძვირფასი დაკრძალვის წესებით. როგორც ჩანს, ეს იმით აიხსნება, რომ ყუბანისპირეთი, ისევე, როგორც მთელი კავკასიის მთისპირეთი, ჩართული იყო ძველი მსოფლიოს კულტურულ ცენტრებთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით ამიერკავკასიასთან და წინა აზიასთან. ბევრად უფრო ადრე, ვიდრე დნეპრისპირეთი. ამიტომაც ამ რაიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება თავიდანვე უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე დონის დასავლეთით მდებარე ოლქებისა.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის შავიზღვისპირა ტომებთან ისტორიულად მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ აქ არსებული ჩრდილოეთ შავიზღვისპი-

რეთის ბერძნული კოლონიები. ამიტომაცაა, რომ ამ ტომების შესახებ ცნობების ძირითად წყაროს სწორედ ბერძნული წერილობითი ძეგლები წარმოადგენს.

როგორც ძველი მსოფლიოს ისტორიიდანაა ცნობილი, ძვ. წ. VII საუკუნიდან ბერძნები იწყებენ სამხრეთ, ხოლო მოგვიანებით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციას. განსაკუთრებით მჭიდროდ ბერძნული კოლონიები განლაგებული იყო ქერჩის სრუტის ორივე მხარეს, რომელსაც კიმერიის ბოსფორს უწოდებდნენ. აქ იყო ისეთი მსხვილი და მნიშვნელოვანი დასახლებანი ბერძენი მოახალშენეებისა, როგორებიცაა: ფ ა ნ ა გ ო რ ი ა, კ ო რ ო კ ო ნ დ ა მ ა, ‘ ჰ ე რ მ ო ნ ა ს ი, გ ო რ გ ი პ ი ა (ანაპა) და სხვ; მაოვე ეკუთვნოდა ტანაისი, რომელიც ამდინარე დონის ღელტაში მდებარეობდა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ბერძნულ კოლონიებს შორის იყო პ ა ნ ტ ი კ ა პ ე ო ნ ი (დღევანდელი ქერჩის ადგილას). მისმა ხელსაყულებამ გააერთიანა ბოსფორის სრუტის ორივე სანაპირო და იგი გადაიქცა ე.წ. ბოსფორის სამეფოს დედაქალაქად.

ძვ. წ. IV საუკუნის დასასრულისათვის ამ სახელმწიფოს კავკასიური ნაწილი მოიცავდა მთელს ტამანის ნახევარკუნძულს, ყუბანის შესართავს და ზღვის სანაპირო ზოლს დღევანდელ ნოვოროსიისკამდე.

ცხადია, ასეთი ძლიერი და მაღალგანვითარებული მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოშობამ დიდი გავლენა მოახდინა ადგილობრივი ტომების ცხოვრებასა და განვითარებაზე. ერთ-ერთი ასეთი იყო ს ი ნ დ ე ბ ი ს ტომი. ძვ. წ. VI საუკუნეში სინდები უკვე მიისწრაფოდნენ სამეფოს საქალაქო ცენტრისაკენ და ექვემდებარებოდნენ ნახევრად — ელინიზებულ დინასტიებს. ძვ. წ. IV საუკუნეში სინდები, ისევე როგორც ყუბანისპირეთის სხვა ტომები ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, ხოლო მათი მმართველები ბოსფორის სამეფო დინასტიას დაექვემდებარნენ.

ბოსფორის სამეფო, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადგილობრივ კავკასიელ ტომებთან, როგორც ვაჭრობით, ისე კულტურით, განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღწია ძვ. წ. IV-სა და ძვ. წ. III საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ შემდგომში დაიწყო მისი თანდათანობით დაცემა საბერძნეთის დასუსტებასა და სავაჭრო მნიშვნელობის დაკარგვასთან ერთად. ძვ. წ. I საუკუნეში ბოსფორის სამეფო რომის იმპერიის ვასალად გადაიქცა. ხოლო ჩვ. წ. IV საუკუნეში, ჰუნების შემოსევების შედეგად არსებობა შეწყვიტა.

ბოსფორის სამეფო უფრო ბერძნულ-ბარბაროსულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რადგან ადგილობრივი ტომები — მ ე ო ტ ე ბ ი, ს კ ვ ი თ ე ბ ი, ს ა რ მ ა ტ ე ბ ი, ა ლ ა ნ ე ბ ი მისი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ და კულტურის ჩამოყალიბებაშიც დიდ როლს ასრულებდნენ, ისევე, როგორც თვით ბოსფორის ბერძნები კულტურულ ზეგავლენას ახდენდნენ მათზე.

ძველმა ბერძენმა და რომაელმა ავტორებმა შემოგვინახეს მნიშვნელოვანი ცნობები ძვ. წ. VI – ახ. წ. III საუკუნეების ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ტომების შესახებ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ისინი მიუთითებენ დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტომების მოსახლეობის შესახებ, რომელთა ნაწილი – ს ი ნ დ ე ბ ი, ფ ს ე ს ე ბ ი, ფ ა ტ ე ბ ი, დ ო ს ხ ე ბ ი და ყუბანისპირეთის ზოგიერთი სხვა ტომი ცნობილი იყო „მ ე ო ტ ე ბ ი ს“ კრებითი სახელით. ამ ტომთა მცირე ნაწილი – ზ ი ქ ე ბ ი. ა ქ ე ე ბ ი. ტ ო რ ე ტ ე ბ ი, კ ე რ კ ე ტ ე ბ ი და სხვ; მათ მიერ ცალკე ხალხებად განიხილებოდა.

ყუბანისპირა დაბლობისა და დღევანდელი კრასნოდარის მხარის ზღვისპირა ტერიტორიების ტომების და ამ ადგილების გეოგრაფიული სახელები იმის მაჩვენებელია, რომ უმრავლესობა ამ მეოტური და არამეოტური ტომების ადიღეელთა, ე.ი. ყაბარდოელების, ჩერქეზებისა და ადიღეელების წინაპრები იყვნენ. იმავე ანტიკური ხანის ავტოროთა მონაცემებით ეს ტომები მეტყველებდნენ არა მარტო ადიღეურ, ან ორ-სამ აფხაზურ-ადიღეურ ენაზე, არამედ სხვადასხვა ენაზე. ამდენად, იმ დროის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისათვის, როგორც ჩანს, დამახასიათებელი იყო ისეთივე ენობრივი სიჭრელე. როგორც მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დაღესტნურ ტომებში დასტურდებოდა XIX საუკუნეში და დასტურდება დღესაც. ამასთანავე, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტომთა ენები ენათესავებოდნენ ერომანეთს. ყოველივე აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი ერის დასაწყისში ამ ტომების კონსოლიდაცია ჯერ კიდევ საწყის სტადიაზე იმყოფებოდა და ადიღე ხალხი ჯერაც არ იყო ჩამოყალიბებული.

იმავე ანტიკური ხანის ავტოროთა ცნობებით, კავკასიის მთიანეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობდა ასევე სხვადასხვა წვრილწვრილი ტომი, თუმცა, მათი ეს ცნობები ბევრად უფრო მწირია ჩრდილო-დასავლეთით მოსახლე ტომებზე არსებულ ცნობებთან შედარებით. ს ტ რ ა ბ ო ნ ი, პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს ი და პ ლ ი ნ ი უ ს უ ფ რ ო ს ი – ძვ. და ახ. წ. I საუკუნეების ავტორები იცნობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთით ლეგებს (ლაკებს, ანუ ლეკებს) და დიდურებს (დიდოელებს). ეს უკანასკნელები მათ მიერ დასახელებულია თუშების (თუსები) გვერდით, ე.ი. იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ დაახლოებით დღესაც.

ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში, მეოტების აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ სკვითების მონათესავე სარმატების ირანულენოვანი ტომები ს ი რ ა კ ე ბ ი, ა ო რ ს ე ბ ი და სხვ. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მათ შეუერთდნენ ვოლგის გადაღმიდან მოსული ა ლ ა ნ ე ბ ი. ენობრივად ისინიც ირანულენოვან ტომებს განეკუთვნებოდნენ და ამ თვალსაზრისით ენათესავებოდნენ სარმატებს და სკვითებს. ჩვ. წ. II-III საუკუნეებში ეს ალანები გადაიქცნენ ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალად ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში.

განხილული ტერიტორიების აბორიგენ მოსახლეობა — ნეიტური ტომები, კერკეტები, ტორეტები, აქეები, ლეგები, დიდურები და სხვ. ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ და უპირველესად სახვნელ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ.

უეჭველია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა ანტიკურ ეპოქაში განვითარების არათანაბარ დონეზე იმყოფებოდა. მაგალითად, სინდები, რომლებიც ბოსფორის სამეფოს ქალაქებთან ახლოს მოსახლეობდნენ, სოციალური განვითარებით უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე სხვა მეოტები და კიდევ უფრო მაღლაა, ვიდრე მომთაბარე სირაკები ან აორსები და, ცხადია, ალბერად უფრო მაღლა, ვიდრე კავკასიის მთიელი ტომები.

§ 1. ყაბარდოელები და ჩერქეზები

მოსახლეობენ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, მდინარეების: მალკას, ბაქსანის და თერგის გაყოლებაზე. ყაბარდოელთა დიდი ნაწილი XIX საუკუნის I ნახევარში გადასახლდა ყაბარდოდან მდინარე ყუბანის ზემო წელში და ისინი ამჟამად შეადგენენ ჩერქეზ ხალხს. ძირითადი მასა ჩერქეზებისა განსახლებულია მდინარეების — დიდი და პატარა ზელენჩუკის — გაყოლებაზე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში.

წარსულში ტერმინი „ჩ ე რ ქ ე ზ ი" გამოიყენებოდა ფართოდ მნიშვნელობით და აღნიშნავდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ყველა ადიღეს — ე.ი. თანამედროვე ადიღეელებს, ყაბარდოელებს და ჩერქეზებს. ყველა მათგანის თვითსახელწოდებაა ადიღე; ამასთანავე ყაბარდოელები თავიანთ თავს კ ე ბ ე რ დ ე ს ა ც უწოდებენ.

ჩრდილოეთ კავკასიელი ყველა ადიღე ხალხი — ყაბარდოელები, ჩერქეზები და ადიღეელები მჭიდროდ არიან დაკავშირებული საერთო წარმოშობით, ენათა სიახლოვით და ძირითად კულტურულ ელემენტთა ერთიანობით. მაგრამ განსაკუთრებით დიდია ეს სიახლოვე ყაბარდოელებსა და ჩერქეზებს შორის.

თავდაპირველად, XIII-XIV საუკუნეებში ყაბარდოელთა წინაპრები, რომლებიც ადიღე ტომების საერთო მასას გამოეყვნენ, ყუბანისპირეთიდან გადასახლდნენ მდინარე თერგის მარცხენა სანაპიროზე და შექმნეს ე.წ. დ ი დ ი ყ ა ბ ა რ დ ო. XV-XVI საუკუნეებში ყაბარდოელთა ნაწილი გადასახლდა აღმოსავლეთით, მდინარე თერგის მარცხენა ნაპირიდან მარჯანიაზე და ასე შეიქმნა ე.წ. მ ც ი რ ე ყ ა ბ ა რ დ ო.

ყაბარდოული, ანუ ყაბარდოულ-ჩერქეზული ენა ეკუთვნის კავკასიური ენების ადიღეურ-აფხაზურ შტოს. მას რამდენიმე დიალექტი ახასიათებს: ბ ა ქ ს ა ნ უ რ ი (დიდი ყაბარდოს დიალექტი), ბ ე ს ლ ა ნ უ რ ი, ყ უ ბ ა ნ უ რ ი და მთელი რიგი კილოკავებისა — მ ა ლ კ ი ნ უ რ ი, მ ც ი რ ე ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ ი, ბ ო ზ დ ო ყ უ რ ი. ყა-

ბარდოელებისა და ჩერქეზების თანამედროვე სალიტერატურო ენას საფუძ-ველად უდევს ბაქსანური დიალექტი.

§ 2. ადიღეელები

ადიღეელები, მონათესავე ყაბარდოელებთან და ჩერქეზებთან ერთად, რომ-ლებიც ასევე ადიღეს უწოდებენ თავიანთ თავს, ეკუთვნიან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ადიღეს ჯგუფს. მაგრამ სხვადასხვა ისტორიული მიზე-ზის გამო, ადიღეელები გამოიყენენ და ამჟამად ისინი ცალკე ხალხს შეად-გენენ. ადიღეს ტერიტორიაზე მლოდინება ყუბანი და მისი შენაკადი მდინა-რეები: ბელაია, ფშიში, ფსეკუპსი, აფინსი.

ადიღეელები, ისევე როგორც ყაბარდოელები და ჩერქეზები, არიან ჩრდი-ლო-დასავლეთ კავკასიის აბორიგენი მოსახლეობის — ადიღეელების შთამო-მავლები. ადიღეელთა ძირითად მასიდან ყაბარდოელების გამოყოფის შემ-დეგ, რომლებთანაც ისინი ერთად მოსახლეობდნენ მდ. ყუბანის აუზსა და შავი ზღვის სანაპიროზე, იქ დარჩნენ ნ ა ტ უ ხ ე ბ ი ს, შ ა ფ ს უ ლ ე ბ ი ს, ა ბ ა ძ ე ხ ე ბ ი ს, ბ ჟ ე დ უ ღ ე ბ ი ს, თ ე მ ი რ გ ო ე ლ ე ბ ი ს და სხვათა ტომები. შემდეგში სწორედ მათგან ჩამოყალიბდა ადიღე ხალხი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ადიღეელები ჯერ კიდევ დაყოფილნი იყვნენ პატარ-პატარა ტომებად: შავი ზღვის სანაპირო ყუბანის ქვემო დინე-ბიდან მდინარე ჯუბღამდე, ანუ ფშატამდე, ეკავათ ნატუხები; ყველაზე მრა-ვალრიცხოვანი ტომი სახლობდა შაპსუღების მდინარე შახეს, ანუ მცირე შაფსუღის, აღმოსავლეთით და კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე და ა.შ. კავკასიის ომის (XIX ს. II ნახევ.) შემდეგ, როდესაც რუსეთის ხელისუფლე-ბამ კავკასიის ხალხების დიდი ნაწილი ძალით დაიმორჩილა და შეიყვანა იმპერიის შემადგენლობაში, ადიღეელთა დიდი ნაწილი გადასახლდა თურქეთ-ში. ჩრდილო კავკასიაში დარჩენილმა ნაწილმა თავი მოიყარა მათი წინანდე-ლი განსახლების შედარებით მცირე ტერიტორიაზე — მდინარე ყუბანის შუა დინებასა და მდინარე ლაბის დაბლობში. ადიღეელთა მცირე ნაწილი დარჩა მთებში — შავიზღვისპირეთის რაიონებში, ტუაფსეს მიდამოებში.

ადიღეური ენა ეკუთვნის კაკასიური ენების ადიღურ-აფხაზურ შტოს და ყველაზე ახლოსაა ყაბარდოულთან. ერთიან ლიტერატურულ ადიღეურ ენასთან ერთად შემორჩენილია ცალკეული დიალექტები, რომლებიც წარსულში გა-ცილებით მეტი იყო. ამჟამად ძირითად დიალექტებს წარმოადგენენ შ ა ფ - ს უ ღ უ რ ი, ბ ჟ ე დ უ ღ უ რ ი, თ ე მ ი რ ღ ო უ ლ ი, ა ბ ა ზ ე ხ უ რ ი. გარდა ჩვეულებრივი სალაპარაკო ენისა, წარსულში გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა ჟარგონი. მაგ, სხვადასხვა შემთხვევა-

ში საჭიროების მიხედვით, ფეოდალურ-საგვარეულოთა წარჩინებული პირები ერთმანეთში საუბრობდნენ თავისებურ, მხოლოდ მათთვის გასაგებ ჟარგონზე. დღეს ადიღეურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ოკერიღოული დიალექტი.

§ 3. აბაზები

აბაზების რიცხვი 29.000 შეადგენს. ისინი მოსახლეობენ ძირითადად ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში. მათი თვითსახელწოდება ა ბ ა ზ ა, ასევე ეძახიან მათ თავიანთი მეზობელი სხვა ხალხები. აფხაზების გამოკლებით, რომლებიც მათ ა შ ვ ა ს სახელით მოიხსენიებენ. ისინი ცხოვრობენ 16 სოფელში, რომელთა სახელები ძველადვე თავადთა საგვარეულოების მიხედვით იყო შერქმეული. 1862-1864 წლებში აბაზების დიდი ნაწილი გადასახლდა თურქეთში, სადაც ისინი შეერივნენ აფხაზეთიდან და ადიღეადან გადმოსახლებულებს. აბაზებს, ანუ აბაზინებს, ისეთივე ტერიტორიები მდინარეების დიდი და მცირე ზელენჩუკის, ყუბანისა და ყუმის ზემო წელზე.

თანამედროვე აბაზები მემკვიდრეები და შთამომავლები არიან ჩრდილოეთ კავკასიის იმ სხვადასხვაენოვანი მოსახლეობისა, რომელნიც ცხოვრობდნენ შავიზღვისპირეთის სანაპიროზე თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილოდასავლეთ და ნაწილობრივ მის მომიჯნავე ადგილებში. XIV-XV სს. აბაზების წინაპრები მათი თავდაპირველი საცხოვრისიდან შავი ზღვის სანაპიროებზე, დაახლოებით ტუაფსესა და მდინარე ბზიფს შორის არსებული ტერიტორიიდან, გადასახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. XIX საუკუნის შუა ხანებამდე ისინი ორ მთავარ ტომობრივ ჯგუფად იყოფოდნენ: ტ ა პ ა ნ ტ ე ბ ი დ ა შ კ ა რ ა უ ა ე ბ ი, ხოლო თითოეული შედგებოდა წვრილ-წვრილი ტომებისაგან.

აბაზური ენა ეკუთვნის კავკასიური ენების აფხაზურ-ადიღეურ შტოს. იგი ახლოსაა აფხაზურთან, მაგრამ ამავე დროს შეიცავს ყაბარდოული ენის მრავალ ელემენტს. ფონეტიკური თვალსაზრისით იგი ერთ-ერთი ყველაზე რთული ენათაგანია, იგი იყოფა ორ დიალექტად: ტ ა პ ა ნ ტ ა დ ა შ კ ა რ ა უ ა.

§ 4. ყარაჩაელები

ყარაჩაელთა რიცხვი 140 ათასს აღწევს. მათი ძირითადი მასა ცხოვრობს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში; თავიანთ თავს ისინი ყარაჩაელებს უწოდებენ.

ყარაჩაელების ისტორია სუსტად არის შესწავლილი. არ არსებობს მეცენირებაში ერთიანი თვალსაზრისი მათი ეთნოგენეზის და ეთნიკური ისტორიის შესახებ. სხვადასხვა მოსაზრება მათ წარმოშობას უკავშირებს ჰ უ ნ ე ბ ს, ბ უ ლ გ ა რ ე ლ ე ბ ს, ხ ა ზ ა რ ე ბ ს, ყ ი ვ ჩ ა ყ ე ბ ს. აქედან ყველაზე დამაჯერებელი ჩანს, თითქოს მათი დაკავშირება ყივჩაყებთან, ძველი რუსული წყაროების პ ო ლ ო ვ ც ე ბ თ ა ნ. ყივჩაყების ენასა და წესჩვეულებებში დასტურდება რიგი მსგავსებებისა თანამედროვე ყარაჩაელებთან და ბალყარელებთან. არ არის გამორიცხული, რომ ყარაჩაელების ეთნოგენეზში მონაწილეობა მიეღოს სხვა ზემოთ დასახელებულ თურქულენოვან ტომებსაც. როგორც ჩანს, ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიუღია ალანურ ელემენტსაც, რადგან ყარაჩაელები და ბალყარელები ყალიბდებოდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მონგოლთა შემოსევებამდე ალანებს ეკავათ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მეგრელები ყარაჩაელებს ალანებს უწოდებენ.

§ 5. ბალყარელები

ბალყარელების რაოდენობა 69 ათასს შეადგენს. მათი თვითსახელწოდებაა თ ა უ ლ უ (ე.ი. მთიელები). ისინი მოსახლეობენ კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ ფერდობებზე — ბაქსანის, ჩეგემის, ჩერეკის, ხულამო-ბეზენგის ხეობებში და ასევე ყაბარდო-ბალყარეთის ზოგიერთ ადგილას.

ბალყარელების ისტორიული თავგადასავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ მონათესავე ყარაჩაელებთან. წარსულში ისინი ერთიან, ყარაჩაელ-ბალყარელ ხალხს შეადგენდნენ. პირველი წერილობითი ცნობა ბალყარელების შესახებ მოიპოვება ქართულ ენაზე, XIV-XV საუკუნეებით დათარიღებულ ერთ ძველდრულ წარწერაში საწინამძღვრო ოქროს ჯვრის ზურგზე. ჯვარი დაცული ყოფილა ცხავატის ღვთისმშობლის ეკლესიაში, სადაც იგი XX საუკუნის დამდეგს (1915 წლამდე) აღუწერია ე. თაყაიშვილს. ბალყარეთის ამ წარწერაში ბასიანი ეწოდებოდა. მისი მრავალმხრივ საინტერესო ტექსტი ასეთია: „ქ. მაცხოვარი ცხავატისა. ქვენიფენველს, რიზია ერისთავს შემეწირავს ორი საკომლო მამული ზენუბანს, მამული მთითა და ბარითა, ცხავატის ყოვლად წმიდისათვის. ბასიანში დავტყვევდი და შენის საქონლით თავი დავიხსენ, არა მებატონემ არ მოშალოს“ (ИКОИМАО, 1915, с. 106).

როგორც ტექსტიდან ჩანს, ქვენიფენველი მებატონე რიზია ერისთავი ბასიანში, ანუ ბალყარეთში, ტყვედ ჩავარდნილა და თავი დაუხსნია ცხავატის ღვთისმშობლის ტაძრისათვის შეწირული საქონლით, როგორც ჩანს, ოქრო-ვერცხლით და ფულით. ამის სანაცვლოდ, ტყვეობიდან თავის დახს-

ნის შემდეგ, მას ამავე ეკლესიისათვის შეუწირავს ორი საკომლო ბინული სოფელ ზენუბანს.

წარწერის მიხედვით, ისიც ჩანს, რომ ბალყარელები იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ამჟამად სახლობენ, XIV საუკუნიდან მაინც იყვნენ.

ბალყარული (ანუ ყარაჩაულ-ბალყარული) ენა განეკუთვნება თურქული ენების ყივჩაღურ ჯგუფს. დამწერლობა ამ ენაზე შეიქმნა მხოლოდ 1924 წელს (შუა საუკუნეებში აქ, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო ქართული დამწერლობა და ქრისტიანული რელიგია, დანერგილი ქართული ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს მიერ), თავდაპირველად ლათინური, ხოლო შემდეგ რუსული დამწერლობის საფუძველზე. ბალყარულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ბ ა კ ი ნ ა ნ - ჩ ე გ ე მ ი ს დიალექტი

§ 6. ოსები

ოსების რიცხვი 1979 წლის აღწერილობით 570 ათასს შეადგენდა; აქედან 162 ათასამდე ცხოვრობდ საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 65 ათასი. ამჟამად აქ მათი რაოდენობა ამაზე ნაკლებია (მათი ერთი ნაწილი, აქ მიმდინარე ეთნიკურ-ფოლიტიკური პროცესების შედეგად, საქართველოს ხელისუფლების მიერ ავტონომიური ოლქის გაუქმების შემდეგ, გადასახლდა თავის სამშობლოში — კავკასიის გადაღმა ოსეთში).

ოსები მოსახლეობენ კავკასიის ცენტრალური ნაწილი ჩრდილო კალოებზე. გვიანი შუა საუკუნეებიდან მათი ნაწილი, ჩრდილოეთით მოსახლე სხვადასხვა ხალხის დაწოლის შედეგად, დასახლდა სამხრეთ ფერდობებზეც, საქართველოს ტერიტორიაზე. ოსების თვითსახელწოდებაა ი რ ო ნ ი, ხოლო თავიანთ ქვეყანას ისინი ი რ ი ს ტ ო ნ ს ან ი რ-ს ეძახიან. ამასთანავე, დიგორის ხეობაში მოსახლე ოსები თავიანთ თავს დ ი გ ო რ ო ნ ს უწოდებენ. ამ თვითსახელწოდებაში აისახა ოსი ხალხის ადრეული ტომობრივი დანაწილება.

ოსების, როგორც ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხის წარმოშობის, მათი ეთნოგენეზის და ეთნიკური ისტორიის საკითხს, მეცნიერებაში ადრევე მიექცა ყურადღება. აქის გამო იგი ერთ-ერთი ყველაზე კარგად გამოკვლეული საკითხია ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგენეტურ საკითხებთან შედარებით.

მეცნიერებმა ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში შეიმუშავეს გარკვეული თვალსაზრისი ოსების წარმოშობისა და ეთნიკური ფორმირების შესახებ. მათი უმრავლესობა ოსების ირანული წარმოშობის თვალსაზრისის მომხრეა. პირველად ეს თეორია წამოაყენა ი. კ ლ ა პ რ ო თ ი ა. მას მხარი დაუჭირა ა. შ ე გ რ ე ნ მ ა, ხოლო თანმიმდევრული და ღრმა-

ჯერებელი დასაბუთება ამ თეორიამ მოიპოვა ვ.ს. მილერის შრომებში. ვ. ს. მ ი ლ ე რ ი თვლიდა, რომ ოსები ეთნოგენეტიკურად დაკავშირებული არიან სკვითებთან, სარმატებთან და განსაკუთრებით ალანებთან, რომლებიც ირანულ ენათა ჯგუფს ეკუთვნიან. ამ თეორიის შემდგომი გაღრმავებისა და დამუშავების შედეგად. ამჟამად მიჩნეულია, რომ თანამედროვე ოსების წინაპრებად უნდა ჩაითვალოს ალანების ის ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა ჩრდილოთ კავკასიის ცენტრალურ რაიონებში, შეერწყა ძველ ადგილობრივ მოსახლეობას და გადასცა მას თავისი ენა.

შემონახულია ალან-ოსური მეტყველების შედარებით ადრინდელი წერილობითი ძეგლები. ერთი მათგანია ე.წ. ზელენჩუკის XI საუკუნის წარწერა, ქრისტიანული წერილობითი ძეგლი ჯვრის გამოსახულებით. იგი შესრულებულია ოსურ ენაზე ბერძნული ასოებით.

XIII საუკუნეში მონგოლთა შემოსევების და შემდგომში მონგოლ-თათართა გამუდმებული თავდასხმებისა და ლაშყრობების შედეგად, მთლიანად მოიშალა ოსეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის კვალი, რომელიც აქ საქართველოს მეირ იყო დანერგილი; შეიკვეცა, აგრეთვე, მათი ნაყოფიერი მიწები კავკასიის დაბლობში და ისინი კავკასიის ქედის სიღრმეებში გადასახლდნენ, რომელთა ნაწილმაც ამიერკავკასიაშიც ჩამოაღწია.

ოსურ ენას მიაკუთვნებენ ენათა ინდოევროპული ოჯახის ირანულ შტოს, უფრო ზუსტად — ირანული ენების ჩრდილო-აღმოსავლურ ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე, ხორეზმული, სოღდური და საკასური ენები, ასევე სკვითებისა და სარმატების ენები. ოსურ ენაზე მის ლექსიკაზე, თანხმოვანი ბგერების სისტემაზე გარკვეული გავლენა მოუხდენია კავკასიურ, მათ შორის ქართველურ ენებს, საუკუნეთა განმავლობაში მათთან ურთიერთობის შედეგად. თანამედროვე ოსური ენა იყოფა ორ მთავარ დიალექტად: ი რ ო ნ ი ს (აღმოსავლეთის) და დ ი გ ო რ ი (დასავლეთის), ენათმეცნიერები თვლიან, რომ დიგორის დიალექტი უფრო არქაულია. ოსურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ირონის დიალექტი, რომელზეც მეტყველებს ოსების აბსოლუტური უმრავლესობა.

§ 7. ჩეჩნები

ჩეჩნები ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია. მათი რიცხვი 90-იანი წლების დასაწყისში 900 ათასიდან 1 მილიონამდე აღწევდა. მათი უმრავლესობა ცხოვრობს თანამედროვე ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, ხოლო ნაწილი დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ხასავიურტის რაიონში. ჩეჩნები თავიანთ თავს ეძახიან ნ ო ხ ჩ ო ს, ხოლო

თავიანთ რესპუბლიკას ი ჩ ქ ე რ ი ა ს, მთიანი ჩეჩნეთის ცენტრალურ ნაწილში მოსახლე იჩკერიელთა სახელის მიხედვით.

ჩეჩნების ეთნოგენეზი მთლიანად გარკვეული არაა. არქეოლოგიური და ტოპონიმიკური მასალის, აგრეთვე შუა საუკუნეების ავტორთა ცნობებით, ჩეჩნები ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენი მოსახლეობაა. იმასვე უჭერს მხარს მრავალი ხალხური თქმულება. ჩეჩნები ნ ა ხ ჩ ა მ ა ტ ი ა ს სახელწოდებით იხსენიებიან ჯერ კიდევ VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიულ ოხზულება „არშხარაცუიც“.

XVI საუკუნეებამდე, ჩეჩნები, ძირითადად მთებში ცხოვრობდნენ და იყოფოდნენ ცალკეულ ტერიტორიულ ჯგუფებად, რომელთა სახელებიც იმ მთებისა და მდინარეების სახელების წარმოსდგებოდა, სადაც ან რომელთა ნაპირებზეც ისინი იყვნენ განსახლებულნი. ასე მაგ; მდინარე მიჩიკის ორივე ნაპირზე მოსახლეობდნენ მ ი ჩ ი კ ე ლ ე ბ ი, მდინარეების იარიფსუს და აკშატის ნაპირებზე ა უ ხ ე ბ ი, ხოლო მთიანი ჩეჩნეთის ცენტრალურ ზოლში ი ჩ ქ ე რ ი ე ლ ე ბ ი და ა.შ. ხალხური გადმოცემების მიხედვით, პირველი ჩეჩნური დასახლებანი დაბლობ ადგილებში გაჩნდა დაახლოებით XIV საუკუნის დასასრულიდან და ისინი ჩამოსახლდნენ აკეტის მთებიდან. ასევე ხდებოდა შემდგომში სხვადასხვა საგვარეულოს გადმოსახლება და თერგისპირა დაბლობი ადგილების ათვისება. 1587 წელს აქ მოვლენილი რუსი ელჩები აღნიშნავდნენ მდინარე სუნჯისა და თერგის მიდამოებში ჩეჩენთა მრავალრიცხოვანი დასახლებების შესახებ. ასევე, 1760 წელს ამ ადგილებში დაარსდა ჩეჩნური დასახლება სტარიი-იურტი და ა.შ. ამის პარალელურად და თითქმის თანადროულად, ამ ადგილებში სახლდებოდნენ კაზაკები.

კავკასიის დაპყრობის შემდეგ რუსეთმა ჩეჩნეთი ჩართო თერგის ადმინისტრაციულ ოლქში. 1922 წელს მათ მიიღეს ავტონომია და ცალკე გამოიყვნენ თერგის რესპუბლიკაში. 1934 წელს ჩეჩნები და ინგუშები შეაერთეს ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიურ ოლქად. ისინი საბოლოოდ გაიყვნენ 90-იან წლებში.

ჩეჩნური ენა ეკუთვნის კავკასიური ენების ვ ე ი ნ ა ხ უ რ ჯგუფს, რომელშიც შედის აგრეთვე, ი ნ გ უ შ უ რ ი და ბ ა ც ბ უ რ ი ენები. ჩეჩნურის ძირითადი დიალექტებია: მთისა და ბარის. ჩეჩნურ ლიტერატურულ ენას საფუძვლად ბარის დიალექტი უდევს.

§ 8. ინგუშები

ინგუშების რაოდენობა 200 ათასს აღწევს. ისინი ცხოვრობენ კავკასიის ქედის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ ფერდობებზე, აგრეთვე ბარში მდინარე სუნჯას მიდამოებში.

ინგუშები, მათთან ახლო ნათესაობაში მყოფ ჩეჩნებთან ერთად კავკასიის ძირეულ მოსახლეობას წარმოადგენენ. ირკვევა, რომ ინგუშების უძველესი

დასახლებები კავკასიის მთებში მდებარეობდა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ცალკეულ საგვარეულო-ტომობრივ ჯგუფებად. კერძოდ, ასეთ საზოგადოებებს წარმოადგენენ: ჯ ე ი რ ა ხ ი ს, ფეპის ანუ ქ ი ს ტ ე ბ ი ს, ღ ა ლ ღ ი ს, ც ო რ ი ს, მ ე ც ხ ა ლ ი ს. XVI-XVII საუკუნეებში ამ ჯგუფებმა ბარში დაიწყეს ჩამოსახლება. ერთ-ერთი პირველი ასეთი დასახლება იყო სოფელი ა ნ გ უ შ ი ანუ ი ნ გ უ შ ი, რომელიც თარის ველზე მდებარეობდა დღევანდელ ს. თარსკოეს ადგილას. ამ ინგუშიდან მოდის მთელი ხალხის სახელწოდებაც, რომელიც პირველად დაფიქსირდა ყაბარდოელებთან XVIII საუკუნეში. აქედან გავრცელდა მათი სახელი სხვა ხალხებშიც.

შუა საუკუნეებში ინგუშები ქრისტიანული კულტურის ხალხი იყო. აქ, მათ მეზობელ ჩეჩნეთში და აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებში ქრისტიანობა საქართველოს გზით გავრცელდა. XII-XIII საუკუნეებში ეს ქვეყნები, იქ დასახლებული ხალხები, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ეს გავლენა მარტო კულტურის სფეროზე არ ვრცელდებოდა. ინგუშებისა და სხვა მათი მეზობელი ჩრდილოკავკასიელი ხალხების ტერიტორიები მოფენილია ქართული ეკლესიებით და კულტურის სხვა ძეგლებით.

ინგუშური ენა განეკუთვნება კავკასიური ენების ნახურ (ვეინახურ) შტოს. იგი განსაკუთრებით ახლოსაა ჩეჩნურთან. ამ ენებზე მოსაუბრეებს ერთმანეთის ესმით.

§ 9. ნოღაელები

ნოღაელების რაოდენობა შეადგენს 65 ათასს. მათი ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ნოღაის სტეპში დაღესტნისა და სტავროპოლის მხარის მეზობელ ტერიტორიებზე. ამასთანავე, მათი ერთი ნაწილი (10.000 კაცი) მოსახლეობს ყარაჩაი-ჩერქეზეთში, აგრეთვე მცირე ჯგუფები თურქეთსა და რუმინეთში.

მათი თვითსახელწოდება ნ ო ღ ა ი დაკავშირებულია ოქროს ურდოს (ერთ-ერთი ტემნიკის, ე.ი. ათი ათასისთავის, ანუ დუმან-ნოინის) ვინმე ნოღასთან, რომელიც XIII საუკუნეში ცხოვრობდა. თვითონ იგი ჩინგიზ-ხანის შვილის ჯუჩის გვარიდან იყო. ნოღაელთა წინაპრები არიან მონღოლი ტომები – მ ა ნ გ ი ტ ე ბ ი და სხვები, რომლებიც ნოღას მიერ შექმნილი ულუს (მონღოლური ადმინისტრაციული ერთეულის) შემადგენლობაში შედიოდნენ და შემდეგ შეერივნენ თურქულენოვან ყივჩაყებს (პოლოვცებს), რომელთა ენაც მიიღეს.

უკვე XIV საუკუნეში ნოღაის ურდოს მრავალრიცხოვანი ტომები მომთაბარეობდნენ მდინარე ვოლგის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროების მიმართულებით, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებზე. ოქროს ურ-

დოსაგან გამოყოფილი ეს ნოღაის ურდო XVI საუკუნისათვის დაშალა დიდ და მცირე ურდოებად; ისინი თავის მხრივ, კიდევ უფრო პატარა ნაწილებად დაიყვნენ.

XVII საუკუნეში ციმბირიდან ვოლგისპირეთში შემოჭრილი ყალმუხების დაწოლის შედეგად დიდი ურდოს ნოღაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მომთაბარეობისათვის გადაინაცვლა დასავლეთით და სამხრეთით; ხოლო XVII-XVIII საუკუნეებში ნოღაელები თავიანთი უზარმაზარი ჯოგებით მოთაბარეობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, თვით მდინარე პრუტამდე.

1859-1860 წლებში კავკასიის ომთან და რუსეთის იმპერიის მიერ ნოღაელთა ტერიტორიების დაპყრობასა და შემოერთებასთან დაკავშირებით, ნოღაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდა თურქეთში.

ნოღაელთა ენა განეკუთვნება თურქული ენების ჩრდილო-დასავლეთის ჯგუფის (ანუ ყივჩაყური) ყივჩაყურ-ნოღაურ ქვეჯგუფს. იგი შედგება სამი დიალექტისაგან — ყ ა რ ა ნ ო ღ ა უ რ ი, ა ხ ი კ უ ლ ა კ უ რ ი და ყ უ ბ ა ნ უ რ ი (აყნოყაური). ამ ენების მიხედვითვე გამოიყოფა ნოღაელთა ძირითადი თანამედროვე ეთნოგრაფიული ჯგუფები.

5. დაღესტნის ხალხები

დაღესტნის ხალხები მოსახლეობენ კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, კავკასიის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის მთებსა და ხეობებში, ხოლო ერთი ნაწილი კავკასიის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთის უკიდურესი ნაწილის სამხრეთში. დაღესტნის ერთ-ერთ განსაცვიფრებელ თავისებურებას შეადგენს მისი ეთნიკური და, აქედან გამომდინარე, ენობრივი სიჭრელე და დაქუცმაცებულობა. დაღესტანში მოითვლიან 30-მდე ხალხსა და ეთნიკურ ჯგუფს საკუთარი, განსხვავებული ენით და 70-ზე მეტ დიალექტს. დაღესტნის ძირეული მოსახლეობა ენობრივი თვალსაზრისით ეკუთვნის კავკასიურ და ნაწილობრივ თურქულენოვან და ირანულენოვან ხალხს. ამის შესაბამისად დაღესტნის ხალხები იყოფიან დაღესტნური ჯგუფის და თურქული ჯგუფის ხალხებად.

ყველა მათგანის ეთნოგენეზი, წარმომავლობა და თუნდაც ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხებიც კი არ არის ცნობილი და შესწავლილი. მაგრამ ზოგიერთი მათგანის შესახებ მეცნიერებაში გარკვეული მოსაზრებები მაინც არსებობს.

ყ უ მ უ ხ ე ბ ი შედარებით კომპაქტურად ცხოვრობენ დაღესტნის შვიდ რაიონში. 1979 წლის აღწერილობით მათი რაოდენობა 255 ათასს შეადგენდა. ყუმუხი ხალხის ჩამოყალიბება დაწყებულია ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში. ამ ხალხის ეთნოგენეზში მთავარი როლი შეასრულე-

ბია დაღესტნის ზეგანის აბორიგენ მოსახლეობას. ამასთანავე, ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიუღიათ მოსულ თურქულენოვან ყივჩაყებს, რომელთა ენაც მიუღიათ ყუმუხებს. ამ მოსაზრების დასადასტურებლად, ჩვეულებრივ, ეყრდნობიან ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მონაცემებს.

ა ვ ა რ ე ბ ი დაღესტნის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია. ისინი 540 ათას კაცს შეადგენენ. ძირითადად, ისინი დაღესტნის მთებში მოსახლეობენ. ავარების წარმომავლობის საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მათი წინაპრების თანამედროვე ტერიტორიაზე განსახლების შესახებ პირველი წერილობითი ცნობები ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისს განეკუთვნება, კერძოდ, რომაელ ისტორიკოსს პ ლ ი ნ ი უ ს უ ფ რ ო ს ს (ძვ. წ. II ს.) თავის თხზულებაში მოხსენიებული ჰყავს დ ი დ უ რ ე ბ ი ს, ანუ დ ი დ ო ე ლ თ ა ტომი, ხოლო პ ტ ო ლ ე მ ა ი ო ს ს (ჩვ. წ. II ს.) სავირები, ანუ შემდგომი დროის ს ა ვ ა რ ე ბ ი. ამ სახელს უკავშირებენ ავარების თანამედროვე სახელწოდებას. აკად. ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი ს და ზოგიერთი სხვა მეცნიერის თვალსაზრისით, IX-X საუკუნეების არაბ ავტორებთან მოხსენიებული „სერირის სამეფო" თანამედროვე ავარების ტერიტორიაზე უნდა არსებულიყო, რადგან სწორედ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მოგვიანო ხანებში შედარებით მსხვილი ფეოდალური გაერთიანება ავარიის სახანო, რომლის ადმინისტრაციული ცენტრები იყო ჯერ ტ ა ნ უ ს ი, ხოლო შემდეგ — ხ უ ნ ძ ა ხ ი. XIX საუკუნის დასაწყისში ავარიის სახანო და მის შემადგენლობაში შემავალი ე.წ. „თავისუფალი საზოგადოებები" შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

დ ა რ ღ ე ლ ე ბ ი რიცხობრივად დაღესტნის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა. მათი რაოდენობა 320 ათასია. ისინი დაღესტნის სამხრეთ ნაწილის მთებში არიან განსახლებულნი. მათ სოფლებს შორის ყველაზე ცნობილია და სახელგანთქმული ყ უ ბ ა ჩ ი. არაბი ავტორები მათ აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს „ზ ი რ ე ხ გ ე რ ა ნ", რაც სიტყვასიტყვით „მეაბჯრეს" ნიშნავს და კარგად გამოხატავს ყუბაჩელთა იმთავითვე ცნობილი საქმიანობას — მჭედლობასა და ოქრომჭედლობას. დაღესტნის ხალხების უმეტესი ნაწილის მსგავსად, დარღელებიც აბორიგენ მოსახლეობას განეკუთვნებიან. ყველაზე ადრეული წერილობითი ცნობები მათ შესახებ ჩვ. წ. IX საუკუნიდან მოიპოვება. ესაა არაბი ავტორების თხზულებებსა და ცნობილ „დერბენტ-ნამე"-ში წარმოდგენილი მასალა დარღელების შესახებ. 1820 წლიდან დაღესტნის რუსეთთან საბოლოო შეერთების შემდეგ დარღელებიც იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ.

ლ ა კ ე ბ ი ს რაოდენობა 110 ათასს შეადგენს. ადრე ისინი ცნობილნი იყვნენ ყ ა ზ ი ყ უ მ უ ხ ე ბ ი ს სახელწოდებით. მათი ძირითადი მასა ცხოვრობს ს. ყუმუხის გარშემო არსებულ დასახლებებში. ლაკები და-

ღესტნის ძირეულ მოსახლეობას განეკუთვნებიან. ამჟამად ძნელია იმის გარკვევა „ლაკები“ ის „ლეგები“ არიან თუ არა, რომლებიც მოხსენიებული არიან ანტიკური ხანის ავტორებთან. ითვლება, რომ მეტია საფუძველი, ლაკებად მივიჩნიოთ ის „გუმიხები“ (ყუმიხები), რომლებიც IX-X საუკუნეების არაბ ავტორებთან — ბალაძორთან და მასუდთან არიან დასახელებულნი. მათი ცნობით, გუმიხები (ყუმიხები) ცხოვრობდნენ დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, რომელიც შემდეგში და ამჟამადაც ლაკების უჭირავთ. 1820 წლიდან ლაკები შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მათი ენა განეკუთვნება კავკასიური ენების დაღესტნურ შტოს და იყოფა ხუთ დიალექტად.

ლ ე კ ე ბ ი დაღესტნის ასევე მრავალრიცხოვანი მოსახლეობაა. მათი რაოდენობა 430 ათასს შეადგენს. ისინი კომპაქტურად მოსახლეობენ დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე აზერბაიჯანის ჩრდილოეთის მეზობელ ტერიტორიაზე. მათ მიერ დასახლებული ადგილები იყოფა მოისწინა და მთიან ტერიტორიებად. ისინი დაღესტნის ერთ-ერთ ყველაზე ძირეულ, მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ. უძველეს ცნობებს მათ შესახებ ვპოულობთ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორებთან, რომლებიც მოიხსენიებენ აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრებ „ლეგებს“. IX-X საუკუნეების არაბ ავტორებთან დასახელებულია „ლაკების სამეფო“, მიჩნეული მეცნიერთა მიერ ასევე ლეკების სამეფოდ. კუფური (კუთხოვანი ფრაბული ანბანით ნაწერი) წარწერების აღმოჩენა ლეკების სოფლებში, რომლებიც IX-X საუკუნეებით თარიღდება, არაბულ-მუსლიმურ სამყაროსთან მათი ადრეული პოლიტიკური და კულტურული კავშირების მაჩვენებელია. როგორც ჩანს, ლეკების სოფლების დიდი ნაწილი წარმოიქმნა XIV საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე. XVIII საუკუნეში ლეკების ტერიტორია მიიტაცა მეზობელმა ყაზიმუხების სახანომ. 1812 წელს, როდესაც იგი შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, მასში მოჰყვა ლეკებით დასახლებული ტერიტორიაც.

თ ა ბ ა ს ა რ ა ნ ე ლ ე ბ ი. მათი რაოდენობა 85 ათასს შეადგენს. ისინი მოსახლეობენ სამხრეთ-აღმოსავლეთ დაღესტანში — ხივისა და თაბასარანის რაიონებში. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში თაბასარანი შედგებოდა ორი ფეოდალური სამფლობელოსაგან. XIX ს-ის I ნახევარში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ეს სამფლობელოები გაუქმდა, მაგრამ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა აქ კიდევ დიდხანს შემორჩა და ბატონყმობა მხოლოდ 1913 წელს მოისპო.

XIX-XX საუკუნეთა ავტორების, განსაკუთრებით, ცნობილი კავკასიოლოგის ა. დ ი რ ი ს შრომების მიხედვით, თაბასარანელები დაღესტანში გადმოსახლებული მონგოლური წარმოშობის ხალხია. გარდა ამისა, მათ წინაპრებად ხან სომხებს, ხან ებრაელებს და ხანაც სპარსელებს მიიჩნევენ. თანამედროვე დაღესტნის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ, მათი ჩამოყალი-

ბება მომხდარა დაახლოებით იმ ტერიტორიაზე, სადაც დღესაც მოსახლეობენ. ამის საბუთად მიიჩნევენ ისტორიულ წყაროებს, ენობრივი თუ მატერიალური და სულიერი კულტურის სხვადასხვა მონაცემს. VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაშიც“: („აშხარაცუიც“) თაბასარანელები „თავასპარეების“ სახელწოდებით ცალკე ტომადაა მოხსენიებული დაღესტნის ხალხებს შორის. თაბასარანელების არსებობა ცნობილი ყოფილა IX-XII საუკუნეებში არაბი ისტორიკოსებისათვისაც. მათი ენა განეკუთვნება დაღესტნური ენების ლეკურ ჯგუფს.

რ უ თ უ ლ ე ბ ი სამხრეთ დაღესტნის მოსახლეობაა; ცხოვრობენ ისინი მდინარე სამურის ზემო წელში. რაოდენობით დაღესტნის ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხია — 17 ათას კაცამდე.

როგორც ჩანს, მათი ჩამოყალიბება მოხდა მდინარე სამურის ხეობის იმ ადგილებში, სადაც ისინი დღესაც მოსახლეობენ, თუმცა რუთულების სოფლების სამხრეთ დაღესტნის და ჩრდილო აზერბაიჯანის სხვა რაიონებშიც არსებობენ. ბევრი თანამედროვე რუთულური სოფელი ძველი წარმოშობისაა. ამაზე მეტყველებს ამ სოფლებში არსებული XI-XIII საუკუნეების კუფური წარწერები. კერძოდ, ისინი აღმოჩენილია სოფლებში: ი ხ რ ე კ ი, მ ი ხ რ ე კ ი, ა მ ს ა რ ი დ ა ლ უ ჩ ე კ ი; ხოლო ს. შინაზის შესახებ მოიპოვება 1275 წლის ცნობა, რომლის მიხედვითაც იგი მსხვილი დასახლებული პუნქტი ყოფილა, სადაც მისდევდნენ იარაღის (ხმლების, ხანჯლების, დანების) დამზადებას. XIX საუკუნის დასაწყისში რუთულელთა მახლობელ ტერიტორიაზე დამყარდა რუსეთის ხელისუფლება. 1839 წელს მოხდა რუთულელების საბოლოო შეერთება რუსეთთან.

წ ა ხ უ რ ე ბ ი მცირერიცხოვანი ხალხია; ისინი ცხოვრობენ სამხრეთ დაღესტანში მდინარე სამურის ზემო წელზე, რუთულების მეზობლად. დაღესტანში ცხოვრობს სულ 4,6 ათასი წახური და 8,5 ათასიც — აზერბაიჯანში. მაგრამ აზერბაიჯანელმა წახურებმა მათი ძლიერი ყოფითი და კულტურული გავლენა განიცადეს და ამ მხრივ მათგან დიდად არ განსხვავდებიან.

პირველი წერილობითი ცნობები წახურების შესახებ გვხვდება ძველ სომხურ და ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში, სადაც ისინი „ჭაქების“ სახელით მოიხსენიებიან. VII-VIII საუკუნეებში მათ ტერიტორიაზე შეიჭრნენ არაბები, რომლებმაც მათ და ლეკებს მიაღებინეს ისლამი. XV საუკუნიდან წახურების მეთაური იყო მმართველი — ე.წ. „წახურების სულთანი“. მისი რეზიდენცია თავდაპირველად სოფელ წ ა ხ უ რ შ ი მდებარეობდა, მაგრამ XVII საუკუნეში იგი გადაიტანეს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, სოფელ ე ლ ი ს უ შ ი. ამ დროიდან ისინი მჭიდროდ დაუკავშირდნენ აზერბაიჯანელებს — მიიღეს მათი ენა, ტანსაცმელი, არქიტექტურის ელემენტები, ფოლკლორიც კი. 1803 წელს წახურები რუსეთის მმართველობის ქვეშ მოექცნენ. ელისუს სასულთნოს ტერიტორიული დამოუკიდებლობაც

კი მიენიჭა, მაგრამ 1844 წელს ელისუს სულთანი დ ა ნ ი ე ლ - ბ ე გ ი შამილს მიემხრო და მისი სასულთნო რუსებმა გააუქმეს, ხოლო 1852 წელს, იმის შიშით, რომ წახურები შამილის მხარეს არ გადასულიყვნენ. რუსებმა ისინი აზერბაიჯანში გადაასახლეს. 1860 წელს დაღესტნის ტერიტორიების რუსეთის იმპერიის მიერ საბოლოო შემოერთების შემდეგ, წახურებს თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ნება დართეს. წახურების ენა ეკუთვნის კავკასიური ენების ლეკურ ჯგუფს. დაღესტნელი წახურებისათვის სალიტერატურო ენა რუსულია, ხოლო აზერბაიჯანელი წახურებისათვის — აზერბაიჯანული.

მ თ ი ს ე ბ რ ა ე ლ ე ბ ი ს უმეტესი ნაწილი, 15 ათასი კაცი, ამჟამად მოსახლეობს დაღესტანში, ხოლო 10 ათასამდე კაცი აზერბაიჯანში. ადრე ისინი დაღესტნის მთებში ცხოვრობდნენ, საიდანაც მიიღეს თავიანთი სახელწოდება. მთის ებრაელები მეტყველებენ თათების ენაზე, რომელიც ახალსპარსულის განსაკუთრებულ კილოკავს შეადგენს ამიტომ ისინი ცნობილი არიან, აგრეთვე, როგორც მთის ებრაელების, ი ს ე ო ა ო ე ბ ი ს სახელოწდებით. ამავე დროს, თათების სახელით ცნობილია აზერბაიჯანის სხვადასხვა მოსახლეობაც, რომლებიც იმავე ენაზე მეტყველებენ. მაგრამ წარმოშობით, წარსულში რელიგიითაც სხვა ხალხებს წარმოადგენენ; კერძოდ, მთის ებრაელები ი უ დ ა ი ს ტ ე ბ ი არიან, ხოლო საკუთრივ თათები ი ს ლ ა მ ს აღიარებენ.

მთის ებრაელები კავკასიის უძველესი მოსახლეობის ჯგუფში შედიან. მათი წინაპრები ჯერ კიდევ უძველეს დროს მოსახლეობდნენ საშუალო აზერბაიჯანის, ანუ ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე — მიდია-ატროპატენაში, სადაც აითვისეს თათური ენა იუდაისტური რელიგიის შენარჩუნებით. ჩვ. წ. V-VI საუკუნეებში, როდესაც ისინი უკვე შერეულები იყვნენ სხვა ხალხებს, მთის ებრაელები, ანუ თათები, გადასახლდნენ კასპიისპირა დაბლობებში. შემდეგში მათი ჩამოყალიბება თანდათან ძირძირობდა დაღესტნის მთებში. XIX საუკუნეში ისინი დაღესტნის სხვა ხალხებთან ერთად შეიერთა რუსეთის იმპერიამ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბდუშელიშვილი მ. ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური გენეზისი „ინაობი“, №7, 1969.

2. აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო აკაკი ურუშაძემ. თბ; 1970.

3. ბარდაველიძე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ; 1974, ტ. II, ხევსურეთი, თბ; 1980, თუშეთი, ტ. II, თბ, 1985.

4. ბარდაველიძე ვ. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ; 1953.

5. გეგეშიძე მ. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ; 1978.

6. ეთნოლოგიის ქრესტომათია, შემდგენელი ს. ჭანტურიშვილი, თბ; 1998.

7. ეთნოგრაფია (სახელმძღვანელო), ქართული გამოცემის რედაქტორი ვ. შაბილაძე, თბ; 1991.

8. ენგელსი ფრ. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. თბ; 1966.

9. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები (კრებული), თბ; 1966.

10. კარპინი პლანო, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ; 1942.

11. კოსვენი მ. პირველყოფილი კულტურის ისტორიის საკითხები, თბ; 1971.

12. მიქელაძე თ. ქსენოფონტის „ანაბაზისი“, თბ; 1967.

13. ჟორდანია გ. კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ; 1951.

14. საქართველოს ეთნოგრაფია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავზე, კრ. „ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძირითადი მიღწევები“, თბ; 1978.

15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ; 1980.

16. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევით და კომენტარებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ. თბ; 1973.

17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თ. I-II (შესაბამისი სტატიები).

18. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ; 1959, ტ. IV, თბ; 1973.

19. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. I-IV, თბ; 1961-1963.

20. ყაუხჩიშვილი თ. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ; 1965.

21. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ; 1957.

22. ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. წ. I, თბ, 1967; II, თბ; 1967, წ. III, თბ; 1967; წ. IV, 1980; წ. V. თბ: 1983.

23. ჩაჩაშვილი გ. მსოფლიო ხალხები (ხელნაწერი).

24. ჩიტაია გ. ქართული ეთნოლოგია. „მიმოხილველი". I 1926.

25. ჩიტაია გ. ეთნოგრაფიული მეცნიერების შესავალი („სვეტები"). თბ: 1954.

26. ჩიტაია გ. მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, „საქართველოს მუზეუმის მოამბე", ტ. V. ტფ; 1930.

27. ჩიქობავა არნ. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ; 1965.

28. ჩიქობავა არნ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ; 1979.

29. ჭანტურიშვილი ს. ეთნოლოგია, თბ; 1993.

30. ჭანტურიშვილი ს. ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია. თბ; 1989.

31. ჭანტურიშვილი ს. ყოფა და კულტურა V-X სს. საქართველოში, თბ: 1984.

32. ჭანტურიშვილი ს. კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიური შესწავლის და ეთნიკური ისტორიის ძირითადი საკითხები (ზოგადი მიმოხილვა), თბ; 1997.

33. ჭილაშვილი ლ. მუზეუმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საკითხები, თბ: 1984.

34. ჭილაშვილი ლ. მსოფლიოს დიდი სამუზეუმო ცენტრები. ნაკვ. I. თბ: 1984.

35. ჰეროდოტე. ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა წინასიტყვაობა და სამიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ; 1975.

36. Аверкисва. Ю. П. Индейцы Северной Америки, М., 1974.

37. Анучин Д. Н., Открытие огня и способы его добывания, М.-Л., 1923.

38. Боас. Ф., Ум первобытного человека, М-Л., 1926.

39. Бромлей Ю. В. Этнос и Этнография, М., 1973.

40. Бромлей Ю. В. Современные проблемы Этнографии. М., 1981.

41. Бромлей Ю. В. Подольный Р., Человечество _ Это народы М., 1990.

42. Брук С., Насселение мира, М. 1981.М. 1986.

43. Гамкрелидзе Т.В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейци, Реконструкция, историко-типологический анализ проязыка и прокультуры, т. I, II, ТБ. 1979.

44. Громов Г.Г. Методика полевых Этнографических исследований. М., 1967.

45. Гуляев В.И. Города-государства Майя (структура и функции города. в раннеклассовом обществе) М., 1979.

46. Джалабадзе Г.В. Путеводиль по этнографическим фондам Государственного Музея Грузии, ТБ. 1985.

47. Дюркгем Э., Правила социологического метода, М., 1991.

48. Дэвидсон Б., Африканцы. Введение в историю Культуры, М., 1975.

49. Итс, Р.Ф. Введение в этнографию., Л., 1974.

50. Кабо В.Р. Происхождение и ранняя история аборигенов Австралии, М., 1969.

51. Ковалевский М.М. Закон и обычай на Кавказе. т.1 м., 1989.

52. Культура и быт народов Зарубежной Европы. Этнографические исследования, М., 1967.
53. Леви _ Строс К., Структурная антропология, М., 1985.
54. Леви _ Строс К., Первобытное мышление, м., 1994.
55. Леви _ Строс К., Печальные тропики, м., 1984.
56. Липс Ю., Происхождение вещей. Из истории культуры человечества, М., 1954.
57. Малые народы Южной Азии, М., 1978.
58. Марков Г.Е., История хозяйства и материальной культуры М., 1979.
59. Миклухо-Маклай Н.Н. Собрание сочинений т. III, М-Л1951.
60. Морган Г. Льюис, Древнее общество, Л., 1934.
61. Народы мира. народы Австралии и океании, М., 1956.
62. Народы мира. Народы Америки, т. 1, М., 1959.
63. Народы мира. Народы африки,М., 1954.
64. Народы мира. Народы Кавказа, т. I.М., 1960, т, II,М. 1962.
65. Народы мира. Народы Европейской части СССР, II, М., 1964.
66. Народы мира. Народы Передней Азии, М., 1957.
67. Народы мира. Народы Юго-восточной Азии, М. 1966.
68. Основы Этнографии (под редакцией С. А. Токарева), М., 1978.
69. Очерки общей этнографии, М., 1957.
70. Пигафета А., Путешествие Магелана, М., 1950.
71. Первое кругосветное плавание капитана Джеймса Кука. Плавание на "Индевре" в 1768-1771 гг. М., 1960.
72. Путешествие христофора Колумба. Дневники, письма, документы, М., 1961.
73. Пучков П.И. Население Океании. Этнографический обзор, М., 1967.
74. Раит М.В.. Народы Эфиопии, М., 1965.
75. Робакидзе А.И., Пути развития Грузинской совесткой этнографии, ТБ., 1983.
76. Ратцел Ф., Народноведение, т.1СПБ., 1900.
77. Совєтская историческая энциклопедия, т. 1-16 Ы (Sesabamisi statiebi).
78. Станюкович Т. В. Этнографическая наука и Музей, Л., 1978.
79. Страны и народы. Земля и человечестко. Общий обзор, М., 1978.
80. Страны и народы. Америка. Общий обзор. Латинская Америка, Средняя Америка, М., 1981.
81. Страны и народы. Африка. Общий оброз. Северная Африка, М., 1982.
82. Страны и народы. Африка. Западная и Центральная Африка, М., 1979
83. Тацит Кронелий, Сочинения в двух томах, м1, Л., 1969.
84. Те Ранги Хироа (П. бак), Мореплаватели солнечного восхода, М., 1959.
85. Токарев С.А. Истоки Этнографической науки, М., 1978.

86. Токарев С.А. История зарубежной этнографии. М., 1978.
87. Тейлор Э., Первобытная культура, М., 1939.
88. файнберг Л. А., Индейцы Бразилии, М., 1974.
89. Фрейд З., тотем и Табу, М-П., 1915.
90. Фробениус Л., детство человечества. СПБ (без года изд).
91. Хейердал Тур. Приключения одной теории. Л., 1964.
92. Хозяйство и материальная культура народов Кавказа. М., 1968.
93. Чебоксаров Н.Н. Чебоксарова И.А., Народы, расы и культуры. М., 1971.
94. Численность и расселение народов мира. под редакцией С. И. Брука. М., 1962. М, 1986.
95. Читая Г.С. Принципы и метод полевой этнографической работы. "Совесткая Этнография", №4, 1957.
96. Шпажников Г. А., Религии стран Африки. М., 1974.
97. Штернберг Л. Я., Семя и роду народов северо-восточной Азии. Л., 1933.
98. Штернберг Л.Я. Этнография, энциклопедический словарь. Издательство Ф.А. Брокгауз, И. А. Ефрон, т81, СПБ., 1904.
99. Элленбергер В., Трагический конец бушменов, М., 1956.
100. Этнические процессы в странах зарубеженой Европы. М., 1970.
101. Этногравия. Под редакцией Ю.В. Бромлея и Г. Е. Маркова. М., 1982.
102. Grabner Fr. Das Weltbild der primitiven, Munhen. 1924.
103. Malinowski B. The Family amond the Australian Aborigines, New-York, 1963.
104. Malinowski B. Argonauts of the Western Pacific, London, 1966.
105. Mauss M. Manuel d'etnographei, Paris, 1947.

სარჩევი

წინასიტყვაობა ---------- 3

პირველი ნაწილი

ეთნოლოგიის თეორიული და ეთნოლოგიური საკითხები

პირველი თავი. ეთნოლოგიის საგანი, მეთოდი და ამოცანები ---------- 6

მეორე თავი. ეთნოსი ---------- 16
§ 1. ეთნოსთა ტიპები ---------- 17
ა. მაკრო და მიკრო ეროეულები ---------- 21
ბ. ეთნოგრაფიული ჯგუფები ---------- 23
გ. გარდამავალი ეთნიკური ჯგუფები ---------- 23
§ 2. ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესები ---------- 24
ა. ეთნიკური დაყოფა ---------- 24
ბ. ეთნიკური გაეროიანება (შეერთება) ---------- 24
გ. კონსოლიდაცია ---------- 25
დ. ასიმილაცია ---------- 25
ე. ეთნიკური ინტეგრაცია ---------- 27
§ 3. ეთნოსის ჩამოყალიბების ფაქტორები ---------- 27
ა. რელიგიური ფაქტორი ---------- 27
ბ. რასობრივი ფაქტორი ---------- 28
გ. ენობრივი ფაქტორი ---------- 29
დ. ეროვნული თვითშეგნება ---------- 30

მესამე თავი. მსოფლიოს ხალხთა კლასიფიკაცია ---------- 32
§ 1. ანთროპოლოგიური კლასიფიკაცია ---------- 32
§ 2. ენობრივი კლასიფიკაცია ---------- 37
§ 3. გეოგრაფიული კლასიფიკაცია ---------- 39
§ 4. რელიგიური კლასიფიკაცია ---------- 41
§ 5. სამეურნეო-კულტურული კლასიფიკაცია ---------- 47

მეოთხე თავი. ეთნოლოგიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა ---------- 50
§ 1. საველე ეთნოლოგიური მასალები ---------- 51
§ 2. ლიტერატურული წყაროები ---------- 54

§ 3. მატერიალური კულტურის ძეგლები ---------- 57
§ 4. ლინგვისტური მონაცემები ---------- 60

მეხუთე თავი. ეთნოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები ------- 63
§ 1. უძველესი ცივილიზაციები ---------- 63
§ 2. ანტიკური ხანა ---------- 64
§ 3. შუა საუკუნეები (V-XIV სს) ---------- 70
§ 4. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა (XV-XVII სს) ---------- 74
§ 5. ეთნოლოგიური ცოდნის განვითარება XVIII საუკუნეში ---------- 79

მეექვსე თავი. მეცნიერული მიმართულებანი XIX და XX საუკუნეების ეთნოლოგიაში ---------- 93
§ 1. ევოლუციონიზმი ---------- 93
§ 2. დიფუზიონისტური სკოლა ---------- 96
§ 3. ფსიქოანალიტიკური თეორია ---------- 101
§ 4. სოციოლოგიური მიმართულება ---------- 103
§ 5. ფუნქციონალიზმი ---------- 106
§ 6. ისტორიული ეთნოლოგიის სკოლა ---------- 107
§ 7. მარქსისტულ-ლენინური ეტაპი ეთნოლოგიაში ---------- 110
§ 8. ეთნოლოგიის ქართული სკოლა ---------- 115

მეშვიდე თავი. თანამედროვე ეთნოლოგიური მიმართულებანი -------- 127
§ 1. კულტურული რელატივიზმი ---------- 127
§ 2. ნეოევოლუციონიზმი ---------- 129
§ 3. ეკონომიკური ანთროპოლოგია ---------- 132
§ 4. კულტურული მორფოლოგია ---------- 133
§ 5. სტრუქტურალიზმი ---------- 134

მეორე ნაწილი

მსოფლიოს ხალხთა ეთნოლოგია

პირველი თავი. ავსტრალიის ხალხები ---------- 147

მეორე თავი. ოკეანეთის ხალხები ---------- 168
§ 1. მელანეზიელები ---------- 168
§ 2. პაპუასები ---------- 184
§ 3. პოლინეზიელები ---------- 190
§ 4. მიკრონეზიელები ---------- 204

მესამე თავი. ამერიკის ხალხები ---------- 211
§ 1. ლათინური ამერიკის ხალხები ---------- 217
§ 2. მაიას ხალხები ---------- 231

მეოთხე თავი. აფრიკის ხალხები ---------- 239
§ 1. პიგმეები, ბუშმენები, ჰოტენტოტები ---------- 257

მეხუთე თავი. აზიის ხალხები ---------- 261
§ 1. ჩინელები ---------- 264
§ 2. ინდოელები ---------- 272
§ 3. ციმბირის ხალხები ---------- 281
§ 4. შუა აზიის ხალხები ---------- 292

მეექვსე თავი. ევროპის ხალხები ---------- 303
1. დასავლეთ ევროპის ხალხები ---------- 309
§ 1. რომანული ხალხები ---------- 309
§ 2. გერმანელი ხალხები ---------- 327
§ 3. ბერძნები ---------- 330
§ 4. ალბანელები ---------- 331
§ 5. კელტები ---------- 332
§ 6. უგრო-ფინელები ---------- 333
2. აღმოსავლეთ ევროპის ხალხები ---------- 336
§ 1. ბალტიისპირეთის ხალხები ---------- 336
§ 2. სლავი ხალხები ---------- 340

მეშვიდე თავი. კავკასიის ხალხები (ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის საკითხები) ---------- 354
1. ქართველები ---------- 364
§ 1. აფხაზები ---------- 384
2. სომხები ---------- 389
3. აზერბაიჯანელები ---------- 394

4. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ---------- 399
§ 1. ყაბარდოელები და ჩერქეზები ---------- 403
§ 2. ადიღეელები ---------- 404
§ 3. აბაზები ---------- 405
§ 4. ყარაჩაელები ---------- 405
§ 5. ბალყარელები ---------- 406
§ 6. ოსები ---------- 407
§ 7. ჩეჩნები ---------- 408
§ 8. ინგუშები ---------- 409
§ 9. ნოღაელები ---------- 410
5. დაღესტნის ხალხები ---------- 411

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 416

სოსო ჭანტურიშვილი

დაიბადა 1940 წლის 26 აგვისტოს ქ. თბილისში, საშუალო და სპეციალური მუსიკალური განათლება მიიღო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში (ნიჭიერთა ათწლედში).

1964 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი ეთნოლოგიის განხრით. 1965-1968 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგების ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაცია.

ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ს. ჭანტურიშვილის ძირითადი ნაშრომები ეხება როგორც ეთნომუსიკოლოგიის, ისე ზოგადი და ისტორიული ეთნოლოგიის საკითხებს. 1984 წელს გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში“, რომლითაც დასახულ იქნა სპეციალური სამეცნიერო დისციპლინის – საქართველოს ისტორიული ეთნოგრაფიის შესწავლის გზები. ამ ნაშრომისათვის ავტორს 1986 წელს მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრემია. 1993 წელს მან გამოსცა „ეთნოლოგიის“ სახელმძღვანელო, 1997 წელს „ეთნოლოგიის ქრესტომათია“, ხოლო 1999 წელს „ეთნოლოგიის საფუძვლები“.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 22 მაისის ბრძანებულებით სოსო ჭანტურიშვილს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2000 წლის სახელმწიფო პრემია 1993 წელს გამოცემული სახელმძღვანელოსათვის „ეთნოლოგია“.

სოსო ჭანტურიშვილი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 80-მდე სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიების ავტორი. მრავალი სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, სამეცნიერო სადისერტაციო საბჭოების წევრი. დაჯილდოვებულია ივ. ჯავახიშვილისა და თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით. არის ღირსების ორდენის კავალერი.